

ქეთევან მამასახლისი
ვიქტორია ჯუღელი
დეკანოზი გიორგი ბერიშვილი

წმინდა მამათა სწავლანი
ბიზანტიურ-ქართულ
ინტერდისციპლინარულ
ურთიერთობათა კონტექსტში

ღირსი ამონა ნიტრიელი

წიგნი I

თბილისი
2022

Ketevan Mamasakhlisi
Victoria Jugeli
Archipriest Giorgi Berishvili

**STUDIES OF SAINT FATHERS
IN THE CONTEXT OF
BYZANTINE-GEORGIAN
INTERDISCIPLINARY
RELATIONSHIP**

Blessed Ammon of Nitria

Book I

**Tbilisi
2022**



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

სამეცნიერო პროექტი - წმინდა მამათა სწავლანი ბიზანტიურ-ქართულ ინტერ-დისციპლინარულ ურთიერთობათა კონტექსტში FR-18-1209 - ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2018 წლის საგრანტო კონკურსში ფუნდამენტური კვლევებისთვის გამარჯვებული პროექტის ფარგლებში

The Project - Studies of Saint Fathers in the Context of Byzantine-Georgian Interdisciplinary Relationship FR-18-1209 - is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia within the framework of the 2018 Grant Competition for Fundamental Research

წამყვანი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლ-მადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

Host Institution: N(N)LE Tbilisi Theological Academy and Seminary of the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia

პროექტის ხელმძღვანელი
ქეთევან მამასახლისი ფილოლოგიის
დოქტორი

Principal Investigator
Ketevan Mamasakhlishi Doctor
of Philology

პროექტის კოორდინატორი
მანგია არაბული ისტორიის მაგისტრი

Project Coordinator
Mangia Arabuli Master of History

პროექტის ძირითადი პერსონალი
ვიქტორია ჯუღელი ფილოლოგიის
დოქტორი
დეკანოზი **გიორგი ბერიშვილი**
თეოლოგიის მაგისტრი

Key Personal of the Project
Victoria Jugeli Doctor
of Philology
Archpriest **Giorgi Berishvili** Master
of Theology

პროექტის კონსულტანტი
ბერნარ უტიე ფრანგი ქართველოლოგი
საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო
ცენტრი

Project Consultant
Bernard Outtier French Kartvelologist
The National Center for Scientific
Research CNRS

რედაქტორი **ლიანა ახოზაძე** ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

Editor **Liana Akhobadze** Doctor
of Philological Science

მთარგმნელი **ერიკ ჰალვორსონი**
თეოლოგიის მაგისტრი

Translator **Eirik Halvorson** Master
of Theology

დიზაინერი **ირმა მამასახლისი**

Designer **Irma Mamasakhlishi**

ედვანება საქართველოს ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე ბერ-მონაზვნებს

წარმოდგენილ წიგნში ქვეყნდება ბიზანტიური კულტურის ორი დიდი წარმომადგენლის - ღირსი ამონა მონაზვნისა და წმინდა სოფრონ იერუსალიმელის სულიერ სწავლებათა ძველი ქართული თარგმანები, რომელთა უმრავლესობას პირველად გაეცნობა ამ მოღვაწეთა შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველი.

ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს წავუმძღვარეთ ისტორიულ-ფილოლოგიური თუ საღვთისმეტყველო ხასიათის კვლევა ამ ორი დიდი მოღვაწის შესახებ, სადაც გავითვალისწინეთ ყველა ის თარგმანი, რომელიც მათი შრომების სახით ფრაგმენტულად თუ სრულად შემორჩა სხვა ენებზე. კვლევა ასევე მოიცავს ქართული თარგმანების ტექსტოლოგიურ-ენათმეცნიერული დაკვირვებებს. წიგნს დართული აქვს ლექსიკონი, გამოყენებული ლიტერატურის სია და გამოკვლევის ინგლისური თარგმანი.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სამეცნიერო, ისე ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

The Old Georgian translations of the spiritual teachings of two of the greatest representatives of Byzantine culture – Blessed Ammon the Monk and St. Sophronios of Jerusalem – are published in the present book, the majority of which readers intrigued in the creative work of these two figures will be encountering for the first time.

The critically established texts are preceded by some historical, philological, or theological studies concerning these two great individuals, where all the translations of their works surviving in whole or in part in various languages have been accounted for. The study also covers some textual, linguistic observations of the Georgian translations. A dictionary, bibliography, and English translation of the study are included.

The work is intended for the academic realm at large, as well as for readers interested in this topic.

პროექტზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ-სამეცნიერო ფონდს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორატს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს, დეკანოზ ბესარიონ ცინცაძეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს ავთანდილ არაბულს, ბერნარ უტიეს, სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის მცველს, არქიმანდრიტ იუსტინე სინელს (archimandrite Justin Sinaites), მარი-ელენ კონგურდოს (Marie-Hélène Congourdeau), ედიშერ ჭელიძეს, თამარ პატარიძეს, მამა გიორგი ცქიტიშვილს, დალი ჩიტუნაშვილს, ნათია ჩანტლაძეს, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებს ციციწო მუმლაძეს და მაია ქებულაძეს, ირაკლი ორჭონიას, გიორგი თოდუას, მონაზონ თამარ დიაკონუს, მედეა (დოდო) ღლონტს, გოჩა კუჭუხიძეს, ირმა მამასახლისს და ყველა იმ გულისხმიერ ადამიანს, რომლებიც სიტყვით თუ საქმით გვერდით გვიდგა ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

სარჩევი

წინასიტყვა

ქეთევან მამასახლისი

წინასიტყვა.....	8
ღირსი ამონა - ეპისტოლეთა ავტორი, ცხოვრება და მოღვაწეობა	10
ადრექრისტიანული ეგვიპტე და ძველი ქართული სასულიერო მწერლობა	25
ანტონი დიდი და ღირსი ამონა ნიტრიელი, რამდენიმე თეოლოგიური საკითხი.....	27
წმინდა ამონას ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანის მნიშვნელობა და თავისებურებანი.....	51
ტექსტისათვის	69
თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონასი	70
ჩვენი ნეტარი მამის - ამონას - ნათქვამი – თანამედროვე ქართული თარგმანი	103
ამონაძს სიტყუანი - ხელნაწერები და რამდენიმე ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტი.....	125
რამდენიმე ენობრივი საკითხი	129
ამონაძს სიტყუანი - ანალიზი.....	130
ამონაძს სიტყუანი	133
ამონას სიტყვები - თანამედროვე ქართული თარგმანი	137
ღირსი ამონასადმი მიძღვნილი ეპისტოლეები საეკლესიო მამათა ეპისტოლარულ კანონმდებლობაში	139
ტექსტისათვის	143
დანართი	144
ეპისტოლე წმიდისა ათანასისა ამმონის მიმართ მონაზონისა	144
თეოფილე ალექსანდრიელის მოსაკსენებელი, რომელი მიიღო ამმონ ლჯკოდსთჳს	147
Ammon – Epistle Author	149
Some Biographical Information and A Few Theological Topics.....	149
The Importance and Characteristics of the Old Georgian Translation of the Epistles of St. Ammon	178
დამოწმებული ლიტერატურა.....	189

ვიქტორია ჯულელი

ამონა ნიტრიელის ეპისტოლური მემკვიდრეობა, წყაროები და თარგმანები.....	195
ამონას ცხოვრების შესახებ	196
ამონას ეპისტოლეთა კრებული	198
ეპისტოლეთა დათარიღება	199
წერილთა ორიგინალის ენის შესახებ	200
ამონას ეპისტოლეთა კორპუსის თარგმანები	205
ეპისტოლეთა სირიული კორპუსი	208
ეპისტოლეთა ბერძნული კორპუსი	210
ეპისტოლეთა არაბული კორპუსი	213
ეპისტოლეთა სომხური თარგმანი	232
ეპისტოლეთა ეთიოპური თარგმანი	241
ეპისტოლეთა ქართული კორპუსი	249
ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა თავისებურებანი	252
ქართულ ხელნაწერებში დაცულ ტექსტთა ურთიერთმიმართება	255
ქართული თარგმანის კითხვასხვაობანი	266
ქართული თარგმანის წყარო და რედაქცია	274
დასკვნა	293
ბიბლიისა და აპოკრიფთა დამოწმებანი	296
ამონას წერილის დამოწმება აპოფთეგმურ კრებულში	304
საერთო დასკვნა	307
Conclusion	319
დამოწმებული ლიტერატურა	329
დანართი. სირიულ ეპისტოლეთა კრებული. ეპისტოლე XIV.....	336
ამონა ნიტრიელის ეპისტოლეთა ბერძნულ-ქართული ლექსიკონი	337
ამონა ნიტრიელის ეპისტოლეთა ქართულ-ბერძნული ლექსიკონი	356

წინასიტყვა

წინამდებარე ნაშრომი - წმინდა მამათა სწავლანი ბიზანტიურ-ქართულ ინტერდისციპლინარულ ურთიერთობათა კონტექსტში - შეისწავლის ქრისტიანულ სამყაროში კარგად ცნობილი ორი დიდი საეკლესიო მოღვაწის - ღირსი ამონა ნიტრიელისა და სოფრონ იერუსალიმელის - ცხოვრებასა და შემოქმედებას. მიუხედავად მათი მოღვაწეობის სხვადასხვა ეპოქისა, მათი შემოქმედება და ცხოვრების მრწამსი გარკვეულწილად ერთმანეთს თანხვდება და თავის ღირსეულ ადგილს იკავებს არა მარტო ბიზანტიურ, არამედ შუა საუკუნეების ქართულ სინამდვილეში. ის დიდი სიბრძნე და გამორჩეული სულიერი ღირებულებები, რაც ამ ორი წმინდანის ზნეობრივი ხასიათის სწავლებებს ახასიათებს, თავის დანიშნულებას დღესაც არ კარგავს.

ჩვენი მიზანი იყო, სრული სახით წარმოგვედგინა ამონა მონაზვნისა და სოფრონ იერუსალიმელის თხზულებების ძველი ქართული თარგმანები, რომელთა უმრავლესობა დღის სინათლეს სწორედ წინამდებარე პუბლიკაციის წყალობით იხილავს. აღსანიშნავია, რომ წინათონურ ეპოქაში ქართულ ენაზე თარგმნილი ამონას 16 ეპისტოლიდან დღემდე მხოლოდ ერთია კრიტიკულად შესწავლილი და გამოცემული, დანარჩენი კი გამოუცემელია. ბერძნულ ენაზე ამ ეპისტოლეთაგან მხოლოდ რვა ეპისტოლეა შემორჩენილი და ისიც მოგვიანო ხანის რედაქტირებული ნუსხების სახით. ამდენად, აღნიშნულ ეპისტოლეთა ქართულ რედაქციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამონა მონაზვნის შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისათვის.

აღნიშნული რედაქციები საყურადღებოა როგორც ისტორიულ-ფილოლოგიური, ასევე საღვთისმეტყველო თვალსაზრისით. მასში წინაპლანზეა წამოწეული ქრისტოლოგიური და აპოკალიფსური საკითხები. მონასტრული ცხოვრების წიაღში შექმნილი ამონას ასკეტიკური ხასიათის სულიერი სწავლანი ამ დიდი მამის სულიერი გამოცდილების შედეგია და თავისუფალია ყოველგვარი თეორიული გავლენისაგან.

ღირსი ამონა ნიტრიელის ეპისტოლეებისა და სოფრონ იერუსალიმელის ჰომილიების ძველი ქართული თარგმანების პუბლიკაცია დიდად მნიშვნელოვანია ბიზანტინისტიკის იმ მიმართულების სრულყოფილად გასაცნობად, როგორცაა ადრექრისტიანული ასკეტიკური ლიტერატურა და ჰომილეტიკა.

ამ თხზულებების შემცველ უძველეს ქართულ ნუსხებზე მუშაობა მრავალი ასპექტით წარიმართა და მან საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

დასახული მიზნის მისაღწევად აღნიშნულ მოღვაწეთა ცხოვრება-შემოქმედებას ვიკვლევდით სხვადასხვა მიმართულებით. შევისწავლეთ შესაბამისი ეპოქის სინამდვილე და ის ურთიერთობა, რომელიც ამ პერიოდის საქართველოს ჰქონდა აღმოსავლეთ საქრისტიანოს ცენტრებთან, კერძოდ, უძველეს კოპტურ სამყაროსა და იერუსალიმის, ათონისა თუ სინის მთის მწიგნობრულ კერებთან.

ანტონი დიდის სულიერი მემკვიდრის - ღირსი ამონა მონაზვნის - ეპისტოლეების ძველი ქართული თარგმანების შემცველ ნუსხებზე მუშაობამ კიდევ უფრო გამოკვეთა იმ საკითხის აქტუალობა, რომელიც ყოველთვი მნიშვნელოვანი იყო ქართულ მეცნიერებაში. კერძოდ, ადრექრისტიანული ეპოქის ქართველი მწიგნობრების კოპტურ სამყაროსთან კულტურული ურთიერთობის სურათის შესწავლა, სადაც განდევნილური ცხოვრების აკვანი დაირწა.

კვლევამ დაადასტურა, რომ წინათონურ ეპოქაში თარგმნილი ასკეტიკური ხასიათის ეპისტოლეები ქართულად საბაწმინდის მონასტერში მოღვაწე ქართველი მწიგნობრის მიერ უნდა იყოს გადმოღებული, მოგვიანებით კი ეს საქმიანობა სინის მთაზე გაგრძელებულა. ნუსხებზე მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ საკუთრივ ქართულ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ღირსი ამონას ეპისტოლეთა კვინობიტური რედაქცია, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა ქართველ მეუდაბნოე მამათა ყოველდღიურ ყოფაში.

ღირსი ამონასა და სოფრონ იერუსალიმელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები შევუდარეთ თითქმის ყველა თარგმანს, ფრაგმენტულად თუ სრული სახით მოღწეულს ჩვენამდე.

ამონა მონაზვნის ეპისტოლეთა ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილ ტექსტთან ერთად ნაშრომში ვაქვეყნებთ ამავე ეპისტოლეთა თანამედროვე ქართულ თარგმანებს, გადმოღებულს თავისუფალი თარგმანის პრინციპით. ასევე ვაქვეყნებთ ამონას ოთხი სიტყვისა და ამ მონაზვნისადმი მიძღვნილი ეპისტოლეების ხელახლა დადგენილ კრიტიკულ ტექსტებს. ამონას ოთხი სიტყვის კრიტიკულ ტესტზე მუშაობისას გავითვალისწინეთ კიდევ ერთი ნუსხა, რომელიც აქამდე არ ყოფილა ამ კუთხით შესწავლილი. ტექსტს ასევე დავურთეთ დასახელებული ოთხი სიტყვის ახალ ქართულ ენაზე შესრულებული ვარიანტი.

რაც შეეხება წმ. სოფრონ იერუსალიმელს, იგი ღვთისგან გამორჩეულ ის წმინდანია, რომელიც თავის ეპოქაში თითქმის მარტო იბრძოდა მართლმადიდებელი მოძღვრების დასაცავად ერეტიკული სწავლებისაგან; კერძოდ, მას მედგარი ბრძოლა მოუწია მონოთელიტობის წინააღმდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, წმ. სოფრონის შემოქმედებაში სწორედ მონოთელიტობისა და მონოენერგიზმის საწინააღმდეგო მოძღვრებანი ჭარბობს.

მისი თხზულებები ქართულად უთარგმნიათ წმ. ეფთვიმე და გიორგი ათონელებს, წმ. ეფრემ მცირეს, რამდენიმე ჰომილიის მთარგმნელის ვინაობა კი უცნობია.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ, მკითხველისათვის სრული სახით მიგვეწოდებინა წმ. სოფრონის ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანები. საამისოდ კრიტიკულად დავადგინეთ და გამოსაცემად მოვამზადეთ ადრე გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ჰომილიათა ტექსტები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რამდენიმე მათგანს არ მოეპოვება ბერძნული დედანი და მხოლოდ ქართული თარგმანის სახით არის შემორჩენილი.

კრიტიკულ ტექსტებს დავურთეთ ბიოგრაფიული ცნობები წმ. სოფრონის შესახებ; აგრეთვე წარმოვადგინეთ ამ ჰომილიათა თეოლოგიურ ანალიზს; ყურადღებას ვამახვილებთ წმ. სოფრონის მიერ გამოყენებულ ისეთ ტერმინებზე, რომლებიც სიღრმისეულად წარმოაჩენენ მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებას ყოვლადწმიდა სამებისა და განკაცებული ძე ღმერთის შესახებ.

მადლიერებით მივიღებთ მოსაზრებებსა და შენიშვნებს ამ გამოცემასთან დაკავშირებით.

ღირსი ამონა - ეპისტოლეთა ავტორი

ცხოვრება და მოღვაწეობა

ასკეტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ეპისტოლეები, იგივე სულიერი სწავლებები, რომლებიც ადრექრისტიანული ეგვიპტის გარემოში წარმოიშვა და შეიცავს გამოცდილი მეუდაბნოე მამებისა და წინამძღვრების ბრძნულ დარიგებებს. ისინი შექმნილი და დალაგებულია გარკვეული პრინციპით. ეპისტოლური მწერლობა ავთენტური წყაროა, რომლის საშუალებითაც ვეცნობით სულიერ მოძღვარს, მის დამოკიდებულებას მონასტრის წევრებთან, ვიგებთ, თუ როგორ უზიარებს სულიერი მამა მათ ასკეტიკურ ცხოვრების გამოცდილებას.

ეპისტოლეთა საფუძველი ხშირად ანონიმური ზეპირი წყაროებია. ესაა უშუალო, პირდაპირი სწავლება, რომელიც მკითხველის თვალწინ აცოცხლებს ბერმონაზვნური ცხოვრების უადრეს ხანას, კერძოდ, მე-4 საუკუნის ეგვიპტური ასკეტიზმის ცოცხალ სურათს. აქედან გამომდინარე, წმინდა მამათა სულიერი წერილები განეკუთვნება ყველაზე ძველ და ამავე დროს, ეგვიპტის სამონასტრო ცხოვრების ამსახველ ლიტერატურულ მემკვიდრეობას¹.

ადრექრისტიანულ ეგვიპტეში შექმნილი ეპისტოლეების ავტორები არიან: ანტონი დიდი, მეუდაბნოე ცხოვრების მესაძირკველე, ამონა ნიტრიელი, მაკარი ეგვიპტელი, ათანასე დიდი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, მათი ეპისტოლური მემკვიდრეობის ბევრი თანხვედრი ადგილებისა, დიდია განსხვავებაც. ეს განსხვავება, უპირველესად, გამოიხატება იმაში, რომ ანტონი დიდის წერილები უფრო ფილოსოფიურ ასპექტებს ეხება, მაშინ, როცა ამონას, მაკარისა და ათანასე დიდის ეპისტოლეების შინაარსი უფრო მარტივია, ამასთან, ამონა ნიტრიელი წინ წამოწევს აპოკალიფსურ საკითხებს².

ღირსი ამონას სახელით ცნობილი სულიერი ეპისტოლეები, რომლებიც ბერმონაზვნური ცხოვრების გარიჟრაჟზე შეიქმნა, მეუდაბნოე ცხოვრების მესაძირკველის, ანტონი დიდის, ასკეტიკური შინაარსის წერილების ღირსეული გამგრძელებელია. ამ ეპოქაში მოღვაწე თუ რომელი ამონა აღნიშნულ ეპისტოლეთა ავტორი, კარგა ხანია, მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ამონა მონაზონი ანტონი დიდის უპირველესი მოწაფე იყო³. არსებობს მოსაზრება, რომ ანტონის მიერ ზეპირად წარმოთქმულ ქადაგებებს სწორედ ის იწერდა. მათი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის შეგონებანი ერთმანეთს ავსებენ და ეგვიპტური მონასტრული ღვთისმეტყველების შესასწავლად უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდიან. ორივე მოღვაწის ეპისტოლეები, ძირითადად, მათივე დაარსებული სკიტის, ნიტრიისა და პისპირის მამათა კრებულებს ეძღვნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამონასტრო ტრადიცია იცნობს რამდენიმე ამონას, რომელთა სახელი სხვადასხვა ფორმით: ამონი, ამუნი, ამონასი, ამონიოსი და სხვ. (ბერძ. «Ἄμων, Ἄμουν, Ἀμμωνᾶς, Ἀμμωνᾶς, Ἀμμωνᾶ, Ἀμμώνιος, Ἀμουνιός...; ლათ. Amon, Amoun, Amonas, Ammonas, Ammonios, Ammonius, Ammoi) გვხვდება IV საუკუნის ეგვიპტელ მონაზონთა შორის. აღნიშნული სახელი ასევე სხვადასხვა ვარიაციით რამდენიმეჯგუფის ფიქსირდება ძველ ქართულ ნათარგმნ სასულიერო ლიტერატურაში. კერძოდ, პალადი ჰელენოპოლისის „ლავსაიკონის“ ეგრემ მცირისეულ თარგმანში, ქართულ აპოფთეგმურ კრებულებში, როგორცაა: სისტემური კრებულის ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანები („მამათა სწავლანი და თხრობანი“). ამ უკანასკნელში მოხსენიებულია რამდენიმე ამონა: ამმონი, ამმონ რაითელი და ამონ ეგვიპტელ-არაბიელი. აღნიშნული სახელის სხვადასხვა ფორმა: ამონი, ამმონ გვხვდება

1 Farag 2012:13.

2 Outtier 1985: 9.

3 იმნაიშვილი 1975: 14.

„დიდი სჯულისკანონის“ არსენ იყალთოელის თარგმანის შემცველ ხელნაწერებში: 1. ეპისტოლე წმიდისა ათანასისა ამონის მიმართ მონაზონისა, 2. მისივე (თეოფილე ალექსანდრიელის – ქ.მ.) მოსაჯსენებელი, რომელი მიიღო ამონს ლჯკოასთვს¹.

აღმოსავლური ქრისტიანობის მკვლევარი ფ. ნო (F. Nau) ასახელებს ბერმონაზვნური ცხოვრების დასაწყისში მცხოვრებ ცხრა მოსაგრეს, რომელიც ამ სახელს ატარებდა: 1. ღირსი ამონა ნიტრიელი (უფროსი) - მონაზვნური ცხოვრების დამფუძნებელი ნიტრიაში, რომლის სულის ამაღლებაც იხილა ანტონი დიდმა მისი გარდაცვალების შემდეგ²; 2. ანტონი დიდის მოწაფე ამონა, იგივე ამონასი; 3. ამუნი, რომელმაც გველი მოათვინიერა³. 4. სამი ათასი ტაბენელი მონაზვნის წინამძღვარი ამუნი⁴; 5. ამონიოს ნიტრიელი უმცროსი; 6. ამონიოსი - აბბა პამბოს მოწაფე, ზედწოდებით ცალყურა, რომელმაც მოიჭრა ყური, რომ ეპისკოპოსი არ გამხდარიყო⁵; 7. ამონა, რომელიც თავდაპირველად თებეში მოღვაწეობდა, შემდეგ ნიტრიაში გადავიდა, ბოლოს კი ანტიოქიის ეპისკოპოსი გახდა. ის იყო ავტორი ცნობილი ეპისტოლისა ღირსი პახუმისა და თეოდორას შესახებ; 8. აბბა სისოს მოწაფე ამონა რაითელი⁶; 9. პიამონიოსი. იგი მოღვაწეობდა უდაბნოში, ქალაქ დიოკლთან ახლოს (რუფინუსი, თ. 32)⁷. ფ. ნოს თანახმად, ეს ჩამონათვალი არ მოიცავს ყველა იმ მოღვაწეს, რომელიც ამ სახელით მოიხსენიებოდა.

ანტონი დიდისა და წმინდა ამონას ეპისტოლეთა თანამედროვე მკვლევარი გ. ფა-რაგი ასახელებს კიდევ რამდენიმე ამონას, რომლებიც IV საუკუნეში მოღვაწეობდნენ. მისი ცნობით, რამდენიმე ამონიუსს და ამონას ასახელებენ ისიდორე პელუზიელი და ალექსანდრე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი. მკვლევარი აქვე შენიშნავს, რომ მამათა სირიულ „სამოთხეში“ ამონი მოხსენიებულია, როგორც გეოგრაფიული სახელი. კერძოდ, აღნიშნულ ძეგლში დასახელებულია უდაბნო, რომელსაც ამონის უდაბნოს უწოდებდნენ⁸.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სიტყვა ამონი ხშირად წარმოდგენილია, როგორც სუფიქსი ამ ეპოქაში მოღვაწე ბერ-მონაზონთა სახელებში: პიამონი, აპამონი, სარაპამონი და მისთ. ამათგან პიამონს იცნობს პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეული თარგმანი⁹ და სხვ.

სახელი ამონა ხშირად არის მოხსენიებული პაპირუსებშიც. მაგ., კელინის პაპირუსებში.

ბ. უტიეს თანახმად, მე-4 საუკუნეში იმდენი ბერი მოიხსენიება ამ სახელით, რომ ასეთ ვითარებაში ძნელია, განისაზღვროს, თუ ვის მიეკუთვნება ცნობილი ეპისტოლეები¹⁰.

ჩამოთვლილ მოღვაწეთაგან სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვეთილია ორი ამონა, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება ვივარაუდოთ ეპისტოლეთა ავტორად. ესენია: ამონა (უფროსი) ნიტრიელი, რომლის სულიც იხილა ანტონი დიდმა ზეცაში ამავედელი, და ამონა (უმცროსი), ანტონი დიდის მოწაფე, რომელიც მოგვიანებით ეპისკოპოსი გახდა.

აღნიშნული სახელის ასეთი პოპულარობა, ბუნებრივია, განაპირობა ეგვიპტურ მითოლოგიაში ფართოდ გავრცელებულმა შეხედულებამ, რომლის თანახმადაც ამონი ფარაონთა და

1 დიდი სჯულისკანონი 1975: 466-469; 527-529.

2 აღნიშნული ცნობა დაცულია ათანასე ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრების“ ძველ ქართულ თარგმანში. ამავე ამბავს იხსენებს წმ. პალადი ჰელენოპოლელი „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში. იხ. ნეტარისა ამონისათვის და მეუღლისა მისისა, თ. 8 (მამასახლისი 2010: 216).

3 აღნიშნული ცნობა გვხვდება თეოფილე ხუცესმონაზვნის თარგმანში „მამათა სწავლანი და თხრობანი“ (თ.კ.1.1.), ასევე, ქართულ ანბანურ-ანონიმურ პატერიკში. თუმცა, ქართული წყაროების თანახმად, მამა ამონამ „ბასილიკონი მოკლა, რომელ არს თუალით მკლველი გუელი“ (დვალი 1974: 26). ამ ამბის შესახებ მოგვითხრობს რუფინუსი თავის ნაშრომში „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“ (თ. 8).

4 იქვე, თ. 6.

5 ეს ისტორია მოთხრობილია პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანშიც.

6 დვალი, ჩიტუნაშვილი 2014:161, 347.

7 Nau 1915: 393-401.

8 Farag 2012: 169.

9 მამასახლისი 2010: 260.

10 Outtier 1985: 3.

ღმერთების მეფე, მათი ძლიერების სიმბოლო იყო. ის იყო ქ. თებეს მთავარი ღვთაება და მას თაყვანს სცემდნენ, როგორც მზის ღმერთს¹.

ამონას სახელით ცნობილი ეგვიპტელი მოსაგრეების შესახებ მოგვითხრობენ საეკლესიო მწერლები: წმინდა პალადი ჰელენოპოლელი², რუფინუსი³, სოკრატე სქოლასტიკოსი⁴, სომომენე⁵, „ანტონი დიდის ცხოვრების“ ავტორი ათანასე ალექსანდრიელი⁶. მათ შესახებ, ასევე, საინტერესო ცნობებია დაცული პატერიკებში. ზემოდასახელებულ ისტორიკოსთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა პალადი ჰელენოპოლელისა და რუფინუსის მონათხრობი, ხოლო სოკრატე და სომომენე მათ ნააზრევს ეყრდნობა. წმინდა პალადისა და რუფინუსის თანახმად, ეს ჩანაწერები ეგვიპტის უდაბნოებში მათი უშუალო მოგზაურობის შედეგია და, ამდენად, უფრო მეტი სანდოობით გამოირჩევა⁷.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ეპისტოლეთა ავტორის ბიოგრაფიული მონაცემების გასაცნობად ჩვენს ხელთაა სამი სახის წყარო: თავად ეპისტოლეების სათაურები, რომლებიც ადასტურებენ ამონას, როგორც მათი ავტორის, ავთენტურობას, პატერიკები, იგივე აპოფთეგმები, და იმ ეპოქის საეკლესიო მწერლების ცნობები⁸.

ეპისტოლეთა ავტორის სახელი რომ ნამდვილად ამონაა, როგორც შევნიშნეთ, ამის შესახებ მიუთითებენ თავად წერილების სათაურები. როგორც ჩანს, აღნიშნული წერილების მხოლოდ ნაწილშია წარმოდგენილი სახელი ამონა მთლიანად. კმოსკოს უწყებით, 534 წლით დათარიღებული უძველესი ხელნაწერი ატარებს ასეთ სათაურს: „Porro Epistolae Mar Ammonii eremitae“⁹. სხვა ხელნაწერები (ინახება დიდი ბრიტანეთის მუზეუმში) ასევე ატარებენ მსგავს სათაურებს: „Epistola Mar Ammonii eremitae electi. ad fratres eremitas scripsit“¹⁰.

აქვე შენიშნულია, რომ ორი ხელნაწერი, რომლებიც ინახება ვატიკანში, ამონას ეპისკოპოსის ტიტულით მოიხსენიებს. კერძოდ:

1. ვატიკ. სირ. 122, რომელიც თარიღდება 796 წლით, ასეა წარმოდგენილი; „Porro Epistolae and adhortatio el admonitio Mar Ammonii eremitae“ და „episcopi ad fratres eremitas filiosque suos carissimos“.

2. ვატიკ. სირ. 126, 1223 წლით დათარიღებული: „Porro Epistolae sancti Mar Ammonii eremitae and episcopi Oxyrhinchi ad fratres in eius coenobio degentes“¹¹.

1 ეგვიპტური მითოლოგიის ლექსიკონი 2005: 11.

2 მამასახლისი 2010: 36-38; 42-43; 89; 133; 194; 212-217; 353; 383.

3 Руйфин 2002: 168.

4 Соkрат 1996: 186.

5 სომომენე 2017: 42.

6 იმნაიშვილი 1975: 14.

7 ჯაში 2017:44

8 ამონას დიდი პატივით მოიხსენიებენ სირიელი მოღვაწეები. ისააკ ასური მას მშვენიერ ამონას და სუფთა გულის ადამიანს უწოდებს, ჟან საბა დალიატიდან - თეოფოროს, თომას დე მარგა - რჩეულ ეპისკოპოსს ღვთის ეკლესიაში. იხ. Farag 2012: 512.

9 Kmosko 1915: 555 -556.

10 Ibid, pg. 556-558.

11 საზოგადოდ, სამონასტრო ისტორიაში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ პიროვნებას შეგნებულად დიდი სახელით მოიხსენიებენ. ოქსირინქოსს ზუსტად მივყავართ იმ აზრამდე, თუ რატომ მიაწერეს მის ეპისკოპოსს ამონას წერილები. „მონასტრული ცხოვრების ისტორიის“ თანახმად, აღნიშნული ქალაქი უდიდესი სამონასტრო და საეპისკოპოსო ცენტრი იყო. მის ტაძრებსა და კაპიტოლიუმებში მოღვაწეობდა 5 ათასამდე ბერი. ქალაქი გარედანაც გარშემორტყმულია მონასტრებით. ამ წმინდა ეპისკოპოსს ემორჩილებოდა 10 000 ბერი და 20 000 ქალწული. აქ იყო მრავალი ღირსი მამა, რომლებიც დაჯილდოებულები იყვნენ სხვადასხვა არაჩვეულებრივი უნარით.

როგორც ჩანს, ასეთი აღწერილობა აძლიერებს იმის რწმენას, რომ ოქსირინქოსის ეპისკოპოსი დიდი მოღვაწე იყო. ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. კოპტურმა ტრადიციამ შემოგვინახა ამ ქალაქის ერთ-ერთი ეპისკოპოსის ბიოგრაფია, ესაა აპკუ. იგი იყო პირველი მოღვაწის მოწაფე, მას ეპისკოპოსად ხელი იძულებით

ამონა მოიხსენიება ეპისტოლეთა ავტორად ნოს ბერძნულ ვერსიაში. კერძოდ, პირველ წერილს აქვს ასეთი სათაური: „Του Οσίου Και Θεοφορου Πατρος Ημων Αββα Αμωνα = ჩვენი წმინდა და თეოფორა მამისაგან, აბატი ამონასგან, მარტოობის შესახებ“.

ჟ.გარიტი ლათინურად ასე წარმოგვიდგენს ეპისტოლეთა ქართული ხელნაწერის სათაურს: „De unius ex Ammonae epistulis versione iberica“.

ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ ამონას ეპისტოლეთა შემცველ ყველა ქართულ ნუსხაში (Sin. Geo 35; Sin. Geo 25; Sin. Geo 13) აღნიშნული პიროვნებაა მოხსენიებული მათ ავტორად. კერძოდ, ამ წერილების სათაურებში ვკითხულობთ: „თქმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონასი ა“ და მისთ. ამონა მოიხსენიება იმ ეპისტოლეთა ქართული თარგმანის ავტორადაც, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში ისაია მონაზონს მიაწერენ. ესენია: მეცამეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ეპისტოლეები. ამონა, როგორც ავტორი, მოიხსენიება „მამათა სწავლანის“ ილ. აბულაძისეულ გამოცემაში: „ამონაჲს სიტყუანი“¹.

გარდა სათაურებისა, თავად ეპისტოლეთა შინაარსი ღირსი ამონას ბიოგრაფიის გასაცნობად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. ბერნარ უტიეს მიხედვით, ამონასადმი მიკუთვნიებულ წერილებში დაცულია კონკრეტული და ზუსტი ინფორმაცია მათი ავტორის შესახებ. მართალია, აღნიშნული ცნობები მხოლოდ რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლება, მაგრამ მთლიანობაში ისინი საინტერესო სურათს ქმნიან ამონას პიროვნების, მისი ცხოვრების გზის წარმოსაჩენად.

წმინდა ამონას ეპისტოლეთა კრებულების თანახმად, ამონა სიჭაბუკის ჟამს შეუდგა მოღვაწეობას (სირ. VII 2, XIII 6). იგი იყო ღირსი ანტონი დიდის მოწაფე და შემდეგ თავად გახდა მოძღვარი (სირ. 9.3). აღნიშნული წერილებიდან ირკვევა, რომ მან, თავისი მოძღვრის მსგავსად, დატოვა სამწყსო, რათა უდაბნოში განმარტოებულყო და ამ გზით უფრო მეტად დაახლოებოდა უფალს (სირ. 13.4). თუმცა, არასოდეს წყვეტდა მჭიდრო კავშირს სულიერ შვილებთან და დღისით თუ ღამით იხსენიებდა თავის ლოცვებში. ჰპირდებოდა, რომ კვლავ უკან დაბრუნდებოდა და განამტკიცებდა ღვთის გზაზე სვლაში (სირ. 5.2; VI.2; VIII.3; XIII.9). ერთი ეპისტოლის თანახმად, ის ბერებთან გზავნის თავის სულიერ შვილს (VI.2)². „მივაგლინეთქუენდა შვილი ჩემი, ვიდრემდის მომმადლოს ღმერთმან მეცა მოსლვად თქუენდა ჯორცითა, რადთა უმეტეჴსი წარმატებულებაჲ მიგცენ თქუენ, რავდენ-იგი ხართ, რამეთუ ოდეს შეემთხუინიან მამანი შვილთა, მათ შორის არნ ღმერთი ორკერძოვე. მშუიღობით იყვენით და განძლიერდით!“- ასე მიმართავს ნეტარი ამონა სულიერ შვილებს მეექვსე ეპისტოლის ძველქართულ თარგმანში.

ის, რომ ამონა ნამდვილად იყო ანტონი დიდის მოწაფე, კარგად ჩანს სულიერი შვილებისადმი მის ერთ-ერთ მიმართვაში: Ὁ γὰρ Ἀντώνιος ἔλεγε ἡμῖν, ὅτι οὐδέ τις ἀπειραστος δυνήσεται εἰσελθεῖν εἰς τὴν βασιλείαν τοῦ Θεοῦ.

გ. ფარაგის მიხედვით, სახელი „ანტონი“ არ იყო საყოველთაოდ გავრცელებული იმ ეპოქაში ისე, როგორც სახელი ამონა. აქედან გამომდინარე, ამ სახელში უცილობლად ანტონი დიდი უნდა მოვიანროთ³. ამასთან, ეს სიტყვები: ἔλεγε ἡμῖν (კოპტურ ენაზე nefw `mmoc nan, ქართ. „ვთქვით ჩვენ“) გ. ფარაგს აფიქრებინებს, რომ ამ დროისთვის ანტონი უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს.

შენიშნულია, რომ აღნიშნული ფრაზა ანტონი დიდთან მიმართებით გვხვდება ბერძნულენოვან აპოფთეგმებშიც: (ε΄.) Ὁ αὐτὸς εἶπεν [Ἀντώνιος] · Οὐδέ τις ἀπειραστος δυνήσεται εἰσελθεῖν εἰς τὴν βασιλείαν τῶν οὐρανῶν. Ἐπαρον γὰρ, φησὶ, τοὺς πειρασμοὺς, καὶ οὐδέ τις σωζόμενος“.

დაასხეს, თუმცა, კვლავ მონასტრული ცხოვრებით ცხოვრობდა, შაბათ-კვირის გარდა, ქალაქში არ მიდიოდა, დანარჩენ დროს მონასტერში ატარებდა. ამონი შეიძლება იყოს აპკუს წინა ან მომდევნო ეპისკოპოსი. იხ. ფარაგი 2012: 182.

1 აბულაძე 1955: 306.

2 Outtier 1985:3-4.

3 ამონა, წერილი IX, 3 სირ. = IV, 3 გრ.

ჩითის თარგმანის თანახმად, სირიული თარგმანი იმავე მნიშვნელობისაა: “ადრე გვეუბნებოდნენ“. ამ ყოველივედან გამომდინარე, მკვლევრები ასკვნიან, რომ ამონა და მისი ეპისტოლეების ადრესატები გარკვეული დროით ცხოვრობდნენ თავად ანტონთან, ეს ფრაზა ასევე გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს ანტონი უკვე გარდაცვლილია¹.

ამონას ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები ჩვენ მიერ მოხმობილ დანარჩენ თარგმანებთან ერთად ერთობ საყურადღებოა საერთო სურათის შესაქმნელად. ის, რომ იგი წერილობით მიმართავს სულიერ შვილებს, მიანიშნებს იმაზე, რომ ეპისტოლეთა შექმნის დროს მათთან არ ცხოვრობს: „ოდეს მოვიდე უსრულწასადრე, გითხრა თქვენ სულისა მისგან ცეცხლისა და ვითარ-იგი ღირს მისი მოგება და გაუწყო თქვენ ყოველივე იგი მისი სიმდიდრე, რომლისათვის ვერ ძალ-მიც აწ ქარტასა რწმუნებად“. აღნიშნული სიტყვებიდან გამომდინარე, ეს განშორება დროებითია და მოძღვარი ჰპირდება მათ, უკან დაბრუნებისას კიდევ უფრო მეტად განსწავლის ბერებს.

ამონას ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში იკვეთება მოძღვრის მამობრივი დამოკიდებულება სულიერი შვილებისადმი, ასევე ადრესატთა სულიერი მდგომარეობა. ის მათ უწოდებს აღთქმის შვილებს: „საყუარელნო უფლისა მიერ, რომელთა გყუარობს სული ჩემი, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხართ“. ანდა: „აწ, საყუარელნო, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხართ, ვინამთგან ამას საქმესა მოხუედით, გიყუარს ღმერთი ყოვლითა გულითა თქუენითა, ამის გამო მეცა შეგიყუარენ ყოვლითა გულითა ჩემითა სიწრფოებისა მაგისტუის გულისა თქუენისა“. ის, რომ ამონა ადრესატთა სულიერი მამა და წინამძღვარია, დასტურდება ერთ სირიულ ხელნაწერშიც (Sy XI 5).

ეპისტოლეთა ქართული თარგმანიდან ვიგებთ, რომ ღირსი ამონა ეპისტოლეთა წერისას უკვე გამოცდილი მოძღვარია, რომელმაც კარგად უწყის, რომ სულიწმიდის მაღლი მამინ გადმოვა მოღვაწეზე, როცა მოიძულებს ამ სოფელს და ზურგს აქცევს წარმავალ სიკეთეს. იგი მზრუნველი მამაა და გამუდმებით ლოცულობს სულიერ შვილებზე, წმინდა წერილიდან სათანადო მაგალითების მოხმობით მოძღვრავს მათ. ამგვარი სწავლებისას იგი განსაკუთრებით ხშირად იშველიებს პავლე მოციქულის სწავლებებს, იხსენებს პავლეს დამოკიდებულებას ტიმოთეს მიმართ (შდრ.: II ტიმ. 1,3-5) და მოწაფეებსაც ამგვარი მამაშვილური ურთიერთობისკენ მოუწოდებს. იგი ასევე იხსენებს ბიბლიურ იაკობს და ღვთისადმი მისი მორჩილების მაგალითით განსწავლის ბერთა მორჩილებას.

აქვე შევნიშნათ, რომ ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში ერთ ადგილას დამოწმებულია მეუდაბნოე ცხოვრების მესამი რკვლის, ანტონი დიდის სიტყვები: „ანტონი გუეტყვს, ვითარმედ: „ვერვის კელ-წიფების გამოუცდელსა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“. აღნიშნული ფრაზა პარალელს პოვებს იმ ფრაზასთან, რომელიც ამონას ბერძნულ (Ο γὰρ Ἀντώνιος ἔλεγε ἡμῖν, ὅτι οὐδὲν ἀπειραστος δυσίσεται εἰσελθεῖν εἰς τὴν βῆσιν τῶν Θεῶν) და სირიულ ენებზე არსებულ ეპისტოლეებში ფიქსირდება და რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. აღნიშნული ფრაზა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ ღირსი ამონა და მისი მოწაფეები იცნობდნენ ანტონი დიდს და, შესაძლებელია, მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე მის გვერდით მოსაგრეობდნენ. ამონა აქვე აგრძელებს სულიერ შვილთა დარიგებას და მას მაგალითი უკვე ამ დიდი მამის ეპისტოლიდან მოჰყავს: „და კულად მისწერს ეპისტოლესა: „რომელთა გიხარის, აწ უკუეთუ სამართალ არს, რომელნი-იგი შეწუხებულ იყვენით მრავალფერთა ზედა განსაცდელთა, რადთა გამოცდილება იგი თქუენი სარწმუნებისა მაგის თქუენისაა უპატიოსნწს უფროდს ოქროდსა მის წარწყმედადისა და ვეცხლისა გამოცდილისა იპოოს!“ აღნიშნული ფრაზა, მართალია, ვერ მოიძებნა ანტონი დიდის ეპისტოლეთა ძველ ქართულ თარგმანში, მაგრამ თავისთავად მისი არსებობა კიდევ ერთი საბუთია ღირსი ამონას და მისი მოწაფეების ანტონი დიდთან სიახლოვისა.

¹ Farag 2012:167.

ამონას კიდევ ერთი ბიოგრაფიული შტრიხი იკვეთება მეთერთმეტე ეპისტოლის ქართულ თარგმანში. იგი სულიერ შვილებს ასე მიმართავს: „აჰა ესერა, გაუწყე თქვენ ძალი მის სულისაჲ, ხოლო მნებაჲს, რაჲთა იცოდეთ, რამეთუ ყოველსა შინა წარმემართა მე გინათუ ფარულად, გინა ცხადად მისითა მადლითა და მიინდა ახლოს თუმცა ჩემსა იყვენიოთ და იცოდით, რავდენნი ესე გამოცხადებანი იქმნებინა“. აღნიშნული მონაკვეთი, ერთი მხრივ, მოგვანიშნებს იმის შესახებ, როგორ უზიარებს წმინდა ამონა თავის გამოცდილებას სულიერ შვილებს, ხოლო მეორე მხრივ, როგორ ესწრაფვის მათთან შეხვედრას.

ეპისტოლეების ქართული თარგმანის შინაარსიდან გამომდინარე, უდავოა, რომ უდაბნოში განმარტებულ წმინდა ამონას თან ახლავს უახლოესი მოწაფე, რომელსაც ატანს წერილებს სულიერ შვილებთან; ამასთან, სავარაუდებელია, რომ თავისი არყოფნის დროს ის ტოვებდა რომელიმე ძმათაგანს, რომელიც დროებით მის მოვალეობას შეასრულებდა. ასეთი პიროვნების არსებობის შესახებ საუბარია ერთ სირიულ ეპისტოლეში (სირ. 13.11). დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ წმინდა ამონას ჩვენამდე მოღწეულ ეპისტოლეთა დიდი ნაწილი ასახავს იმ ურთიერთობას, რომელიც მას მუდმივად ჰქონდა თავისი მონასტრის (ან მონასტერთა) მონაზვნებთან განშორების შემდეგ.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, **ამონას პიროვნების გასაცნობად ერთ-ერთი უტყუარი წყარო პალადი ჰელენოპოლისის „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეული თარგმანი**. აღნიშნულ თარგმანში სახელი ამონა რამდენჯერმე ფიგურირებს. ამ თხზულებაში ცალკე თხრობა აქვს დათმობილი ამონა ნიტრიელს, რომლის შესახებაც წმინდა პალადის ნიტრიელმა მამებმა უამბეს (ამბავი 8). ეს ცნობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ, როცა პალადი ნიტრიის მთაზე მივიდა, მას ამონა იქ არ დახვდა. ის ამ დროს ან უკვე გარდაცვლილი იყო, ანდა სხვა ადგილას იყო გადასული სამოღვაწეოდ. ვეცადეთ, რომ აღნიშნული თხრობის მიხედვით, გვეჩვენებინა პირველი ამონას პორტრეტი.

პალადი მოგვითხრობს, რომ ღირსი მამა 22 წლის იყო, როცა მშობლები გარდაეცვალა. იგი ბიძამ აიძულა, დაქორწინებულიყო. ქორწილის შემდეგ ამონამ ქალს ურჩია, რომ ერთ-მანეთისგან განცალკევებულად სიწმინდით ეცხოვრათ და დაეცვათ ქალწულება. მან ცოლს წმინდა წერილიდან ის ადგილი წაუკითხა, სადაც მაცხოვარი ქორწინებისა და ქალწულების შესახებ ესაუბრება მოწაფეებს. მეუღლის თხოვნით, ამონამ თვრამეტი წელი მასთან ერთად სახლში უბიწოდ, ხორციელი კავშირის გარეშე განვლო. ყოველდღე ბოსტანში ფუსფუსებდა, სადამოს, სახლში დაბრუნებული კი მეუღლესთან ერთად ლოცვებს კითხულობდა, ცისკრის საგალობლებს აღავლენდა და დილით ისევ სამუშაოდ მიდიოდა. ასე უბიწოდ გაატარეს მათ 18 წელი. ამ ხნის გასვლის შემდეგ სულიერად გაძლიერებულმა ქალმა თავად შესთავაზა ამონას, წასულიყო სახლიდან და მარტო ეღვაწა. ღირსმა მამამ ღმერთს მადლობა შესწირა და ნიტრიის უმინაგანეს უდაბნოს მიაშურა. პალადის უწყებით, ამ დროს ნიტრიაში მონასტრები ჯერ არ იყო გაშენებული. ნეტარმა ამონამ ორი სენაკი ააშენა, სადაც ოცდაერთი წელი დაჰყო. იგი წელიწადში ორჯერ ნახულობდა მეუღლეს. მოღვაწეობის მწვერვალზე ასულმა და ასკეტურ ცხოვრებაში წარმატებულმა ამონამ 62 წლის ასაკში მიიძინა¹.

აღნიშნული თხრობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი ამონა წიგნიერი ადამიანი ყოფილა, სიღრმისეულად იცნობდა წმინდა წერილს. ამასთან, გარკვეული იყო ღვთისმსახურების წესებში. ჯერ კიდევ სახლში მოსაგრეობისას მან შეადგინა ტიპიკონი, რომელიც ყოველდღიურ ლოცვასა და ცისკრის საგალობლების გალობას გულისხმობდა. ამას ემატებოდა ფიზიკური შრომაც, რომელიც, ეგვიპტური ასკეტიზმის თანახმად, მოღვაწეობის უცილობელი კომპონენტი იყო². ეს ყოველი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჭაბუკი ამონა კარგად იყო

1 მამასახლისი 2010: 36-38.

2 მამასახლისი 2010: 38.

ჯერ კიდევ დაოჯახებამდე გათვითცნობიერებული მონასტრული ცხოვრების წესში. ოჯახის დატოვების შემდეგ კი მის მიერ ნიტრიის მთაზე ორი სენაკის დაარსება მას წარმოაჩენს როგორც გამოცდილ მოძღვარს და ნიტრიაში მონასტრული ცხოვრების დამაარსებელს. ამ სენაკებში, შესაძლებელია, ის მონასტერი მოვიაზროთ, რომელიც ეგვიპტეში „სენაკების“ სახელითაა ცნობილი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ თხრობაში პალადი ახსენებს ათანასე ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრებას“ და იქ აღწერილ ერთ სასწაულს, რომელიც ამონას ეხება. კერძოდ, თუ როგორ შეძლო ნეტარმა მამამ ანგელოზის შეწევნით მდინარე „მგლის“ მეორე ნაპირზე გადასვლა ისე, რომ მის თანმხლებ მოწაფეს არ ეხილა მისი სიშიშვლე. აღნიშნული ცნობა ორმხრივ იქცევს ჩვენს ყურადღებას. პირველი, ამ ცნობის თანახმად, ნეტარი ამონა წარმოგვიდგება, როგორც სულიერი მამა, რომელსაც ჰყავს მოწაფე, სახელად, თეოფანე. მეორეც, იგი იმდენად მნიშვნელოვანი მოღვაწეა, რომ ათანასე დიდი ახსენებს მას „ანტონი დიდის ცხოვრებაში“. ამ აზრს კიდევ უფრო ამტკიცებს აქვე მოცემული ერთი ცნობა, რომელიც ასევე ათანასეს ეკუთვნის და იმეორებს პალადი. კერძოდ, იგი გვიყვება, თუ როგორ იხილა ანტონი დიდმა ამონას სული, რომელიც ანგელოზებს ზეცაში აჰყავდათ¹.

მეორე ამონას შესახებ (+396) მოგვითხრობენ, ასევე, პალადი ჰელენოპოლელი და რუფინუსი. ორივე ისტორიკოსის მიხედვით, ეს მამა მოღვაწეობდა ჩვენ მიერ ხსენებული პირველი ამონას შემდეგ. იგი თავდაპირველად თავის და-ძმასთან ერთად იწყებს ასკეტურ მოსაგროებას ეგვიპტეში, ჯერ ამბა პამბოს, ხოლო შემდეგ ანტონი დიდს დაემოწაფება. ის იყო პისპირის მონასტრის წინამძღვარი. მეცნიერთა დიდი ნაწილი სწორედ მას მიიჩნევს ეპისტოლეთა ავტორად. მათ შორის - ბატლერი, კმოსკო, კლეინა, ბ. უტიე, ასევე, ამონას ეპისტოლეების ძველი ბერძნული ენიდან ინგლისურ ენაზე მთარგმნელი დ. ჩითი და ს. ბროკი, რომელმაც აღნიშნული ეპისტოლეები გამოსცა².

„ლაგსაიკონში“ მოხსენიებულ მეორე ამონას, ისევე, როგორც პირველს, პალადი თხზულებაში ცალკე თავს უთმობს. ნიშანდობლივია, რომ ეს წმინდა მამა გვხვდება, აგრეთვე, დასახელებული თხზულების სხვა ადგილებშიც. კერძოდ, პამბოს შესახებ მოთხრობაში იგი დიოსკორე ეპისკოპოსთან, ევსევისა და ორიგენესთან ერთად ნახსენებია ნეტარი პამბოს მოწაფედ, რომელიც ამავე ნიტრიის მთაზე იყო დამკვიდრებული, სადაც პირველხსენებულმა ამონამ დააარსა სენაკები. ამავე თავში შენიშნულია, რომ როცა პამბო გარდაიცვალა, მის წინ იდგნენ მღვდელი, იკონომოსი ორიგენე თავის ძმასთან, ამონასთან, ერთად. ამავე უწყებით, აქვე იდგა ძმათა კრებული³. მეორე მოთხრობაში კი ნათქვამია, რომ პამბოს მოწაფე ამონა ორ ძმასა და სამ დასთან ერთად მოღვაწეობდა. მათ უდაბნოში ერთმანეთის მოშორებით ორი მონასტერი დააარსეს - მამებისა და დედებისა. ამავე თავში ხაზგასმულია, რომ ამონა მონაზონთა შორის თავისი სულიერებითა და საღვთო სიბრძნით გამოირჩეოდა.

აღნიშნულ თავში გამოკვეთილია ღირსი მამის განსაკუთრებული ხორციელი სიწმინდე და მმარხველობა. ასევე შენიშნულია მისი განსაკუთრებული განსწავლულობა საღვთო სიბრძნეში. პალადის თანახმად, ამონამ ზეპირად იცოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, წაკითხული ჰქონდა ისეთი დიდი მოღვაწეების თხზულებები, როგორებიც იყვნენ: ორიგენე, დიდიმე, პიორი, სტეფანე და სხვანი. დაჯილდოებული იყო წინასწარმეტყველების ნიჭით. აქვე შენიშნულია, რომ უვნებობისათვის, ანუ უმაღლესი სულიერი მდგომარეობისთვის, მასავით არავის მიეღწია.

1 მაკარი ეგვიპტელი ასე არიგებს სულიერ ძმებს: „ვერ ძალ-გიძს გვრგვნოსანყოფად თვნიერ შრომისა“, ნინუა 1982: 118.

2 D. J. Chitty, S. Brock, The letters of Ammonas, by oxford ebook production, 1997. იხ. ბმული: <https://www.amazon.com/Letters-Ammonas-Successor-Fairacres-Publications-ebook/dp/B06XC8NSGT>

3 მამასახლისი 2010: 39-40.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე თავში მოთხრობილია მისი მონათვლისა და უკანასკნელი განსასვენებელი ალაგის შესახებაც. კერძოდ, უწყებულისა, როგორ გაემგზავრა ღირსი მამა მეუდაბნოე მამათა და მთავარეპისკოპოსის თხოვნით, კონსტანტინეპოლში მონასტრისათვის საჭირო სახმრისა და ეკლესიისათვის აუცილებელი სხვა ნივთების მოსატანად. კონსტანტინეპოლისეპარტოზმარუფინუსმამონასსთხოვა, მისსამლოცველოში დარჩენილიყო, რომელიც წმინდანთა განსასვენებლად აეშენებინათ. აქვე მოინათლა იგი ეპისკოპოსის ხელით და რუფინუსისვე თხოვნით, აქვე დარჩა, რათა დახმარებოდა მას სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვაში. მცირე ხნის შემდეგ ღირსი მამა აქვე აღესრულა და მისი საძვალე კურნავდა ციების სენით დაავადებულებს¹.

ნიშანდობლივია, რომ ჰერმიას სომომენე „საეკლესიო ისტორიაში“, კერძოდ, ოცდამესამე თავში, მოგვითხრობს სკიტის მონაზვნების შესახებ. აღნიშნულ თავში ამონა მოხსენიებულია იმავე ევსევისთან და დიოსკორესთან, რომლებიც, ტექსტის მიხედვით, ძმები იყვნენ. ასაკის გამო მათ გრძელელებ უწოდებდნენ. აღნიშნულ თავში ძალზე საყურადღებოა სომომენეს ინფორმაცია ამონას განათლებასთან დაკავშირებით: „ამონი, ფილოსოფიის მწვერვალამდე წარმატა, სიამოვნებას და განცხრომას მამაცურად სძლედა, მეტად ძლიერი ფილოლოგი² გახდა. იგი სწავლობდა ორიგენეს, დიდიმეს და სხვა საეკლესიო მწერლების თხზულებებს“³. ამავე თავში სომომენე ხაზს უსვამს ამონას განსაკუთრებულ სულიერ სიწმიდეს სიყმაწვილიდან აღსასრულამდე, მისი უწყებით, ეს წმინდა მამა ცეცხლზე მომზადებულს არაფერს ჭამდა. იგივე ცნობაა დაცული ერთ ქართულ პატერიკში.

მას დაუპირეს ეპისკოპოსობა, მაგრამ ყური მოიკვეთა და ამიტომ ეწოდა პაროტესი (ცალყურა). ამავე უწყებით, მასთან დასახლდა ევაგრე პონტოელი, სახელოვანი კაცი აზროვნებითა და მეტყველებით. აღნიშნული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ მეორე ამონა უფრო მეტად უნდა ვიგუღვოთ ეპისტოლეთა ავტორად, ვიდრე პირველი, გამომდინარე თავისი ღრმა განსწავლულობიდან, იმ პერიოდის საეკლესიო კორიფეებთან სიახლოვიდან და ცხოვრების წესიდან, ამასთან, ის, რომ სომომენესთანაც ხაზგასმულია მისი ეპისკოპოსად ხელდასხმის მცდელობა, გვაგარაუდებინებს, რომ მოგვიანებით, სავსებით შესაძლებელია, ეკურთხა მღვდელმთავრად. აღნიშნული ცნობა ეხმიანება ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულ ორ ხელნაწერში წარმოდგენილ ცნობას იმის თაობაზე, რომ ამონა ეპისკოპოსი არის ავტორი ეპისტოლეებისა.

რიგით მეორე ამონა მოხსენიებულია, ასევე, მხნედ მოღვაწე სტეფანეს ამბავში. პალადის შენიშვნით, წმინდა სტეფანე ანტონი დიდის თანამედროვე იყო და მას კარგად იცნობდა. იგი მარმარიკოსა და მარიოტს შორის მოღვაწეობდა და პალადიმ ადგილის სიშორის გამო ვერ შეძლო მისი მონახულება, თუმცა იგი ამ დროს ცოცხალი იყო. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ სტეფანეს შეხვდნენ და მასთან პირისპირ ისაუბრეს წმინდა ამონამ და ევაგრემ (იქვე, 89). აქვე ვეცნობით, თუ რა მოუთხრეს აღნიშნულმა მამებმა პალადის სტეფანეს დაავადების შესახებ.

ამავე ამონას ახსენებს პალადი ნეტარი მელანიას ამბავშიც. კერძოდ, ნათქვამია, თუ როგორ იხილა ნიტრიის მთაზე მისულმა წმინდა დედამ იქ მოღვაწე მამები. როგორ დაჰყო იქ ერთი წელი და გარკვეული ხნის შემდეგ მეფე ავგუსტუსმა წმინდა მამები - ისიდორე, პამბო, ამონი, პაფნუტი და სხვები (სულ 26 კაცი, მათ შორის იყვნენ ეპისკოპოსები და 12 მღვდელი) - როგორ გადაასახლა პალესტინიდან ნეოკესარიაში. მელანიაც მათთან ერთად გაემგზავრა და ემსახურებოდა წმინდა მამებს თავისი განძით. პალადის თანახმად, პიმენიმ,

1 იქვე, გვ. 42-43.

2 მთარგმნელის შენიშვნით, ლათ. studiosus. ამიტომ აქ ბერძნული „ფილოლოგი“ შეიძლება ითარგმნოს როგორც - განსწავლული. იხ. ჯაში 2017: 536.

3 იქვე, გვ. 357-358.

პაფნოტიმ, ისიდორემ და ამონამ უამბეს მას, როგორ შეძლო ნეტარმა დედამ, რომ მათთვის საიდუმლოდ მიეტანა საზრდო. აღნიშნული ცნობა შესაძლებელია, გულისხმობდეს იმ დევნა-შევიწროებას, რომელსაც იმ დროის მეუღაბნო მამები განიცდიდნენ არიანელთა მხრიდან. სავსებით შესაძლებელია, რომ ამონასი და დანარჩენი ძმების გადასახლების მიზეზი სწორედ ეს დევნა იყო. როგორც ჩანს, ამონა მონაზონი ჩართული იყო იმ ეპოქის სხვა თანამოაზრეებთან ერთად მწვალებელთა წინააღმდეგ წარმართულ კამპანიაში და იცავდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას¹.

ის ფაქტი, რომ ამონა მონაზონი სხვა თანამოღვაწეებთან ერთად არაერთხელ გამხდარა დევნის მსხვერპლი, ამის შესახებ მოთხრობილია „იოანე ოქროპირის ცხოვრებაში“. ნოემბრისთვის ამ მეტაფრასული ტექსტის თანახმად, იგი, ისევე, როგორც სომომენეს საეკლესიო ისტორიაში, დასახელებულია თავის ხორციელ ძმებთან: დიოსკორესთან, ევსებისთან და ეფთვიმესთან ერთად. აღნიშნულ თხრობაში ისინი, წინა თხრობის შემსგავსებულად, მეტსახელად გრძელებად არიან მოხსენიებულნი. ამავე თავში, ისევე, როგორც „ლავსაიკონსა“ და სომომენთან, ლაპარაკია მათი სიახლოვის შესახებ ორიგენესთან. „წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ავტორის უწყებით, მათ დევნიდა პატრიარქი თეოფილე, რომელიც ვერცხლის-მოყვარეობის ვნებამ შეიპყრო და ორიგენეს მწვალებლობის² მომიზეზებით დაიწყო შევიწროება წმინდა ბერებისა, რომლებიც განერიდნენ მას. აღნიშნული ძეგლი იმითაა საყურადღებო, რომ ნაჩვენებია გზა, რომელიც ამონა მონაზონმა თავის ძმებთან ერთად ამ დევნის დროს გაიარა. თეოფილესგან ლტოლვილებმა ჯერ იერუსალიმის პატრიარქს, სილვანოსს, მიმართეს დასახმარელად, მაგრამ ამაოდ. საბოლოოდ მათ ნუგეში წმინდა იოანე ოქროპირთან პოვეს, რომელიც იმ დროს კონსტანტინეპოლის პატრიარქი იყო³. ამ თხრობაში ასევე იკვეთება ამონასი და მისი ძმების სიახლოვე ნეტარ დედა ოლიმპიადასთან, რომელიც წმინდა იოანე ოქროპირის სულიერი შვილი იყო. ავტორის უწყებით, მან „კეთილად ისტუმრნა“ დევნილი ბერები და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინა⁴.

აღნიშნულ უწყებაში, ისევე, როგორც წმინდა სტეფანეს ამბავში ნახსენები ამონა, კონტექსტიდან გამომდინარე, სწორედ ის მეორე ამონა უნდა იყოს, რომელსაც მკვლევართა დიდი ნაწილი ეპისტოლეთა ავტორად მიიჩნევს. ჩვენი აზრით, ამგვარი მოსაზრების ჭეშმარიტებაზე მეტყველებს ის ცნობები, რომლებიც მოცემულ თავებში მეორე ამონას ღირსებას ეხება: მისი ღრმადგანსწავლულობა წმინდა წერილში, უვნებლობა, სიახლოვე იმ პერიოდის დიდ ასკეტ მამებთან, ეპისკოპოსად გამორჩევის მცდელობა, რუფინუსთან სიახლოვე და სხვ.

ეპისტოლეთა ავტორის ბიოგრაფიის უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ცნობებია ასევე გაბნეული პატერიკებში. თუმცა, გავიმეორებთ მკვლევართა შენიშვნას, რომ პატერიკები ზეპირ გადმოცემებზეა დაფუძნებული და გამოირჩევა ნაკლები სანდოობით. Apophthegmata Patrum-ს აქვს შედარებით რთული წერილობითი ტრადიცია. თავდაპირველად ზეპირად კოპტურ ენაზე შექმნილი ისტორიები მოგვიანებით ბერძნულ ენაზე დაიწერა, საი-

1 იქვე, გვ. 358.

2 მოძღვრება, რომლის ბურჯადაც ითვლება მღვდელი ორიგენე. ორიგენიზმის არსებით ნიშანს შეადგენს: 1. სამების წევრთა ურთიერთდაქვემდებარებულობა, ანუ სუბორდინიზმი, რაც, ცხადია, არღვევს ერთარსება-სამების დოგმატს; აღიარებს მასში იერარქიას და თვლის, რომ მამა აღემატება ძეს, ძე - სულს; 2. სულების წინასწარ არსებობის და გარდასხეულების, ანუ რეინკარნაციის თეორია. მის თანახმად (როგორც აღმოსავლურ რელიგიებშია), სული არსებობს ხორცის უწინარეს და სახლდება ერთი სხეულიდან მეორეში: განიცდის მეტემფსიქოზს (აქ საგრძნობია პლატონის გავლენა); 3. რწმენა ეშმაკის გამოსწორების, ჯოჯოხეთის მოსპობის და საყოველთაო ცხოვნების შესახებ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>

3 ახოზაძე 2017: 437-439.

4 იქვე, გვ. 457.

დანაც ისინი თარგმნეს სხვადასხვა ენებზე. ამდენად, ისინი თავდაპირველად კოპტურ გარემოში ჩამოყალიბდა¹.

საკმაოდ ნათელია, რომ აპოთეგმები წარმოიშვა ჯერ კიდევ პრექრისტიანულ ეგვიპტეში. ესაა წერილობით ჩანაწერი „ბრძნული გამონათქვამების“ შესახებ, სადაც ჩამოყალიბებულია სწავლებანი სოციალური ან სამოქალაქო ქცევის შესახებ. ესაა შუა სამეფოს ყველაზე ცნობილი ტექსტები (დაახლოებით 2000-1750 წ.წ.), შესრულებული პაპირუსზე, რომელიც დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში). ესაა ძველ სამეფოში, მე-4 და მე-5 დინასტიის (Kagemni and Ptahhotep) ეპოქის დროის სხარტი გამონათქვამები, რომლის მიზანი ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა იყო. ამგვარი ტექსტების შექმნის აუცილებლობა განსაკუთრებით ძველი სამეფოს დაშლის შემდეგ, აჯანყებების მომდევნო პერიოდში, ახალ სამეფოში შეიქმნა. მისი სტილი დახვეწილი, პოლიტიკური და ამავე დროს, დამრიგებლობითი ხასიათსაა. ესაა ე.წ. სასწავლო ტექსტები (sb3yt in Anc. Eg. და sbw in Coptic), სადაც ავტორი მამობრივი ტონით ურჩევს ახალგაზრდებს, თუ როგორ უნდა დაემორჩილონ მმართველის „წესებს“.

დასავლეთ კლასიკურ სამყაროში, ალბათ, არაქრისტიანული აპოთეგმების ყველაზე ცნობილი კოლექციებია პლუტარქეს აპოთეგმები, Apophthegmata Laconica. ესაა მოკლე დისკუსია პედაგოგსა და მოსწავლეებს შორის, რომლებიც შემდეგ გამოიყენეს ქრისტიანულ სინამდვილეში. მათში შექმნილია ახალგაზრდა ადრესატში სწავლის შედეგომისა და მიღების უნარი და სხვ.

პლუტარქეს აპოთეგმების გავლენა შეიმჩნევა ღირსი ამონა ნიტრიელის ეპისტოლეებზეც, სადაც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ ურჩევს ამბა რჩევის სათხოვნელად მისულ შვილს, განმარტოების, საკუთარი თავის შემეცნების გზით როგორ დაიცავს თავს ცოდვისაგან და როგორ შეძლებს ამ გზით ღვთის სამსჯავროს წინაშე წადგომას.²

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ აპოთეგმების კოლექციებში, რომლებიც სკიტიდან მოდის, რაოდენობრივად ცოტა დოკუმენტია დაცული პირველი ამონას შესახებ. ამ კოლექციებში წარმოდგენილ ამონას შესახებ ამბავთა უმრავლესობა სწორედ მეორე ამონას ეხება. ამასთან, ეს მასალა დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს იმ დედააზრთან, რომელიც ეპისტოლეებშია დაცული. ეს ყოველივე კი აძლიერებს მოსაზრებას, რომ ამ სახელის მქონეთაგან მეორე ამონა უნდა იყოს ავტორი ეპისტოლეებისა.

ისევე, როგორც ეპისტოლეების შინაარსს, ბ. უტიე ამონას ბიოგრაფიის შესავსებად იყენებს აპოთეგმებსაც და ასკვნის, რომ ანტონი დიდის მოწაფე ამონა თავდაპირველად მოსაგრეობდა სკიტში, ეპისკოპოსად დანიშნამდე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმშვიდითა და სიტკბოებით³. ნიშანდობლივია, რომ ქართული პატერიკების თეოფილე ხუცესმონაზვნისეულ თარგმანში ერთი თავი დათმობილი აქვს ნეტარ ზოსიმეს. აღნიშნულ თხრობაში ეს ნეტარი მამა საუბრობს უფლისკენ სავალ გზაზე. იმისათვის, რომ მან სათქმელს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, იგი იხსენებს ნეტარ ამონას და მის სიტყვებს: „რად უადვილეს არს სმენასა კეთილისა მის და საქმით გამოცდილისა მოძღუარისა მამისა ამმონაისა, რომელი იტყვს: „დაიცევ თავი შენი მტკიცედ, უკუეთუ ვინ შეგაწუხოს შენ რასაცა ზედა საქმესა, სდუმდე სრულიად და ყოლადვე არაა სთქუა, ვიდრემდის ლოცვისა მიერ მოუკლებელისა დამშვდდეს გული შენი და გონება და ესრეთლა ევედრე მმასა“⁴.

აღნიშნული თხრობის მიხედვით, ამონა წარმოგვიდგება, ერთი მხრივ, გამოცდილ მოძღვრად, რომელსაც იმოწმებენ მამები, მეორე მხრივ კი აშკარაა, რომ ის ცნობილი იყო ბერ-მონა-

1 www.academia.edu PDF by Antony Alcock, Apophthegmata of Amon in Syriac, pg. 1-2

2 ibid, pg. 2

3 Outtier 1985: 3-4.

4 დვალი, ჩიტუნაშვილი 2014: 127.

ზონთა შორის თავისი სიბრძნით. ამასთან, ნეტარი ზოსიმეს მიერ მოხმობილი ამონას სიტყვები ძალიან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ამავე მამის ეპისტოლეთა გარკვეულ მონაკვეთებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ პატერიკებში ღირსი ამონა ხშირად პირველ პირში საუბრობს საკუთარი თავის შესახებ (ქართ. აპოფთეგმა 3)¹. ის მკითხველს მოუთხოვს, თუ როგორ შეუდგა ასკეტურ გზას და ამ გზაზე როგორ წარემატა. აპოფთეგმების მიხედვით, მან თოთხმეტი წელი სკიტში გაატარა (ბერძნ. 3). ქართული პატერიკის ცნობით - 12 წელი (ქართ. 3)². სწორედ სკიტში მიდიოდა მასთან ვინმე ბერი კელიიდან (ბერძნ. 4). ღირს ამონას პირადად იცნობდა ანტონი დიდი, რომელმაც წინასწარ აუწყა, რომ მასში აღორძინდებოდა ღვთის შიში (ბერძნ. 7-8). დიდი მეუდაბნოე მამის ეს წინასწარმეტყველება მეორდება ქართულ ანბანურ-ანონიმურ პატერიკშიც³. პატერიკებში ისიც შენიშნულია, რომ ამონა რაღაც დროის მანძილზე ცხოვრობდა ანტონი დიდთან და იყო მისი მოწაფე და თანამოსენაკე (ბერძნ. 12). თავის მხრივ, აბბა ამონასთან აღიზარდა ერთ-ერთი ცნობილი ძველი მოსაგრე აბბა პიმენი, რომელიც ეგვიპტელ მონაზონთა უფრო ახალ თაობას ეკუთვნის და თითქმის V საუკუნის შუა წლებამდე იცოცხლა (ბერძნ. 13-14; სირ. 16-17). ამონას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კიდევ ერთ სახელგანთქმულ მოსაგრესთან - აბბა პაფნუტთან, ღირსი მაკარი ეგვიპტელის მოწაფესთან (სირ. 21).

აპოფთეგმების მიხედვით ირკვევა, რომ ღირსი ამონა დაახლოებული იყო იმ პერიოდის დიდ ასკეტ მამებთან და ცნობილი იყო თავისი სულიერი შეგონებებით, რომლითაც იგი მოძღვრავდა არაერთ მოღვაწეს (სირ. 22-24). ამავე პატერიკების თანახმად, ამონა ეპისკოპოსად გამოარჩიეს (ბერძ. 8, 10).

ყველა ამ სულიერ სიკეთესთან ერთად ერთ ბერძნულ პატერიკში შენიშნულია, რომ ის იყო სალოსიც, ღვთისთვის სულელი (ἐμπαροισίει, σάλας), რათა ამ გზით დაეფარა ის დიდი ნიჭი, რაც მას უფალმა ასკეტური ღვაწლის გამო მიმადლა (ბერძ. 9). იგივე ცნობაა დაცული ქართულ ანბანურ-ანონიმურ პატერიკის ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში⁴. აღნიშნული უწყება გვხვდება თეოფილე ხუცესმონაზონთაც (თ. ივ. 4.1.). ეს ცნობები უფრო მეტად ამტკიცებენ იმ ბიოგრაფიულ შტრიხებს, რომლებიც ამონას ეპისტოლეებში გაკრთება. უპირველესად კი ესაა სიახლოვე მეუდაბნოე ცხოვრების მესაძირკვლესთან. ქართულ ანბანურ-ანონიმურ პატერიკებში დაცული ცნობები, კერძოდ, მათში მოთხრობილი ორი ამბავი მის შესახებ კიდევ უფრო უფრო მეტად გამოკვეთენ მის ვინაობას.

აღნიშნულ თხრობებში იკვეთება მისი დამოკიდებულება ასკეტური ცხოვრების იმ ფორმის მიმართ, როგორიცაა მარტომყოფობა. აქვე შევნიშნავთ, რომ **ამონას ეპისტოლეების მთავარი აზრი ანაქორეტიზმის უპირატესობის ჩვენებაა**. ასე მაგალითად, რიგით მეორე ქართულ აპოფთეგმაში იგი ეუბნება ერთ ბერს, სენაკებში მოღვაწეს, რომ მოღვაწეობის სამი გზიდან (უდაბნოში გასვლა, უცხო ადგილზე სამოღვაწეოდ წასვლა და სენაკში დაყუდება) უპირატესია დაყუდება: „უფროდსლა დაეყუდე სენაკსა შინა შენსა და ჭამდი მცირედ-მცირედ და დღითი-დღე გაქუნდინ სიტყუად იგი მეზუერისად მის გულსა შენსა და შემძლებელ იყო ცხორებად“⁵. ამონას ეპისტოლეებში სწორედ სენაკში დაყუდების უპირატესობაზე მრავალგზის აქცენტი გაკეთებული. მაგ., „ვერ ძალ-უც სულსა მას, რომელი რჩულსა მას გარდასრულ არს, ვითარმცა ადვილად იცნა ღმერთი, უკუეთუ არა განაშოროს თავი თვისი კაცთაგან და ყოვლისა ამისგან ზრახვისა“.

ამავე ქართულენოვანი პატერიკის მომდევნო თხრობაში ხაზგასმულია, რომ ის იყო ეპისკოპოსი. კერძოდ, იგი ამ პატივითაა ხსენებული მეხუთე ამბავში. სადაც საუბარია იმის

1 დვალი 1974: 26.

2 იქვე, გვ. 26.

3 იქვე, გვ. 27.

4 იქვე, გვ. 28.

5 იქვე, გვ. 26.

შესახებ, თუ როგორ მივიდა იგი ერთ ძმასთან, რომელიც მრუმობის ვნებაში იყო მხილებული და როგორ დაფარა ამ ძმასთან მყოფი სიძვის დედაკაცი იმ ადგილას მყოფი ხალხისგან, რომელთაც ქალის დასჯა უნდოდათ. აღნიშნული პატერიკის ბოლოს წმინდა ამონა ასე ურჩევს ამ ძმას: ეკრძაღე თავსა შენსა, ძმაო“ (იქვე, გვ. 10)¹.

აღნიშნული ფრაზა ხშირად გვხვდება ამონას ეპისტოლეთა ქართულ თარგმანებში, კერძოდ, მეთხუთმეტე ეპისტოლე, რომელიც ცალკეულ შეგონებათა ერთობლიობად შეიძლება მოვიაროთ, თითოეულ შეგონებას სწორედ ამ ფრაზით იწყებს. მაგ., „ეკრძაღე თავსა შენსა ძლიერად, ვითარცა დიდისაგან სიკუდილისა და სულისა წარსაწყმედელისა და სატანჯველისა მისგან საუკუნოდსა“.

ჩვენ მიერ მოხმობილი მასალიდან გამომდინარე, დავინახეთ, რომ ქართულენოვან პატერიკებში დაცული თითქმის ყველა თხრობა ეხება მეორე ამონას. ამასთან, ქართულ მასალაშიც, კერძოდ, ზემოთ განხილულ ქართულ პატერიკშიც ხაზგასმულია მისი ეპისკოპოსობა და ცოდვაში ჩავარდნილი ძმის შეგონებისას აქცენტი გაკეთებულია ფრაზაზე: „ეკრძაღე თავსა შენსა“, რომელიც ემთხვევა ამონას მეთხუთმეტე ეპისტოლის ფრაზებს. ეს ყველაფერი ერთხელ კიდევ გვაზარაუდებინებს, რომ სწორედ ანტონი დიდის მოწაფე ამონა უნდა ვიგულვოთ ეპისტოლეთა ავტორად.

ნიშანდობლივია, რომ ამავე პატერიკის მესამე თხრობაში ნავით მიმავალი ამონა მთელი გზა ბაიას ტოტებისგან ჭილოფს ქსოვს, შემდეგ არღვევს და ხელახლა შლის. ძმათა შეკითხვაზე, თუ რატომ იქცევა ასე, ის მათ პასუხობს, რომ „ესე სახე არს, დაწყნარებულად ვიდოდეთ გზასა ღმრთისასა“ (გვ. 9).

მეოთხე თხრობაში კი კითხვაზე, თუ რას გულისხმობს „იწრო და შესაჭირველი გზა“, იგი ასე განმარტავს ნათქვამს: „ესე არს იძულებაჲ გულისსიტყუათა თვსთა და განშორებაჲ ღმრთისათვს ნებისა თვსისაჲ, და ესე არს, რომელი-იგი თქუა: აჰა ესერა, ჩუენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდგეთ შენ“ (გვ. 9; შდრ.: მათ. 19. 27). საკუთარი ნების მოკვეთისა და ღვთის ნების დამორჩილებისაკენ მოუხმობს ღირსი ამონა მონაზონი სულიერ შვილებს თითქმის ყველა ეპისტოლეში.

ქართულენოვან მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ამონას წერილების დედააზრი ემთხვევა იმ პრაქტიკულ რჩევებს, რომლებსაც წმ. მამა აღნიშნულ პატერიკებში თავის გვერდით მყოფ ძმებს სთავაზობს. აქვე გავიმეორებთ, რომ მისი ეპისკოპოსად მოხსენიებაც იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ მეორე ამონა უნდა იყოს ეპისტოლეთა ავტორი.

„ეგვიპტელ მონაზონთა ისტორიის“ ბერძნულ ტექსტში მოცემულია თხრობა აბბა პიტერიონის შესახებ, რომელიც ღირსი ანტონის ერთ-ერთი მოწაფე იყო² და „მესამე (მოღვაწე), ვინც იმემკვიდრა ეს ადგილი“ – τριτος τον τονον εκεινον διαδεξαμενος. აღნიშნული ადგილი გულისხმობს პისპირის თემს, რომელიც ღირსმა ანტონი დიდმა დააარსა. მას შემდეგ, რაც იგი გახდა იმემკვიდრე ანტონის და „მისი მოწაფე ამონასი“, როგორც შემდგომ არის ნათქვამი, მან (პიტერიონმა) მათგან იმემკვიდრა ის უნარებიც, რითაც ეს წმინდა მამები იყვნენ დაჯილდოებულნი: τὴν κληρονομίαν τῶν χαρισμάτων ἡμετέρων³. სიდლოროვის თანახმად, სავსებით შესაძლებელია, წმინდა ამონა გულისხმობდეს მამა პიკირიონს ერთ-ერთი ეპისტოლის იმ ადგილას, სადაც საუბრობს კეთილი მამისა და საუკეთესო წინამძღვრის შესახებ. რამდენა-

1 იქვე, გვ. 28.

2 მამა პიტერიონს მოიხსენიებს ანტონი დიდის მოწაფედ „მამათა სწავლანი და თხრობანი“. იხ. დვალი, ჩიტუნაშვილი 2014:107-108.

3 Historia Monachorum in Aegypto 1971: 111. რუფინუსის უწყებით, „ბევრი მონაზონი ცხოვრობდა გამოქვაბულებში და ჰყავდათ აბა, სახელად პიტერიონი. ეს იყო ნეტარი ანტონის მოწაფე და ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა წმინდა ამონთან. როდესაც ამონი გარდაიცვალა, იგი დასახლდა ამ მთაზე“. ციტატა მოხმობილია საიტიდან: <https://azbyka.ru>

დაც „ეგვიპტელ მონაზონთა ისტორია“ დაიწერა IV საუკუნის დასასრულს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის წმინდა ამონა უკვე გარდაცვლილია¹.

ამონას ავტორობის დასადგენად სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ერთი წერილი, რომელიც ანტონი დიდისადმი მიკუთვნებულ ნაშრომთა შორის მოიხსენიება². კერძოდ, ესაა მორის ჯერარდის მიერ დასახელებული პაპირუსი, სადაც ნათლად ჩანს ანტონი, ხოლო ადრესატის მხოლოდ ორი ასო იკვეთება: ა და მ. ბელის ვარაუდით, წერილის მიმღები ამონაა. აღნიშნული წერილის თანახმად, (ფრანგული თარგმანია) ავტორი ადრესატს შვილს უწოდებს და მადლობას სწირავს უფალს მისი შეუდარებელი ღვთისმოსაობის გამო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოძღვრისგან შორსაა, ყოველთვის ახსოვს იგი. ბელის აზრით, სახელი ანტონი არ იყო გავრცელებული ეგვიპტეში, ამ ასოებში ამონა უნდა ამოვიკითხოთ, რომლითაც იწყება წერილი. მასში უნდა მოვიაზროთ ანტონის მეგობარი და თანამედროვე ამონა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანტონიმ წერა-კითხვა არ იცოდა. მას მიაჩნია, რომ წერილი კოპტური ორიგინალის ერთგული ბერძნული თარგმანია და დაწერილია ანტონი დიდის მიერ. აღნიშნული წერილი შეიცავს ქრისტიანული სტილის დამახასიათებელ ნიშნებს. წმინდა პავლეს ეპისტოლეებს და ბიბლიურ ისტორიებს. სამწუხაროდ, მკვლევრებმა ყურადღება გაამახვილეს მხოლოდ ავტორის ვინაობაზე და მიიღეს ბელის ჰიპოთეზა, რომ მიმღებად ამონა უნდა წავიკითხოთ. მაგრამ აღნიშნული წაკითხვა ეჭვს ბადებს და ნაკლებ სარწმუნოა.

გ. ფარაგის აზრით, პაპირუსის წარმოშობა უცნობია. არ ვიცით, წარმოიშვა თუ არა ის სამონასტრო გარემოში. ყველა წყაროში - მონასტრული ცხოვრების ისტორია, ლავსაიკონი, აპოფთეგმები - და ანტონი დიდის ცხოვრებაში ხსენებული ანტონი არის ანტონი დიდი. ეს სახელი იშვიათია ამ პერიოდის ეგვიპტეში. ამიტომ ამ წერილის ავტორად ის უნდა მივიჩნიოთ. იფსიცკა და გონისიც ადასტურებენ ამ სახელის არსებობას პაპირუსებში. ესაა საეკლესიო ხასიათის წერილი სამონასტრო გარემოდან და შეესაბამება ანტონის სტილს. განსაკუთრებით მსგავსება შეიმჩნევა ორივეგან პავლეს ეპისტოლეთა გავლენაში. რაც შეეხება ადრესატს, ის არ იკითხება წერილში³.

წარმოდგენილ წყაროთა მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მკვლევრები ერთსულოვნად ასკვნიან, რომ ამონას სახელით ცნობილი ნაშრომების ავტორად უნდა მივიჩნიოთ „მეორე ამონა“, ესე იგი მოწაფე ღირსი ანტონი დიდისა⁴.

დაბოლოს, სამეცნიერო ლიტერატურაში ჰიპოთეზების სახით ასეა წარმოდგენილი ამონას ბიოგრაფია: სავარაუდოდ, იგი დაიბადა III საუკუნის დასასრულსა და IV საუკუნის დასაწყისში. დაახლოებით IV საუკუნის 20-იან წლებში ჭაბუკი ამონა ბერად შედგა. არ არის გამორიცხული, რომ წმინდანის მონაზვნური გზა დაიწყო ნიტრიაში ღირსი ამონა ნიტრიელის (უფროსის - ქ.მ.) ხელმძღვანელობით, რომელმაც დაახ. 315 წელს დააარსა იქ სამონაზვნო დასახლება. სავარაუდებელია, რომ ახალგაზრდობაში წმინდა ამონა რომელიმე სხვა ბერთან იზრდებოდა. თუკი მისი სამონაზვნო გზა ნიტრიის უდაბნოში იწყება, სარწმუნოა, რომ შემდეგ წავიდა კელიაში, იქიდან კი ხანგრძლივი დროით გადასახლდა სკიტში. მკვლევართა აზრით, ასეთ შემთხვევაში წმინდა ამონა აქ უნდა მისულიყო ღირსი მაკარი ეგვიპტელის თანადროულად, რომელიც სკიტში დასახლდა დაახ. 330 წელს⁵. ამით, შესაძლოა, ნაწილობრივ, აიხსნება ის ფაქტი, რომ ამონას ერთი ეპისტოლე ხელნაწერ ტრადიციაში მოხვდა ღირსი მაკარის

1 https://azbyka.ru/otechnik/Aleksej_Sidorov/svjatootechneskoe-nasledie-i-tserkovnye-drevnosti-tom-4/1

2 Farag 2012: 185.

3 Farag 2012: 189.

4 ფ. ნოსა და ბ.უტიეს გარდა, ამ ვარაუდს გამოხატავენ ისეთი მკვლევრები, როგორცაა: Kleina F. Op. cit. S. 320–326; Chitty D. J. The Desert a City. P. 38; pyc. nep.: c. 73; Quasten J. Patrology. Vol. III. P. 153–154.

5 Deseille P. L'Évangile au désert. Des premiers moines à saint Bemard. Paris, 1965. P. 23–26.

„საუბრების“ სახით¹. მკვლევრები შენიშნავენ, რომ ერთ არაბულ აპოფთეგმაში კიდევ ერთი თვალსაჩინო მსგავსება იკვეთება ამონასა და მაკარი ეგვიპტელს შორის. კერძოდ, ერთ პატერიკში ანტონი დიდი ამონას აჩვენებს ქვას და ეუბნება, შეურაცხყოფს იგი. როცა ამონა მის სურვილს აღასრულებს, ანტონი ეკითხება, თუ რა უთხრა ქვამ. არაფერი, - პასუხობს ამონა. მსგავსი ამბავი გვხვდება მაკარი დიდთან. იგი მასთან მისულ ძმას ეუბნება, წავიდეს სასაფლაოზე და აგინოს მკვდრებს, ესროლოს მათ ქვები. ისინი ხომ ძმას ვერაფერს უპასუხებენ! მეორე დღეს მოძღვრის დავალებით, ძმა მათ ქვას შეასხამს, მიცვალებულები კი კვლავ დუმილით შეხვდებიან. ამ ამბის შემდეგ მაკარი ურჩევს მასთან მისულს, რომ თუ გადარჩენა უნდა, ისიც მკვდრებივით უნდა მოიქცეს შეურაცხყოფისა თუ შექების ჟამს. ტრადიციულად, ეს ამბავი მიეკუთვნება მაკარი დიდს. ამრიგად, გაურკვეველია, თუ რატომ მიაკუთვნეს აღნიშნული თხრობა ანტონი დიდსა და ამონას. ანალოგიური თხრობა გვხვდება ქართულ პატერიკებშიც. ოღონდ აქ ანტონი დიდი მიმართავს მაკარის, როგორც ეს მაკარის შესახებ აპოფთეგმებშია ტრადიციულად გადმოცემული².

რამდენადაც უდიდესი სკიტელი მოღვაწეები (ღირსი მაკარი, აბბა პამპო, აბბა პიმენი და სხვ.) არასოდეს წყვეტდნენ ურთიერთობას ანტონი დიდთან, სავარაუდოდ, წმინდა ამონაც ხანდახან ეწვეოდა ხოლმე „მონაზვნობის მამას“, რომ მისგან სულიერი დარიგებანი მიეღო. როგორც ჩანს, ერთი ასეთი სტუმრობისას მოძღვრის კურთხევით, მასთან პისპირში დარჩა. ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც წმინდა ამონა უკვე სულიერადაც და ფიზიკურადაც გამოცდილი მოღვაწე იყო (დაახლოებით, IV საუკუნის 40-იან წლები). ღირსმა ანტონიმ, უდავოდ, დროებით წაიყვანა თავისთან წმინდა ამონა „შინაგან მთაზე“, სადაც იგი, ჩვეულებრივ, განმარტოებით მოსაგრეობდა, მოხუცებულობის ჟამს იქ მას ერთი ან ორი თანამოღვაწე ახლდა. ანტონი დიდმა კარგად შეაფასა მოწაფის სულიერი შესაძლებლობანი და გამოცდილება, ამიტომაც პისპირის წინამძღვრად დაადგინა თავისი არყოფნის ჟამს. ღირსი მამის გარდაცვალების შემდეგ წმინდა ამონა გახდა აქაური სამონაზვნო დასახლების სულიერი მწყემსი.

ფ. ნო გამოთქვამს სინამდვილისგან არცთუ დაშორებულ ვარაუდს, რომ წმინდა ათანასე, როცა რამდენიმე წელი უდაბნოში იმალებოდა არიანელთა დევნისას³, შეხვდა წმინდა ამონას და ამ გამოცდილ მოღვაწეს ალექსანდრიაში დაბრუნებისას ხელი დაასხა ეპისკოპოსად. IV საუკუნის 60-იან წლებში უკვე მღვდელმთავარი წმინდა ამონა, ისევე, როგორც სხვა მართლმადიდებელი სამღვდელონი, მონაზვნები და საერონი, რომელნიც ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოს იცავდნენ, ახალი დევნის მსხვერპლი გახდა არიანელთა მხრიდან, რომელიც ეგვიპტეში 373 წელს დაიწყო. ასე განმარტავს ამ ერესის არსს: „არიანოზნი, უფრომსლა არიოგესლნი და განკუჭთელნი, რომელნი ძესა ღმრთისასა დაბადებულად იტყვან და სულსა წმიდასა - დაბადებულის დაბადებულად, და ჯორცთა ოდენ მაცხოვრისათა მარიამისგან მოხუმიულად დაამტკიცებენ და არა ხოლო სულსაცა“⁴. მართლმადიდებლობის გამარჯვების შემდეგ, 381 წელს, წმ. მამა, სავარაუდოდ, დაბრუნდა თავის სამწყსოში და მშვიდად განვლო დარჩენილი ამქვეყნიური ცხოვრების წლები. იგი დაახლოებით IV საუკუნის 80-იან ან 90-იან წლებში

1 ჩვენ გავცანით მაკარი ეგვიპტელის ეპისტოლეთა ძველ ქართულ თარგმანს, ბუნებრივია, არსებობს გარკვეული თანხვედრა მაკარი ეგვიპტელისა და ამონას ეპისტოლეთა შორის, განსაკუთრებით ეს მსგავსება შეინიშნება მაკარი დიდის პირველ ეპისტოლესთან. აღნიშნულ ეპისტოლეთაში, ისევე, როგორც ამონას ეპისტოლეთებში, საუბარია მოყვასზე ზრუნვაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა განერიდოს მოღვაწე განკითხვის ვნებას და ა.შ. თუმცა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს ხელთ არსებული ღირსი მაკარის რომელიმე ეპისტოლეთაში ამონას დაწერილი უნდა იყოს. იხ. ნინუა 1982.

2 დვალი, ჩიტუნაშვილი 2014: 394. თ.ია, 27. 1.

3 ეს იყო წმინდანის მეოთხე გადასახლება (362-363), როდესაც ეგვიპტელი ბერები მთლიანად მიემხრნენ მას მართლმადიდებლობისთვის ბრძოლაში. Atiya 1968: 45.

4 მახარაშვილი 2012:137.

უნდა გარდაცვლილიყო. მართლმადიდებელი ეკლესია მის ხსენებას აღნიშნავს 26 იანვარს და ყველიერის შაბათს სხვა ეგვიპტელ მოსაგრებთან ერთად¹.

ჩვენი მხრივ აღნიშნულ ბიოგრაფიულ ცნობებს დაემატებოდა იმ მასალას, რომელიც საეკლესიო მწერლებთან, ამონას ეპისტოლეებსა და აპოფთეგმებშია გაბნეული: იგი სამოღვაწეოდ გადის უდაბნოში სრულიად ახალგაზრდა თავის სამ ხორციელ ძმასთან: დიოსკორესთან, ევსევისა და ეფთვიმესთან ერთად. ეს წმ. მამა იყო ღრმად განსწავლული მონაზონი და გამორჩეული ასკეტური ცხოვრების წესით. დაახლოებული იყო მეუდაბნოე ცხოვრების ფუძემდებელთან, ანტონი დიდთან, რომელმაც განსაზღვრა მისი ცხოვრების გზა, იყო მისი სულიერი შვილი და მეკვიდრე. ეს მემკვიდრეობა გამოვლინდა მის ეპისტოლურ მოღვაწეობაშიც. იგი, მოძღვრის მსგავსად, მოღვაწეობის რაღაც ეტაპზე ტოვებს სულიერ შვილებს. ოღონდ მისგან განსხვავებით, კვლავ ბრუნდება მათთან და აგრძელებს მათ დამოძღვრას. როგორც შენიშნავენ, ანტონი დიდის მიერ ზეპირად წარმოთქმულ ეპისტოლეებს, შესაძლებელია, ის იწერდა. ალბათ, ამით უნდა ავხსნათ ის მოვლენა, რომ ამონას ეპისტოლეთა მეორე რედაქციაში აღნიშნული ეპისტოლეები მიეწერება ანტონი დიდს. მან 12 წელი გაატარა სკიტში. ამის შესახებ ამონა ერთ პატერიკში პირველ პირობა მოგვითხრობს: „ათორმეტი წელი დავეყვ სკიტესა შინა“². ურთიერთობა ჰქონდა ანტონი დიდთან ეპისკოპოსობამდე (ბერმონაზვნული ცხოვრების ისტორია, თ. 15), როგორც ამ უკანასკნელის პირველი მემკვიდრე, სათავეში ჩაუდგა პისპირის მონასტრის ბერებს, რომლებსაც, მსგავსად ანტონი დიდისა, მოუწოდებდა თვინიერებისკენ.

იმ პერიოდის დიდ ასკეტ მოღვაწესთან, ორიგენესთან, სიახლოვის გამო, ამონა მონაზონს ბრალი დასდეს ორიგენიზმის მიმდევრობაში. მას დევნიდა ალექსანდრიის პატრიარქი თეოფილე. წმინდა მამა თავის ძმებთან ერთად თავს აფარებდა იერუსალიმის პატრიარქს, ბოლოს მას დახმარების ხელი გაუწოდა წმინდა იოანე ოქროპირმა, ასევე - ნეტარმა ოლიმპიადამ. ჩვენ მიერ მოხმობილ წყაროებში მისი ეპისკოპოსად კურთხევის მცდელობა ანდა უკვე ამ პატივით მოხსენიება გვაგვარაუდებინებს, რომ მან სიცოცხლის ბოლოს მიიღო ეს პატივი და ღრმად-მოხუცებული მიიგვალა.

ეპისკოპოსი ამონა ცნობილია, აგრეთვე, როგორც პახუმი დიდის წერილის ავტორი. ეპისტოლეთა ავტორად გამოცხადების საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ მან დაწერა გრძელი სამონასტრო წერილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მეორე ამონა, ანტონი დიდის მოწაფე და მოგვიანებით ეპისკოპოსად ხელდასხმული, უნდა იყოს ჩვენ მიერ საკვლევი ეპისტოლეების ავტორი.

1 Сергей (Спасский), архиеп. Полный Месяцеслов Востока. Т. II: Святой Восток. Владимир, 1901. С. 25.
2 დვალი 1974: 26.

ადრექრისტიანული ეგვიპტე და ძველი ქართული სასულიერო მწერლობა

ბერმონაზვნური ცხოვრების სამშობლო ეგვიპტე, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის იზიდავდა განმარტოების მოსურნეთ. მეცნიერებისადმი სწრაფვამ, რომელიც ამ ქვეყანაში სუფევდა, ბიძგი მისცა ქრისტიანული ღვთისმეტყველების ფართო განვითარებას. რაც შეეხება ქრისტიანული მოძღვრების პრაქტიკულ ხორცშესხმას, ამ მხრივაც ალექსანდრიის ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა.

აქ, ეგვიპტის დიდებულ უდაბნოში, მეოთხე საუკუნეში ალექსანდრიელი წარმართი ფილოსოფოსების ნაცვლად ასპარეზზე გამოვიდნენ განმარტოებისმოყვარე ბერები. ზოგადად, ეგვიპტის ძირძველი ხალხი, კოპტები, განსაკუთრებით იყვნენ მიდრეკილნი ასკეტურ-მისტიკური ჭვრეტისკენ. ბერმონაზვნობის გავრცელებას ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის შინაგანი ბუნებაც, თერაპევტების მაგალითიც და ალექსანდრიელი მამების ზნეობრივი მოძღვრება ნებაყოფლობით უპოვარებასა და უქორწინებლობის უპირატესობაზე. ეგვიპტის მოსახლეობას ორი ძირითადი ეროვნება შეადგენდა: ადგილობრივი კოპტები და ჩამოსახლებული ბერძნები. აქედან გამომდინარე, მეოთხე საუკუნის ეგვიპტეში, ძირითადად, ორი ენა - კოპტური და ბერძნული - იყო გავრცელებული¹. ამაზე მოწმობს აქ აღმოჩენილი პაპირუსები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ეგვიპტეში დაწინაურებული სხვადასხვა მეცნიერების, ფილოსოფიისა თუ ლიტერატურის შესახებ. ბერძნული და კოპტური ეგვიპტის არსებობისა და მათ შორის კულტურული კავშირის შესახებ მიუთითებს ზემო ეგვიპტეში აღმოჩენილი ჰამადის ბიბლიოთეკაც, რომელიც მოიცავს არაერთ ხელნაწერს, ამასთან, ხაზს უსვამს აქ მოღვაწე ბერების მწიგნობრულ საქმიანობას.

ის, რომ ადრექრისტიანულ ეგვიპტეში დიდი ყურადღება ექცეოდა სწავლა-განათლებას, ამაზე მიგვითითებენ, ასევე, აპოფთეგმები, პახომის წეს-განგება და სხვ. ნიშანდობლივია, რომ პახომის მონასტერში მოღვაწე მამების ერთ-ერთი მორჩილება გულისხმობდა კალიგრაფიის დაუფლებას, ამასთან, ბერებს ჰქონდათ ბიბლიოთეკა, ძმათა შორის იყვნენ გადამწერები, მონასტრის წევრები იზეპირებდნენ წმინდა წერილს და სხვ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ მონასტრის კედლებში იყო ნიშები, სადაც ბერები წიგნებს ინახავდნენ, წარწერებით იყო დაფარული თავად ეგვიპტის მონასტრის კედლებიც².

სამონასტრო ცხოვრება აღმოცენდა წმინდა წერილის ნიადაგზე. პირველი მეუდაბნოე მამისა და ამონას სულიერი მოძღვრის „ანტონი დიდის ცხოვრებაში“ ნაჩვენებია, თუ როგორ ისხამს ხორცს პრაქტიკულად სახარებისეული წმინდა მცნებები ბერის ყოველდღიურ ყოფაში. აღნიშნული სწავლების პრაქტიკაში გამოვლენის მიზანი იყო მონასტრული მიმდინარეობის მხარდაჭერა, რომელიც დაიბადა ეგვიპტურ გარემოში.

მეცნიერთა აზრით, სამონასტრო საზოგადოებაში ეგვიპტური, იგივე კოპტური ენა, ბერძნულის დიდ გავლენას განიცდიდა. აღნიშნულ რეგიონებში, კერძოდ, ზემო და ქვემო ეგვიპტეში, კოპტურის გვერდით ზოგიერთი აქ მოღვაწე ბერი ბერძნულ ენაზე ქმნიდა სამონასტრო ლიტერატურას. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო მეუდაბნოე მამამ, ამონამ, იცოდა ქვემო ეგვიპტური დიალექტი (კერძოდ, ბოჰაური)³.

მოგვიანებით პოლიტიკური ვითარების შეცვლამ განაპირობა არაბულის დაწინაურება ეგვიპტეში. შესაბამისად, არაბულმა ენამ თანდათან ჩაანაცვლა კოპტური და ბერძნული მწიგნობრობა აღნიშნულ რეგიონში. ალბათ, ამ მოვლენით უნდა აიხსნას ამონას ეპისტოლეტა შემცველი მეორე კოლექციის არსებობა არაბულ ენაზე. თუ მეცხრე საუკუნემდე კოპტები

1 ტერნოვსკი 2017:83-84.

2 https://www.goodreads.com/book/show/1710827.Two_Thousand_Years_of_Coptic_Christianity

3 Farag 2012: 39.

იყენებდნენ არაბულს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, მეთოთხმეტე საუკუნეში აღარ გამოიყენებოდა კოპტური, როგორც წერილობითი კომუნიკაციის ენა.

ზოგადად, ადრექრისტიანულ ეგვიპტეში ბერ-მონაზონთა უმრავლესობა, როგორცაა, მაგალითად, ანტონი დიდი, პახომი და იოანე ლიკოპოლელი, მხოლოდ კოპტურად საუბრობდა¹. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანტონი დიდის და მისი მოწაფის, ამონა ნიტრიელის, ეპისტოლეები თავდაპირველად, შესაძლებელია, კოპტურ ენაზე დაიწერა, რომელიც, სავარაუდოდ, მალევე ბერძნულად თარგმნეს.

კ. კეკელიძის თანახმად, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კატალოგში აღმოჩენილ ერთ ხელნაწერში (#20) დაცულია „წმ. ფილოთეოსის წამება“, რომელშიც მოთხრობილია წარმართობიდან მოქცეული ქრისტიანის მარტვილობა დიოკლიტიანეს მეფობის ჟამს. აღნიშნული ძეგლის ანალოგი არ დაიძებნა არც ბერძნულ-ლათინურ, არც არაბულ, არც სომხურ და არც სლავურ ჰაგიოგრაფიაში. ეს ძეგლი წარმომოხილი ჩანს კოპტურ ლიტერატურულ წრეებში, საიდანაც შემოსული უნდა იყოს ქართულ მწერლობაში. კეკელიძის დასკვნით, მისი არსებობა მხოლოდ ქართულ ენაზე ერთ-ერთი მაჩვენებელია ქართულ-კოპტური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობისა². აქვე შევნიშნავთ, რომ პირველი ცნობა ეგვიპტეში ქართული მონასტრის არსებობის შესახებ დაცულია „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ (Vs), ქართული ეკლესიის არსებობის შესახებ საუბრობს ასევე გ. ჯაფარიძე თავის წიგნში - „საქართველო და ეგვიპტის მამლუქები“, რომელიც არაბი ისტორიკოსის ცნობით, 1321 წ. უკვალოდ განადგურდა ანტიქრისტიანული მოძრაობის დროს. მესამე არგუმენტი ესაა 1950 წ. მონრო დე ვილარის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები თებაიდის უდაბნოში,³ რომლის დროსაც აღმოჩნდა ქართული ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება⁴. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ეპოქაში ქართველებს პირდაპირი კავშირი ჰქონიათ კოპტებთან და შესაბამისად, კოპტურ კულტურასთან. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ამონას ეპისტოლეითა ქართული რედაქცია უშუალოდ კოპტური ენიდან გადმოიღო ქართველმა მთარგმნელმა.

1 ტერნოვსკი 2017:83-84.

2 კეკელიძე 1960: 83.

3 ჯაფარიძე 2016.

4 მირაშვილი 2022: 3-4.

ანტონი დიდი და ღირსი ამონა ნიტრიელი

რამდენიმე თეოლოგიური საკითხი

მონასტრული ცხოვრების წიაღში შექმნილი ანტონი დიდისა და ღირსი ამონას ზნეობრივი დარიგებები მეუდაბნოე მამათა სულიერ სამწყსოსთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს. ამ წერილთა ავტორები საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ სულიერ შვილებს და უჩვენებენ მოღვაწეობის უმაღლეს საფეხურზე ასვლის გზას.

ორივეს შექმნის დრო და არეალი, გარკვეულწილად, ერთმანეთს ემთხვევა, ისინი ძირითადად ეძღვნება მათივე დაარსებულ სკიტის, პისპირისა და ნიტრიის სამონასტრო კრებულებს. დანიშნულებით მსგავსი ხასიათის შეგონებანი ერთმანეთს შინაარსითაც ჰგვანან. ასეთი მსგავსება სავსებით ბუნებრივია, რადგან, წყაროების თანახმად, ამონა ანტონი დიდის უპირველესი მოწაფე იყო. როგორც წინ შევნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ანტონი დიდის მიერ ზეპირად წარმოთქმულ ქადაგებებს სწორედ ის იწერდა. ამიტომაცაა, რომ მათი სულიერი ხასიათის შეგონებანი ერთმანეთს ავსებენ. აქედან გამომდინარე, ეს ეპისტოლეები ადრეული ეგვიპტური მონასტრული ღვთისმეტყველების შესასწავლად საიმედო წყაროა.

ანტონი დიდისა და ამონა მონაზვნის სულიერ სიახლოვეზე მოგვითითებს პალადი ჰელენოპოლისის „ლავსაიკონი“, რუფინუსის „ბერმონაზვნული ცხოვრების ისტორია,“ აპოფთეგმათა კრებულები და სხვ. ამ საკითხზე დაწვრილებით ღირსი ამონას ბიოგრაფიაზე მსჯელობისას შევჩერდით.

სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცდებით წარმოვაჩინოთ ამ ორი დიდი ასკეტი მამის ეპისტოლური მემკვიდრეობის ძირითადი შტრიხები.

ანტონი დიდის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე შემოგვრჩა შვიდი ეპისტოლე, ხოლო ამონა ნიტრიელის შემოქმედებიდან - თექვსმეტი.

ანტონი დიდის შვიდივე ეპისტოლე რომ ნამდვილად მას ეკუთვნის, ამის შესახებ გვაუწყებს ნეტარი იერონიმე თავის ნაშრომში „ბრწყინვალე კაცთა შესახებ“ (თ. 88), ასევე, ამ დიდი მამის ბიოგრაფი - წმინდა ათანასე ალექსანდრიელი.

წმინდა ათანასეს უწყებით, ანტონი დიდს უგზავნიდნენ წერილებს და თავადაც პასუხობდა ამ წერილების ავტორებს. ამავე აზრს იმეორებს პახომი დიდის ცხოვრების ბერძნული ვერსია, რომლის თანახმადაც ღირსმა მამამ მასთან სტუმრად მყოფ პახომის მონაზვნებს წერილი გაატანა ათანასესთან. დაბოლოს, ნეტარი იერონიმეს ცნობით, მან 7 ეპისტოლე გაუგზავნა სხვადასხვა მონასტერს ეგვიპტურ, კერძოდ, კოპტურ ენაზე შექმნილი. ეს ეპისტოლეები ითარგმნა ბერძნულად. ისინი ანტონი დიდის ეპისტოლეების მოკლე რედაქციაა. ამ ეპისტოლეების ქართული თარგმანი შედარებით ძველია.

აღნიშნული ეპისტოლეები მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს ქრისტოლოგიურ და ანთროპოლოგიურ საკითხებზე მსჯელობის თვალსაზრისით. ისინი განსაკუთრებით გამოკვეთენ ანტონი დიდის სწავლებას ადამიანის პიროვნული მიმართების შესახებ იესო ქრისტესთან, სამების მეორე ჰიპოსტაზთან.

პირველ ეპისტოლეში ანტონი დიდი საუბრობს სამი სახის სულზე. ამათგან პირველს შემოქმედი რჩეულ ადამიანებს უბოძებს. ასეთი სულით დაჯილდოებულები ძველი აღთქმის მამამთავარს, აბრაამს, ემსგავსებიან, რომელიც ღვთისგან გამორჩეული ადამიანი იყო: „პირველითგანვე დაბადებისა მათისადთ, სიტყუად იგი ღმრთისად მათა მიიწია და არა დაყოვნეს, არამედ წარვიდეს განმზადებულნი მის თანა, ვითარცა იგი პირველი მამად ჩუენი აბრაამ, რაჟამს იხილა ღმერთმან გამოძიებად იგი მისი დადებულისა მისგან რჩულისა, გამოეცხადა მას და რქუა: გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა, და სახლისა მამისა შენისა და მოვედ ქუეყანასა მას რომელი მე გიჩუენო შენ. და არარადთ შეორგულდა, არამედ განმზადებულ იქმნა წოდებასა მას, რამეთუ ესე სახე იქმნა დასაბამითგან ამას შემოსავალსა. და ვითარცა აწ არს

კულად ესრეთ სულთა შინა უკუეთუ ესრეთ დაითმინონ და ქმნენ, მოიხუნინ სათნოებანი ესე ადვილად, რამეთუ განმზადებულ არიან გულნი მათნი მიახლებად სულსა ღმრთისასა“.

ადამიანთა მეორე ნაწილი ემსახურება დაწერილ რჯულს: „ხოლო მეორენი შესავალნი არიან რომელთა ისმინეს დაწერილი, რომელი უწამებდა ყოველთა ტანჯვათა რომელნი ყოფად არიან ცოდვილთათს და ყოველთათს აღთქმათა მათა მიმართ, რომელნი წარმატებანი. და მათგან დაწერილსა რჩულსა [წამებათა] [განიფრთხვეს თვსთა] გულსმოდგინებითა და ინებეს შესლვად წოდებასა მას“.

მესამე ნაწილს ცოდვილები შეადგენენ, რომლებიც ღმერთს განსაცდელთა დათმენის გზით უახლოვდებიან: „მესამე შესავალი ესე არს: რომელნიმე გულფიცხელ იყვნეს პირველ და საქმეთა შინა ცოდვისათა დადგრომილ იყვნეს; და, ვინ უწყის, ესევეთართა მათ ზედა სახიერმან ღმერთმან მოაწინის შრომანი შერისხვითა, ვიდრემდე ცნან შრომითა ამით, და შეინანონ, და მოიქცენ, და ქადაგებასა მას მოვიდენ, შეთვანონ ყოველითა გულითა, და მოიხუნენ მათცა სათნოებანი იგი, ვითარცა იგი მათ რომელთათს იგი პირველად ვთქუ“.

ამავე ეპისტოლეში ანტონი დიდი საუბრობს სამი სახის მოძრაობაზე, რომელიც ადამიანის სხეულში წარმოიშობა. პირველი ბუნებით ბოძებული მოძრაობაა, მეორე - მომეტებული საზრდელის მიღებით აღძრული ხორციელი ბრძოლა. იგი სულიწმიდის შეწევნით მსუბუქდება. მესამე სახის მოძრაობას ადამიანში ბოროტი სული აღძრავს. იგი მხოლოდ ჭეშმარიტი სინანულის გზით ქრება. ცოდვათაგან განწმენდის შემდეგ ის იღებს იმ სულიერი სხეულის ნაწილს, რომელიც ადამიანს აღდგომის შემდეგომ ებოძა: „ვითარმედ სამნი აღძრვანი არიან მას შინა. რამეთუ არს ბუნებისად იგი ჯორცთად თანაშესუარულ მისა, არამედ ვერ იქმნებინ თვნიერ სულისა მის ნებისა გარნა უწყებულ. ხოლო არნ ჯორცთა შინა [არს] სხუადცა აღძრვად, ზრდისაგან ჯორცთასა მრავლითა საჭმელთა და სასუმელითა და განჯურვებითა სისხლისადათა რომელ-იგი საზრდელთაგან ჰბრძან ჯორცთა, რამეთუ შესუარული იგი აღიდრის შუებისა მისგან; ამისთვს მოციქული იტყვს: „ნუ დაითრვებით ღვნითა, რომლითა არს სიბილწება“; მერმე უფალი ამცნებს მოწაფეთა სახარებასა: „ეკრძალენით ნუკე დამძიმდენ გულნი თქუენნი საჭმელთა და სასუმელითა“, და შუებითა უფროდს. ხოლო რომელნი იგი ეძიებენ საზომსა მას სიწმიდისასა, თანაგუაც თქუმად (!) ვითარმედ „აღვიკრძალენ ჯორცნი ჩემნი და დავიმონენ“. მესამე აღძრვად არს უკეთურთაგან სულთა, რამეთუ განსცდიედ შურითა და ჰნებავენ გარდაქცევად რომელთა იგი ჯელი შეყვიან თავისა თვსისა განწმედასა. ხოლო სამთა ამათ სახეთა უკუეთუ სულმან მიუგრძოს თავით თვსით დათმენად წამებათა მათ შინა რომელნი იგი სულმან ასწავლნის გონებასა, განწმინდის ორივე სენისა მისგან, რომელ არს სამთა მათ შინა სახეთა“.

მეორე ეპისტოლე მოგვითხრობს ღვთის განგებულების საიდუმლოს შესახებ. აღნიშნული სწავლების თანახმად, ღმერთი ადამიანში გამუდმებით იმყოფება. მას შემდეგ, რაც ადამიანი დაშორდა შემოქმედს და დაემონა წარმავალ ფასეულობებს, ღმერთმა მოსეს ხელით ჭეშმარიტი სახლი - ეკლესია - დააარსა, რათა ამ გზით დაგვაბრუნოს საღვთო წიაღში. ეკლესიის მშენებლობა ღვთისგან გამორჩეულმა ადამიანებმა, წინასწარმეტყველებმა, განაგრძეს. დაბოლოს, განკაცებულმა უფალმა, რომელმაც დაიმდაბლა თავი, მონის ხატი მიიღო, ჯვარზე გაეკრა, გამოგვიხსნა ცოდვათა ტყვეობისგან და გვასწავლა, რომ ერთმანეთის ნაწილები ვართ: „სახიერებამან მამისამან არა ჰრიდა ჩუენთვს მხოლოდშობილსა თვსა, არამედ მისცა იგი ჩუენ ყოველთა ცხორებისათვს, მისცა იგი ცოდვათა ჩუენთათვს; და ურჩულოებათა ჩუენთა დაამდაბლეს იგი, და წყლულებითა მისითა ჩუენ განვიკურნენით; და სიტყვთა ძლიერებისა მისისადათა შემკრიბნა ჩუენ ყოველთაგან სოფელთა კიდითგან ქუეყანისადათ ვიდრე კიდემდე სოფლისა: და ყო აღდგომად გონებათა ჩუენთად და მოტევებად ცოდვათა ჩუენთად, და მასწავა ჩუენ რამეთუ ასოებ ვართ ურთიერთარს“.

ქრისტეა ცხოვნების ჭეშმარიტი მაგალითი, მხოლოდ მის გზაზე მავალნი შეძლებენ ბოროტისა და კეთილის გარჩევას და მოიპოვებენ მის პატივს. ხოლო ის, ვინც განდგება მისკენ

სავალი გზიდან, საუკუნოდ დაისჯება: „ხოლო ესე სიტყუად ცხად იყავნ თქუენდა, საყუარელნო, რამეთუ რომელმან არა განმზადოს თავისა თვისისა წარმართებულებად, და არა ლუაწლსა შინა იყოს ყოვლითა ძალითა, უწყოდენ ესევეთარმან რამეთუ მოსლვად იგი მაცხოვრისაჲ სასჯელ იქმნეს მას, და რომელთამე საყნოსლად სიკუდილითი სიკუდიდ და რომელთამე საყნოსლად ცხორებითი ცხორებად; რამეთუ დაცემად დგას იგი, და აღდგინებად მრავალთა ისრაჴლსა შოვრის, და სასწაულად სიტყვს-გებისა“.

მესამე ეპისტოლეში ანტონი დიდი, ტრადიციისამებრ, სულიერ შვილებს ჭემმარიტ ისრაელიტელებს უწოდებს. იგი საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ გამუდმებით ზრუნავს უფალი ადამიანების ცხონებაზე. იგი ამ სოფელში მოღვაწეობას ავაზაკის სახლში ყოფნას ადარებს, სადაც ადამიანები სიკვდილის ბორკილებით არიან შეკრულნი, თავის თავს კი - თიხის სახლში დამკვიდრებულს.

იმისათვის, რომ ადამიანი გათავისუფლდეს ამგვარი ყოფისგან, საჭიროა ღვაწლი. მისი შედეგი კი ასეთია: „კუალად ჩუენი იგი წარმატებულებად და სიმართლჴ გულსმოდგინებას სცემს ერსა მას წმიდათასა, და ჰყოფენ ვედრებასა მრავალსა და მხიარულებასა სიხარულით წინაშე შემოქმედისა ჩუენისა; და იგი თავადი ყოველთა შემოქმედი იხარებს საქმეთა ჩუენტა ზედა წამებითა მით წმიდათა მისთაჲთა, და მომანიჭებს ჩუენ ნიჭთა მათ უზომოთა“.

ამავე ეპისტოლეში ანტონი დიდი საუბრობს ღვთაებრივი ცეცხლის შესახებ, რომელიც ეძლევა იმ მოსაგრეებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით უარყოფენ ამ სოფელს და მის სიკეთეებს. ამ ცეცხლის ძალით ადამიანში ქრება ცოდვა და მასზე გადმოდის სულიწმიდა: „უკუეთუ რომელ იგი პირველ ვთქუ ყოს, შეიწყალოს იგი ღმერთმან შრომისა მის მისისათვს, და მოჰმადლოს მას უხილავი იგი ცეცხლი, და შეწუნეს ყოველნივე არაწმიდებანი მისგან, და განწმიდნეს სული იგი მთავრობისა ჩუენისაჲ“.

ანალოგიური მსჯელობა ღვთაებრივი ცეცხლის განმწმედელი ძალის შესახებ გვხვდება ანტონი დიდის მოწაფის - ამონა მონაზვნის - ეპისტოლეებში, რომელზეც უფრო დაწვრილებით ექემოთ ვიმსჯელებთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოყოფენ ანტონი დიდის მეოთხე ეპისტოლეს, რომელი ეძღვნება არსენიოს მონასტრის მოღვაწეებს და ასეც მოიხსენიება - „არსენოტადმი“. აღნიშნული ეპისტოლის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს ნეტარი იერონიმე. იგი დანარჩენი ეპისტოლეებისგან განსხვავდება როგორც მოცულობით, ისე შინაარსით. იგი ეხება ორ უმთავრეს საკითხს, კერძოდ, სიყვარულის თემასა და სულიერ ბრძოლას. ამასთან, გვაუწყებს გამოხსნის განგებულების მნიშვნელობასაც.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ ეპისტოლეს დიდი მეუდაბნოე მამა უძღვნის როგორც სულიერ მამებს, ასევე დედებს, რომლებმაც საკუთარი თავი უფლის მსახურებას მიუძღვნეს: „თქუენ ყოველთა რომელთა ეგე განმზადენით თავნი თვისნი სლვად ღმრთისა მიმართ გიკითხავ უფლისა მიერ, საყუარელნო, მცირითგან ვიდრე დიდადმდე, მამაკაცითგან ვიდრე დედაკაცამდე, შვილთა ისრაჴლიტელთა წმიდათა გონებისაებრ თქუენისა არსებისა“.

ამ ეპისტოლის თანახმად, ადამიანთა გონიერი იგივე სულიერი არსი, რომელშიც არ არსებობს მამაკაცება და დედაკაცება, უკვდავია. მას აქვს დასაბამი, მაგრამ არ აქვს დასასრული: „ჭემმარიტად, საყუარელნო, დიდ არს ესე თქუენდა კითხვად გულისხმის-ყოფისათვს გონიერისა მისთვს არსებისა, რომელსა შინა არა არს მამაკაც და დედაკაც, არამედ არსებად არს უკუდავი, რომელსა დასაბამი აქუს, ხოლო აღსასრული არასადა“. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი დაეცა, გონიერი (სულიერი) არსი უკვდავია და არ ირღვევა სხეულთან ერთად. იგი ყველა ჩვენგანშია. ის არის საფუძველი ღმერთსა და ადამიანს შორის სიყვარულის არსებობისა. იმ ადამიანმა, ვინც საკუთარი თავი შეიცნო, ამავე დროს, საღვთო განგებულების შეცნობაც შეძლო.

შესაქმის თავი იესო ქრისტეა, ის მამის გონია და, ამასთან, ეკლესიის თავია, რომლის ნაწილებიც ადამიანები ვართ. თუკი რომელიმე ნაწილი სხეულს განშორდება და ვნებებს ემორჩილება, ის სულიერ არსს შეეწინააღმდეგება, რაც ყველა ადამიანისთვის საერთოა. ასეთი ადამიანი ივიწყებს მთავარ მცნებას, რომლის თანახმადაც ვინც მოყვასის წინაშე სცოდავს, ამავე დროს, სცოდავს საკუთარი თავის წინაშეც: „უკუე რომელი ცოდვიდეს მოყუასისა მიმართ, თავისა მიმართ თვისისა ცოდავს, და რომელი ბოროტსა უყოფს მოყუასსა, თავსა თვსა ბოროტსა უყოფს; ეგრევე რომელი, კეთილსა უყოფს მოყუასსა, თავსა თვსა კეთილსა უყოფს“.

კაცობრიობის უხილავი მტერი, ეშმაკი, ცდილობს, იმოქმედოს მოკვდავ სხეულებზე და ისინი ბოროტ საიდუმლოთა ჭურჭლად გადააქციოს. მას სურს, ძმათა შორის სიყვარული დაარღვიოს. ამ მიზნით, მათში შურსა და ამპარტავნებას თესავს: „უწყებად თქუენი მნებავს, შვილნო, რადმეთუ არა დავსცხრები ვედრებითა ღმრთისა მიმართ თქუენთვს ღამე და ღღჳ, რადთა აგეხილნეს თქუენ ღმერთმან თუალნი გულისა თქუენისანი რადთა ხედვიდეთ თქუენ მრავალთა მათ დაფარულთა უკეთურებათა მათთა რომელთა იგი დღითი დღედ მოაწევედ ჩუენ ზედა აწინდელსა ამას ჟამსა“¹.

იმისათვის, რომ სულიერ სიბრძნეს აზიაროს თავისი სამწყსო, ანტონი დიდი ხშირად მოიხმობს ამა თუ იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ძველი აღთქმიდან. აღნიშნულ ეპისტოლეში იგი ასკეტურ მოსაგრობას და ამ გზით დაცემული ბუნების განწმედას ადარებს უფლის მიერ მრგვლიად დასაწველი მსხვერპლის შეწირვას და ამბობს: „აღიხუენით ჳორცნი იგი თქუენნი რომლითა შემოსილ ხართ, და ესენი ყვენით საკურთხეველ, და დასხენით მას ზედა ყოველნი გულის-სიტყუანი თქუენნი და ყოველივე ზრახვად ბოროტი დაუტევეთ წინაშე უფლისა, და აღიპყრენით ჳელნი გულისა თქუენისანი მისა მიმართ, ესე იგი არს გონებად მოქმედი, და ევედრებოდეთ ღმერთსა რადთა მოგმადლოს თქუენ თვისი იგი უხილავი ცეცხლი დიდი, რადთა ზეცით გარდამოჳდეს თქუენ შოვრის და შეჳამოს საკურთხეველი იგი და ყოველივე მას ზედა“.

ის, ვინც ჳემმარიტი ასკეტია, მოვალეა, გახდეს მკვიდრი სასუფეველისა. ამ მიზნის მიღწევა კი საკუთარი ცოდვების განცდითა და თავის დამდაბლებით არის შესაძლებელი: „რომელმან გულისხმა-ყვის თვისი სიკუდილი, მან კუალად გულისხმა-ყვის თვისი იგი საუკუნოდ ცხორებად“.

მომდევნო მეხუთე ეპისტოლეში მეუდაბნოე ცხოვრების მესამირკველ სულიერ შვილებს წმინდა ისრაელებს უწოდეს. მსგავსი მიმართვა გვხვდება ამონა მონაზვნის ეპისტოლეებშიც, რომლის შესახებ დაწვრილებით ასევე ქვემოთ ვისაუბრებთ. ანტონი დიდის თქმით, წმინდანების დასი დამწუხრებულია ჩვენი უძლურების გამო და გახარებულია ჩვენი სულიერი წარმატების ჟამს. მოძღვარი მოუწოდებს ბერებს, შეიძულონ მიწიერი სიამენი და გულის ხელები გაუწოდონ მამას. ასეთ მოღვაწეებს ღმერთი უხილავ ცეცხლს მოუვლენს, რომელიც მათში ყოველგვარ უწმინდურებას დაწვავს. ამ გზით განვიწმინდებით და ჩვენში დამკვიდრდება იესო ქრისტე.

აღნიშნული ეპისტოლე აგრძელებს ანტონი დიდის მეორე ეპისტოლეს. იგი ასევე ეხება ღვთის განგებულების თემას და უფლის შემეცნებას. ამ ეპისტოლის მიხედვით, ის, ვინც საკუთარ თავს შეიცნობს, შეიცნობს ღმერთსაც. იმისათვის, რომ ადამიანი ღვთისთვის სათნო მსხვერპლად გადაიქცეს, უნდა შეუდგეს მოღვაწეობას. ეს მდგომარეობა კი გულისა და გონების წვრთნითაა შესაძლებელი: „ განმზადენით თავნი თვისნი სლვად შემოქმედისა (!) მიმართ თქუენისა, და დაიპენით გულნი თქუენნი და ნუ სამოსელი თქუენი: და ცანთ იგი ვითარმედ რადმე ძალ-გვც მიცემად უფალსა ყოვლისათვის მადლისა, რომელი მომცა ჩუენ ვიდრე აჳა დამკვდრებადმდე ჩუენდა და დამდაბლებად“.

1 ნიშანდობლივია, რომ ანტონი დიდის ეპისტოლეთა მსგავსად, ამონა მონაზონიც ხშირად საუბრობს თავის ეპისტოლეებში, თუ როგორ ლოცულობს შეუსვენებლივ , „ღამე და დღე“ მონასტრის სამმოს სულიერი ხსნისათვის.

მეექვსე ეპისტოლე ავტორის მსოფლმხედველობის გამოხატველია. იგი განსაკუთრებით გამოკვეთს ანტონი დიდის ქრისტოლოგიურ შეხედულებებს. ამ ეპისტოლის მიხედვით, უფალი ჭემმარიტი გონია, მამის შეუცვლელი ხატი, ქვეყნიერების შემოქმედია და ყველა გონიერი არსებისათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი. გონიერი არსებები მამის ხატის თანახმად შეიქმნენ, თუმცა შემოქმედსა და ქმნილებას შორის განსხვავება კარდინალურია. თუკი ღმერთი შეუცვლელ საღვთო არსებას ფლობს, მოაზროვნე ქმნილებათა გონიერი არსი ცვალებადია, რის შედეგადაც წარმოიშვა ბოროტება. ვნებებმა მათში ჩაახშო სულის განცდანი და ვეღარ შეიგრძნობენ გონიერი არსის დიდებულებას. მამაღმერთმა მათ გამოსახსნელად თავისი მხოლოდშობილი ძე გამოგზავნა, რომელმაც ხატი მონისა მიიღო და ცოდვათა ტყვეობისგან გამოგვიხსნა: „აწ უკუე შეჰგავს ჩუენდაცა რადთა განვათავისუფლნეთ თავნი ჩუენნი მოსლვითა მისითა, რადთა სისვლელითა მისითა განგუაბრძნეს ჩუენ, და სიგლახაკითა მისითა განგუამდიდრნეს ჩუენ, და უძღურებითა მისითა განმამღიერნეს ჩუენ, და ყოველთა გუექმნეს აღდგომა, და განაქარვოს იგი რომელსა ჯელმწიფებად აქუნდა სიკუდილისა“.

ამავე ეპისტოლეში მოძღვარი გამოკვეთს მოღვაწეთა ორ ტიპს. პირველნი ისინი არიან, რომლებიც სიტყვითაც და საქმითაც უფლის ერთგული მსახურნი არიან, მეორენი კი უფალს მხოლოდ გარეგნულად ემსახურებიან. ანტონი დიდი გლოვობს იმ შვილების გამო, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად ემსახურებიან უფალს, შინაგანად კი სრულიად უცხონი არიან, ხოლო ხარობს იმათთვის, ვინც მოღვაწის ჭემმარიტი სახეა: „მრავალთა ნათესავისა ჩუენისაგანთა შეიმოსეს სამოსელი ღმრთის-მსახურებისა, და ძალი მისი უვარ-უყოფიეს. ხოლო რომელთა-იგი განმზადნეს თავნი თვსნი განთავისუფლებით მოსლვითა იესუდსითა (!), მათ ზედა მიხარის. ხოლო რომელნი იგი ფრდიან სახელსა იესუდსისა (!) და ჰყოფენ ნებასა გულისასა და ჯორცთასა, ეგევითართათვს ვიგლოვ. რომელთა იგი მიხედეს სიგრძოსა მას ჟამისასა, და სულმოკლე იქმნეს, და განიძარცუეს სამოსელი ღმრთისმსახურებისა, და იქმნეს იგინი მკვეც, მათთვს ვტირ“.

ისევე, როგორც დანარჩენ ეპისტოლეებში, მოცემულ წერილშიც ანტონი დიდი იმ სულიერი სიყვარულის შესახებ მსჯელობს, რომელმაც იგი მონასტრის სამმოსთან დააკავშირა. ამგვარი სიყვარულის საფუძველი კი თავად უფალია, რომელიც უზენაესი სიყვარულის განცხადებული სახეა.

აღნიშნულ ეპისტოლეში ანტონი განასხვავებს იოანე ნათლისმცემლისა და იესო ქრისტეს ნათლობისარსს, რომელსაც სახარებისეულისაფუძველიაქვს. აღნიშნულისწავლებისმიხედვით, უფლის წინამორბედი ხალხს ცოდვათა მისატევებლად ნათლავდა, ქრისტემ კი სულით გაგვანათლა. ამიტომაც მოვალენი ვართ, გამუდმებით გონების განწმენდას ვესწრაფოდეთ, განწმენდა კი შეუძლებელია ჭემმარიტი ცოდნის (გნოზისის) გარეშე. მოაზროვნე ადამიანი მოვალეა, შეიცნოს საკუთარი თავი, ხოლო შემდეგ - ღმერთი. ამ გზით იგი გააცნობიერებს, რომ ცოდვა უცხოა გონიერი არსისთვის. იგი თავისუფალი ნების არასწორმა არჩევანმა წარმოშვა, რაც გახდა ჩვენი სიკვდილის მიზეზი. საჭიროა გონებისა და გრძნობების მუდმივი წვრთნა - ასკეზა. ამ გზით ადამიანი შეიცნობს საღვთო განგებულებას.¹

მეშვიდე ეპისტოლეში ანტონი დიდი ბერებს ეკლესიის შემადგენელ ნაწილებად მოიაზრებს და ასე ამხნევეს: „შვილნი ვართ და მკვდრნი ღმრთისანი და თანამკვდრნი ქრისტესნი“. მოძღვარი ბერებს გონიერ ადამიანებს უწოდებს, რომელთაც თავიანთი თავი შეიმეცნეს, ამ გზით კი ყოვლისშემოქმედ ღმერთს მიუახლოვდნენ.

აღნიშნული ეპისტოლე ფრიად საყურადღებოა იმითაც, რომ ანტონი დიდი ადრესატთა ყურადღებას ამახვილებს არიანელთა ერესზე. სულიერი მოძღვარი აფრთხილებს თავის სამწყსოს, მოერიდონ არიოზის ცრუსწავლებას, რომელმაც იმ პერიოდის საეკლესიო ცხოვ-

¹ Сидоров 2014: 84-93.

რებაში დიდი დისონანსი შეიტანა და მრავალი მოღვაწე ჭეშმარიტების გზიდან გადადრია: „ხოლო არიოზისთვის რომელი აღდგა ალექსანდრიას და იტყოდა სიტყუათა უცხოთა მხოლოდშობილისათვის - რადმეთუ რომელსა ჟამ არა აქუნდა სცა მას ჟამი, და დაუსრულებელსა მას დაბადებულთა თანა მოსცა აღსასრული, და ურყეველი იგი თქუა შერყეულად -, ხოლო ამას ვიტყვ: უკუეთუ კაცმან კაცსა შესცოდოს, ღმრთისა მიმართ ილოცვიდენ მისთვის კაცნი; უკუეთუ ღმერთსა შესცოდოს ვისა მიმართ ილოცვიდენ მისთვის? მან უკუე კაცმან დიდსა საქმესა კელი შეყო საქმედ, და წყლულებად მისი განუკურნებელ არს. უკუეთუმცა თავი თვისი ეცნა ეგვიტარსა მას კაცსა ვერმცა იტყოდა ენად მისი რომელი-იგი არა იცოდა; არამედ ამით ცხად არს რადმეთუ თავი თვისი ვერ იცნა“¹.

როგორც წინ შევნიშნეთ, ანტონი დიდის გარდაცვალების შემდეგ ღირსი ამონა გახდა პისპირის მთის გარშემო შემოკრებილი განდეგილი ძმების სულიერი მოძღვარი. ეს მოვალეობა, ბუნებრივია, გულისხმობდა იმ ეპისტოლურ მემკვიდრეობასაც, რომლითაც მეუღაბნოე ცხოვრების დიდი მამა მოძღვრავდა სულიერ შვილებს. როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან იკვეთება, მართალია, ამონა იყო კონკრეტული სამონასტრო საზოგადოების წინამძღვარი, მაგრამ მისი წერილების უმეტესობა შეიცავს ისეთ უნივერსალურ ასკეტურ საკითხებს, რომელიც სასარგებლოა ყველა მოღვაწისთვის.

ამონას ნაშრომებმა ჩვენამდე მოაღწია ბერძნულ, სირიულ, არაბულ და ქართულ ენებზე, ხოლო ფრაგმენტულად - სომხურ და ეთიოპიურ ენებზე. მათი რაოდენობა და თანამიმდევრობა აღნიშნულ ენებზე განსხვავებულია. ბერძნულ ენაზე დღეისთვის არსებობს ღირსი ამონას შესახებ თხუთმეტი თხრობა; მისი შვიდი ეპისტოლე; მისივე „დარიგებები“, რომლებიც შეიცავენ ოთხ სწავლებას, 19 შეგონებით თავს, სიტყვებს მდუმარების მსურველთა შესახებ“ (11 თავი) და ნაშრომს, სახელწოდებით, „იმათი სულის სიხარულის შესახებ, რომელთაც დაიწყეს ღვთისმსახურება“ (73 თავი); 4) ასევე, ორი უცნობი წარმოშობის ფრაგმენტი.

განსხვავებებია ამონას ეპისტოლეების სხვადასხვა ვერსიას შორის. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, არსებობს აღნიშნულ ეპისტოლეთა შემდეგი რედაქტირებული ვერსიები: 14 სირიული, 13 არაბული, 7 ბერძნული, 3 სომხური, 1 ეთიოპიური და 1 ქართული. არსებობს კიდევ 15 ქართული ეპისტოლე, რომელიც ჩვენი შესწავლის ობიექტია. ჟ. გარიტმა, რომელმაც გამოსცა ჩვენ მიერ მოხსენიებული პირველი ქართულენოვანი ეპისტოლე ღირსი ამონა მონაზვნისა, აღნიშნულ წერილს შეუდარა შესაბამისი ბერძნული და სირიული ვერსიები, მანვე აღნიშნა ყველა ქართული წერილის გამოცემის აუცილებლობის შესახებ.

მკვლევრები შენიშნავენ, რომ ურთიერთობა ღირსი ამონას ეპისტოლეთა სხვადასხვა ვერსიას შორის რთულია და ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გაანალიზებული. ბ. უტიეს და ს. რუბენსონის თანახმად, პირველი და არსებითი მცდელობა ამონას ეპისტოლეთა შესწავლისა უკავშირდება კლეინას, რომელმაც ერთმანეთს შეუდარა აღნიშნულ ეპისტოლეთა უკვე გამოცემული კრებულები. კერძოდ, კმოსკოს სირიული და ნოს ბერძნული გამოცემები, რომელთაც რამდენიმე კომენტარი დაემატა არაბული რედაქციიდან შესრულებული ლათინური თარგმანის შესახებ. კლეინას დასკვნის მიხედვით, წმინდა ამონას წერილები თავდაპირველად ბერძნულ ენაზე უნდა დაწერილიყო. აქვე შენიშნულია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნულ ეპისტოლეთა სირიული რედაქცია.

წმინდა ამონას ეპისტოლეები ინგლისურად თარგმნა დერვას ჩითმა და შეასწორა სებასტიან ბროკმა². სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე წარმოდგენილია ცხრილი, სადაც მოცემულია

1 ციტატები წარმოდგენილია უძველესი (X ს.) სინური ხელნაწერების მიხედვით. ეპისტოლეები გადმოღებულია ინტერნეტ-გვერდიდან <http://titus.uni-frankfurt.de>

2 THE LETTERS OF AMMONA Successor of saint Antony Translated by DERWAS J CHITTY Revised and with an Introduction by SEBASTIAN BROCK, Oxford, 1979.

აღნიშნულ ეპისტოლეთა სხვადასხვა თარგმანის თანამიმდევრობა და ურთიერთმიმართება. ასევე, წარმოდგენილია მათი რაოდენობაც.

Syriac	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
Greek		2	6	3				4 and		8	5	1	7	
Georgian	13	1	2	4	5	6	7	8	9	12	10	3	11	
Arabic	15	9	10	11	12	13	14	8				18	19	19
Armenian	2									1		3		
Ethiopic										1				

პირველად ბერძნული არასრული ვერსია 1911 წ. გამოაქვეყნა იერუსალიმში ქრისტიანული სიძველეთა მკვლევარმა ავგუსტინემ, კრიტიკულად კი გამოსცა ფ. ნომ, რომელმაც ამ გამოცემაში ჩართო ასევე „აბზა ამონას შესახებ თხრობის“ სირიული რედაქცია (25 „აპოფთეგმა“, რომელთა ნაწილიც ემთხვევა ბერძნულ ტექსტს, ხოლო სხვები - არა) და ორი ფრაგმენტი რუფინუსის „ბერმონაზნული ცხოვრების ისტორიის“ სირიული თარგმანიდან. გარდა ამისა, სირიულ ენაზე დაცულია, ასევე, ამონას ეპისტოლეთა კორპუსი, უფრო ვრცელი და სრული, ვიდრე მათი კრებული ბერძნულ ენაზე. ისინი გამოსცა მ. კმოსკომ (პარალელური ლათინური თარგმანით). წმინდა ამონას ეს ლიტერატურული მემკვიდრეობა არის საკმაოდ არაერთგვაროვანი და მისი ცალკეული ნაწილების ნამდვილობის დადგენაც ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგალითად, ერთი ბერძნული ფრაგმენტი, რომელიც წმინდა ამონას მიეწერება, არის ფრაგმენტი ევაგრეს ნაშრომიდან „მონაზვნური ცხოვრების აღწერა“ (PG. t. ტ. 40. 1261). ამ ორი მოღვაწიდან რომელს ეკუთვნის ტექსტი სინამდვილეში, ამის დადგენა დღეისათვის შეუძლებელია. მაგრამ მსოფლმხედველობისა და სტილის ზოგიერთი თავისებურება საშუალებას აძლევს მეცნიერებს, გამოთქვან ვარაუდი, რომ ამ ფრაგმენტის ავტორი არის წმინდა ამონა, ხოლო ევაგრემ მოგვიანებით ჩართო იგი თავის ნაშრომში. ასევე, სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ღირსი მაკარი ეგვიპტელის ნაშრომთა შორის („სულიერი საუბრები“, 51-57), ბოლო „საუბარი“ მრავალი რამით ემთხვევა წმინდა ამონას ეპისტოლეთა სირიული კრებულის მეათე ეპისტოლეს. ზოგიერთი მომენტის გათვალისწინებით, აღნიშნული „საუბარიც“ წმინდა ამონას უნდა ეკუთვნოდეს. ამ საკითხის გადაწყვეტა სამომავლო ტექსტოლოგიური და ხელნაწერული ტრადიციების დეტალური კვლევის საქმეა¹. ბოლოს, წმინდა ამონას „შეგონებითი თავები“ ნაწილობრივ აბზა ესაიას ოცდამეშვიდე „სიტყვას“ წარმოადგენს. მაგრამ აბზა ესაიას ნაშრომთა ბერძნული ხელნაწერული ტრადიცია, ისევე, როგორც ძველ ენებზე (სირიული, ლათინური და სხვ.) შესრულებულ თარგმანთა ტრადიცია იმდენად არეულია, რომ მასში გარკვევა საკმაოდ ძნელია. ყოველ შემთხვევაში, მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ამ ტრადიციაში რამდენიმე რედაქციული პლასტია. მათგან ღირსი ესაიას ჭეშმარიტი შრომების გამოყოფა მათ კრიტიკულ გამოცემამდე შეუძლებელია. ცხადია მხოლოდ ის, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალჯერადი გადაწერის დროს ამ მამის ნაშრომებს სხვა მოსაგრეთა ნაშრომებიც მიუერთდა. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის ყოფილიყო ნაშრომები (V საუკუნე) ცნობილი მონოფიზიტი მონაზონის - ესაია ლაზელისა. შეიძლება ითქვას, რომ „ესაიას კორპუსში“ მოხვდა წმინდა ამონას შრომათა ზოგიერთი ფრაგმენტიც.

¹ როგორც ამონა მონაზვნის ბიოგრაფიაზე საუბრისას შევნიშნეთ, ჩვენ ვეძებთ მსგავსი თანხვედრი ადგილები მაკარი დიდის სწავლათა ძველ ქართულ თარგმანში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მივაგენით. თუმცა, გარკვეული სიახლოვე შეინიშნება, რაც ამ ორი ასკეტი მამის საერთო სამოღვაწეო არეალით უნდა იყოს განპირობებული. იხ. ნინუა 1982:109-402.

უდავოა, რომ წმინდა ამონას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მის ეპისტოლეებს. ფ. კლეინას გამოკვლევებმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ამ ეპისტოლეთა სირიული ვერსია უპირატესია იმ თვალსაზრისით, რომ იგი არის უფრო სრული და უფრო ადეკვატურად ასახავს მათ თავდაპირველ ხელნაწერულ ტრადიციას. მაგრამ ბერძნულ ვერსიას (იმის გათვალისწინებით, რომ წმინდა ამონა, უდავოდ, ბერძნულად წერდა) უნდა მიენიჭოს უპირატესობა იმის გამო, რომ მან შემოინახა წმინდანის ნაწერთა ენისა და სტილის აზრობრივი ნიუანსები მიუხედავად იმისა, რომ იგი არასრული სახით შემოგვრჩა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წმინდა ამონას ეპისტოლეები მნიშვნელოვნად ემთხვევა ღირსი ანტონის ნაყალბევ ეპისტოლეებს (არაბული ვერსია), შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ ვერსიას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაპირველი ეგვიპტური მონაზვნობის სრულყოფილად გასაცნობად¹.

მეცნიერთა ვარაუდით, ამონას ეპისტოლეთა შემცველი მეორე, არაბულენოვანი, კოლექცია დაწერილი უნდა იყოს კოპტური ტექსტის საფუძველზე, ანდა, შესაძლოა, ორივე კოლექცია მომდინარეობს საერთო წყაროდან, ბერძნულ ან კოპტურ ენაზე დაწერილი თავდაპირველი რედაქციიდან.

ამდენად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ წმინდა ამონას წერილებმა ჩვენამდე მოაღწია ორი ტრადიციით, პირველი, რომელსაც შეგვიძლია ბერძნული ტრადიცია ვუწოდოთ და მეორე, კოპტურ-არაბული ტრადიციით, რომელიც ანტონი დიდის 7 ეპისტოლესთან ერთად შეიცავს ამონას სულიერ წერილებს (ფსევდოანტონის ეპისტოლეები), სულ ამ კოლექციაში წარმოდგენილია 20 ეპისტოლე. ყველა ვერსია თარგმნილი უნდა იყოს ბერძნულიდან, მათ შორის - სირიული, ქართული, სომხური და ეთიოპიური ვერსიები.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ამონას ეპისტოლეთა ჩვენამდე მოღწეული სირიული რედაქცია ისევე, როგორც ქართული რედაქცია უფრო არქაულია და სრული, ვიდრე დღეს არსებული ბერძნული რედაქცია. მაგრამ მათ წყაროდ ის ბერძნული რედაქცია უნდა მივიჩნიოთ, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება. რაც შეეხება დღეს არსებულ ბერძნულ ვერსიას, ის წარმოადგენს ორიგინალის მეორედ ან მესამედ ხელახლა გადამუშავებულ ვარიანტს.

ამონას ეპისტოლეებმა დიდი ზეგავლენა იქონიეს სირიულ მისტიკურ ტრადიციასა და ისეთ დიდ სირიელ მოღვაწეებზე, როგორებიც იყვნენ: ისააკ ასური, იოანე საბა დალმაატიდან, იოსებ ჰაზზაი და სხვ. აღნიშნული მოღვაწეები თავიანთ ნაშრომებში ხშირად ციტირებენ ამონას ეპისტოლეებიდან, მოჰყავთ პარალელური ტექსტები, აღნიშნული ციტატებით ამდიდრებენ სირიულ ასკეტიკურ ლიტერატურას და ა.შ. ამდენად, სირიული ასკეტიკური ხასიათის ლიტერატურა საინტერესოა, ერთი მხრივ, იმით, რომ ამონას მოიხსენიებს, როგორც ეპისტოლეთა ავტორს და, ამავე დროს, გამოკვეთს მის დიდ ავტორიტეტსა და გავლენას აღნიშნულ ლიტერატურაზე².

ამონას ეპისტოლეები, როგორც შევნიშნეთ, შემოგვინახა არაბულმა კრებულმაც ანტონი დიდის სახელით ცნობილი 20 ეპისტოლეების სახით, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ეს ეპისტოლეები არ არის მოღწეული თავდაპირველი ფორმით, შეიმჩნევა ერთი ან მეტი ხელი, რომელმაც შეცვალეს ტექსტი და დაამატეს გამონათქვამები და განმარტებითი ხასიათის წინადადებები. ფარაგის აზრით, სავარაუდოდ, ეს დამატებები, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იმავე ავტორისაა (იხ. ანონიმური წერილი XVI), მაგრამ ეს უფრო ვარაუდია. ამავე დროს, სხვა შემთხვევებში ეს დამატებები არაბულ ენაზე უნდა ეკუთვნოდეს არაბ მთარგმნელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაბული ვერსია მომდინარეობს კოპტური რედაქციიდან³.

1 https://azbyka.ru/otechnik/Aleksej_Sidorov/svjatootecheskoe-nasledie-i-tserkovnye-drevnosti-tom-4/1

2 Farag 2012: 104-108.

3 იქვე, გვ. 147-148.

ამონა მონაზვნის ეპისტოლეებში მოხმობილია რამდენიმე მონაკვეთი წმინდა წერილიდან თუ აპოკრიფული ლიტერატურიდან. აღნიშნული მონაკვეთების შედარებამ ამონას ეპისტოლეთა ქართულ ნუსხებთან გამოავლინა, რომ ნეტარი მამის სულიერი წერილების ქართული თარგმანის დედანი აწ დაკარგული ბერძნული ტექსტი უნდა იყოს და არა სირიული, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, ისინი თავისი თანამიმდევრობით უფრო ახლოა სირიულთან, ვიდრე ბერძნულთან¹. ესაა, უპირველესად, ესაია წინასწარმეტყველის ამალღების ამბავი. ნიშანდობლივია, რომ სირიულ ვერსიაში (წერილი X) გადმოცემულია აპოკრიფული ნაწარმოებიდან ცნობილი ციტატა ესაიას მიერ ცათა მოხილვის შესახებ (ესაიას ამალღება, VIII, 21). აღნიშნული ციტატა მეორდება როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ვერსიაში, ოღონდ, წინა უწყებისგან განსხვავებით, ორივეში ესაიას სახელს ცვლის ელია წინასწარმეტყველი: „ოდეს ამალღებოდა ელია წინასწარმეტყველი...“- კვითხულობთ ქართულ თარგმანში.

როდის უნდა მომხდარიყო ესაიას ჩანაცვლება ელიათი, ჩვენ ვერ ვიტყვით, თუმცა ამ სახელის იგივეობრიობა ორივე ვერსიაში მიუთითებს იმაზე, რომ ქართული თარგმანის დედანი ბერძნული ტექსტი უნდა იყოს. მკვლევართა ვარაუდით, აშკარაა, რომ ეს არის მწიგნობრის ინოვაციური დამატება ბერძნულ ტექსტში, რადგან წინასწარმეტყველ ელიას ამალღება განსაკუთრებით ცნობილია ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებში. უფრო ლოგიკური ჩანს იმ აზრის მიღება, რომ ამონა გულისხმობდა წინასწარმეტყველ ესაიას და არა ელიას იმის გათვალისწინებით, რომ მას რამდენჯერმე მოჰყავს მაგალითები აპოკრიფული ნაწარმოებებიდან.

მეორე მაგალითი, რომელიც ქართული თარგმანის ასევე ბერძნულიდან წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს, არის ბიბლიური ლევის სახელის ხსენება ბერძნულ და ქართულ რედაქციებში. ნიშანდობლივია, რომ ბერძნული (წერილი VII) და ასევე, არაბული ვერსიები (წერილი XIX) ციტატის მოხმობისას აშკარად ასახელებენ ლევის სახელს: „როგორც ლევამ თქვა: ...“, განსხვავებით სირიული ტექსტისგან, რომელშიც ლევის სახელი გამოტოვებულია და უწყებულია: „როგორც წერია:...“. როგორც უკვე შევნიშნეთ, იგივე ბიბლიური სახელი დაფიქსირებულია ამონას ეპისტოლეთა ქართულ ნუსხაშიც: „ვითარცა ლევის უთქუამს...“.

ამონას ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში გვხვდება ბერძნობები (მაგ., ქარტა, კერმა), რომელთა შესახებ დაწვრილებით ენობრივ საკითხებზე მსჯელობისას შევჩერდით. აქ მხოლოდ გავიმეორებთ, რომ მათი სიმრავლეც ქართული ნუსხების ბერძნული დედნიდან წარმომავლობაზე მიუთითებს. ამავე შეხედულებას გვიმტკიცებს ასევე ნუსხებში არსებული საღვთისმეტყველო შინაარსის ტერმინები, რომლებიც ასევე ანალოგიური ბერძნული სიტყვების კალკია.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, რომ ამონას ეპისტოლეთა სირიულ რედაქციაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა არასწორი წაკითხვა სიტყვისა „ხილი“. ამვერსიის შემცველ სირიულ ნუსხათა უმრავლეს ნაწილში შესაბამის ადგილას წერია „სხეული“ და არა „ხილი“. აღნიშნულ ეპისტოლეთა ბევრი მკვლევარი და რედაქტორი მიიჩნევენ, რომ ამ ადგილას უნდა იყოს სიტყვა „სხეული“ მაშინ, როცა ბერძნულ რედაქციაში მას ცვლის „ხილი“ (καρὰς). ფარაგი ბროკსა და ლუფზე დაყრდნობით ასკვნის², რომ ეს არის ორთოგრაფიული შეცდომა. ორივე სიტყვა: „ხილი“ (pîrâ) და სხეული (pagrâ) სირიულში ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ თანხმოვნით და ამიტომ მოხდა მათი აღრევა. სწორი ფორმა დგინდება სხვა თარგმანში შესაბამის ადგილთან შედარებით. ნიშანდობლივია, რომ ანალოგიურ ადგილას ბერძნულ,

1 როგორც წინ შევნიშნეთ, არაა გამორიცხული, რომ ამონას ეპისტოლეთა ქართული თარგმანი უშუალოდ მომდინარეობდეს კოპტურიდან, თუმცა, თავად კოპტური ტექსტის ფრაგმენტულობის გამო, დაბეჯითებით რამის თქმა შეუძლებელია.

2 იქვე, გვ. 365.

ქართულ, ეთიოპიურ და სომხურ ტექსტებში იკითხება „ხილი“. უფრო ზუსტად, ქართული წაკითხვით - „ნაყოფი“. კერძოდ, XIV სწავლაში ერთმანეთისგან გარჩეულია ცოცხალი და მკვდარი ნაყოფი. აღნიშნული ეპისტოლის თანახმად, პირველ მათგანს ის მოიმკის, ვინც ძმთმოყვარე და გლახაკთმოწყალეა, ხოლო მეორეს ამპარტავანნი და ხორციელი სიამისმოყვარულნი მიიღებენ. წმინდა ამონა ურჩევს სულიერ შვილებს, ნუ დაკარგავენ სიმართლის ნაყოფს, რომელიც სასუფეველის მკვიდრობის წინაპირობაა. მოვიყვანთ ციტატას: .. „ნაყოფი თქუენი ცოცხალ არს“. ეს კი კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ქართული თარგმანის წყაროდ ბერძნული დედანი ვიგულებოთ.

ამასთან, მართებულია აღნიშნული სიტყვის (ხილი, ძვ. ქართ. ნაყოფი – ქ.მ.) ხსენება შესაბამის ადგილას იმიტომ, რომ ადრექრისტიანული ასკეტები სხეულს არ მოიაზრებდნენ როგორც დამაბრკოლებელს უფლისკენ გზაზე სვლისას, არამედ მას უყურებდნენ, როგორც ტაძარს, რომელშიც წმინდა სული მკვიდრდება. ამგვარი შეხედულება კი ამოიზარდა წმინდა წერილზე, კერძოდ, პავლე მოციქულის სწავლებაზე: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ, და სული ღმრთისაჲ დამკვდრებულ არს თქუენ შორის“? (1კორ. 3,16-17). აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამონას წერილებში ბიბლიური ციტატების მოხმობისას განსაკუთრებით დომინირებს ციტატები პავლეს ეპისტოლეებიდან.

კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც გამოსაკვეთია ქართული თარგმანის ამონას სხვა ვერსიებთან შესადარებლად, არის „საღვთომხურვალება“ („Θεομῆξις“). აღნიშნულ მდგომარეობას მოღვაწე ლოცვის შემდეგ მოიპოვებს. ქართულ ვერსიაში ნეტარი ამონა ურჩევს სულიერ შვილებს, ამგვარი მდგომარეობის დაკარგვის შემთხვევაში როგორ უნდა მოიპოვონ ღვაწლის გზით კვლავ იგი: „უკუეთუ იხილოთ, ვითარმედ განდგა და დაგიტევნა თქუენ საღმრთო მან მჭურვალე ბამან, კულად ეძიებდით და მოგიჯდის თქუენ საღმრთო იგი მჭურვალე ბამან. ეგრეთ არს, ვითარცა ცეცხლი, რომელმან სიციველ იგი სულისაჲ თუისითა ძალითა მჭურვალე ბამან გარდააქციის“.

მკვლევართა აზრით, აღნიშნულ პასაჟში ამონას ეპისტოლეთა არაბული და სირიული ტექსტები აგრძელებენ წმინდანის ლოცვის შესახებ საუბარს სიხარულის მისაღებად, თუმცა, მხოლოდ ბერძნული ტექსტი ამ სიტბოს განსაზღვრავს, როგორც „Θεομῆξις - ღვთიური სიტბო“. როგორც დავინახეთ, შესაბამისი ქართული თარგმანი ბერძნულის მსგავსად განმარტავს აღნიშნულ ტერმინს.

ამდენად, ჩვენ მიერ მოხმობილ ქართულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, მიუხედავად სირიული ტექსტის არქაულობისა და ქართულ ტექსტთან ეპისტოლეთა თანამიმდევრობის იგივეობისა, ქართული ტექსტი უნდა მომდინარებდეს დაკარგული ბერძნული ვერსიიდან, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს დედანი დღეს მოღწეული სირიული ტექსტისა.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა ამონას ეპისტოლეებთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მეორე, ე.წ. არაბულ კრებულში აღნიშნული ეპისტოლეები მოთავსებულია ანტონი დიდის ეპისტოლეებთან ერთად. მკვლევართა დასკვნით, აღნიშნულ კრებულში ამონას წერილები იმიტომ მიაწერეს ანტონი დიდს, რომ იგი განსაკუთრებული ავტორიტეტით გამოირჩეოდა შუასაუკუნეების კულტურაში¹. აქვე შევნიშნავთ, რომ ორივე მოღვაწის წერილებში გვხვდება ერთი და იგივე ტერმინი δὲν ἄμειβεν, ὁλονδ სხვაობა ისაა, რომ აღნიშნული ტერმინით ამონას ეპისტოლეებში გადმოცემულია როგორც „სული“, ასევე, „ღვთიური ძალა“, მაშინ, როცა ანტონი თავის წერილებში სულს უწოდებს „ღვთიურ ძალას“.

რუბენსონის თანახმად, ამონასთან ცნებები ღვთიური ძალა და ენერგია იგივეა, რაც სულის ცნება. ის ამბობს: ღვთიური ძალისა და ენერგიის ცნებებს უკავშირდება სულის ცნება².

1 იქვე, 362,

2 იქვე, 370.

ისევე, როგორც ანტონი დიდთან, ამონას ეპისტოლეებშიც იკვეთება მამაშვილური დამოკიდებულება წინამძღვარსა და მონასტერში მოღვაწე ძმებს შორის. ამონა მათ უწოდებს „ნამდვილ ისრაელიანებს“, საყვარელ ძეებს. მისთვის მონაზვნობა აღთქმის შვილობაა, რადგან ასკეტური მოღვაწეობა ადამიანს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარს ანიჭებს. ამიტომაც განეკუთვნათ წმინდა ძმებს სასუფევლის ძეობის პატივი. ღირსი ამონა შესთხოვს უფალს, აზიაროს ამგვარ სიბრძნეს ჯერ კიდევ გამოუცდელი სულიერი ძმები: „მოვიდრეკ მუხლთა ჩემთა ღამეზე და დღეზე უფლისა მიერ იესუ ქრისტესა თქუენტუის, რადთა მოგცეს თქუენ გამოცხადებად მეცნიერებითა თუისითა და რადთა განანათლეს თუალნი გონებათა თქუენტანი“.

აღსანიშნავია, რომ ორივე წმინდანის - ანტონი დიდისა და ნეტარი ამონას - თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები შემოგვრჩა ერთი და იმავე სინური კოლექციიდან: sin. 35 და sin. 25 (X). ორივე გამოავლინა და სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად გამოსცა ჟ. გარიტმა 1950 წელს. ანტონი დიდის შვიდივე ეპისტოლე მან 1955 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა¹.

სამუელ რუბენსონის თანახმად, უკვე მეხუთე საუკუნის დასაწყისში შენუტე და მისი მემკვიდრე ბესა ამონას კოლექციიდან მთელ რიგ პასაჟებს მიაკუთვნებდნენ ანტონი დიდს. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, სწორედ წმ. ანტონის დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა, რომ მეორე არაბულ კოლექციაში ამონას ეპისტოლეების ავტორად ის მიიჩნიეს. ორივე მამა თავიანთ სწავლებებს იწყებს ჯერ კიდევ გამოუცდელი სულიერი შვილების მოკითხვით, რომლებშიც იკვეთება მოძღვრის მზრუნველი დამოკიდებულება მათადამი. მაგ., ანტონი დიდის მეორე ეპისტოლის დასაწყისში ვკითხულობთ: „საყვარელთა და პატიოსანთა ძმათა ანტონი უფლისა მიერ გიკითხავ“. ანალოგიური შინაარსისაა ამონას ეპისტოლეთა დასაწყისი ფრაზებიც: „საყვარელთა მაგათ უფლისა მიმართ სიყუარული“ (პირველი ეპისტოლე), „პატიოსანთა მაგათ უფლისა მიმართ სიხარული“ (მეორე ეპისტოლე), „საყვარელთა ძმათა ქრისტეს მიმართ სიხარული“ (მეოთხე ეპისტოლე) და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ შემსგავსებული ფრაზებით მიმართავს ღირსი მაკარი ეგვიპტელი ბერებს თავის წერილებშიც: „მშდობად თქუენდა ჩემ მიერ, შვილნო ჩემნო საყუარელნო, გიკითხავ თქუენ, სასურველნო და საყუარელნო სულისა ჩემისანო“². ამგვარი მსგავსება უნდა აიხსნას იმ საერთო სულიერი ატმოსფეროთი, რომელშიც დიდი ასკეტი მამები: ანტონი დიდი, ამონა მონაზონი და მაკარი ეგვიპტელი მოსაგრებდნენ. ესაა ერთი სულიერი სკოლა, რომელიც წმინდა წერილის ფურცლებზე ამოიზარდა და რომლის სულიერი წინამძღვრებიც მაცხოვრისა და მისი მოწაფეების ამქვეყნიური ცხოვრების ღირსეული მიმდევრები არიან.

წმინდა ამონას მსგავსება ანტონი დიდთან იმითაც იკვეთება, რომ იგი სულიერ შვილებს არა მარტო წერილობით მოძღვრავს, არამედ ზეპირადაც, დიალოგის ფორმით. ამგვარი ურთიერთობის ნიმუშია ღირსი ამონას მერვე ეპისტოლე. მასში ავტორი ადრესატს აღუთქვამს, რომ რაც ქარტაში წერილობით სრულად ვერ გადმოსცა, პირისპირ შეხვედრისას ზედმიწევნით აუწყებს: „ოდეს მოვიდე უსრულეწსადრე, გითხრა თქუენ სულისა მისგან ცეცხლისა და ვითარ-იგი ღირს მისი მოგებად და გაუწყო თქუენ ყოველივე იგი მისი სიმდიდრეზე, რომლისათუის ვერ ძალ-მიც აწ ქარტასა რწმუნებად“. მსგავსი დაპირება გვხვდება ამონას ეპისტოლეთა სხვა

1 ჟ. გარიტი, წმ. ანტონი დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია, 1955 წ. ჟ. გარიტისვე ცნობით, არსებობდა ამ ეპისტოლეების ბერძნული ვერსიაც, რომელიც მე-16 საუკუნეში ხელმისაწვდომი იყო. დღეს მათი ფრაგმენტებია შემორჩენილი. ჩვენამდე მოაღწია ამ ეპისტოლეების ორმა ლათინურმა თარგმანმა: პირველი თარგმანს ვალერიუს დე სარასიუსმა 1555 წელს, მას ცნობილი პატროლოგი კვასტენი უარყოფითად ახასიათებს. მეორე, ლათინური თარგმანი, მომდინარეობს არაბულიდან, ეკუთვნის მარონიტ აბრამ ექელენსიას. მიუხედავად პირველი ლათინური თარგმანის უარყოფითი შეფასებისა, ის არ კარგავს თავის მნიშვნელობას ქართული თარგმანის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის ასახსნელად.

ანტონი დიდის ეპისტოლეების ფრაგმენტები შემორჩენილია კოპტურ ენაზეც. მისი სრული არაბული ვერსია დღემდე გამოუცემელია.

2 ნინუა 1982: 109.

მონაკვეთებშიც. რუბენსონის თანახმად¹, მეხუთე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე კოპტი ბერები არსებულ წერილებს მიიჩნევენ იმავე სულიერი ტრადიციის მატარებლებად, როგორც ახასიათებდა ანტონი დიდს. აქვე შევნიშნავთ, რომ სერაპიონ თმუისელის „მაკარი ეგვიპტელის ცხოვრებაშიც“ გვხვდება შემსგავსებული ფრაზა, როცა მონასტრიდან მოშორებით მყოფი მაკარი დიდი ჰპირდება ბერებს, რომ უკან დაბრუნებისას უფრო მეტს აუწყებს, ვიდრე წერილით დამოდვრისას. აღნიშნული მსგავსება ისევ და ისევ საერთო სულიერი გარემოთი უნდა აიხსნას.

ანტონი დიდსა და ამონა მონაზვნის ეპისტოლეთა შორის მსგავსება იკვეთება ორი კრებულის სტილსა და გამოთქმებშიც. მეცნიერთა აზრით, მართალია, ამონას წერილები ნაკლებად ფორმალურია, ხშირად არ აქვს მკაფიო შესავალი და დასკვნითი ნაწილი, ეპისტოლეები არ არიან ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოყოფილნი, ისინი იმავე ფორმით მიემართებიან ადრესატს და გამოყენებულია ისეთივე ფრაზები, როგორც ანტონი დიდის ეპისტოლეებში. ორივეგან ხაზგასმულია მათი დამოკიდებულება სულიერ შვილებთან, ორივე შემთხვევაში ისინი მათ უწოდებენ უფლისმიერ საყვარელ შვილებს, თავიანთ ძმებს. ხაზს უსვამენ მათდამი ზრუნვას. ერთმანეთის მსგავსია მათი გამოთქმებიც. ორივეგან აქცენტი გაკეთებულია დღე და ღამე ანუ გამუდმებულ ლოცვაზე. გარდა ამისა, ორივეგან გვხვდება საუბარი იაკობის ჭიდილის შესახებ ღმერთთან, როგორც მაგალითისა ბერების განსაცდელისა. უფრო მნიშვნელოვანია ციტატა სოლომონის სიბრძნიდან (1:4-5). ორივეგან ხაზგასმულია, რომ ის, ვინც სული მიიღო, წმინდაა. ორივეგან პნევმას ნაცვლად წერია ბიბლიური სოფია, სიბრძნე. იგივე ბიბლიური პასაჟი იმავე მოდიფიკაციით გამოიყენა ევაგრემ ჭვრეტის შესახებ საუბრისას. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ ანტონიცა და ამონაც მოიხმობენ ერთსა და იმავე პასაჟს პავლე მოციქულის ეპისტოლიდან. კერძოდ, ესაა ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე (მეორე, 3-5). აღნიშნული ეპისტოლე მოხმობილია ადრესატის გასაფრთხილებლად².

ღირსი ამონას შეგონებებიდან პირველი და მეორე სწავლა საუფლო გზაზე მოგვითხრობს. ეს გზა სხვადასხვა სულიერი საფეხურისგან შედგება. ეს საფეხურებია: ღვთის შიში, ცრემლი და სიხარული. ამ საფეხურებზე ასვლისას მოღვაწეს წინ უფლისგან დადგენილი ანგელოზი მიუძღვება. მეორე სწავლაში ამონა ღვთის გზაზე მავალ მოწაფეებს ამპარტავნების ვნებისგან თავშეკავებას ურჩევს, რაშიც მათ ლოცვა შეეწევა: „ხოლო თქვენ, საყუარელნო ჩემნო, წინააღუდექით სულსა მას ცუდადმზუაობრობისასა და მარადის ილოცევდით, რადთა სძლოთ მას ყოველსა შინა, რადთა მადლი იგი ღმრთისაჲ მარადის თქვენ თანა იყოს“.

ამავე გზაზე საუბრობს წმინდანი მერვე ეპისტოლეშიც. იქ იგი ადრესატის ყურადღებას ამახვილებს ცათა საფეხურებზე, რომელთაც წმინდანის სული აივლის. სათქმელის საილუსტრაციოდ მას ელია წინასწარმეტყველის მაგალითი მოჰყავს: „ოდეს ამაღლდებოდა ელია წინამსწარმეტყველი, ვითარცა აღიწია პირველსა მას ცასა, უკვირდა მისი იგი სინათლეჲ და ახდა მეორესა მას, უფროსად უკვირდა და თქუა: ვგონებ, ვითარმედ ბნელ არს ნათელი იგი პირველისა მის ცისაჲ“.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული სწავლება მარადიული ცხოვრების შესახებ მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ამონას ეპისტოლურ მემკვიდრეობაში წინა პლანზეა წამოწეული. ეს ასპექტი ანტონი დიდის ეპისტოლეებში არ გვხვდება. თუმცა, შესაძლოა, ამ საკითხს მეუდაბნოე ცხოვრების ფუძემდებელი შეეხო სხვა რომელიმე ზეპირ ქადაგებაში, რომელიც ჩვენთვის უცნობია.

ამონას მისტიციზმი საიქიო ცხოვრების შესახებ მისი სულიერი გამოცდილების შედეგია და ისევე თავისუფალია ყოველგვარი თეორიის გავლენისგან, როგორც, ზოგადად, მთელი მისი შემოქმედება. მასში განჭვრეტილია ადამიანის სულის მოგზაურობა გარდაცვალების შემდეგ და ზეასვლა სინათლიდან სინათლეში, ერთი ციდან მეორე ცაში, დაპირისპირება ჰაერის

1 Rubenson 2011: 192.

2 იქვე, გვ. 193.

მცველებთან და საღვთო ძალმოსილებით მათი ძლევა. ეს სწავლება, ამავე დროს, გულისხმობს ადამიანის სულიერ ზეადსვლას, საღმრთო მოღვაწეობის გზით რომ მიიღწევა. როგორც ვხედავთ, აშკარაა მსგავსება აღნიშნულ აპოკრიფსა და ამონას მისტიკურ სწავლებას შორის სულის იმქვეყნიური მდგომარეობის შესახებ.

ცათა მოხილვის შესახებ მოგვითხრობს წმინდა პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეში: „ვიცი კაცი ქრისტეს მიერ უწინარეს ათოთხმეტისა წლისა, გინა თუ ჯორცითა, არა ვიცი, გინათუ თვნიერ ჯორცთასა, არა ვიცი, ღმერთმან იცის, აღიტაცა ესევეთარი კაცი ვიდრე მესამედ ცადმდე... რამეთუ მიიტაცა სამოთხედ და ესმნეს უთქუმელნი სიტყუანი“ (2 კორ. 12, 2,4). პავლე მოციქული ახსენებს სამ ცას, რომელთაგან, წმინდა გრიგოლ ნოსელის სწავლებით, პირველი ცა - ეს არის „უშუალოდ დედამიწის გარშემო მოთავსებული მთვარის ქვემო ანუ ქვემთვარეული სფერო“, ხოლო მეორე ცა - „ვარსკვლავური ანუ ზემთვარეული სფერო“¹. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ელია წინასწარმეტყველი სწორედ აქ ამალდა: „უწყოდა მან წინასწარმეტყველი (იგულისხმება ელია - ქ.მ.), რომელიც ამალდა, მაგრამ - თითქოსდა ცაში. სიტყვა „თითქოსდა“ აღნიშნავს ჭეშმარიტებისგან განსხვავებულს, რადგან ელიამ ადგილს ადგილი შეუნაცვლა, მაცხოვარი კი იქ ავიდა, საიდანაც ჩამოვიდა“². საეკლესიო სწავლებით, ელია წინასწარმეტყველი კვლავ გამოჩნდება ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ და ანტიქრისტეს მიერ მოიკვლება: „ამასთან, მოივლინებიან ენუქი და ელია თეზბიტელი და მოაქცევენ მამათა გულებს შვილებისადმი, ესე იგი - სინაგოგას ჩვენი უფლის, იესო ქრისტესადმი და მოციქულთა ქადაგებისადმი, შემდეგ კი მოკლულნი იქნებიან მისგან“³.

რაც შეეხება მესამე ცას, სადაც ატაცებულ იქნა პავლე მოციქული, ზემოთ ხსენებული იმავე წმინდა გრიგოლ ნოსელის სწავლებით, არის „საკუთრივ „სამყარო“, იგივე მესამე ცა, უზემოესი სარტყელი ხილული შესაქმისა, სადაც მდებარეობს წმ. პავლეს მიერ ხილული სამოთხე“⁴.

ამგვარად, მერვე ეპისტოლეში გადმოცემული უწყება ელიას მიერ ორი ცის მოხილვის შესახებ სავსებით ეთანხმება საეკლესიო სწავლებას იმასთან დაკავშირებით, რომ წმინდა წინასწარმეტყველმა ხორციელად გადაინაცვლა მხოლოდ ერთი ადგილიდან (პირველი ციდან) მეორეში (მეორე ცაში) და არა სამოთხეში, რომელიც ზოგიერთი წმინდა მამის მიერ (მაგ. წმინდა გრიგოლ ნოსელი), წმინდა პავლე მოციქულის ზემოთ მოყვანილ სიტყვებზე დაყრდნობით (2 კორ. 12,2,4), მესამე ცასთან არის გაიგივებული⁵.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია პარალელის გავლება მოგვიანო ეპოქაში შემორჩენილ ერთ ქართულ ხელნაწერთან (A 1076, 1862 წ). აღნიშნულ ნუსხაში აღმოჩნდა დიალოგური ფორმით წარმოდგენილი ნაწარმოები, რომლის ანალოგი არცერთ სხვა ქართულენოვან ხელნაწერში ვერ ვნახეთ. ესაა გარდამავალი პერიოდის ძეგლი, რომელშიც მაკარი დიდს ჭაბუკის სახით მოვლენილი ანგელოზი აუწყებს, თუ რა სულიერ საფეხურებს გაივლის გარდაცვლილი ადამიანის სული და ამ გზაზე სვლისას როგორ შეეწევა მას ამქვეყნად აღსრულებული კეთილი საქმეები⁶. როგორც ჩანს, მეოთხე საუკუნის ეგვიპტის სამონასტრო გარემოში ძალზე აქტუალური იყო აღნიშნული თემატიკა, იქ მოღვაწე ადამიანების ცხოვრების წესიდან გამომდინარე, და, შესაბამისად, დიდია ამონასა და მაკარის შემოქმედებას შორის თანხვედრა.

რუბენსონის აზრით, ანტონი დიდის დოგმატურ და ობიექტურ სწავლებას ამონას ემოციური და პიროვნული განცდანი ცვლის. თუ ანტონი თავის ეპისტოლეებში ხაზს უსვამს ცოდნის

1 ჭელიძე 1989: 301.

2 იოანე ოქროპირი 2004: 24.

3 იოანე დამასკელი 2000: 460.

4 ჭელიძე 1989: 301.

5 აღნიშნული მასალა პავლე მოციქულის მიერ ცათა მოხილვის შესახებ მოგვაწოდა თეოლოგმა გიორგი თოდუამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მას.

6 მამასახლისი 2021:109-113; 240-256.

მნიშვნელობას, წმინდა ამონასთან თვითშემეცნება დიდწილად შეცვლილია გამოცდილებით, ძალებისა და მადლის სიტკბოების შესახებ მსჯელობით. ანტონი დიდის ანთროპოლოგიური შეხედულებები ადამიანის ინტელექტუალური სუბსტანციის შესახებ საერთოდ არ გვხვდება წმინდა ამონთან. ჩვენ მიერ მოხმობილ მაგალითში იგი საუბრობს სწორედ იმ რამზე, რომ ზეციურ წიაღსვლაზე, ადამიანის შიგნით რომ მიმდინარეობს. მწერალი წინა პლანზე წამოსწევს მისტიკურ გამოცხადებებს და ადრესატს უზიარებს თავის გამოცდილებებს.

ამდენად, ამონა მონაზონი მისტიციზმის ერთ-ერთი უადრესი წარმომადგენელია, რასაც საკუთარი სულიერი მჭვრეტელობითი გზით აღწევს.

ადრექრისტიანული ასკეტიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე მკვლევარი და ქართველოლოგი ბ. უტიე აღნიშნავს, რომ ეგვიპტეში მოღვაწე მამების - ანტონი დიდის, ამონას, მაკარის, არსენის, სერაპიონის - წერილები, მიუხედავად იმისა, რომ საერთო მოძრაობის ნაყოფია, ინარჩუნებენ ორიგინალურობას. ნიშანდობლივია, რომ მათ აქვთ, ერთი მხრივ, ანტიკური ეპოქის სურნელი, მეორე მხრივ, ისინი საშუალებას გვაძლევენ, ჩამოვაცალიბოთ ზოგადი იდეა სულიერი ცხოვრებისა და აღვიქვათ სამონასტრო გარემო, სადაც ეს წმ. მამები მოსაგრეობდნენ. ისინი დაიბადნენ დუმილის უდაბნოში და სავსეა სიხარულით, მამობრივი გრძნობით, რომელიც ახლავს მისტიკურ ცხოვრებას. ესაა გულისმეტყველება, მსგავსი რამ ძნელი მოსაძებნი იქნება მეოთხე საუკუნის შემდგომ სამონასტრო ცხოვრებაში. ისინი შექმნილია ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. ესაა სრული შესაბამისობა სულის მოთხოვნებთან¹.

ღირსი ამონა მონაზონის ასკეტიკურ-მისტიკურ სწავლებაში რამდენიმე წამყვანი თემა იკვეთება. წმინდა წერილსა და მეუდაბნოე მამათა შემოქმედებასთან პარალელების გავლებით შევეცდებით, გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

წმინდა ამონას ასკეტიკური ხასიათის ეპისტოლეების მთავარი თემა სულიწმიდის, ზოგადად, ღვთის მადლის მოპოვებაა. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მის აღსანიშნავად ღირსი მამა იყენებს ასეთ ტერმინს - ძალა. ამ ტერმინში იგი მოიაზრებს სულს, იმავე ღვთის ძალას ან მადლის ძალას. მარტივია იმის დანახვა, რომ ეს ძალა იგივე სულიწმიდაა. ღირსი მამა მას მოიხსენიებს რამდენიმე სახელით: ჭეშმარიტების სული, თვინიერების სული ან ცეცხლის სული. ესაა აღნიშნულ ეპისტოლეთა ლაიტმოტივი. წმინდა ამონა სათქმელის გამოსახატავად იყენებს წმინდა წერილს. კერძოდ, ამბობს, რომ ესაა სახარებისეული ძვირფასი მარგალიტი, რომლის შესაძენად კაცმა მთელი სიმდიდრე გასცა. ამონა საუბრობს უმაღლესი ღვთიური საჩუქრის შესახებ, მაგრამ აქვე მიუთითებს იმ წინაპირობების შესახებ, რომელიც მის მოპოვებას ახლავს².

წმინდა ამონას ეპისტოლეთა თანახმად, სულიწმიდისა და ღვთის მადლის გარეშე ყოველგვარი ღვაწლი ამაოა. სწორედ მათი დახმარებით სძლევს ასკეტი სხვა ძალებს, დაითმენს განსაცდელს და მოიპოვებს საღვთო მხურვალეობას (“*Θεῖον Θείον*”). საღვთო მხურვალეობა, იგივე სიტბო, არ ეძლევა იმ მონაზონს, რომელიც სიზარმაცის ვნებითაა ძლეული. მას მოიპოვებს მხოლოდ ღვთის ნების აღმსრულებელი. ამონას სწავლებით, ღვთის ნების აღსრულება გულისხმობს საკუთარი ეგოისტური სურვილის მოკვეთას, ვნებათა ძლევას. ესაა სწორედ სახარებისეული „იწრო“ გზა, რომელიც სასუფევლისკენ მიგვიძღვება. ამ გზაზე მავალი ადამიანი ხდება ღვთის მონა, რომელიც წინაპირობაა უვნებობისა.

ამდენად, ამონას მისტიციზმის მთავარი თემაა სულის განწმენდა, რომლის მიზანია სრულყოფა მოღვაწისა. საკუთარი გამოცდილების თანახმად, ამონა აღწერს ღვთიური საჩუქრის შედეგებს და ურჩევს ბერებს, რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ღირსეულად დაითმინონ განსაცდელი და დაძლიონ ცთუნებები. ესაა ორიგინალური სწავლება, რომელიც, ძირითადად, ბიბლიური წარმომავლობისაა³.

1 Outtier 1985: 8.

2 Outtier 1985: 4.

3 Copticplace. com/Saints -E/ Lives - of Saints / Amoun. htm/ Lives of the Saints. Two thousand Years of Coptig Christianity გვ. 155. The Coptic Church. Its Chuches and Monasteries

რუბენსონის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ანტონი დიდიცა და ღირსი ამონაც ხაზს უსვამენ ცოდნისა და გაგების მნიშვნელობას, ამ უკანასკნელის ეპისტოლეებში აქცენტი გადატანილია საკუთარ გამოცდილებასა და გამოცხადებაზე. ამონა უფრო მეტს საუბრობს იმის შესახებ, რაც ენიჭება მოღვაწეს. როგორც დავინახეთ, ესაა ღვთიური ძალა, იგივე მადლი. უფრო რთულ მონაკვეთებში, სადაც საუბარია პნევმატოლოგიასა, ქრისტოლოგიასა და ანთროპოლოგიაზე, ორივე წმინდა მამას აქვს საერთო შეხედულებები. **ორივე ამბობს, რომ ბერის ცხოვრებაში მონაწილეობს სხვადასხვა სული. ესაა სული სინანულისა და განწმენდისა. ისინი სულიწმიდას მოიხსენიებენ ერთი ტერმინით - ძალა, რომელიც დაკავშირებულია ცეცხლთან.** მიუხედავად იმისა, რომ ანტონი დიდთან უფრო დაწვრილებითაა საუბარი გამოხსნის არსზე, ამონას ეპისტოლეთა ერთადერთ მონაკვეთში ვხვდებით მსჯელობას ქრისტეს გამომხსნელობითი მისიის შესახებ. წმინდა მამას აღნიშნულ პასაჟში ციტირება მოჰყავს ანტონი დიდის სწავლებიდან. ანტონი დიდი ხაზს უსვამს, რომ ქრისტე განკაცდა, რათა გავეთავისუფლებინეთ ცოდვის ტყვეობისგან, დაითმინა ტანჯვა. ამონა იზიარებს ანტონის გამომხსნელობით სწავლებას, ის მისი სულიერი მემკვიდრეა. ამონა თავის ეპისტოლეებში იმეორებს იმ პასაჟს, რომელიც შემონახულია აპოფთეგმათა ანბანურ კრებულში. იგი საუბრობს სამი სახის მოძრაობის შესახებ.

ანალოგიურ საკითხზე მსჯელობისას ანტონი წერს, რომ ესაა ვნებათა განახლების შედეგი. მისი მსჯელობის თანახმად, პირველი მოძრაობა ღმერთმა ბუნებრივად დათესა ადამიანში, მეორე ჩვენი ნებიდან გამომდინარეობს. მესამე ბუნებრივია ყველა მამაკაცში. ანალოგიურად მსჯელობს ამონა და პავლე მოციქულის სიტყვებზე დაყრდნობით შესაბამის ადგილას წერს: „სამი არს ნებად, რომელი თანა უვალს კაცსა დაუცადებელად და არამრავალთა მონაზონთა ცნეს ესე და გარნა რომელნი სრულყოფილ არიან, რომელთათვის უთქუამს მოციქულსა: „სრულთაჲ არს მტკიცეცჳ იგი საზრდელი, რომელთა-იგი სახეთა გონებანი წურთილნი ჰქონედ გამორჩევად კეთილისა და ბოროტისა“ (ებრ.5.14). და რომელნი-მე არიან სამნი ესე? რომელ-იგი მტერისაგან იშვებიან და რომელ-იგი ღმრთისა მიერ გონებასა კაცისასა დაითესვის, ამათ სამთაგანსა თუისსა მას ხოლო შეიწყნარებს ღმერთი“. ყოველივე აქედან გამომდინარე, რუბენსონი ასკვნის, რომ ამონი ანტონი დიდის მოწაფე იყო და მასზე დამოკიდებული¹.

ღვთის მადლის მოპოვებაზე მსჯელობას ამონა მესამე ეპისტოლეში განაგრძობს. იგი დაყუდებით და საკუთარ თავში ჩაღრმავებით მიიღწევა. „ვნებათა მათ სძლეთ დაყუდებითა და თავისა თუისისა განკითხვითა და ყოვლისაგან ბოროტისა სივლტოლვითა და ესრეთ ძალი ღმრთისაჲ თუით მოვიდეს“. ღირსი ამონა ბერებს არა მარტო შინაგანი მადლის მოპოვებისკენ მოუწოდებს, არამედ ურჩევს, თავი შორს დაიჭირონ საკუთარ ნებას მინდობილი მონაზვნებისაგანაც: „რაჟამს უკუე იხილნეთ ეგევითარნი, კეთილსა უყოფდით, ხოლო თანა ნუ აღერევით, რამეთუ იგინი არიან, რომელნი არა უტეობენ კაცთა წარმატებად“ (მეოთხე ეპ.). **მარტომყოფობას** რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სულიერი მოღვაწეობის გზაზე, ეს აზრი იკვეთება იმ თავშეკავებაშიც, რასაც ამონა, ზოგადად, ნებისმიერ ძმასთან სიახლოვეზე საუბრისას ამბობს: „ნუ მოიგებ თავისა შენისა მეგობარსა მრავალსა, კმა იყავნ ერთიცა უძღურებისა მისისათვის“.

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა წინამძღვრისა მისგან შორს მყოფი სულიერი შვილების მიმართ არის ის, რომ **არ დატოვონ სამოღვაწეო ადგილი**. აღნიშნულ ეპისტოლეებში ამონა ანუგეშებს თავის სულიერ შვილებს და საუბრობს იმ ცდუნებათა შესახებ, რომლებიც მოღვაწის წინაშე დგას. იგი აფრთხილებს მათ, რომ სენაკის თვითნებური დატოვება დიდ საფრთხეს შეუქმნის მათ სულს.

თუ ადრეულ სამონასტრო წეს-განგებებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ამგვარ აკრძალვაზე მოგვითხრობს პახომი დიდისა თუ ბასილი დიდის ტიპიკონები. თუ რატომ იკრძალება

¹ Rubenson 2011: 194.

სამონასტრო ადგილის შეცვლა და რა საფრთხეებს შეიცავს იგი, ამის შესახებ ღირსი ამონა დაწვრილებით განუმარტავს სულიერ შვილებს მეცხრე ეპისტოლეში. ამ ეპისტოლის მიხედვით, **მონასტრის კედლების დატოვება ღვთის ნების უარყოფა და საკუთარ ნებას მიწოდებაა**. ნათქვამის უკეთ შესამეცნებლად წმინდა ამონა ბიბლიური ადამისა და ევას ცოდვით დაცემას იხსენებს და ბერებს საკუთარი ნების ღვთის ნებისადმი დამორჩილებისკენ მოუწოდებს: „რომელი შეუდგეს ნებასა ღმრთისასა, დასაბამსა დიდი დაითმინის შრომად, ხოლო უკუანადსკნელ პოვის სიხარული და განსუენება“.

წმინდა მამის თანახმად, ღვთის ნებას დამორჩილება მოღვაწისათვის სულიერი მშობლის ნებისადმი დამორჩილებას გულისხმობს. ასეთი მორჩილების მაგალითად და მისი კეთილი შედეგის საილუსტრაციოდ ამონა მონაზონს ბიბლიური იაკობი მოჰყავს და ასკვნის: „აწ უკუე დაითმინეთ მამისა თქუენისა ამას ჯერსა, რადთა იყოს თქუენდა განსუენება და წარმატება“.

მონასტრული ცხოვრების ისტორიაში არა მხოლოდ მონასტრის წევრები იყვნენ მოვალენი, წინამძღვრის ნებართვის გარეშე არ დაეტოვებინათ სამოღვაწეო ადგილი, ასევე წინამძღვარიც ვალდებული იყო, არ მიეტოვებინა იგი. თეოდორე სტუდიელის ანდერძში ცალკე თავი ეთმობა წინამძღვრის ვალდებულებებს. აღნიშნული თავის ერთი პუნქტი სწორედ ამ აკრძალვას ეხება: „არ დაუტევო შენი სამწყსო, შენი სამძმოს თანხმობის გარეშე სხვა მონასტერში მსახურებისთვის არ გადახვიდე და არც უკან დაბრუნდე“¹.

ნიშანდობლივია, რომ ამონა მონაზვნის თქმით, ნებისყოფაზე გამარჯვება შეუძლებელია მარტოობის გარეშე, რადგან მარტოობა საკუთარ ნებისყოფაზე გამარჯვებაა. **სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ამგვარი მდგომარეობა იგივე ერემიტიზმია, ანუ მეუღლებოება. აქედან გამომდინარე, ამონას ეპისტოლეთა ერთ-ერთი მთავარი სათქმელი მეუღლებოების უპირატესობის ჩვენებაა**. იგივე აზრი იკვეთება ერთ ქართულ აპოფთეგმაში, რომელშიც წმინდა ამონა მასთან რჩევის საკითხად მისულ ბერს ეუბნება, რომ თუ ცხოვნება სურს, სენაკში უნდა დაეყუდოს. აღნიშნულ პატერიკზე დაწვრილებით ამონას ბიოგრაფიაზე საუბრისას შევჩერდით და აქ აღარ განვაგრძობთ საუბარს.

შევნიშნავთ, რომ ღირსი მამა თავის ეპისტოლეებში წუხს იმის გამო, რომ მოღვაწეთა შორის მხოლოდ მცირედი ნაწილია, რომელმაც მარტომყოფობას შეუდგა. მათი უმრავლესობა უარს ამბობს ამგვარ მოღვაწეობაზე. დაყუდებას მოიაზრებს ვნებებისგან განძარცვის წინაპირობად ღირსი მამა მეოთხე ეპისტოლეში და ძმებს ასეთ რჩევას აძლევს: „ვნებათა მათ სძლეთ დაყუდებითა და თავისა თუისისა განკითხვითა და ყოვლისაგან ბოროტისა სივლტოლვითა და ესრეთ ძალი ღმრთისად თუით მოვიდეს, განძლიერდით სულითა“!

ამონა, რომელიც მარტოობას ანიჭებს უპირატესობას, თავის ერთ ეპისტოლეში (მე-11, 4) შენიშნავს, რომ თუ კაცი არ მოიკვეთს თავის ნებას და ასე არ წარდგება მამების წინაშე, ის ვერ გაიგებს ღვთის ნებას. საკუთარი ნების მოკვეთა ესაა ქრისტეს შედგომა და მისი მიმდევრობა². სოფლის უარყოფა, როგორც უფალთან მიახლების გზა, სახარებისეული სიბრძნით ასე გამოიხატება: „და ყოველმან, რომელმან დაუტეოს ძმანი ანუ დანი, ანუ მამად, ანუ დედად, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათვის ასწილად მიიღოს და ცხორებად საუკუნოდ დაიმკვდროს“ (მთ. 19.29).

ამონა ასევე უარყოფს დიდების სულს, ესაა იგივე შემფოთების სული, რომელმაც ბევრი მოღვაწის გულში მარტომყოფობის სურვილი ჩაკლა. ამ სულით შეპყრობილნი ტოვებენ თავიანთ სენაკებს ახლობლის დახმარების საბაბით და შორდებიან უფალს. წმინდა მამა სთხოვს მოღვაწეებს, თავი შეიკავონ დაუდევარ ბერებთან ურთიერთობისგან, რომლებიც აფერხებენ მათ სულიერ წინსვლას. სავარაუდებელია, რომ ანტონი დიდისა და ამონას მოწაფეებს ერთმანეთთან ურთიერთობა ჰქონდათ. ეს ყოველივე კარგად ჩანს აღნიშნული მიმოწერებიდან.

1 ჯორბენაძე 2022: 126.

2 Outtier 1985: 5.

ამონას სწავლებით, მარტოობა არაა საკმარისი ცხოვრებისათვის. საღვთო ძალის მოსაპოვებლად მოღვაწე მოვალეა, მოიძულოს ამქვეყნიური პატივი და შფოთი, ზურგი აქციოს ამქვეყნიურ კეთილდღეობას და საკუთარი გული განწმინდოს უწმინდური აზრებისგან დღე და ღამე ცრემლიანი ლოცვით. ბერნარ უტიეს მოჰყავს მამა პიმენის მოგონება ამონას შესახებ, რომლის თანახმად, ერთმა ბერმა 100 წელი დაჰყო მარტო სენაკში, რათა მარტოობის სიკეთეს ზიარებოდა.

ასევე მოითხოვდა გულის გაწმენდას ანტონი დიდი მოღვაწისაგან, თუმცა, ეს გაწმენდა შინაგან მოძრაობას გულისხმობდა, ადამიანის სულში რომ მიმდინარეობს. ამონა უფრო მეტს საუბრობს ამგვარ გაწმენდაზე, რადგან იგი, მისი სწავლებით, წმინდა სულის მოსვლის წინაპირობაა. ამონა მონაზვნის თანახმად, ღვთაებრივი საიდუმლო მხოლოდ მათთვის გაცხადდება, რომელთაც გული გაწმენდილი აქვთ ყოველგვარი ამქვეყნიური ამოებისგან. ამასთან, ამონასთან ღამე და დღე ლოცვა გულისხმობს მარადიულ ლოცვას როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვათათვის.

საღვთო გზაზე სვლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სინანულის სულს, იმავე სინანულის განცდას. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, აღნიშნულ საკითხს ეხებიან ანტონი დიდიცა და ამონა მონაზონიც. თუ როგორ გაიაზრებს აღნიშნულ საკითხს ეს უკანასკნელი, დაწვრილებით შეგვიჩვენებთ. თავდაპირველად წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებს მოვიშველიებთ და ვიტყვით: „სინანული არს მოქცევა ბოროტისაგან და ქმნა კეთილისა“¹. წმინდა წერილი მოგვიწოდებს, „ვყოთ ნაყოფი სინანულისა“ (შდრ.: ლუკ. 3,8). ღირსი ამონას თანახმად, „არა კმა არს აღმოწედა ხოლო ისრის პირისა წყლულებისა მისგან, არამედ წამალისა ჯერ-არს დადებამ“². ეს ღირსი მამა წამალში კეთილ საქმეებს მოიაზრებს.

ნიშანდობლივია, რომ X სწავლაში წმინდა ამონა მონაზონი **სინანულის სულს განარჩევს სიმყუდროვის, სიმშვიდის სულისგან**. მისი სწავლებით, ეს უკანასკნელი მხოლოდ მართალ ადამიანებს ებოძებათ, მაგალითად, ბიბლიურ აბელს. ეს ის სულია, რომლის შესახებაც ქრისტემ მოწაფეებს აღუთქვა: „ნუგეშინისმცემელი მოგივლინო თქვენ, სული იგი ჭემმარიტებისა“ (ინ. 16,7). სიმშვიდის სულისგან განსხვავებით, სინანულის სული ყველა ადამიანზე გადმოდის და განწმენდს მათ არაწმიდებისგან. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოდის მასზე სულიწმიდა.

XI ეპისტოლეში ამონა განარჩევს ერთმანეთისგან ორი სახის მხურვალეობას: საღვთოსა და ადამიანურს. პირველი ცვალებადია, მეორე - მარადიული. საღვთო მხურვალეობა ადამიანურ მხურვალეობაზე უპირატესია. მისთვის უცხოა შფოთი. იგი ადამიანს ყოველგვარ ამქვეყნიურ სიკეთეზე ზურგს აქცევინებს: სიმდიდრეზე, პატივსა თუ ცოლ-შვილზე³. მოგვიანებით, ასეთ მოღვაწეებზე განსაცდელი დაიშვება. ის, ვინც წინ აღუდგება განსაცდელს, მოთმინებას მოიძვის. წმინდა მამა ურჩევს სულიერ შვილებს, მეორე, საღვთო მხურვალეობა, მოიძუშაკონ, რომელიც „აღმოჰკვეთს ყოველსავე მას ვნებასა განრყუნილსა და იგი განმარცუავს ყოველსა სიძულილსა კაცისასა“⁴. ის, ვინც დღენიადაგ გლოვობს საკუთარ ცოდვათა გამო, აღიარებს მათ, მას საღვთო მხურვალეობა ეუფლება, რომელიც მოღვაწეს ყოველგვარი ვნებისგან განმარცვავს და სულს ზეცამდე ამაღლებს. ხოლო ის, ვინც სრულყოფილებას მიაღწია, თავისუფლდება ყოველგვარი შიშისა და ცთუნებისგან. ნათქვამის ჭემმარიტებას ღირსი ამონა ფსალმუნიდან ციტატის მოხმობით ამტკიცებს: „წელიწადნი საუკუნენი მოვიჰსენენ და ვზრახვედ ყოველთა შინა საქმეთა შენთა და სულთა შენთა ვზრახვედ, განვიპყრენ შენდამი ჰელნი ჩემნი და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანაა ურწყული შენდამი“ (ფს. 142,6).

1 იოანე ოქროპირი 1905: 144.

2 საღვთო მხურვალეობის შესახებ საინტერესოდ მსჯელობს წმ. გიორგი მთაწმინდელი „წმ. იოანე და ეფთვიმე ათონელების ცხოვრებაში“. ავტორი ასე ხსნის წმ. იოანეს შემონაზვნების მიზეზს: „ხოლო ვინაფთგან ცეცხლი იგი ქრისტეს სიყვარულისადა გულსა მისსა მძაფრად აღეტყინა, ყოველივე დიდებამ ამის სოფლისადა შეურაცხყო და ნაგევად შერაცხა და მონაგებნი და სიმდიდრე და განსუენებამ“. გიორგი ხუცესმონაზონი 2007: 9-10.

გამოცდილი მოსაგრე სულიერ ძმებს იმ მდგომარეობის შესახებაც ესაუბრება, როცა ადამიანის სულს სიცივე იპყრობს და საღმრთო მხურვალეობა ტოვებს. ღირსი ამონას რჩევით, შინაგანი სიცივის განდევნა მღვიძარებითა და ლოცვითაა შესაძლებელი.

ღირსი ამონას ეპისტოლეთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა განსაცდელის შესახებ მსჯელობაა. იგი აღნიშნულ საკითხზე საუბრობს VIII ეპისტოლეში და მოწაფეებს განუმარტავს, თუ რატომ უშვებს ღმერთი განსაცდელს მართალ ადამიანებზე. აღნიშნული თემის გასაგრძობად მას, ტრადიციულად, წმინდა წერილის მაგალითებს იყენებს. იხსენებს ბიბლიური იაკობის გამორჩევის ისტორიას და ესავს მასზე დაშვებულ განსაცდელს უწოდებს. მონაზონთა ყურადღებას წმინდა ამონა აბრაამის მაგალითისკენ მიმართავს და უხსნის, რა მნიშვნელობა ენიჭება განსაცდელის დათმენას უფლისკენ სავალ გზაზე. იგი ასევე იხსენებს ნათლისღების შემდეგ უდაბნოში მაცხოვრის გამოცდის ისტორიას. წმინდა მამა თავისი პირადი მაგალითითაც განამტკიცებს სულიერ შვილებს და ანტონი დიდის სიტყვების მოხმობით ხაზს უსვამს განსაცდელის გამწმენდელ მნიშვნელობას: „ვერვის ჯელ-წიფების გამოუცდელსა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“, და კუალად მისწერს ეპისტოლესა: რომელთა გიხარის, აწ უკუე სამართალ არს, რომელნი-იგი შეწუხებულ იყვნით მრავალფერთა ზედა განსაცდელთა, რადთა გამოცდილებად იგი თქუენი სარწმუნოებისა მაგის თქუენისა უპატიოსნეს უფროდს ოქროდსა მის წარწყმედადისა, ცეცხლისა მიერ გამოცდილისა იპოოს“.

წმინდა წერილის შესაბამისი ადგილების მოხმობით განსაცდელის მნიშვნელობის შესახებ ესაუბრება მაკარი დიდი თავის პირველ ეპისტოლეში სულიერ შვილებს და მოუწოდებს, რომ სულგრძელობით დაითმინონ იგი, რადგან მისი ძლევის გარეშე შეუძლებელია ცხოვნება. ნიშანდობლივია, რომ მაკარი ეგვიპტელი, მსგავსად ანტონი დიდისა, განსაცდელის გზით ადამიანის სულიერ განწმენდას ადარებს ბრძმედის საშუალებით ოქროს გამორჩევის მეთოდს: „და თქუენცა ტანჯეთ მძლავრი იგი და ბილწი, რომელი გამოცდის თქუენ მარადის, ვითარცა-იგი გამოიცადის ოქროდ ბრძმედსა შინა ... არავინ ახოვანი მძლედ გამოჩნდის, უკუეთუ არა მარტომან ბრძოლა -სცის და არავინ გვრგვინოსან იქმნის თვნიერ ძლევისა“.¹

აღნიშნული მოწმობა ნათელი მაგალითია იმისა, რომ ეს თემა მეტად აქტუალური ყოფილა ანტონი დიდისა და მაკარი ეგვიპტელის შემოქმედებაშიც და იგი იმ პერიოდის მოღვაწეთა ინტერესებს არეკლავს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ესაა ეპოქა პაექრობებისა, სხვადასხვა მსოფლმხედველობის შერკინებისა, მოღვაწეთა დევნისა და შევიწროებისა. აღნიშნული პრობლემა გადაიკვეთა ორივე დიდი მამის ეპისტოლეებში: მოძღვართანაც და სულიერ შვილთანაც. ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილ ეპისტოლეში ამონა დასმული პრობლემიდან გამოსავლის გზას ეძიებს და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „განსაცდელნი მოიწვევიდ არა სავნებელად, არამედ სარგებელად და თუნიერ განსაცდელთა მოწევნისა სულისა ზე, ვერ ძალ-უც აღსლვა ადგილსა შემოქმედისა თუისისა“.

ამონას ყურადსაღები პარალელი მოჰყავს ეზეკიელის წიგნიდან, სადაც აღწერილია, თუ როგორ გამოეცხადა მდინარე ქობარის სანაპიროზე მყოფ წინასწარმეტყველს უფალი, რომელიც ანგელოზთა (საკუთრივ ქერუბიმთა) შორის ამაღლებულ საყდარზე იყო დავანებული. სწორედ ხსენებული ქერუბიმების აღწერილობას უკავშირდება ზემომოხმობილი ტერმინის წარმომავლობა, რადგან თეოფანიისას განჭვრეტელ თითოეულ უსხეულო ძალას, ეზეკიელ წინასწარმეტყველის თანახმად, ოთხი სახე ჰქონდა: ადამიანის, ხარის, ლომისა და არწივის (შდრ. ეზეკ. 1). აღნიშნულ ხილვას ღირსი მამა ღრმა საღვთისმეტყველო ახსნას უძებნის: „აწ უკუე პირი იგი ლომისაჲ ქერობინისაჲ მის რადმე არს, რამეთუ რაჟამს სულმან ღმრთისამან განისუენის სულსა ზედა კაცისასა, მოაქუნ ძალი ღმრთისაჲ, განაფრთხვის იგი ძლიერად და ასწავის მას გალობად ტკბილითა და შუენიერითა ჯმითა და ოდეს უნებნ გარდამოსლვის და აღშეწნების კაცთა, პირი კაცისაჲ მოიღის. და ზუარაკისაჲ იგი არს, რაჟამს ბრძოლასა შიგან

¹ ნინუა 1982: 128-129.

არნ მორწმუნე სული; სული ღმრთისაა შეეწევინ მას და მოსცეს ძალი ზუარაკისაჲ, რადთა შეუძლოს და ურქინდეს ეშმაკსა, ხოლო ორბისაჲ, რამეთუ ორბი უზეშთაჲს ყოველთა უფროდს სხუათა ფრინველთასა ფრინავნ და რაჟამს სული კაცისაჲ სიმაღლისა მოვიდეს, სული წმიდაჲ მოვიდეს მისა და აქუნ მას ხატი, ვითარცა პირი ორბისაჲ და ასწავის მას დადგრომაჲ სიმაღლესა შინა და მახლობელყოფაჲ ღმრთისაჲ“. აქედან გამომდინარე, ესაა გზა, რომელსაც მოღვაწის სული გაივლის და ვინც ჭეშმარიტად იღვაწებს, დაემსგავსება ორბს, რომელსაც ყველაზე მაღლა აფრენა ძალუმს და მასზე სულიწმიდა გადმოვა.

ქერუბიმის ოთხ სახეში - **ადამიანის, ლომის, ხარისა და არწივის** - ეკლესიის მამათა მიერ განჭვრეტილი სიმბოლიკა საეკლესიო წყაროებში ოთხნაირად განიმარტება; ნეტარი იერონიმეს მიხედვით, ქერუბიმის ოთხი სახე ოთხი სახარების სიმბოლოა: **ადამიანის სახე - მათეს სახარება; ლომის სახე - მარკოზის სახარება; ხარის სახე - ლუკას სახარება; არწივის სახე - იოანეს სახარება;** იმავე სახეებში განჭვრეტილი დანარჩენი სამი ეგზეგეტიკა წმინდა გრიგოლ დიალოგოსს ეკუთვნის, (1) ქერუბიმების ხსენებული ოთხი სახე თავად ამ ანგელოზების (ქერუბიმთა დასის) მდგომარეობის მაჩვენებელია: ადამიანის სახე - გონიერების; ხარის სახე - ღვთისადმი დაქვემდებარებისა და მორჩილების; ლომის სახე - ძალმოსილებისა და ძლიერების; არწივის სახე - უსხეულო ძალებს შორის დაწინაურებულობის; (2) იგივე ქერუბიმთა სახეები მოღვაწე ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე სულიერი ზრდის მაჩვენებელია. (3) იმავე სახეებში მესიანური წინასწამრეტყველება განიჭვრიტება: ადამიანის სახე - ძე ღმერთის განკაცება; ხარის სახე - განკაცებული ღმერთის მიერ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა; ლომის სახე - ადამიანური ბუნებით მესიის სიკვდილი, ხოლო საღმრთო არსებით უცვალებლობა; არწივის სახე - მკვდრეთით აღდგენილი მაცხოვრის ადამიანური ბუნების ამაღლება და წმინდა სამების წიაღში დავანება. ხსენებული დასის ანგელოზთა (ქერუბიმთა) აღმნიშვნელი საყურადღებო ტერმინოლოგიური მონაცემი ცხრა გზისაა დამოწმებული უძველეს იადგარში. მაგ.: „ოთხატედნი ცხოველნი გაქებენ შენ, უწინარემს საუკუნეთა მამასა ღმერთსა“ (უძველესი იადგარი, გვ.72); კიდევ: „წმიდაჲ სუიმეონ ქალწულსა მას ეტყოდა: ...შენგან გამოგუიჩნდა ჯორცთმესხმულად ყოველთა ღმერთი, რომელმან სიმდაბლით ჯერ-იჩინა დაჯდომად მკლავთა ჩემთა ზედა, რომელსაცა ვერ იტუიროვიდეს ოთხატედნი ქერობინნი“ (იქვე, გვ. 96); კიდევ: „ოთხატედნი ცხოველნი, ქერაბინ-სერაბინნი გაქებენ და იტყუიან: მის მხოლოდსა შუენის ქებაჲ“ (იქვე, გვ.156) და სხვ. პირმოსა მას სახესა დასაბამისასა, რომელ არს ჭეშმარიტი იგი ზეცისაჲ წმიდაჲ წმიდათაჲ, ქუეშე კერძო ფრთეთა ოთხხატედთა მათ ცხოველთასა, და წინაშე საყდრისა თვისისა წარადგინა უშინაგანესსა მას კრეტსაბმელსა შინაგან¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მკვლევართა შორის პირველი იყო ფ. კლეინა, რომელმაც ამონას ეპისტოლეების მნიშვნელობა ქრისტიანული მისტიკის თვალსაზრისით შეაფასა. მისი ეპისტოლეებისთვის უცხოა ყოველგვარი თეორია და სისტემატიზაცია. **ესაა ავთენტური მისტიციზმი, სადაც ფსიქიკა და პრაქტიკა არაა დაშორებული ერთმანეთისგან. ესაა პრაქტიკა და გნოზისი. აღნიშნულ ეპისტოლეებში ამონა ცდილობს, გვიჩვენოს უდაბნოს მისტიციზმი.**

ამონას სწავლება არ ეწინააღმდეგება ცოტა მოგვიანებით უდაბნოში დანერგილ უფრო სისტემურ იდეებს. მისი მოძღვრება თავისებური პედაგოგიკაა. ამ ღირსი მამის იდეები მოდის წმ. წერილიდან. განსაკუთრებით კი - ახალი აღთქმიდან და პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან. როგორც ანტონი დიდის მოწაფე და სულიერი მემკვიდრე, კვალში მიჰყვება ძველი აღთქმის პერსონაჟებს: აბრაამს, იაკობს, იოსებს, მოსეს, ელისეს, დავითს. გამორჩეულად კი - პავლე მოციქულს და საკუთარ თავს მოიაზრებს მასში. ძველი აღთქმის მაგალითებს იმოწმებს

1 მელიქიშვილი 2019: 155; **შდრ. ბერძ. PG. t. 96; col. 740 A**). მასალა ქერუბიმის სიმბოლიკის შესახებ მოგვაწოდა თეოლოგიის დოქტორმა ირაკლი ორჟონიამ, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მას.

ნეტარი მამა საღვთო სიბრძნის შესამეცნებლად. ის ამ მიზნით იხსენებს ზეცაში ამავე კიბეს, რომელიც ბიბლიურმა იაკობმა იხილა და საუბრობს კურთხევის ძალმოსილებაზე¹. წმინდა მამა პარალელს ავლებს ახალი აღთქმის ერთ სასწაულთან, პავლე მოციქულის მიერ ზეციურ ძალთა ხილვასთან. მისი სწავლებით, თუ მოწაფე მოძღვრის კურთხევას მიიღებს, მასზე ანგელოზთა ძალა გადმოვა (VI I ეპისტოლე).

წმინდა წერილის მოღვაწეებთან პარალელია გავლებული VII ეპისტოლეშიც, სადაც ავტორი საუბრობს საღვთო ცეცხლის შესახებ. მისი თქმით, ელია თეზბიტელი და ელისე წინასწარმეტყველი საღვთო მოშურნეობით გახდნენ ღირსნი ამ ცეცხლის მოპოვებისა. აქვე მოძღვარი იხსენებს ებრაელთა მამამთავარ მოსეს, როგორც მაგალითს უფლის წინაშე კაცთა მეოხისა, ასევე საუბრობს ზეციური საყდრის შესახებ, რომელსაც ჭეშმარიტი მოღვაწეები დაიმკვიდრებენ.

სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი დანიშნულება ერეტიკული სწავლების განქიქება და მის მიმდევრებთან თავშეკავების დაწესებაა. წმინდა წერილი მოგვიწოდებს ასეთთა მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოვლენისკენ. პავლე მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განემორე. უწყოდე, რამეთუ გარდაგულარძნილ არს ეგვეითარი იგი და ცოდავს და არს იგი თვთ დასჯილ“ (ტიტ. 3, 10-11). წმინდა მარკოზ ეფესელის თანახმად კი, „რამდენადაც შორს ვიქნები მისგან (მწვალებლისგან – ქ.მ.) და მისნაირებისგან, იმდენად ახლოს ვიქნები ღმერთთან და ყველა წმინდანთან; და რამდენადაც გამოვეყოფი მათ, იმდენად შევუერთდები ჭეშმარიტებას და წმინდა მამებს, ეკლესიის ღვთისმეტყველებს“².

წმინდა ამონას მოღვაწეობის ეპოქა მწვალებლობასთან, კერძოდ, არიანელობასთან დაპირისპირების მძაფრი ეპოქაა. თავად გამოცდილი მოღვაწე არაერთგზის გახდა მათი დევნის მსხვერპლი, რის შესახებაც ცნობები გაფანტულია იმ პერიოდის საისტორიო ლიტერატურაში. აღნიშნულ საკითხს წმინდანის ბიოგრაფიაზე საუბრისას დაწვრილებით შევხებით. ამგვარი გამოცდილების შედეგია ის რჩევა, რომელსაც ღირსი მამა სულიერ შვილებს ერეტიკოსებთან მიმართებაში აძლევს. მისი აზრით, ასეთებთან ურთიერთობისას არა მარტო დიდი სიფრთხილეა საჭირო, არამედ მათი ლიტერატურის გაცნობისგანაც თავის მორიდებაა საჭირო, რადგან **მწვალებლური წიგნები ისეა დაგესლილი, რომ, შესაძლოა, ბერის სულიერი სიკვდილის მიზეზიც გახდეს.**

ნიშანდობლივია, რომ **ამონას ეპისტოლეებში უკვე იკვეთება ბერმონაზვნური ცხოვრების წეს-განგების ჩანასახები.** აღნიშნულ თემატიკას მიემართება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორებიცაა: მონასტრის წევრების გარკვეული ვალდებულებანი და მოვალეობანი როგორც სულიერ მოძღვართან, ასევე, ერთმანეთთან თუ გარეშე პირების მიმართ, მარხვა, მორჩილება, ლოცვა, შრომა და სხვ. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამგვარი შეგონებებით მომზადებულია ნიადაგი სამონასტრო ტიპიკონის წარმოსაშობად, რომელიც მოგვიანებით დასრულებულ სახეს პახუმი დიდისა და ბასილი დიდის წესდებებში მიიღებს. აღნიშნული ეპისტოლეები, ასევე, თავისებურ სიახლოვეს ამჟღავნებს შენუტეს მონასტრის წესებთან.

როგორც ჩანს, ამონა ნიტრიელის გარშემო უკვე არსებობს მონაზონთა ერთ-ერთი პირველი ორგანიზებული თემი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება მას. მის ეპისტოლეებში, ისევე, როგორც იოანე სინელის „კლემაქსში“, ეტაპობრივად ნაჩვენებია, თუ როგორ გაივლის ახლად შემონაზვნებული სხვადასხვა სულიერ საფეხურს განღმერთობის გზაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სწავლებანი „სათნობათა კიბის“ წინასახედ შეგვიძლია მოვიაზროთ.

1 იგივე ეპიზოდი არაერთგზისაა მოხმობილი სხვა მამათა ნაშრომებშიც. მაგ., იოანე სინელი სათნობათა კიბეს ადარებს იაკობის კიბეს, რომელიც მოღვაწეს წმიდათაწმიდათაში აიყვანს, რომლის სათავეშიც ღმერთია (იოანე სინელი 1986: 201).

2 Архим. Амвросий (Погодин) „Святой Марк Эфеский и Флорентийская уния“ (М. 1994).

„ბერ-მონაზონთა ისტორიის“ თანახმად, თეზაურუსში ყოფნისას რუფინუსი შეხვდა ამონას, რომელიც ტაბენესის მონასტრის წინამძღვარი იყო და მას სამი ათასი მონაზონი ემორჩილებოდა. ძმების ყოველდღიურ შესამოსელს ტუნთა ანუ ლევიტონი წარმოადგენდა; ლევიტონის ზემოდან ისინი მანტიას იხამდნენ; თავზე კუნკული ეხურათ, რომელსაც ტრაპეზის დროს სახეზე ჩამოიფარებდნენ ხოლმე, რათა არავის შეემჩნია, ვინ მეტ ან ვინ ნაკლებ საზრდელს მიიღებდა¹. სატრაპეზოში სრული მდუმარება სუფევდა, თავი უკაცრიელ უდაბნოში გეგონებოდათ, თუმცა, როგორც ვთქვით, ძმების რიცხვი აქ სამი ათასს აღწევდა. ისინი იმდენად მოკრძალებულად იქცეოდნენ, რომ ერთმანეთის მოღვაწეობა თითოეული მათგანისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ტრაპეზს ყველა ესწრებოდა, მაგრამ მიიღებდა თუ არა საზრდელს რომელიმე ძმა, ამის თქმა არავის შეეძლო. თითქოს მხოლოდდამხოლოდ იმისთვის იკრიბებოდნენ, რომ საჭმლისთვის გემო გაესინჯათ, დანაყრებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო².

ამონა მონაზვნის ასკეტიკის ქვაკუთხედი მოყვასის სიყვარულია. მისი განმარტებით, „მოყვასი იგი არს, რომელი შერაცხილ არს ზეცისასა მას ჩინებასა“ (მეხუთე ეპისტოლე). ამ გზაზე სვლისას წმ. მამის მასწავლებელი ისევ და ისევ პავლე მოციქულია, ხოლო სულიერ შვილის ნიმუში - ტიმოთე.

სამონასტრო წეს-განგების თანახმად, მონასტრის წევრი უნდა განემოროს ახლობენ ადამიანებს. ასეთი შეხედულების საფუძველი წმინდა წერილში ძვეს. ოჯახის წევრებისაგან თავის მოზღუდვისკენ მოუწოდებს წმინდა ამონი სულიერ ძეგს, „რამეთუ დაგიტევიან იგინი ღმრთისათვის“³.

წმინდა წერილის სწავლებით, როცა ადამიანი სულიერ გზაზე წარმატება, იცვლება მისი სახელიც. ასეა მონასტრულ ცხოვრებაშიც. მონასტერში მოსულთათვის სახელის გადარქმევის აუცილებლობას ნეტარი ამონა ასე ხსნის: „ოდეს იცვალეს ცხოვრება კაცისა და მოვიდეს სხუასა ცხოვრებასა ღმრთისა სათნოებისასა და უფროდს პირველისა მისი შეიცვალეს სახელიცა მისი“. ამონა X ეპისტოლეში იხსენებს შესაბამის მაგალითებს როგორც ძველი აღთქმიდან, ისე ახალი აღთქმიდან. კერძოდ, იგი მსმენელს უხსნის, თუ რატომ ეწოდა აბრამს აბრაამი, სარას - სარრა, სავლეს - პავლე და ა.შ.

ეპისტოლეებში ყურადღება გამახვილებულია აღსარების წარმოთქმის აუცილებლობასა და მისი წარმოთქმის ხარისხზეც. აქედან გამომდინარე, უკვე იკვეთება ის აზრი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასკეტური ცხოვრების პირველსავე საუკუნეებში აღსარების წარმოთქმის საიდუმლოს. „ნუ უტეობ ყოფად ყოვლისა გულისსიტყუისა, რომელი გბრძოდის, ნუ გრცხუენინ გამოცხადებად წმიდათა მამათა“, - ასე არიგებს გამოცდილი წინამძღვარი სულიერ ძმებს.

1 აღნიშნული ცნობა ძალზე წააგავს „ლავსანიკონში“ გადმოცემულ ისტორიას პახომი დიდის მიერ სამონასტრო წეს-განგების შემოღების შესახებ. აღნიშნული წეს-განგების თანახმად, ბერებს შემსგავსებული შესამოსელი უნდა სცმოდათ და ტრაპეზის დროს არ შეემლოთ ისე შემოსილიყვნენ, რომ ეხილათ, თუ როგორ და რამდენს მიირთმევდა გვერდით მჯდომი ძმა. იხ. მამასახლისი 2010: 101-105.

2 <https://www.martlmadidebloba.ge/paterikebi5.html>

3 ბასილი დიდის სამონასტრო წეს-განგება საგანგებო ყურადღებას უთმობს ბერების ურთიერთობას ხორციელ ნათესავებთან. თუ პახომი დიდის წეს-განგების თანახმად, მონასტრის წევრებს უფლება ჰქონდათ, მოენახულებინათ თავიანთი ახლობლები მხოლოდ წინამძღვრისაგან დადგენილ დროს, მისგან განსხვავებით, ახლობლებთან ურთიერთობისას მეტ სიფრთხილეს იჩენს ბასილი დიდი. ასეთი შეხედულების დასამოწმებლად წმ. მამა იესო ქრისტეს სწავლებას ეყრდნობა. რომლის მიხედვითაც ადამიანთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი უნდა იყოს უფალთან სიახლოვე: „რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათადაც, ესე არს ძმა და და და დედა ჩემი“ (მთ. 12.50). ნათესავებთან ურთიერთობის ბასილისეული წესი დაინერგა მთელ აღმოსავლურ სამონასტრო პრაქტიკაში. მის შეხედულებას იზიარებს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველიც და ისიც ამ სიახლოვით გამოწვეულ საფრთხეებზე საუბრობს. მისი შეხედულებით, უპირატესია სულიერი მშობელი, ვინც უკვდავი სული შთაგვბერა, ფიზიკური მშობელი კი წარმავალ სხეულს გვაძლევს, რაც მრავალი განსაცდელის მიზეზი ხდება.

რუფინუსის თანახმად, როდესაც ანტონის ირგვლივ ძალიან ბევრმა მოღვაწემ მოიყარა თავი, დაიწყო საერთო საცხოვრისის ტიპის მონასტრების ჩამოყალიბება. ზოგი მოღვაწე უდაბნოს სენაკებში განმარტოვდა, განუწყვეტლივ ლოცულობდა და ხელსაქმეს მისდევდა: პალმის ტოტებისგან წნავდა კალათებს, ქსოვდა ჭილობებს, რასაც უახლოეს ქალაქებში პურსა და სხვა აუცილებელზე ცვლიდა. ასე ირჩენდნენ თავს მეუდაბნოენი და ხშირად ღარიბებსაც უნაწილებდნენ ლუკმას¹.

ფიზიკურ შრომას რომ ამონას სამომოშიც დიდი ყურადღება ექცეოდა, კარგად ჩანს მის ერთ-ერთ დარიგებაში სულიერი შვილისადმი: „შურებოდე კელთსაქმარსა შენსა, შჰამდე პურსა შენსა ყუდროებით“. წმინდა მამის თანახმად, სულს დიდ საფრთხეს უქმნის უსაქმოდ ყოფნა. იგი „წარსწყმედს ყოველსა ნაყოფსა მონაზონებისასა“. ასეთი სწავლებით გამოცდილი მოძღვარი იზიარებს პავლე მოციქულის სიტყვებს: „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (2 თეს. 3,10).

მონასტრული ცხოვრების ისტორიაში საყურადღებო ცნობებია დაცული ბერის შესამოსელზეც, რადგან მას თავისი სულიერი დატვირთვა აქვს. ამბა დოროთე მას ასე განმარტავს: „რა არს სარტყელი წელთა ზედა ჩუენთა, რომელ არს მოკუდინება გულისთქუმისა; და სქემა მხართა ზედა ჩუენთა, რომელ არს სახე ჯუარისა, და კუნკულიცა, რომელ არს საღმრთოდასა სიჩროდასა ქრისტეს მიერ“². მონასტრული ცხოვრების პირველ ტიპიკონშიც პახომი დიდს ანგელოზი საგანგებოდ აწერინებს თუ როგორ უნდა იყოს შემოსილი ბერი და მის სულიერ მნიშვნელობას განუმარტავს³. ნიშანდობლივია, რომ უკვე ამონას ეპისტოლეებში საუბარია ბერის შესამოსელზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ასკეტური ცხოვრების გარიჟრაჟზე უკვე განსაზღვრული იყო, როგორ უნდა სცმოდა მოღვაწეს. ბოლო, მეთექვსმეტე ეპისტოლეში მოძღვარი ურჩევს ახლად შემონაზვნებულებს, ნუ გაექცევათ თვალი ძმის შესამოსლისკენ: „ნურას გული-გითქუამნ მოყუსისა შენისსა, უკუეთუ იხილო სამოსელი, გინა კუნკული, გინა სარტყელი, გინა სამჭარნი, გინათუ სხუად რადმე უმცირეჭსი და ნუცა ადასრულებ გულისთქუმასა შენსა, ვითარმცა იქმენ მსგავსი მისი“⁴.

ქრისტიანული ასკეტიზმის უმთავრესი ნიშანი საკუთარი თავის უარყოფაა, რომელსაც ბიბლიური საფუძველი უდევს: „უკუეთუ გინდეს შემოდგომა ჩემდა, უარყავნ თავი თვისი“ (მთ.16.24). აღნიშნულ სწავლებას წმინდა ამონა განავითარებს და სულიერ ძმებს ასე არიგებს: „არა ისმინის ღმერთმან კაცისად, უკუეთუ არა განიშორნეს ნებანი თუისნი და დაემორჩილოს ღმერთსა“.

წმინდა წერილის სწავლებით, ცხოვრების მოსურნეთ საკუთარი თავის დამდაბლება ჰმართებთ. თვითდამდაბლების უმაღლესი ნიმუში კი მაცხოვარია, რომელმაც ჯვარცმით ადამისგან გაწყვეტილი ძაფი აღადგინა⁵.

ამავე აზრს ავითარებს ამონა მონაზონი XV ეპისტოლეში: „რამეთუ მოილო მან ხატი მონებისად და სიგლახაკედ დიდძალი და სირცხული შეურაცხ-ყო, გინებად ფრიადი და მძიმე თავს იდვა“. უკანასკნელ XVI თავში იგი განაგრძობს აღნიშნულ საკითხზე საუბარს და თავმდაბლობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს: „სიმდაბლითა ყოველი იგი მკდომისად დაკსნდების“.

1 <https://www.martlmadidebloba.ge/paterikebi5.html>

2 ამბა დოროთე 1992: 357.

3 მამასახლისი 2010: 101-103; 261-262.

4 შენიშნულია, რომ ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ეპოქაში, კერძოდ, წინასწარმეტყველთა შესამოსელი წააგავდა ბერისას. ისინი განსაკუთრებულ მანტიას ატარებდნენ, რომელზეც ტყავის ქამარი ერტყათ. გადმოცემის თანახმად, მონაზონთა შესამოსელი პირველად პატერმუფიმ შემოიღო. მან შემონაზვნების მსურველს ჩააცვა ლევიტონი, წელზე სარტყელი შემოარტყა, მხრებზე მანტია მოასხა, თავზე კი კუნკული დაახურა. იხ. კაზანსკი 2015:55.

5 ფარულავა 1989: 176.

ამონა ნიტრიელის სწავლება ეხება ისეთ საყურადღებო თემებსაც, როგორცაა: ჭეშმარიტი მარხვა და ახლად შემონაზვნებულის ქცევა. გამოცდილი მოღვაწის თანახმად, მარხვა მხოლოდ ხორციელი საკვებისგან თავის მორიდებას არ ნიშნავს, არამედ თვალისა და გულის სიწმინდის დაცვასაც. გამოცდილი მოღვაწე ცალკეულ სათნოებათა შორის არსებულ ურთიერთკავშირზეც ამახვილებს მსმენელის ყურადღებას და ამბობს: „დაიცავ თავი შენი ჭეშმარიტად და ვითარცა-იგი იმარხავნ სიძვისაგან, ეგრეთვე იმარხევდ გულისთქუმისაგან თუალთაჲსა და სასმენელთაჲსა პირისაგან და შეხებისა“.

მარხვის სხვა სათნოებებთან ამგვარი მიმართება თავის აქტუალობას არ კარგავს არც მომდევნო საუკუნეებში. სტუდიელთა მონასტრის წინამძღვრისა და ხატმებრძოლთა ერესის შეუვალი მებრძოლის, წმ. თეოდორე სტუდიელის (+ 826) მიხედვითაც ჭეშმარიტ მარხვას თან უნდა ახლდეს სიმშვიდე, მორჩილება, წესიერება, სიმართლე და სხვ. ამ გზით „რაოდენი გარეშე ესე კაცი ჩვენი განიჭრწნების, ეგეოდენ შინაგანი განახლდების დღითი დღე“ (იხ.: თეოდორე სტუდიელის ქადაგებები, დიდმარხვაში საკითხავი)¹.

ამონა ნიტრიელის თანამედროვე მოღვაწის, მაკარი დიდის სწავლებით ადამის დაცემის მიზეზი აკრძალული საჭმლის ჭამა ანუ მარხვის დარღვევა იყო. ამიტომაც „ღვაწლი, რომელი მოიღუაწა მაცხოვარმან ჩუენმან, ვიდრემდის სძლო მტერსა, არს მარხვაჲ - ესე პირველი ღუაწლი, რომელი გვჩუენა ჩუენ მაცხოვარმან“.

როგორც შევნიშნეთ, ღირსი ამონა ნიტრიელის ეპისტოლეები, ძირითადად, იმ მოღვაწეებს ეხებათ, რომელთაც ეს-ესაა მიაშურეს მონასტრის კედლებს. ისინი ახლად შემონაზვნებულნი არიან, რომელთაც ამ გზაზე შედგომისას განსაკუთრებული სიფრთხილე ჰმართებთ. მომღვარი მათ ურჩევს, იგლოვონ ცოდვათა გამო და მოერიდონ სხვა ადამიანებთან სიახლოვეს, განსაკუთრებული კრძალვა კი ჭაბუკებს ჰმართებთ: „ნუ განსცხრები თუალთა აქა და იქი, ნუ ზრახავ ამოსა სიტყუასა, ნუ მიჰყოფ ჳელთა შენთა ტაბლასა ზედა, ვიდრე არა პირველ თქუა: მაკურთხე!“ წმინდამამა მოკრძალებასა და თავშეკავებას ურჩევს ახალგაზრდებს უსამართლოდ განმკითხველთა მიმართაც, „რამეთუ ესე არს წარმატებულება ჭაბუკთა და წარემატე და ადიდებდე წმიდასა ერთარსებასა სამებასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა...ამინ“, - დასძენს ეპისტოლის ბოლოს.

ღირსი ამონა მონაზონი მონასტრის ძმათა დასამოდვრად წმინდა წერილის ცალკეულ ეპიზოდებს იყენებს. მათი მოხმობით ის ეუბნება სულიერ შვილებს, რომ თუკი ღვთის მცნებების შესაბამისად იცხოვრებენ, უფალი ისევე აღადგენს და განკურნავს მათ, როგორც იაიროსის ასული, სამეუფო კაცის ძე, ქანაანელი დედაკაცი, ქვრივის ერთადერთი გარდაცვლილი ძე, ოთხი დღის მკვდარი ლაზარე. ის ისევე მოგვიწოდებს ცხოვნების გზისკენ, როგორც უფალი მამისეულ ნავში მსხდომ პეტრეს და იოანეს, მეზვერე მათეს. ღირსი მამა შესაბამის ადგილებს „მოციქულთა საქმეებიდანაც“ მოიხმობს და მოწაფეებზე სულიწმიდის მადლის გადმოსვლას იხსენებს. ის, ვინც აიძულა ანანია დამასკოს გზაზე წმ. პავლესთან ერთად უფლის გზას შესდგომოდა, იგივე (უფალი - ქ.მ.) მოუწოდებს წმინდა მცნებების აღსრულებისკენ.

XIII ეპისტოლის ბოლოს წმინდა ამონა სახარებიდან საგანგებოდ მოიხმობს მსხვერპლ-შეწირვის მაგალითებს და მოღვაწეს ურჩევს, მიჰბადოს ქვრივს, რომლის შესაწირავიც უფალმა ყველაზე მეტად შეიწირა, რადგან „ღმერთი გულსმოდგინებასა ეძიებს ჩუენგან“.

ამდენად, ნეტარი ამონას მიერ ბიბლიიდან მოყვანილი მაგალითები იმის ნიმუშია, რომ წმინდა წერილის მაცხოვრებელი სწავლება მოცემულია იმათთვის, ვინც ღვთის გზას შეუდგა. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამონას სწავლება ამოზრდილია პრაქტიკულ გამოცდილებაზე, მისთვის მთავარი სახარების სწავლების მოღვაწის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვაა და იგი თავისუფალია ყოველგვარი ფილოსოფიური გავლენისგან.

¹ church andria. ucor. net / mwyemsi/

² ნინუა 1982: 133.

თუ მეუღაბნოე ცხოვრების მესამირკვლემ, ანტონ დიდმა თავისი ეპისტოლეები დაწერა 330-იანი წლების ბოლოს, ამონამ - 360-იანი წლების ბოლოს. ესაა 30-წლიანი ინტერვალი. ესაა პერიოდი, როცა სწრაფად ვრცელდება სამონასტრო მოძრაობა. აშკარაა, რომ ამ წმინდა მამათა ეპისტოლეების შემცველ ორივე კოლექციას აქვს საკმაოდ განსხვავებული მიზნები და რეაგირება სხვადასხვა საკითხზე. ანტონი დიდის ეპისტოლეებში ანთროპოლოგიისა და ქრისტოლოგიის ძირითადი საკითხებია წამოწეული. ამონა იღებს ამ სწავლების ძირითად ნაწილს და წინაპლანზე უფრო საკუთარი გამოცდილებით მიღებულ სიბრძნეს წამოწევს. ამდენად, ისინი არიან ორიგინალური როგორც თავიანთი სტილით, ასევე იდეების მხრივაც. ამონასა და ანტონის წერილების საერთო ასპექტები კი აიხსნება მათ შორის მიმოწერის არსებობით, რომელიც დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. თუმცა, შემორჩენილია ანტონი დიდის ცხოვრების აღწერლის, ათანასე ალექსანდრიელის, შემორჩენილი ეპისტოლე ამონასადმი¹, დასტურია როგორც ამგვარი მიმოწერის არსებობის კიდევ ერთი ნიმუში.

ეპისტოლეთა შინაარსის გაცნობამ მოგვცა კიდევ ერთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა: თუ ანტონი დიდმა სულიერი შვილები დატოვა მას შემდეგ, რაც სახარების მაცხოვრებელ სიბრძნეს აზიარა და ასკეტიკური ღვთისმეტყველების შემეცნების გზასთან მიიყვანა, ამონა მონაზონი მათთან კავშირს არც განმარტოების შემდეგ წყვეტს და კვლავ განაგრძობს მათთან ურთიერთობას როგორც წერილობით, ასევე კვლავ მათთან დაბრუნებისა და შეხვედრის იმედით.

აშკარაა, რომ ანტონი დიდისა და ამონას ეპისტოლეები ამჟღავნებენ მსგავსებას უწყვეტ ლოცვასთან, გამოცდილებასთან, სიხარულთან, სიმშვიდესთან, თვითშემეცნებასთან, განსაცდელის მნიშვნელობასთან. ღირსი მამების მსგავსად, მაკარი დიდიც საუბრობს თავის ჰომილიებში ღვთიური ცეცხლის შესახებ, სიხარულსა და სიმშვიდეზე. თუ როგორ უმჟღავნებს ღმერთი ადამიანს ცათა საიდუმლოებებს, რა მნიშვნელობა აქვს განსაცდელს ცხოვრების გზაზე, რას გულისხმობს ზეციური მემკვიდრეობა და განსვენება, ამგვარ საკითხებზე მსჯელობას იოანე ლიკოპოლელთან და ამბა პამპოსთანაც (+370) ვხვდებით (ლავსაიკონი, ბერ-მონაზონთა ცხოვრების ისტორია). რუბენსონის დასკვნით, ანტონი და ამონა ორი განსხვავებული სამონასტრო ტრადიციის წარმომადგენელია. მეოთხე საუკუნის ეგვიპტეში გაცილებით მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო ეს ტრადიცია, მაგრამ დაიკარგა. ეს იყო ალექსანდრიელი ღვთისმეტყველების ადრინდელი თაობა, განსწავლული ჯგუფი, რომელმაც სათავე დაუდო სულიერ მოსაგრეთა ახალ თაობას². ეგვიპტეში აღმოჩენილი სამონასტრო ლიტერატურის ფრაგმენტები, პაპირუსები, მონასტრის კედლებზე შესრულებული წარწერები დასტურია ამ რეგიონში სამონასტრო თემების არსებობისა, რომელმაც მოგვიანებით უფრო სრულყოფილი სახე მიიღო.

წმინდა ამონას მისტიკურ-ასკეტიკური ხასიათის ეპისტოლეების სიღრმისეული გაცნობა გვიჩვენებს, რომ იგი ანტონი დიდის მემკვიდრეა როგორც ცხოვრების წესით, ისე შემოქმედებითაც. მის ღვთისმეტყველებაში უმთავრესი თემა სულიწმიდის, ღვთის მადლის მოხვეჭაა, რომელიც საკუთარი ნების უარყოფითაა შესაძლებელი. ამ გზით მოღვაწე თავისუფლდება ცოდვათა ტყვეობისგან და მოიპოვებს შინაგან მდუმარებას, ჭეშმარიტ სიბრძნეს. სულის ხსნისა და სასუფევლის დამკვიდრების მუდმივი სურვილი ამოდრავებს როგორც ანტონი დიდის, ისე წმინდა ამონას შემოქმედებას. ორივე მოღვაწის სწავლების თანახმად, ადამიანის უზენაესი მიზანი განღმერთობაა. ანტონი დიდისა და ამონა მონაზვნის შემოქმედება ერთმანეთს ავსებს და საინტერესო სურათს გვთავაზობს სკიტის, ნიტრიისა და პისპირის უდაბნოების ასკეტიკური ღვთისმეტყველების გასაცნობად.

¹ დიდი სჯულისკანონი 1975: 466-469.

² Rubenson 2011: 201.

წმინდა ამონას ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანის მნიშვნელობა და თავისებურებანი

ხანგრძლივმა ასკეტურმა გამოცდილებამ და ურთიერთობამ სულიერ სამწყსოსთან თავი მოიყარა ღირსი ამონას ეპისტოლურ მემკვიდრეობაში, ამიტომაც ამ მემკვიდრეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც წინა თავში შევნიშნეთ, ამ დიდი მოღვაწის ნაშრომთა კორპუსი შემონახულია რამდენიმე ენაზე: ბერძნულად, სირიულად, არაბულად და ქართულად; ფრაგმენტების სახით კი - სომხურ და ეთიოპიურ ენებზე. თავისი არქაულობიდან და რაოდენობიდან გამომდინარე, ქართულენოვანი თარგმანი ძალზე ყურადსაღებია ამ დიდი მოღვაწის შემოქმედების სრულყოფილად გასაცნობად. ცხადია, ამონას ეპისტოლეები თავდაპირველად კოპტურ ენაზე უნდა დაწერილიყო, შემდეგ კი ბერძნულად უნდა ეთარგმნათ. წმ. ამონას ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ქართულ ენაზე შემოგვრჩა 16 ეპისტოლე, რომელიც დაცულია Sin. 35 (907 წ.) ხელნაწერში, ღირსი მამის ეპისტოლეები არასრული სახით გვხვდება Sin. 25 (X ს.) და Sin. Geo. N.13 (X ს.) ნუსხებში, ხოლო Ath 17-ში (XI ს.) - ფრაგმენტულად.

წმ. ამონას ეპისტოლეთა ქართული თარგმანებიდან გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთი (რიგით მეორე) ეპისტოლე Sin. 35 ხელნაწერის მიხედვით¹. დანარჩენ ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები დღემდე შეუსწავლელი და გამოუცემელია. ამონას ეპისტოლეთა შემცველი ქართული ნუსხები ერთმანეთს შეუდარა და ძალზე საინტერესო მოსაზრება შემოგვთავაზა ბ. უტიემ, რომლის მიზანს წარმოადგენდა, დაედგინა, იყო თუ არა Sin. 13 ნუსხაში დაცული ამონას ეპისტოლეები Sin. 35 - ის მოდელი². აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ეპისტოლეების ძველი ქართული თარგმანი აირჩია თავის საბაკალავრო ნაშრომად ი. ცეცხლაძემ³.

X საუკუნის სინურ ხელნაწერებში (Sin. 35, Sin. 25, Sin. Geo. N. 13) დაცული ეს ეპისტოლეები, რომლებიც ჩვენი შესწავლის ობიექტია, წინათონურ ეპოქას განეკუთვნება. აღნიშნული ნუსხები, ისევე, როგორც, ზოგადად, სინურ ხელნაწერთა უმრავლესობა, ბიზანტიის მთარგმნელთა მოღვაწეობამდეა შექმნილი. მკვლევართა მართებული შენიშვნით, სინურმა ხელნაწერებმა, შესაძლოა, ქართული ლიტერატურის დასაბამთანაც მიგვიყვანოს. თითქმის ყველა იქ დაცული ტექსტი პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება ბერძნულ დედანს. ბევრი მათგანი დამოწმებულია სინის გარეთ ნაკლებად გავრცელებულ ხელნაწერებში, ბევრიც მხოლოდ სინური ხელნაწერებითაა ცნობილი. პერიფერიებს შეუძლიათ, ხანგრძლივად შემოინახონ როგორც ენის, ასევე ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით არქაული ელემენტები, რომლებიც ცენტრალურ ზონებში მეტ-ნაკლებად სწრაფად იკარგება. ქართული ხელნაწერებისათვის სინურმა ბიბლიოთეკამ შეასრულა ეს კონსერვატიული როლი. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ფონდის მიმართ. იგი საინტერესოა არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, არამედ ბიბლიური ტექსტების კრიტიკული შესწავლის, ბერძნული პატროლოგიისა და ბიზანტიური ფილოლოგიის თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, სინის მთის ქართული ხელნაწერების ტექსტების მნიშვნელობა სცილდება ქართული ფილოლოგიის ჩარჩოებს⁴.

ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობის მქონე Sin. 35 ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია, შუაშიცაკლიაორი ფურცელი, დაწერილია ერთი ხელით. იგი აღწერეს ალ. ცაგარელმა (ცაგარელი 1886) და ივ. ჯავახიშვილმა⁵ ნუსხის ვრცელი აღწერილობა ბიბლიოგრაფიასთან ერთად

1 Garitte 1976: 123-131.

2 უტიე 2011.

3 ცეცხლაძე 2020.

4 გარიტი 2017: 330-333.

5 ჯავახიშვილი 1947.

ეკუთვნის ჟ. გარიტს¹. იგი პალეოგრაფიული და ორთოგრაფიული ნიშნების მიხედვით მეათე საუკუნითაა დათარიღებული. Sin. 67 ეტრატის ფურცელზე შემორჩენილია Sin. 35 ხელნაწერის გადამწერის ანდერძი. აღნიშნული ანდერძი პალეოგრაფიულად და ორთოგრაფიულად (ოჯ და ჯო კომპლექსების გადმოსაცემად) დაემთხვა Sin. 35-ს. მკვლევართა თანახმად, ანდერძი მნიშვნელოვანია იმით, რომ იძლევა ზუსტ ცნობებს აღნიშნული ასკეტიკური კრებულის (Sin. 35) წარმომავლობის, თარიღისა და გადამწერის შესახებ. ანდერძის მიხედვით, Sin. 35 საბაწმიდური წარმომავლობისაა. გადაწერილია საბაწმიდაში სვიმეონის წინამძღვრობისას ვინმე არსენ ბერის მიერ 907 წელს. აღნიშნულ თარიღს (დასაბამითგან 6511) გადამწერი ამაგრებს იერუსალიმის პატრიარქის, ელია დამასკელის (მანსურის ძის), გარდაცვალების ზუსტი თარიღით - 907 წ. აღნიშნულ წელს საბაწმიდაში გადაწერილი ასკეტიკური კრებული Sin. 35 მეათე საუკუნის მეორე ნახევარში მოხვდა სინაზე, კერძოდ, მაცვლოვანის მონასტერში, იმ ქართველი მოღვაწეების მეოხებით, რომლებიც, არაბთა ძალმომრეობის გამო, საბაწმინდიდან სინის მთაზე გადასახლდნენ. ამის შემდეგ იგი სინური სამონასტრო ბიბლიოთეკის, კერძოდ, წმ. კვირიკეს სახელობის მონასტრის საწიგნეს, კუთვნილებად იქცა.

აღნიშნული ხელნაწერი 973 წელს შეუმოსავს იოანე ზოსიმეს. ამის შესახებ გადმოგვცემს იოანე ზოსიმესავე ხელით შესრულებული ანდერძი, რომელიც მოთავსებულია Sin. 67-ის ბოლოსაცავად გამოყენებული ეტრატის გვერდზე. ანდერძის მიხედვით, იოანე-ზოსიმეს მიქაელ მღვდლის თხოვნით 973 წელს მესამედ შეუმოსავს Sin. 35.

ამდენად, აღნიშნული კრებული საბაწმინდური წარმოშობისაა, გადაწერილი არსენ ბერის მიერ². აღნიშნული ხელნაწერი ძალზე მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ თარიღიანია და შეიძლება გვერდით დავუყენოთ ორ უძველეს თარიღიან ხელნაწერს: სინურ მრავალთავსა (864 წ.) და ჰადიშის ოთხთავს (897 წ.)³. ეს ვრცელი ასკეტიკური ხასიათის კრებული შეიცავს ანტონი დიდის, წმ. არსენის, წმ. ამონას ეპისტოლეებსა და ევაგრე პონტოელის ტექსტებს.

ცალკე უნდა გამოვყოთ ერთი ეტრატი Sin. 13, იგი თარიღდება, ასევე, X საუკუნით. Sin. 13 შეიცავს ასკეტიკური და ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულებებს, როგორებიცაა: ანტონი დიდის ცხოვრება, მისი ეპისტოლეები, ამონას სწავლანი და სხვ. Sin. 13 ნუსხის შემადგენლობა მთლიანად უახლოვდება Sin. 35 ხელნაწერს, რომელიც, შესაძლოა, მისი ერთ-ერთი წყარო იყოს. იგი პალიმფსესტია, გადაწერილია არაპროფესიონალი გადამწერის მიერ, რასაც ენობრივი შეცდომებთან ერთად მისი ხელწერაც მიანიშნებს. ამასთან, აღნიშნული ეტრატი დაზიანებულია, არის უყდო, თავბოლონაკლული, აკლია შუა ნაწილშიც, წარმოადგენს პალიმფსესტს, შემონახულია მისი გადამწერი - მიქაელ (7v, 16 r), აღნიშნულ ნუსხაში ამონას ეპისტოლეებიდან დასაწყისი შვიდი სრულადაა წარმოდგენილი, მეთხუთმეტე - ნაკლულია, მე-16 ეპისტოლის კი მხოლოდ დასაწყისია შემორჩენილი⁴.

მკვლევართა აზრით, Sin. Geo 55-ის გადამწერი იგივე მიქაელია, რომელმაც გადაწერა Sin. Geo 13. მათი ვარაუდით, Sin. 55 წარმოადგენს Sin. 13 ხელნაწერის მომდევნო ნაწილს (აღწერილობა 2005:288). ნიშანდობლივია, რომ პალიმფსესტ Sin. 13-ის ქვედა ტექსტის უდიდესი ნაწილი, ისევე, როგორც Sin. 55, კავკასიური ალბანურია. ორივე ხელნაწერის ზედა ტექსტი კი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი გადამწერის მიერაა შესრულებული. როგორც ჩანს, მან ძველი ალბანური წიგნის ფურცლები (ლექციონარი) გამოიყენა ორივე ხელნაწერის მასალად⁵.

ორიოდე სიტყვით შევხებით Ath. 17 ნუსხას. იგი ათონური კრებულია და შედარებით მოგვიანო ხანისაა (XI ს.). აღნიშნულ ნუსხაში წარმოდგენილია ამონას ეპისტოლეთა ორიოდე

1 გარიტი 1956: 97.

2 დვალი, ჯღამაია 1978:76.

3 იქვე, გვ. 79.

4 აღწერილობა 2005: 248.

5 იქვე, გვ. 238.

ფრაგმენტი. ამათგან ერთი - „სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა“ (324r) - იმეორებს Sin. 35 ეპისტოლის დასაწყის ნაწილს, მეორე კი - „მესაწირავისა აღებისათვის“ (281v) - Sin. 35-ის მეთხუთმეტე ეპისტოლის ნაწილს.

სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში დაცული ქართული ხელნაწერები საზღვარგარეთის სხვა მწიგნობრულ კერებში არსებულ კოლექციათა შორის განსაკუთრებით გამორჩეულ ადგილს იკავებს რაოდენობრივი თვალსაზრისითაც. ეს ვრცელი კოლექცია პირობითად 2 ნაწილად იყოფა: ძველი და ახალი ხელნაწერები. ჩვენს საკვლევ ხელნაწერთაგან Sin. Geo. O. 35 და Sin. Geo. O. 25, სხვა დანარჩენ ნუსხებთან ერთად სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია, როგორც ძველი (Sin. Geo. O.) კოლექცია, ვინაიდან აღნიშნულ საზოგადოებას ცნობები მათ შესახებ ჯერ კიდევ XIX ს-ში მიაწოდა პ. უსპენსკიმ¹.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ჟ. გარიტმა ამონას ეპისტოლეთა ქართული თარგმანის რიგით მეორე ეპისტოლე გამოაქვეყნა Sin. Geo. O. 35 ხელნაწერის მიხედვით² (Garitte, Ammonas, p.123-131). მისი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ეპისტოლეთა ქართული ნუმერაცია განსხვავებულია ბერძნული და სირიული ნუმერაციებისგან. კერძოდ, მეორე ეპისტოლე შეესაბამება ბერძნულ მეექვსე და სირიულ მესამე ეპისტოლეს; ქართული პირველი ბერძნული და სირიული სათვალავით არის მეორე; მესამე - პირველი და მეთორმეტე; მეოთხე - მესამე და მეოთხე; მეცხრე - მეცხრე და მეოთხე; მეათე - მეხუთე და მეთერთმეტე; მეთერთმეტე - მეშვიდე და მეცამეტე; მეხუთე - მერვე (იმავე სათვალავით - სირიული); მეთორმეტე - მეათე (სირიული) და მეთოთხმეტე - პირველი (სირიული). აღნიშნული ეპისტოლე ბერძნულად არ არის; მეცამეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ეპისტოლეები არ არის ავთენტური და დაკავშირებულია ამბასისაის სახელთან (Garitte, Catalogue, p.103-108). გარიტის თანახმად, ძველი სინური კოლექციის ხელნაწერებში, კერძოდ, Sin. Geo. O. 35 -ში, დაცულია ამონას მესამე, მეცამეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ეპისტოლეები დაცულია Sin. Geo. O. 25-ში (Garitte, Catalogue, p. 62).

რაც შეეხება Sin. Geo. N.13 ხელნაწერს, იგი შედის ახალი კოლექციის ნუსხაში. აღნიშნული კოლექცია (Sin. Geo. N.) სინის მთაზე გამოვლინდა 1975 წელს, კერძოდ, წმ. ეკატერინეს მონასტრის ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრის შემდეგ. ახალი კოლექციის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სინის მთის ქართული ხელნაწერების, არამედ შუა საუკუნეების სამონასტრო კრებულების, ლიტურგიკული პრაქტიკისა და ზოგადბიზანტიური სამწერლობო ტრადიციების კვლევისა და მანამდე უცნობი ფაქტებისა თუ რედაქციების გამოვლენისთვის³.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ასკეტიკური კრებული Sin. Geo. O. 35 (973) ეტრატია. შესრულებულია მთავრულით, შავი მელნით, მისი გადამწერი და შემმოსველი იოვანე-ზოსიმეა; კრებული გადაწერილია სინაწმინდაზე. მისი ნაკლული ფურცლები (Graz. Geo. 2058/B და C) ინახება გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში⁴, ხოლო იოვანე-ზოსიმეს ანდერძი გამოყენებულია Sin. Geo. O. 67 ყდის ქვედა ფრთის საცავ ფურცლად. კრებულში Sin. 35 შესულია ანტონი დიდის, დოროთეოზის, ევაგრე მონაზვნის, სევერიანე გაბალონელის, არსენის, ამონას, მარკოზ მონაზვნის, კასიანე რომაელის, მაკარი ეგვიპტელის, ისააკის, ესაიას, იოვანე კლემასის, ბარსანოფისა და იოვანეს, ბასილი დიდის, სვიმეონ მესვეტე უმცროსის ჰომილიები და აპოფთეგმები. აღნიშნულ კრებულში შესული თხზულებები წარმოდგენილია ძველი და ახალი ნუმერაციით. წმ. ამონას ეპისტოლეები მასში მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 43 (47) r-74(78) r.

1 ქართული ხელნაწერი წიგნი... 2018: 68.

2 (Успенский 1856(a):211-213;1856(b):240.

3 ქართული ხელნაწერი წიგნი...2018: 68-69.

4 იმნაიშვილი 2004:314.

ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის კრებული Sin. Geo. O. 25 ასევე ეტრატია და დათარიღებულია X ს-ით; შესრულებულია ნუსხურით; სათაურები და საზედაო ასოები - სინგურით; გადამწერის ანდერძი დაკარგულია; ხელნაწერი უყდოა. მასში მოთავსებულია მაკარი მეგვიპტელის, ამონას, ანტონი დიდის, ამბა მოსეს, ეფრემ ასურის, არსენი დიდის ჰომილიები, მამათა სწავლანი, ევსტათის მარტვილობა. ჟ. გარიტი კრებულში შემავალი ზოგიერთი თხზულებისთვის უთითებს პარალელურ ლათინურსა და კოპტურ ტექსტებს. ხელნაწერი რამდენჯერმეა აღწერილი (Цагарели 1888: 228-229, n° 74¹).

ასევე ეტრატია ახალი კოლექციის ხელნაწერი Sin. Geo. N. 13. იგი ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის კრებულია. თარიღდება X ს-ით; წინა ორი ხელნაწერისგან განსხვავებით, ის პალიმფსესტია; ქვედა, გადარეცხილი ტექსტის დიდი ნაწილი კავკასიური ალბანურია, არის სომხურიც; ზედა ნაწერი ნუსხურია; შესრულებულია შავი მეღვინით; სათაურები - მთავრულით; ცნობილია მისი გადამწერი - მიქაელი. აღნიშნული კრებული შეიცავს შემდეგ თხზულებებს: 1. ათანასი ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრების“ კომენტარ რედაქციას. 2. ანტონი დიდის I-VII ეპისტოლეებს. 3. მაკარი დიდის I ეპისტოლეს. 4. ამონას ეპისტოლეებს, ტექსტი ნაკლულია. 5) იოანე ოქროპირის ჰომილიას „სინანულისათვის, ქალწულებისა და მოთმინებისათვის“. 6. აპოლოსთვის. ქვედა, გადარეცხილი ტექსტის ერთი ნაწილი შესრულებულია კავკასიური ალბანური დამწერლობით. ალბანური დამწერლობით არის შესრულებული აგრეთვე Sin. Geo. N. 55 პალიმფსესტური ხელნაწერის ქვედა ტექსტის ერთი ნაწილი. მკვლევართა თანახმად, Sin. Geo. N. 13 და Sin. Geo. N. 55 ერთი პირის მიერაა გადაწერილი და არაა გამორიცხული, რომ პალიმფსესტები ერთი ძველი ხელნაწერის ნაწილები იყოს².

ხელნაწერთა აღწერილობის თანახმად, აღნიშნულ ნუსხათაგან sin. 35 თარიღიანია (907 წ.). ქრონოლოგიური თვალსაზრისით, იგი ყველაზე ძველი ხელნაწერია და, ამავე დროს, ყველაზე სრულყოფილიც; ის შეიცავს ამონას 16-ვე ეპისტოლეს. ამ ეპისტოლეებიდან Sin. 35-ში 15 დასათაურებულია, ხოლო ერთი სათაურის გარეშეა წარმოდგენილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ნუსხა არის წყარო Sin. 25 ნუსხისა (X ს.), რომელშიც წმ. ამონას მხოლოდ ოთხი ეპისტოლეა წარმოდგენილი, კერძოდ: მესამე, მეცამეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ეპისტოლეები; ანდა ორივე ერთი და იმავე ხელნაწერიდან არის გადაწერილი. იგივე შეიძლება ვიფიქროთ Sin. 13 ეტრატზეც (X ს.). ამ ნუსხაში ამონას ეპისტოლეებიდან დასაწყისი შვიდი სრულადაა წარმოდგენილი, მეთხუთმეტე - ნაკლულია, მე-16 ეპისტოლის კი მხოლოდ დასაწყისია დაცული. ცნობილია მისი გადამწერი მიქაელი ((7v, 16r), რომელიც არაპროფესიონალი გადამწერი ჩანს³.

ბერნარ უტიემ მოგვაწოდა Sin. 13-ისა და Sin. 35-ის მეოთხე და მეთხუთმეტე ეპისტოლეთა ურთიერთმედარების შედეგად გამოვლენილი განსხვავებები, რაც ძალიან დაგვეხმარა საერთო სურათის შესაქმნელად. თუმცა, მოგვიანებით ჩვენი პროექტის წევრმა - ვ. ჯულელმა სრული სახით მოიძია აღნიშნულ ხელნაწერში დაცული პირველი შვიდი ეპისტოლე და შევუდარეთ Sin. 35 და Sin. 25 ნუსხებში დაცულ ტექსტებს.

Sin. 35-ის შექმნის არეალად საბაწმინდის მონასტერია მიჩნეული⁴, ხოლო დანარჩენი ორი - Sin. 25 და Sin. 13 - სინის მთაზე უნდა იყოს გადაწერილი. აღნიშნულმა ხელნაწერებმა, ისევე, როგორც, ზოგადად, სინურმა ბიბლიოთეკამ, როგორც ენის, ასევე ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით, შემოინახა არქაული ელემენტები. იგი საინტერესოა არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის, არამედ ბერძნული პატრისტიკისა და ბიზანტიური ფილოლოგიის შესწავლის მხრივაც⁵.

1 ჯავახიშვილი 1947: 45-47; 80.

2 იქვე, გვ.81.

3 აღწერილობა 2005: 248.

4 დვალი, ჯღამაია 1978: 79.

5 დანელია 1978: 330-333.

Ath. 17 ნუსხა ათონური კრებულია და შედარებით მოგვიანო ხანისაა (XI ს.). აღნიშნულ ნუსხაში, წინა ნუსხებისგან განსხვავებით, წარმოდგენილია ამონას ეპისტოლეთა ორიოდ ფრაგმენტი. ამათგან ერთი - „სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა“ - (324r) იმეორებს Sin. 35 ეპისტოლის დასაწყის ნაწილს, მეორე კი - „შესაწირავისა აღებისათვის“ (281v) - Sin. 35-ის მეთხუთმეტე ეპისტოლის ნაწილს.

წმინდა ამონას წერილებს sin. 35 ხელნაწერში წინ უძღვის სათაურები: „თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონადის“ (ა), „წმიდისა ამონადის“ (ბ) და სხვ. ამ სწავლათაგან 13 ანბანურ რიგზეა გაწყობილი, ხოლო სამი - მე-3, მე-4 და მე-15 - დანომრილია რიცხობრივად; მაგ., „წმიდისა ამონადის მეოთხე“.

Sin. 25-სა და Sin. 13 ნუსხებში ამონას ეპისტოლეების სათაურები, sin. 35-ისგან განსხვავებით, ყველგან წარმოდგენილია ანბანურ რიგზე; მაგ.: ამონადისივე გ და მისთ.

იქიდან გამომდინარე, რომ Sin. 25 ნუსხაში წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი ეპისტოლე, გვაკარაუდებინებს შემდეგს: სავსებით შესაძლებელია, აღნიშნული ნუსხის სახით ჩვენ წინაშეა წმ. ამონას ეპისტოლეთა ე.წ. კვინობიტური რედაქცია, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა მონასტრული ცხოვრების ყოველდღიურ ყოფაში. მისი გადამწერი დედნიდან საგანგებოდ გამოარჩევს იმ ეპისტოლეებს, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა მოსაგრეობის ჟამს. ასეთი წესი, როგორც ვიცით, უცხო არ არის ბერმონაზვნული ცხოვრების წიაღში და სწორედ ამ გზით წარმოიშვა ასკეტიკური ხასიათის თხზულებათა მოკლე ე.წ. კვინობიტური რედაქციები. მაგ., პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ მოკლე რედაქცია¹. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ამონას ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი, რომელიც შესრულდა საბაწმინდის მონასტერში, გახდა წყარო ამავე ეპისტოლეთა ვრცელი და მოკლე (კვინობიტური) რედაქციებისა. პირველ მათგანს განეკუთვნება Sin. 35 და Sin. 13, ხოლო მეორეს - Sin. 25 ნუსხა.

sin. 25 ხელნაწერში დაცულ ამონას ოთხი ეპისტოლიდან მესამე ეპისტოლის სახელწოდება, sin. 35-ისგან განსხვავებით, ანბანურ რიგზეა, ხოლო მე-13 და მე-15 ეპისტოლე, მსგავსად sin. 35-ისა, რიცხობრივადაა დანომრილი. რაც შეეხება sin. 13 ხელნაწერს, აქ ეპისტოლეთა სათაურები რიგ შემთხვევაში მიჰყვება წინა ორ ნუსხას, ზოგჯერ კი მეტ-ნაკლებად სხვაობს მათგან; მაგ., პირველი და მეორე ეპისტოლე, sin. 35-ის მსგავსად, დანომრილია ანბანურ რიგზე, ოღონდ Sin. 13-ში ჯერ ანბანური დასახელებაა, შემდეგ კი სახელწოდება (ა. წმიდისა და ნეტარისა მამისა ამონადის). მეორე ეპისტოლეში კი ანბანურად დანომრილ ბ ეპისტოლეს წინ უძღვის მე თავსართი: წმიდისა ამონადისი მე-ბ. მესამე ეპისტოლე, მსგავსად მეორე, Sin. 25 ნუსხისა, ანბანურ რიგს მიჰყვება (ამონადისივე გ) მაშინ, როცა Sin. 35 მას რიცხობრივად ნომრავს. მომდევნო ოთხ ეპისტოლესაც Sin. 13 ანბანურად ალაგებს, Sin. 35 მეოთხეს - რიცხობრივად, დანარჩენს კი ისიც ანბანურად წარმოადგენს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიძიეთ Sin. 13 ხელნაწერის მეთხუთმეტე ეპისტოლე, რომელიც, აღწერილობის თანახმად², ნაკლებია. ასევე ვერ მოვიძიეთ აღნიშნული ხელნაწერის მეთექვსმეტე ეპისტოლე, რომელიც, ამავე აღწერილობის მიხედვით, მხოლოდ დასაწყისი ფურცლითაა წარმოდგენილი.

მე-16 სწავლას Sin. 25 და Sin. 35 ნუსხებში ერთი და იგივე სათაური აქვს: „თქუმული დაწყნარებისათვის, რომელნი ახლადმოსრულნი იყვნენ მონაზონებად“ (sin. 35,73r; sin.25,97r).

ბერნარ უტიეს თანახმად, სამიდან არცერთი ხელნაწერი არაა მეორის პირდაპირი წყარო. მკვლევარი აქვე შენიშნავს, რომ Sin. 13 არ არის დანარჩენი ორი ნუსხის ასლი. მან წარმოადგინა სამივე ხელნაწერი საკუთარი მართლწერითა და აბრევიატურით. მოყვანილი მაგალითების საფუძველზე იგი შენიშნავს, რომ Sin. 13-ში უმარცვლო უ-ს მაგივრად წერია ჯ. უფრო მეტიც, სამი ხელნაწერის (Sin. 25, Sin. 35 და Sin. 13) ორთოგრაფია არსებითად განსხვავდება უ და ჯ-ის

1 მამასახლისი 2010:180.

2 აღწერილობა 2005.

გამოყენებით. ბ. უტიე აღნიშნავს, რომ ბერძნული ანბანის ამ ორ გრაფემას მკაცრი შესატყვისი არ ჰქონდა ქართულში¹. მეცნიერი აქვე შენიშნავს, რომ ქართული თარგმანის დედანი ბერძნულია².

ჩვენ არ ვიცით ამონას ეპისტოლეთა ქართველი მთარგმნელი, მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ დასახელებული ნუსხები ერთმანეთის ვარიანტებია და ტექსტობრივი თვალსაზრისით, მათ შორის არის მეტ-ნაკლები სხვაობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სავარაუდოა, რომ Sin. 25 და Sin. 13 მომდინარეობს Sin. 35-დან, ანდა ერთი და იმავე დედნიდან. ამ მოსაზრებას გვიმტკიცებს მათი ურთიერთშედარების შედეგად გამოტანილი დასკვნები: სამივე ნუსხა უნდა იყოს გადაწერილი ერთი და იმავე დედნიდან, რომელიც დაწერილი უნდა ყოფილიყო ასომთავრულით. როგორც ვიცით, ამ დედნიდან გადაწერილი პირველი ნუსხა Sin. 35 ასევე შესრულებულია ასომთავრულით, თუმცა მისი გადაწერის დროს (907 წ.) ქართულ მწიგნობრობაში უკვე მყარადაა დამკვიდრებული ნუსხური დამწერლობა. ამით უნდა აიხსნას, რომ აღნიშნული ნუსხის გადაწერილი დედნიდან იწერს შეცდომებით. ეს შეცდომები განსაკუთრებით თვალშისაცემია უ და ზ გრაფემების დაწერისას. Sin. 35-ის გადაწერილი უ გრაფემას ერთსა და იმავე მოსალოდნელ პოზიციაში ხშირად გადმოსცემს ან მხოლოდ ერთი გრაფიკული ნიშნით, რომელიც ასომთავრულში აღნიშნავს ო-ს, ანდა ორივე გრაფიკული ნიშნით, როგორც ზოგადად ახასიათებს აღნიშნულ დამწერლობას. მეტიც, ერთსა და იმავე სიტყვაში, სადაც მოსალოდნელია რამდენიმე უ, ზოგს გადმოსცემს ერთი გრაფიკული ნიშნით, ზოგს კი - ორივეთი. მაგ., სიტყვაში **მოყვისისათვის** უ წარმოდგენილია შემდეგნაირად: **მოყოსისათვის**. სიტყვაში უკუეთუ უ ყველგან წერია ასე: **ოკოეთო** და მისთ.

ო და უ გრაფემების არასწორი გამოყენების შემთხვევებით თვალშისაცემი Sin. 35 ნუსხა დასტურია იმისა, რომ მისი გადაწერისთვის ასომთავრული დამწერლობა არ არის ბუნებრივი და ამიტომაც წერის პროცესში თავს ვერ აღწევს ამ ტიპის შეცდომებს:

„არა ოტეობენ კაცთა წარმატებად“ (Sin. 35, 48r)	„ოდეს შეემთხოინიან მამანი შვილთა“ (Sin. 35, 49r)	„ვიცი, რაიმეთუ გელმის გოლი “ (Sin. 35, 50r)
--	---	--

ასევე განსაკუთრებით თვალშისაცემია დასახელებულ ნუსხაში ზ-ს არასწორი ხმარება. იგი გამოყენებულია უმრავლეს შემთხვევაში, როგორც სამკაული. აღნიშნულისგან განსხვავებით Sin. 25 გადაწერილია ნუსხურით წიგნიერი გადაწერის მიერ. ჩვენი ვარაუდით, იგი იწერება იმავე დედნიდან, რომლიდანაც გადმოიწერა sin. 35, თუმცა მასში ორთოგრაფია კარგადაა დაცული და იშვიათად გვხვდება მსგავსი ტიპის შეცდომები.

როგორც ცნობილია, ნუსხური დამწერლობა, ასომთავრულისგან განსხვავებით, უ გრაფემას გადმოსცემს ერთი გრაფიკული ნიშნით. sin. 35-ისგან განსხვავებით Sin. 25 ყველგან წერს, მაგ., **უკუეთუ** მართებულ ფორმას. აღნიშნული ნუსხა თითქმის ყველგან იცავს ამ პრინციპს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამა თუ იმ სიტყვას დართული აქვს **თვის** თანდებული. აღნიშნული თანდებული ყველგან წარმოდგენილია მართებული ფორმით.

მაგ.

„მოვიდიან სხუათა აღშენებისათვის“ (Sin. 25, 52v)	„თქუენთვის ყო წყალობაჲ ჩემ თანა“ (Sin. 25, 58r)
---	---

თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა **დაყოლება** აღნიშნულ ნუსხაში ყველგან წარმოდგენილია **დაყოლება** ფორმით. მაგ., „გაუწყეთ თქუენ დაყოლებისა ძალი“ Sin.25, 52v). აღსანიშნავია, რომ ამავე სიტყვას ამავე ადგილებში Sin. 35 და Sin. 13 წერს მართებულად.

ნიშანდობლივია, რომ Sin. 25-ში **ზ-ს ნაცვლად** თითქმის ყველგან გვხვდება **ეა** დაწერილობა და წარმოდგენილია სწორ პოზიციაში. Sin. 13-შიც ასევე ხშირად გვხვდება **ზ-ს მაგივრად ეა დაწერილობა**.

1 უტიე 2011.
2 იქვე.

მაგ.: „რადთა იცოდით თქუნ, რად-იგი არს სივრცედ და სიგრძედ“ (Sin. 13, 66r).

აღსანიშნავია ისიც, რომ Sin. 35-ში აღრეულია ი და ე მეხუთეს გამოყენების შემთხვევები. გადამწერი უმეტეს ადგილას ი ხმოვნის ნაცვლად წერს ე-ს. ე.ი. ე წერია იქ, სადაც მოსალოდნელია იგი და ასევე იმ ადგილებშიც, სადაც უნდა ეწეროს ი. ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევხებით აღნიშნულ საკითხს. ამასთან, ის ჩამატებები, რომლებიც Sin. 35 ნუსხის ამა თუ იმ მონაკვეთის თავზეა მოთავსებული, Sin. 25 და Sin. 13 ნუსხებში უშუალოდ ტექსტშია ჩართული. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ ჩამატებებს Sin. 35 ნუსხის გადამწერი ძირითად ტექსტს ურთავს არა ასომთავრულით, არამედ ხუცურით. ეს მომენტიც გვაფიქრებინებს, რომ ხუცური უფრო ბუნებრივია მისთვის, ვიდრე ასომთავრული.

აქედან გამომდინარე, სავსებით დაბეჯითებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის შეცდომები, რომლებსაც გადამწერი უშვებს, განპირობებულია იმით, რომ მან გადასაწერად აირჩია დედნისეული ასომთავრული დაწერილობა, რომელიც უკვე ნაკლებად იხმარება ამ დროისათვის (907წ.) და მის ნაცვლად მყარადაა დამკვიდრებული ხუცური დამწერლობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Sin. 25-ის გადამწერი, მართალია, წერს ხუცურად, მაგრამ ასომთავრულს იყენებს იმ პოზიციებში, რომელიც მან შეიძინა მოგვიანებით. კერძოდ, ახალი აზნაფის დაწყებისას და იგი გამოყენებულია მთავრული ასოს ფუნქციით.

როგორც შევნიშნეთ, ის ჩამატებული სიტყვები თუ ფრაზები, რომლებიც Sin. 35 ნუსხის ამა თუ იმ მონაკვეთის თავზეა მოთავსებული, Sin. 25 და Sin. 13 ნუსხებში უშუალოდ ტექსტშია ჩართული. ეს მოვლენაც ამტკიცებს იმ აზრს, რომ ეს ნუსხები ერთმანეთიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ საერთო დედანი აქვთ.

Sin. 35 ნუსხაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა, წინადადება თუ მონაკვეთი ორჯერ წერია, ანდა გადაშლილია. აღნიშნულ შეცდომას Sin. 25 ნუსხის გადამწერი აღარ იმეორებს, თუმცა მის გვერდით ამ უკანასკნელის გადამწერს, ისევე, როგორც Sin. 35-ის გადამწერს, არასწორი, გაურკვეველი სიტყვები საერთო დედნიდან გადმოაქვს უცვლელად. ზოგადად, Sin. 35 ნუსხა ძალიან დაზიანებულია, ორიოდ შემთხვევაში იმეორებს ერთსა და იმავე აზნაფს. Sin. 25 და Sin. 13 ხელნაწერები ძალიან დაგვეხმარა დაზიანებული და გაურკვეველი მონაკვეთებისა თუ ფრაზების აღსადგენად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Sin. 35 ნუსხის ბოლო ორი ეპისტოლე იმდენადაა დაზიანებული, რომ Sin. 25 ნუსხის დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისი სრულყოფილი აღდგენა.

ნიშანდობლივია, რომ Sin. 25 ნუსხაში გვაქვს რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როცა პირიქით, ო-ს მაგივრად წერია უ:

მაგ.:

ძუირისხილვითა მით ჭურცთა ჩემთადათა ღმერთმან ისმინოს (Sin. 25, 61r)
წარსწყმედს ყოველსა ნაყუფსა მონაზონებისასა (Sin. 25, 66r)
მიტევებ მე შედგომად ნებასა ჩემსა ბურუტსა (Sin. 25, 67r)
ყოვლისაგან ბოროტისა სივლტულითა (Sin. 25, 52v)

მსგავსი შემთხვევები აღნიშნულ ნუსხაში მასიურ სახეს არ იღებს და გვაქვს აღნიშნულ სიტყვათა მართებული ფორმებიც.

მაგ.: „აწვე არა აღვისრულებიეს მონებად იგი ძუირისხილვისა ჯორცთა შენთადასა“ (Sin.25, 62v).

როგორც ჩანს, ხუცურ ანბანში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი უ, გადმოცემული ერთი ასო-ნიშნით, ნელ-ნელა იმკვიდრებს თავს და დაშვებული შეცდომებიც, ვფიქრობთ, ამ მიზეზითაა განპირობებული. ეს კი აღნიშნული ნუსხის გადაწერის დროის არქაულობაზე მიუთითებს.

ბერძნული ანბანის, კერძოდ, ეტას (Η) ანალოგიით შექმნილი ზ დიფთონგის გამოყენებისას Sin. 35 გამოირჩევა შემდეგი ორთოგრაფიული თავისებურებით: ე-ს გვერდით ხშირად ზ არის

არასწორად წარმოდგენილი ე ხმოვანზე დასრულებული საზოგადო სახელების სახელობით ბრუნვაში. ასეთ პოზიციაში ე ზედმეტია, რადგან მას თავისთავად გულისხმობს ზ (ედ). აღნიშნულ ადგილებს Sin. 25-ის გადამწერი უმეტეს შემთხვევაში ძველი სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად ასწორებს, ოღონდ წერს იოტას.

შდრ.:

კაცთა შორის ყოფითა წარიმართის სიმართლე (Sin. 35, 50r)
კაცთა შორის ყოფითა წარიმართის სიმართლე (Sin. 25, 54v)
მაშინ მოიწინიან მის ზედა მწუხარებანი და ურვანი და სხუადცა მრავალი და მრავალსახე სიმძიმე (Sin. 35, 50r)
მაშინ მოიწინიან მის ზედა მწუხარებანი და ურვანი და სხუადცა მრავალი და მრავალსახე სიმძიმე (Sin. 25, 54v)

ზოგჯერ Sin. 25-ს Sin. 35-ის ანალოგიით გადმოაქვს არასწორი ფორმები.

მაგ.: ილოცვედ მყოვარ **ღამე**, რადთა ნათელ იყოს სულისა შენისა ლოცვაჲ იგი (Sin.35,61v; Sin. 25, 56r).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ sin. 13-ში sin. 35-ისთვის დამახასიათებელი ეწ არასწორი ფორმა ზოგჯერ გადმოდის ედ ფორმით, ზოგჯერ კი ე-ს გარეშე.

შდრ.:

დიდი იგი სიმდიდრე (Sin. 13, 55r)
დიდი იგი სიმდიდრე (Sin. 35, 51r)
ესე არს (+ დიდი) სიმდიდრე მორწმუნეთა (Sin. 13, 66 r)
ესე არს სიმდიდრე მორწმუნეთა (Sin.35, 50 v)

გვხვდება ისეთი ფორმებიც, როცა ერთსა და იმავე სიტყვაში sin. 35 ნუსხაში აღნიშნული დიფთონგი წარმოდგენილია როგორც მართებული, ასევე არასწორი ფორმით.

მაგ.:

მოვიდრეკ მუჯლთა ჩემთა ღამე და ღღე უფლისა მიერ (Sin. 35, 50r)
ღამე და ღღე ვევედრები, რადთა ძალი ღმრთისაჲ განდიდნეს თქუენ ზედა (Sin. 35, 52r)

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით ფიქსირდება სწორი და არასწორი ფორმები:

ამისთვისცა მოვივსენებთ თქუენსა **ღამე** და **ღღე** (Sin. 35, 56v).

ნიშანდობლივია, რომ Sin. 13 ნუსხა **ღამე** და **ღღე** ფორმებს უმრავლეს შემთხვევაში წერს ზ-ს გარეშე.

მაგ.:

ვსენებასა (+ თქუენსა) ვჰყოფ ღამე და ღღე (Sin. 13, 67 v)
ვსენებასა ვჰყოფ ღამე და ღღე (Sin. 35, 51v)

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული სიტყვები - ღამე და ღღე - Sin. 35-ში უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ისეთი ფორმით, რომელიც არ შეესაბამება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. ზ. სარჯველაძის აზრით, სალიტერატურო ენა ცოცხალ მეტყველებასთან შედარებით კონსერვატიული და ხელოვნურია. აქედან გამომდინარე, ცოცხალი მეტყველება უფრო სწრაფად იცვლება და ვითარდება, ვიდრე სალიტერატურო ენა¹.

¹ სარჯველაძე 1984: 90.

სავსებით შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ იმ დროს, როცა იქმნება Sin. 35 ნუსხა (907 წ.), ცოცხალ მეტყველებაში იშლება **ფ** დიფთონგის აღქმა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი შექმნილია ბერძნული დიფთონგის ანალოგიით. ნუსხის გადამწერი ცდილობს, რამდენიმე ადგილას დაიცვას ქართულ სალიტერატურო ენაში მიღებული წესი, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ წრეში, რომელშიც მას უხდება მოღვაწეობა, უკვე ძალზე შესამჩნევი ჩანს აღნიშნული დიფთონგის მოშლა და მას გადამწერი სვამს **ე** ხმოვნის შემდეგ როგორც ერთგვარ სამკაულს. ამ აზრს გვიმტკიცებს **ფ**-ს არასწორად გამოყენების უამრავი მაგალითი არა მხოლოდ არსებით სახელებთან, არამედ მეტყველების სხვა ნაწილებთანაც.

ნიშანდობლივია, რომ ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები ორიოდ შემთხვევაში sin. 35 და sin. 25 ნუსხებში ასევე არასწორად არის წარმოდგენილი, კერძოდ, **ფ**-ს წინ ზედმეტი **ე** ხმოვანი:

და **უმეტესი** არა გაქუნდეს... (Sin. 35, 60 r; Sin. 25, 63v).

რაც შეეხება sin. 13 ნუსხას, აქ აღნიშნული ფორმები გვხვდება უკვე **ფ**-ს გარეშე. მაგ.: რაითა **უმეტესი** წარმატებად მიგცე თქუნ (Sin. 13, 70r).

შდრ.:

რაითა უმეტესი წარმატებულებად მიგცე თქუნ (Sin. 35, 52 v)
ამის ყოვლისა უმჯობესი არს (Sin.13, 62r)
ამის ყოვლისა უმჯობეს არს (Sin.35, 48 v)
სიტკბობად იგი სულიერისა +მის მადლისა უტკბილეს არს (Sin. 13, 59v)
სიტკბობად იგი სულიერისა მადლისა უტკბილეს არს (Sin. 35, 47 v)

ფ ხშირად, ზემოთ მოხმობილი მაგალითების ანალოგიურად, არასწორადაა წარმოდგენილი რიგობით რიცხვით სახელებშიც. ეს ეხება, ძირითადად, Sin. 35 ნუსხას;

მაგ.:

მეორე იგი მჭურვალებად **უმჯობეს** არს პირველისა მის (Sin. 35, 61r; Sin. 25, 56r).

sin. 25 ხშირად ასწორებს **ფ**-ის არასწორ პოზიციას და მას ცვლის იოტათი.

შდრ.:

მიუტევე მათ ადგილი უხუცესობისა (Sin. 35, 61r)
მიუტევე მათ ადგილი უხუცესობისა (Sin. 25, 56r)

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Sin. 35 ნუსხაში სამ ადგილას გვხვდება ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის მოკლე ფორმა; როგორც ცნობილია, ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ასეთი წარმოება ძვ. ქართული ენის მკვლევრებს უფრო ადრინდელ ფორმად მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში ესაა სიტყვა **უმჯობე**.

მაგ.:

უკუეთუ ძმათა თანა ხარ, **უმჯობე** არს შენდა სმენად, უფროს სიტყუისა (Sin. 35, 61r).

აღნიშნულ ფორმას Sin.25-ში ენაცლება **უმჯობესი** ფორმა, კერძოდ, ამონას მეცამეტე ეპისტოლეში ვკითხულობთ:

უკუეთუ ძმათა თანა ხარ, **უმჯობეს** არს შენდა სმენად, უფროს სიტყუისა (Sin. 25, 56v).

თუმც, ერთ ადგილას ამ უკანასკნელშიც ფიქსირდება აღნიშნული ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის შემოკლებული ფორმა.

მეცნიერთა მიერ შენიშნულია, რომ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევა ამა თუ იმ ხელნაწერში მიგვანიშნებს, თუ როგორ დაწყებულია ამა თუ იმ ენობრივი თავისებურების რღვევა. მაგ., **ფ**-ს კლება ან ზედმეტი დაწერილობა ცხადყოფს, რომ IX-X სს-ებში დამავალ დიფთონგთა გამარტივების პროცესი უკვე დაწყებულია¹. ჩვენ მიერ შესწავლილ ნუსხებში,

¹ სარჯველაძე 1984: 104.

სწორი ფორმების გვერდით, აღნიშნული ნახევარხმოვნის მაგივრად ან სრული ი წერია, ანდა საერთოდ მოშლილია.

მაგ.:

ჰპოო თუ წიგნი მწვალელებლთაი (Sin. 25, 64r; Sin.25, 64v).
თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონასი (Sin. 35, 43v).

შდრ.: ა. წმიდისა და ნეტარისა მამისა ამონაასი (Sin. 13, 59v) და მისთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ sin. 35 და sin.25 ნუსხებში ი ხმოვანზე დაწყებული პირთა სახელები რამდენიმე ადგილას იოტათია წარმოდგენილი განსხვავებით Sin. 13-ში დაცული ეპისტოლეებისგან. მაგ. **აკობი, იოვანე, იუდა.**

შდრ.:

გინა იოვანე ნათლისმცემელი (Sin. 35,50r; Sin. 25, 54v)	გინა იოვანე ნათლისმცემელი (Sin.13, 64r)
---	---

იაკობ შემდგომად კიბითა იხილა პირისპირ ბანაკი (+ წმიდათა) ანგელოზთაი (Sin.13, 71v).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Sin. 35 ხელნაწერს ახასიათებს **ჭ** დიფთონგიანი როგორც სწორი, ასევე არასწორი ფორმები, მაშინ, როცა Sin. 25-სა და Sin. 13-ში ანალოგიურ სიტუაციაში თითქმის ყველგან მას **ქ**, ე.წ. გაშლილი დაწერილობა ენაცვლება. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, მიუთითებს იმაზე, რომ Sin. 35 ხელნაწერის გადამწერის სამოღვაწეო არეალში (საბაწმიდაში) მიღებულია **ჭ** დიფთონგის ხმარება, ხოლო სინის მთაზე მას **ქ** ცვლის, ანდა ეს განსხვავება გადამწერების ინდივიდუალური თავისებურებაა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ Sin. 13 ნუსხაში, sin.35-ისგან განსხვავებით, **ჭ** არ გვხვდება, მაგალითად, ისეთ ფორმებში, როგორცაა: **ესრეთ** და **ეგრეთ**. მაგ.:

მრავალნი ესრეთ სცთებთან (Sin. 13, 65 v)	საღმრთოდ იგი მჭურვალეზა ეგრეთ არს (Sin. 35, 49r)
მრავალნი ესრეთ სცთებთან (Sin. 35, 47r)	საღმრთოდ იგი მჭურვალეზა ეგრეთ არს (Sin. 13, 63 r)
ესრეთ ძალი ღმრთისაი ... მოვიდეს (Sin. 25, 56r)	მჭურვალეზა ეგრეთ არს (Sin.13, 63r)
ესრეთ ყო დავით (Sin 13, 62 r)	მჭურვალეზა ეგრეთ არს (Sin. 35, 49 r)
ესრეთ ყო დავით (Sin. 35, 49v)	

ჭ თითქმის არ გვხვდება, ასევე, Sin. 13 ნუსხის შემდეგ სიტყვებთან: **ღამე** და **ღღე**.

რაც შეეხება Sin. 35-ს, იგი **ჭ**-ს ამ სიტყვებში ზოგჯერ ინარჩუნებს, ზოგჯერ კი ე-ს შემდეგ დაურთავს, როგორც სამკაულს. Sin. 25-ში კი, ტრადიციულად, **ჭ**-ს ენაცვლება **ქ** დაწერილობა, ხოლო Sin. 13 უკვე ახალი ნორმის შესაბამისად წერს:

ღმრთისმსახური ლოცვასა შინა არნ ღღე და ღამე (Sin. 13, 67r)
ღამე და ღღე იღვიძებდა (Sin. 13, 63v)

Sin. 13 ნუსხაში გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა იგი **ჭ**-ს არ წერს არც ხმოვანფუძიანი პირის სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან:

ტიმოთე შერაცხილ იყო შვილად პავლესა (Sin. 13, 67v)	ტიმოთე შერაცხილ იყო შვილად პავლესა (Sin. 35, 48r)
--	--

ჩვენ მიერ მოხმობილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სამივე ნუსხა ასახავს მათი გადაწერის ადგილისა და დროის თავისებურებას. როგორც ჩანს, Sin. 35 გადაიწერა იმ გარემოში, სადაც Թ-ს ხმარება ითვლება ნორმად, ცოცხალი მეტყველება კი ნელ-ნელა ივიწყებს მის ფუნქციას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნუსხის გადაწერი მას ხშირად არასწორ პოზიციაში სვამს. რაც შეეხება Sin. 25-ს, მისი გადაწერი იმ სკოლის წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ, სადაც მიღებულია აღნიშნული დიფთონგის გამლილი დაწერილობა. Sin. 13-ის შემთხვევაში კი უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროს უკვე იმდენად მოშლილა აღნიშნული დიფთონგის ხმარება არა მარტო ცოცხალ მეტყველებაში, არამედ სალიტერატურო ენაშიც, რომ გადაწერი მას ხშირად აღარც წერს, ანუ მის მიერ გადაწერილი ნუსხა უფრო ახლოს დგას ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან.

ვფიქრობთ, სამივე ნუსხა მომდინარეობს სხვა საერთო ნუსხიდან და არა ერთმანეთისაგან, ოღონდ გადაწერები ერთსა და იმავე სიტყვას ხშირად წერენ ისეთი ფორმით, რომელიც მათ მიაჩნიათ მართებულად, ანდა როგორადაცაა მიღებული იმ გარემოში, სადაც მათ უწევთ მოღვაწეობა.

მეცნიერულად დადგენილია, რომ Sin. 35 ხელნაწერი 973 წელს იოანე-ზოსიმეს მიქაელ მღვდლის თხოვნით მესამედ შეუმოსავს. ამის შესახებ გვამცნობს იოანე ზოსიმესავე ხელით შესრულებული ანდერძი; ის მოთავსებულია Sin. 67-ის ბოლოსაცავად გამოყენებული ეტრატის გვერდზე, მაგრამ წარმოადგენს Sin. 35 ხელნაწერის კუთვნილებას და მას მეორეული დანიშნულება შეუძენია. ამდენად, აღნიშნული კრებული (Sin. 35) საბაწმიდური წარმოშობისაა, გადაწერილი არსენ ბერის მიერ. აღნიშნული ხელნაწერი ძალზე მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ თარიღიანია და შეიძლება გვერდით დავეყენოთ ორ უძველეს თარიღიან ხელნაწერს: სინური მრავალთავს (864 წ.) და ადიშის ოთხთავს (897 წ.)¹.

აქედან გამომდინარე, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ენობრივ ცვლილებებზე, რომელიც ამ ეპოქაში საბაწმიდურ არეალში დაწყებულა და რომელმაც თავისი გაგრძელება სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მწიგნობრულ კერაში, პოვა. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება ზმნისწინთა ვარიანტებმაც მიიქცია.

როგორც ცნობილია, ჩა- ზმნისწინი ძველ ქართულ ხელნაწერებში 906 წლის შემდეგ ჩნდება მან განვითარების შემდეგი გზა გაიარა: შე+და → შდა → შთა → ჩა. ნიშანდობლივია, რომ Sin. 35-ში აღნიშნული ზმნისწინი გვხვდება მხოლოდ ერთ ადგილას და იქაც წარმოდგენილია ძველი ფორმით:

შთაიყვანებს უფსკრულთა ჯოჯოხეთისათა ცათაგან ცათაღსა² (Sin. 35, 55v).

ჩა- ზმნისწინი კი საერთოდ არ დასტურდება არცერთ ნუსხაში, რაც ამ ნუსხათა სიძველეზე მიანიშნებს.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ჩვენს ნუსხებში ზმნისწინები ძირითადად წარმოდგენილია ძველი ფორმებით, თუმცა გვხვდება მათი გამარტივების რამდენიმე შემთხვევაც:

ვერ ძალ-მიც ზე ახილვად (Sin. 35, 71v; Sin. 25, 85).
სული ჩემი აივსო (Sin. 35, 71v; Sin. 25, 85)

ერთი და იგივე ზმნისწინი sin. 35 ნუსხაში წარმოდგენილია ძველი, ხოლო sin. 25 ნუსხაში - ახალი ფორმით. მაგ.,

აღუარო ღმერთსა მიზეზი იგი (Sin.35, 68 v)	აუარო ღმერთსა მიზეზი იგი (Sin.25, 86 r)
გაუკურვიან გული კაცისა (Sin.35, 63 v)	განუკურვიან გული კაცისა (Sin.25, 62v)

სამივე ნუსხაში ფიქსირდება ზმნისწინის ძველი ფორმა:

¹ დვალი, ჯღამაია 1978: 76-79.

² სარჯველაძე 1984: 106.

წინა-აღუდეგით სულსა მას ცუდადმზუაობრობისასა (Sin. 35, 49 r; Sin. 13, 62v)
მიეც საკმარი ჯორცთა შენთა, რადთა ალ-რაი-სდგებოდე (Sin. 35, 63 v; Sin. 25, 62v)
კმა-იყავნ შენდა ზოგი ღამისაი განსასუენებულად ჯორცთა (Sin. 35, 63 v; Sin. 25, 63r.
მე არა წარვაგლინება (Sin. 35, 46v; Sin. 25, 55r).
რჩულისა გარდასლვად იქმნა (sin. 35, 46r; sin. 25, 54v).

ორივე ნუსხაში ერთსა და იმავე ადგილას გვხვდება ზმნისწინის გამარტივებული ფორმა:

არა **გაგრდომა** არს სულისა შენისა (Sin. 35, 56v; Sin. 25, 56v).

ამონას ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანის შემცველ ნუსხებში გვხვდება ე.წ. ადგილობითი ზმნისწინები.

მაგ.:

თანა-წარჰკდეს ყოველთა მათ ჳელმწიფებათა მტერისათა (Sin.35, 44r; Sin.13, 60r)
ვითარ თანა-წარჰკდეთ მაგას (Sin. 35, 51r)
თანა-წარსლვად განსაცდელთაი მათდა (Sin. 35, 51r)
თანა-წარჰკდეთ თქუენ (Sin. 35, 51r)

კ. დანელიას თანახმად, ადგილობითი ზმნისწინები ქართულისათვის მეორეულია და არაორგანული, ამიტომაც, რომ ბერძნულ ადგილობით ზმნისწინებს ქართული ხშირად თანდებულებსა და ზმნიზედებს უფარდებს, მისი დასკვნით, ამიტომაცაა მოჭარბებული ადგილის ზმნიზედები ადგილობითი ზმნისწინების ფუნქციით. ამგვარ აქტივიზაციაში კი გარკვეული წვლილი უძევს ბერძნულ ენას¹.

მაგ.:

გარემოდგომილი იგი ძალი (Sin.35,43r; Sin. 13, 59r)
ზედა-აც განსაცდელთაცა დათმენაი (Sin.35, 51r)
წინადაგებულსა შენსა ნუ შჰამ (Sin.35, 62r; Sin.25, 62 v)

როგორც ჩანს, აღნიშნული ზეგავლენა ბერძნული ენისა ახასიათებს ჩვენს ხელნაწერსაც, სადაც ადგილის ზმნიზედები ხშირად ადგილობითი ზმნისწინების ფუნქციითაა გამოყენებული. მოგვიანებით კი, კერძოდ, საერო ხასიათის ძეგლებში მათი გავლენა აღარ შეიმჩნევა.

წინაშე, თანა, ზედა თანდებულები:

წმ. ამონას ეპისტოლეებში ძირითადად დაცულია ძველი ქართული ენის ნორმები **წინაშე, თანა, ზედა** თანდებულების გამოყენებისას. კერძოდ, აღნიშნული თანდებულები სულიერ სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში დგას, ხოლო უსულოსთან - მიცემითში.

ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა თუისისა (Sin. 35, 65r; Sin. 25, 82v)
მადლი იგი ღმრთისაი +მარადის (Sin. 13) თქუენ თანა იყოს (Sin. 35, 49 r; Sin.13, 62 v)
დასხდენ იესუს თანა (Sin. 35, 49r, Sin. 13, 69v)
დაუტევე იგი ქუეყანასა ზედა განსუენებულად (Sin. 35 64 r; Sin. 25, 63v)
ემშაკმან აღძრა გული მისი იაკობის ზედა (Sin. 35, 54r)
ესევე იყო ელიაის თანა თეზბელისა და ელისეჴს თანა და სხუათა მათ თანა (Sin. 35, 50r)

Sin. 35-ში გვაქვს ერთი შემთხვევა, როცა თანდებული **ზედა** სულიერ არსებით სახელთან წარმოდგენილია მიცემით ბრუნვაში:

¹ დანელია 1981:145.

განსაცდელი არა მოიწევს **კაცსა ზედა** (Sin. 35, 54v).

ამავე სიტყვასთან ყველა დანარჩენ შემთხვევაში სამივე ნუსხაში **ზედა** თანდებული წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან.

მაგ.,

მოიწიოს **კაცისა მის ზედა** ღმრთისამიერი იგი მჭურვალეზაჲ (Sin. 35, 56v).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სალიტერატურო ენა, მართალია, მყარად მიჯნავს ერთმანეთისგან აღნიშნული თანდებულების ხმარებას იმის შესაბამისად, სულიერს თუ უსულოს აღნიშნავს არსებითი სახელი, მაგრამ ბოლოს მოყვანილი მაგალითიდან შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ცოცხალ მეტყველებაში უკვე დაიწყო მათი გათანაბრების პროცესი და იგი ნელ-ნელა მკვიდრდება სალიტერატურო ენაშიც.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ Sin. 25 ნუსხაში **-მდე** თანდებულის დართვისას შენარჩუნებული ვით. ბრუნვის ნიშანი **-დ** მაშინ, როცა Sin. 35-ში იგი იკარგება თანდებულის დართვის გამო. მაგ.: საზღვართა ხუჭიკეთისათა ვიდრე აქა **დღედმდე** (Sin. 25, 66r).

sin.35 ნუსხას ახასიათებს კალამლაფსუსები.

მაგ.:

არა მოუღებებს სული (Sin. 35, 58 r)
რაღედენგზის მოგეხსენებოდის მაჭირველთა მათ შენთა ჭირი (Sin. 35, 70v)
ოდესვე უმდაბლესა საქმისა (Sin. 35, 70v)

მოცემულ წინადადებაში დაშვებულ შეცდომას ასწორებს Sin. 25 ნუსხის გადამწერი და წერს მართებულ ფორმას:

ოდესმე უმდაბლესა საქმისა (Sin. 25, 82v).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ sin. 25 ხმარობს **ძრიელ** ფორმას, მაშინ, როცა Sin. 35-სა და Sin. 13-ში დაცულია პირვანდელი **ძლიერ** ფორმა.

მაგ.:

განძლიერდით (განძრიელდით (Sin. 25, 52r) ღმრთისა ჩუენისა მიერ საქმეთა შინა (Sin. 35, 47 r; Sin.13, 65r).
განძრიელდით სულითა (Sin.25, 52v)
იყოს ვინმე უძრული (Sin.25, 52v)

Sin. 25-ის ეს თავისებურება დიალექტის გავლენას უნდა მივაწეროთ.

ცოცხალი მეტყველების გავლენას შეიძლება მივაწეროთ აღნიშნულ ნუსხაში მეორე ობიექტური პირის ნიშნად ქ თანხმოვნის დაწერა ასიმილაციის შედეგად.

მაგ.:

უკუეთუ ვინმე პატივს ქცემდეს (Sin. 25, 80 r)
მსაჯულმან მიქცეს მსახურსა (Sin. 25, 65r)

აღსანიშნავია, რომ ამ და მსგავს შემთხვევებში Sin. 35 ნუსხა ყველგან სწორ ფორმას წერს.

ძალზე თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ Sin. 13 ნუსხის გადამწერი თითქმის ყველა სიტყვაში, სადაც მოსალოდნელია უ, წერს ჯ-ს ანდა ჯი-ს.

მაგ.:

საყვარელნო , ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყვარე ხართ (Sin. 13, 59v)
რომელსა კაცთათვის ჰყოფედ, ამისთვისცა არა მოვიდა მათ ზედა მაღლი იგი, რამეთუ საძაგელ უჩნ ძალსა მას ღმრთისასა კაცი, რომელი ჰყოფნ საქმეთა თვისთა კაცთა სათნოებით (Sin. 13, 61v)

ზ. სარჯველაძის თანახმად, როგორც ჩანს, ზოგ დიალექტში არ არსებობდა ფონემური დაპირისპირება ვ-სა და უმარცვლო უ-ს შორის. ამას ასახავს უძველეს წერილობით ძეგლებში გამოვლენილი ფაქტები: თაჰყანის-ხცეს (თაუყუანის-ხცეს), შვილი (შუილი) და მისთ. IX საუკუნიდან გვხვდება როგორც მათი ურთიერთშენაცვლების ფაქტები¹.

როგორც ჩანს, აღნიშნული ნუსხა გადაწერილია იმ დროს, როცა ჯ-ს ხმარების ტრადიცია ნელ-ნელა იშლება. ამის მიმანიშნებელია მის გვერდით ი სრული ხმოვნის გაჩენაც, რომლის ხმარებაც აღნიშნულ პოზიციაში, ძველი ქართული ენის ნორმების თანახმად, არასწორია. ამავე დროს, მისი გადამწერი წარმოშობით იმ არეალიდან უნდა იყოს, სადაც გავრცელებული იყო ის დიალექტი, რომელიც ფონემატურად ერთმანეთისგან არ ასხვავებდა უმარცვლო უ-სა და ჯ-ს.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებიდან გამომდინარე, სამივე ნუსხაში (Sin. 35, Sin. 25, Sin. 13) პირის სახელები სახელობითა და მოთხრობით ბრუნვებში წარმოდგენილია ფუძის სახით.

მაგ.:

ეგრეცა ნეტარი იაკობ, რამეთუ მობაძავ იქმნა ყოვლითავე ღმრთისმოყუარებასა (Sin.35, 52r; Sin. 13, 70r).

თუმცა გვაქვს ერთი შემთხვევა, როცა პირის სახელი მოთხრ. ბრუნვაში გაფორმებულია შესაბამისი ბრუნვის ნიშნით:

იაკობმან არა წარწყმიდა კურთხევად იგი მისი (Sin. 35, 51 r).

როგორც ჩანს, ამ დროს ზეპირი მეტყველებისას პირის სახელებს ისევე ურთავენ სახელობით და მოთხრობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნებს, როგორც საზოგადო სახელებს. ნუსხის გადამწერი ცდილობს, დაიცვას ენობრივი ნორმები, მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევა მიგვანიშნებს იმაზე, რომ სალიტერატურო ენაშიც, რომელიც, მართალია, კონსერვატიულია და ხელოვნური, უკვე შემოჭრილა ყოველდღიური მეტყველებისთვის მისაღები ფორმები.

ამონას ეპისტოლეთა ქართველი მთარგმნელი ხშირად აწარმოებს რთულ სიტყვებს **ყოფა** ზმნის დახმარებით.

მაგ.:

რომელთა-იგი უნებნ მორწმუნეყოფად (Sin. 35, 45r; Sin. 13, 62r)
ასწავის მას ...მახლობელყოფად ღმრთისად (Sin. 35, 55v)
უკუეთუ უნდეს მონაზონყოფის , ნუ უტეობ შენთანა დგომად (Sin. 35, 59r; Sin. 25, 60r)

როგორც ცნობილია, ქართველი მთარგმნელები აღნიშნული ზმნისგან ხშირად ქმნიან ახალ შესიტყვებებს და კომპოზიტებს ბერძნულის ანალოგიით. ბერძნულის ანალოგიითაა ასევე შექმნილი შემდეგი კომპოზიტები: **ღმრთისმოყუარე, კაცთმოყუარე, ძმთმოყუარება, დიდებისმოყუარება, გემოღსმოყუარება, ცუდადმზუაობრობა, მღდელოთმოდღუარი, დიდებისმეტყველება** და სხვ.²

მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ ამონას ეპისტოლეთა ქართული თარგმანები ბერძნული ენიდანაა შესრულებული³ (მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ ქართული და ბერძნული ეპისტოლეების ცალკეული თავები დააღაგეს ურთიერთშესაბამისობის პრინციპით:

ბერძნული 2 = ქართული 1; ბერძნული 6 = ქართული 2; ბერძნული 3 = ქართული 4; ბერძნული 4 = ქართული 8; ბერძნული 8 = ქართული 12; ბერძნული 5 = ქართული 10; ბერძნული 1 = ქართული 3; ბერძნული 7 = ქართული 11.

ამონას ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში ფიქსირდება ბერძნიზმები, როგორცაა: **მონაზონი//მოლოზანი, ქარტა, კერმა** და მისთ. როგორც ჩანს, აღნიშნული სიტყვები იმდენად

1 სარჯველაძე 1997:17.

2 სარჯველაძე 1980:160.

3 Chitty 1985: 2.

მყარადაა დამკვიდრებული ქართულ მეტყველებაში, რომ ქართულ სალიტერატურო ენას უცვლელად გადმოაქვს იგი.

ნუსხებში გვხვდება პირველი ობიექტური პირის **ინკლუზიურ-ექსკლუზიური** მრავლობითობის გარჩევის მცდელობა. ოღონდ დადასტურებულ მაგალითებში ჩანს, რომ ამ კატეგორიის გაგება მოშლილი უნდა იყოს. კერძოდ, ექსკლუზიური ფორმა **მ-** პრეფიქსით დასტურდება მაშინ, როცა პირთა კომბინაციის მიხედვით ინკლუზივის ფორმაა მოსალოდნელი (**გუ-**):

უფალი ჩუენი მოკუდა და აღდგა და სისხლითა თუისითა **მომიყიდნა** ჩუენ (Sin 35, 72v; Sin. 25, 87 r).

შემდგომ მონაკვეთში კარგად ჩანს, რომ პირთა ერთსა და იმავე კომბინაციაში ხან **მ-** პრეფიქსი გამოიყენება, ხანაც მოსალოდნელი **გუ-**:

განმათავისუფლნეს ჩუენ და **გუექმნეს** ჩუენ შორის მცველ და **[გუა]სწავებდეს** ჩუენ თითოეულსა მას, რომელსა შევცუევით უმეცრებითა, ნუუკუე **განმიყენოს** და შევვარდეთ ჳელთა მტერთასა და არა **შემიწყალნეს ჩუენ**, ანუ ვითარცა **მასწავა** ჩუენ უფალმან ჩუენმან იჳ ქრისტემან (Sin. 35, 61; Sin. 25, 68r)

ინკლუზივის მართებული გამოყენების შემთხვევებია:

ესე არს მარგალიტი იგი, რომელსა გუითხრობდა სახარებად (Sin. 35, 54v).

უკუეთუ ვინმე სადმე ვინძი-რად ყოს სამართლად, გინა უსამართლოდ **გუაგინებდეს**, გინა **შეურაცხ-გყოფდეს**, გინა თუ და-ცა-რას **გჳკლებდეს**, ანუ თუ ძუირსა იტყოდის ჩუენთუის, და [უფრომს და თუ] სიკუდილდ მი**გუცემდეს**, ვითარცა ცხოვარსა კლვადსა (Sin. 35, 65r; Sin. 25, 82 v)

უმართებულოა:

ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა შიშითა ღმრთისადათა, რადთა **განმათავისუფლნეს** ჩუენ და **გუექმნეს** ჩუენ შორის მცველ და **[გუა]სწავებდეს** ჩუენ თითოეულსა მას (Sin.35, 61r; Sin. 25, 68r).

მომიყვანნეს ჩუენ ასურასტანად და გუესმის მწარეჳ იგი ჳმად (Sin. 35, 61v; Sin.25, 69r).

შევვარდეთ ჳელთა მტერთასა და არა **შემიწყნარნეს** ჩუენ, ანუ ვითარცა **მასწავა** ჩუენ უფალმან ჩუენმან იჳ ქრისტემან (Sin. 35, 61r; Sin. 25, 65r).

ბოროტნი ნებანი ჩუენი ზღუდე **მექმნიან** ჩუენ მისა მიმართ (Sin. 35,61r; Sin.25, 64v).

აწ უკუე ვითხოვდეთ გულსმოდგინედ ღმრთისაგან, რადთა არა **დამაბრკოლნეს** ჩუენ აღსლვად ღმრთისა (Sin. 35, 44r; Sin.13, 60r) და სხვ

ექსკლუზივის მართებული გამოყენებაა:

მზამცა ვართ ყოვლისათუს სიტყუად, რომელი გუესმის და ვთქუთ, მომიტევენ ჩუენ (Sin. 35, 72r; Sin. 25, 97 r).

სამივე ნუსხაში ზმნაში ყველგან დაცულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა:

მაგ.:

დაგიტევნა თქუენ საღმრთომან მან მჳურვალეზამან (Sin. 35, 45 v; Sin. 13, 62v)

შეიყუარნა იგინი ყოვლითა გულითა ნეტარმან პავლე (Sin. 35, 51r; Sin.13, 66v)

დაუტევნა იგი ცუდნი (Sin. 35, 45v; Sin. 13, 62 v)

განანათლნეს თუალნი გონებათა თქუენთან (Sin. 35, 47r)

განანათლნეს თვალნი გონებისა თქუენისანი (Sin. 13, 66r)

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე ზმნაში ერთ ნუსხაში დაცულია ობიექტის მრავლობითობა, ხოლო იმავე ადგილას მეორე ნუსხაში უკვე მოშლილია და წარმოდგენილია ამ ნიშნის გარეშე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში დარღვევა ორი ნ-ს შეხვედრამ განაპირობა.

შდრ.:

პირველნი მამანი ...ღმერთმან მოავლინნა კაცთა აღსაშენებლად (Sin. 35, 46v)
...ღმერთმან მოავლინა კაცთა აღსაშენებლად (Sin. 25, 54v)
არავინ აცთუნეს (Sin.35, 46r)
არავინ აცთუნნეს (Sin. 13, 65v)

თუმც, გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა სამივე ნუსხაში დაცულია ობიექტის მრავლობითობა:

ღმერთმან მოავლინნა (+ იგინი Sin.25; Sin.13) კაცთა შორის სავსენი ყოვლითა სათნოებითა (Sin. 35, 46v; Sin. 25, 50r; Sin.13, 64v).

როგორც ჩანს, ობიექტის მრავლობითობის ნიშანი ნ მყარადაა წარმოდგენილი ზმნებში წინაათონურ ეპოქაში. ამგვარი სიმყარე განსაკუთრებით საბაწმიდის სკოლისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო Sin. 25-ში ორიოდ ადგილას მისი კლება უკვე მიგვითითებს იმაზე, რომ სინის მთის სალიტერატურო სკოლაში ცოცხალი მეტყველების გავლენით უკვე იწყება ამ ნიშნის მოშლა. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ხელთ არსებულ Sin. 13-ის ორი ეპისტოლის მონაცემებში ობიექტის მრავლობითობა ყველგან დაცულია.

პირის ნიშანთა ისტორიის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა შემთხვევები, როდესაც მე-2 სუბიექტური და მე-3 ობიექტური პირის ნიშნად, ს-პრეფიქსის პოზიციაში წარმოდგენილია ჰ-. ეს ძირითადად Sin. 25 ხელნაწერს ახასიათებს; შდრ.:

მოიგო ნებად თავით შენით, რავდენი სცოდე (Sin. 35, 61v)	მოიგო ნებად თავით შენით, რავდენი ჰცოდე (Sin. 25, 56v)
სჯდე რად სენაკსა შენსა, ნუ სულმოკლე იქმნები (Sin. 35, 63r)	ჰჯდე რად სენაკსა შენსა, ნუ სულმოკლე იქმნები (Sin. 25, 62v)

ნიშანდობლივია, რომ ზმნა ჯდომა წარმოდგენილია არა მხოლოდ სხვადასხვა პირის ნიშნით, არამედ პირის ნიშნის გარეშეც. მაგ.,

ჯდე რა სენაკსა შენსა, მიეც საკმარი ჯორცთა (Sin. 35, 58v).

ხელნაწერებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ერთსა და იმავე ზმნასთან სხვადასხვაგვარადაა; მაგ.:

წინადაგებულსა შენსა ნუ შჰამ მაძღრივ გულისთქუმით (Sin. 35, 63v)	წინადაგებულსა შენსა ნუ ჰჰამ მაძღრივ გულისთქუმით (Sin. 25, 62v)
--	--

ერთი და იმავე ლექსემის გადამოსაცემად თვალსაზრისით ამონას ეპისტოლეების შემცველი ნუსხები იშვიათად იყენებს სხვადასხვა სიტყვას. გვხვდება სულ რამდენიმე შემთხვევა.

მაგ.: უფალი - ღმერთი

იგი თავადი არს უფალი მშუიდობისაი (Sin. 35, 67v)
იგი თავადი არს ღმერთი მშუიდობისაი (Sin. 25, 70v)

მოცემულ ეპისტოლეებში გამოვყავით საღვთისმეტყველო შინაარსის სიტყვათშეთანხმებები: სული ცუდადმზუაობრობისა, ძე სასუფველისა, შვილი აღთქმისა, ერთარსება, ნაყოფი მონაზონებისა, მღდელოთმოდღუარი, ძმათმოყუარება, ღმრთისმსახური, გლახაკთმოწყალება,

სამოთხისა იგი ნაყოფი, ტარიგი, მრისველი, ძონძი წიდოვნისაჲ, გეჰენია, მონაჲ უჰმარი, გულისსიტყუა, ერთარსება სამება და სხვ.

როგორც ჩანს, ამ პერიოდში მონასტრული ცხოვრების ყოველდღიურ ყოფასა და საუბარში უკვე მყარადაა ფესვგამდგარი ამგვარი სიტყვათშეთანხმებანი, რომელიც წმინდა წერილზე ამოიზარდა და თანდათან ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა.

თარგმანში აღმოჩნდა უცნობი ლექსიკური ერთეული **ფქერა**:

უკუეთუ ფქერაჲ გაურვებდეს, დაიწებენ ბაგენი შენნი, რათა არა აღამტკბო პირი შენი და განისუენო ბოყინებასა, ყოვლადვე ნუ აღმოუტევებ (sin. 35, 72v; sin.25,96r).

ეს ლექსიკური ერთეული **არ აღიბეჭდება** ძველი ქართული ენის არცერთ ლექსიკონში. თუმცა, დასტურდება დიალექტური ფორმა — ინგილ. **ფქულ** [პალატალიზებული **ჭ**-ხმოვნით]: „**ფქულ განევაჲ** — „წისქვილში ქვის ტრიალის დროს შექმნილი ნიავის ძალით ფქვილის გადაყრა გვერდზე“¹.

გვაქვს **ფქერას** მსგავსი ძვ.ქართ. ლექსიკური ერთეულები:

ერთია → ძვ.ქართ. **ფქურევა**, სალექსიკონო განმარტებებით:

„**ფქურ-ევ-ა** (ფქრევეა; ფქვრევა) შებნევა თუ შეპკურება; ბუზთ მოგერიება“ (სულხან-საბა); „**ფქურევა** მოყრა; მოფრქვევა“ (ზ. სარჯველაძე).

იგივე **ფქურევა** ილია აბულაძის ლექსიკონში სალექსიკონო განმარტების გარეშეა წარმოდგენილი, თუმცა ყურადღებას იქცევს ამ ლექსიკური ერთეულის ამსახველი უაღრესად საგულისხმო ილუსტრაცია:

„ქჷშაჲ ვ ა ფ ქ უ რ ი ო ზედაჲს-ზედა, რათა განძედნ“ Sin.—**11, 313 r**[სინას მთის ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერები (ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის კატალოგები)].

მეორეა → ძვ.ქართ. **ფქურ-ებ-ა**, რომელიც ილია აბულაძის ლექსიკონში ასევე განმარტების გარეშეა წარმოდგენილი — კვლავაც უაღრესად საგულისხმო ილუსტრაცია: „ვითარცა ტრედნი ცთომილნი ფ ქ უ რ ე ბ ო დ ი ა ნ“ [სქოლიოში მითითებულია: „წყაროს დასახელება გამორჩენილია (რედ.)“].

საყურადღებოა ძვ.ქართ. **ფქურევის** ილია აბულაძისეული **სინონიმები**:

ძვ.ქართ. **პკურება** „სხურება“ და **მიპკურება** „მისხურება; მიფრქვევა“;

სხურება, **მისხურება** და **შესხურება**, მნიშვნელობით — „პკურება“;

მეორე მხრივ, ასევე ილია აბულაძის ლექსიკონში ჩაწერილი ძვ.ქართ. **ბნევის** სემანტიკური მონაცემები:

„**ბნევა** მიმოდაფანტვა; დაფანტვა“; შდრ.: „**ბუქი** ქარიანი თოვლი; ქარიანი თოვლა//თოვა“ (სულხან-საბა);

„**ბნევა** გაფანტვა“ — „გულის-სიტყუანი ჩემნი **ი ბ ნ ე ვ ი ა ნ**“².

„**შებნევა** „შეყრა; ჩაყრა“, შდრ.: „**შეყრა**; **შეკრება**; **ჩაგდება**“.

ასევე შდრ.: ახ.ქართ. „**მიმოაბნევ**-ს (მიმოაბნია, მიმოუბნევია) გრდმ. მიაბნ-მოაბნევს; მიმოყრის; მიმოფანტავს“³.

ჩვენი ვარაუდით, ამონას ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში სიტყვა **ფქერა**, რომელიც არსად დაიძებნა, უკავშირდება რა სიტყვას (პირის) **აღმტკობა**, შესაძლებელია, ნიშნავდეს პირიდან ამოფრქვევას, ამოხველებას ანდა დაცემინებას.

1 ინგილოური ლექსიკონი 1976. იხ. <https://www.lev.ge/liv/ingilour.php>

2 აბულაძე 1975: 200 V.

3 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, თბ., 1958.

ასევე ორივე ნუსხაში გვხვდება ბერის შესამოსლის ძველი სახელწოდების - **ფიჩუ** - ვარიანტი **ფუიჩუ** (ფუჩუ):

ნუ იმოს **ფუიჩუსა** სხუათა თანა.

აღნიშნული სიტყვა განიმარტება, როგორც „წამოსასხამი, ჩენჩო“¹. ილ. აბულაძესთან კი როგორც „ძამა“, მოსასხამი.² საყურადღებოა, რომ ძველ ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში დამკვიდრებული ჩანს სიტყვა **ფიჩოსანი** როგორც **ბერის** სინონიმი. კერძოდ, წმინდა გიორგი ათონელი თავის თხზულებაში - „ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი“ - ასე იხსენებს იოანე-თორნიკოფილის აღმოსავლეთში ყოფნისა და იქიდან ბერ-მონაზონთა ჩამოყვანის ამბავს: „ხოლო იყო რად თორნიკ აღმოსავალეთს, მრავალნი **ფიჩოსანი** ჩამოიტანა“³.

ძალზე საყურადღებოა, ასევე, კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული: საციქუელი. იგი ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს სიტყვას **ციქუ და ილ. აბულაძესთან** განიმარტება როგორც მოციქულობა, მსახურება, თავად **საციქუელი** კი ორგვარად გაიგება: 1. როგორც მიგზავნა, მსახურება; 2. საჭიროება, საჭირო⁴. ნეტარი ამონას ეპისტოლეში ვკითხულობთ:

უკუეთუ ჰყოფდე წყალობასა ძმისა თანა გლახაკისა, ნუ მიიყვანებ მას **საციქუელსა**, რადთა არა წარსწყმიდო სასყიდელი ქველისსაქმარისა შენისაჲ (Sina 35 57v; Sina 25 56r).

სიტყვა **ციქუ** გახდა ძირი **მოციქულისა**, რომელიც მსახურებას გულისხმობს.

შეიძლება დავასკვნათ:

როგორც ანალიზმა აჩვენა, ნუსხებში ძველი ქართული ენის ნორმები ხშირად არ არის დაცული და თვით ნუსხებს შორისაც არაერთი განსხვავება იჩენს თავს, რაც გადამწერთა სხვადასხვაგვარ ენობრივ გამოცდილებასა და სამეტყველო ჩვევებზე მიუთითებს. ნუსხებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, რომლებიც მოგვიანო ხანის ხელნაწერებისთვისაა უფრო მეტად დამახასიათებელი.

აღნიშნული თხზულების ძველი ქართული თარგმანი შესრულებულია წინათონურ პერიოდში, საბაწმიდის სამონასტრო წიაღში. აღნიშნულ პერიოდში ამ ეპისტოლეთა ქართული თარგმანის არსებობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ საკითხავებისადმი დიდი დაინტერესება არსებობს როგორც, ზოგადად, ქრისტიანულ სამყაროში, ასევე, ქართულ სინამდვილეში. ეს ხელნაწერები წარმოადგენს უძვირფასეს წყაროს არა მხოლოდ ქართული ნათარგმნი ლიტერატურის, არამედ ბიზანტიური მწერლობის გასაცნობად.

1 სარჯველაძე 2001: 227.

2 ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი იხ.: www.nplg.gov.ge

3 ქართული აგიოგრაფიული ძეგლები 2011: 574.

4 ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი იხ.: www.nplg.gov.ge

ტექსტისათვის

ამონას ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანის წინამდებარე გამოცემა მომზადებულია სამი ნუსხის მიხედვით: Sin. 35 (907), Sin. 25 (X), Sin. 13 (X).

Sin. 35 ნუსხაში ტექსტი სრულია. თუმცა, ზოგჯერ გამოტოვებულია მთელი წინადადება ან სიტყვა, ანდა დაზიანებულია. აღნიშნული მონაკვეთები შევავსეთ დანარჩენი ორი ნუსხით და ცვლილებების შესახებ მივუთითეთ ჩვენ მიერ დადგენილი კრიტიკული ტექსტის სქოლიოში. მასში გვხვდება ცალკეული სიტყვების თუ ფრაზების მეტობის შემთხვევებიც. ყველა აღნიშნული შემთხვევა მივუთითეთ ასევე სქოლიოში. აღნიშნული ნუსხა შესრულებულია მთავრულით, გამოტოვებული მონაკვეთების ჩამატებები კი - ძირითადი ტექსტის ზემოდან, ნუსხურად. აღნიშნულ ნუსხაში უ ხმოვანი წარმოდგენილია ზოგჯერ ერთი (Q), ზოგჯერ კი ორი (Q4) გრაფემით.

აღნიშნულ ნუსხას ასევე ახასიათებს ღ (F) არასწორი გამოყენება. მაგ., სიმდიდრეჲ, უმჯობეჲს. თუმცა, გვხვდება მისი სწორად გამოყენების შემთხვევებიც. მაგ., ესრჳთ.

Sin. 25 ნუსხაში ტექსტი ნაკლულია. წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი ეპისტოლე: მესამე, მეცამეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე. ამ ნუსხაში ღ (F) წარმოდგენილია ედ კომპლექსით და უმრავლეს შემთხვევაში სწორად.

 იყავ წინაშე ღმრთისა მის. მკუდარ იქმენ [სრულიად კაცობრივითა გემოდთა და 30
 ყოვლადვე ნუმცა არს ნებაჲ შენი] თუისად და გულისთქუმად, არამედ, რადთა იყოს
 ყოველი ნებაჲ შენი და ყოველი გულისთქუმად შენი სურვილისათუის და წადიერე-
 ბისა საქმედ სათნოებათა ღმრთისათა, რადთა ესრეტ³³ არასადა შეგერაცხოს თავი შე-
 ნი თავისუფლად, გინა ვითარმცა გაქუნდა თავსა თუისა ზედა კელმწიფებაჲ, არამედ
 იტყოდე: მონად ვარი ღმრთისაჲ და ჯერ-არს ჩემდა, რადთა ნებასა მისა³⁴ დავემორჩილო 35
 [და] შეუდგე.

1 ესრეთ B. 2 რადთა +არა B. 3 აშფოთნეს B. 4 იხილო A. 5 ესრეთ B. 6 გრწამს B. 7 ჰხედავს B. 8
 ესრეთ B. 9 დაადგრეს B. 10 და- B. 11 მისსა B. 12 ეგრეთ B. 13 სიხენეშე B. 14 და- B. 15 ჰჯდე B. 16
 გინა B. 17 განამზადებდ B. 18 ღმრთისაჲსა B. 19 რწოლითა B. 20 მწიკულევანთა B. 21 -შენთა- B. 22
 სიმშვიდითა B. 23 მორცხუად B. 24 ესრეთ B. 25 სახე B. 26 ჩუენი- B. 27 დაგლახაკდა B. 28 თუისითა]
 მისითა B. 29 მისსა B. 30 მონად+საუკუნოდ B. 31 კუალად- B. 32 თუისთა B. 33 ესრეთ B. 34 მისსა B.

* B ნუსხაში სიტყვა ვისმე ჩამატებულია. **ამ გვერდის ზემო კიდეზე არის ძველი პაგინაცია ი
 და სწორი ხაზი, სავარაუდოდ, რომაული პირველი A ნუსხაში. *** შდრ.: პავლე, II კორ. 8,9. **** ამ
 გვერდზე B ნუსხაში ძველი პაგინაციაა ია.

- 89vB დაიცევ [თა]ვი შენი კეთილად, რადთა [ჟამი]თი ჟამად მოელოდე [შენ] ზედა / გან-
საცდელსა [გი]ნა სიკუდილსა, გ[ინა]თუ ჭირსა¹ და ვ[ნება]თა და თავს-იდებ[ბდე]² წა-
დიერად და შე[უძ]რწუნებულად³ და [გა]ნიძრახევდ, ვითარმედ *მრავლითა ჭირითა*
*გ[ული]რს ჩუენ შესლვად⁴ სა[სუ]ფეველსა ღმრთისასა.**
- ეკრძალე თავსა შე[ნსა] კეთილად, ვითარცა წინაშე ღმ[რთისა] მყოფი მარადის. 5
რადცა შეგემთხოოს შენ სახეც⁵ სიტყუით, გინა სა[ქმით], გინათუ [ცნო]ბით, ყოვლად-
ვე ნუ ეძიებ შენსა ნებასა, [ნუ]ცა შენსა განსუენება]სა, არამედ ნებასა ღმრთისასა
- 71rA გამოეძიებდე, ⁶ ჭემმარიტად [დაღათუ / შრომად რამე აქუნდეს, არამედ ვითარცა
არს ჭემმარიტად]⁷ სასუფეველი⁸ ცათად და გუირგუინი ცხორებისად, დაითმინე და
სრულიად გასუროდინ და გრწმენინ და იქმოდე ყოვლითა გულითა, რამეთუ ესე 10
- 90rB უმჯობე არს შენდა უფროს ყოვლისა / კაცობრივისა ზრახვისა, რამეთუ მცნებანი მისნი
ცხორება საუკუნო⁹ არიან და რომელნი გამოეძიებენ მას, არა ნაკლულევან იქმნენ
ყოვლისაგან კეთილისა.
- ეკრძალე თავსა შენსა კეთილად, ვითარცა წინაშე ღმრთისა მყოფი მარადის,
რადთა არა¹⁰ ერთი რად¹¹ თუნიერ ნებისა მისისა ჰყო, არამედ რადცა გინდეს ყოფის, 15
გინა სიტყუის, გინათუ საქმისა რადსამე, ვიდრე მცირესაცა რასმე ზედა,¹² გინა მისლვის
ვისსამე, გინა შემთხუვევის, გინათუ ჭამის, გინა სუმის, გინათუ დაძინების, გინათუ
სხუისა¹³ საქმისა,¹⁴ რადსამე გინდეს მოსაქმის, რადთა გამოიცადო პირველად. უკუეთუ
- 90vB საჯმარ არს და სამართლად¹⁵, ნებად ღმრთისად არს / ყოვლადვე¹⁶ იგი გინა სიტყუად
და ესრეც¹⁷ აღიაროს¹⁸ წინაშე ღმრთისა მიზეზი იგი საქმისად მის გინა სიტყუისად,¹⁹ 20
რომლისად გინდეს ყოფის და ესრეც²⁰ მაშინდა ჰყო, ვითარცა შეჰგავს წინაშე ღმრთისა
დიდითა შიშითა და ძწოლითა²¹, რადთა ესრეც²² მიეახლო და თანამზრახვალ იქმნე
ღმრთისა და ყოველთა შინა²³ საქმეთა ზედა და სიტყუათა მისცემდე აღსარებასა²⁴ და
თუ შეაცნა თავსა შენსა, ვითარმედ გარდა-რამე-ჰკედ, მას წესსა შურებოდე, რადთა
- 71vA აღასრულებდე მას / ჭემმარიტებით. სულთ-ითქუემდ და მწუხარე იყავ და ინანდე 25
წინაშე ღმრთისა და ილოცევი წარმართებად, რადთა ესრეც²⁵ რად თავსა თუისსა
განიკითხვიდე და მოიკრძალვიდე, რადთა ადრე არა სცთე.
- 91rB ეკრძალე თავსა შე[ნსა] კეთილად, ვითარცა წინაშე ღმრთისა მყოფი მარადის,
რადთა არა ვისგან²⁶ ესვიდე მოღებად, გარნა მის მხოლოდსაგან სარწმუნოებით;
და რომელი რად გინდეს, ევედრებოდე ღმერთსა, რადთა მოგცეს²⁷ შენ საჯმარი იგი 30
მისისაგან ნებისა,²⁸ რადცა-იგი ჰპოო მას ზედა, ჰმადლობდი²⁹ მარადის, ვითარცა მის
მიერ მოცემულსა და თუ გაკლდეს რამე, ვითარცა ყოვლადვე არა ესავ კაცსა, ეგრეცა
რადთურთით ნუვისა გულსა გაკლნ, ნუცა სდრტუინავ³⁰ ვისთუის, არამედ მოითმენდ
- 91vB გულსმოდგინედ და შეუძრწუნებულად და იტყოდე, ვითარმედ: ღირს ვარ მრავ/ლი-
სა ჭირისა ცოდვათა ჩემათათუის. ხოლო უკუეთუ უნდეს უფალსა ჩემი შეწყალება, 35
ძალ-უც³¹ მცირითაცა და უნდოდთა ყოველი [საჯმა]რი ჩემი განკურნებად.³² [ეს]რეც³³
ევედრებოდე ღმ[ერთსა], რადთა მან თავადმან ყოველი [საჯ]მარი შენი ადავსოს.

1 ჭირთა B. 2 თავს-იდებდ B. 3 შემრწუნებულად B. 4 შესულად B. 5 სახეB. 6 გამოეძიებდ. 7 დაღათუ...ჭემმარიტად]-B. 8 სასუფელი B. 9 საუკუნე B. 10 არარად B. 11 რად -B. 12 ზედა რასმე B. 13 სხუსაA. 14 საქმისა B. 15 სამართლად B. 16 ყოვლად B. 17 ესრეთ B. 18 ადაროს AB. 19 სიტყუადB. 20 ესრეთ B. 21 ძწოლითა B. 22 ესრეთ B. 23 შინა]შენთა B. 24 აღსარებასა B. 25 ესრეთ B. 26 არავისგან+რას B. 27 მოქცეს B. 28 ნებისა+და B. 29 ჰმადლობდი+ ღმერთსა B. 30 სდრტინავ B. 31 ძალ-ოც B. 32 განკურნებად+ და B. 33 ესრეთ B.

* შდრ.:საქმე, 15,22.

[ეკრმა]ლე თავსა შენსა კეთილად, რადთა ყოვლადვე არა ვისგ[ან-რად-მოილო, არცა თავს-იდვ]ა, რომელი დაგიჯეროს, ვითარმედ ღმერთმან მოგიძღუანა და რომელი იხილო, ვითარცა [ნაყოფთაგან სიმართლისათა იყოფებ]ის ყოვლითა სიმართლითა და სიყუარულითა, ესე თავს-იდევ, ხოლო რომელი იხილო, ვითარმედ არა სიმართლით 5
92rB იყოფის, არამედ [ლა]ლვით და ზაკუვით¹ განი[შო]რებდ / და განაგდებდ [ეგევითარს მას, განიზრახე] და თქუ, ვითარმედ: სჯობს² მცირედი [ნაწილ]ი შიშითა ღმრთისადათა, ვიდრეღა მრავალთა ნაყოფთა უსამართლოებით.

ეკრმალე თავსა შენსა კეთილად და ვითარცა დიდი ღუაწლი და [სიმქ]ნედ დაიმარ- 72rA ხე თავი[სა] შენისადა, რადთა იყო მარადის დუ/მილით, რადთა მოგცეს შენ ღმერთმან ღუაწლისადა დამარხვად და ყოვლადვე ნურას იტყუ, [ნუცა მცირესა რას] ზედა, ვიდრე 10
რქუმამდე კაცისა; და არს იგი გინა რად არს ესე, [არამედ უკუეთუ საჯმარი იყოს შენ- და სიტყუად, გამოიცადე პირველად თავით შენით, უკუეთუ საჯმარ არს] და ჯერო- 92vB ვან და ნებად ღმრთისადა სიტყუასა / მას ზედა, უფროდ არს, ვიდრე³ დუმილისა და ესრეწთ⁴ აუარო ღმერთსა მიზეზი იგი სიტყუასადა მის ძალისადა,⁵ რომლისადა⁶ გინდეს სიტყუად და მაშინ, ვითარცა ნებასა ღმრთისასა, ემსახურებ.⁷ ადაღე პირი შენი სიტყუა- 15
სა ღმრთისასა⁸ და იტყოდე მცირესა გინა დიდსა, ვითარ-იგი ჯერ-არს წინაშე ღმრთისა შიშით და ძწოლით [ყოვლითა სიმდაბლითა და სიმ]*შუიდითა სწავლულად იტყოდე რად, გეპყარნ პირი მარადის და სიტყუად პატივის პყრობით, და რეცა თუ შეურდები, რადთა ესრეწთ,⁹ უკუეთუ ვისმე შეემთხუიო, რქუა ერთგზის გინა ორგზის სიტყუად 93rB სიყუარულისათუის და მერმე სდუმნე და თუ ვინმე / გკითხვიდეს რას, საჯმარი ხოლო 20
იგი¹⁰ მიუგე, მეტსა ნურას იტყუი.

დაიცევ თავი შენი ჭემმარიტად და ვითარცა-იგი იმარხავ სიმვისაგან, ეგრევე იმარხევდ გულისთქუმისაგან თუალთადასა და სასმენელთადასა¹¹ პირისაგან და შე- ხებისა, რადთა თუალითა მარადის თავსა შენსა და საქმეთა შენთა ხედვიდე მარ- 25
ტოდ და ნუვის ადრე-ადრე განიცდი კაცსა, გარნა ოდეს იხილო, ვითარმედ საჯმარ არს და ჯეროვან. ხოლო დედაკაცსა გინა წულსა პირმშუენიერსა ყოვლადვე ნუ მიხე- 93vB დავ, უკუე¹² დიდისა რადსმე ჭირისა და სასმენელთა ნუ უტეობ სმენად / ვისთუისვე 72vA ძუირისსიტყუასა, ნუცა ზრახვასა ურგებსა / და პირითა მარადის დუმენ და ყოვლადვე ნურას იტყუი რადთურთით, ნუცა შე-რას-ეხები, უფროდღა სხუისა ჯორცთა, თუინიერ დიდისა რადსმე ჭირისა. 30

წმიდისა ამონადასივე¹³ მე-ივ
დაწყნარებულობისათუის, რომელნი ახლად მოსრულ¹⁴ იყვნენ მონაზონებად**

ყოვლისა პირველად საჯმარ არს ჩუენდა სიმდაბლე¹⁵ და მზამცა ვართ ყოვ- 35
ლისათუის სიტყუად, რომელი გუესმის და ვთქუათ: მომიტევენ,¹⁶ რამეთუ სიმდაბ- ლითა ყოველი იგი ძალი მჯდომისადა დაქსნდების¹⁷. ნუ შეჰრაცხ თავსა შენსა ყოველ- სა ზედა საქმესა, რადთა შეუძრწუნებელ იყოს გონებად შენი. იყავ მწუხარე ცოდვათა 94rB შენათათუის /, ხოლო მხიარულ - უცხოთა თანა ძმათა, რადთა შიშმან უფლისამან დაიმკუიდროს შენ თანა. 40

1 ზაკვით B. 2 შჯობს B. 3 ვიდრე- B. 4 ესრედთ B. 5 ძალისადა -B. 6 რომლისა B. 7 მსახურებ B. 8 ღმრთისა B. 9 ესრედთ B. 10 ~ იგი ხოლო B. 11 სასმენელთაგან B. 12 უკუე]თუინიერ B. 13 ამონადასი B. 14 მუსრულB. 15 სიმდაბლე B. 16 მომიტევე B. 17 დაჰქსნდების B.

* ეს მონაკვეთი [ყოვლითა...სიმ] შემდეგ გადახაზულია B ნუსხაში. ** B ნუსხაში ეს თავი არაა დანომრილი და არ ჩანს, მერამდენეა, A ნუსხაში კი ეპისტოლის რიცხვი მე-ივ ჩამატებულია.

უკუეთუ ხუიდოდე გზასა ძმათა თანა, განაშორე თავი შენი მცირედ მათგან, რადთა [სდუ]მნე და ნუ გაცხრები¹ თუალითა შენითა აქა და [იქი], არამედ გალოზდ გულსა შინა შე[ნსა], გინა ევედრებოდე ღმერთსა, სადა დასდგე. ნუ [ჰკადნიერობ], არამედ იყავ შენ მ[და]ბალ ყოველსა შინა. წინადაგებული შენი ჭამე, ვითარცა [იძულ]ებით. ჭაბუკ თუ ხარ, ნუ იკადრებ აღებად [რა]სამე ტაბლისაგან² სუმად,³ პირსა მოყუსისა⁴ შენისასა 5
 94vB ჭამასა⁵ თქუენსა. სწვე რად, ნუ დაიმოს ფუეჩუსა სხუა[სა] თანა, აიძულეზდ თავსა შენსა⁶
 და ილოცევდ მყოვარ პირველ /დაწ[ოლ]ისა.

უკუეთუ [დამაშურალ] იყო გულითა და გი[ნდ]ეს მცირედ ზეთისა ცხებად ფერჯთა, იცხე, ხოლო სხვსა⁷ გუამისა [განშიშულეზად] გრცხუენოდენ და სხუასა ასოთა⁸ შენთა ნუ 10
 73rA უ[ტე]ობ / ვის ცხებად, თუინიერ უძლურებისა⁹ და ჭირისა. უკუეთუ მოვიდეს უცხო 10
 სენაკად შენდა, ეგრევე ყავ ფერჯთა მისთა და სცხე და არქუ მას: ყავ სიყუარულით, მიილე მცირედ ზეთი და იცხე ჯორცთა¹⁰ შენთა. უკუეთუ არა ენებოს, მიუტევე და განისუენოს. სჯდე¹¹ რად ტაბლასა ზედა, ჭაბუკ თუ ხარ, ნუ იკადრებ რქუმად ვისა- 15
 95rB მე:¹² ჭამე, არამედ მოიკსენებდ ცოდვათა შენთა/, რადთა არა შქამდე¹³ გემოდსმოყუა- 15
 რებით, შქამდე რად, შენ კერძო დაგებული ჭამე. სამოსელიმცა შენი ჰფარავს¹⁴ ფერჯ- 15
 თა შენთა და¹⁵ მუკლისთავნი შენნი იყენედ შეყოფილ ურთიერთას, ჭამასა შენსა შინა ნუ განსცხრები თუალითა¹⁶ აქა და იქი, ნუ¹⁷ ზრახავ ამოსა სიტყვასა, ნუ მიჰყოფ რას¹⁸
 კელთა შენთა ტაბლასა ზედა, ვიდრე არა პირველად სთქუა:¹⁹ მაკურთხე!

სუმიდე რად წყალსა, ნუ აღმოუტევეზ ჯორჯით შენით ჯმასა უსწავლეზად და 20
 95vB ოდეს სჯდე²⁰ ძმათა თანა, მო-თუ-გიჯდეს²¹ ნერწყუვად²² პირსა შენსა, ნუ წარმოაგდებ 20
 მათ წინაშე, /არამედ განვედ გარე და წარმოჰწერწყუე. უკუეთუ ფქერად გაურვებდეს, დაიწებენ ბაგენი შენი,²³ რადთა არა აღატკმო პირი შენი და განისუენო ბოყინებასა, ყოვლადვე ნუ აღმოუტევეზ.²⁴

უკუეთუ იყოს უნებელი რადმე სიცილისად, ნუ აღსტკმოზ²⁵ პირსა შენსა. კმა-გეყავნ განდიმებადცა იძულებით. ნურას გული-გიოთქუამნ²⁶ მოყუსისა შენისასა, უკუეთუ იხი- 25
 73vA ლო სამოსელი, გინა კუნკული, გინა სარტყელი, გინა სამჯარნი, გინათუ სხუად რადმე 25
 უმცირეზსი²⁷ და ნუცა აღასრულეზ გულისთქუმასა შენსა, / ვითარმცა იქმენ მსგავსი მისი.

96rB უკუეთუ მოიგო / წიგნი, ნუ ამკობ შესამოსელსა მისსა, რამეთუ არად²⁸ სარგებელ არს სულისა. უკუეთუ სცთე რასმე საქმესა შინა, ნუ სტყუვი²⁹ სირცხულისათუის და 30
 სცოდავ,³⁰ არამედ შეურდე სინანულით და თქუ: შემინდვე და განისუენო.

უკუეთუ გესმეს სიტყუად ფიცხელი, გინა გინებად, ნუ უთქუამ, არამედ შეურდი სინანულით და თქუ: შემინდე! და განისუენო, ვიდრე არლა განრისხებულ იყო. უკუეთუ ვინმე შეგრისხნეს³¹ შენ და გრქუას:³² რაისათუის ჰყავ საქმეც³³ ესე? ნუ აღმფოთნები,³⁴ არამედ დაურდი და თქუ: მომიტევე! გინა იცოდე საქმეც³⁵ იგი, გინა არა იცოდე, 35
 96vB რამეთუ ესე წარმა/ტებულეზა არს ჭაბუკთა და წარემატებოდე და ადიდებდ წმიდასა ერთარსებასა სამებასა: მამასა და ძესა და წმიდასა სულსა მარადის, აწ და საუკუნეთა მიმართ. ამინ!³⁶ *

1 განსცხრები B. 2 ტაბლისაგან+და B. 3 შესმად B. 4 მოყუსასა A. 5 ჭამად B. 6 თავსა შენსა]თუალისა შენისა B. 7 სხუასა B. 8 ასუთა B. 9 უძრულეზისა B. 10 ჯორცთა]ფერჯთა B. 11 შჯდე B. 12 ვისსამე B. 13 ჰქამდე B. 14 ჰფარავს B. 15 და- B. 16 თვალითა B. 17 ნურას B. 18 რას -B. 19 სთქუა]ჰრქუა B. 20 შჯდე B. 21 მუ-თუ-გიჯდეს B. 22 ნერწყუად B. 23 შენნი B. 24 აღმოუტეუზ B. 25 აღმტკმოზ B. 26 გითქუამს B. 27 უმცირეზისი B. 28 არრად B. 29 სტყოვი B. 30 ჰცოდავ B. 31 შეგრისხნეს B. 32 და გრქუას -B. 33 საქმედ B. 34 მფოთნებ B. 35 საქმედ B. 36 ამენ B.

*B ეპისტოლის ბოლოს დასმულია ჯვარი. იხ. ასევე დასაწყისში ეპისტოლეთა. აქვე იწყება აბა მოსეს სწავლანი. A ნუსხაში კი იწყება მარკოზ მონაზვნის სწავლანი, აქვე კიდევ ზეწერია ნუსხური ზ.

ჩვენი ნეტარი მამის - ამონას - ნათქვამი - თანამედროვე ქართული თარგმანი ია პირველი სიტყვა

უფლისმიერი სიხარული საყვარელ [შვილებს]!

თუ ვინმე შეიყვარებს უფალს მთელი გულით, სულითა და ძალით, შეუერთდება მის შიშს. შიში უშობს ტირილს, ტირილი - სიხარულს, სიხარული - ძალას და ამის გამო ეს სიხარული ყველაფერში ინაყოფიერებს. როცა ღმერთი ასეთ მშვენიერ ნაყოფს იხილავს, შეიწყნარებს მას, როგორც სურნელებას, და ყველაფერში გაიხარებს თავის ანგელოზებთან ერთად. უფალი ასეთ ადამიანს მისცემს მცველს, რომელიც მას ყველა გზაზე დაიცავს, რათა წაუძღვეს მას მოსასვენებელი ადგილისკენ, რომ არ დაეუფლოს მას ეშმაკი. როცა ეშმაკი მცველს იხილავს, ძალას, რომლითაც სულია გარემოცული, გარბის ამ კაცისგან და ვერ ბედავს მასთან მიკარებას, რადგან ეშინია გარშემორტყმული ძალისა.

ამიტომ, უფლისმიერო საყვარელო [შვილებო], რომლებიც ჩემს სულს უყვარხართ, ვიცი, რომ ღვთისმოყვარეები ხართ, მოიპოვეთ ასეთი ძალა, რათა ეშმაკს ეშინოდეს თქვენი, რათა ყველა თქვენს საქმესა და სიტყვაში განისწავლოთ, მადლის სიტკბოება გადმოვიდეს თქვენზე და აღორძინდეს თქვენი ნაყოფი, რადგან სულიერი მადლის სიტკბოება უტკბილესია თავლზე. ბევრმა მონაზონმა და ქალწულმა ვერ შეიძინა მადლის ეს დიდი სიტკბოება, რადგან არ ითხოვეს საღმრთო ძალა, არამედ ზოგიერთმა და იშვიათად, და არ იღვაწეს, ამიტომ არ მისცა მათ უფალმა იგი. რადგან ღმერთი მხოლოდ მას მისცემს ძალას, ვინც მის საქმეებს აღასრულებს. ის ასეთ ძალას ყველა ტომს უბოძებს, რადგან არ ახასიათებს მიკერძოება.

ახლა კი, საყვარელო შვილებო, ვიცი, რომ ღვთისმოყვარეები ხართ, რადგან ამ საქმისათვის მოხვედით. ღმერთი მთელი გულით გიყვართ, ამიტომაც მეც მთელი გულით შეგიყვარეთ თქვენი სიწრფელის გამო. ამიერიდან შეიძინეთ ეს სათნო ძალა, რათა მთელი დრო თავისუფლებაში, სიხარულსა და მხიარულებაში განვლოთ და უფლის მსახურება ადვილად შეძლოთ. ძალა, რომელიც კაცს აქვე მოეცემა, მას სასუფეველშიც წაუძღვება, სანამ არ სძლევს მტრის ყოველ შემოტევას, რადგან ჰაერში მყოფი ძალები ადამიანებს აყოვნებენ და არ სურთ მათი მიახლოება ღმერთთან. ახლა გულმოდგინედ ვითხოვთ უფლისგან, რათა არ შევფერხდეთ მასთან მიახლებისას, რადგან მართალ ადამიანებს აქვთ საღმრთო ძალა და არავის ძალუმს მათი შეყოვნება.

სულიერი ღვაწლი კი ასეთია: ვიდრე ძალა კაცთან დაიმკვიდრებს, მან სხვათაგან მოწეული ყოველი შეურაცხყოფა უნდა დაითმინოს, პატივი შეურაცხყოს, ყველა ამქვეყნიური სიკეთე მოიძულოს და მოძულება პატივად მიაჩნდეს, ყოველგვარ ხორციელ შვებას ზურგი უნდა აქციოს, თავისი გონება ბილწი სურვილებისა და ამქვეყნიური ზრახვებისგან უნდა გაიწმინდოს, დღე და ღამე მარხვითა და ლოცვით ცრემლით უნდა ევედროს უფალს. კეთილი ღმერთი არ დააყოვნებს თქვენთვის თქვენი სათხოვარის ბოძებას. როცა იგი სათხოვარს აგისრულებთ, თქვენი ამქვეყნიური ცხოვრების დღეები მშვიდად უნდა გაატაროთ და დიდი შვება მოიპოვოთ ღვთის წინაშე, რადგან დაწერილია: „ბევრი რამ მინდოდა მომეწერა თქვენთვის და მცირედი მოგწერეთ იმ დიდი სიყვარულისთვის, რომელიც თქვენ მიმართ მაქვს“.

გამლიერდით თქვენი გულებით უფლის მიმართ, ღვთისმოყვარე პატიოსანო ძმებო!

წმინდა ამონასი მეორე უფლისმიერი სიხარული პატიოსან ძმებს!

ამ წერილს მოგწერთ თქვენ, როგორც ღვთისმოყვარეებს, რომლებიც მას მთელი გულით ეძიებთ, რადგან ასეთებს უსმენს ღმერთი. ლოცულობენ რა ისინი, [უფალი] მათ ყველაფერში

აკურთხებს და მისცემს ყოველივეს, რასაც მათი გულები მისგან ითხოვენ. ხოლო ისინი, რომლებიც ორგულნი არიან და მისკენ მთელი გულით არ ისწრაფვიან, ასეთებს არ მოუხმენს უფალი. ისინი აღასრულებენ ისეთ საქმეებს, რომ ადამიანებმა განადიდონ. ღმერთი უფრო მეტად რისხდება მათი ამგვარი ქმედების გამო და არ შეისმენს მათ თხოვნას, რადგან დაწერილია: „ღმერთი განაბნევს კაცთმოთნეოთა ძვლებს“. ხედავ, უფალი როგორ მრისხანებს მათი საქმეების გამო და არ უსრულებს იმ სურვილს, რომელსაც მას სთხოვენ, არამედ უფრო მეტად აღუდგება მათ წინ, რადგან ისინი თავიანთ საქმეებს სარწმუნოებით კი არ აღასრულებენ, არამედ - კაცთა საჩვენებლად. ამიტომ საღმრთო ძალა არ დამკვიდრდება მათ შორის, რადგან ასეთები ყველა იმ საქმეში, რომელსაც ხელს მოჰკიდებენ, დასწრებულნი არიან. ამიტომაც ვერ შეიცნეს მათ მადლის ძალა, არც მისი მცირედი ნაწილი, არც მისი სიხარული, არამედ მათი სული ყოველ საქმეში ტვირთივით მძიმეა.

ახლა ასეთ ყოფაში მრავალი მონაზონია ჩავარდნილი, რადგან არ მიიღეს ძალა მადლისა, რომელიც გამოკვებავს ასეთთა სულს და მიანიჭებს სიხარულს და მისცემს მხიარულებას ყოველდღე, რომელიც სულს ღვთის მადლით გაათბობს, რადგან ისინი საქმეს, რომელსაც სჩადიან, კაცთათვის სჩადიან. ამიტომ არ გადმოვიდა მათზე მადლი, რადგან საძაგლად მიაჩნია ღვთის ძალას კაცი, რომელიც საკუთარი თავის მოწონებისთვის იღწვის.

თქვენ კი, ჩემო საყვარელო ძმებო, რომლებიც ჩემს სულს უყვარხართ და რომელთა ნაყოფიც შეიწყნარა უფალმა, ყოველგვარი საქმიანობის აღსრულებისას შეებრძოლეთ დიდებისმოყვარეობის სულს, ეცადეთ, მას ყველაფერში სძლიოთ, რათა თქვენი ნაყოფი სრულად შეიწიროს შემოქმედმა და იყოს იგი ცოცხალი მის წინაშე, რათა მიიღოთ იმ მადლის ძალა, რომელიც ამ ყოველივეზე უმჯობესია, რადგან მჯერა თქვენი, ძმებო, რომ თქვენი ძალისაებრ იქმთ და ებრძვით დიდებისმოყვარეობის სულს და გამუდმებით ზრუნავთ ამისთვის. ამიტომ ნაყოფი მუდამ ცოცხალია, რადგან ეს სული ყველა კეთილ საქმეში, რომელსაც კაცი ხელს მიჰყოფს, თანმდევია და ჰნებავს, რომ გააფუჭოს მისი ნაყოფი, რათა ხელი შეუშალოს ადამიანებს საღვთო სიმართლის კეთებაში. ბოროტი სული ებრძვის მას, ვისაც სურს, იყოს მორწმუნე.

ახლა თუ ვინმე კაცთა შორის გამოირჩევა თავისი ღვაწლით, თუნდაც მოწყალებით, ასეთებს მოულოდნელად ბოროტი სული შეებრძოლება, ზოგ მათგანს სძლევს, მის ნაყოფს მოიპოვებს და წარწყმედს, რადგან მის სათნოებას კაცთმოთნეობით შეცვლის და ასე დალუპავს მის ნაყოფს ღვთის წინაშე. აი, ამის გამოა, რომ ძალა, რომელიც ჰქონდა, არ მისცა მათ, არამედ შეწევნის გარეშე დატოვა, რადგან ვერ იპოვა მათში კარგი ნაყოფი და მოაკლო სიტკბოება მადლისა. ხოლო თქვენ, ჩემო საყვარელო ძმებო, შეებრძოლეთ ქედმაღლობის სულს და გამუდმებით ილოცეთ, რათა მას ყველგან სძლიოთ, რათა ღვთის მადლი მუდამ თქვენთან იყოს. მეც შევთხოვ უფალს თქვენთვის, რათა კაცთმოყვარე ღმერთმა ყოველთვის მოგცეთ ეს ძალა და მადლი, რადგან არაფერია მასზე მცირედი თაც მეტი.

თუ დაინახავთ, რომ განგიდგათ და დაგტოვათ საღვთო მხურვალეობამ, ისევ ეძიეთ იგი და ის მოვა თქვენთან. ეს მხურვალეობა ისეთია, როგორც ცეცხლი, რომელიც სულის სიცივეს თავისი ძალით მხურვალეობად გადააქცევს. თუ თქვენი გული დამძიმდება, მოიხმეთ თქვენი სული, გონიერი გულისზრახვები აღმართ თქვენს გონებაში და განსაჯეთ ის. უეცრად ის გათბება, მას ღმერთი გაახურებს. როცა დავით წინასწარმეტყველმა თავისი გული დამძიმებული იხილა, ასეთი რამ თქვა: „და ნუგეში ვეცი...“ და ა.შ. ასე მოიქცა დავითი, როცა თავისი გული სიმძიმემ და სიცივემ მოიცვა, მან გაათბო იგი და ასე მოიხმო საღვთო მადლის სიტკბოება. ის დღე და ღამე ფხიზლობდა და ევედრებოდა უფალს. ასე მოიქცით თქვენც, საყვარელო ძმებო, ასე მიუახლოვდებით თქვენც ღმერთს და ის გაგიმხელთ დიდ საიდუმლოებას. უფალმა დაიცვას თქვენი სული, სამშვინველი და სხეული ყოველგვარი ბრალისგან, მოგმადლოთ სიმრთელე, სანამ წაგიძვებათ თავის საღვთო სამყოფელში თქვენ, რომლებმაც კარგად იღვაწეთ და ქრისტეს გზით იარეთ, რომლის დიდებაც მარადიულია, ამინ!

წმინდა ამონასი მესამე უფლისმთავარი სიხარული საყვარელ ძმებს!

ჩემო საყვარელო ძმებო, თქვენ იცით, რომ რჯულისაგან განდგომილ სულს არ შეუძლია, ადვილად შეიცნოს ღმერთი, თუკი არ მოშორდება ადამიანებს და ყოველივე ამქვეყნიურს, რადგან მაშინ იხილავს ბრძოლას, მის წინააღმდეგ მიმართულს. როდესაც სძლევს დროდადრო მასზე მოწეულ ბრძოლებს, მაშინ დაიმკვიდრებს მასთან სულიწმიდა და ეს ბრძოლა შემობრუნდება სიხარულად, მხიარულებად და შვებად.

თუკი კაცი ბრძოლის დროს დამარცხდება, მაშინ მასზე მწუხარება და ურვა და სხვა მრავალი სახის სიმძიმე მოიწევა. ამიტომ მიაშურეს უდაბურ ადგილებს მამებმა: ილია თეზბიტელმა, იოანე ნათლისმცემელმა და სხვა მრავალმა მამამ. ნუ იფიქრებთ, რომ ისინი, ვინც ადამიანებს შორის არიან, მათ გვერდით ყოფნით მოიპოვეს სიმართლე, არამედ თავდაპირველად ისინი მრავალჯერ განმარტოვდნენ და საღმრთო მადლის ძალა მოიპოვეს, მაშინ ღმერთმა ისინი, ყოველი სათნოებით სავსენი, კაცთა შორის გამოგზავნა, რათა მათთვის ეღვაწათ და განეკურნათ მათი უძლურება, რადგან ისინი სულის მკურნალები იყვნენ და შეეძლოთ მათი უძლურების განკურნება. ამ საჭიროების გამო მათ მიატოვეს მარტომყოფობა და ადამიანებს შორის გამოჩნდნენ. და ეს მაშინ მოხდა, როცა მათი ყველა სისუსტე უკვე განიკურნა. რადგან შეუძლებელია, ღმერთმა ადამიანთა მკურნალად ისეთი ვინმე გამოგზავნოს, რომელიც თავად სუსტია.

ხოლო მათ, რომლებიც სრულყოფისკენ თავიანთი ნებით ისწრაფვიან და არა ღვთის ნებით, უფალი ეტყვის: „მე არ გავგზავნი და ისინი დარბიან“. ასეთები ვერც საკუთარ თავს დაიცავენ და ვერც სხვათა სულებს განკურნავენ. მიუხედავად იმისა, რომ ღვთისგან მოვლინებულებს მარტომყოფობა სურთ, რადგან იციან, რომ მისგან მოიპოვეს სათნოება, მაგრამ იმისთვის, რომ არ ეურჩნონ შემოქმედს, ასეთები სხვების ასაშენებლად მოდიან. აი ასე გაუწყეთ თქვენ მოსაგრეობის ძალა და ნაყოფი. ახლა კი გაგაძლიეროთ თქვენ, ყველანი, ღმერთმა. ხოლო რომლებსაც მოსაგრეობა არ ძალუძთ, რათა ამ გზით სძლიონ თავიანთ ნებას, ასეთები ვერ აღუდგებიან წინ მათთვის გამზადებულ ბრძოლას. ამიტომ ვერ დაიმკვიდრებს საღვთო ძალა მათ სულებში, რადგან ღვთის ძალა არ დამკვიდრდება მათთან, რომლებიც თავიანთ ნებას მისდევენ. თქვენ კი ვნებებს მოსაგრეობით, საკუთარი თავის განკითხვითა და ყოველგვარი ბოროტებისგან განშორებით სძლიეთ და ამ გზით საღვთო ძალა თავად მოვა, გაძლიერდით სულიერად!

წმინდა ამონასი მეოთხე ქრისტესმთავარი სიხარული საყვარელ ძმებს!

ცხადია, იცით, რომ გწერთ, როგორც საყვარელ შვილებს, აღთქმისა და სასუფევლის შვილებს. იმისთვის გახსენებთ დღე და ღამე, რომ ღმერთმა დაგიცვათ ყოველგვარი ბოროტებისგან. უფალი მუდამ ზრუნავს, რათა მისი მადლით აგეხილოთ თვალი და მოგეცეთ განსჯის უნარი, რათა ისწავლოთ ერთმანეთისგან ბოროტისა და კეთილის გარჩევა, რადგან დაწერილია: „სრულთათვისაა მტკიცე საკვები“, რომელთა აზრებიც გაწვრთნილია კეთილისა და ბოროტის ერთმანეთისგან გასარჩევად, ისინი სასუფევლის ძეები არიან და შვილების საზომებად არიან მიჩნეულნი. ასეთებს ღმერთი შეეწევა ყოველ კეთილ საქმეში, რათა არავინ შეაცდინოს ისინი. ზოგჯერ ადამიანი კეთილს იმიზეზებს და მრავალი ასე ცდება, რადგან არ მიუღია ღვთისგან განსჯის უნარი.

იცოდა ნეტარმა პავლემ, რომ ესაა სიმდიდრე მორწმუნეებისა და ასე თქვა: „მოვიდრეკ მუხლებს დღედაღამ უფლის მიერ იესო ქრისტესთვის, რათა თავისი ცოდნით მოგცეს თქვენ

გამოცხადება და რათა თქვენი გონების თვალი განათლდეს, რათა იცოდეთ სივრცე და სივანე, სიმაღლე და სიღრმე, ქრისტეს სიყვარულის მეტისმეტი ცნობა“ და შემდგომი. რადგან შეიყვარა ისინი მთელი გულით ნეტარმა პავლემ, სურს, რათა ის დიდი სიმდიდრე, რომელიც მას ეუწყა, მათ გადასცეს, როგორც ქრისტემ თავის შვილებს. რადგან იცის, თუკი შეეწევა მათ რომელიმე საქმეში, აღარ დაიღლება, რადგან საღმრთო მხურვალეობა იქნება მათთან დღე და ღამე და ღვთის საქმე ყველა მათგანში თაფლზე უმეტესად დატკბება და ღმერთი იქნება მათთან და გამოუცხადებს დიდ საიდუმლოებს, რომელთა სიტყვით გამოხატვა ვერ ძალმიძს.

ახლა, ჩემო საყვარელო ძეებო, რადგან შვილებად ხართ მიჩნეული, დღედაღამ ითხოვდით სარწმუნოებით და ცრემლით მჭვრეტელ მადლოს, რათა გადმოვიდეს თქვენზე ის, რაც აქამდე არ მოწევნულა ღვთისაგან. მონაზვნობისთვის მოსულხართ და მეც, მდაბალი, ვილოცებ თქვენთვის, რათა მოიპოვოთ წარმატება და ასაკი, რომლამდეც მრავალი მონაზონი ვერ მოვიდა, არამედ იშვიათნი და ღვთისმოყვარეები, ხოლო სრულები - ალაგ-ალაგ. ხოლო თუ გინდათ ამ საზომთან მოსვლა, ვისაც სახელად მონაზონი ჰქვია და ზარმაცია, ნუ მისცემთ ნებას, ხშირად მოვიდეს თქვენთან, არამედ ასეთებს განშორდით, რადგან არაა საღმრთო. ისინი არ გაგიშვებენ, რომ წარმატოთ, არამედ თქვენს მხურვალეობას დაშრეტენ, რადგან ზარმაცებს მხურვალეობა არ აქვთ, არამედ საკუთარ ნებას აყოლილნი არიან. და თუ ისინი თქვენთან მოვლენ, ამ ცხოვრებაზე გიამბობენ და ამგვარი აზრებით თქვენს მხურვალეობას დაშრეტენ, ისინი წინ აღგიდგებიან წარმატებისკენ სვლისას. თქვენ სულებს ნუ დაშრეტთ, იგი ჩაქრება ამას სიტყვითა და ცდუნებით. როცა მათ იხილავთ, სიკეთე უყავით, მაგრამ ნუ შეერევით მათ, რადგან ისინი ადამიანებს წარმატებისკენ გზას უხშობენ. ასეთ დროს გაძლიერდით, საყვარელო შვილებო, მოსაგრეობის სულით.

წმინდა ამონასი მეხუთე

უფლისმიერ საყვარელ [შვილებს]! იცით, ცხადია, რომ ღვთის სიყვარული მოყვასის სიყვარულს გულისხმობს. მოყვასი კი ის არის, ვინც ზეცისთვისაა გამორჩეული, ასეთათვის ღვთისმსახურები დღე და ღამე ისე ლოცულობენ, როგორც თავიანთი თავისთვის. და რადგანაც მეგობრებად ხართ გამორჩეულნი, ამიტომაც გიხსენიებთ დღედაღამ ჩემს ლოცვებში, რათა უფრო მეტი ძალა მოიპოვოთ, რადგან ღმერთმა ჩემ შვილებად შეგრაცხათ. ტიმოთე პავლეს შვილად შეირაცხა, რომელსაც ასე მისწერს: „დღედაღამ გახსენებ და შენთვის მსურს. მახსენდება შენი ცრემლები, რათა სიხარულით ავივსო, ვიცი, რომ შენი სარწმუნოება შეურყეველია“. ახლა, საყვარელო შვილებო, როგორც პავლე ტიმოთესთვის იღვწოდა, თქვენთვისაც იგივე მსურს. ვიხსენებ თქვენს წუხილს და თქვენს გულისტკივილს. ვიცი, რომ თქვენც ძალიან გასურთ ჩემი ნახვა, რადგან პავლე ამბობდა: „მსურს თქვენთან მოსვლა, რათა მოგცეთ მადლი თქვენს გასამტკიცებლად“, რადგან განსწავლულები ხართ სულიწმიდისგან, და თუ მოვალ თქვენთან, განგამტკიცებთ სულიწმიდის მოძღვრებით და სხვა რამესაც გაგიმხელთ, რომლის დაწერაც ამ წერილში არ შემიძლია.

გაძლიერდით უფლისგან მშვიდობის სულით.

ამონასივე მეექვსე

დღე და ღამე ვევედრები [უფალს], რათა ღვთის ძალა გადმოვიდეს თქვენზე, რათა გამოგიცხადოს თქვენ დიდი საიდუმლოებები, რომელთა სიტყვით გადმოცემა არ შემიძლია, რადგან დიდია და არა ამქვეყნიური, ის მხოლოდ მათ გამოეცხადება, რომლებმაც გაიწმინდეს თავიანთი გულები ყოველგვარი ამსოფლიური ამოებისგან, თავიანთი ჯვარი აიღეს, ამასთან, საკუთარი თავი მოიძულეს და ყველაფერში დაემორჩილნენ [უფალს]. ასეთთა შორის ღვთიური

ძალაა დამკვიდრებული, რომელიც მათ სულებს ზრდის ისე, როგორც წყლის ძალა - ხეებს, რომელთაც თუკი ვერ მისწვდება, ვერ შეძლებს მათ გახარებას. ასევე, თუკი სული არ შეიწყნარებს ზეციურ სიხარულს, ვერ შეძლებს ზეაღსვლას. და თუ ვინმე შეიწყნარებს მას, ასეთებს ღმერთი ზეციურ საიდუმოებებს გამოუცხადებს, ჯერ კიდევ ხორცში მყოფებს ადგილებს უჩვენებს და ყველა თხოვნას აუსრულებს.

ასე ვლოცულობ დღე და ღამე, რათა ამ საზომს მიაღწიოთ და შეიმეცნოთ ქრისტეს გამოუკვლეველი სიმდიდრე, რადგან ცოტანი არიან, რომელთაც ასეთი სრულყოფილება მოიპოვეს და რომელთათვისაც გამზადებულია საყდარი, რათა დასხდნენ იესოსთან ერთად ადამიანების განსასჯელად.

თითოეულ მოდგმაში მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც მიაღწიეს ამ საზომს, რათა თითოეულმა განსაჯოს თვისტომი. თქვენთვის გამუდმებით ვლოცულობ იმ სიყვარულის გამო, რომელიც თქვენ მიმართ მაქვს, რადგან მოციქული იმით, ვინც მან შეიყვარა, ასე ეუბნებოდა: „მესათნოება თქვენთვის არა მხოლოდ ქრისტეს სახარების მოცემა, არამედ ჩემი სულისაც.“ თქვენთან ჩემი შვილი მანამდე გამოვგზავნე, სანამდე ღმერთი მომცემს თქვენთან ხორციელად მოსვლის მადლს, რათა უფრო მეტი წარმატება მოგანიჭოთ ყველას, რამდენიც ხართ. რადგან როცა მამები შვილებს ხვდებიან, მათ შორის ღმერთი ორივე მხარესაა. მშვიდობით იყავით და გაძლიერდით.

ამონას[ივე] მეშვიდე

უფლისმიერ საყვარელ [ძმებს], რომლებიც ზეციური სასუფეველის ნაწილად შეირაცხეთ, რადგან ასე გამოიკვლიეთ ღმერთი და თქვენს მამას მიემსგავსეთ. მჯერა, რომ იგივე პირობა დადეთ, რადგან მის ძეებად შეირაცხეთ, ძეებმა იმემკვიდრეს მამების კურთხევა, რადგან მათ მოშურნეობას მიბადეს. ასევეა ნეტარი იაკობი, რომელიც ყოველმხრივ ჰბაძავდა მამას ღვთის სიყვარულში, მასზე მამების კურთხევა გადმოვიდა. და როგორც კი მასზე მამების კურთხევა გადმოვიდა, მაშინვე იხილა ზეაღმართული კიბე, რომელზედაც ანგელოზები გადმოდიოდნენ. როდესაც ვინმეს აკურთხებდნენ მამები, ასეთი საღმრთო ძალის მხილველი ხდებოდა. როცა პავლემ [ეს ძალა] იხილა, შეურყეველი შეიქმნა და თქვა: „ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშველე თუ საფრთხე, ანდა მახვილი“?

ახლა, ჩემო საყვარელო [შვილებო], გამუდმებით ვითხოვთ დღე და ღამე, რათა ჩემი და ჩვენი მამების კურთხევა თქვენზე გადმოვიდეს, რათა ანგელოზთა ძალებმა დაიმკვიდრონ თქვენთან და თქვენი ცხოვრების დარჩენილი დღეები სიხარულით აღსავსე გულებით გალიოთ, რადგან თუ ვინმე ამ საზომს მიაღწევს, ღვთის მარადიული სიხარული მოვა მასთან და ყოველივეს მშვიდად აღასრულებს, რადგან დაწერილია: „მართლების ნათელი მუდმივია, ხოლო უღმერთოების ნათელი ჩაქრება“.

ამასაც ვლოცულობ, რათა სადაც მივდივარ, თქვენც მოხვიდეთ. ამას თქვენი მორჩილების გამო ვიქმ, რადგან როცა უფალმა მოწაფეების მორჩილება დაინახა, მამას შესთხოვა: „სადაც მე ვიყო, ესენიც იქ იყვნენ, რადგან მათ შეისმინეს ჩემი სიტყვები“. შემდეგ კი ითხოვა, რომ ისინი უკეთურებისგან დაეცვა, ვიდრე სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებდნენ. მეც ვითხოვ, რათა უფალმა დაგიცვათ ბოროტებისგან, ვიდრე სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებთ, რათა მეტი კურთხევა მოიპოვოთ, როგორც იაკობმა. რომელმაც კიბეების შემდეგ პირისპირ იხილა ანგელოზთა ბანაკი, რომელთაც ერკინებოდა და ერეოდა მას. ასე მოექცა მას ღმერთი, რადგან უმეტესად აკურთხა იგი. ჩემმა ღმერთმა, რომელსაც ვემსახურები ახალგაზრდობიდან, უფრო მეტად გაკურთხოთ თქვენ. გაძლიერდით, ჩემო საყვარელო [შვილებო]!

წმინდა ამონასივე მერვე უფლისმიერ საყვარელ [შვილებს]!

მოგწერთ თქვენ, როგორც ტკბილ შვილებს, რადგან ხორციელ მამებს უფრო მეტად უყვართ შვილი, რომელიც მათ ჰგავს. მეც ვხედავ, რომ ჩემი მიმზამველობით წარემატებით. ვითხოვ ღვთისგან, რომ რაც მან მე, თქვენს მამას, მომცა, იგივე მოგცეს თქვენც. ვლოცულობ, რათა თქვენთან მოვიდე და სხვა საიდუმლოც გაუწყოთ, რომლის უწყებაც წერილის საშუალებით არ ძალმიძს.

მშვიდობა მოგცეთ და გაგაძლიეროთ იმ დიდმა ცეცხლმა, რომელიც თქვენმა მამამ შეიმოსა, რათა თქვენც ასევე შეიმოსოთ იგი. თუკი ასეთი შემოსვა გასურთ, ხორციელად იღვაწეთ, მთელი გულით იშრომეთ და თქვენი ფიქრები ზეცამდე აამაღლეთ. მთელი გულით გამუდმებით ითხოვეთ სული ცეცხლისა და ის მოგეცემათ. რადგან ასე იყო ილია თეზბიტელთან, ელისესთან და სხვა წინასწარმეტყველებთან.

იფხიზლეთ, რათა არ შეიპყროს თქვენი გულები ორგულმა ფიქრებმა, ვის შეუძლია ამის შეწყნარება?

ნუ დაუშვებთ, რომ ორგულობა თქვენში შემოვიდეს, არამედ ითხოვეთ გულწრფელად და მიიღებთ იმას, რაც გასურთ. და მეც, თქვენი მამა, გამუდმებით გამოვითხოვ თქვენთვის, რათა მიიღოთ იგი, რადგან, რომელიც მის საქმეებს აღასრულებს თვისტომთა შორის, ის მიიღებს. სული იმათ შორისაა დამკვიდრებული, რომლებიც გულწრფელები არიან. მჯერა თქვენი, რომ გულწრფელად ეძიებთ ღმერთს, ხოლო როდესაც მიუახლოვდებით მას, ყოველ ზეციურ საიდუმლოს გაგიმხელთ. მრავალ რამეს გაგანდობთ, რომლის მოწერაც ამ წერილში ვერ ხელმეწიფება, იყავით უშიშარნი ყოველგვარი საშიშროების მიმართ და თქვენ ზეციური სიხარული შეგიწყნარებთ. ისე იყავით, თითქოს ამწამსვე გელოდებათ სიკვდილი და სასუფეველში უნდა გადაინაცვლოთ, ილოცეთ, სანამ ჯერ კიდევ ხორცში ხართ, რადგან შემდეგ აღარ შეგეძლება არც თქვენი თავისთვის ლოცვა და არც მეგობრისთვის. მოსემ ასეთი სული მიიღო. ის ხალხისთვის ლოცულობდა და ღმერთს ეუბნებოდა: „თუკი მოსპობ ამათ, ამოიღე ჩემი სახელიც ცოცხალთა წიგნიდან“!

ხედავთ, როგორი ზრახვები ჰქონდათ მათ? ის სხვათაგან მოითხოვდა, რომ ამ სიმაღლემდე მოსულიყო და მრავალი სხვა მოუახლოვდა ამ საზომს. ისინი სხვებისთვის ლოცულობდნენ. ახლა ამ ყველაფრის მოწერა არ ძალმიძს, გონიერები ხართ და შეცნობილი გაქვთ ყოველივე, როცა თქვენთან მოვალ, სრულყოფილად გაუწყებთ. თუ როგორ უნდა მოიპოვოთ ცეცხლის სული. მოგითხოვთ მის სიმდიდრეზე, რომლის შესახებაც მოწერა ამ წერილში დარწმუნებით არ ძალმიძს.

გაგაძლიეროთ იმავე სულის ცეცხლმა და წარემატეთ ყოველდღე!

წმინდა ამონასივე მეცხრე

ვიცი, რომ გული გტკივთ, რადგან განსაცდელში ხართ ჩაცვენილნი, მხნედ დაითმინეთ იგი და გაიხარეთ. თუკი განსაცდელი თქვენზე ცხადად ან ფარულად არ მოვა, ვერ მიიღებთ სარგებელს იმაზე მეტად, რომელიც გაქვთ, რადგან რომელმა წმინდანმაც სარწმუნოება მოითხოვა, განსაცდელში ჩავარდა. როცა ადამიანი ღვთისგან იკურთხება, მტერი მას მყისიერად განსაცდელს მოუვლენს, რათა მოაკლოს მას ის კურთხევა, რომლითაც ის ღმერთმა აკურთხა. როცა ეშმაკები დაინახავენ, რომ კურთხეული სული წარემატება, მას ბრძოლას გაუმართავენ ცხადად თუ ფარულად. როცა იაკობი მამამ აკურთხა, ის ესავმა მყისიერად განსაცდელში ჩააგდო, რადგან ეშმაკმა ესავის გული იაკობის წინააღმდეგ აღძრა და უნდოდა, რომ მისი კურთხევა გაერყვნა. მაგრამ არ შეუძლია ეშმაკს მართალი ადამიანების წინააღმდეგ

წასვლა, რადგან დაწერილია: „რადგან არ დარჩება კვერთხი ბოროტისა მართალთა წილზე“. იაკობმა არ დაკარგა თავისი კურთხევა, არამედ ყოველდღიურად ააღორძინა იგი. ისწრაფეთ, რათა განსაცდელზე ამაღლდეთ, რადგან ვინც კურთხევას იღებს, უნებლიეთ განსაცდელების დათმენაც ევალება. მეც, თქვენმა მამამ, დიდი განსაცდელი დავითმინე ფარულად თუ ცხადად. სასოებით დავემორჩილე ღვთის ნებას, შევთხოვე მას და მან გამომიყვანა განსაცდელისაგან.

ახლა თქვენც, საყვარელო [შვილებო], რადგან ღვთის კურთხევა გადმოვიდა თქვენზე, განსაცდელიც მოგვევლინებათ. როგორც კი მას დაძლევეთ, თქვენი სათნოებებიც გაიზრდება და ისეთი დიდი სიხარული მოგეცემათ ზეციდან, რომელიც არ იცით. განსაცდელთა დაძლევის წამალი კი ისაა, რომ არ გძლიოთ სულმოკლეობამ. მთელი გულით ილოცეთ ღვთის მიმართ, რათა ყველაფერში სულგრძელნი და მადლიერები იყოთ ისე, როგორც აბრაამი, რომელიც გამოიცადა და ურჩეულესი შეიქმნა, ამისთვის დაწერილია: „მრავალი სიავე ხვდება მართალს და ყველაფრისგან იხსნის უფალი“! შემდეგ იაკობი იტყვის: „ვინც იტანჯება თქვენ შორის, ილოცოს“!

ხედავ, წმინდანებიც როგორ გამოიცდებოდნენ და ღმერთს როგორ ევედრებოდნენ? დაწერილია, რომ „სარწმუნოა ღმერთი, რომელიც თქვენ ძალაზე აღმატებულს არ მოგცემთ გამოსაცდელად, არამედ თქვენი გულის სიწრფელის შესაბამისად ღმერთი ყოველივეს მოგცემთ“. მას რომ არ უყვარდეთ, არ მოიწეოდა თქვენზე განსაცდელი, რადგან დაწერილია: „ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი; სცემს ყოველ შვილს, ვისაც იღებს“! მაშ ახლა მორწმუნეებზე მოიწევა განსაცდელები, ხოლო ვინც გამოუცდელია და მათი სარწმუნოება მერყევა, იმ ძალას უარყოფენ.

ანტონი ასეთ რამეს გვეუბნება: „არავის ძალუძს გამოუცდელი შევიდეს ღვთის სასუფეველში“. და კიდევ მისწერს წერილში: „სამართლიანია ახლა, ვისაც გიხარიათ, რადგან ვინც შეწუხებულები იყავით მრავალგვარი განსაცდელის გამო, თქვენი რწმენა, გამოცდილებიდან შობილი, უპატიოსნესია, ვიდრე დამღუპველი ოქრო-ვერცხლი გამოუცდელისა“. ხეებზეც ნათქვამია, რომ ქარისგან აღძრულებს ძირი უფრო გაუმაგრდებათ“. ასე გაძლიერდით მართლები. ყველაფერში დაუჯერეთ თქვენს მოძღვრებს, რათა წარემატოთ. იცით, რომ სულიერება ამას გულისხმობს: დასაწყისში სულიწმიდა სიხარულს ანიჭებს იმას, რომელიც თავის გულს წმინდად იცავს, და როცა იგი სიხარულსა და სიტკბობას მისცემს, მაშინ მიატოვებს მას. ესაა მისი ნიშანი. ამას იგი ყველა იმ სულთან იქმს, რომელიც დასაწყისში ღმერთს ეძიებს, ხოლო შემდეგ ტოვებს მას, რათა შეიცნოს, ეძიებენ თუ არა მას. ხოლო როცა რომელიმეს დატოვებს, ისინი დამწუხრდებიან და ასე დამძიმებულნი არც ითხოვენ ღვთისგან, რომ ისინი ამ სიმძიმისგან გაათავისუფლოს და ნაცვლად სიხარული და სიტკბოება მოუვლინოს, არამედ თავიანთი სიზარმაცისა და საკუთარი ნების მიდევნების გამო, ღვთის სიყვარულისგან გაუცხოებულნი ხდებიან. ამისთვის ხდებიან ხორციელები და მხოლოდ ხატილა აქვთ შემოსილი, ძალას კი უარყოფენ. რომლებიც დაბრმავებულნი არიან თავიანთი ცხოვრებით, ღვთის საქმეს ვერ შეიცნობენ.

თუკი ისინი შეიგნებენ იმ სიმძიმეს, რომელიც ჩვეულების გარეშე იშვა და უწინდელ სიხარულს მოითხოვენ ცრემლითა და მარხვით, მაშინ კეთილი ღმერთი, მათი წრფელი გულების მხილველი, მათ, რომელთაც უარყვეს თავიანთი ყოველგვარი ნება, პირველ სიხარულზე უმჯობეს [სიხარულს] მისცემს და უფრო მეტად განამტკიცებს. ესაა სასწაული, რომელსაც უფალი ყველა იმ სულთან ჰყოფს, რომელიც ეძიებს ღმერთს.

როცა ამ წერილს ვწერდი, გამახსენდა სიტყვა, რომელმაც აღმძრა, მომეწერა თქვენვის განსაცდელთა შესახებ, რომელიც შეემთხვევა კაცის სულს. ის მას ჩაიყვანს ჯოჯოხეთის უფსკრულებში. ამისთვის ღაღადებს წინასწარმეტყუელი და იტყვის: „იხსენი ჩემი სული ქვესკნელის ჯოჯოხეთისგან“. და როდესაც ამოჰყავს იგი ჯოჯოხეთიდან, ვინც შეუდგება ღვთის წმინდა სულს, მასზე განსაცდელი მოვა და როცა ამ განსაცდელს სძლევეს, ის გახდება

მჭვრეტელი და სხვა მშვენიერებას მიიღებს; როცა ილია წინასწარმეტყუელი ამალდებოდა, პირველ ცაზე ასვლისას უკვირდა მისი სინათლე და მეორეზე ავიდა, უფრო მეტად გაუკვირდა და თქვა: „ვფიქრობ, რომ ბნელია ნათელი იმ პირველი ცისა“. ასევე თითოეული მართალი და სრული ადამიანის სული ციდან ცაზე ადის და წარმატება, ვიდრე ავა უმაღლეს ცაზე და თუ ავა, მაშინ დატოვებს მას ყველა განსაცდელი. ქვეყანაზე მყოფი ასეთი კაცი მისულია ამ ზომამდე.

მოგწერთ თქვენ, საყუარელო [შვილებო], რათა გამტკიცდეთ და ისწავლოთ, რომ განსაცდელი მოდის არა სავნებელად, არამედ სარგებელად და განსაცდელთა მოსვლის გარეშე სულს არ შეუძლია ასვლა თავისი შემოქმედის სამყოფელთან.

წმინდა ამონასივე მეთე უფლის საყვარელ [შვილებს]!

იცით, რომ როცა შეიცვლება ცხოვრება კაცისა და სხვა ღვთისსათნო ცხოვრებას შეუდგება, პირველ [ცხოვრებაზე] მეტად შეიცვლება მისი სახელიც. როცა ჩვენი წმინდა მამებიც წარმატნენ, მათი სახელიც შეიცვალა, მათ ახალი სახელი დაერთო, ზეციურ ფიცრებზე დაწერილი. როცა სარა წარმატა, მაშინ ითქვა: აღარ გეწოდოს შენ სარა, არამედ სარრა და აბრამს - აბრაჰამი და ისაკს - ისჰაკი და იაკობს - ისრაელი, სავლეს - ჰავლე და სიმონ[ს] - კეფა, რადგან შეიცვალა მათი ცხოვრება და წარმატნენ. ამიტომ თქვენც, რადგან შესძინეთ თქვენს ასაკს საღვთო მხარეც, სამართლიანია, შეიცვალოს თქვენი სახელიც თქვენი საღვთო წარმატების შესაბამისად.

ახლა კი, უფლისმიერო საყვარელო [შვილებო], რომლებიც მთელი გულით მიყვარხართ და თქუენთვის უმჯობესს ისევე ვეძიებ, როგორც ჩემსას, რადგან ღმერთმა ჩემ შვილებად შეგრაცხათ, მესმის, რომ განსაცდელში ხართ და წუხხართ. მეშინია, ვაითუ, განსაცდელი თავადვე მოიწიოთ, რადგან თქვენი სამოღვაწეო ადგილის დატოვება გსურთ. ამიტომაც შევწუხდი, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში მწუხარებით არ ვიყავი შეპყრობილი.

დანამდვილებით ვიცი, თუკი ახლა წახვალთ, საერთოდ, ვეღარ წარმატებით, რადგან არ არის ნება ღვთისა, და თუ თქვენი ნებით წახვალთ, ის არც შეგეწევათ და არც თქვენთან მოვა; მეშინია, ვაითუ, უფრო დიდ ბოროტებაში ჩაცვივდეთ, თუკი საკუთარ ნებას შეუდგებით, ღმერთი აღარ მოავლენს თავის ძალას, რომელიც წარმართავს ადამიანების გასავლელ გზას. თუ კაცი რაიმეს მოიმოქმედებს და ეგონება, რომ ღვთისსათნო საქმე აღასრულა და ამ დროს თავისი ნება იყო მის ქმედებაში, ასეთ ადამიანს არ შეეწევა ღმერთი; [ბოროტი] მოიძიებს ამ კაცის გულს, დამწუხრებულს და ყოველმხრივ დაუძღურებულს, რომელსაც ხელს ახლებს, რადგან მორწმუნეთა ცდუნება და გაკიცხვა მათი წარმატების მიზეზითაა გამოწვეული და არა სხვა რამით. მხოლოდ კეთილი მიზეზის წარმატებით ესმა მას: „იყავით ღმერთი!“ და არ განიკითხა მეტყველის ხმა. ის შეიგინა, რადგან ღვთის მცნებებს ეურჩა და სიკეთის მიმთხვევის წილ წყევის ქვეშ მოექცა.

სოლომონიც ამბობს იგავებში: „არის გზა, რომელიც სწორად ჩანს კაცის წინაშე, მისი ბოლო კი ჯოჯოხეთის უფსკრულებია“. იმათთვის ამბობს, რომელთაც ვერ შეუცვნიათ ნება ღვთისა და საკუთარ ნებას არიან შედგომილნი, მათ მხურვალეზაც და სიხარულიც ეშმაკისგან მიიღეს და ეს არ არის სიხარული; ამის შემდეგ ის მათ მწუხარებას აძლევს და განაქიქებს; ხოლო ვინც ღვთის ნებას შეუდგა, დასაწყისში დიდ შრომას დაითმენს, ბოლოს კი სიხარულს მოიპოვებს და განისვენებს. ცუდს ნურაფერს მოიმოქმედებთ, ვიდრე თქვენთან არ მოვალ.

სამია ნება, რომლებიც კაცს განუწყვეტლივ თან სდევენ. ის მხოლოდ ცოტამ თუ შეიცნო. მხოლოდ მათ, რომლებიც სრულყოფილები არიან და რომელთა შესახებაც მოციქულმა თქვა: „მაგარი საქმელი განკუთვნილია სრულთათვის, რომელთა გრძნობანი ჩვევით გაწაფულია კეთილისა და ბოროტის გასარჩევად“. რომელია ეს სამი? ესაა ის, რომელიც მტრისაგან იშვება და

რომელიც ღვთის მიერ კაცის გონებაში დაითესება, ამ სამთავან მხოლოდ თავისას შეიწყნარებს ღმერთი.

ახლა კი გამოიკვლიეთ თქვენი თავი, ამ სამიდან რომელი მოგიწოდებს თქვენი ადგილის დატოვებისკენ, ნუ დატოვებთ მას, ვიდრე თქვენთან არ მოვალ, რადგან მე ვიცი ღვთის ნება ამის შესახებ თქვენზე მეტად, რადგან ეს ძნელი შესაცნობელია, თუკი კაცი არ უარყოფს თავის ნებას და ეურჩება თავის სულიერ მშობლებს, ვერ შეძლებს ღვთის ნების შეცნობას, ხოლო როდესაც კაცი ასე მოიმოქმედებს და შეიცნობს მას, მაშინ ითხოვს ღვთისაგან შეცნობის ძალას. ნება ღვთისა დიდია, ქმედება - უდიდესი.

ეს ძალა ჰქონდა იაკობს, ამისთვის დაემორჩილა თავის დედ-მამას, როდესაც უთხრეს: წადი შუამდინარეთში ლაბანთან. ის ამისთვის მზად იყო, მან დედ-მამისადმი მორჩილებით კურთხევა მოიღო. მეც, მამათქვენი, თუ უწინ არ დავემორჩილებოდი ჩემს სულიერ მშობლებს, არ გამომიცხადებდა ღმერთი თავის ნებას. დაემორჩილეთ თქვენს მამას ახლა, რათა განისვენოთ და წარემატოთ თქვენ. გავიგე, რადგან თქვით: არ იცის მამაჩვენმა ეს შრომა. და გაიქცა იაკობი ესავისგან. ვიცით, არ გარბოდა, არამედ დედ-მამისგან წავიდა, ახლა კი მიჰხადეთ იაკობს და დარჩით, ვიდრე მამათქვენი წარგიმართავთ [გზას], რათა გაკურთხოთ თქვენ, როცა წახვალთ და ღმერთი შეგეწიოთ თქვენ.

უფალმა გაგაძლიეროთ, საყვარელო [შვილებო]!

წმინდა ამონასივე მეთერთმეტე უფლის მიერ საყვარელ [შვილებს]!

მოგიკითხავთ თქვენ სიმშვიდის სულით, რომელიც არის მშვიდობა, რომელიც სურნელებას სცემს მართალთა სულებს, რადგან ეს სული ერთ სულზე კი არ მოიწევა, არამედ მათზე, რომელთაც სრულიად განიწმიდეს თავი იმათი სიმშვიდისგან, რადგან წმინდაა და ვერ მივა არაწმინდა სულთან. [ეს სული] მოციქულებს ჩვენმა უფალმა მაშინვე მისცა, როცა საკუთარი თავი განიწმიდეს, ამისთვის ეუბნებოდა მათ: „თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან, თუ წავალ, მე მოგივლენთ ჭეშმარიტების სულს და გეტყვით ყველაფერს“. რადგან ეს სული აბელიდან დღემდე თავის თავს მისცემს მართალთა სულებს, რომელთაც სრულიად განიწმიდეს საკუთარი თავი, ხოლო რომელიც სხვა დანარჩენზე მოვა, ის სხვა არა არის რა, თუ არა სინანულის სული, სინანულის სული ყველას მოუწოდებს და განწმედს უწმინდურებისაგან. და როცა განწმედს მათ, სრულიად მისცემს სულიწმიდას, რათა მათზე მოფინოს სულნელება, როგორც ლევის უთქვამს: „და სულის სულნელება ვინ შეიცნო, არამედ მხოლოდ მათ, რომელთა შორისაც არის დამკვიდრებული“, არამრავალი გახდა ღმერთის სულის სინანულისა, ხოლო ჭეშმარიტების სული ძნელად მკვიდრდება ცალკეულ მოდგმაზე, არამედ - იშვიათად. მარგალიტი ყოველ სახლში არ იპოვება, არამედ ძნელად - თუ სადმე სამეფო ტაძრებში, ასევე ეს სულიც არსად იპოვება, არამედ მხოლოდ მართლების სულებში, რომლებიც სრულქმნილები არიან. ოდესღაც ლევი მისი ღმერთი რომ გახდა, დიდი მადლი შესწირა ღმერთს და თქვა: „გიგალობ შენ, უფალო, რადგან მომეცი მე სული, რომელიც შენს მონებს მიეცი“. და ყოველი მართალი, რომელზეც სული მოვივლინა, დიდად ჰმადლობდა, რადგან ეს ის მარგალიტია, რომელზეც მოგვითხრობდა სახარება, რომელიც იმან შეიძინა, ვინც მთელი თავისი სიმდიდრე გაყიდა. ეს ის საუნჯეა, მიწაში დაფლული, რომელიც კაცმა იპოვა და ძალიან გაიხარა, რომელთა შორისაც ის დაიმკვიდრებს, გამოუცხადებს მათ საიდუმლოებს, ასევე არის მათთან ღამე, როგორც დღე.

აი, გითხარით იმ სულის ძალის შესახებ და მსურს, რათა იცოდეთ, რადგან ყველაფერში შემეწია ფარულად თუ ცხადად მისი მადლი. მინდა თუ ჩემთან ახლოს იქნებით, იცოდეთ, რამდენი ასეთი გამოცხადება იქნება, რადგან ყოველდღე უმეტესი სიხარული გექნებათ. მინდა

იცოდეთ, თუ როგორი იყო ის განსაცდელი. ცხადია, იცით, რომ განსაცდელი არ მოიწევა კაცზე, თუკი არ მიუღია სული და როცა მიიღებს, მისცემს მას ეშმაკს გამოსაცდელად; და ვინ მისცემს მას, არათუ სული ღმრთისა, რადგან შეუძლებელია ეშმაკისგან გამოცდა მორწმუნისა, თუკი არ მისცემს მას ღმერთი.

როცა ჩვენი უფალი მოინათლა, სულიწმიდა გადმოვიდა მასზე მტრედის სახით. მაშინ გამოიყვანა ის სულმა უდაბნოში და გვემა, რათა გამოეცადა და ვერ შეძლო ეშმაკმა, ხოლო სულიწმიდის ძალამ ამ განსაცდელის შემდეგ სხვა სიდიდე და უფრო მეტი ძალი შესძინა წმინდანებს.

ცხადია, იცით, ჩემი განსაცდელი რას მიემსგავსა. როგორც ჩვენმა უფალმა, როცა ზეციდან გადმოვიდა, დაინახა სხვა უბნელესი ჰაერი და ჯოჯოხეთში ჩასულმა იხილა ჰაერი უხშირესი, როდესაც თქვა: „ახლა ჩემი სული შეძრწუნებულია“, ამის მსგავსად, მეც შემადრწუნა ყოველმხრივ განსაცდელმა. ხოლო ვადიდებ ღმერთს და ვმადლობ. გინდ პატივით, გინდ უპატიოდ ამომიყვანა მან მე ჰაერის სიბნელისგან და კვლავ პირველი სიმაღლე მომაგო. აი, გითხარი განსაცდელთა სიდიდის შესახებ, რომელიც დავითმინე და როცა ეს წერილი დავწერე, გამახსენდა ნათქვამი ეზეკიელთან: რომელსაც აქვს სახე გარდაცვლილი სულებისა, მან იხილა ცხოველი მდინარე ქობარეზე, რომელსაც ოთხი პირი, ოთხი ფეხი და ოთხი ფრთა ჰქონდა, ქერუბინის ერთი პირი იყო ლომისა, ერთი კაცისა, ერთი ორბისა და ერთი ზვარაკისა. ახლა კი პირი ლომისა ქერუბინს მოასწავებს, როცა სული ღმრთისა განისვენებს კაცის სულზე, რომელსაც ღვთის ძალა აქვს, გამოაფხიზლებს მას ძლიერად და ასწავლის მას გალობას ტკბილი და მშვენიერი ხმით და როდესაც სურს გადმოსვლა და აღშენება ადამიანებისა, ის კაცის სახეს იღებს. ზვარაკის სახეს კი მაშინ იღებს, როცა ბრძოლაშია მორწმუნე სული; სული ღმრთისა შეეწევა მას და მისცემს ზვარაკის ძალას, რათა შეძლოს და ურქინოს ეშმაკს, როცა სული კაცისა ამადლდება, სულიწმიდა მოდის მასზე და აქვს მას სახე, როგორც ორბის პირისა, რადგან იგი ყველა ფრინველზე მაღლა ფრინავს. ასეთი სახის მქონე სული ასწავლის ადამიანს სიმაღლეზე დადგომას და ღმერთთან მიაახლებს.

ზოგი რამ ამ ცხოვრების შესახებ გითხარით თქვენ, ხოლო თუკი ილოცებთ, მოვალ თქვენთან, შევალ ბეთელში, რომელიც ღვთის სახლია, აღვუვლენ ლოცვებს, რომლებიც ჩემმა ბაგეებმა აღუთქვეს, მაშინ ამ ცხოვრების შესახებ უცხადესად გამოვთქვამ.

გაგაძლიეროთ ქრისტემ და იცოცხლოთ!

ამონასივე მეთორმეტე

სულს, სადაც სურს, იქ დაქრის, ხოლო ქრის განწმენდილი და გულწრფელი ადამიანებისკენ. და თუ დაემორჩილებიან მას, მისცემს მათ შიშსა და მხურვალეებას. როდესაც მათ შორის ამას დასთესს, მათ ყოველივე ამსოფლიურს შეაძულეებს: ოქროს, ვერცხლს, სამკაულს, მამას, დედას, ცოლსა თუ შვილებს და ღვთის საქმეს მათ შორის ფიჭის თაფლზე უფრო მეტად დაატკბობს, გინდ შრომას მარხვისა, გინდ მღვიძარებას, გინდ დაყუდებას, გინდ მოწყალებას. ყოველივე ნებას ღვთისას მათ შორის დაატკბობს, რათა ყოველივე ეს ასწავლოს მათ და როდესაც ასწავლის კაცს, ამ ყოველივეს მისცემს, რათა გამოცადოს. და მაშინ დაუმძიმებს იმას, რომელიც უწინ ტკბილი იყო. მრავალი ამ გამოცდას მძიმედ შეუდგა და ხორციელი გახდა. ესენი არიან, რომელთა შესახებ მოციქული ამბობს: „სულით დაიწყეთ და ახლა ხორციით ამთავრებთ“?

ამდენად, ძლიერ ივნება, თუკი ვინმე წინ აღუდგება ეშმაკს პირველი განსაცდელისას და სძლევს მას, ღმერთი მას დამამშვიდებელ მხურვალეებას, შეუშფოთებელ მოთმინებას მისცემს, რადგან ის პირველი მხურვალეება შფოთიანია და დაუწყნარებელი, მეორე მხურვალეება კი უმჯობესია. ის წარმოშობს შინაგან ხედვას და ხანგრძლივია. მას ისეთივე შეუძრწუნებელი მოთმინება აქვს, როგორც ნავს, დაწყნარებული ნიავის დროს მოსრიალეს, ორი ხელით რომ

გამოიზიდება, დიდ გზას მოივლის და მენავეებიც დასვენებულები და მხიარულები არიან, ასევე მეორე მხურვალეა ყოველმხრივ გასვენებს.

ახლა კი, ჩემო საყვარელო შვილებო, თქვენი თავისთვის მეორე მხურვალეა მოიპოვეთ, რათა ყოველმხრივ შემსუბუქდეთ, რადგან საღმრთო მხურვალეა ასეა: ის ყოველ გარყვნილ ვნებას აღმოკვეთს და გამარცხავს კაცს ყოველგვარი სიძველისგან და განაღმრთობს მას, რათა იყვნენ ღვთის ტაძრები, მსგავსად წერილისა: „დავემკვიდრო და მიმოვიდოდი მათ შორის“.

თუკი გინდა, რომ მხურვალეა, რომელიც გაგშორდა, ისევ თქვენთან მობრუნდეს, საამისოდ კაცმა აღთქმა უნდა დადოს ღმერთის წინაშე და თქვას: მაპატიე, მაპატიე ჩემი სიზარაცე, აღარ გეურჩები!

კაცი ხორციელ განსვენებას რომ არ მიეცეს, ფხიზლად უნდა იყოს თავისი ფიქრებით, დღე და ღამე, გამუდმებით ღვთის წინაშე უნდა იტყვიან და იგლოვონ, თქვენი სული უნდა ამხილოთ იმის გამო, რომ დღემდე ზარმაცობდით და გამუდმებით ცუდად იქცეოდით. კაცი უნდა მოიხსენებდეს ყოველ სატანჯველს, მარადიულ სასუფეველს, ყოველთვის ამხილებდეს თავის სულს და ამბობდეს: ღმერთმა შენ ყოველგვარი პატივი მოგმადლა, შენ კი იზარმაცე. მთელი სამყარო დაგამორჩილა, შენ კი იზარმაცე. როდესაც შენს სულს ამას ეტყვი, დღე და ღამე, გამუდმებით მას ამხილებ, კაცზე მყისიერად გადმოვა ღმერთისმიერი მხურვალეა. მეორე მხურვალეა უმჯობესია პირველზე, როცა ნეტარმა დავითმა მასზე მოწეული სიმძიმე იხილა, თქვა: „ვიხსენებ ადრინდელ დღეებს, ვფიქრობ ყოველ შენს ნამოქმედარზე, შენი ხელის ნაქმნარზე ვისაუბრებ. ვიწვდი ხელებს შენკენ. ჩემს სულს, ვითარცა მიწას გამოფიტულს, მოსწყურდი შენ“ და შემდეგი. შემდეგ კი ესაია იტყვის: „როცა მობრუნდები და ამოიხრებ, მაშინ გადარჩები და შეიცნობ, სად იყავ“.

წმინდა ამონასივე მეცამეტე

თუკი შენს ძმასთან ერთად გზას დაადგები და ვინმე ხორციელად დაუძღვრებული შეგხვდება, გზა დაუთმე, რომ წინ იაროს. თუკი დაიღლება და თქვენ უკან ივლის, ამით მის გონებას დააზიანებთ. თუკი ერთადმყოფი ძმები უცხო ქვეყანაში წახვალთ, საკუთარ თავს წესად დაუდეთ, რომ ხელსაბანთან ყოფნისას, ლოცვისას თუ მაგიდასთან საქმიანობისას ყოველივე მშვიდად აღასრულოთ, კამათის გარეშე.

ჯერ ერთმა მოიმოქმედოს, შემდეგ კი - სხვამ. თუკი ბერს შენი ვნებების შესახებ აუწყებ, ნურაფერს დაუმაღავ, თუკი შეეძლება მისი ტვირთვა. თუკი ძმებთან ერთად ხარ, უმჯობესია შენთვის, მათ მოუსმინო, ვიდრე სიტყვა თავად წარმოთქვა.

თუკი შენი მეგობრის შესახებ რაიმე დანაშაულს შეიტყობ, არავის მოუყვე. თუკი გაიგებ ძმებისგან, რომ ვნებების შესახებ საუბრობენ და ეს ბრძოლა შენ არ შეგხვებია, ნუ მოუსმენ მათ, რათა ბრძოლა შენც არ გეუფლოს. ნუ გსურს მათი მოსმენა, აიძულე შენი თავი, მთელი ღამე ილოცე, რათა ლოცვა შენი სულის სინათლე იყოს. გაიხსენე საკუთარი თავის წინაშე, რამდენი შესცოდე და თუ ღმერთს მათ შესახებ შეევედრები, გაპატიებს.

თუკი ძმა აუღს იტყვის შენთან თავის ძმაზე, ნუ შეგრცხვება მისი, ნუ დაემორჩილები და ნუ შესცოდავ ღვთის წინაშე, არამედ თავმდაბლად უთხარი: შემინდვე, ძმაო, მე უძღვრე ვარ და რასაც მეუბნები, არ შემიძლია საკუთარ თავზე აღება.

თუკი ვინმე ბოროტს გიზამს და სხვა ძვირს იტყვის მასზე შენთან, მოუფრთხილდი შენს გონებას, რათა ბოროტება არ აღემატოს მასში, არამედ გაიხსენე შენი ცოდვები, რათა მოგეტევოს ისინი.

თუკი სხვა ძმასთან ერთად უცხო სოფელში წახვალ უცნობ და შენზე უმცროს ძმებთან ერთად, დაუთმე მათ უფროსის ადგილი და თუ შენს მეგობართან მიხვალ, მათ დაუტოვე ყველა

ადგილი: გინდ ხელსაზნთან, გინდ მაგიდასთან. ნუ გეგონება, რომ შენ გამო მიიღეს ისინი, არამედ უფრო მეტად ეცი პატივი მათ და თქვი, რომ თქვენ გამო გამიკეთა სიკეთე.

თუკი ძმებთან ერთად გზას დაადგები, მიხვალ იმ ადგილას, სადაც შენი მეგობარია და გინდა რაიმეს თქმა, ის კი საჭმელზე დაგაყოვნებს, ნურაფერს გაუსინჯავ გემოს, ვიდრე ძმებსაც შენთან არ მოიყვან, რომ მათაც დაისვენონ.

თუკი ძმებთან ერთად გზას დაადგები, ისინი კი ბევრნი იქნებიან და მიხვალ იმ ადგილას, სადაც შენი მეგობარია და შეგრცხვება მათი იქ მიყვანა და მათთან ერთად დადგომა მათი სიმრავლის გამო, ნუ დაიზარებ, არამედ მიდი შენს მეგობართან და ჰკითხე, სად უნდა იყვნენ ძმები, რასაც გეტყვიან, მათ დაემორჩილე. მათ გვერდით სვლისას ყველაფერში თავმდაბლობა გამოიჩინე.

თუკი უცხო სოფელში მიხვალ და გენდომება ძმებთან დარჩენა, შენი ძმა კი არ მოისურვებს შენს დატოვებას, ის გზაზე ნახო ანდა შენთან მდგომურად მოვიდეს, როგორც უცხო, ისე შეიწყალე და ნურაფერს ეტყვი, არამედ გაიხარე მასთან.

თუკი გაიგებ, რომ ძმა შენზე ძვირს ამბობდა და შეხვდები მას, ანდა შენთან სენაკში მოვა, მხიარულად მოიკითხე, შენი ძალის შესაბამისად გაიხარე მასთან ერთად და ნურაფერს ეტყვი, რაც გაიგე მის შესახებ, რადგან დაწერილია: „აპატიე და გეპატიება“. თუკი ძმები უცხო მხარეში იქნებიან და ვიღაც ღარიბ ძმასთან მოისურვებ დარჩენას, ნუ შეაწუხებ საჭმლის გამო, არამედ ვიდრე იქ იქნები, იყიდე შენთვის საჭირო ნივთი. საკმარისი იყოს თქვენთვის ის, რაც იმ ადგილას ყოფნით მოგეცათ, ამით არ შეაწუხებთ იმ ძმას.

თუკი ძმები შენთან იქნებიან და დაგემორჩილებიან, იღვაწე მათთვის, რადგან, როგორც იცი, სიტყვა გაქვს მათთვის მიცემული. თუკი ღმერთისთვის უცხოებას აღირჩევ, ნუ გენდომება შეერთება იმ ქვეყნის მკვიდრთან, ნურც საერთო სიტყვას მოძებნი მასთან, და თუ არ ძალგიძს, უმჯობესია შენთვის შენსავე სოფელში დარჩე შენს ახლობლებთან ერთად.

თუკი მთაზე ან მონასტერში მამების მონახულებას მოგინდება, ანდა შენს მეგობართან სტუმრობა, ნუ შეხვალ სხვის სენაკში, თუკი პირველად არ ჰკითხავ მას: გინდა თუ არა? და რასაც გეტყვის, ისე მოიქეცი, ვიდრე მისგან მშვიდობით არ გამოხვალ და ორივეს გონება დამშვიდებული იქნება. თუკი შენთვის სენაკს შეიძენ, მრავალი მეგობარი ნუ გეყოლება, საკმარისი იქნება ერთი შენი უძლურებისთვის.

თუკი ვინმე გლახაკს შეიწყალე, ნუ იმსახურებ, რათა არ დაიღუპო შენი ქველმოქმედების სანაცვლოდ. თუკი რომელიმე ძმის სანახავად შეხვალ, ის კი გეტყვის: აქ დაჯექი ცოტა ხნით, ნუ შეხვალ სხვა სენაკში რამის სანახავად, და თუ საჭირო საგანზე მეტი არ გაქვს, ნუ გაფანტავ, რათა რამე შფოთში არ ჩავარდე. უმჯობესია შენთვის, რათა შენი ერთი ნაწილი დაიღუპოს, ვიდრე მთელი შენი სხეული - ცეცხლში.

თუ ნათესავებისგან ფიზიკურად შორს ხარ, ნუ გაგიტაცებს მათზე ფიქრი, სენაკში მჯდარი ნუ გაიხსენებ დედ-მამის, და-ძმის სიყვარულს, ნუ შეგიპყრობს სურვილი შენი ვაჟებისა და ასულებისა, ანდა ფიქრები ცოლზე, რადგან ისინი ღვთისთვის დაგიტოვებია. გაიხსენე ჭირი, რომელიც სიკვდილის ჟამს მოგელის, რადგან არცერთი მათგანი შეგეწევა ამ დროს შენ. სენაკში ჯდომისას თუ გაგახსენდება ის, ვისაც შენთვის ბოროტება უქნია, სწრაფად ადექი და ილოცე მასზე მთელი გულით, რათა მიეტეოს მას და შურისძიების ფიქრი დაცხრება შენში.

თუკი მტერი გამოგცდის ღამე სიძვის ოცნებით, მოუფრთხილდი შენს გულს დღისით, რომ არ დატყვევდეს მათი გემოთი და შენი სული არ დასცეს. ღმერთს მთელი გულით შევეკდრე და დაგეხმარება, რადგან ის არის ადამიანთა უძლურების შემწე.

თუკი მარხულობ, ნუ აივსება იმედით შენი გული, რომ ის დაგიცავს შენ, არამედ უთხარი შენს სურვილს: ჩემი ხორცის ბოროტების გამო ღმერთი შეისმენს ჩემს უძლურებას.

თუკი ვინმე დაგაყვედრებს, ანდა შეგაგინებს, ნურაფერს მიუგებ, სანამ არ გაჩუმდება და თუ გამოიკვლევ შენს თავს, იპოვი შენთან იმას, რაც მოისმინე მისგან. იჩქარე, მიდი და შეევედრე მას, ვიდრე განკურნავ მას და ღვთის სიყვარული შეგიწყნარებთ თქვენ.

თუკი ძმებთან ერთად მიდიხარ და თან შენი მეგობარი გახლავს, დაიცავი შენი თავი და ნუ გაკადნიერდები მის მიმართ, ვაითუ, სხვების გონება მოიწყლას და შესცოდო. უცხო სოფელში თუ შეხვალ, წინასწარ ნუ იფიქრებ, რომ იქ დიდი სიხარულით მიგიღებენ, არამედ თქვი: მარტო მე თუ მიმიღებენ, ღმერთის მადლიერი ვიქნები.

თუკი დაუძღვრდები, შენს სენაკში მჯდომს სულმოკლეობა ნუ გძლევის, არამედ ღმერთის მადლიერი იყავი.

თუკი შენს თავს სულმოკლეობა შეიპყრობს, უთხარი მას: რატომ წუხხარ? არ არის ეს უმჯობესი იმ ცეცხლისა, რომლისკენაც შენ მიდიოდი? და გაჩუმდება.

თუკი ძმებთან ერთად მიხვალ და ერთი მათგანი გეტყვის, აქ ვერ მოვისვენებ, არამედ შენთან მინდა ყოფნა, ნუ მისცემ მას ადგილს, რათა სხვები არ დაბრკოლდნენ. თუკი იტყვის: სული მეღუპება ფარული სურვილებისგან, უბოძე მას ადგილი, რათა სხვა ადგილისკენ ისწრაფდეს. შენთან კი ნუ დაიტოვებ ყველა იმ სურვილს, რომელიც გებრძვის. ნუ გრცხვენია მათი გამჟღავნებისა წმინდა მამების წინაშე და დაისვენებ. ისე არაფერი ახარებს ეშმაკს, როგორც კაცი, რომელიც თავის სურვილებს ფარავს. სენაკში ჯდომისას შენი ხორცი დაასაქმე, რამდენიც საკმაო იქნება, რათა შეძლო დადგომა მსახურებაზე, როცა შენი სენაკის გარეთ იქნები, ნუ მოისურვებ მრავალი ადგილის მონახულებას, შენ წინაშე მოტანილ ყველა საჭმელს ნუ შეჭამ გაძლომამდე, რათა შენი სენაკის შინაგამცემელი არ შეიქმნე.

თუკი ეშმაკები დაგარწმუნებენ, იმარხულო ისე, რომლის ტვირთვაც არ ძალგიძს, ნუ დაემორჩილები, რადგან მათ გაუხურებიათ კაცის გული, რომელსაც შეუძლია ეშმაკთა ხელში ჩავარდეს და გაიხარებენ, რადგან ყველაფერი ეშმაკებისა დაუმშვიდებელია. დღეში ერთხელ შეჭამე და ხორცი შენი დაასაქმე, რადგან როცა ადგები და ღამისთევას მოისურვებ, ნუ მოაკლებ შრომას შენს ხორცს, არამედ შენთვის დაწესებული კანონი შიშით და სიმშვიდით აღასრულე. იკმარე ღამის ნაწილი სხეულის მოსასვენებლად და ღამის დარჩენილ დროს შენი კანონი აღასრულე.

თუკი საკუთარ თავს სიზარმაცეს შეამჩნევ, უთხარი მას: გინდა ამ ცხოვრების ჟამს დაისვენო და მარადიულ სატანჯველში ჩავარდე?! არამედ შეწუხდი მცირედით აქ და წმინდანებთან ერთად დაისვენებ და თუ შენს თავს აქ ცოტახნით რამეს აიძულებ, [უფალი] მოგცემს ძალას.

თუკი მონაზონი ხარ და გყავს მონა, შენთან ნუ იყოლიებ, რადგან ამით შენს თავს შეურაცხყოფ, და თუ სხვას გადასცემ, შესცოდავ ქრისტეს წინაშე. თუკი ის შემონაზვნებას მოისურვებს, ნუ მისცემ შენთან ყოფნის ნებას შენი სულის სარგებლის სურვილით, არამედ გაუშვი და სადაც ენდომება, იქ იღვაწოს.

თუკი ყველაფრისგან გათავისუფლდები და შენთვის არაფერს დაიტოვებ, დაინახავ, რომ მოგზაურობა მოგსურვებია და შენი გონება დაუძღვრდება, ეს შენი სულის დაღუპვა იქნება, უფრო მეტად ხელსაქმით დაკავდი და შენი პური მშვიდად შეჭამე.

თუკი ქალაქში ან დაბაში შენი ხელნაკეთის გასაყიდად წახვალ, ნუ დაიწყებ ვაჭრობას, როგორც ერისკაცი, არამედ მიეცი, როგორც შეჭვერის, რათა არ დაღუპო შენი სენაკის ძალა. თუკი შენი სენაკისათვის საჭირო ნივთს იყიდი, ნუ შეევაჭრები: თუ ამდენად არ მომცემ, არ მინდა. თუკი მისი ყიდვის საშუალება არ გექნება, დატოვე იგი სოფელში წყნარად.

თუკი შენი ძმა გეტყვის, რომ გამოხატე სიყვარული ჩემდამი და რამე მიყიდე, სავაჭროდ მისულმა ისევე იყიდე მისთვისაც, როგორ შენთვის. თუკი უნებლიეთ შეხვალ დაბაში რაიმე საჭიროებისათვის, თავი შორს დაიჭირე ახლობლებისგან, ნუ შეერევი მათ, რათა არ შეიტანო შენს სენაკში მონობა.

თუკი ძმას რამეს ასესხებ და გეცოდინება, რომ არაფერი აქვს, რომ დაგიბრუნოს, ნურაფერს მოსთხოვ: ფული იქნება, ტანისამოსი თუ სხვა რაიმე საჭირო ნივთი. თუკი რომელიმე ადგილას მიხვალ, სენაკს შეიძენ და მისასაშენებლად რამეს დახარჯავ, მცირე ხნის შემდეგ კი ამაღილიდან წახვალ და სხვა დაეუფლება შენს სენაკს, რამდენიმე ხნის შემდეგ უკან დაბრუნებულმა არ გამოუშვა ძმა იმ სენაკიდან, რათა არ სცოდო ღვთის წინაშე. ხოლო თუკი მოისურვებს საკუთარი ნებით სენაკიდან გამოსვლას, მართალი იქნები. თუკი სენაკიდან გამოხვალ, ნუ გამოიტან ნურანაირ საჭირო ნივთს, რამდენიც უნდა იყოს, არამედ სხვა გაჭირვებული ძმისთვის დატოვე და ღმერთი შეისმენს შენსას. ხოლო თუკი მოისურვებს საკუთარი ნებით სენაკიდან გამოსვლას, უბრალო იქნები. სადაც მიხვალ, მოუფრთხილდი შენს თავს წმინდა ზიარების საიდუმლოს მიღებისას, ვაითუ, ვინმეს მიმართ გულწაკლული იყო და შენი თავის დასასჯელად მიიღო იგი.

თუკი წმინდა წერილის სიტყვის განმარტებას გადაწყვეტ, გაფრთხილდი, რათა წერილი არ დაარღვიო და წმინდა წერილის ბუნებას უფრო მეტად არ ჩაუღრმავდე, რადგან ეს ამპარტავნების ნიშანია.

თუკი შენი ძმა უმეცრების გამო შეცდება და განდგება წმინდა სარწმუნოებისგან, ანდა მწვალებლები შეაცდენენ, და ამის შემდეგ თუ მოიქცევა, ნუ შეურაცხყოფ, რადგან საკუთარი ნებით არ დაცემულა. თავი შეიკავე მწვალებლებთან ურთიერთობისგან, რათა არ შეუდგე მათ სიტყვას. ნუ მოინდომებ შენი სარწმუნოების დამტკიცებას, რათა არ დაგესლონ შენი გული მათმა სიტყვებმა და გადაგდრიკონ.

თუკი მწვალებლების წიგნს იპოვი, ნუ მოისურვებ მათ წაკითხვას, რათა შენი გული სიკვდილით არ აავსონ. არამედ რომელი მართლმადიდებლობითაც მოინათლე, მოუფრთხილდი მას, ასევე მოუფრთხილდი წმინდა და შეუცვლელ სამებას, ნურც ნურაფერს შემატებ, ნურც დააკლებ, რათა შენი ჟამი სიმშვიდით გაატარო.

თუკი ჭაბუკი ხარ და აქამდე შენს ხორცს ბოროტად დამონებული, თუ შეიტყობ წმინდა მამების დიდი სათნოებების შესახებ, ნუ მოისურვებ უშრომელად მათთან მიახლოებას, რადგან ვერ მოიპოვებ, თუკი თავდაპირველად მათსავით არ იღვაწებ. და თუ მათსავით იშრომებ, სათნოება თავად მოვა შენთან.

დაიცავი შენი თავი სიზარმაცისგან, რადგან იგია, რომელიც შენი მონაზვნობის მთელი ნაყოფს დაღუპავს. თუკი ვნებათა გამო იღვწი, ნუ მოგწყინდება, არამედ ღმერთს მთელი გულით შეევედრე და თქვი: არაფერი შემიდლია. და მაშინვე შეგეწევა.

თუკი შენი მტრებისთვის იღვაწებ და დაინახავ, რომ მოგშორდნენ, ნუ გაიხარებ გულით, რადგან ეშმაკის ბოროტება მათ უკანაა, რადგან მოუშადადებიათ პირველ ბრძოლაზე უბოროტესი და დაუტოვებიათ ქალაქის უკან და შეუტყობინებიათ, რომ არ შეიძრას. და თუ ქალაქის წინ იბრძოლებ, შენგან ვერაგულად გაიქცევიან, თუ გონებით ამაღლდები და შენი ძალის მოიმედე იქნები, დატოვებ ქალაქს და მათ დაედევენ, დაინახავენ, რომ ქალაქი დატოვე, ზოგიერთი პირისპირ დაგესხმება თავს, ზოგიც უკნიდან დაგიპირისპირდება და შენს საცოდავ სულს მათ შორის მოაქცევენ და ვერ შეძლებს ის, მივიდეს იქ, სადაც მიდიოდა. რადგან ღმერთისადმი გამუდმებით ვედრება არის ქალაქი, და ვინც ღმერთს დაემორჩილება მთელი თავისი გულით, ის მას ყველა განსაცდელში შეეწევა.

თუკი ღმერთს შესთხოვ, რომ განსაცდელში შეგეწიოს და არ შეისმენს შენსას, გული ნუ გაგიტყდება, რადგან მან იცის, რა არის შენთვის უმჯობესი.

თუკი ღმერთს შეევედრები ყველა სათხოვნელის გამო, ნუ იტყვი, რომ: აიღე ეს ჩემგან. ანდა: მომეცი! არამედ ასე ილოცე: უფალო იესო ქრისტე, შენ ხარ ჩემი შემწე, შენს ხელთა ვარ, ნუ დამტოვებ შენ წინაშე მყოფს ცოდვაში, რადგან შევცდი, ნუ დამტოვებ ჩემს ბოროტ ნებაში, ნუ დამტოვებ, რომ არ დავიღუპო ჩემს ცოდვებში, შეიბრალებ შენი დაბადებული, ნუ გამაგდებ შენგან ჩემი ცოდვების გამო, არამედ გვედრები, განკურნე ჩემი სული, რადგან შევცოდე. შეიწყალე შენი დაბადებული, ნუ მომიშორებ ჩემი ცოდვების გამო, რადგან შენ გვედრები,

განკურნე ჩემი სული, რადგან შევცოდე. შენ წინაშე ყველა ჩემი შემაწუხებელი, არ მყავს შენ გარდა სხვა შესავედრებელი. უფალო, უფალო, შენი წყალობით მაცხოვრე! შერცხვეს ყველას, რომლებიც მე მაწუხებენ და რომლებიც ეძიებენ, რომ მიიღონ ჩემი სული, რადგან შენ, უფალო, ძლიერი ხარ ყველაზე და შენი დიდება საუკუნეების მიღმაა, ამინ!

შენს გულში ფარულად უნდა გააცნობიერო, თუ რატომ და რომელი საქმის გამო არ გისმენს ღმერთი.

ამიერიდან ნუ შეურაცხყოფ მას, არამედ რასაც გეტყვის, ის შეასრულე, რადგან არ შეისმენს ღმერთი კაცისას, თუკი კაცი არ უარყოფს თავის ნებას და არ დაემორჩილება მას, ის ადამიანებისგან შორს არ არის, ჩვენი ბოროტი ნება ზღუდედ გვექცევა მის წინაშე, რათა არ შეისმინოს ჩვენი. ახლა კი დავემორჩილოთ, საყვარელო [შვილებო], ღმერთს, შიშით ვიმარხულოთ და ხორციელად ვიღვაწოთ, ნუ დავაბრკოლებთ სინდისს, ღვთის შიშის გზით მოვუფრთხილდეთ საკუთარ თავს, რათა უფალმა გაგვათავისუფლოს და დაგვიცვას, გვასწავლოს ჩვენ ის ყოველივე, რომელშიც ჩავცვივდით ჩვენი უმეცრების გამო, ვაითუ, გამშორდეს და მტრის ხელში ჩავცვივდეთ და არ შეგვიწყალოს ჩვენ, ანუ როგორც გვასწავლა ჩვენ ჩვენმა უფალმა, იესო ქრისტემ, და თქვა: სცნობდე შენს მომჩივანს, სანამ მასთან ერთად გზაზე ხარ, ვაითუ, გადაგცეს მოსამართლეს და მოსამართლემ - მსახურს, და მსახურმა საპყრობილეში ჩაგაგდოს. შენ გეტყვი: ვერ გამოხვალ იქიდან, სანამ უკანასკნელ კოდრატს¹ არ გადაიხდი. ამბობენ, რომ სინდისი არის მოდავე, რადგან წინ აღუდგება კაცს, რომელსაც სურს ხორციელად თავისი ნების აღსრულება. და თუ მას არ მოუსმენს, გადასცემს მის მტრებს. ამიტომაც გლოვობდა მოსე ეფრემის გამო და ამბობდა: სძლია ეფრემმა თავის მომჩივანს, დათრგუნა სამართალი, მოიძია ის ეგვიპტეში და ძალით წაიყვანა ასურეთში. ეგვიპტეში მოძიება გულისხმობს გულის ვნებების გამოძიებას, ხოლო მიყვანა ასურეთში - ეს ნიშნავს იმას, რომ სურს თუ არ სურს, ის დამონებულია თავის მტრებს.

ვიშრომით, ძმებო, რათა არა ჩავცვივდეთ ხორციელად ჩვენი ნების ხელში, არ წავცივანოს მან ასურეთში და არ მოგვესმას მწარე ხმა: მოვიდა ასურეთის მეფე ისრაელის ქვეყანაში და წაიყვანა ეფრემი და ისრაელი ასურეთში და დაამკვიდრა ისინი ელასსა და აბორში, ქოშონის მდინარეების ზემოთ და ხუზიკეთის საზღვართან და დღემდე იქ არიან. მაშინ გამოგზავნა ასურეთის მეფემ თავისი ნათესავი, რათა დაემკვიდრნენ ისრაელის ქვეყანაში. თითოეულმა მათგანმა შექმნა ქანდაკება, რათა ემსახურონ მას. ასე მოიქცა ეფრემი, რადგან სძლია თავის მომჩივანს და დათრგუნა სამართალი. იხილეთ, ჩემო ძმებო, რომლებიც თქვენს ნებას ხართ შედგომილნი, რა შეგემთხვევათ ხორციელად. მაშ, ნუ მიბაძავთ მათ, საყვარელო [ძმებო], არამედ მივბაძოთ წმინდანებს, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ ცოდვას სიკვდილამდე, არამედ დაემორჩილნენ წმინდანთა საღმრთო სინდისს, ვიდრე არ დაიმკვიდრეს მარადიული სასუფეველი, რადგან იბრძოლეს მტრების წინააღმდეგ და ამაოდ არ დაშვრნენ, როგორც ჩუენ, რომელთაც ვიშრომეთ და ნაშრომი არ შევინახეთ, სენაკებში ვისხედით და ჩვენი შინაგანი მე სიბილწეში ირეოდა, ვგალობდით და ჩვენი გონების გაბნეულობით დავატყვევეთ იგი, დავიცვათ მარხვა და ძვირისსიტყვა პასუხს მიიღებს ჩვენგან, დავიმდაბლოთ ჩუენი ხორცი შრომითა და რუდუნებით, ქედმაღლობამ წარწყმიდა ის. ღვთის სიტყვით ვიწვრთნებოდით და ამ ცხორებაზე ამაო ფიქრმა გააქრო ის ჩვენგან, ჩვენი პური უპოვრებს მივეცით და მეგობრის სიძულვილმა და შეურაცხყოფამ წარწყმიდა იგი. გავუშალეთ სუფრა ძმას და გულძვირობამ ჩვენგან საფასური წარწყმიდა. ამ ყველაფერში ჩავცვივდით, რადგან არ დავემორჩილეთ საღმრთო სინდისს. ახლა კი ვიზრუნოთ ჩვენი ნაშრომის შესანახად, რათა მოვიპოვოთ წყალობა წმინდანებთან ერთად, რომლებმაც ღვთის მადლით თავიანთი ნაღვაწი დაიცვეს.

აი, ძველი და ახალი კაცის ნამოქმედარი, რომელსაც სულის ცხონება სურს, ახალი კაცის შესანარჩუნებლად უნდა იღვაწოს; რომელსაც სურს, მცირე ხანს ხორციელად განისვენოს,

¹ ფულის ერთეული.

უნდა აასრულოს ძველი კაცის ნება და ის თავის სულს სამარადისოდ დაიღუპავს. ჩვენმა უფალმა, იესო ქრისტემ, განაცხადა ახალი კაცი წმინდა ხორციით, რადგან თქვა: ვისაც თავისი სული უყვარს, ის უნდა დაღუპოს, და რომელიც თავის სულს ჩემთვის დაღუპავს, ის იპოვის მას, რადგან თავად ისაა მშვიდობის ბატონი, მის მიერ დაირღვა მტრობის ზღუდე და თქვა: „მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი“. შემდეგ თქვა: „ამქვეყნად ცეცხლის მოსატანად მოვედი და როგორ მინდა, რომ ენთოს“. იგივე სიტყვა არის, რომელიც მის კვალს შეუდგება, მათ შორის საღვთო ცეცხლი დაიმკვიდრებს, მაშინ იპოვის ის სულის მარგალიტს და მოკლავს ყოველ ხორციელ ნებას. შემდეგ კი გაიგებს სიხარულით სავსე ხმას: „მოდით, მამაჩემის კურთხეულნი, დაიმკვიდრეთ სოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი. ვინაიდან მშობიდა და საჭმელი მომეცით, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ. შიშველი ვიყავი და შემომსეთ, სნეული ვიყავი და მომინახულეთ. საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ“.

აი, რომელთაც დაიღუპეს თავიანთი თავი ამ წუთისოფელში, უბედურების ჟამს იპოვეს და უკან დაიბრუნეს მრავალწილი სასყიდელი, ხოლო რომელთაც შეიყვარეს თავიანთი სული ამ ამო სოფელში, მისი გემოებით შეცდნენ, არ დაიმარხეს ღვთის მცნებები, არამედ ეგონათ, რომ მთლიანად დაეუფლნენ ამ ცხოვრებას და გაცხადდა მათი სირცხვილი შეჭირვების ჟამს და მოესმათ მათ საშინელი განჩინება, რომელსაც იტყვის: „წადით ჩემგან საუკუნე ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის. ვინაიდან მშობიდა და საჭმელი არ მომეცით, მწყუროდა და არ მასვით. უცხო ვიყავი და არ მიმიღეთ, შიშველი ვიყავი და არ შემომსეთ, სნეული ვიყავი და საპყრობილეში და არ მომინახულეთ“. ხოლო მათ დაიდუმეს და ვერაფერი იპოვეს, რომ ეპასუხათ, რადგან გაახსენდათ თავიანთი უწყალოება და გლახაკთა სიძულვილი. უფალს უთხრეს: „როდის გიხილეთ შენ და არ გემსახურეთ“? მაშინ გააჩუმა ისინი და უთხრა: „რომელმაც სიკეთე გაუკეთა ჩემს მორწმუნეებს, ის მე გამიკეთა, და რომელიც ბოროტად მოექცა ჩემს მორწმუნეებს, ის მეც ბოროტად მომექცა“.

გავახილოთ თვალები, საყვარელო შვილებო, შევასრულოთ უფლის მცნებები, განკითხვის დღეს რომ ვილადადებთ, შეგვრცხვება, რადგან ნების აღსრულება ჩვენი ძალების შესაბამისად მოგვეცა. მდიდარს - მისი სიმდიდრის შესაბამისად, ვინც სალაროში ინახავდა, მდიდრებად დარჩნენ, უფალმა კი უფრო მეტად გაიხარა ქვრივისა და ღარიბის ორი ლეპტის გამო, რადგან ღმერთი ჩვენში გულმოდგინებას ეძებს, ვაითუ, სიზარმაცეს ვუთმობთ ადგილს და ვიტყვით: საიდან ვიპოვოთ, რადგან შურმა გამოგვყარა ჩვენ ღვთისგან. შევასრულოთ მისი მცნებები ჩვენი სიღარიბის შესაბამისად, რათა არ გამოგვყაროს მან გაჭირვების ჟამს, რადგან მისთვის უცხოა მიკერძოება, როგორც აღადგინა მან მღვდელმთავრის ასული მამის ცრემლების გამო, ასევე შეებრალა შემდეგ სისხლმდინარე, რომელსაც თავისი სიმდიდრე მის მოსვლამდე მკურნალებთან დაეხარჯა და განკურნა სამეუფო კაცის ვაჟი, რადგან მისი ირწმუნა. მას ასევე შეებრალა ქანაანელი ქალი მისი შეწუხების გამო და როცა ლაზარე, თავისი მეგობარი, აღადგინა, აღადგინა ასევე ღარიბი ქვრივის დედისერთა ვაჟი მისი ცრემლების გამო და როცა მარიამის გამო გამხიარულდა, ნელსაცხებელს რომ სცხებდა მას ფეხებზე, არ უგულუბელსყო ცოდვილი ქალიც, რომელმაც მას ფეხებზე ცრემლებთან ერთად ნელსაცხებელი სცხო. და როდესაც პეტრეს და იოანეს, მამის ნავში მსხდომთ, მოუწოდა და უთხრა: „გამომყევით მე!“ მოუწოდა მათესაც, საბაჟოზე მჯდომს, და როცა თავის მოწაფეებს ფეხები დაბანა, არავინ გააგდო, მათ შორის არც იუდაც, და როდესაც მისი მოსწავლეები სულიწმიდით აივსნენ, ასევე გადმოვიდა ცხადად კორნელიოსზეც, და როგორც აიძულა ანანია დამასკოში პავლეს გამო და უთხრა: „ადექი და მიდი, რადგან რჩეული ჭურია ჩემი“, ასევე აიძულა კვლავ ფილიპეც სამარიაში ეთიოპიელი საჭურისის - კანდაკეს - გამო.

წმინდა ამონასივე მეთოთხმეტე

პირველ ყოვლისა, მოვიკითხავ თქვენს სიცოცხლეს უხილავთა შორის, საყვარელო ძმებო, რადგან ხილული ამქვეყნიურია, ხოლო უხილავი - მარადიული, როგორც თქვენი ნაყოფი, რომელიც იქცა მონად და სრულიად ცოცხალია. თუკი ადამიანის ნაყოფი ცოცხალი იქნება, ღმერთი მას საბრძანებელ სამკალს მისცემს და იგი ღვთის ნაწილად შეირაცხება. ღმერთი მისი შრომის სანაცვლოდ მისაგებელს მიაგებს, რადგან იგი ყველა ამ ცოცხალი ნაყოფის შესანახად იღვწოდა.

ახლა კი ვხარობ თქვენ გამო, რადგან თქვენი ნაყოფი ცოცხალია. ხოლო ვისი ნაყოფიც მკვდარია, მას არ შერაცხავენ ღვთის ნაწილად, არამედ უფრო მეტად გაამტყუნებს მათ ღმერთი და ეტყვის წინასწარმეტყველს, რათა აჩვენოს, რომ მათი ნაყოფი მკვდარია.

მთელი ძალით ილაღადე და ნუ მოგერიდება. ილაღადე, როგორც საყვირმა, ხმა აიმაღლე და ერს ცოდვების შესახებ აუწყე, იაკობის სახლს კი - მისი ურჯულოების შესახებ. ყოველდღე მეძებენ, გული უგრძობთ ღმერთთან სიახლოვეს და ამბობს: რა ხდება, რომ ვმარხულობ და არ იხილე, დაამდაბლეთ ჩვენი სულები და არ იცანი. მან კი ასე მიუგო: რადგან მარხვის ჟამს მოგიძიეთ და გნახეთ, რომ თქვენს ნებას ასრულებდით, თქვენს ქვეშევრდომებს ბოროტად ექცეოდით და ყველა თქვენს მევალეს ჩაგრაავდით, შეინახავთ თქვენს გასაკილავად, რადგან მომესმა დღეს თქვენი ღაღადება. ასეთი მარხვა არ გამოვიძიე, ამბობს უფალი: „განა ასეთია მარხვა, რომელიც ამოვარჩიე, დღე, როცა ადამიანი აწამებს თავის თავს? ვით ღერწამი იდრეკს თავს და ძაძას და ნაცარს იგებს ქვეშ“? და შემდგომი... ესაა მომკვდარი ნაყოფი, ამისთვის არ შეისმინა უფალმა მათი, რადგან ლოცულობდნენ რა ისინი ღვთის წინაშე, უფრო მეტად ბრალს ღმერთს სდებდნენ. სახარებაში ასეთათვის [უფალი] ამბობს: „თუკი ნათელი, რომელიც შენშია, სიბნელეა, სიბნელე რამდენად დიდი იქნება“? წინასწარმეტყველი კი მათზე მრისხანედ იტყვის: „სიმართლე თქვენი, როგორც ძონძი სისხლმდინარისა“. აი ეს არის ნაყოფი მომკვდარი, ჩემო საყვარელო ძმებო, თქვენ არაფერი გაქვთ საერთო ასეთ ნაყოფთან, რადგან ცოცხალია თქვენი ნაყოფი.

ღვთის წინაშე თქვენთვის ვლოცულობ, რათა დაგიცვათ და თქვენი ცოცხალი ნაყოფი არ შეიცვალოს, პირიქით, თქვენთან უფრო მეტად ააღორძინოს თქვენი მადლი, სიხარული, ძმამთმოყვარება, გლახაკთმოწყალება თქვენს კეთილ ცხოვრებაში და თქვენი სიმართლის ყველა კეთილი ნაყოფი, ვიდრე ამ ქვეყნიდან გავალთ და შევხვდებით ურთიერთს, სადაც არ არის მწუხარება, ჭირი, არამედ სიხარული, მხიარულება, დიდება, ნათელი და მარადიული შვებაა, სამოთხის ნაყოფია და პირმშოთა შესაკრებელი, რომელიც აღწერილია ცაში და ყველა დანაპირები, რომელთა მოთხრობაც ვერ ძალმიძს.

ახლა კი ეს თქვენ იმ სიყვარულის გამო მოგწერეთ, რომელიც თქვენ მიმართ მაქვს, რათა ნუგეში ეცეს თქვენს გულს. ბევრი რამაა, რომლის მოწერაც თქვენთვის მინდა, მიეცი მიზეზი ბრძენს და უბრძნესი იქნება. ღმერთმა დაგიცვათ თქვენ ამ ჟამს მოწვენილი ბოროტებისგან, რათა იყოთ ყოველმხრივ ცოცხლები: ხორციელად, სულიერად და სამშვიინველით. მოგეცეთ ყველაფრის შეცნობის [უნარი], რათა განერიდოთ ამ ჟამის საცდურს.

უფალმა გაგაძლიეროთ, საყვარელო ძმებო! ყველა მკვდარი ნაყოფი ადამიანს დიდებისმოყვარეობისა და ხორციელი განცხრომის გამო მიეცემა.

წმინდა ამონასივე მეთხუთმეტე

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, როგორც ხედავ, გწამს, რადგან ჩვენი უფალი, იესო ქრისტე, ღმერთია, მისი სიმდიდრე და დიდება არ გამოითქმება, ის ჩვენი მაგალითი გახდა, რათა მის კვალს შევუდგეთ. მან ძალიან დაიმდაბლა თავი, რადგან მონის სახე მიიღო, დიდი

სიგლახაკე და სირცხვილი შეურაცხყო, ბევრი შეურაცხყოფა დაითმინა, ის, როგორც ცხვარი, სასიკვდილოდ მიიყვანეს, როგორც მსხვერპლი თავისი მპარსველის წინაშე უხმოდ იდგა, ხმას არ იღებდა. მან თავისი სიმდაბლით სასჯელი, სიკვდილი და მრავალი შეურაცხყოფა ჩვენთვის დაითმინა, რათა ჩვენც მისი მცნების ან ჩვენი ცოდვების გამო თუკი ვინმე სამართლიანად თუ უსამართლოდ შეგვაგინებს, ან შეურაცხვეყოფს, ან ჩვენზე ძვირს იტყვის და მეტიც, სასიკვდილოდ მიგვეგვრის, როგორც დასაკლავ ცხვარს და პირუტყვს, სიტყვაც კი არ მივუგოთ, უფრო მეტიც, თუ შევძლებთ, მისთვის ვილოცოთ, და თუ არა - დავიდუმოთ და სიმდაბლით მოვითმინოთ.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, როგორც დიდ შესაძენს და სულის ცხოვნებას, შეურაცხყოფას, გინებას, დამცირებას, რომელიც უფლის გამო ჩვენზე დაიშვება; გჯეროდეთ ჩემი, მოითმინეთ გულმოდგინედ, შეძრწუნების გარეშე და თქვით: ღირსი ვარ ამის, უფრო მეტადაც უნდა ვვინებულებიყავი ჩემი ცოდვების გამო და ყოველმხრივ ღირსი ვიქნები უფლის გამო ვნების დათმენისა.

ვინ უწყის, მცირე [განსაცდელის] სანაცვლოდ ღირსი გავხდეთ უფლის ვნებათა მიბადვისა. მრავალჯერ გაიხსენე შენი მტანჯველების მიერ მოწეული ჭირი და ჩათვალე, რომ ამით დიდი სიმდიდრე შეიძინე, ილოცე ყველასთვის ნამდვილი გულით და ნუ გაიხსენებ სხვათა ძვირს.

თუკი ვინმე პატივს მოგაგებს, ანდა შეგაქებს, გულკლებული იყავი და ილოცე, რათა თავი ამ სიმძიმისგან დაიცვა, ასე შეხედე ყველა საქმეს, რომელსაც დიდება და უფროსობა ახლავს, შეხედე, როგორც მცირეს, ღმერთს მართალი და წრფელი გულით შეევედრე, რათა ეს ყოველივე განგაშოროს. ეს გაიხსენე და თქვი, რომ უღირსი ხარ და უძლური. იყავი თავმდაბალი ყოველგვარი საქმიანობისას, ყოველივე გამოიძიე მოკრძალებით, იგლოვე საკუთარი თავი, იყავი მდაბალი და უჩინარი, თითქოს მოკვდი. მოკვდი ამ სოფლისათვის, იფიქრე, რომ ყველაზე უარესი და უცოდვილესი ხარ.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, დაიცავი იგი ისე, როგორც დიდი სიკვდილისაგან, სულის დამღუპველი მარადიული სატანჯველისაგან. სრულიად მოიძულე ყოველგვარი დიდებისმოყვარეობა, პატივი და ადამიანებისგან შექების სურვილი; ნუ გეგონება, რომ ვინმეზე უკეთესი ხარ, ანდა რამე სათნოება აღგისრულებია, ანდა ვინმეს თანასწორი ხარ, მოიშორე ყოველგვარი საძაგელი სურვილი და კაცობრივი ვნებები, განერიდე ისეთ განცდებს, რომლებიც არაფრის მომცემია, გინდ შეხება სხვის სხეულზე, არ ეურჩო სხვას თუნდაც მცირედი სიტყვით, ნუ იხმევ უვარგის საჭმელს, თუნდაც მცირედს, როცა თავს ამ მცირე რამისგან დაიცავ და განერიდე, უფრო მძიმე განსაცდელში არ ჩავარდები და მთლიანად არ გამოიცდები.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს შენი ცოდვების გამო, სულის ცხოვნებას და ცათა სასუფეველს ესწრაფე, რომელიც ნამდვილად შესაძენია, ყოველივე გამოიძიე და მთელი შენი ძალით მისკენ ისწრაფე. შენი ფიქრებით, სიტყვით, საქმით და შესამოსლით ყველა საქმიანობისას თავი დაიმდაბლე, საკუთარი თავი მიიჩნე, როგორც სკორე, ნაცარი და ყველაზე უარესი, ყველას დაემონე. ასეთად მიგაჩნდეს შენი თავი მთელი გულით. ყველა ქრისტიანზე უკანასკნელად, გენიის ღირსად იგრძენი თავი, თითქოს შორს ხარ ყოველგვარი სათნოებისგან და თქვი: ქრისტიანთა შორის არასწორად მომიხსენებენ, რადგან მე ვარ მიწა, ნაცარი და ძონძი სისხლმდინარისა, ასეთია ჩემი სიმართლე, თუ ღმერთი არ შემიწყალებს, ღირსი ვარ მარადიული სატანჯველისა უფრო მეტად, ვიდრე ცხოვნებისა. თუკი მას სურს ჩემი გამართლება, არ შემიძლია ზემოთ ახედვა, რადგან სავსე ვარ გინებით.

იყოს შენი სული მგლოვარე და დაღონებული, ოხვრით წარმოთქვი შენს გონებაში: ყოველდღე მოველოდები ჩემს სიკვდილს და ვარ მოვალე, ჩემს თავს ვხედავ მარადიულ სატანჯველში. მთელი გულით შევდაღადებ ღმერთს, რათა მოიღოს მრავალი წყალობა და გაამარჯვებინოს ჩემს სულს. შენი თავი ისე განიცადე, როგორც ცეცხლისთვის განკუთვნილი. იყავი დაღლილი მწუხარებისა და ოხვრისგან, ნუ იქნები მხიარული, ნუ გაიცინებ, პირიქით,

შენი სიცილი გლოვით შეცვალე, სიხარული - მწუხარებით, იარე და თქვი: ჩემი სული აივსო ტკივილით.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, შენი თავი ყველა ქრისტიანზე უკანასკნელად მიიჩნიე, ცეცხლის ღირსად და უცოდვილესად, იყავი მართალი გულით და სულით მგლოვარე და დაიმდაბლე სული ოხვრით. ჩათვალე, რომ ხარ უღირსი და უსწავლელი, იყავი მუდამ მდუმარე, ნურაფერს იტყვი, მცირედსაც კი.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, გამუდმებით თვალწინ გედგას მარადიული ცეცხლი და საუკუნო სატანჯველი, ყოველთვის გახსოვდეს ისინი, რომლებიც იქ იტანჯებიან, მონად მიიჩნიე საკუთარი თავი უფრო მეტად, ვიდრე ღირსად ცხოვნებისა და თქვი ასე: თუკი ინებებს ღმერთი, განმიკითხავს, არ ძალმიძს ზემოთ ახედვა, რადგან სავსე ვარ უწმინდურებით.

ახლა კი, როგორც ამდენი ტანჯვის მოვალეს, დაგიდგა ჟამი ღვთის მიმართ სინანულისა, რათა გამოისყიდო თავი დიდი სატანჯველისგან; ჩათვალე, რომ მოკვდი, გევალებო, რომ იქ იყო გონებით, რათა წინასწარ განიცადო მათი დიდი მწუხარება. გამოიძიე თავი შენი ღვთის ნების შესაბამისად შრომასა და ტკივილში, შეუსვენებლივ დაკავდი ხელსაქმით, აღასრულე სხვა მრავალი რამ ღვთისათვის სიმდაბლით, ნამდვილად დაემონე ყველას და ჩათვალე საკუთარი თავი ყველაზე ნაკლებად. შენი სულით, განუწყვეტელი ტირილითა და კბილთა ღრჭენით კი იზრუნე, რომ დაეუფლო შენს თავს, რამდენსაც შეძლებ, გამუდმებით წმინდა წერილში ივარჯიშე, წვრთნის შემდეგ მცირედი იოხრე და განცალკევებით ილოცე. შენი გონება გამუდმებით ასე იყოს, თითქოს განუწყვეტლივ კანონს აღასრულებდე, რათა ეშმაკებმა არ იპოვონ მასში ადგილი მავნებელი ფიქრების დასათესად.

გაუფრთხილდი შენს თავს და გწამდეს, რომ ჩვენი უფალი ჩვენთვის მოკვდა, აღდგა და თავისი სისხლით გამოგვისყიდა, რათა შენ არა მხოლოდ შენი თავისთვის იცოცხლო, არამედ უფლისთვის, რომელიც ჩვენთვის მოკვდა და გჯეროდეს, რომ მარადიულად მისი თვალების წინ დგახარ, ის შენს გულს ხედავს, რადგან შენთანაა და შენ წინაშეა, გარეგნულადაც და გონებითაც მასთან იყავი, როგორც უკვე მომკვდარი და ამ სოფლიდან გასული. ასე იდექი მის წინ.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, მიემსგავსე ამონას, შიშით, ძრწოლითა და დიდი სიმდაბლით რომ დგას თავისი ბატონის წინაშე და მიჰყვება მას. როგორც ის არ უპირისპირდება პატრონს და ემორჩილება მის ნებას, ასევე შენც, იდეგები თუ იჯდეები, მარტო იქნები თუ სხვასთან ერთად, გამუდმებით ღვთის წინაშე იყავი, მოცული შიშითა და ძრწოლით მთელი შენი სულითა და ხორციით. როგორც შეძლებ, გაიწმინდე შენი გონება ბოროტი აზრებისა და ყოველგვარი გმობისგან, შეიძინე სიმდაბლე, სიმშვიდე, შიში, დუმილი, სიბრძნე, რადგან ღმერთი გხედავს და ნუ გექნება კადნიერება ზემოთ ახედვისა შენი ცოდვების გამო.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, როგორც ღვთის წინ მყოფი და მდგომი, გამუდმებით დაემორჩილე მის ნებას სიკვდილის ჟამსაც და სიცოცხლეშიც, ჭირში მყოფი გულმოდგინებითა და რწმენით ყოველთვის მოელოდე დიდ და საშინელ განსაცდელსა და უბედურებას, სატანჯველსა და საშინელ სიკვდილს.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, რაც კი შეგემთხვა საქმით თუ სიტყვით, გინდ ცნობით, ნუ ესწრაფი ყოველთვის შენს ნებას, ნურც შენს განსვენებას. ღვთის ნება გამოიძიე და ის აღასრულე, გული მისკენ უნდა გიწევდეს. თუნდაც ფიქრობდე, რომ ჭირი ახლავს მას, რადგან უფლის მცნებები მარადიული ცხოვრებაა.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, როგორც ღვთის წინ მდგომი და გამუდმებით მის წინ მყოფი, მისი ნების გარეშე, ნურაფერს მოიმოქმედებ, მცირე რამესაც კი, რაც გინდა, რომ ჰყო, სიტყვით თუ საქმით, გინდა ვინმესთან წასვლით, გინდა რამის ჭამითა თუ დაღევით, გინდა დაძინებით, გინდა რომელიმე საქმით, რომელიც გინდა, რომ გააკეთო, რათა პირველად გამოიცადო, თუკი ღვთის ნება იქნება და ასე აღიარო ღვთის წინაშე მიზეზი, რის გაკეთებაც გინდა და მაშინ გააკეთე, როგორც შეეფერება ღვთის წინაშე მდგომს, რათა შენი ყოველი

სიტყვით და საქმით აღსარება წრმოთქვა უფლის წინაშე, გიყვარდეს და გულმოდგინე იყავი ღვთისა.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს. გახსოვდეს, რომ დაწერილია: როცა ამ ყველაფერს მოიმოქმედებთ, თქვით: მონები ვართ გამოუყენებელი, რის გაკეთებაც შეგვეძლო, ვყავით. რა საქმესაც უნდა აკეთებდე ღმერთისთვის, აღასრულე არა როგორც საფასურის სანაცვლოდ, არამედ მთელი სიმდაბლით, როგორც ნამდვილად გამოუყენებელი მონა, მრავალი ვალის მქონე და თუნდაც ბევრი იღვაწო, ჩათვალე ყოველთვის, რომ ბევრი რამ დააკელი, სიზარმაცის გამო ბევრი რამ შეჰმატე შენს ცოდვებს, რადგან გახსოვდეს, რომელმაც იცოდეს კეთილი საქმე და არ აღასრულოს, ცოდვაა. დაინახე შენი თავი ცოდვებში მყოფი, როგორ დააკლდი ღვთის მცნებებს მათ გამო, მწუხარე თვალებით შეხედე ღმერთს, გულმოდგინედ და გამუდმებით ევედრე, რათა წყალობა მოიღოს და თავისი კაცთმოყვარებით მოგიტეოს უსჯულოება და შეგიწყალოს.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, თუკი ვინმე შეგაწუხებს რომელიმე საქმის გამო და დამწუხრდები, ან გულით გაწყრები, დადუმდი, უწესოდ ნურაფერს იტყვი, სანამ ლოცვით არ დამშვიდდება შენი გული და ამის შემდეგ შეევედრე შენს ძმას. თუკი საჭიროდ ჩათვლი, ამხილე იგი; თუ ნახავ, რომ განრისხებულია, დამშვიდების გარეშე ნურაფერს ეტყვი, რათა კიდევ უფრო არ გაბრაზდეს; როდესაც ნახავ, რომ ორივე დამშვიდდით, მხოლოდ მაშინ უთხარი, და თანაც უთხარი არა მხილებით, არამედ სიმდაბლითა და სიყვარულით, სიტყვა მრისხანებით არ წარმოთქვა, შენი ბაგით იშრომე და ყოველმხრივ იღვაწე, იღვაწე შიშით და გჯეროდეს, რომ ღვთის წინაშე ხარ, რომელიც გამუდმებით ხედავს შენს გულს, ყოველთვის ასე იყავი და გეშინოდეს, და იცოდე, რომ მისი დიდების გვერდით დაუმსახურებლად ხარ. და რომ ხარ არაარსი, მიწა, ნაცარი, სიბოროტე და მატლი.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, გინდ იდგე, გინდ იჯდე, რასაც არ უნდა აკეთებდე, გინდ მარტო იყო, გინდ სხვებთან ერთად, შეამზადე შენი თავი და შეაგონე, რომ დროა ღვთის წინაშე წარდგომისა, რომ ხარ ძალიან ცოდვილი, იყავი შიშით მოცული და მძრწოლვარე სულითა და სხეულით, გაიწმინდე შენი გონება ბილწი გულისთქმებისა და ყოველგვარი გმობისაგან, იყავი თავმდაბალი, მშვიდი და მორცხვი, მორიდებული. თავი ისე გეჭიროს, თითქოს ღმერთი გხედავს. ნუ იქნები კადნიერი, ნუ გექნება სურვილი ზემოთ ახედვისა, ნუ იქნება შენი სახე ამპარტავანი, მრისხანე და თავხედი, არამედ იყავი მშვიდი და მორიდებული, რათა არ გეუფლოს მრისხანება და აღშფოთება, რადგან ღმერთი ხედავს შენს ყოველგვარ აღძრვას.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, გწამდეს, რომ ჩვენი მდიდარი უფალი ჩვენთვის დაგლახაკდა, ის ჩვენთვის მოკვდა და გაცოცხლდა, მან თავისი სისხლით გამოგვისყიდა, რათა შენც, როგორც სასყიდლით გამოსყიდულმა, შენით კი არ იცოცხლო, არამედ უფლის მიერ. იყავი მისი მონა და ისე აღასრულე ყოველი, როგორც მშვიდი ცხვარი წინააღმდეგომის გარეშე დამორჩილებული თავის ბატონს, ასე დაემორჩილე ღმერთს. იყავი სრულიად მკვდარი ადამიანურ სიამეთა მიმართ, ნუ მიენდობი შენს ნებას, შენი ნება და წადილი ღვთისთვის სათნო რომ იყოს, ნუ მიიჩნევ, რომ თავისუფალი ხარ. ძალაუფლებასაც რომ ფლობდე, მაინც თქვი: ღმერთის მონა ვარ და ვალდებული ვარ, დავემორჩლო ღვთის ნებას და მას შევუდგე.

დაიცავი საკუთარი თავი, დროდადრო მოელოდე განსაცდელს, სიკვდილს, ჭირსა და ვნებას, დაითმინე ისინი მონდომებით და ჭმუნვის გარეშე და გაიაზრე, რომ მრავალი ჭირის დათმენით გვმართებს ღვთის სასუფეველში შესვლა.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, როგორც გამუდმებით ღვთის წინაშე მყოფი. რაც არ უნდა შეგემთხვეს სიტყვით, საქმით თუ გონებით, ნუ ეძიებ შენს ნებას, არამედ ღვთის ჭეშმარიტი ნება გამოიძიე. ღვაწლში ყოფნა ღვთის ჭეშმარიტ სასუფეველად და ცხოვრების გვირგვინად შერაცხე, მოითმინე და და გჯეროდეს, რომ რასაც მთელი გულით გააკეთებ, უმჯობესია ყოველგვარ ადამიანურ სურვილზე, რადგან უფლის მცნებები მარადიული ცხოვრებაა და რომლებიც მას ეძიებენ, მიიღებენ ყოველ სიკეთეს.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, როგორც მუდამ ღვთის წინ მყოფმა, მისი ნების გარეშე არაფერი ადასრულო სიტყვით თუ მცირედი საქმით, თუ ვინმესთან მისვლით, გინდ რაიმე შემთხვევით, ჭამისას, სმისას, დაძინებისას გინდ სხვა რამე საქმის კეთებისას, რათა თავდაპირველად გამოიძიო. თუკი საჭიროა და სამართლიანია, ღვთის ნებაა. ასე უნდა აღიარო ღვთის წინაშე მიზეზი იმ სიტყვისა თუ საქმისა, რომლის გაკეთებაც გსურს, და ამის შემდეგ უნდა გააკეთო, როგორც შეეფერება ღვთის წინაშე მყოფს, ადასრულე დიდი შიშითა და კრძალვით, რათა ასე მიუახლოვდე ღმერთს და იყო მისი თანამზრახველი ყოველი ქმედებისას, მის წინაშე აღიარე ყოველი. თუ შეატყობ შენს თავს, რომ რამე ადასრულე, ყოველივე სამართლიანად მოიმოქმედე. იგლოვე და დამწუხრებული იყავი, შეინანე ღვთის წინაშე და ილოცე გასამარჯვებლად. ასე შენს თავს განიკითხავ, მოუფრთხილდები და ადვილად არ შეცდები.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, როგორც გამუდმებით ღვთის წინაშე მდგომი, არავისგან გინდოდეს არაფრის მიღება, არამედ მხოლოდ მისგან სარწმუნოებით. შეევედრე ღმერთს, რათა მოგცეს საჭირო მისი ნების შესაბამისად, რასაც მოგმადლებს, გამუდმებით მადლობელი იყავი, მიიჩნე, როგორც მისგან მოცემული. თუ რაიმე გაკლდება, გულს ნუ გაიტეხ, ნუ იშფოთებ, არამედ გულმოდგინედ მოითმინე და შეძრწუნების გარეშე თქვი: მრავალი ჭირის ღირსი ვარ ჩემი ცოდვების გამო, ხოლო თუკი ღმერთს ენდომება ჩემი შეწყალება, შეუძლია მცირედის ჩემთვის მოცემა და განკურნება. ასე შეევედრე ღმერთს, რათა მან მოგცეს ყოველი, რაც გესაჭიროება.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, რათა სრულიად არავისგან არაფერი მიიღო, არამედ დაიჯერე, რომ ყველაფერი ღმერთმა მოგმადლა და როცა დაინახავ, რომ ყველაფერი სიმართლის ნაყოფით ხდება, მთელი სიმართლით და სიყვარულით მიიღე; ხოლო თუ ნახავ, რომ უსამართლოდ და მზაკვრულად იქნება, მოიშორე და თქვი, რომ ჯობს მცირედი ნაწილი ღვთის შიშით, ვიდრე მრავალი ნაყოფი უსამართლოდ.

გაუფრთხილდი საკუთარ თავს, შენთვის შეინახე როგორც დიდი ღვაწლი და სიმხნევე. ყოველთვის ჩუმად იყავი, რათა მოგცეს ღმერთმა უნარი ღვაწლის დაფარვისა. საერთოდ, ნურაფერს იტყვი, მცირესაც კი. ვიდრე ადამიანს რამეს ეტყვი, თუ რა არის ეს ან ის, ჯერ თავად გამოიძიე, რა არის ღვთისთვის უმჯობესი, შესაფერისი და დუმილზე უკეთესი. ასე აღიარე ღმერთის მიზეზით იმ სიტყვის ძალა, რომლის თქმაც გსურს და მაშინ, როგორც ღვთის ნებას, ემსახურები. გახსენი შენი პირი ღვთის სიტყვის თქმისას, ცოტას იტყვი თუ ბევრს, როგორც წესია, ღვთის წინაშე შიშით და კრძალვით, მთელი სიმდაბლით და სიმშვიდით ბრძნულად წარმოთქვი, შენი ენა გამუდმებით დაიმორჩილე და სიტყვა პატივით იპყარი. თუკი ვინმეს შეხვდები, ერთხელ ან ორჯერ უთხარი სიტყვა სიყვარულისთვის და შემდეგ გაჩუმდი. და თუ ვინმე რამეს გეტყვის, მხოლოდ საჭირო მიუგე, მეტს ნურაფერს ეტყვი.

დაიცავი შენი თავი ჭეშმარიტად და როგორც მარხულობ სიძვისაგან თავის დასაცავად, ასევე იმარხულე შეხედვისა და მოსმენის გულისთქმებისგან, მეტყველებისა და შეხებისაგან, რათა თვალთ მუდამ მხოლოდ შენს თავსა და საქმეებს ხედავდე. ნურავის შეხედავ და დააკვირდები მყისვე, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა და შესაფერისი. ქალს და ლამაზ ახალგაზრდას კი საერთოდ ნუ შეხედავ უკიდურესი საჭიროების გარეშე. ნუ მოუსმენ ვინმეს სხვაზე მვირის თქმისას, ნურც უსარგებლო საუბარს მიაპყრობ ყურს, შენი ბაგეები დაიდუმე და, საერთოდ, ნურაფერს იტყვი, ნურც ნურაფერს შეეხები, უფრო მეტად სხვის სხეულს, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

წმინდა ამონასივე მეთექვსმეტე სიმშვიდისათვის, რომლებიც ახალშემონაზვნებულები არიან

პირველ ყოვლისა, საჭიროა ჩვენთვის სიმდაბლე, მზად ვართ ყველა სიტყვისთვის, რომელიც გავიგეთ და უნდა ვთქვათ: მაპატიეთ, რადგან სიმდაბლით ყველა ძალა მტრისა განქარდება. ნუ ჩათვლი შენს თავს ყველა საქმის მოქმედად, რათა შეუძრწუნებელი იყოს შენი გონება. მწუხარე იყავი შენი ცოდვების გამო, ხოლო მხიარული - უცხო ძმებთან, რათა უფლის შიშმა შენში დაიმკვიდროს.

თუკი გზად ძმებთან ერთად მიდიხარ, ცოტა ხნით მათ გამოორდი, რათა დადუმდე, ნუ გაგიტაცებს აქეთ და იქით ყურება, არამედ იგალობე შენს გულში, ან ევედრე ღმერთს, სად დადგე. კადნიერი ნუ ხარ, არამედ ყველაფერში თავმდაბალი იყავი. წინ რაც გიდევეს, ის შეჭამე, როგორც იძულებით. თუ ჭაბუკი ხარ, ნუ იკადრებ მაგიდიდან რაიმეს აღებას დასალევად, ნუ შესცქერი მეგობარს პირში ჭამის დროს. რომ დაწვები, ნუ შეიმოსები სხვების თანდასწრებით, აიძულე შენს თავს და ილოცე დიდხანს დაწოლამდე.

თუკი ძალიან დაიღლები და ფეხებზე ცოტაოდენი ზეთის ცხებას მოინდომებ, იცხე, ხოლო სხვისი სხეულის გაშიშვლებისა გრცხვენოდეს, სხვის სხეულზე ზეთის ცხების ნებას ნუ მისცემ შენს თავს, უძღურებისა და საჭიროების გარდა, თუკი ვინმე უცხო მოვა შენს სენაკში, ფეხებზე ზეთი აცხე და უთხარი: სიყვარულით გააკეთე, აილე ზეთი და ფეხებზე იცხე. თუკი არ ენდომება, შეეშვი და დაისვენოს. მაგიდასთან ჯდომის დროს, თუკი ახალგაზრდა ხარ, ნუ გაბედავ ვინმესთან თქმას: ჭამე! არამედ გაიხსენე შენი ცოდვები, რათა მაძღრივ არ ჭამო, შენ წინ რაც დევეს, ის შეჭამე. შენმა ტანისამოსმა უნდა დაფაროს შენი ფეხები, მუხლისთავები შეტყუპებული უნდა გქონდეს. ჭამის დროს ნუ გაგიტაცებს აქეთ-იქით ყურება, ამაოდ ნუ ისაუბრებ, ნუ შეეხები მაგიდაზე ნურაფერს, სანამ პირველად არ იტყვი: მაკურთხე!

წყლის დაღვევისას ხორხიდან ნუ ამოუშვებ ხმას უცოდინარივით, ძმებთან ერთად ჯდომისას თუკი ნერწყვი მოგადგება, მათ წინაშე ნუ გადმონერწყვავ, არამედ გარეთ გადი და გადმონერწყვე. თუკი მოქნარება ანდა ხველა შეგაწუხებს, ბაგეები მოკუმე, რათა არ იხმაურო და არ ამოაბოყინო, ხმას საერთოდ ნუ ამოუშვებ.

უნებლიე სიცილის დროს ხმამაღლა ნუ გაიცინებ. იკმარე ცოტაოდენი გაღიმება იძულებით. სურვილი ნუ შეგიპყრობს, როცა შენი მეგობრის შესამოსელს, გინდ კუნკულს, გინდ სარტყელს, ან სამხრეებს დაინახავ, ანდა რაიმე უმცირესს, ნუ მოგინდება, რომ მისი მსგავსი გახდე.

თუკი წიგნს შეიძენ, ნუ შეამკობ ყდით, რადგან სულისთვის სარგებლის მომტანი არ არის. თუკი რაიმე საქმის აღსრულებისას შეცდები, ნუ უარყოფ სირცხვილის გამო და შესცოდავ, არამედ სინანულით შესთხოვე უფალს და თქვი: მაპატიე - და დაისვენებ.

თუკი მრისხანებით წარმოთქმულ სიტყვას ანდა გინებას მოისმენ, ნუ შეეპასუხები, არამედ სინანულით შესთხოვე: მაპატიე - და დაისვენებ, ნაცვლად მრისხანებისა. თუკი ვინმე გაგიბრაზდება და გეტყვის: ასე რატომ მოიქეცი? ნუ აღშფოთდები, არამედ დაუყვავ და უთხარი: მაპატიე, რომც იცოდე ან არ იცოდე საქმის ვითარება, რადგან ესაა წარმატება ახალგაზრდებისა. და წარმატე და ადიდე ერთარსება სამება: მამა, ძე და სულიწმიდა, ახლა და მარადიულად. ამინ.

ამონას სიტყუანი - ხელნაწერები და რამდენიმე ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტი

ქრისტიანული მონასტიციზმის გასაცნობად საინტერესო მასალებს წარმოადგენენ მონასტრის ტიპიკონი, წინამძღვრის ანდერძი, ბოძების სიგელი, წერილობით გაცემული განკარგულებები, მონასტრებს შორის მიმოწერილი დოკუმენტები, კანონიკური ხასიათის კრებულები, ზოგადად, სამონასტრო მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის წყაროები.

ქართულმა ნათარგმნმა სასულიერო მწერლობამ შემოგვინახა კრებული, რომელსაც, ერთი ათონური ხელნაწერის (977 წ.) მიხედვით, „სამოთხე“ ეწოდება. კრებულმა ასეთი სახელწოდება მასში მოთავსებული ერთი თხზულების სათაურის მიხედვით მიიღო: „ამას წიგნსა სამოთხე ეწოდების, რომელსა შინა წერილ არიან საქმენი და განგებანი წმიდათა მამათანი და ქრისტესმოყვარე დედათანი, რომელი აუწყებს ყოველთა სათნოებათა, სარგებელად კაცთა და ბოროტის მოქმედათვსცა, რომელთა არა ეშინოდა ღმრთისა“ (A 1142). ეს სულისმარგებელი კრებული თითქმის იმავე შემადგენლობით გვხვდება სხვა ხელნაწერებშიც, თუმცა აქ იგი უკვე „სწავლანის“ სახელით მოიხსენიება. აღნიშნული კრებული 1955 წელს გამოსცა ილია აბულაძემ¹. მასში თავმოყრილია ისეთი დიდი მამების სწავლებები, როგორებიც არიან: იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, მარტვილი მონაზონი, ეფრემ ასური, საჰაკ მონაზონი, ამონა მონაზონი, მაკარი დიდი და სხვ.

ჩვენი კვლევის სფეროდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, ამ კრებულში დაცული ღირსი ამონას ოთხი სიტყვა ამ წმინდა მამის დღემდე გამოუცემელ ეპისტოლეებთან ერთად წარმოგვედგინა. საამისოდ ხელახლა გავეცანით წმ. ამონას დასახელებულ სიტყვათა შემცველ ნუსხებს, მათ შორის ისეთსაც, რომელიც ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ „მამათა სწავლანში“ არ არის გათვალისწინებული. ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილ ტექსტთან ერთად „ამონას სიტყვანი“ თავისუფალი თარგმნის პრინციპით გადმოვიღეთ თანამედროვე ქართულ ენაზე და წარმოვადგენთ საკითხის ირგვლივ ჩვენს დაკვირვებას.

ტექსტზე მუშაობისას ძირითად ნუსხად, უკვე გამოცემული კრიტიკული ტექსტისგან განსხვავებით, პალესტინური ხელნაწერი H 1662 ავირჩიეთ. ენობრივი თვალსაზრისით იგი ახლოს დგას ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილ ამონას ეპისტოლეთა ქართულ რედაქციასთან, H 1662 ჩვენ ხელთ არსებულ ნუსხათაგან ქრონოლოგიურად ყველაზე ძველია (1040 წ.). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისევე, როგორც აღნიშნული ეპისტოლეები, ეს ხელნაწერიც იმავე არეალშია შექმნილი და მათ შორის ბევრი საერთო დაიძებნა. ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი ეტრატია, ცნობილია ხელნაწერის გადამწერი გრიგოლ ხარიტონწმიდელი (273V). ცნობილია გადამწერის ადგილიც - პალავრა (274 V), 1040 წ. როგორც შევნიშნეთ, მასში შედის ეკლესიის მამების - იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, ეფრემ ასურის, აბრაჰამ მონაზონისა და სხვათა სწავლანი. დაბოლოს, ამონას სიტყუანი: „ოთხნი საქმენი არიანი... (272r-73v). ტექსტს წინ უძღვის გადამწერის წინასიტყვაობა, რომელიც დაზიანებულია ან გადარეცხილია. იკითხება მხოლოდ ცალკეული სიტყვები (1r).

ხელნაწერს ახლავს აგრეთვე ფრიად საყურადღებო ანდერძი გადამწერლისა და შემწირველისა.

ანდერძი გადამწერლისა: ქრისტე, შეიწყალე მონაჲ შენი მღდელი გრიგოლი, ამინ. 373 v.

2. სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა და მადლითა აღდგომისადათა და მეოხებითა ღმრთისმშობლისადათა და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატრონისა ჯუარისადათა, მეოხებითა წმიდათა მთავარანგელოზთადათა და სერაზინ-ქერობინთადათა და ყოველთა წმიდათა ანგელოზთა შენთადათა და წმიდისა იოანე ნათლისმცემელისადათა და

¹ აბულაძე 1955.

წმიდათა დიდებულთა მოციქულთადათა და წმიდათა მღვდელთმოდლუართადათა და მოწამეთადათა და წმიდისა სტეფანესითა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ხარიტონ მოწამისა და მოლუაწისადათა და ყოველთა წმიდათა ნეტართა მამათადათა მე, გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან გრიგოლ ხარიტონწმიდელმან, მოვიგე წმიდად ესე წიგნი სარგებელად სულისა ჩემისა და სალოცველად სულისა მშობელთა და მოძლუართა ჩემთასა და ყოველთა მიცვალებულთა ჩუენტასა ძმათა და ყოველთა შემოვედრებულთა ჩუენტასა. აწ ღმობიერად გვედრები, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდით წმიდასა ამას სულთა განმანათლებელსა წიგნსა, მოიკსენნენით სულნი ჩუენნი წმიდასა ლოცვასა თქუენსა, რათა წმიდითა ლოცვითა თქუენითა ვპოოთ ლხინებად დღესა მას შინა საშინელსა, ოდეს მიაგებდეს უფალი და ღმერთი ჩუენი იესო ქრისტე კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ და თქუენცა უფალმან დაგიცვენინ, მკითხველნი და მსმენელნი და ყოველნი ერთობით, ამინ!

დაიწერა წმიდად ესე წიგნი საყოფელსა შინა წმიდისა მამისა ხარიტონისა, პალავრას, ძუელსა მონასტერსა, ჳელითა ფრიად ცოდვილისადათა, ქრონიკონსა სდ. ჩანს ჩხრეკილი, დაისაჯების გლახ მჩხრაკალი (!). ჰოი, ულხინე, უფალო სახიერო, დაკლებისათუის და უცბად ჩხრეკისათუის შემინდევით, ყოველთა დაგაჯეროს ღმერთმან. 273v -274r.

3. ანდერძი (შემწირველისა): სახელითა ღმრთისადათა მე, ბერმან გრიგოლ, შევწირე წმიდად ესე წიგნი, თქუმული წმიდისა იოანე ოქროპირისა, მონასტერსა დედათასა დერტავს სალოცველად სულისა ჩემისა, მშობელთა და შვილთა სულიერთა და ყოველთა თვსთა ჩემთა და ვინ რითაცა მიზეზითა იკადროს და გამოაჯუას მუნით, ანუ ერთმანერთსა დაუყენონ, კანონი არს მას ზედა შეუნდობელი ღმრთისაგან და ჩუენგან მიუკუუნისამდე, ამინ. და ვინ კეთილად იმსახუროს, ჯუარი აქუს და კურთხევაა“. 274 r.

ხელნაწერს ახლავს მოგვიანო ხანის (XV –XVI სს.) მინაწერები მხედრულით: ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი რუთი და მელქიზედეგ და მისნი შვილნი უცოცხლენ.

ასევე, მეორე მინაწერი: წიგნი სულთა განმანათლებელი - სწავლა იოანე ოქროპირისა - შევწირეთ მონასტერსა ჯრუჭისასა ჩუენ, გაენათელ მიტროპოლიტმან ბატონიშვილმან იოსებ, ვინცა გამოსწიროს, წმიდისა სამებისაგან შეჩუენებულ იყოს, ჩდე. 269 v. როგორც წინ შევნიშნეთ, ათონური კრებულისგან განსხვავებით, იგი არ მოიხსენიება „სამოთხედ“ და მას ეწოდება „სწავლანი“.

გრიგოლ ხარიტონწმიდელი არის არა მარტო გადამწერი, არამედ ამ ხელნაწერის მომგებელიც. მას ხელნაწერი გადაუწერია წმ. ხარიტონის ძველ მონასტერში, პალავრაში.¹

მეორე ნუსხად A 1142 ხელნაწერი ავირჩიეთ. იგი, მართალია, გადაწერილია უფრო ადრინდელი, 977 წ. დაწერილი, დედნიდან, მაგრამ მისი გადაწერის თარიღი (1915 წ.) იმდენად დაშორებულია დედნის შედგენის თარიღისგან, რომ მან თავისებური გავლენა იქონია ორთოგრაფიაზე. ეს ასკეტიკური კრებული, რომლის პირველი 8 ფურცელი ამოხეულია, შესრულებულია მხედრულით 1915 წ. ათონის ქართველთა მონასტერში, მისი გადამწერია ილია ბანძელი (ფანცულაია). იგი შეიცავს დაახლოებით იმავე თხზულებებს, როგორც პირველი ნუსხა. „ამონადს სიტყუანი“ მოთავსებულია გვ. 316-319. ამის შემდეგ კი იწყება მაკარის შესახებ თხრობა. ხელნაწერს გვ. 330-347-ზე ახლავს მინაწერი: აღწერა ამბა (აბბა) იოვანე, მოძღვარმან სოფრონი (სოფრომი) იერუსალიმელ პატრიარხისამან. აქვე შენიშნულია, თუ რატომ ეწოდება ამ კრებულს „სამოთხე“ და სრულდება შემდეგი სიტყვებით: „საყვარელნო, ხილვაჲ სამოთხისაჲ ზაფხულის სავსე არნ ყოვლითა საწადელითა... გვ. 330- 447. აღნიშნული ხელნაწერის დედანი გადაუწერიათ 977 წელს იოანე-თორნიკეს დავალებით. ჩვენს ხელთ არსებული პირი დედნისა (A 1142) როგორც შევნიშნეთ, განსხვავებულია, რაც ბუნებრივია გადაწერის თარიღის გათვალისწინებით. ეს ხელნაწერი აღვნიშნეთ B ლიტერით. აღნიშნულ კრებულში, რომელშიც

1 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), IV, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1950, შეადგინა ელენე მეტრეველმა, 86-89.

თავმოყრილია წმ. მამათა ქადაგებები, ჩვენ მიერ მოხმობილი მინაწერის თანახმად, ერთ-ერთ ვრცელ თხზულებას ეწოდება „სამოთხე“.¹

მესამე ნუსხად ავირჩიეთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში დაცული ხელნაწერი K 47. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ხელნაწერის მონაცემები არ არის გათვალისწინებული 1955 წელს გამოცემულ „მამათა სწავლანში“ და წინამდებარე შრომაში ვეცადეთ, გვეჩვენებინა ის თავისებურებანი, რომელიც მას ახასიათებს. აღნიშნული ნუსხა თითქმის იმავე შედგენილობისაა, როგორც უკვე განხილული ნუსხები. აქვე შევნიშნავთ, რომ ქუთაისური ხელნაწერი ისევე, როგორც იერუსალიმური, წყდება მაშინ, როდესაც სრულდება მეოთხე საქმე და იწყება კითხვა-მიგებანი. ამის შემდეგ ხელნაწერს 274 r-ზე ნუსხურად დართული აქვს ანდერძ-მინაწერები: „უფალმან მრავალჟამიერ-ყოს წინამძღვარი სვიმეონ და სულიერი მამა ჩვენი მათე, რომლისა ბრძანებითა ვიშრომე და აღვსწერე წიგნი ესე სწავლანი იოანე ოქროპირისნი ყოველთა ადამის ტომთა შორის უცოდვილესმან დიაკონმონაზონმან მაქსიმე და შემოგწირე შენ წმიდის მთავარმოწამის გეორგის მონასტერს, რომელსა ჰრქვან ჯრუჭი, წარსამართებელად მონაზონებისა ჩუენისა და საოხად ცოდვილისა სულისა ჩემისა. წმიდანო მამანო, უკუეთუ ვინმე იკითხვიდეთ, კურთხევით მომიჯსენებდით და ნუ მსწყევთ ცოდვილსა ამას, უკუეთუ გამოწირვა იკადროს ვინმე ამის წიგნისა, შენ აგე მაგიერი პატივი, წმიდაო მთავარმოწამეო გეორგი. აღიწერა და სრულ იქმნა თთვესა აგვისტოსა იბ ქრისტეს აქეთ. ჩღპე“. ამავე გვერდზე გვაქვს მხედრულად შესრულებული მოგვიანო ხანის პაგინაცია: 254 ფურცელი. მომდევნო გვერდზე მხედრულად შესრულებული მინაწერია: ესე იოანე ოქროპირის წიგნი ჯრუჭის მონასტრისა არის. ეკონომი გაბრიილ. ზემოთ კიდევ კი წერია: 24, 8.

როგორც ანდერძიდან ირკვევა, ხელნაწერი (1785 წ.) გადაუწერია დიაკონმონაზონ მაქსიმეს, დამკვეთი ყოფილა მისი სულიერი მამა მათე, რომელსაც შეუწირავს ჯრუჭის წმ. გეორგის სახელობის მონასტრისათვის.² აღნიშნული ხელნაწერი დღეს დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

D ლიტერით აღვნიშნეთ A 56 ხელნაწერი. იგი XVIII ს. კრებულია. ტვიფრული, ტყავ-გადაკრული, თავნაკლული, შესრულებულია ნუსხურად, შავი მეღნით. სათაურები - სინგურით. გადამწერი - ელისე (220v). მისი შედგენილობაც თითქმის ისეთივეა, როგორც წინა სამი ხელნაწერისა. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ მასში ცალკე არ არის გამოყოფილი ამონაღს სიტყვანი, კრებულის ბოლოს არის წარმოდგენილი „სიტყუანი მამათანი შიშისათვს ღმრთისა“ (209 v-220 v). ეს უკანასკნელი თხზულება სხვადასხვა მამის ნათქვამს შეიცავს და აგებულია კითხვა-მიგებაზე. აღნიშნულ მონაკვეთში 212v-215 r-ზე მოვიძიეთ „ამონაღს სიტყვანი“.

ხელნაწერში აღრეულია დ და ა-ს ხმარება.

ნიშანდობლივია, რომ ხელნაწერი მისდევს ოშკის „სამოთხეს“. ახლავს ანდერძები:

იესო ქრისტე, მრავალჟამიერ-ჰყავ ორსავე შინა ცხორებასა საქართველოს პატრიარქი დომენტი, რომელმან აღმაწერინა საფასითა თვისითა წმიდად ესე წიგნი მე, ფრიად ცოდვილსა დიაკონს ელისეს, ვინც კელ მიიღოთ, შენდობაჲ ყავთ...“ 220v.

ასევე სხვა ადგილებში მოხსენიებულია ბერი იოანე და დიაკონი ელისე, პატრიარქი დომენტი.

მინაწერები: ეკუთვნის დიდს მცხეთის სობოროს ჩყნე წელსა.1 r,23r, 24 r...

ასევე მხედრული მინაწერი: „ქართლის, კახეთისა, ალვანთა, შაქ, შემაქ“ 139 r.³⁵

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი:

1 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (აკოლექცია), IV, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1954, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, 179-188.

2 ნიკო ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, K 17.

3 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა(ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციისა), I, ელ. მეტრეველის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973, 154-158.

ა) პირველ (H 1662) და მესამე ხელნაწერში (K (ქუთ.) 47) ამონა წარმოდგენილია მხოლოდ ოთხი სიტყვით, ხოლო ოშკურ (A 1142) და A 56 ხელნაწერებში ამონას ოთხ სიტყვას აგრძელებს კითხვა-მიგება.

ბ) A 56 ხელნაწერი მისდევს ოშკურ „სამოთხეს“, ხოლო K (ქუთ.) 47 - H 1662 ხელნაწერს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ამონას თხზულებები - ეპისტოლეები და „ოთხი სიტყვა“ - თავდაპირველად ერთად ითარგმნა, სავარაუდოდ, საბაწმინდის მონასტერში. მოგვიანებით კი, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, ცალკე შეიქმნა კრებული, სადაც თავი მოუყარეს მსგავსი დანიშნულების მქონე მამათა სულისმარგებელ სწავლებებს, მათ შორის - ამონას ოთხ სიტყვას. როგორც პალესტინურ ხელნაწერზე დართული მინაწერი გვაუწყებს, ამ კრებულის შექმნის მიზანი ადამიანთათვის სულიერი სარგებლის მოტანა, სათნოებათა შემოკრება და ამ გზით განდმრთობის გზის ჩვენებაა. თავისი აქტუალობიდან გამომდინარე, ეს კრებული გავრცელდა როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერ ცენტრში - პალესტინის მწიგნობრულ კერაში, ასევე, ქრისტიანული დასავლეთის სულიერ ცენტრში - ათონზე. რაც შეეხება ქუთაისურ ხელნაწერს და მასზე დართულ ანდერძ-მინაწერებს, იგი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი დიდი მწიგნობარი მამები, მაგალითად, როგორებიც იყვნენ ათონელები, როდესაც ამა თუ იმ ძეგლს თარგმნიდნენ თუ ქმნიდნენ, ერთ პირს თავიანთ სამოღვაწეო ადგილზე ტოვებდნენ, ხოლო მეორეს სამშობლოში, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში, გზავნიდნენ.

რამდენიმე ენობრივი საკითხი

ჩვენ მიერ A ნუსხად არჩეულ იერუსალიმურ ხელნაწერს დანარჩენი სამი ნუსხისგან განარჩევს რამდენიმე თავისებურება:

აღნიშნულ ნუსხაში, დანარჩენი სამი ნუსხისგან განსხვავებით, მესამე და მეოთხე საქმის სახელწოდება სიტყვების ნაცვლად წარმოდგენილია გ და ზ ნუმერაციით.

მაგ.: გ საქმე (273rA). შდრ.: მესამე საქმე (317 B; 273 rC; 213 rD).

ისევე, როგორც ამონას ეპისტოლეთა სინური ნუსხები, აღნიშნულ ხელნაწერშიც ჯ დიფთონგი წარმოდგენილია უი კომპლექსით.

შდრ.,

უდაბნოს დამკვიდრებითა (272rA)	უდაბნოს დამკვიდრებითა (316B)	უდაბნოს დამკვდრებითა (272 vC; 212 vD)
-------------------------------	------------------------------	---------------------------------------

თვს თანდებული პირველ ნუსხაში წარმოდგენილია უის ფორმით, მაშინ, როცა დანარჩენ ნუსხებში მას ცვლის **თვის** ან **თვს** ფორმა.

მაგ.,

არცა განიკითხა განკითხვისათუის (272vA)
არცა განიკითხა განკითხვისათვის (316 B)
არცა განიკითხა განკითხვისათვს (373rC)
არცა განიკითხა განკითხვსთვს (213 rD)

სამივე ნუსხის ტექსტებში ობიექტის მრავლობითობა ასახულია ზმნებში, თუმცა არის შემთხვევა, როცა იგი ქრონოლოგიურად მხოლოდ მოგვიანო ხანის ნუსხაში არის წარმოდგენილი, პირველ სამში კი დაკარგულია.

შდრ.:

მრავალნი სასწაულნი ქმნეს (273rA; 318 B; 213 vD)	მრავალნი სასწაულნი ქმნეს (273 rC)
---	-----------------------------------

B და D ნუსხებში „პირველი საქმის“ შესახებ მსჯელობისას გამოკლებულია მთელი წინდადება: და ყოველი კეთილისა საქმე მისი შეგინებულ არს წინაშე ღმრთისა (316B; 212 vD).

სიტყვები: სასჯელი და სჯა A და C ნუსხებისგან განსხვავებით, B და D ნუსხებში განიცდის დისიმილაციას და გვაქვს საშჯელი და შჯა.

მაგ.:

ყოველი სასჯელი მისცა ძესა (A 273rA; 273vC)	ყოველი საშჯელი მისცა ძესა (317B; 213vD)
--	---

ხელნაწერში ყოფა ზმნა გამოყენებულია სიტყვათქმნადობის მიზნით.

მაგ.: მრავალთაგან ცოდვათა განშორებულ არს კაცთაგან კიდეყოფითა (272 rA, 272 vC ; 316 B; 212vD).

ნუსხებში გვხვდება სიტყვათქმნადობის საინტერესო ნიმუშები, რომლებიც დედნის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული. მაგალითად, გლახაკთმოწყალება, გარემოქცევა და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ არჩეული B ნუსხა, მართალია, გადმოწერილია 977 წ. დათარიღებული ათონური ხელნაწერიდან, მაგრამ იგი თითქმის მთლიანად ცვლის მის ორთოგრაფიას და აახლოვებს იმ ეპოქასთან, როცა ის ითარგმნა (1915 წ.). იგი მთლიანად უგულვებელყოფს ძ კ ჯ ზ ხმარებას და მათ ანაცვლებს ი ვ ხ და ე ბგერებით. ხმოვანფუძიანი სახელები წარმოდგენილია ფუძის სახით და ა.შ. აქვე შევნიშნავთ, რომ თითქმის არცერთ ნუსხაში არ ფიქსირდება ზ. იგი ფიქსირდება სულ სამ ადგილას, ისიც მოგვიანო ხანის ნუსხებში. მაგ.: მარჯუწნე თუალი (213r D); ნუუკუწ აცთუნებს (273B; 273 rC).

ამონადს სიტყუანი ანალიზი

ასკეტური შინაარსის სწავლება „ამონადს სიტყუანი“ ისეთივე პედაგოგიური დანიშნულებისაა, როგორც ამ ღირსი მამის ჩვენს ხელთ არსებული 16 ეპისტოლე. აღნიშნული ძეგლის ავტორი მსჯელობს იმ ოთხი მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოღვაწეს ხელს უშლის, მიაღწიოს უზენაეს მიზანს – განდმრთობას. ღირსი მამის თქმით, ამ ოთხი მდგომარეობიდან თუ რომელიმე ახასიათებს ადამიანს, მის მიერ აღსრულებული სიკეთე უნაყოფოა და მის ლოცვას არ შეიწირავს უფალი: „უკუეთუ ამათგანი ერთიცა იყოს კაცისა თანა, ვერშემძლებელ არს იგი კეთილისა რადსამე საქმედ და არცა შეიწირავს ღმერთი ლოცვასა მისსა“.

დასახელებული „საქმეებიდან“, როგორც თავად უწოდებს ავტორი, პირველი ამპარტავნებაა. სავსებით ბუნებრივია, რომ გამოცდილი სულიერი მწყემსი მას პირველ ადგილს განუკუთვნებს, რადგან, ქრისტიანული მსოფლმხედველობის თანახმად, იგი ყველაზე მძიმე სულიერი მდგომარეობაა. ქრისტიანული მორალი გვასწავლის, რომ „ამპარტავნება და ცუდადმზვავობობა (ცუდმედიდობა) ყველაზე ღრმა, ყველაზე გავრცელებული და დამლუპველი სნეულებებია, და სწორედ ამათგან იღებს სათავეს სულში ბოროტება. ამპარტავნება დედაა ყველა ვნებისა და ცოდვისა, ისე არაფერი განაშორებს ადამიანს ღმერთისგან, როგორც ამპარტავნება“¹. წმინდა იოანე სინელის მიხედვით, ამპარტავანი მონაზონი აღარ საჭიროებს ბრძოლას, რადგან თავად არის ეშმაკი. წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით კი „როგორც ბალი ვერ იხარებს გაუსხლავად, ასევე ვერ გადარჩება ადამიანი, თუ მორჩილებითა და სინანულით არ დაძლევს ამპარტავნებას. ამპარტავანი კაცის სული დიდებისა და აღზევებისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ მის ნაცვლად ჯოჯოხეთის ფსკერზე ეშვება“².

მაკარი დიდის სწავლებით კი ამპარტავნება მრისხანების წინამძღვარია, რომელიც მოღვაწეს დალუპვას უქადის: „ველტოდეთ ამპარტავანებასა, რამეთუ ველურ არს და აცთუნებს სულთა, რამეთუ იგი არს წინამძღუარი გულფიცხლობისა, მოჰგუაროს იგი სულსა კაცისასა, ვიდრემდის ოკერ-ქმნის იგი და შეადრწუნოს იგი, ნუუკუე ეჩუნოს კაცსა ღმრთისასა, რადთა წარიდევნოს იგი და განჯადოს იგი თვსთა მათგან“³.

ღირსი ამონა ამპარტავნების ვნებით შეპყრობილი თავმომწონე ადამიანის მდგომარეობას ასე აღწერს: „ოდეს მოიგონოს კაცმან და თქუას, ვითარმედ კეთილად ცხორებს და განგებად მისი სათნო არს წინაშე ღმრთისა და კაცნი აღეშენებიან დაყუდებითა მისითა და მარხვითა და ვითარმედ მრავალთაგან ცოდვათა განშორებულ არს კაცთაგან კიდევოფითა და უდაბნოს დამკუიდრებითა მისითა“. ამონა მონაზონი აქვე არა მარტო ამპარტავნების ვნებით დაავადებული კაცის მდგომარეობას ხატავს, არამედ სულიერ შვილებს იმასაც აჩვენებს, თუ რა სავალალო შედეგი მოჰყვება ასეთი მოღვაწის ცხოვრებას: „უკუეთუ ესე განიზრახოს კაცმან გონებასა თუისსა, უწყოდენ, ვითარმედ არა დაიმკუიდრებს ღმერთი მის თანა უკუნისამდე“.

გამოცდილი მოსაგრე ამ სულიერი სნეულებისგან განკურნების საშუალებასაც სთავაზობს სულიერ შვილებს. ესაა თავის დამდაბლება. იგი სათქმელს წმინდა წერილიდან შესაბამისი ადგილების მოშველიებით ასაბუთებს და ბერებს ურჩევს, საკუთარი თავი პირუტყვზე უდარესად მიიჩნიონ. რადგან, მისივე თქმით, ეს უკანასკნელი არავის განიკითხავს და ადამიანებისგან განსხვავებით მაღლიერია იმისა, ვინც მის გამოკვებაზე ზრუნავს: „რამეთუ საცხოვარნი არავის განიკითხვენ კაცთაგანსა და არცა ამპარტავნობენ, არამედ უფროდსა ჰყუარობენ მზრდელთა და საჭმლისა მცემელთა მათთა, ხოლო კაცი არა ჰყუარობს დამბადებელსა თვსსა ჯერისაებრ, რომელი ზრდის და ჰფარავს მას“. მარტვირი მონაზონი საუბრობს იმ

1 www.ambioni.ge

2 ამპარტავნების შესახებ, თქმული იოანე ოქროპირის მიერ » Xareba.net

3 ნინუა 1982: 154

სიკეთის შესახებ, რომელიც ამპარტავნების მოკვეთასა და სიმდაბლის სათნოებით შემოსვას მოსდევს. მისი სწავლებით, „სიმდაბლე განმამრავლებელი არს მშჯდობისა და მომგებელი არს სიყუარულისაჲ, განმამლიერებელი არს მომგებელთა მისთაჲ, განმაშორებელ იჭკსა, დამარღუველ წინააღმდეგომისა, დამაწყნარებელ რისხვისა, განმაბნეველ შფოთისა და განმაქარვებელ ძვრისკსენებისა, განმაძებელ ბოროტისა და მტერობისა და დამაცუდებელ შურისა და წარმწყმედელ ყოვლისა ბოროტისა, ხოლო ამპარტავნებაჲ ამის ყოვლისა მომგებელ და მომპოვნებელ არს“.¹

ღირსი ამონას სიტყვებით, მეორე მდგომარეობა, რაც არანაკლებ საშიშია განდმრთობის გზაზე შემდგარი ადამიანისათვის, ვინმეს მიმართ გულძვირი დამოკიდებულებაა. ასეთმა ადამიანმა, გვასწავლის წმინდა მამა, მკვდრის აღდგენაც რომ შეძლოს, ვერ დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს: „არა უც ნაწილი ღმრთისა თანა და არცა აქუს მას შენდობაჲ მის მიერ, უკუეთუ არა მოიქცეს და შეინანოს“.

მესამე საშიშროება განკითხვის ვნებაა. იგი ისეთი დიდი საფრთხის შემცველია მოღვაწის სულისთვის, რომ ქრისტეს მტრობას უტოლდება. ამგვარი მსჯელობის შემდეგ ღირსი მამა ფსიქოლოგიურ ანალიზს გვთავაზობს ხორცში მყოფი ადამიანის ცხოვრებისა და გვეუბნება, რომ ის, ვინც დღეს მეძავობის, ქურდობის თუ სხვა ვნებითაა შეპყრობილი, სავსებით შესაძლებელია, რომ თავისი ადამიანური ნებიდან გამომდინარე, ხვალ შეინანოს ცოდვა მოიძულოს და უფალს შეუდგეს. მისი დაკვირვებით, „ჩუენ ცოდვათა მათთა ვხედვიდეთ, ხოლო სინანული მათი და კეთილისა საქმე ვერ ვცნით და უსამართლოდ განვიკითხვიდეთ“.

წმ. ამონას გამოცდილებით, მეოთხე მდგომარეობა სიმულვიაა. იგი პავლე მოციქულის სიტყვების მოშველიებით ბერს მისგან განკურნების გზას სთავაზობს. ესაა სიყვარული. რადგან, მოციქულის სიტყვისამებრ, თუკი ადამიანს სიყვარული არ ექნებაა მეორე ადამიანისა, მის მიერ აღსრულებული მრავალი სასწაული, გლახაკთმოწყალება თუ სხვა ფუჭ საქმედ ჩაითვლება წინაშე ღვთისა (1 კორ. 13, 3).

როგორც შევნიშნეთ, ჩვენ ხელთ არსებული ოთხი ხელნაწერიდან ორში ამონას ოთხ „საქმეს“ მოსდევს კითხვა-მიგება, რაც ჩვენი დაკვირვებით, ზემოთ განხილული მსჯელობის გაგრძელებაა და კრავს გამოცდილი მოძღვრის სათქმელს.

პირველი შეკითხვის დედააზრი ასეთია: როგორ შეიძლება მოწყალე ადამიანს არ ჰქონდეს სიყვარული, როცა იგი მთელ თავის სიმდიდრეს უპოვრებს უბოძებს?

ამონას გონივრული პასუხით ასეთი მდგომარეობა (მოწყალება) სიყვარულის მხოლოდ ერთი რტოა და არა სრული სიყვარული, რადგან სრული სიყვარული ყველას თანაბრად შეყვარებას გულისხმობს: ცოდვილისაც და უცოდველისაც, ურწმუნოსიც და მორწმუნისაც, შინაურისაც და უცხოისიც. „რამეთუ სრულსა სიყუარულსა არავინ სძულნ... უყუარედ ცოდვილნი და სწყალობნ ბრალეულთა და ღმობიერ არნ უდებთა ზედა და ელმინ სულმოკლეთათჳს, ტირნ და იგლოვნ მათთჳს და უფროდს ხოლო კეთილისმოქმედთასა, ზრუნავნ ბოროტისმოქმედთა და ცოდვილთათჳს“. ასეთი ადამიანი მიემსგავსება ქრისტეს, ჩვენი ხსნისათვის მოსულს, რომელიც ცოდვილთა გამოხსნისათვის მოვიდა.

ამდენად, „რომელსა აქუს სიყუარული სრული და ჭემმარტი, ყოველივე უყუარნ და ყოველთავე სწყალობნ“.

წმ. მამა აქვე განაგრძობს მსჯელობას და ამბობს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქველმოქმედებით გამოირჩევიან, მაგრამ ამგვარი ქმედების გვერდით სხვებს ჩაგრავენ. ასეთი სიკეთე კი არ ესათნოება უფალს, რაც არ უნდა დიდი ქველმოქმედი იყოს კაცი.

ამონამონაზონიერთმანეთისგანგანარჩევს ადამიანთადამოკიდებულებას გარდაცვლილთა მიმართ ქრისტეს მოსვლამდე და მისი მოსვლის შემდეგ. მისი დაკვირვებით, მაცხოვრის განკაცებამდე გარდაცვალება მწუხარებას შობდა ადამიანთა გულებში, ხოლო მას შემდეგ, რაც

¹ წმიდა მამათა სწავლანი 2002: 221.

უფალი განკაცდა და დაიხსნა სიკვდილი, გარდაცვალება, ქრისტიანული რწმენით, მწუხარების წილ სიხარულად გაიაზრება. რადგან უფალი ჩვენი იესო ქრისტე „მოკუდა ჯორცითა და აღდგა, და მის თანა აღადგინნა მკუდარნი“.

სწავლების ბოლოს გამოცდილი მწყემსი ურჩევს მსმენელს, უერთგულოს რწმენას და შეწუხდეს არა იმათთვის, ვინც გარდაიცვალა, ანდა ამქვეყნიური სიკეთე დაკარგა, არამედ იმათ გამო, „რომელმან უვარ-ყოს სარწმუნოებად თვისი“.

დაბოლოს, კეთილი მამა გვირჩევს, თუ როგორ უნდა ვუერთგულოთ უფალს, რომელთან მისვლა ყველაზე დიდი პატივია, საამისოდ როგორ უნდა დავუკვირდეთ ჩვენს თითოეულ ფიქრსა თუ ზრახვას. იგი სათქმელს ძალზე ხატოვნად, შეიძლება ითქვას, ერთი ამოსუნთქვით გადმოსცემს: „ერთ არს ღმერთი და არა შეიცვალეების, რომელმან-იგი განუმზადა სიკუდილი ყოველსა ჯორციელსა. ფიცხელ არს კლდე, ხოლო რკინამან განკუეთის იგი; ფიცხელ არს რკინად, ხოლო ცეცხლმან დააღბის იგი; ფიცხელ არს ცეცხლი, ხოლო წყალმან დაავსის იგი; ფიცხელ არს წყალი, ხოლო ქარმან განაჰმის იგი; მალე არს ქარი, ხოლო გულისსიტყუანი კაცისანი უმაღლეს მისა არიან“.

ამდენად, ღირსი ამონას ოთხი სიტყვა იმავე სულისკვეთებით გამოირჩევა, როგორითაც მისივე ეპისტოლეები. ესაა სულიერი ღვაწლის შედეგად მოძიებული მარგალიტები, რომელიც მის მომპოვებელს ეხმარება, განიღმროს.

/ 272 rAC / 316 B/ 212vD

ამონადს სიტყუანი^{1*}

272vC ოთხნი საქმენი^{**} არიან, უკუეთუ² ამათგანი ერთიცა იყოს^{***} კაცისა თანა, ვერშემ-
ძლებელ არს იგი კეთილისა რადას /მე საქმედ და არცა შეიწირავს³ ღმერთი ლოცვასა
მისსა. 5

პირველი: ამპარტავანებად.⁴ ოდეს მოიგონოს კაცმან და თქუას⁵, ვითარმედ კე-
თილად ცხორებს⁶ და ვითარმედ⁷ განგებად⁸ მისი სათნო არს წინაშე ღმრთისა⁹ და
კაცნი აღემენებიან დაყუდებითა მისითა და მარხვითა¹⁰ და ვითარმედ მრავალთაგან
ცოდვათა განშორებულ არს კაცთაგან კიდევოფითა და უდაბნოს დამკვიდრებითა¹¹
მისითა; უკუეთუ¹² ესე განიზრახოს კაცმან გონებასა თუისსა¹³, უწყოდენ, ვითარმედ¹⁴ 10
არა დაიმკვიდრებს¹⁵ ღმერთი^{16****} მის თანა უკუნისამდე, რამეთუ გარემოქცევით ჯერ-
არს^{*****} მონაზონისა მოგონებად¹⁷ სიტყუად¹⁸, თუ¹⁹ რადმე²⁰ კეთილისა²¹ საქმე ქმნეს,
რადთა²² მარადის სიმდაბლით აბრალებდეს თავსა თუისა²³ და იტყოდის²⁴, ვითარმედ
პირუტყუნიცა²⁵ უმჯობეს არიან მისა და ვითარმედ არარაჲ საქმეთა მისთაგანი სათნო²⁶
არს წინაშე ღმრთისა^{27*****}, და ყოველი კეთილისა საქმე მისი შეგინებულ არს წინაშე 15
ღმრთისა²⁸, ვითარცა ძონძი წიღოვნისა დედაკაცისა^{29*****}, ვითარცა წინაწარმეტყუე-

213rD ლი³⁰ იტყუის³¹,/ რამეთუ: უკუეთუ³² არა უფრომს³³ შეგინებუ/ლად შეჰრაცხოს თავი

272vA თუისი³⁴ პირუტყუთა³⁵ და ძალთა და მფრინველთა, არა შეიწირავს ღმერთი ლოცვა-
სა მისა,³⁶ რამეთუ პირუტყუთა³⁷ საცხოვართა, ძალთა და მფრინველთა არასადა

273rC უც/ოდავს და არცა განიკითხვიან³⁸. და ესე ცხად არს, ვითარმედ კაცი ცოდვილი³⁹ 20
უზადრუკეს⁴⁰ არს უფრომს⁴¹ პირუტყუთა⁴², რამეთუ უმჯობეს იყო მისა, თუმცა
პირუტყუი⁴³ საცხოვართაგანი ყოფილ იყო და არამცა აღდგა მკუდრეთით⁴⁴ და არცა
განიკითხა განკითხვისათუის⁴⁵, რამეთუ საცხოვარნი არავის განიკითხვენ⁴⁶ კაცთაგანსა
და არცა ამპარტავნობენ⁴⁷, არამედ უფრომს⁴⁸ ჰყუარობენ⁴⁹ მზრდელთა და საქმლი-
სა⁵⁰ მცემელთა მათთა, ხოლო კაცი არა ჰყუარობს⁵¹ დამბადებელსა თუისა⁵² ჯერისაებრ, 25
რომელი ზრდის⁵³ და ჰფარავს მას.

317B **მეორე საქმე.** უკუეთუ⁵⁴ კაცი იკსენებდეს⁵⁵ ვისთუისმე⁵⁶ ბოროტსა და ძუირი⁵⁷
გულსა ედვას მისთუის⁵⁸, დადათუ ვის/მე თუალი მარჯუენა⁵⁹ მისი წარმოგდოს, არა
აღიწევის ლოცვად მისი წინაშე ღმრთისა⁶⁰, ნუუკუე⁶¹ აცთუნებს⁶² ესე თავსა თუისსა⁶³,

1. სიტყუანი B. 2. უკუეთუ B. 3. შეიწირავს A. 4. ამპარტავანებად D. 5. თქვას B. 6. ცხორებებს BC. 7. ვითარმედ -B. 8. განგება C. 9. ღმრთისა CD. 10. მარხვითა C. 11. დამკვიდრებითა B, დამკვდრებითა CD. 12. უკუეთუ B. 13. თვისსა B, თვსსა CD. 14. ვითარმედ/რამეთუ B. 15. დაიმკვიდროს B, დაიმკვდრებს C, დაიმკვდროს D. 16. ღმერთმან B D. 17. მოგონებადა+და BD. 18. სიტყუად C. 19. თუ/უკუეთუ BD. 20. რადმე - B. 21. კეთილისა+რადსამეB, რადსმე D. 22. რათა B. 23. თვისსა B, თვსსა CD. 24. ეტყოდის B. 25. პირუტყუნიცა B. 26. მისთაგანი+სადა BD. 27. ღმრთისა C. 28. [და ყოველი...წინაშე ღმრთისა] - BD. ღმრთისა C. 29. დედაკაცისა CD. 30. წინასწარმეტყუელი B. 31. იტყვის B, იტყვს CD. 32. უკუეთუ B. 33. უფროს D. 34. თვისი B, თვსი D. 35. პირუტყუთა B. 36. მისსა BCD. 37. პირუტყუთა B. 38. განიკითხვან D. 39. ცოდვილი- D. 40. უზადრუკეს BD. 41. უფროს D. 42. პირუტყუთა B. 43. პირუტყვი B, პირუტყვ C, პირუტყუჲ D. 44. მკუდრეთით B. 45. განკითხვისათვის B, განკითხვისათვს C, განკითხვსთვს D. 46. განიკითხვენ +განკითხვსთვსD. 47. ამპარტავანობენ B. 48. უფროსდა C. 49. ჰყუარობენ B. 50. საქმლის B, საქმლისCD. 51. ჰყვარობს B. 52. თვისსა B, თვსსა C. 53. ჰზრდის BCD. 54. უკუეთუ B. 55. იხსენებდეს B. 56. ვისთვისმე B, ვისთვსმე C. 57. ძვირი B, ძვრი C. 58. მისთვის B, მისთვს C. 59. „მარჯვენე თვალი B,მარჯუენე თუალი D. 60. ღმრთისა C. 61. ნუუკუე/ნუ B D, ნუუკუჲ C. 62. აცთუნებნ BD. 63. თვისსა B, თვსსა C.

* ძველი პაგინაცია თავი ლგ A; ლგ -B; ლბ C. ** სიტყვაში **საქმენი ენი** დაზიანებულია A-ში. *** სიტყვა **იყოს** დაზიანებულია A-ში. **** სიტყვა **ღმერთი** დაზიანებულია A. ***** სიტყვა **ჯერ-არს** დაზიანებულია, ძნელად იკითხება A-ში. ***** სიტყვაში **ღმრთისა ღმრ** წაშლილია A-ში. ***** შდრ.:ესაია 64,6.

273A რამეთუ დაღაცათუ მკუდარნი¹ აღადგინნეს, არა უც ნაწილი ღმრთისა² თანა /და არცა აქუს³ მას შენდობად მის მიერ, უკუეთუ⁴ არა მოიქცეს და შეინანოს.

გ⁵ საქმე. უკუეთუ⁶ კაცი განიკითხვიდეს⁷ კაცთა შეცოდებულთა და იყოს იგი განმკითხველ⁸, დაღაცათუ მრავალნი სასწაულნი ქმნეს⁹, არა სთ/ნავს ღმერთსა კე- 5
273vC თილისა საქმე მისი და არცა შეიწირავს ლოცვასა მისა¹⁰, რამეთუ ქრისტემან ღმერთმან 5
ჩუენმან¹¹ თქუა¹²: „*ნუ განიკითხავთ, რადთა¹³ არა განიკითხნეთ*“.* და¹⁴ ჯერ-არს ქრისტეანისა, რადთა არავინ კაცთაგანი განიკითხოს¹⁵. რამეთუ მამად არავის სჯის¹⁶, არამედ ყოველი სასჯელი¹⁷ მისცა¹⁸ ძესა თუისა¹⁹ ქრისტესა. და რომელმან განიკითხოს კაცი უწინარეს ქრისტეს განკითხვისა²⁰, მტერ არს იგი ქრისტესა. რამეთუ მრავალნი დღეს მპარავ და მეძავ არიან და ხვალე იქმნიან²¹ სათნო და მართალ. ჩუენ²² ცოდვათა 10
მათთა ვხედვიდით²³, ხოლო სინანული მათი²⁴ და კეთილისა საქმე²⁵ ვერ** ვცნით²⁶ და უსამართლოდ განვიკითხვიდით²⁷.

დ²⁸ საქმე. უკუეთუ²⁹ ვისთანა-მე³⁰ იყოს სიძულელი ძმისა³¹, არა შეწირულ არს ლოცვად მისი წინაშე ღმრთისა, ვითარცა იტყუის³² მოციქული: „*ენასადა თუ ანგე-ლოზთასა ვიტყოდი და მაქუნდესდა თუ სარწმუნოება³³, ვიდრე მათთა ცვალებამდე³⁴, 15
და შე-ღათუ-გაჭამო³⁵/ყოველი მონაგები ჩემი გლახაკთა და მივსცნე ჯორცნი³⁶ ჩემნი დასაწუველად³⁷, და სიყუარული³⁸ თუ არა მაქუნდეს, არარად სარგებელ არს*“.*

274rC /**კითხვად**^{39****}: ვითარ შემძლებელ არს კაცი, რადთამცა⁴⁰ მისცა მონაგები თვისი⁴¹ გლახაკთა და არამცა აქუნდა სიყუარული⁴², რამეთუ მოწყალება სიყუარული⁴³ არს?

მიგება^{****}: არა თუ გლახაკთა მოწყალებად⁴⁴ ხოლო არს სრული სიყუარული^{****}, 20
214rD არამედ რტო⁴⁵ ერთი არს სიყუარულისა⁴⁶. რამეთუ მრავალნი განუყოფენ მონ/აგებსა⁴⁷ მათსა გლახაკთა და სხუათა⁴⁸ ჰმძლავრობენ და უსამართლოდ მოჰხუეჭენ⁴⁹ მრავალ-თა და მრავალნი უცხოთა შეიწყნარებენ⁵⁰ და მრავალთა სხუათათვის⁵¹ ძვრსა⁵² იცხენე-ბენ⁵³, და რომელთამე განუსუენებენ⁵⁴, რომელთამე შეაწუხებენ. და მრავალნი უცხოთა 318B სწყალობენ და თვის/თა⁵⁵ სძულობენ⁵⁶. ესე არა არს სიყუარული⁵⁷ სრული, ნუ იყოფინ! 25
რამეთუ სრულსა სიყუარულსა⁵⁸ არავინ სძულნ, არავის აგინებნ, არავის განიკითხავნ,

1. მკუდარი B. 2. ღმრთისა D. 3. აქვს B. 4. უკუეთუ B. 5. გქმესამე BCD. 6. უკუეთუ B. 7. განიკითხვიდეს C, განიკითხვიდეს D. 8. განმკითხველი C. 9. ქმნეს C. 10. მისსა C. 11. ჩვენმან B. 12. თქვა B; თქუა C. 13. რათა B. 14. და+არა BD. 15. რადთა არავინ კაცთაგანი განიკითხოს [რათამცა განიკითხა ვინმე B. 16. შჯის BD. 17. საშჯელი BD. 18. მოსცა D. 19. თვისსა B, თვისსა C. 20. განკითხვსა CD. 21. იქმნიან B. 22. ჩვენ B. 23. ვხედვიდით B. ვხედვიდით D. 24. მათი -D. 25. საქმე +მათი BCD. 26. ვიცნით C. 27. განვიკითხვიდით B, განვიკითხვიდით CD. 28. დქმეთოხე BCD. 29. უკუეთუ B. 30. ვისთანა D. 31. ძმისა CD. 32. იტყვის B; იტყვს D. 33. სარწმუნოება D. 34. ცვალებამდე BD. 35. დაღათუ შევაჭამო B, ღათუ შევაჭამო D. 36. ხორცნი B. 37. დასაწუველად BC. 38. სიყვარული B. 39. კითხვა D. 40. რათამცა B. 41. თვისი B. 42. სიყვარული B. 43. სიყვარული B. 44. მოწყალება D. 45. რტო D. 46. სიყვარულისა B, სიყვარულისა D. 47. მონაგებთა D. 48. სხუათა B. 49. მოჰხუეჭენ B, მოჰხუეჭენ D. 50. და მრავალნი უცხოთა შეიწყნარებენ] - D. 51. სხუათათვის B. 52. ძვირსა B. 53. იხსენებენ B. 54. განუსუენებენ+და B, რომელთამე განუსუენებენ] -D. 55. თვისთა B. 56. +და D. 57. სიყვარული B. 58. სიყვარულსა.

* შდრ.: ლუკ. 6, 37 ** სიტყვაში **ვერ ე** ჩამატებულია A-ში. *** შდრ.: I კორ. 13,13. აქ მთავრდება A და C. აქვე A-ში ნუსხურად წერია: ქრისტე, შეიწყალებ მონა შენი მღდელი გრიგოლიან. მომდევნო ხაზზე კი მქრალი მელნით ნუსხურად წერია ანდერძი. 274-ე გვერდზე ასევე ნუსხურით, ოღონდ ხელნაწერისგან განსხვავებული ხელით გრძელდება ანდერძი, ხოლო მომდევნო ორგვერდზე თავდაპირველადორი ხუცური ფრაზის შემდეგ მხედრული ნაწერია და ამით სრულდება ხელნაწერი. 274 r-ზე C ნუსხასაც ხუცურად დართული აქვს ანდერძი. **** ეს სიტყვა **კითხვად** წერია ნუსხურად, თუმცა, მეორე ასო, ზედმეტი ვ მხედრულად წერია და გამოყოფილია სინგურით B. ***** სიტყვა **მიგება** წერია ნუსხურად, სინგურით B. ***** ამ ადგილას ფრაზაში - არს **სიყუარული** B-ში სიტყვა სიყვარული გადახაზულია.

არავის შეაწუხებნ, არავის შეურაცხ-ჰყოფნ, არცა მორწმუნესა, არცა ურწმუნოსა, არცა უცხოსა და არცა თვსთაგანსა¹, არცა ცოდვილსა და არცა ბრალეულსა, არცა² მეძავსა და არცა შეგინებულსა. არამედ უყუარედ³ ცოდვილნი და სწყალობნ ბრალეულთა და ლმობიერ არნ უდებთა ზედა და ელმინ სულმოკლეთათჳს⁴, ტირნ და იგლოვნ მათთჳს⁵ და უფრომს ხოლო კეთილისმოქმედთასა⁶, ზრუნავნ ბოროტისმოქმედთა და 5 ცოდვილთათჳს⁷.

მსგავს არნ იგი ქრისტესა, მცხნელსა⁸ ჩუენსა⁹, რომელი მოვიდა წოდებად* ცოდვილთა და საყოფელთა მათთა შინა იყოფოდა^{10**}, ჭამდა და სმიდა მათ თანა და მის გამოვისწავეთ სრული სიყუარული¹¹, რამეთუ თქუა¹²: *იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა¹³ თქუენი¹⁴ მოწყალე არს***, რომელ არს ცათა შინა და წჳმს¹⁵ კეთილისმოქმედთა 10 ზედა და ბოროტისმოქმედთა**** ზედა¹⁶ და აღმოაბრწყინებეს მზესა მისსა ცოდვილთა* 214vD *ზედა და მართალთა*****,/ ეგრეთვე, რომელსა აქუს¹⁷ სიყუარული¹⁸ სრული და ჭემმარიტი, ყოველივე უყვარნ¹⁹ და ყოველთავე სწყალობნ.

და კულად მრავალნი არიან კაცთაგანნი, რომელნი ჰყოფენ გლახაკთმოწყალეებასა და ამას ხოლო მარტოდ მიხდობილ არიან და მრავალსა ცოდვასა იქმან და მრავალ- 15 თა კაცთა სძულობენ და ჳორცთა²⁰ მათთა შეიბილწებენ. და ესენი²¹ ესრეთ აცთუნებენ თავთა თვსთა²² და ჰგონებენ ქველისსაქმითა მათითა განმართლებასა²³. ნუ მწუხარე ხართ მკუდართა²⁴ ზედა, რამეთუ ყოველნი კაცნი მოკუდებიან²⁵, არამედ მწუხარე იყვენით კაცსა ზედა, რომელი ცოცხალი მომკვდარ²⁶ არს წინაშე ღმრთისა საქმეთაგან ბოროტთა. რომელსა ეშინის ღმრთისა, იგი არა შეწუხნების მსოფლიომსა 20 სიკუდილისაგან²⁷, არამედ შეწუხნების სიკუდილსა²⁸ ზედა მართლისასა, ხოლო მართალი იხარებნ სიკუდილისათჳს²⁹, რამეთუ³⁰ განსუენებად³¹ მივალნ. მწუხარე იქმნა ეგვპტე³², ოდეს მოკუდა³³ იოსებ, და მხიარულ იქმნა ქუეყანა³⁴ იგი სიწმიდისაჲ, რაჟამს შეიწყნარნა ძუალნი³⁵ მისნი.

319B /პირველთა მათ ჟამთა, ოდეს მოკუდებოდეს³⁶ პირველნი იგი მამანი, გლოვით³⁷ 25 და ტირილით³⁸ დაჰმარხვიდეს³⁹ მათ, ხოლო დღეს გალობითა და შესხმითა სულიერითა შეჰმურვენ⁴⁰ მიცვალებულთა. ოდეს მოკუდა⁴¹ ნოვე, მართალ[ნ]ი⁴² იგლოვდეს⁴³ მას ორმეოც დღე; ოდეს მოკუდა⁴⁴ აბრაჰამ, იგლოვდეს⁴⁵ მას ორმეოც დღე; და ოდეს 215rD მოკუდა⁴⁶ ისააკ, იგლოვდეს⁴⁷ მას ორმეოც დღე; და ოდეს მოკუდა⁴⁸ იაკობ, /იგლოვდეს⁴⁹ მას ოთხმეოც დღე; და ოდეს მოკუდა⁵⁰ მოსე, იგლოვდეს⁵¹ მას ას ორმეოც დღე; და 30 ყოველნი ესე მოელოდეს მოსლვასა ქრისტესსა, რადთა⁵² მოსპოს გლოვაჲ და ტირილი კაცთაგან; რამეთუ მოკუდა⁵³ ჳორცითა⁵⁴ და აღდგა, და მის თანა აღადგინნა მკუდარნი⁵⁵.

1. თვისთაგანსა B. 2. არცა D. 3. უყვარედ BD. 4. სულმოკლეთათვის B. 5. მათთვის B. 6. მოქმედთათჳს D. 7. ცოდვილთათვის B. 8. მხსნელსა B. 9. ჩუენსა B. 10. იყოფოდა D. 11. სიყვარული B. 12. თქვა B. 13. მამა D. 14. თქუენი B. 15. წვიმს B. 16. ბოროტისმოქმედთა ზედა] – D. 17. აქეს B. 18. სიყვარული B. 19. უყვარნ B, უყვარან D. 20. ჳორცთა B. 21. ესე (ესენი) B, ესე D. 22. თვისთა B. 23. განმართლებასა B. 24. მკვდართა B. 25. მოკვდებიან B. 26. მომკვდარ არს] მკვდარ არის D. 27. სიკვდილისაგან B. 28. სიკვდილსა B. 29. სიკვდილისათვის B. 30. რამეთუ – D. 31. განსუენებად B. 32. ეგვიპტე B. 33. მოკვდა B. 34. ქუეყანა B. 35. ძვალნი B. 36. მოკვდებოდეს B. 37. გლოვითა D. 38. ტირილითა D. 39. დაჰმარხვიდეს D. 40. შეჰმურვიდეს D. 41. მოკვდა B. 42. მართალი BD. 43. ეგლოვდეს D. 44. მოკვდა B. 45. ეგლოვდეს D. 46. მოკვდა B. 47. ეგლოვდეს D. 48. მოკვდა B. 49. ეგლოვდეს D. 50. მოკვდა B. 51. ეგლოვდეს D. 52. რათა B. 53. მოკვდა B. 54. ჳორცითა B. 55. მკვდარნი B

*ამ ადგილას ფრაზაში - არს სიყუარული B-ში სიტყვა სიყვარული გადახაზულია. ** იყოფოდა B ნუსხაში ვ ჩამატებულია. ***ლუკ. 6,36. ****მათ. 5, 45. *****მათ. 5,45.

ნუ მწუხარე ხართ მკუდართა¹ ზედა და ნუცა მდიდარსა ზედა, დაგლახაკებულსა, და ნუცა ჭაბუკსა, აღსრულებულსა, არამედ მწუხარე იყავ კაცსა ზედა, რომელმან უვარყოს სარწმუნოებად თვისი².

ერთ არს ღმერთი და არა შეიცვალეზის, რომელმან-იგი განუმზადა სიკუდილი³ ყოველსა ჯორციელსა⁴. ფიცხელ არს კლდე, ხოლო რკინამან განკუეთის⁵ იგი; ფიცხელ არს რკინად, ხოლო ცეცხლმან დააღბის იგი; ფიცხელ არს ცეცხლი, ხოლო წყალმან დაავსის იგი; ფიცხელ არს წყალი, ხოლო ქარმან განაჴმის⁶ იგი; მალე არს ქარი, ხოლო გულისსიტყუანი⁷ კაცისანი უმაღეს მისა არიან.*

1. მკუდართა B. 2. თვისი B. 3. სიკუდილი B. 4. ხორციელსა B. 5. განკუეთის B, განკუჭთის D. 6. განახმის BD. 7. გულისსიტყუანი B.

*B D ნუსხებს არ ახლავს ანდერძი. აქედან იწყება აპოფთეგმა მაკარი დიდის შესახებ.

ამონას სიტყვები - თანამედროვე ქართული თარგმანი

ოთხი საქმეა. თუკი ამათგან ერთიც იქნება ადამიანთან, ვერ შეძლებს რაიმე კარგის გაკეთებას და ღმერთიც არ შეიწირავს მის ლოცვას.

პირველი: ამპარტავნება. როცა ადამიანი გაიფიქრებს და იტყვის, რომ კარგად ცხოვრობს და მისი ცხოვრობის წესი ღვთის წინაშე სათნოა, ადამიანები მისი მოღვაწეობითა და მარხვით სიკეთით ივსებიან, ის კი მრავალ ცოდვას გაშორდა კაცთაგან შორს ყოფნითა და უდაბნოში დამკვიდრებით. თუკი ასე გაიფიქრებს კაცი თავის გონებაში, უნდა იცოდეს, რომ ღმერთი მასთან არ დამკვიდრდება სამუდამოდ, არამედ საჭიროა, მონაზონმა მოაქციოს საკუთარი აზრი და თუკი რამე კეთილ საქმეს გააკეთებს, თავი დაიდანაშაულოს და სიმდაბლით თქვას, რომ პირუტყვიც მასზე უმჯობესია და მისი საქმეებიდან ღვთის წინაშე არცერთია სათნო და მისი ყველა ნამოქმედარი ღვთის წინაშე ბილწია, როგორც სისხლმდინარე ქალის ძონძი, წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ, რადგან თუკი ის პირუტყვზე, ძაღლსა და ფრინველზე უფრო შებიწულად არ მიიჩნევს საკუთარ თავს, ღმერთი მის ლოცვას არ შეიწირავს. რადგან პირუტყვებს, ცხვრებს, ძაღლებსა და ფრინველებს არასდროს შეუცოდავთ და არც არავინ განუკითხავთ. ცხადია, რომ ადამიანი პირუტყვზე მეტად საცოდავია, მისთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ ერთი ცხვართაგანი ყოფილიყო და არ დასჯილიყო განკითხვის ცოდვის გამო, რადგან ცხვრები ადამიანთაგან არავის განიკითხავენ და არც ამპარტავნობენ. მათ უფრო მეტად უყვართ თავიანთი გამზრდელი და გამომკვები, ვიდრე ადამიანს. კაცს კი არ უყვარს თავისი დამბადებელი, რომელიც მას ზრდის და მფარველობს ისე, როგორც ის იმსახურებს.

მეორე საქმე. თუკი ადამიანი ვინმეს მიმართ ბოროტს გაიფიქრებს და გულში მისდამი ცუდ აზრს ჩაიდებს, ვინმემ მას მარჯვენა თვალიც რომ ამოუღოს, არ ავა მისი ლოცვა ღვთის წინაშე, რადგან საკუთარ თავს აცდენს, მან მკვდრებიც რომ აღადგინოს, ღმერთთან წილი არ აქვს, თუკი არ მოიქცევა და არ შეინანებს.

მესამე საქმე. თუკი ადამიანი ცოდვილ ადამიანებს განიკითხავს და იქნება განმკითხველი, მრავალი სასწაულიც რომ აღასრულოს, უფალს მისი კეთილი საქმე არ ესათნოება და არც მის ლოცვას შეიწირავს, რადგან ჩვენმა ღმერთმა, ქრისტემ, თქვა: „ნუ განიკითხავთ, რომ არ განგიკითხოთ“. ქრისტიანი ვალდებულია, რომ ადამიანთაგან არავინ განიკითხოს, რადგან მამა არავის სჯის, არამედ ყველა სასჯელი თავის ძეს, ქრისტეს, უბოძა. და ვინც ადამიანს განიკითხავს, ქრისტეზე უწინარეს განიკითხავს და ის ქრისტეს მტერია, რადგან ბევრი იმათგანი, ვინც დღეს ქურდი და მეძავია, ხვალ სათნო და მართალი გახდება. ჩვენ მათ ცოდვებს ვხედავთ, მათ სინანულსა და კეთილ საქმეებს კი არ ვიცნობთ და უსამართლოდ განვიკითხავთ.

მეოთხე საქმე. თუკი ვინმეს თავისი ძმა სძულს, ღვთის წინაშე მისი ლოცვა არ შეიწირება, როგორც ამბობს მოციქული: „თუ ანგელოზთა ენით ვლაპარაკობ, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, მთელი ჩემი სიმდიდრე გლახაკებს რომ დავურიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვვარგვივარ“.

კითხვა: როგორ შეუძლია კაცს, რომ თავისი სიმდიდრე გაჭირვებულებს დაურიგოს და სიყვარული კი არ ჰქონდეს, რადგან მოწყალება სიყვარულია?

პასუხი - გაჭირვებულთა შეწევნა სრული სიყვარული კი არ არის, არამედ სიყვარულის ერთი რტოა. რადგან უამრავი ადამიანი უყოფს თავის სიმდიდრეს გაჭირვებულებს, სხვებს კი ჩაგრავს და უსამართლოდ მოიხვეჭს ბევრს, მრავალი უცხოს შეიწყნარებს და სხვათა მიმართ კი გულდრძოა, ზოგიერთს მოალობენს, ზოგს კი აწუხებს, მრავალი უცხოებს შეეწევა, საკუთარი კი სძულს. ეს სრული სიყვარული არ არის (ღმერთმა ნუ ქნას!), რადგან სრულ სიყვარულს არავინ სძულს, არავის აგინებს, არავის განიკითხავს, არავის აწუხებს, არავის შეურაცხყოფს: არც მორწმუნეს, არც ურწმუნოს, არც უცხოს და არც თავისიანს, არც ცოდვილს და არც დამნაშავეს,

არც მეძავს და არც შებილწულს, არამედ უყვარს ცოდვილები და შეეწევა დამნაშავეებს, ლმობიერია ზარმაცების მიმართ და წუხს სულმოკლეთათვის, ტირის და გლოვობს მათთვის, განსაკუთრებით კი - კეთილის მქნელთათვის, ზრუნავს ბოროტებისა და ცოდვილებისთვის.

ასეთი [ადამიანი] ემსგავსება ქრისტეს, ჩვენს მხსნელს, რომელიც ცოდვილების მოსახმობად მოვიდა, მათთან მიდიოდა, მათთან ერთად ჭამდა და სვამდა, მისგან ვისწავლეთ სრული სიყვარული, რადგან თქვა: „იყავით გულმოწყალენი, ისევე, როგორც თქვენი მამა გულმოწყალე, რომელიც ცაშია და წვიმს კეთილის მქნელებსა და ბოროტის მქნელებზე“, „მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე“. ასევე, რომელსაც სრული და ჭეშმარიტი სიყვარული აქვს, ყველა უყვარს და ყველას შეეწევა.

დაკიდევ: ადამიანთა შორის ბევრია, რომელიც გაჭირვებულებს შეეწევა, მაგრამ ის მხოლოდ ამას აღასრულებს, მრავალ ცოდვას კი სჩადის, მრავალი ადამიანი სძულს და საკუთარ სხეულს ბილწავს. ასეთები ამგვარად შეაცდენენ საკუთარ თავს და ჰგონიან, რომ ქველმოქმედებით გამართლდებიან.

ნუ წუხხართ გარდაცვლილების გამო, რადგან ყველა ადამიანი მოკვდება, არამედ დამწუხრდით იმ ადამიანის გამო, რომელიც თავისი ბოროტი საქმეების გამო სიცოცხლეშივე მკვდარია ღვთის წინაშე. ვისაც ღმერთის ეშინია, ის არ შეწუხდება ამსოფლიური სიკვდილის გამო, არამედ შეწუხდება მართალი ადამიანის სიკვდილის გამო, მართალი კი ხარობს გარდაცვალებით, რადგან განსასვენებელში მიდის. დამწუხრდა ეგვიპტე, როცა იოსები მოკვდა, გამხიარულდა სიწმინდის ქვეყანა, როცა მისი ძვლები შეიწყნარა.

უწინდელ დროში, როცა პირველი მამები გარდაიცვლებოდნენ, გლოვითა და ტირილით მარხავდნენ მათ. დღეს კი გალობითა და სულიერი დიდებით მირონს სცხებენ მიცვალებულებს. როცა ნოე მოკვდა, მართლები მას ორმოცი დღე გლოვობდნენ, როცა აბრაამი გარდაიცვალა, მას ორმოცი დღე დასტიროდნენ, როცა ისააკი გარდაიცვალა, მას ორმოცი დღე გლოვობდნენ, როცა იაკობი გარდაიცვალა, მას ოთხმოცი დღე დასტიროდნენ, როცა მოსე გარდაიცვალა, მას ასორმოცი დღე გლოვობდნენ. და ყველა მოელოდა ქრისტეს მოსვლას, რათა მოესპო ადამიანების გლოვა და ტირილი, რადგან ის მოკვდა სხეულით, შემდეგ კი აღდგა და თავისთან ერთად აღადგინა მკვდრები. ნუ წუხხართ მიცვალებულთა გამო, ნურც გაღარიბებული მდიდრის გამო, ნურც გარდაცვლილი ჭაბუკის გამო, არამედ შეწუხდით იმ კაცის გამო, რომელმაც თავისი სარწმუნოება უარყო.

ერთია ღმერთი და არ შეიცვლება, რომელმაც ყველა ხორციელს სიკვდილი გაუმზადა. სასტიკია კლდე, მაგრამ რკინა კვეთს მას; სასტიკია რკინა, მაგრამ ცეცხლი ალბობს მას; სასტიკია ცეცხლი, მაგრამ წყალი აქრობს მას; სასტიკია წყალი, მაგრამ ქარი აშრობს მას; სწრაფია ქარი, მაგრამ ადამიანის სურვილი, ფიქრები მასზე უფრო სწრაფია.

ღირსი ამონასადმი მიძღვნილი ეპისტოლეები საეკლესიო მამათა ეპისტოლარულ კანონმდებლობაში

აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი კანონიკური ძეგლი, 14 ტიტლოვანი ნომოკანონი, რომელიც შეიცავს მოციქულთა სახელით ცნობილ 85 საეკლესიო კანონს, მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებს, ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონებს და ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარულ კანონმდებლობას, ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია დიდი სჯულისკანონის სახელწოდებით. წმ. მამათა ეპისტოლეებში ჩამოყალიბებულმა საეკლესიო კანონებმა ზოგადქრისტიანული სავალდებულო ნორმის მნიშვნელობა მხოლოდ VI (ტრულის 691 წ.) მსოფლიო კრების სანქციის შემდეგ მოიპოვეს. ძირითად კანონიკურ კოდექსში შეტანილია დიონისე ალექსანდრიელის, გრიგოლ ნეოკესარიელის, პეტრე ალექსანდრიელის, ათანასე დიდის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, ტიმოთე ალექსანდრიელის, თეოფილე ალექსანდრიელისა და სხვათა ეპისტოლეები. აღნიშნული ეპისტოლეების არსებობა ნომოკანონში მათ განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს.

აღნიშნული კანონიკური ძეგლი ძველ ქართულ ენაზე ითარგმნა XII საუკუნის I მეოთხედში. დიდი სჯულისკანონის შემცველი ყველაზე უძველესი გელათური ნუსხის (ქუთ. 25, XII ს.) გადამწერის - გრიგოლი ჩახრუხადსძის - ანდერძის მიხედვით, ძეგლი ქართულ ენაზე ითარგმნა არსენ იყალთოელმა.¹ აღნიშნული თარგმანის იმ ნაწილში, სადაც ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობაა წარმოდგენილი, ორი ეპისტოლის ადრესატი ამონაა. პირველი ეპისტოლის ავტორია წმ. ათანასე დიდი (+373 წ.), ანტონი დიდის ცხოვრების ავტორი, ხოლო მეორესი - წმ. თეოფილე, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსი (+412 წ.). ეპისტოლეთა სათაურები ასეა წარმოდგენილი: ეპისტოლე წმიდისა ათანასესი ამმონის მიმართ მონაზონისა²; 2. მისივე (თეოფილე ალექსანდრიელის - ქ.მ.) მოსაჯსებელი, რომელ მიიღო ამონ ღვკოდსთჳს³.

დიდი სჯულისკანონში ათანასე ალექსანდრიელის 3 ეპისტოლის პირველი ორი ეპისტოლე მოთავსებულია გრიგოლ ნეოკესარიელის ეპისტოლის შემდეგ და ბასილი დიდის ეპისტოლის წინ, ხოლო მესამე - აღნიშნული ძეგლის ბოლოს⁴.

ჩვენთვის საინტერესო პირველი წერილის დასაწყისში, რომლის ადრესატიც ამონაა, ათანასე დიდი კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეზე დაყრდნობით საუბრობს იმის შესახებ, რომ ღვთის სიტყვამ ყოველივე წმინდა შექმნა, ჩვენ კი „ქრისტეს სულნელებანი ვართ ცხოვნებულთა მათ შორის“ (II კორ. 2,15).

ამის შემდეგ ავტორი ამონა მონაზონს უხსნის, თუ როგორ აღაშფოთებენ მონასტრის სამმოს ემმაკის მრავალფეროვანი ისრები. როგორ თესავენ მათ გულეებში არაწმინდა აზრებს. ეპისტოლე დამრიგებლობითი ხასიათისაა. არ არის გამორიცხული, რომ მის უკან ამონა მონაზვნის სულიერი მოძღვარი ანტონი დიდი ვიგულვოთ. ათანასე დიდი ადრესატს აუწყებს თავის სურვილს, რამდენიმე სიტყვით გადმოსცეს, თუ როგორ და რა გზით აცთუნებს ემმაკი მოღვაწეებს და როგორ უნდა ავიცილოთ ასეთი საფრთხე. ავტორის თანახმად, ემმაკი გამხრწნელ და წარმწყმედელ სიტყვებს სთესავს მოღვაწის გულში. ეს სიტყვები გარეგნულად სიწმიდის საბურველითაა დაფარული. მისი ისარი სიცრუითაა მოსილი და ადამიანს პირისპირ არ ეკვეთება.

ნიშანდობლივია, რომ ეპისტოლის ავტორი მიმართვის ისეთსავე ფორმას იყენებს ამონას მიმართ, როგორც იმ ეპოქის დიდი მეუდაბნოე მამები - თავიანთი წერილების შესა-

1 დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, ნ. დოლაჟიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 17.

2 იქვე, გვ. 466.

3 იქვე, გვ. 527.

4 იქვე, გვ. 69.

ვალში სულიერი შვილებისადმი. ამგვარი მიმართვის ფორმა მათ შორის მამაშვილურ დამოკიდებულებას გამოკვეთს. როგორც წინ შევნიშნეთ, ამონა მონაზონი ეპისტოლეებში სულიერ შვილებს, საყვარელ ძეებს, ჭემმარიტ ისრაიტელებს, უფლის შვილებს უწოდებს. ათანასე დიდიც საყვარელ და ახლობელ ადამიანად მოიხსენიებს მას. აღნიშნულ ეპისტოლეში ავტორი უხსნის ამონას, არის თუ არა ცოდვა ბუნებითი მდგომარეობა. ადრესატის კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, იგი თავდაპირველად საუბრობს ისეთ ბუნებრივ პროცესებზე, როგორებიცაა: ნერწყვი, ცხვირიდან გამოსული სისველე და ა.შ. რომელიც სიცოცხლისათვის საჭირო და აუცილებელი პროცესია. „მოციქულთა საქმეების“ მოშველიებით ათანასე ასევე ამბობს, რომ საღმრთო ხელით შექმნილ ადამიანებს არ ძალუძთ ბიწიანი საქმის ქმნა. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევიბილწებით, როცა ეშმაკის ჩაგონებით ცოდვას ჩავდივართ.

ათანასე დიდის თანახმად, ერთი და იგივე ქმედება, ერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს ცოდვა და მეორე შემთხვევაში - ღვთის სათნო საქციელი. ამის მაგალითად ის ასახელებს გამრავლების ბუნებრივ წესსა და მრუშობას, ასევე, კაცის კვლის ცოდვასა და ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის მოკვლას, რომელიც გმირობად მიიჩნევა. ათანასე დიდი ხსნის, თუ როგორ შეიძლება იყოს ერთი და იგივე ქმედება, ერთი მხრივ, სჯულიერი, ხოლო მეორე მხრივ - დანაშაული.

ამის შემდეგ წერილის ავტორი საუბრობს ცხოვრების ორ წესზე: ქორწინებასა და ქალწულებით მოსაგრეობაზე. ამ უკანასკნელს იგი ზემთასოფლის მდგომარეობას უწოდებს, თუმცა, აქვე შენიშნავს, რომ იგი ფიცხელი და ძნელად წარსამართებელი გზაა დამწყებთათვის. ათანასე დიდის სწავლებით, ღვთისთვის სათნოა ორივე გზა - ქალწულებაცა და ქორწინებაც, თუმცა, მისივე შენიშვნით, უპირატესია მეორე, რომლის ნაყოფიც ასეულია, ხოლო პირველისა - ოცდაათეული.

წერილის ბოლოს ათანასე დიდი შესთხოვს ამონას, რომ მისდა რწმუნებულ სამწყსოს წარუძღვეს წმინდა წერილის შესაბამისად: „ხოლო შენ განამტკიცებდ, ჰოი მამაო, შენდა რწმუნებულსა სამწყსოსა, სამოციქულოთა მიერ ჰლოცევდ, სახარებისათა მიერ ჰმართებდი და ფსალმუნთა მიერ ასწავებდი და ეტყოდე: „მაცხოვრე მე სიტყვისაებრ შენისა“. ურჩევს, გაწმენდილი გულით ემსახუროს უფალს და მოწაფეთაც გულის ამგვარი მდგომარეობისკენ მოუწოდოს. სთხოვს, დაიცვან უცდომელი სარწმუნოება, თავი შორს დაიჭირონ ბოროტისაგან და ავხელოვნებათა მიმდევრობით ამაოდ არ დაშვრნენ. ასეთ მამათა ღვაწლს გამოცდილი ასკეტი ცუდადმაშვრალობას უწოდებს.

ასეთია ძირითადი დედააზრი იმ ეპისტოლისა, რომელსაც ათანასე დიდი ამონა მონაზონს უგზავნის.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამგვარი მიმოწერა უცხო არ იყო იმ პერიოდის ასკეტთა შორის, მით უმეტეს, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო, ისინი ხშირად ფიზიკურად ერთმანეთისგან შორს იყვნენ. ამგვარი მდგომარეობა განპირობებული იყო იმ ეპოქის რელიგიური კატაკლიზმებითა თუ ცხოვრების განსაზღვრულ ჟამს მარტომყოფობის წადილით. ესაა ეპოქა არიოზის ერესის მომძლავრებისა, მართალი აზრის შევიწროებისა და დევნისა, რომლის მიმდევარნიც ხშირად წლობით ციხის საკნებში და მიუვალ ადგილებში შეფარებულნიც არ წყვეტდნენ ბრძოლას. სავსებით შესაძლებელია, რომ აღნიშნული ეპისტოლით ათანასე დიდი ურჩევს და აფრთხილებს ამონას, დაიცვას სამწყსო ასეთი საცთურისგან. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ ათანასე დიდი პასუხობს ამონა ნიტრიელის გამოგზავნილ შეკითხვებს, რომელიც მონასტრული ცხოვრების ყოველდღიურ ყოფაში იჩენს თავს.

ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებენ ის კითხვა-მიგებანი, რომლებიც დართული აქვს თხზულებას, რომელიც ცნობილია, როგორც „ამონაჲს სიტყვაჲ“. როგორც შევნიშნეთ, ურთიერთობის ამგვარი ფორმა მიღებული იყო ეგვიპტურ სამონასტრო ტრადიციაში და ამ

გზით მოღვაწენი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებებს. ხელნაწერს ახლავს „შეისწავენი“. კერძოდ, იქ, სადაც ათანასე დიდი დაქორწინებულებისა და ქალწულების შესახებ საუბრობს, იქვე ვკითხულობთ: „შეისწავე ოცდაათეულად უკუე ქორწინებულთათვის, ხოლო სამოციულნი და ასეულნი - ანგელოზებრისა ქალწულებისა მომგებელთათვის“. ასევე, მეორე შენიშვნა აქვს დართული ეპისტოლის იმ მონაკვეთს, სადაც წმინდა წერილის შესაბამისად ცხოვრებაზე საუბარი და დამოწმებულია ფსალმუნიდან ციტატით: „მაცხოვრე მე სიტყვისაგებ შენისა“. „შეისწავე შუენიერი თარგმანებად მეფსალმუნისაგან თავისა თვისისათვის“.

აღნიშნული შენიშვნები, შესაძლებელია, ქართველი მთარგმნელისა იყოს, ანდა იმ ტექსტს ახასიათებდეს, საიდანაც თარგმნის.

დიდი სჯულისკანონში შემავალ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარულ კანონმდებლობათა შორის, როგორც შევნიშნეთ, კიდევ ერთი ეპისტოლეა, რომლის ადრესატიც ამონაა, თუმცა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, არის თუ არა იგი კონკრეტულად ჩვენ მიერ განხილული ეპისტოლეების ავტორი. აღნიშნული ეპისტოლე ათი მუხლისგან შედგება. მასში განხილულია საეკლესიო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამათგან პირველი მუხლი ეხება არიანელებთან ურთიერთობას. აღნიშნული მუხლის თანახმად, ავტორი წმინდა თეოფილე ალექსანდრიელი¹ მოუწოდებს ადრესატს, ვინც ერთობაშია არიანელებთან და დღემდე განაგებენ ეკლესიებს, მოექცნენ ისე, როგორც წესია: ასეთთა ნაცვლად უნდა დაადგინონ სხვები, ვისი მართლმადიდებლობაც დადასტურებულია. მას მოჰყავს თეზაიდელი მართლმადიდებელი ეპისკოპოსების მაგალითი და ურჩევს ადრესატს, ამგვარი დამოკიდებულებით მიჰბამონ მათ.

ეპისტოლის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლებში, წმინდა კრების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, საუბარია იმ სასულიერო პირთა განკვეთის შესახებ, რომელთა დანაშაული (დედაკაცზე ძალადობა, სიმკვა) მხილებულ იქნა მათი ხელდასხმის შემდეგ.

ეპისტოლის მეექვსე მუხლი ეხება ხელდასხმის საკითხს. აღნიშნული მუხლის თანახმად, ხელდასხმა არ უნდა მოხდეს ფარულად, არამედ სამღვდელო დასმა ერთად უნდა გამოთქვას თანხმობა და ეპისკოპოსმა ხელდასხმა უნდა აღასრულოს ეკლესიაში მყოფი ერის წინაშე. მან უნდა მიმართოს იქ მყოფ ერს, ეთანხმება თუ არა ხელდასხმას.

მეშვიდე მუხლის თანახმად, სამსხვერპლო ძღვენი საიდუმლო მსახურებისთვის საკმარისის შეწირვის შემდეგ უნდა გაინაწილონ მხოლოდ ძღვენებმა და მორწმუნე ძმებმა.

მერვე მუხლი კვლავ ეხება იმ საკითხს, რომელსაც მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლებზე საუბრისას შევეხეთ. აღნიშნული მუხლის თანახმად, სიმკვის გამო მხილებული იერაქსი არ უნდა დარჩეს სამღვდელო დასში.

მეცხრე მუხლი ეხება ახალი ეკონომოსის დადგენის საკითხს, ხოლო მეათე მუხლში საუბარია ქვრივების, გლახაკებისა და უცხო მოგზაურებისათვის დახმარების შესახებ. აქვე ხაზგასმულია, რომ ღვთისმსახურს არ აქვს უფლება, მითთვისოს ეკლესიის ქონება და არ შეიძლება, რომ ის ვერცხლისმოყვარე იყოს.

აღნიშნულ ეპისტოლეში მოხსენიებული არიან თეოფილე ალექსანდრიელისა და ამონას თანამედროვე კონკრეტული ისტორიული პირები, რომელთაც ესა თუ ის მუხლი მიემართება. ესენი არიან: აპოლონ ეპისკოპოსი, ვინმე სური, ლვიკოში დიაკვნად დადგენილი პანუფი და წიგნისმკითხველი იაკობი. ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით ხშირად გვხვდება აპოლონ ეპისკოპოსი. ეპისტოლის ავტორი ადრესატს ურჩევს ამა თუ იმ საეკლესიო კანონდარღვევის შემთხვევაში აქცენტი სწორედ აღნიშნულ ეპისკოპოსთან მიმართებაში გაამახვილოს.

საეკლესიო მამათა ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ამონასადმი მიძღვნილი წერილები გვაძლევენ ამგვარი დასკვნის გამოტანის საშუალებას:

1 წმ. თეოფილე ალექსანდრიელი, ალექსანდრიის საპატრიარქოს მწყემსმთავარი 385-412 წწ. მისი მმართველობის პერიოდი გამოირჩევა განსაკუთრებული დამაბული ურთიერთობით ქრისტიანებსა და წარმართებს შორის.

ღირსი ამონა მონაზონი, ანტონი დიდის მემკვიდრე და გამოცდილი სულიერი მამა, რომელიც, ზოგიერთი ხელნაწერის მონაცემების მიხედვით, ეპისკოპოსადაც იქნა ხელდასხმული, წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ფიგურას ალექსანდრიაში. იგი იყო, ერთი მხრივ, გამოცდილი მწყემსი და მწიგნობარი მამა, ამავე დროს, აქტიურად იყო ჩაბმული იმ ეპოქის საეკლესიო ცხოვრებაში, იგი დაახლოვებული ჩანს ისეთ დიდი საეკლესიო ავტორიტეტებთან, როგორებიცაა: ათანასე დიდი და თეოფილე ალექსანდრიელი. აღნიშნული ეპისტოლეებიდან გამომდინარე, ამონა მონაზონი, როგორც ჩანს, წერილობით უგზავნის უმაღლეს მწყემსმთავარს, პატრიარქს, იმ უმნიშვნელოვანეს შეკითხვებს, რომლებიც ეხება როგორც ერეტიკოსებთან ურთიერთობის საკითხებს, ასევე საკუთრივ მის ეპარქიაში მოღვაწე ამა თუ იმ სასულიერო პირის პრობლემას და უმაღლეს იერარქთან შეთანხმებით წყვეტს საეკლესიო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იცავს იერარქიას და საეკლესიო კანონებს.

ტექსტისათვის

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია ორი ხელნაწერი K 17 და K 25. ორივე განეკუთვნება XIII საუკუნეებს. ათანასე დიდის წერილი ამონა მონაზვნისადმი დაცულია ორივე ნუსხაში¹. K 17-ში აღნიშნული წერილი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 309 v-312 r, ხოლო K 25-ში - 241v-243 r-ზე. ისინი ერთმანეთის ვარიანტებია, პირობითად აღვნიშნეთ A და B ლიტერებით. პირველ ნუსხაში აღნიშნული წერილი წარმოდგენილია სრულად, ხოლო მეორეში გამოტოვებულია ერთი გვერდი, რაც მივუთითეთ კრიტიკულად დადგენილი ტექსტის სქოლიოში.

A-ში ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი დაწერილია მკრთალად, მათ გარკვევით წაკითხვაში დაგვეხმარა B ნუსხა. აღნიშნულ ნუსხაში უშუალოდ ტექსტში რამდენიმე ადგილას ჩართულია „შეისწავე“, რომელიც ჩამოვიტანეთ სქოლიოში. აღნიშნული „შეისწავენი“ არ არის მეორე ნუსხაში.

მეორე ეპისტოლე - თეოფილე ალექსანდრიელის მოსაგსენებელი, რომელიც მიიღო ამმონ ლავროსთვის - გადმოვიღეთ K 25 ნუსხიდან. იგი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 288v - 289 v. დაყოფილია 10 თავად და თითოეულ თავს აქვს ძველი პაგინაცია. ტექსტი იკითხება გარკვევით, შენიშვნები ჩავიტანეთ სქოლიოში. აღნიშნულ ეპისტოლეებს წარმოვადგენთ დანართის სახით.

¹ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტომი I, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედ. კ. კველიძე, თბ., 1953.

დანართი¹

309vA

1. / ეპისტოლე წმიდისა ათანასისა ამმონის² მიმართ მონაზონისა

ყოველნივე უკუწ წმიდა და კეთილ არიან დაბადებულნი ღმრთისანი, რამეთუ 5
 არარად უტმარი ანუ თუ არაწმიდად შეუქმნიეს სიტყუასა ღმრთისასა, რამეთუ ქრისტეს
 სულნელებანი ვართ ცხოვნებულთა მათ შორის, მოციქულისა პავლესებრ*. ხოლო
 ვინადთგან თითოფერ და მრავალსახე არიან ისარნი ეშმაკისანი და უმარტივესთა ცნო-
 ბითა ისწრაფის აღშფოთებასა და მაყენებულ ექმნების ჩუჭულელებისაებრსა მოღუაწე-
 ბასა ძმათასა შთათესვითა მათდა გულისსიტყუათა შეგინებისა და არაწმიდებისათა, 10
 მოვედ და მცირედთა სიტყუათა მიერ საცთური ბოროტისა გამოვაცხადოთ მადლითა
 მაცხოვრისა ჩუენისადათა და მარტივნი ცნობითა განვაკრძალნეთ.

ყოველნივე უკუწ წმიდა არიან წმიდათათვს, ხოლო არაწმიდათა სუნდისიკა
 და ყოველნივე შეგინებულ არიან** და მრავალღონე ეშმაკისა მანქანებანი, რამეთუ
 ხრწნილებისა და წარწყმედისა მიზეზთა გულისსიტყუათა დასთესავს, რომელნი 15
 რეცა სიწმიდისად საგონებელ იყვნენ. და ამას ჰყოფს შეტყუვილით უფროდს, ვიდრე
 პირისპირ კუჭთებით, რამეთუ რადთა მოსწყვდნეს და განაყენნეს მოღუაწენი, ვი-
 თარ-იგი პირველცა ვიტყოდეთ, სათანადოდსა და საცხორებელისა წურთისაგან,
 ესევითართა რათმე აღსძრავს ძიებათა მათ შორის, რომელნი ვერარას შემოიღებდენ
 საჭმარსა ცხორებისასა, არამედ ცუდთა რათმე და ურგებთა ცილობათა და მოზრახვათა, 20
 რომელთადა ჯერ-არს თანაწარჯდომად და უგულვებელსყოფად.

310rA

რამეთუ /მითხარ, ჰოი საყუარელო***/ და განკრძალულო, რადთა ცოდვად ანუ
 242rB არაწმიდებად აქუს ბუნებითსა რასმე განჯუმევასა, ვითარ-იგი ინებოს თუ ვინმე ბრა-
 ლად სახელისდებად ცხვრთაგან გამომავალისაცა ნჯკრისად და პირისამიერთა ნერწყუა-
 თად? ამას თანა მუცლითთაცა განჯუმევათად, რომელნი სიცოცხლისა მიმართ საჭიროდ 25
 ეკმარებიან ცხოველსა. მერმეცა უკუეთუ საღმრთოთა ჰელთა საქმედ გურწამს კაცი
 წმიდისა წერილისაებრ, ვითარ შესაძლებელ იყო წმიდათა ჰელთაგან ქმნად საქმისა
 რადმე ბიწიანისად და უკუეთუ ნათესავი ღმრთისა ვართ წიგნისაებრ სამოციქულოთა
 საქმეთადას****, არარად გუაქუს თავთა შორის თვსთა არაწმიდად, რამეთუ მხოლოდ
 მაშინ ოდენ შევიგინებთ, რაჟამს სულსაძნაურსა ვმოქმედებდეთ ცოდვასა. ხოლო 30
 ოდეს ბუნებითი რადმე და უნებელი განჯუმევა იქმნების, მაშინ საჭიროობად ბუნე-
 ბისად სხუათა მათ პირველმოკსენებულთა თანა შევჰრაცხოთ³ იგიცა.

გარნა ვინადთგან წადიერნი ვინმე მხოლოდ წინააღმდეგომად ოდენ მართლიად
 თქუმულთა, უფროდსა ღმრთისა მიერ ქმნილთა, შემოიღებენ სიტყუასაცა სახარე-
 ბისასა, ვითარმედ: „არა შემავალნი შეაგინებენ კაცსა, არამედ - გამომავალნი*****“. 35

საჭირო არს, რადთა ესეცა მათი პირუტყუჭბად⁴, რამეთუ არა ვთქუა, ვითარმედ
 ძიებად მხილებულ-ვყოთ, რამეთუ პირველად უკუწ წერილთა უსწავლელობისაებრ
 თვსისა, ვითარცა დაუმტკიცებელნი, ჰმძლავრობენ. ხოლო ესრეთ იტყვს საღმრთოდ
 242vB სიტყვად, არამედ კუალად სხუანი ვინმე მსგავსად ამათსა ჰამად*****/თათვს იჯუმევენ

40

1 დანართის სახით წარმოვადგენთ იმ ორ ეპიტოლეს, რომელიც ამონას მიემართება და რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. აღნიშნული ეპისტოლეები გადმოვწერეთ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ორი ნუსხიდან, კერძოდ, K 17 და 25-დან. 2 ამონის B. 3 ამ სიტყვაში A ნუსხაში 3 ჩამატებულია ზემოდან. 4 პირუტყუებად B.

* II კორ. 2,15. ** ტიტე 1,15. *** B-ში , ამ გვერდის დასაწყისში, წერია ნუსხურად: ამმონის მიმართ. **** შდრ.: საქმე 17,28.***** შდრ.: მათ. 15,11. ***** B-ში ამ ადგილას ქვემო კიდეზე მხედრული ასოები: სმდ. ახალი გვერდის დასაწყისში კიდეზე კი ნუსხურად წერია ათანასი.

თანამოსაჯულად სიტყუასა ამას, რომელთასა თვთ თავადივე დაჰქსნის უმეცრებითსა ცილობასა და განაქიქებს საცთურიანსა გულისწმისყოფასა, იტყოდის რად, ვითარმედ: „არა შემავალნი შეაგინებენ კაცსა, არამედ - გამომავალნი“.

310vA ამისსა შემდგომად/ზედა - დაჰრთავს, თუ ვინადაგამომავალნი, ცხად არს, ვითარმედ გულისაგან, რამეთუ მუნ მეცნიერ არს ყოფასა ბოროტთა საუნჯეთასა, რომელ არიან 5 ვნებულნი გულისსიტყუანი და სხუანი ცოდვანი. ხოლო უშემოკლებულესადრე ამისივე მასწავლელი მოციქული ჯმობს, ვითარმედ: „ჭამადმან ჩუენ არა წარმადგინნეს ღმრთისა“*, თქუას უკუჴ ვინმე აწ სამართლად ესეცა, ვითარმედ ბუნებითმან რამანმე განჯუმეგანმან ჩუენ არა წარმადგინნეს დასასჯელად, არამედ ყრმათაცა მკურნალთასა სიტყუა-უგონ ამისთვს, რადთა ნუუკუჴდა გარეშეთად სადმე არწმუნონ, 10 ვითარმედ ცხოველისადა მიცემულ არიან საჭირონი რამე განსავალნი, სადათ-იგი განითხევიან თითოეულთა ასოთა ჩუენთა ზრდისა ნამეტნავნი, ვითარ-იგი თავისა ნამეტნავნი თმანი და თავისა სინოტიით შთამომავალნი ბიწნი და მუცლისა ნადნობნი საზრდელთანი, რომელთა ნამეტავ არს თესლოვნებითთაცა დინებათა სინოტიე, რად უკუჴ შეცოდებად არს ღმრთისაჲ, ჰოი ღმრთისმოყუარეო მოხუცებულო, და 15 განმწარებად შემოქმედისაჲ, უკუეთუ შექმნულსაჲ მისსა ცხოველსა სათნოყოფითა

243rB მეუფისაჲთა¹ ამათ აწ მოქსენებულთა ასოთანი ესე ვითარნი**/ჰქონან განსავალნი, 272vA ვინადათგან უკუჴ მხილებულყოფად სათანადო არს ბოროტთა წინააღმდეგომობისაჲ.

ვთქუათ სადამე ესეცა, ვითარმედ არა ცოდვა არს, არცა ჰუმმარიტი ჯუმევაჲ, უკუეთუ დამბადებელისა მიერ შექმნულ არიან ორღანონი იგი და ნუუკუჴდა 20 კითხვისსახედ მრქუან მათ ამისთვს, რომელსა იტყვ ჯუმევასა სჯულიერსა, რომელი ღმერთმან უბრძანა, ჰრქუა რად: „აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქუეყანაჲ****“, რომელი მოციქულმანცა შეიწყნარა და თქუა: „პატიოსან არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელ*****“ და არა პარულსა მას ბილწსა და მემრუშეობით 311rA ქმნილსასა,/***** ვინადათგან სხუათაცა ცხორებასა ამას შინა ქმნილთა განყოფილებაჲ 25 უწყითქმნისაჲ, ვითარ-იგი უჯერო არს კაცისკლავად, არამედ ბრძოლასა შინა მოწყულსაჲ და წინააღმდეგომთაჲ სჯულიერ***** არს და ქებისა ღირს არს. ამისთვს პატივთაცა დიდთა ღირს იქმნებიან ბრძოლათა შინა მკნედ გამოჩინებულნი იგი და ძეგლნი სახელსა ზედა მათსა აღემართებიან ქადაგნი წარმართებათა მათთანი.

აწ უკუჴ ვითარცა სახედ აქა ერთი და იგივე საქმე რომლისაჲმე პირისათვს და 30 რომელსაჲმე ჟამსა უჯერო არს, ხოლო რომლისაჲმე პირისათვს და რომელსაჲმე ჟამსა შენდობილ არს და საქებელ, ეგრეთვე არს თანაყოფისაცა ესე საქმე.

ნეტარ არს უკუჴ, რომელმან სიყრმესა აღიღოს უღელი და შვილთსხმისა მიმართ თავისუფლებით იჯუმისო ბუნებაჲ. ხოლო უკუეთუ ბილწი იგი მეძავთა და მემრუშეთაჲ შეიტკბოს ცხორებაჲ, მოციქულისა მიერ დაწერილი იგი სატანჯველი 35 მიელის უცილობელად, რამეთუ ორნი გზანი არიან ცხორებასა ამას შინა: ერთი - უკუჴ ზომიერი და მსოფლიოჲ, ქორწინებისასა ვიტყვ, ხოლო მეორე - ანგელოზებრივი და ზესთა სოფლისაჲ, რომელ არს ქალწულებისაჲ, რომელთა შორის უკუეთუ ვინმე სოფლიოჲ იგი და ქორწინებისაჲ აღირჩიოს, საბრალობელ უკუჴ არა არს, ხოლო ეგოდენტა მადლთა სიმდიდრესა ვერ მიემთხუჴვის, არამედ მიემთხუჴვისვე, 40

1. მწუფისაჲთა B.

* იგივე. ** კორ. 8,8. *** B-ში ამ გვერდიდან წყდება თხრობა [ჰქონან განსავალნი...აღძვრიდეს მე] - B. გრძელდება აღნიშნული წერილის ბოლო მონაკვეთი. **** შდრ.: დაბ.1,28. ***** შდრ.: ებრ. 13, 4. ***** ამ გვერდის ზედა კიდეზე, გვერდით, ძველი პაგინაციაჲ მა. ასევე წერია მხედრული სიტყვა ნიჭისა ამავე გვერდის ზედა კიდეზე A. ***** ამ სიტყვაში რ ჩამატებულია.

- ვინაიდან იგიცა გამოიღებს ნაყოფსა ოც და ათეულსა.* ხოლო უკუეთუ ვინმე უბი-
წოდ და ზესთა სოფლისად შეიტკბოს, დაღათუ ფიცხელ ახლად დამწყებელთათჳს
311vA და ძნიად¹ წარსამართებელ არს გზად, გარნა ჰქონან/ მადლნი ყოვლადსაკრველნი,
რამეთუ სრული ნაყოფი ასეულისად ადაყუავილა, ვინადცა არაწმიდათა და ბოროტთა
ძიებათა მათთა ეგერა თჳსი აღჴსნა მიიღეს [პირველ]ვე სადმე კეთილად აღჴსნით 5
განმარტებული საღმრთოთა წერილთა მიერ. ხოლო შენ განამტკიცებდ, ჰოი მამაო,
შენდა რწმუნებულსა სამწყსოსა, სამოციქულთა მიერ ჰლოცვიდე, სახარებისათა მიერ
ჰმართებდი და ფსალმუნთა მიერ ასწავებდი და ეტყოდე: მაცხოვრე მე სიტყვსაებრ
შენისა*. ხოლო სიტყვა მისსა არს განწმენდილითა გულითა მსახურებად მისი**,
რამეთუ ესე უწყოდა საღმრთომან მან წინაწარმეტყუელმან და ვითარცა თავისა 10
თჳსისა მთარგმანებელი იტყოდა: „გული წმიდად დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო***,
რადთა არა მწიკულევანნი გულისსიტყუანი აღმაშფოთებდენ მე“. და კულად იტყვს:
„და სულითა მთავრობისადთა დამამატკიცე მე****“, რადთა დაღათუ გულისსიტყუანი
ოდესმე აღმძვრიდენ მე, ძლიერი***** შენმიერი ძალი², ვითარცა ხარისხი რადმე,
განმამტკიცებდეს. 15
- ამათ უკუჴ და ესევეითართა მასწავლელი იტყოდა³ მათდა მიმართ, რომელნი
მყოვარ სადმე ირწმუნებდენ ჰემმარტებასა: „ვასწავლნე უმჯულოთა გზანი
შენნი*****“ და მინდობილ იყავ უფლისა მიმართ, ვითარმედ არწმუნო მათ განყენებად
ეგევითარისა მის სიბოროტისაგან და გალობდ: და „ღმერთონი შენდა მოიქცენ*****“.
ხოლო ეყავნ ბოროტად ჩუჴულებით და ჰავჯელოვნებით უკუჴ მეძიებელთა დაცხრო- 20
მად ეგევითარისა მის ცუდმაშურალობისაგან, ხოლო კეთილ ჩუეულებით მოქალაქეთა
სულითა მთავრობისათა⁴ განმტკიცებად. ხოლო რადდენტა დამტკიცებით უწყიან
312rA უცთომელი ჰემმარტებად და უჴსნელად და შეურყეველად გებად მას ზედა. ქრისტეს/
იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა მამასა დიდებად და სიმტკიცე სულით
წმიდითურთ უკუნისამდე, ამინ. 25

1. ძინად K. 2. ~ძალი შენმიერი B. 3. იტყოდე B. 4. მთავრობისადთა B.

* ხელნაწერის ამ ადგილას უშუალოდ ტექსტში ვკითხულობთ: **შეისწავე** ოცდაათეული უკუჴ ქორწინებულთათჳს, ხოლო სამოციქულნი და ასეულნი ანგელოზებრისა ქალწულებისა მომგებელთათჳს. ** **იხილე** შუჭიერი K. *** ხელნაწერის ამ ადგილას უშუალოდ ტექსტში ვკითხულობთ: **შეისწავე**: შეუნიერი თარგმანებად მეფსალმინისაგან თავისა თჳსისად K. **** ფს. 50,10. ***** ფს. 50,11. ***** B-ში აქედან გრძელდება თხრობა. ***** ფს. 50, 12. ***** ფს. 50,12.

288v

2. თეოფილე ალექსანდრიელის მოსაქცენებელი, რომელი მიიღო ამმონ ლჯკოსთვს/*

თავი ა - მათთვის უკუწ, რომელნი ეზიარნეს არიანოზთა თანა და ვიდრე აქამომდე უპყრიან ეკლესიანი, ვითარცა არს წესი, იქმენინ ეგრეთ. ხოლო არს წესი ესრეთ, რადთა 5 სხუანი წამებულნი მართლმადიდებლობასა ზედა დაადგინნენ ნაცვალად მათსა და იგინი გარდაიდგინნენ. ხოლო ეგრეთ განგებულ იქმნენ იგინიცა, ვითარ-იგი სხუათა ქალაქთა შინა უქმნიეს თეზაიდელთა მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთა.

ხოლო რომელნი-იგი აპოლონიოსის მიერ დადგინებულ იქმნეს ეპისკოპოსისა და ეზიარნეს მქონებელთა ეკლესიათასა არიანოზთა, განიკანონნენ. უკუეთუ ნებითა 10 თვისითა ექმნას მათ ესე, ხოლო უკუეთუ შედგომითა თვისისა ეპისკოპოსისადათა ექმნას, თავისუფალ არიან, ვითარცა არამეცნიერნი უმჯობესისანი. და უკუეთუ ყოველი ვიდრემე ერთი თანა-შეეწოდის მათ, შემდგომად სხუათასა ჯელდასხმულ იქმნენ სხუანი. ხოლო უკუეთუ წინა-აღუდგებოდის მათ ერთი, ესენიცა ეგრეთვე განიკითხნენ მათ თანა, რომელთა ზიარება დაედვა ბრალად ჩუჭულებისა მისებრ, რომელი 15 იკუმის ყოველთა მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთა თეზაიდელთა.

თავი ბ - ერვის შინა დადგინებულისა მისთვის მაიძულელებისა ხუცისა გამოიძიებოდედ. და უკუეთუ სიცოცხლესა ვისმე ქმრისასა აიძულა, ნულარა ფლობილ იქმნების იგი მდდებლობად, ვინადათგან არცა ვითარცა ერისკაცისაა ჯერ-არს მისი შეწყნარებად 289v ეკლე/**სიისაგან, რომელსა ჩუჭულებად აქუს განყრად ეგევითართად, არცა თავს- 20 იდებს ამას განჩინებისაებრ ეპისკოპოსისა აპოლონიოსისა, უკუეთუ მან უმეცრებითა თვისათა დაადგინა, ვინადათგან წმიდად კრებად ბრძანებს, რადთა უღირსთა, რომელთა შემდგომად ჯელთდასხმისა ემხილოს ბრალი უღირსებისა, განიჯადნენ იგი.

თავი გ - ხოლო სურისთვის, ვინადათგან ეპისკოპოსმან აპოლონი დაამტკიცა განდევენილობად და სამდდელოდსა დასისაგან უცხოქმნილობად მისი, იყავნ ეგრეთ, ვი- 25 თარცა განაჩინა ეპისკოპოსმან. ხოლო იკუმინედ მან თავისა სამართლებელნი სიტყუანი, უკუეთუ ჰნებავს და აბრალებს რასმე განჩინებასა ეპისკოპოსისა აპოლონიოსისა.

თავი დ - ხოლო პანუფისთვის, ლჯკოს შინა დადგინებულისა დიაკონისა იძიებოდედ და უკუეთუ იპოოს იგი ჯერეთ კათაკუმეველობასავე შინა თვისსა ქორწინებით მიმ- 30 თხოველად დობილისა თვისისა და შემდგომად ნათლისღებისა მიმღებელად სამდ- დელოსა დასსა შინა დაწესებისა, ეგენ იგი მწყობრსა მას შინა, აღსრულებულ არს თუ მეუღლე მისი და შემდგომად ნათლისღებისა არა შეყოფილ არს მისდა, ხოლო უკუეთუ მორწმუნეყოფასა შინა ზიარად ქორწინებისა¹ მიიყვანა დობილი თვისი, უცხო იქმ- 35 ნენ იგი მდდებლობისაგან, რამეთუ არა დასჯის ესე ეპისკოპოსსა აპოლოს, უკუწეთუ უმეცრებით დაადგინა იგი.

თავი ე - იაკობისთვის იკითხე, უკუეთუ წიგნისმკითხველობასა შინა რად იყო, ბრა- 289v ლი სიძვისა²/** ემხილა და ხუცესთა მიერ განიხადა. ამისსა შემდგომად ჯელთდა- სხმულ იქმნა. ესე განიხადენ გამოწუ[ლ]ილვითისა ძიებისა ქმნითა და ნუ ჩურჩნათა რათმე და ძვირისზრახვათა იჭუნეულობისა [მას] ზედა დამტკიცებითა. ხოლო

1 ქორწინებისა - ამ სიტყვაში ზემოდან ჩამატებულია ა და ასე იკითხება **ქორწინებას**. 2 სიტყვაში **სიძვისაა** ჩამატებულია.

* მისივე K25 (გადმოწერილია ამავე ქუთაისური ხელნაწერიდან K25). ** ამ გვერდის ზემოთ კიდეზე წერია **ამმონ**. აქვე გაურკვეველად წერია მხედრულად **შყლა**. ქვემოთ კიდეზე კი წერია **თავი** ნუსხურად, ხოლო მხედრულად - **სჟა**. *** ამ გვერდის ზემოთ კიდეზე წერია **ამმონ**, ხოლო ქვემოთ რიცხვი 77 და **ლნ**, სავარაუდოდ, ძველი პაგინაცია. ქვემოთ კი იკითხება ცუდად: **სამოციქულომან** განაჩინა. ამავე გვერდზე, მარცხენა კიდეზე, არის ჭვირნიშანი სინგურით და ზედ წარწერაა, რომელიც არ იკითხება.

უკუეთუ არა იპოოს თანამდებად ბრალისა, ეგენ იგი მღდელთავე თანა, რამეთუ არა ჯერ-არს ამაოთა შესმენათა მიყოლა.

თავი ვ - რომელთა-იგი ეგულეზოდის მიღებაჲ კელთდასხმისაჲ, ესრეთ განწესებულ არს მათთვის, რადთა ყოველმანვე სამღდელომან მწყობრმან ერთკმობით წამოს და ეგრეთ ეპისკოპოსმან განაჩინოს. და თანაწამებითა მისდა სამღდელოჲსა მწყობ- 5 რისაჲთა კელნი დაასხნეს შორის ეკლესიისა მუნ მდგომარეობასა ერისასა და ჯმობასა ეპისკოპოსისა მიმართ, უკუეთუ ძალ-უც ერსაცა წამებაჲ მისი, ხოლო კელთდასხმაჲ ფარულად ნუმცა იქმნების, რამეთუ მშჯდობისა ქონებასა შინა ეკლესიათასა და შიშთაგან თავისუფლებ[ასა] ესრეთ შეჰკავს, რადთა მუნ ყოფასა წმიდათასა ეკლესიისა შორის იქმნებოდის კელთდასხმანი, ხოლო სამრემლოთა შინა უკუეთუ ზიარებულნი 10 ვინმე იყვნენ უზიარებელთა სათნოყოფისანი, ნუმცა სხუზბრ კელთდასხმულ იქმნებიან [თუი]ნიერ, რადთა ჭემმარიტ[ებით] მართლმადიდებელთა მოყუასთა განიხილონ მათთვის კუალადცა თანადახუდომითა ეპისკოპოსისაჲთა და მუნ მდგომარეობითა ერისაჲთა, ვითარ-იგი პირველ ვიტყოდეთ, რადთა არა თანაწარსლვით რადმე იქმნას.

თავი ზ - სამსხუერპლოდ მოჯუმულთა ძლუენტაჲ შემდგომად შეწირვისა მათისა 15 290r რაოდენნი კმა - ეყოფვიდინ საიდუმლოსა მსახურებასა, მღდელთა მიერ/* ჯერ-არს განყოფად და ნუმცა ჭამენ, ანუ სუმენ მისგან კათაკუმეველნი, არამედ უფროსლა მღდელნი და მათ თანა მორწმუნენი ძმანი.

თავი ლ - ვინაჲთგან უკუჲ იერაქს, ვითარცა სიძესათვს შესმენილსა, არა უღირდა სამღდელოსა დასსა შინა ყოფად, ხოლო ეპისკოპოსმან აპოლონ წამა, ვითარმედ არავინ 20 შემასმენელი შორის შემოსრულ არს, მაშინ დამსჯელად მისსა, გამოძიებულ იქმენინ მისთვის ესრეთ და უკუეთუ ღირსი ვინმე რწმუნებისა შემასმენელი გამოჩნდეს და ბრალსა მას გამოაჩენდეს მოყვანებითა რწმუნებისა ღირსთა მოწამეთაჲთა, ეკლესიით განიკადენინ. ხოლო უკუეთუ ღირსი არს სამღდელოჲსა დასისაჲ და წამებულ სიწმიდესა ზედა, ეგენ იგი მას შინა. 25

თავი თ - რადთა თანა სათნოყოფითა ყოვლისა სამღდელოჲსა დასისაჲთა სხუად ეკონომოსი გამოჩნდეს, რომლისა თანა ჯერმჩინებელ იყოს ეპისკოპოსიცა აპოლო საჯმართა ეკლესიისათა ჯეროვანთა საქმეთა ზედა წარგებისათვს.

თავი ი - ქურივნი და გლახაკნი და თანაწარმავალნი უცხონი ყოვლისავე განსუწმენებისა მიმღებელ იყვნედ და ნუმცა ვინ მიიხუამს თვსად საჯმართა ეკლესიისა- 30 თა, რამეთუ ვეცხლისუყვარულებაჲ უკმს მათ, რომელთადა სამღდელოდ მსახურებაჲ ღმრთისაჲ რწმუნებულ იყოს.

* ამ გვერდის ზემოთ, მარჯვენა კიდეზე წერია თავი ა, ზემოთ კი - ლავკიოსთვის.

Ammon – Epistle Author

Some Biographical Information and A Few Theological Topics

One of the most important components of ascetic literature are epistles, spiritual teachings containing the wise counsel of experienced desert monks and abbots. They have been created and arranged through some specific principles. The epistles represent authentic sources, because in comparison to other sources they contain some accounts presented by the epistle author before an addressee. These epistles are frequently based on anonymous oral sources. Through these letters, the reader becomes acquainted with the spiritual pastor, his relationship with his spiritual children, and finds out how the spiritual father shares his ascetic life experience with them. These are immediate, direct teachings transmitted without any intermediary, this is monastic epistolary literature bringing to life before the reader's eyes the earliest era of ascetic life. A living image of 4th century Egyptian asceticism is painted in these epistles. Because of this, the theological letters of the holy fathers belong to the oldest, and simultaneously, most important literary heritage reflecting the monastic life of Egypt.¹

Having been created in the environment of early Christian Egypt, the authors of these letters are Anthony the Great, the founder of the eremitic life, and Ammon of Nitria, one of his disciples. Despite them being active within a single epoch, there are many significant differences in the overlapping areas of their epistolary heritage. These disparities are primarily expressed in Anthony the Great's letters touching more upon philosophical aspects, when the essence of Ammon's epistles is simpler and apocalyptic issues are more pertinent.²

The spiritual epistles associated with the name of Blessed Ammon and created at the dawn of monastic life are worthy continuations of the ascetic letters of Anthony the Great, the founder of the monastic life. It has long been the interest of scholars as to which Ammon active during this epoch is the author of these epistles. According to some sources, Ammon the Monk was the foremost disciple of Anthony the Great.³ There is a hypothesis that it was really him who wrote down the sermons orally delivered by Anthony. Their philosophical, theological exhortations complement each other and provide us with quite significant information for studying Egyptian monastic theology. Both these fathers' epistles are dedicated primarily to the monastic communities of Scetis, Nitria, and Pispir founded by them.

It seems our manuscript is also characterized by this influence of the Greek language, where location adverbs are frequently used as locative preverbs. Later on, however, there is no sign of their influence in secular literary works.

წინაშე, თანა, ზედა postpositions:

In St. Ammon's epistles, primarily the norms of Old Georgian are followed when using the postpositions წინაშე, თანა, and ზედა. More specifically, these postpositions are used in the genitive case with animate objects and in the dative with inanimate objects.

ვითარცა ტარიგი წინაშე მრისველისა თუისისა (Sin.35,65r; Sin.25,82v).

(like a lamb before its shearer)

დასხდენ იესუს თანა (Sin.35,49r).

(they sat with Jesus)

დაუტევე იგი ქუეყანასა ზედა განსუენებულად (Sin.35, 64r; Sin.25, 63v).

(leave it resting upon the ground)

ემჰაკმან აღძრა გული მისი იაკობის ზედა (Sin.35,54r).

(his heart was stirred up against Jacob by the devil)

ესევე იყო ელიაძს თანა თეზბელისა და ელისეფს თანა და სხუათა მათ თანა (Sin.35, 50r).

(so he was with Elijah the Tishbite, Elisha, and others)

In Sin. 35 there is a case when the postposition ზედა is shown in the dative case with an animate object:

განსაცდელი არა მოიწევს კაცსა ზედა (Sin.35, 54v).

(a temptation shall not befall a man)

In all remaining cases in all three copies, the postposition ზედა is used with the genitive case form with this word. Ex.:

მოიწიოს კაცისა მის ზედა ღმრთისამიერი იგი მჭურვალეზა (Sin.35,56v).

(the divine fervor shall come upon a man)

As evident from the cited examples, the usage of these postpositions is sharply delineated by the literary language according to whether a noun is animate or inanimate, but based on the last cited example, it is possible to surmise that their equalization in the colloquial language had already begun and were gradually becoming established in the literary language as well.

Here it must be noted that in Sin. 25, the marker -დ of the adverbial case is preserved when attaching the -მდე postposition, when in Sin. 35, it is lost as a result of attaching the postposition. Ex.:

¹ Danelia 1981:145.

საზღვართა ხუჭიკეთისათა ვიდრე აქა **დღედმდე** (the borders of Elymais to this very day) (sin. 25,66r).

Sin. 35 is characterized by scribal mistakes. Ex:

არა **მოუღებების** სული (Sin. 35, 58r).

(they have not conquered the spirit)

რამდენჯერ მოგხსენებოდის მაჭირვებელთა მათ შენთა ჭირი (Sin. 35,70v).

(however many times you shall recall the troubles of those who trouble you)

ოდესვე უმდაბლესა საქმისა (Sin. 35, 70v), etc.

(when [of] the lowliest of duties)

The error in this sentence is rectified by the scribe of Sin. 25 and written in the correct form: **ოდესმე** უმდაბლესა საქმისა (Sin. 25, 82v).

Another remarkable fact is that Sin. 25 uses the **ძრიელ** form, when the original **ძლიერ** form is preserved in Sin. 35. Ex.: **განძრიელდით** სულითა (strengthen yourselves in spirit) (Sin.25,52v); **იყოს ვინმე უძრული** (if anyone is weak) (same spot). This characteristic of Sin. 25 must be ascribed to the influence of a regional dialect. The writing of the consonant **ქ** to mark the second person object as a result of assimilation in this manuscript must also be due to this regional dialect. Ex.: **უკუეთუ ვინმე პატოვს ქცემდეს** (if anyone shows you honor) (Sin. 25, 80r); **მსაჯულმან მიქცეს** მსახურსა (the judge shall give you to the servant) (Sin.25,65r) etc. It is striking that in these and in similar cases, the correct form is written everywhere in Sin. 35.

Due to the norms of the Old Georgian literary language, names are shown in the nominative and ergative cases in both texts (Sin. 35, Sin. 25) as a root, although there is a case when a name is put in the ergative case with the corresponding marker: **იაკობმან** არა წარწყმიდა კურთხევად იგი მისი (Jacob did not waste his blessing). It seems at this time, names are appended with case markers in the nominative and ergative cases when speaking, like common nouns. The scribe attempts to follow the linguistic norms, but this specific occurrence indicates that although the literary language is conservative and artificial, forms acceptable in colloquial speech have already started to make some incursions.

The Georgian translator of Ammon's epistles frequently creates complex words using the **ყოფა** verb. Ex.:

რომელთა-იგი უნებნ მორწმუნეყოფად (whoever desires to be a believer) (Sin.35,45r).

ასწავის მას ...მახლობელყოფად ღმრთისად (they shall teach him [how] to be close to God) (Sin.35,55v).

უკუეთუ უნდეს მონაზონყოფის, ნუ უტეობ შენთანა დგომად (if he wants to be a monk, do not let him stand with you) (Sin.35,59r; Sin.25, 60r).

As it is known, Georgian translators frequently created new terms and composites analogous to the Greek from this verb. The following composites are examples of such Greek analogies: **ღმრთისმოყუარე** (lover of God), **კაცთმოყუარე** (lover of men), **ძმთმოყუარება** (lover of brothers), **დიდებისმოყუარება** (love of glory), **გემოდსმოყუარება** (hedonism), **ცუდადმზუაობრობა** (false pride), **მღდელთმოდღუარი** (head priest), **დიდებისმეტყველება** (glorification), etc.¹¹¹. It has been noted by scholars that the Georgian translations of Ammon's epistles are translated from the Greek (10: 2). Moreover, individual chapters of the Georgian and Greek epistles have been arranged in harmony with each other:

Greek 2 = Georgian 1; Greek 6 = Georgian 2; Greek 3 = Georgian 4; Greek 4 = Georgian 8; Greek 8 = Georgian 12; Greek 5 = Georgian 10; Greek 1 = Georgian 3; Greek 7 = Georgian 11.

Some carryovers from Greek are attested in the Georgian translation of Ammon's epistles, such as: **მონაზონი//მოლოზანი**, **ქარტა**, **კერმა** etc.

¹ Sarjveladze 1984 :160

There is an attempt to differentiate the inclusive-exclusive first-person plurals in the manuscripts. Yet in the cited examples, it seems that the concept of this category must be faulty. To be specific, the exclusive form is confirmed with the მ- prefix when the inclusive form (გუ-) is expected according to the combination of persons:

უფალი ჩუენი მოკუდა და აღდგა და სისხლითა თუისითა მომიყიდნა ჩუენ (our Lord died and rose and purchased us all with His blood) (Sin. 35, 72v; Sin.25,87r).

In the next segment, it is quite clear that at times the მ- prefix and other times the expected გუ- prefix are used in the same combination of persons:

განმათავისუფლნეს ჩუენ და გუექმნეს ჩუენ შორის მცველ და [გუა]სწავებდეს ჩუენ თითოეულსა მას, რომელსა შევცუევით უმეცრებითა, ნუუკუე განმიყენოს და შევვარდეტველთა მტერთასა და არა შემიწყალნეს ჩუენ, ანუ ვითარცამასწავა ჩუენ უფალმან ჩუენმან ივ ქრისტემან (Sin. 35, 61; Sin.25, 68r)

(He shall free us all and be our protector and teach us all what we do in error, let Him not cast us aside and have us fall into the hands of the enemy, or not forgive us, or as our Lord Jesus Christ has taught us.)

There are some occurrences of the correct usage of the inclusive:

ესე არს მარგალიტი იგი, რომელსა გუითხრობდა სახარებაჲ (Sin. 35, 54v).

(this is the precious pearl told to us by the Gospel)

უკუეთუ ვინმე სადმე ვინძი-რად ყოს სამართლად გინა უსამართლოდ გუაგინებდეს, გინა შეურაცხ-გეყოფდეს, გინა თუ და-ცა-რას გუკლებდეს, ანუ თუ ძუირსა იტყოდის ჩუენთუის, და [უფროდს და თუ] სიკუდილდ მიგუცემდეს, ვითარცა ცხოვარსა კლვადსა (Sin.35, 65r; Sin.25, 82v)

(If someone justly or unjustly curses us anywhere, offends us, deprives us of anything, denounces us, and (or even more so) gives us over to death like a sheep fit for slaughter.)

Incorrect:

ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა შიშითა ღმრთისადთა, რადთა განმათავისუფლნეს ჩუენ და გუექმნეს ჩუენ შორის მცველ და [გუა]სწავებდეს ჩუენ თითოეულსა მას (Sin.35, 61r; Sin.25,68r).

(Let us guard ourselves with the fear of God, so that He may free, protect, and teach us each of those [things].)

მიმიყვანნეს ჩუენ ასურასტანად და გუესმის მწარეჲ იგი ჳმაჲ (sin. 35, 61v; Sin.25,69r).

(We were taken to Assyria and heard the bitter sound.)

შევვარდეტ ჳელთა მტერთასა და არა შემიწყნარნეს ჩუენ, ანუ ვითარცა მასწავა ჩუენ უფალმან ჩუენმან ივ ქრისტემან (Sin.35, 61r; Sin.25, 65r).

(We might fall into enemy hands and he might not kindly receive us, or how we were taught by our Lord Jesus Christ.)

ბოროტნი ნებანი ჩუენი ზღუდე მექმნიან ჩუენ მისა მიმართ (Sin. 35,61r; Sin.25, 64v).

(Our evil desires hinder us in relation to Him.)

აწ უკუე ვითხოვდეტ გულსმოდგინედ ღმრთისაგან, რადთა არა დამაბრკოლნეს ჩუენ აღსლვად ღმრთისა (Sin.35, 44r) etc.

(Let us now fervently request of God that we might not be held back in ascending to Him.)

A correct use of the exclusive:

მზამცა ვართ ყოვლისათუს სიტყუად, რომელი გუესმის და ვთქუთ, მომიტევენ ჩუენ (Sin. 35,72r; Sin.25, 97r).

(We are prepared to respond to everything we hear and we say, forgive us.)

The plurality of the direct object is kept everywhere with the verb in both copies:

Ex.: დაგიტევნა თქუენ საღმრთომან მან მჭურვალეზამან.

(The divine fervor has left you all.)

შეიყუარნა იგინი ყოვლითა გულითა ნეტარმან პავლე.

(The blessed Paul loved them with all his heart.)

დაუტევნა იგი ცუდნი (Sin. 35,45v).

(He left bad things.)

განანათლნეს თუალნი გონებათა თქუენთანი (Sin.35, 47r).

(May he enlighten your noetic eyes.)

There are also such cases when in the same verb, the plurality of the object is preserved in one text, yet at the same spot in the second text, it is already dysfunctional and presented without this marker. It must be hypothesized that in this case, the violation was caused by the conflict of two **ნ** markers, compare:

ღმერთმან მოავლინნა კაცთა აღსაშენებლად (Sin.35,46v).

ღმერთმან მოავლინა კაცთა აღსაშენებლად (Sin.25,54v).

(He was sent by God to raise up mankind.)

არავინ აცთუნეს (Sin.35,46r).

არავინ აცთუნნეს (Sin.13,65v).

(Let no one tempt him.)

It seems the plural object marker **ნ** is consistently shown in verbs in the pre-Athonite epoch. Such consistency is especially characteristic of the Mar Saba school, whereas in Sin. 25, its absence in about two spots already indicates that their use was already diminishing in the Mt. Sinai literary school due to the colloquial language's influence. The fact is also remarkable that object plurality is preserved everywhere in two epistles in the Georgian version of Sin. 13, yet because there are only two epistles from this manuscript copy, nothing can be stated for certain regarding the antiquity of Sin. 13.

In consideration of the history of person markers, some occurrences when **ჰ**- is shown in place of the **ს**- prefix as a second-person subject and a third-person object marker are quite interesting. Primarily the Sin. 25 manuscript is characterized by this. Compare:

მოიგო ნებად თავით შენით, რავდენი სცოდე (Sin.35,61v).

... ჰცოდე (Sin.25,56v).

(You yourself may acquire the desire, however much you sinned.)

სჯდე რად სენაკსა შენსა, ნუ სულმოკლე იქმნები (Sin. 35,63r).

ჰჯდე... (Sin.25,62v).

(If you are sitting in your cell, do not be fainthearted.)

It is notable that the verb **ჯდომა** is presented not only with the markers for various persons, but also without any markers. Ex:

ჯდე რა სენაკსა შენსა, მიეც საჯმარი ჯორცთა (Sin. 35, 58v).

(If you sit in your cell, give sustenance to the body.)

There are also such cases encountered in the manuscripts when the second-person subject marker is shown in various ways in the same verb. Ex:

წინადაგებულსა შენსა ნუ შჰამ მადღრივ გულისთქუმით (sin.35,63v).

წინადაგებულსა შენსა ნუ ჰჰამ მადღრივ გულისთქუმით (sin.25,62v).

(Do not eat that placed before you with gluttonous desires.)

From the standpoint of the usage of different lexical units (synonyms), the manuscript copies containing Ammon's epistles are not very notable.

An unknown lexical unit turned up in the translation, **ფქერა**: უკუეთუ ფქერად გაურვებდეს, დაიწებენ ბაგენი შენნი, რადთა არა აღამტკობო პირი შენი და განისუენო ბოყინებასა, ყოვლადვე ნუ აღმოუტევებ (if you are troubled by yawning, shut your mouth tight so that you might not open it

and let out a belch, do not let it out at all.) (Sin.35, 72v; Sin.25,96r). There is the thought that the word **ფქერა** in the Georgian translation of Ammon's epistles, being found nowhere else, is associated with the word **აღმტკობა** (opening the mouth). It might be a dialectal form of the Old Georgian word **ფქნარება** (**მთქნარება**) (yawning).

A variant of the old term for a monk's attire **ფიჩუ** is found in both copies: **ფუიჩუ** (**ფვიჩუ**): **ნუ იმოს ფუიჩუსა სხუათა თანა** (do not wear the cloak around others). It is defined as a cloak, "წამოსასხამი, ჩენჩო"¹.

It is possible to conclude:

As shown by the analysis, the norms of the Old Georgian language are frequently not followed in the manuscript copies. Many discrepancies also show up between the manuscripts indicating the varying linguistic experience and speech habits of the scribes. There are also some cases in the manuscripts that are more characteristic of manuscripts from a later time period.

With his own epistles, Ammon continues the spiritual tradition of Anthony the Great. Their letters resemble each other in style and expressions, yet the differences between them are also clear. Despite Ammon's letters being less formal with the introductions and conclusions frequently not as apparent, the forms of address and phrases bear a great likeness to the sayings of Anthony the Great. Both authors call addressees "beloved children of the Lord", revealing the care they had towards their own brotherhoods².

In familiarizing themselves with St. Ammon's letters of a mystical, allegorical character, readers gain a knowledge of the ascetic theology of the Skete and Nitria monasteries.

The Old Georgian translation of this literary work was done in the pre-Athonite period in the realm of Mar Saba. This existence of a Georgian translation of these epistles during this period indicates that there was a great interest in these topics in the general Christian world, as well as in Georgian reality. They are an invaluable source in getting to know not only Byzantine literature, but also translated Georgian literature.

1 Sarjveladze 2001::227.

2 Rubenson 2011:192.

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბულაძე 1955 - აბულაძე ილ., მამათა სწავლანი, X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955.
2. აღწერილობა 1950 - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), IV, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, შეადგინა ელენე მეტრეველმა, თბ., 1950.
3. აღწერილობა 1953 - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტომი I, შედგენილია და დასაბეჭდად მოამზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედ. კ. კეკელიძე, თბ., 1953.
4. აღწერილობა 1954 - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1954.
5. აღწერილობა 1973 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციისა), I, ელ. მეტრეველის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973.
6. აღწერილობა 1986 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ლ. ახოზაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაქიძემ, მ. კვაჭაძემ, გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურცუკიძემ, ლ. შათირიშვილმა, მ. შანიძემ და ნ. ჩხიკვაძემ, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1986.
7. აღწერილობა 2005 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 2005, სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, გამომცემლობა „ეპტალოფოს“, ათენი, 2005.
8. ახოზაძე 2017 - ახოზაძე ლ., ძველი მეტაფრასული კრებულები, ნოემბრის საკითხავები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ლ. ახოზაძემ, რედ. მ. რაფავა, კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017.
9. გარიტი 1955 - გარიტი ჟ., ანტონი დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსია, უძველესი (X ს.) სინური ხელნაწერების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადა ჟ. გარიტმა, 1955.
10. დანელია 1981 - დანელია კ., უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 4. ბერძნულ ადგილობრივ ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში, თბ., მაცნე, #2, 1981.
11. დვალი, ჯღამაია 1978 - დვალი მ., ჯღამაია მ., მეათე საუკუნის პატერიკის (sin. 35) ერთი ფრაგმენტის შესახებ, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1978.
12. ამბა დოროთე 1002 - ამბა დოროთე, გამოსვლისათვის სოფლით, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1992.
13. დიდი სჯულისკანონი 1975 - გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, ნ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1975.
14. დობორჯგინიძე 1966 - დობორჯგინიძე ნ., ფსალმუნთა განმარტება, II, გამოსაცემად მოამზადა ნ. დობორჯგინიძემ, თბ., 1966.
15. იმნაიშვილი 1975 - იმნაიშვილი ვ., მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.
16. კაზანსკი 2015 - კაზანსკი ნ., ეგვიპტელ მონაზონთა ცხოვრება, თარგმნა გ. კუჭუხიძემ, ჟ. რელიგია, # 1, თბ., 2015.

17. კეკელიძე 1960 - კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VI, თბ., 1960.
18. მამათა სწავლანი 2022 - წმინდა მამათა სწავლანი (წმ. ბასილი დიდი, წმ. იოვანე ოქროპირი, წმ. ეფრემ ასური და სხვანი) X და XI საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა მიხედვით, მოსკოვის წმინდა გიორგის ქართული ეკლესია, 2002.
19. მამასახლისი 2010 - მამასახლისი ქ., წმ. პალადი ჰელენოპოლელი, ლავსაიკონი, კრიტიკული ტექსტი დაადგინა, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, შესავალი, შენიშვნები, სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ქ. მამასახლისმა. ტ. 14, საეკლესიო ბიბლიოთეკა, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბ., 2010.
20. მამასახლისი 2015 - მამასახლისი ქ., წმიდა ბასილი კესარიელი, ასკეტიკონი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქ. მამასახლისმა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015.
21. მამასახლისი 2012 - მამასახლისი ქ., ღირსი მაკარი ეგვიპტელი ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, წმ. სერაპიონ თმუისელის „მაკარი ეგვიპტელის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქ. მამასახლისმა, გამომცემლობა „ალილო“, თბ., 2021.
22. მახარაშვილი 2012 - მახარაშვილი ს., წმ. ეპიფანე კვიპრელი, ოთხმოცთა წვალებათათვის, გამოსაცემად მოამზადა. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ს. მახარაშვილმა, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბ., 2012.
23. მელიქიშვილი 2004 - მელიქიშვილი ნ., წმ. იოანე ოქროპირი, ამადლების შესახებ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, გამოკვლევა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, II, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004.
24. მელიქიშვილი 2019 - მელიქიშვილი ნ., ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები, III, წმიდა იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ძველი ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, გამოკვლევა და სინონიმური ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
25. მერჩულე 2007 - მერჩულე გიორგი, წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, მწიგნობრობა ქართული, ტ. II, გამომცემლობა „ციცინათელა“, თბ., 2007.
26. მირაშვილი 2022 - მირაშვილი ნ., ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია და ქრისტიანული ეგვიპტე, 2022.
27. ნინუა 1982 - ნინუა გ., ფსევდონიკარის თხზულებათა ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, „მეცნიერება“, თბ., 1982.
28. იოანე ოქროპირი 1905 - წმ. იოანე ოქროპირი, ოქროს წყარო, თბ., 1905.
29. იოანე ოქროპირი 2004 - წმ. იოანე ოქროპირი, ამადლების შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ა. ჭუმბურიძემ, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები II, თბილისი, 2004.
30. სარჯველაძე 1984 - სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გამომცემლობა განათლება, თბ., 1984.
31. სარჯველაძე 1997 - სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1997.
32. სარჯველაძე 2001 - სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001.
33. იოანე სინელი 1986 - ღირსი იოანე სინელი, კლემაქსი რომელ არს კიბე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1986.

34. ტერნოვსკი 2017 - ტერნოვსკი ს., მართლმადიდებელი ეკლესიის აღმოსავლეთის საპატრიარქოები, მთარგმნელი ნ. გაბრიადე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბ., 2017.

35. ფარულავა 1989 - ფარულავა გრ., თვითდამდაბლების გზით ამაღლებისაკენ, „მნათობი“, # 2, 1989.

36. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, თბ., 1958.

37. ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ 2018 - შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით, თბ., 2018.

38. ცეცხლაძე 2020 - ცეცხლაძე ი., ამონა მონაზვნის ასკეტიკურ-მისტიკური ეპისტოლეები ძველ ქართულ ხელნაწერებში, ნაშრომი შესრულებულია ქართული ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2020.

39. ძეგლები 1967 - ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.

40. ჭელიძე 1989 - ჭელიძე ე., წმინდა გრიგოლ ნოსელი და მისი თხზულება პასუხი ექუსთა დღეთათვის, თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა, ხელნაწერი შეისწავლა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1989.

41. ჭელიძე 2013 - ჭელიძე ე., ევაგრე მონაზონი, სამონაზვნო განწესება. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ. წმინდა მღვიძარეთა მშვენიერებათმოყვარეობა, I, 2013.

42. ჭელიძე 2000 - ჭელიძე ე., იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძვ. ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბ., 2000.

43. გიორგი ხუცესმონაზონი 2007 - გიორგი ხუცესმონაზონი, „ცხოვრებად ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი“, მწიგნობრობა ქართული, 3, გამომც. „ციცინათელა“, თბ., 2007.

44. ჯაში 2017 - ჯაში ზ., ჰერმიას სოდომენე, საეკლესიო ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბ., 2017.

45. ჯორბენაძე 2022 - ჯორბენაძე დ., სამონასტრო წესდებები და ანდერძები 2022, მთარგმნელი მონაზონი დინარა ჯორბენაძე, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2022.

46. Chitty, Brock 1985 - Chitty D. J., Brock. S., The letters of Ammonas, by Oxford ebook production, 1985.

47. Farag 2012 - Farag G., Les Lettres attribuées à Antoine dans la deuxième collection arabe (Lettres 8 à 20) Sont-elles d'Antoine ou d'Ammonas? Étude comparée des différentes versions et interprétation théologique, Strasbourg, 2012.

48. Garitte 1956 - Garitte G., Manuscripts Georgiens Litteraires Du Mont Sinai, Paris, 1956.

49. Garitte 1976 - Garitte G., De unius ex Ammonae epistulis versione Iberica, Museon, vol. 89, fasc 1-2, Louvain, 1976.

50. Outtier 1984 - Outtier B., Lettres des Pères du désert. Ammonas, Macaire, Arsène, Sérapion de Thmuis / Introductions, traductions et notes par B. Outtier, A. Louf, M. Van Parys, Cl.-A. Zirnheld. Abbaye de Bellefontaine, 1985.

51. Outtier 2011 - Outtier B., Folia Gaucasia, ფრანკფურტი მაინზე, თბილისი, 2011.

52. Архим. Амвроский (Погодин) 1994 - Святой Марк Эфеский и Флорентийская уния М., 1994.

53. Сидоров 2014 - Сидоров А. И., Святотеческое наследие и церковные древности, Т. 4, Древнее монашество и возникновение монашеской письменности. М. Сибирская Благозвонница, 2014.

ელექტრონული რესურსები

54. www.academia.edu Pdf by Antony Alcock, Apophthegmata of Amon in Syriac.
55. Alphabetical Apophthegmes, Antoine (§ 5) PG 65, 77. უდაბნოს მამები, ანბანური კრებული, L. Regnault, Solesmes, 1981.
56. www.ambioni.ge
57. Ammonii Eremitae epistolae / syriace edidit et praefatus est Michael Kmoskó, Paris, 1915
58. Atiya A. S. A History of Eastern Christianity. London, 1968.
59. Copticplace.com/Saints –E/ Lives – of Saints / Amoun. htm/ Lives of the Saints. Two thousand Years of Coptic Christianity , Pg. 155. The Coptic Church. Its Churches and Monasteries
60. Historia Monachorum in Aegypto / Edition critique du texte grec et traduction annotée par
61. A.-J. Festugière // Subsidia Hagiographica. № 53. Bruxelles, 1971.
62. Historia Monachorum in Aegypto 1971 \(<https://azbyka.ru>
63. Kleina F. Op. cit. S. 320–326; Chitty D. J. The De-sert a City. P. 38; რუს. пер.: с. 73; Quasten J. Patrology. Vol. III. P. 153–154. Deseille P. L'Évangile au désert. Des premiers moines à saint Bernard. Paris, 1965.
64. The Letters of Ammonas Successor of saint Antony Translated by Derwas J Chitty Revised and with an Introduction by Sebastian Brock, Oxford, 1979.
65. <https://www.martlmadidebloba.ge/paterikebi5.html>
66. Nau 1915 - Nau F., Ammonas Successeur de saint Antoine. Texte grec et syriaques / Edites et traduits par F. Nau // Patrologia Orientalis. T. XI, fase. 4. Paris, 1915.
67. Orientalia Luvania, bibel, buzan und Christlicher Orient, 2011, Samuel Rubenson – Antony and Ammonas, conflictiny or Common Tradition in Early Egyptian Monasticism. 2011.
68. https://azbyka.ru/otechnik/Aleksej_Sidorov/svjatootecheskoe-nasledie-i-tserkovnye-drevnosti-tom-4/1
69. https://www.goodreads.com/book/show/1710827.Two_Thousand_Years_of_Coptic_Christianity
70. https://azbyka.ru/otechnik/Aleksej_Sidorov/svjatootecheskoe-nasledie-i-tserkovnye-drevnosti-tom-4/1
71. <https://www.lev.ge/liv/ingilour.php> ნ. როსტიაშვილი, „ინგილოური ლექსიკონი“, რედ. არამ მარტიროსოვი, 1976.
72. www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=14492
73. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი (nplg.gov.ge)
74. Xareba.net ამპარტავნების შესახებ, თქმული იოანე ოქროპირის მიერ.
75. ანტონი დიდი 2008: წმ. ანტონი დიდის შვიდი ეპისტოლე, დაფუძნებულია ჟ. გაროტის გამოცემაზე (Lettres de S. Antoine, version georgienne et fragments coptes, Louvain, 1955), ტიტუსისთვის ელექტრონული ვერსია მოამზადა ი. გიპერტმა, ფრანკფურტი, 2008. [ib.http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/ascetica/antepist/anteplex.htm](http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/ascetica/antepist/anteplex.htm)
76. D. J. Chitty, S. Brock, The letters of Ammonas, by oxford ebook production, 1997 [ib. https://www.amazon.com/Letters-Ammonas-Successor-Fairacres-Publications-ebook/dp/B06XC8NSGT](https://www.amazon.com/Letters-Ammonas-Successor-Fairacres-Publications-ebook/dp/B06XC8NSGT)
77. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php>
78. Copticplace.com/Saints –E/ Lives – of Saints / Amoun. htm/ Lives of the Saints. Two thousand Years of Coptic Christianity გვ. 155. The Coptic Church. Its Churches and Monasteries
79. Руфин 2002 - Пресвитер Руфин, Жизнь Пустынных Отцов, Фонд <<Христианская Жизнь>>, Клин, 2002.
80. Сократ 1996 - Сократ Схоластик, Церковная История. Москва, РОССПЭН, 1996.
81. Сергей (Спасский), архиеп. Полный Месяцеслов Востока. Т. II: Святой Восток. Владимир, 1901.

გამოცემულ ტექსტებში გამოყენებული ხელნაწერები

1. A 56 (XVIII) - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973.
2. A 1142 (1915) - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა ტ. IV, ქრ. შარაშიძის რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1954.
3. Ath. 17 (XI) - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ლ. ახოზაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დვალმა, მ. დოლაჭიძემ, მ. კვაჭაძემ, გ. კიკნაძემ, გ. ნინუამ, ც. ქურცუკიძემ, ლ. შათირიშვილმა, მ. შანიძემ და ნ. ჩხიკვაძემ, რედ. ელ. მეტრეველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1986.
4. K 17 (XIII) - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედ. კ. კეკელიძე, თბ., 1953.
- K 25 (XIII) - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედ. კ. კეკელიძე, თბ., 1953.
5. K 47 (1785) - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედ. კ. კეკელიძე, თბ., 1953.
6. H 1662 (1040) - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H) კოლექციისა, ტ. IV, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1950.
7. sina 13 (X) - სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, გამომცემლობა „ეპტალოფოს“, ათენი, 2005.
8. sina 25 (X) - სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, გამომცემლობა „ეპტალოფოს“, ათენი, 2005.
9. sina 35 (907) - სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, გამომცემლობა „ეპტალოფოს“, ათენი, 2005.

ამონა ნიტრიელის ეპისტოლური მემკვიდრეობა წყაროები და თარგმანები¹

„სიცოცხლის ძაფი როს განასრულა ამონამ სრულად,
სიცოცხლე ჰპოვა, არასოდეს რომ არ სრულდება“.

თეოდორე სტუდიელი.²

ბერმონაზვნობის ისტორიის პირველ საუკუნეებში ეგვიპტეში მოღვაწეობდა მსგავსი სახელის მქონე რამდენიმე ისტორიული პირი: ამონი, ამუნი, ამონიოსი, ამოი, და ა.შ.³ ერთ-ერთი მათგანია ეგვიპტური ასკეტიზმის ფუძემდებლის, ანტონი დიდის მოწაფე, განდევნილი მეუღაბნოე ამონა (Ἀμώνας,⁴ Ἀμίνος⁵, Ἀμμώνας⁶, “Ammon”⁷) (დაახლ. 294-357 წწ.), რომელსაც უკავშირდება ნიტრიაში სამონასტრო სამმოს ჩამოყალიბება, რომლის ნაწერებიც ქრისტიან ასკეტთა მიერ შექმნილ ერთ-ერთ უძველეს ნაშუშევრებს წარმოადგენენ, და რომელსაც, მისი ღვაწლის მნიშვნელოვანების გამო, თეოდორე სტუდიელმა „სულშემოსილი“ (Ἀμμώνας ὁ πνευματοπόρος)⁸ უწოდა, ხოლო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ამონას სახელი მალევე განითქვა სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, საქართველოშიც, სადაც ადრეულ ხანებშივე იწყეს მის ნაშრომთა თარგმნა. ამონას სახელი გავრცელებული იყო ქართულ სამონასტრო წრეებშიც. IX-X სს-ის ქართულ ძეგლებში ნახსენებია ამ სახელის მქონე პირები: სინური მრავალთავის (864 წ.) გადამწერი კალიგრაფი ამონა ვახთანგ მოძარღულის ძე;⁹ გრიგოლ ხანძთელის მოსწავლე¹⁰ ამონა, თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი, აღმშენებელი ხანძთის ეკლესიისა ერისთავთერისთავ აშოტ კუხი კურაპალატის მმართველობისას (908-918 წწ.),¹¹ ამონა მონაზონი, რომელმაც სხვა ბერებთან ერთად „აღაშენა წმიდა და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ“.¹²

¹ პროექტის მიხედვით განსაზღვრული იყო ამონას ეპისტოლეთა ქართული თარგმანის შედარება მხოლოდ ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ კორპუსთან, თუმცა საკითხმა, ამასთან ერთად, მოითხოვა ქართული თარგმანის სიტყვასიტყვითი შეჯერება დანარჩენ – სირიულ, არაბულ, ეთიოპურ და სომხურ – ტექსტებთანაც. ასეთი სახის კვლევითვის კი პროექტისათვის დადგენილი ვადა მეტად მცირე აღმოჩნდა. ამდენად, შედეგები, რომლებიც პროექტის დასრულებისას იქნა მიღებული, წარმოადგენენ პირველად შედეგებს, საკითხის კვლევა კი შემდგომაც გაგრძელდება.

² “Ζωήν Ἀμμώνας ἡμᾶ πλεῖστας ἔπεισεν

Ζωήν ἐφείρειν οὐποτε πληροῦσθαι” (PO 11, გვ. 395).

³ მარტო რუფინუსი თავის *ეგვიპტელ ბერთა ისტორიაში* სამ ამონსა და ერთ ამონიოსს ასახელებს (თთ. 3, 8, 23, 30; იხ. PL 21, სვ. 407, 420, 445, 455).

⁴ PO 11, გვ. 395.

⁵ ათანასე ალექსანდრიელის *ანტონი დიდის ცხოვრება* და ეპისტოლე ამონას მიმართ (PG 26, სვ. 929A, 1169); პალადი ჰელენოპოლელი, *ლაუსიაკონი*, თ. 8 (*The Lausiak History*, 1905, გვ. 275); სომომენე, *ეკლესიის ისტორია*, 1.14 (PG 67, სვ. 900).

⁶ სოკრატე სქოლასტიკოსი, *ეკლესიის ისტორია*, 4.23 (PG 67, სვ. 509C).

⁷ რუფინუსი, *ეგვიპტელ ბერთა ისტორია*, თ. 30 (PL 21, სვ. 455).

⁸ PO 11, გვ. 395.

⁹ სინური მრავალთავი, 1959, გვ. 280; იმნაიშვილი, 1975, გვ. 10.

¹⁰ იმნაიშვილი, 1975, გვ. 10.

¹¹ გიორგი მერჩულე, *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება*, თ. 28.

¹² ბასილი ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, იხ. *ქართული მწერლობა*, 1987, გვ. 641; იმნაიშვილი, 1975, გვ. 10.

ქართულ თარგმანებში, რომლებიც ამონა ნიტრიელს ახსენებენ, ამ მოღვაწის სახელი სამი ვარიანტით არის წარმოდგენილი: „ამონა“¹ და „ამონი“² ძველ ქართულ ტექსტებში, ხოლო „ამონი“³ და „ამუნი“⁴ – თანამედროვე გამოცემებში.

ამონას ცხოვრების შესახებ მეტად მწირი ცნობებია მოღწეული. ცნობილია, რომ მან სამონაზვნო ღვაწლი სიჭაბუკიდან დაიწყო.⁵ იგი 22 წლისა იყო,⁶ როდესაც მას თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ შერთეს ცოლი, თუმცა ამონამ, პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლის დახმარებით,⁷ დაითანხმა მეუღლე, ერთად შესდგომოდნენ ქალწულებრივ ღვაწლს.⁸ გარკვეული ხნის შემდეგ, ამონამ დატოვა სახლ-კარი, გაემართა ნიტრიის მთასთან მდებარე ვადი-ელ-ნატრუნის (სკიტის) უდაბნოსაკენ, სადაც მეუდაბნოს ღვაწლი იტვირთა (დაახლოებით IV ს-ის 20-იან წწ.), არაერთი სასწაული აღასრულა და დაახლოებით 338 წელს დააფუძნა კელიის დიდად სახელგანთქმული მონასტერი (რუფინუსი ნიტრიის პირველ მონასტერთა ფუძემდებლად სწორედ მას მიიჩნევს),⁹ მისმა მეუღლემ კი თავის გარშემო ქალწულები შემოიკრიბა და ქალწულებრივი ცხოვრება განაგრძო¹⁰ (სოკრატე სქოლასტიკოსის თანახმად, ამონაც და მისი მეუღლეც სამოღვაწეოდ ნიტრიისკენ გაემართნენ).¹¹ ამონას შეხვედრია ანტონი დიდი¹² (დაახლ. 350 წელს),¹³ რომელიც დიდად აღფრთოვანდა ამონას ცხოვრების წესითა და სულიერი სათნოებებით,¹⁴ უწინასწარმეტყველა მას დიდი წარმატება ღვთისმშობიშობაში,¹⁵ რის შემდეგაც ამონა მისი მოსწავლე და დამხმარე, ანტონი დიდის გარდაცვალების შემდეგ კი პისპირის მონასტრის წინამძღვარი გახდა¹⁶ (სხვა ვარიანტით, ამონა ანტონი დიდზე ადრე გარდაიცვალა და ამ უკანასკნელმა იხილა, როგორ აღიტაცეს ზეცად ამონას სული ანგელოზებმა).¹⁷

¹ ამონას ეპისტოლეთა კრებული (Sin. geo. 35, 46r); წმ. მამათა გამონათქვამების, აპოფთეგმების შემცველი კრებული (Ath. 17, 263r/265r, 322r/324r).

² შუა საუკუნეთა ნოველები, 1974, გვ. 32; წმ. პალადი ჰელენოპოლელი, *ლავსაიკონი*, 2010, გვ. 212.

³ წმინდა პალადი ჰელენოპოლელი, *ლავსაიკონი*, 2010, გვ. 36.

⁴ *ლავსაიკონი ანუ გადმოცემა*, 2002, გვ. 20.

⁵ ამის შესახებ თავად ამონა წერს საკუთარ ეპისტოლეში (სირ. 7.2/ქართ. 7.2).

⁶ პალადი ჰელენოპოლელი, *ლავსაიკონი*, თ. 8.

⁷ სავარაუდოდ, I კორ. 7.10 და შემდ. კორინთელთა მიმართ ეპისტოლე დასახელებულია სოკრატე სქოლასტიკოსის *ეკლესიის ისტორიაში* (4.18/23), სომომენესთან კი – ზოგადად, წმინდა წერილი (*ეკლესიის ისტორია*, 1.14).

⁸ ამგვარ „სულიერ ქორწინებებს“, „სულიწმინდას კავშირებს“, ამავე ხანებში სხვა ავტორებიც ადასტურებენ. დაწვრილებით იხ. ჯუღელი, 2011, გვ. 17-19.

⁹ რუფინუსი *ეგვიპტელ ბერთა ისტორიაში* წერს: “Initium sane habitationis monasteriorum, quae in Nitria sunt, sumptum tradebant ab Ammone quodam” (PL 21, სვ. 455C). ამონას ნიტრიის კონობიონის მესაფუძვლეს (“conditor”) უწოდებს ფაბრიციუსი (Fabricius, 1729, გვ. 343).

¹⁰ პალადი ჰელენოპოლელი, *ლავსაიკონი*, თ. 8; რუფინუსი, *ეგვიპტელ ბერთა ისტორია*, თ. 30 (PL 21, სვ. 455-57).

¹¹ სოკრატე სქოლასტიკოსი, *ეკლესიის ისტორია*, 18/23.

¹² პალადი ჰელენოპოლელი, *ლავსაიკონი*, თ. 8; რუფინუსი, *ეგვიპტელ ბერთა ისტორია*, თ. 30, PL 21, სვ. 455CD, 457A; აპოფთეგმებში მოღწეულია გადმოცემა ანტონთან შესახვედრად ამონას გამგზავრების შესახებ (PG 65, სვ. 121A, N 7; ქართული თარგმანისათვის იხ. შუა საუკუნეთა ნოველები, 1974, გვ. 27, N 7).

¹³ PO 11, გვ. 394.

¹⁴ რუფინუსი *ეგვიპტელ ბერთა ისტორიაში* წერს: “Beatus autem Antonius, in summa admiratione vitae eius iustitiam atque animi virtutes habuisse memoratur” (PL 21, სვ. 457A). იხ. ასევე, პალადი ჰელენოპოლელი, *ლავსაიკონი*, თ. 8.

¹⁵ აპოფთეგმა 8, PO 11, გვ. 394; შუა საუკუნეთა ნოველები, 1974, გვ. 27-28, N 8.

¹⁶ PO 11, გვ. 394. ანტონი დიდის შეგონებას იხსენებს ამონა ბერძ. 4.3 ეპისტოლეში, როგორც მოსწავლე მოძღვრის დარიგებას მოძღვრის სიცოცხლეშივე: „ანტონი გუეტყუის, ვითარმედ: “ვერვის ჯელ-ეწიფეს გამოუცდელსა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იქვე, გვ. 443). აბბა ამონა (ἄββας Ἀμμωνᾶς) ნახსენებია ანტონი დიდის შესახებ გადმოცემულ აპოფთეგმებშიც, იხ. PG 65, სვ. 84C, N 26.

¹⁷ ათანასე ალექსანდრიელი, *ანტონი დიდის ცხოვრება*, თ. 60; პალადი ჰელენოპოლელი, *ლავსაიკონი*, თ. 8; რუფინუსი, *ეგვიპტელ ბერთა ცხოვრება*, თ. 30 (PL 21, სვ. 455CD); სოკრატე სქოლასტიკოსი, *ეკლესიის ისტორია*, 18/23; სომომენე, *ეკლესიის ისტორია*, 1.14.

გარკვეული პერიოდი ამონა სულიერ შვილებთან ერთად ცხოვრობდა, რის შემდეგაც დატოვა ისინი და განდევნილად განაგრძო მოღვაწეობა, თუმცა მათ მწყსას წერილობით მაინც აგრძელებდა.¹ აპოფთეგმებიდან ცნობილია, რომ ამონას სკიტის მონასტერში 12 წელი გაუტარებია.² ამონას შეხვედრია რუფინუსი³ და ათანასე ალექსანდრიელი (დაახლოებით IV ს-ის 60-იანი წწ.), რომელმაც იგი ქალაქ ოქსირინხოსის ეპისკოპოსად აკურთხა (აპოფთ. 8, 10).⁴ ამონას შემდეგ, მონასტრის წინამძღვრის ადგილი დაიკავა პიტრიონმა, რომელიც თავადაც ანტონი დიდის მოსწავლე იყო.⁵ რუფინუსი *ეგვიპტელ ბერთა ისტორიაში* ამონასა და პიტრიონის შესახებ წერს შემდეგს: „მათში (გამოქვაბულებში) სახლობდა მრავალი განდევნილი, რომელთა წინამძღვარი იყო სახელად პიტრიონი. იგი, ნეტარი ანტონის მოწაფეთაგანი, მისი გარდაცვალების შემდეგ წმინდა ამონთან („cum... Ammone“) ერთად ცხოვრობდა. მისი გარდაცვალების („Post huius quoque abscessum“) შემდეგ კი ამ მთაზე დაფუძნდა“.⁶

ამონას არაერთი ადრეული ავტორი ახსენებს საკუთარ ნაშრომში, მათ შორის პალადი ჰელენოპოლელი⁷ და რუფინუსი,⁸ რომელთა ცნობები მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათ თავად იმოგზაურეს ეგვიპტის უდაბნოში და იქაურ ბერთაგან მოისმინეს გადმოცემები მის შესახებ. ამონასთან დაკავშირებით ცნობებს იძლევიან, აგრეთვე, ათანასე ალექსანდრიელი

¹ PO 11, გვ. 394. ამონა სწერს მათ: „შერაცხილ ხართ ჩემდა შვილად ღმრთისა მიერ“ (ქართ. ეპ. 5), „მივავლინე თქუენდა შვილი ჩემი, ვიდრემდის მომმადლოს ღმერთმან მეცა მოსლვად თქუენდა ჯორცითა“ (ქართ. 6.2), „ვილოცავ, რაათა მოვიდე თქუენდა, რაათა სხუანიცა მიგცნე თქუენ საიდუმლონი“ (ქართ. 8). ქ.მამასახლისის გამოკვლევაში ამონას ეპისტოლეებზე დაყრდნობით დაწვრილებით არის განხილული ასკეტთა ცხოვრების ესა თუ ის მხარე და წარმოჩენილია ამონას, როგორც მოძღვრის სახე (მამასახლისი, 2018).

² *შუა საუკუნეთა ნოველები*, 1974, გვ. 26, N 3.

³ რუფინუსი, *ეგვიპტელ ბერთა ცხოვრება*, თ. 30 (PL 21, სვ. 455CD, 457A).

⁴ PO 11, გვ. 394. BM-ის სირიულ ხელნაწერებში ამონას „განდევნილი“ (ܐܡܡܘܢܐ „იხიდაია“) ეწოდება, ვატიკანის ნუსხებში კი – „ეპისკოპოსი“ ან „ოქსირინხოსის ეპისკოპოსი“ (PO 10, გვ. 563, 567). Vat. syr. 126 (1223 წ.) ეპისტოლეთა საერთო სათაურში ამონას ოქსირინხოსის ეპისკოპოსს უწოდებს: „Porro Epistolae sancti Mar Ammonii eremitaie et episcopi Oxyrhinchi (Ⲡⲁⲙⲙⲟⲛⲏ Ⲡⲉⲣⲉⲙⲏⲧⲁⲓ ⲉⲧ ⲉⲑⲓⲥⲟⲗⲟⲩⲟⲥⲓ Ⲡⲟⲩⲩⲓⲣⲏⲥⲓ) ad fratres in eius coenobio degentes“ (290v; PO 10, გვ. 559, 567; Outtier, 1985, გვ. 4). თომა მარგელი (IX ს.) ამონას უწოდებს „წმინდა ბერსა და არჩეულ ეპისკოპოსს ღვთის ეკლესიაში“ თავის ნაშრომში, სადაც ამონას წერილიდანაც მოაქვს ვრცელი ნაწყვეტი (Budge, 1893, გვ. 492). ამონას ეპისკოპოსი ეწოდება აპოფთეგმებშიც: ὁ ἐπίσκοπος Ἀμμωνῆς (PG 65, სვ. 121D, N 10; „ეპისკოპოსი ამონა“, იხ. *შუა საუკუნეთა ნოველები*, 1974, გვ. 28, N 10). მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმრავლესობა არ იზიარებს შეხედულებას ამონას ეპისკოპოსობის (PO 10, გვ. 563-564) და, კერძოდ, ოქსირინხოსის ეპისკოპოსობის შესახებ (Cherubini, 2011, გვ. 42), ან თვლის, რომ ეს გადმოცემა გვიანდელ შემატებას წარმოადგენს (Outtier, 1985, გვ. 4), ან ვარაუდობს, რომ ათანასე ალექსანდრიელმა ეპისკოპოსად ამავე სახელის მქონე სხვა პირი აკურთხა (*The letters of Ammonas*, 1985, გვ. i). მეორე მხრივ, ზოგი მკვლევარი, როგორც მაგალითად, კლეინა ან ფარაგი, ამონას ოქსირინხოსის ეპისკოპოსად კურთხევას სრულიად დასაშვებად მიიჩნევს (Klejna, 1938, გვ. 324; Farag, 2012, გვ. 179-180, 184).

⁵ იხ. Festugière, 1971, გვ. 98 (ფრანგული თარგმანი). აქვე ხატოვნად არის აღწერილი გარემო, პისპირის მთა, რომელსაც გარს ერტყა მდინარე და რომლის გამოქვაბულებშიც ცხოვრობდნენ მონასტრის ბერები. იხ. ასევე, Outtier, 1985, გვ. 4; PO 11, გვ. 393-395; Klejna, 1938, გვ. 325.

⁶ თ. 13, PL 21, სვ. 432C. კლეინა პიტრიონის შესახებ წერს, რომ თავის წერილებში ამონა სიტყვებს „praeceptor bonus“-ს პიტრიონს უწოდებს: „In diesem Pityrion dürfen wir wohl jenen *praeceptor bonus* vermuten, an den Ammonas in einem seiner Briefe schreibt“ (1938, გვ. 326), და იმეორებს PO 10, სვ. 591; PO 11, სვ. 443, ანუ ბერძნულ ეპ. 4.3 (= სირ. ეპ. 9.3). მსგავსი შინაარსის სიტყვები გვხვდება დასახელებულ წერილში, თუმცა მომდევნო გვერდზე და „bonus“-ის გარეშე: „et modo hac in re et in omnibus aliis obedite *preceptoribus* vestris ut incrementum sumatis“ (PO 10, სვ. 592; „არამედ მაგას შინა და სხუასა შინა ერჩდეთ *მოძღუართა* თქუენტა, რაათა წარემატნეთ“, ქართ. 9.3, Sin. geo. 35, 51v).

⁷ *ლაუსიაკონი*, თ. 8. იხ. *The Lausiaca History of Palladius*, 1918, გვ. 59-61; *The Lausiaca History of Palladius*, 1905, გვ. 26-29.

⁸ რუფინუსი, *ეგვიპტელ ბერთა ისტორია*, თ. 30, იხ. PL 21, სვ. 455-457.

(*ანტონი დიდის ცხოვრება*, 60;¹ ორი ეპისტოლე ამონას მიმართ²), სოკრატე სქოლასტიკოსი (*ეკლესიის ისტორია*, 4.18/23), სოდომენე (*ეკლესიის ისტორია*, 1.14), და ა.შ.³

ტრადიცია ამონას მიაკუთვნებს სხვადასხვა თხზულებებს, მათ შორის წერილებს, აპოფთეგმებს, დარიგებებსა და სიტყვებს („სიტყვას მდუმარების მოსურნეთათვის“, „სიტყვას სულიერი სიხარულის შესახებ მასში, ვინც ღვთის მსახურება დაიწყო“, და სხვ.). მისი „სიტყუანი“⁴ და აპოფთეგმების ნაწილი ქართულადაც არის გამოცემული.⁵ ამონას სწავლათა და ეპისტოლეთა შესახებ ქართულ ენაზე დაწერილია გამოკვლევები, რომლებიც ეკუთვნით ქეთევან მამასახლისსა⁶ და ილია ცეცხლამეს.⁷ მისი ცხოვრებისა და სასწაულების შესახებ გადმოცემები შეკრებილია გ.კობახიძის სტატიაში.⁸

ამონას თხზულებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს მისი **ეპისტოლეთა კრებული**, რომლის ავთენტურობაც უდავოა. ამონას წერილები ადრეულ ხანებშივე არაერთხელ არის ციტირებული სხვადასხვა ავტორთა ტექსტებში. ამონას სირიულ ეპ. 2.1-ს იმოწმებს ისააკ ასური (VII ს.),⁹ სირ. 10.2-ს – იოსებ ჰაზაია¹⁰ (VIII ს.), სირ. 12.2-სა და 13.3-ს – იოანე დალიათა (VIII ს.),¹¹ სირ. 12.2-იდან რამდენიმე სტრიქონს¹² და სირ. 11.5-ის მეორე ნაწილს მეტად შემოკლებულად¹³ იმოწმებს თომა მარგელი *წინამძღვართა წიგნში* (IX ს.) ამგვარი შესავლის შემდეგ: „ახლა კი აქ შესაფერისია, დავიმოწმოთ წმ.ამუნის („Amounis“), ასკეტისა და ღვთის ეკლესიაში არჩეული ეპისკოპოსის სიტყვა, რომელმაც ერთ-ერთ წერილში თავის მოწაფეთა მიმართ დაწერა“.¹⁴ სიტყვასიტყვით იმოწმებს სირიულ ეპ. 2-ს ისააკ ასური და ამონას „წმინდა გულის ადამიანს“ უწოდებს: „აი საღმრთო სიტკბოება, რომელსაც ამბობს

¹ PG 26, სვ. 929 და შემდ.

² PG 26, სვ. 1169-1180.

³ შდრ. Vossius, 1619, გვ. 385; Fabricius, 1729, გვ. 343.

⁴ აბულაძე, 1955, გვ. 306-309.

⁵ იხ. *შუა საუკუნეთა ნოველები*, 1974. ამონას შრომათა და გამონათქვამთა შესახებ იხ. ასევე, გაბიძაშვილი, 2006, გვ. 89. შდრ. კეკელიძე, 1941, გვ. 573.

⁶ მამასახლისი, 2018, გვ. 37-51; მამასახლისი, 2017, გვ. 43-44; მამასახლისი, 2019, გვ. 29-31.

⁷ ცეცხლამე, 2020.

⁸ კობახიძე, 2012, 2013.

⁹ ისააკ ასური, *სიტყვა* 35.10, იხ. Isaac le Syrien, 2003, გვ. 431; Farag, 2012, გვ. 105.

¹⁰ იოსებ ჰაზაია *წერილში სამონასტრო ცხოვრების სამი ეტაპის შესახებ*, სულიერ მხურვალეობასთან დაკავშირებით, ახსენებს ამონას და მოკლედ გადმოსცემს ამ უკანასკნელის შეხედულებას პირველ და მეორე მხურვალეობასთან დაკავშირებით, რომელიც ამონას ეპისტოლეში არის განხილული (ბერძ. 8.3/სირ. 10.2/ქართ. 12.3), იხ. Joseph Hazzaya, 1992, გვ. 317 (Étape somatique, 40); Farag, 2012, გვ. 106.

¹¹ იოანე დალიათა ახსენებს „პირველ მხურვალეობას“ (შდრ. სირ. 12.3) მეექვსე ჰომილიაში ამონას დასახელების გარეშე, ხოლო მეორე დამოწმებისას, 27-ე ჰომილიაში კი ასახელებს ამონას და იმოწმებს მონაკვეთს სირ. 13.3-დან (=ბერძ. 7.3/ქართ. 11.3): „ეს არის საუნჯე აგარაკში დაფარული, რომელიც იპოვა ადამიანმა და გაიხარა ძლიერ (მათე, 13.44). სულელებს, რომლებშიც ის არის დამკვიდრებული, გამოუცხადებს დიდ საიდუმლოებს; მათთვის ღამე არის, როგორც დღე. აი, გაგაცანით მოქმედება (τὸ ἐξέρχεται, ἡμεῖς) ამ სულისა“ (Farag, 2012, გვ. 106-107).

¹² მცირეოდენი შემოკლებებით არის დამოწმებული შემდეგი მონაკვეთის შესაბამისი სტრიქონები: „ამის-თუისცა წმიდანიცა იგი პირველნი მამანი უდაბნოთა ადგილთა – და აქუნდამცა რამე უძლურება“ (ქართ. 3.2/ბერძ. 1.2. იხ. Farag, 2012, გვ. 104).

¹³ “And I, your father, also say, because I have written these things to you, that I endured a great fight in the desert and in the mountain, and then only did I arrive at this condition (of perfection)” (Farag, 2012, გვ. 105). დამოწმებულია სირ. 11.5-ის მეორე ნაწილი (“Et ego quidem, qui pater vester sum – voluntatem suam revelavit“, PO 11, სვ. 449). ბერძნულ (ბერძ. 5.6) და ქართულ (10.5.6) თარგმანებში წარმოდგენილია ამ დამოწმების შესაბამისი მონაკვეთის მხოლოდ პირველი წინადადება: „და მეცა, მამად თქუენი, უკუეთუმცა არა წინაით ვერჩდი სულიერად მშობელთა ჩემთა, არამცა გამომიცხადა ღმერთმან ნებად თუისი“, მომდევნო მონაკვეთი კი, “Scriptum enim est: Benedictio patris – donec mihi Deus voluntatem suam revelavit“, არ არის მოცემული.

¹⁴ Bedjan, 1901, გვ. 279; PO 11, გვ. 399; Farag, 2012, გვ. 104-105.

საკვირველი ამონა, წმინდა გულის ადამიანი: „ეს სიტკბოება, – ამბობს იგი, – აღემატება თაფლისა და გოლის სიტკბოებას, მაგრამ ცოტანი არიან განდევნილები და ქალწულები, რომლებმაც ცნეს იგი“.¹ ამონას ეპისტოლეებს ახსენებს აბდ-იშო ბარ ბერიკა (1250-1318 წწ.) კატალოგში აღწერს ბერძენ მწერალთა შორის (თ. 42), სადაც მიუთითებს, რომ „ამონიოსმა შეთხზა ეპისტოლეები“ (Ⲡⲗⲓⲗⲏ ⲛⲁⲛⲁⲓⲛⲏ).² აღსანიშნავია, რომ დამოწმებულ წერილებს ყველა ეს ავტორი ამონას მიაკუთვნებს.

ამონას ეპისტოლეები შემორჩენილია ბერძნულ, სირიულ, არაბულ, სომხურ, ეთიოპურ და ქართულ ენებზე. მათ შესახებ მოკლე ცნობები მოცემულია გამოცემაში *Clavis Patrum Graecorum* (CPGr 2380).

ეპისტოლეები დამოდვრითი ხასიათისაა და მიმართულია ამონას სულიერი შვილები–სადმი. ამონა მათ ასწავლის ღვთის სიყვარულს, სამონაზვნო ღვაწლს, ქრისტიანულ სათნოებებს, განამტკიცებს საცდურის წინააღმდეგ, შეაგონებს განსაცდელთა დათმენას, რათა უკან არ დაიხიონ და არ დატოვონ საღვაწი ადგილი, „რათა იყვნეთ ყოვლადავ ცოცხალ ჯორცითა და სულითა და საშუმინველითა“ (ქართ. 14.3),³ და მოუწოდებს, გადალაზონ ყოველგვარი მიწიერი თუ სულიერი, ეშმაკისეული დაბრკოლებები და ჰქონდეთ სწრაფვა ზეცისაკენ, სულიერი განვითარებისაკენ, გულის სიწმინდისა და შინაგანი ხედვისაკენ (τὸ διορατικὸν τῆς καρδίας „შინაგანმხედველი იგი მადლი“, ბერძ. 3.2/ქართ. 4.2), რომელიც დღისით და ღამით მრავალი ლოცვით, ცრემლითა და ასკეზით მიიღწევა.⁴ წერილებში ამონა ხშირად იმოწმებს ბიბლიას, განსაკუთრებით პავლე მოციქულის ეპისტოლეებს⁵ და ფსალმუნებს,⁶ და მაგალითებად მოჰყავს წმინდა წერილიდან ცნობილი ადამიანები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ორიგენეს გარკვეული გავლენა ამონაზე, ისევე, როგორც ანტონი დიდზე.⁷ ამონას წერილებს ქრისტიანული მისტიციზმის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.⁸

ეპისტოლეთა დათარიღება საკმაოდ რთულია, ვინაიდან მათი შინაარსი არ იძლევა საკმარის ცნობებს ამისათვის. თუმცა, ვინაიდან ამონა არ ასხვავებს ერთმანეთისგან კანონიკურ და აპოკრიფულ ლიტერატურას და მეთავე ეპისტოლეში (10.1) იძლევა აპოკრიფული *ესაია წინასწარმეტყველის ამბლები*ს ალუზიას,⁹ ხოლო აპოკრიფული ლიტერატურის გამოყენება მართლმადიდებლურ ნაშრომებში IV ს-ის ბოლოსათვის უკვე აღარ იყო მისაღები, წერილებს IV ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებენ.¹⁰ ეპისტოლეთა შემცველი უადრესი ხელნაწერია 534 წელს გადაწერილი სირიული ნუსხა, BM add. 12175, რომელიც შეიცავს ასევე, სირიელ ბერთა, მათ შორის ევაგრე პონტოელის, ნილოს სინელის, მაკარი ალექსანდრიელისა და სხვათა ნაშრომების დიდ კრებულს, ხოლო მასში შეტანილი შრომებიდან ყველაზე გვიანდელია პალადი

¹ ისააკ ასური, *სიტყვა* 35.10, იხ. Isaac le Syrien, 2003, გვ. 431; Farag, 2012, გვ. 105.

² Assemanus, 1725, გვ. 47.

³ სირ. 1.3, PO 10, გვ. 569₁₁. ამონა ამას სხვაგანაც იმეორებს: „რათა უფალმან დაგმარხენინ თქვენ უბრალოდ და მრთელად სული თქუენი, საშუმინველი და გუამი“ (ქართ. 2.4/სირ. 3.4, იხ. PO 10, გვ. 577₄).

⁴ ამონას წერილთა საღვთისმეტყველო ანალიზისა და სწავლების განხილვისათვის იხ. მამასახლისი, 2018, გვ. 37-51, ხოლო ამონას ეპისტოლეთა შინაარსისა და ანტონი დიდის ეპისტოლეებთან მათი ურთიერთმიმართების შესახებ იხ. მამასახლისი, 2017, გვ. 44; მისივე, 2019, გვ. 30-31.

⁵ სოკრატე სქოლასტიკოსის თანახმად, ამონამ ახალშერთულ ცოლს სწორედ პავლე მოციქულის ეპისტოლეები წაუკითხა და მათი მეშვეობით დაითანხმა ქალწულებრივ ღვაწლზე (*ეკლესიის ისტორია*, 4.18/23).

⁶ ბიბლიურ ციტირებათათვის ამონას ეპისტოლეებში იხ. Outtier, 1985, გვ. 47-48.

⁷ Outtier, 1985, გვ. 10.

⁸ Outtier, 1985, გვ. 8. კლეინას ამონას ეპისტოლეები მოჰყავს იმის მაგალითად, რომ სამონაზვნო მისტიციზმი ევაგრე პონტოელამდეც არსებობდა (Klejna, 1938, გვ. 347). კ. კეკელიძე ამონას ასახელებს ასკეტთა და მისტიკოსთა შორის (კეკელიძე, 1980, გვ. 545).

⁹ *Ascensio Isaie*, 8.21, იხ. Charles, 1900, გვ. 116; Klejna, 1938, გვ. 321.

¹⁰ Klejna, 1938, გვ. 321.

ჰელენოპოლელის *ლავსაკონი*, რომელსაც მიახლოებით 420 წელს მიაკუთვნებენ. ამ მიზეზით, ანტონი დიდისა და ამონას ეპისტოლეთა მკვლევარი, ფრანც კლეინა, წერილთა შედგენისათვის *terminus post quem non*-ად მიიჩნევს V ს-ის მეორე ნახევარს.¹ მთლიანობაში კი მკვლევრები ამონას ეპისტოლეთა კრებულს ათარიღებენ 360-იანი წლების დასასრულით (რუბენსონი),² დაახლოებით 370-იანი წლებით ან მათი ახლო ხანებით (უილიამსი),³ 396 ან 403 წლამდე პერიოდით (ნო)⁴ და 376-410 წლებით (ფარაგი).⁵

წერილთა ორიგინალის ენის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ივარაუდება, რომ ამონას ეპისტოლეთა დედანი დაიწერა ბერძნულ ან კოპტურ ენაზე (კოპტურ ენაზე ამონას წერილები მოღწეული არ არის).

ამონას ასახელებს ბერძენ მწერალთა შორის აბდ-იშო ბარ ბერიკა (1250-1318 წწ.) თავის კატალოგში (თ. 42), სადაც მიუთითებს, რომ ამონამ, უკეთ, „ამონიოსმა შეთხზა ეპისტოლეები“ (ΑΜΟΝΙΟΣ ΗΥ ΑΠΟΛΟΓΩΝ).⁶ ამონას ბერძნულ ეპისტოლეთა გამომცემელი, ფრანსუა ნო მიიჩნევდა, რომ ამონას წერილთა დედანი ბერძნულ ენაზე იყო შექმნილი.⁷

კოპტურს მიიჩნევს ამონას წერილთა დედნისეულ ენად ფრანგი მკვლევარი ბერნარ უტიე, რომლის ვარაუდითაც ამონამ, ანტონი დიდის მსგავსად, თავისი წერილები კოპტურ ენაზე დაწერა და ისინი მცირე ითარგმნა არაბულ და ბერძნულ, ბერძნულიდან კი – სხვა ენებზე.⁸ კოპტურს თვლის ამონას ეპისტოლეთა კორპუსის ორიგინალის ენად ჟერარ გარიტიც.⁹

გეორგ ფარაგი, რომელიც ამონას ეპისტოლეთა შესახებ უკანასკნელი ხანების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი გამოკვლევის ავტორია, შენიშნავს, რომ ამონას წერილები შეიძლება ბოდა დაწერილიყო ორივე ამ ენაზე, ბერძნულზეცა და კოპტურზეც.¹⁰

ამონას ეპისტოლეთა კოპტურ ენაზე შექმნის დამადასტურებლად მკვლევრები რამდენიმე თეზისს ასახელებენ, რომელთაგან თითოეული სადავია:

ა) ამონა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ეგვიპტეში და, მაშასადამე, კოპტურიც უნდა სცოდნოდა და, შესაბამისად, ეპისტოლეებიც ამ ენაზე უნდა დაეწერა. ამასთან, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა ამონამ ბერძნული, რომელიც ეგვიპტეში სამწერლობო-სალიტერატურო ენას წარმოადგენდა (ამონას წერილთა კორპუსის ბერძნულ ენაზე შექმნის მომხრენი ვარაუდობენ, რომ ამონამ ბერძნულიც იცოდა), ეს არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას მის მიერ წერილების მაინცადამაინც ბერძნულ ენაზე შედგენისათვის.¹¹

ბ) არაბულ ენაზე მოღწეულია 20 წერილის შემცველი კორპუსი, რომლის თარგმანიც 1270 წლით თარიღდება. ოცივე ეპისტოლე მასში ანტონი დიდს მიეწერება, თუმცა ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ მას მხოლოდ 7 ეპისტოლე ჰქონდა დაწერილი. იერონიმე ნაშრომში *გამორჩეულ ადამიანთა შესახებ* ანტონი დიდის მხოლოდ შვიდ ეპისტოლეს მიუთითებს: „ბერმა ანტონიმ... გაგზავნა ეგვიპტურ (კოპტურ) ენაზე სხვადასხვა მონასტრებში სამოციქულო გრძნობითა და ენით შესრულებული *შვიდი* ეპისტოლე, რომლებიც ბერძნულ ენაზე

¹ Klejna, 1938, გვ. 320.

² Rubenson, 2011, გვ. 196.

³ Williams, 2002, გვ. 32; Farag, 2012, გვ. 159-160.

⁴ PO 11, გვ. 395.

⁵ Farag, 2012, გვ. 159-160.

⁶ Assemanus, 1725, გვ. 47; იხ. აგრეთვე, PO 10, გვ. 555.

⁷ PO 11, გვ. 400.

⁸ Outtier, 1985, გვ. 11.

⁹ „il a existé, selon toute probabilité, un corpus copte de vingt lettres d'Antoine”, Garitte, 1939, გვ. 29.

¹⁰ „La version grecque des lettres est certainement très importante, que ce soit la version originale ou une première traduction du copte”, Farag, 2012, გვ. 203.

¹¹ „la connaissance par Ammonas de la langue grecque n'est pas une raison pour rédiger nécessairement les lettres dans cette langue, à cause du bilinguisme déjà mentionné”, Farag, 2012, გვ. 139-140.

ითარგმნა“.¹ გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ არაბული კორპუსის ნაწილი, კერძოდ კი 9 წერილი, ამონას კალამს მიეკუთვნება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ანტონი დიდის ეპისტოლეები კოპტური დედნის ზუსტ თარგმანს წარმოადგენენ, ამონას წერილები კი, თუმცა კი მისი ზოგი მონაკვეთი სიტყვასიტყვით არის გადმოღებული, ძირითადად მნიშვნელოვნად გადამუშავებულ ტექსტებს იძლევა.

არაბულ კორპუსზე დაყრდნობით, გარიტი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ არსებობდა 20 წერილისგან შემდგარი კოპტური ვერსიაც, რომელიც მიეწერებოდა ანტონი დიდს.² ასეთსავე ვარაუდს გამოთქვამდა გ.ფარაგი. იგი მიიჩნევდა, რომ ანტონისა და ამონას წერილები ერთ კრებულად გაერთიანდა კოპტურშივე, როდესაც ამონას წერილები უკვე გადამუშავებული იყო,³ ხოლო ამის შემდეგ ეს გაერთიანებული კორპუსი ერთად ითარგმნა არაბულ ენაზე.⁴ მსგავსი შეხედულებისაა რუბენსონიც.⁵

ჩვენი შეხედულებით, ანტონი დიდისა და ამონას ეპისტოლეთა კორპუსების გაერთიანება მექანიკურად, შემთხვევით მოხდა არაბულში, მათი გადაწერისას ან თარგმნისას, იმ მიზეზით, რომ წყაროში ეპისტოლეთა დასაწყისებთან ავტორის ვინაობა არ იყო დასახელებული, არამედ მოცემული იყო მხოლოდ წერილთა ნუმერაცია აშიებზე, ისე, როგორც ამონას წერილთა შემცველ ბერძნულ Sin. gr. 462 ხელნაწერში,⁶ ან ავტორის სახელი ამ დროისათვის გადარეცხილი იყო სათარგმნი ხელნაწერის წყაროდან.⁷ ამ გაერთიანების მექანიკურობას მოწმობენ თავად ამ კორპუსში შეტანილ ეპისტოლეთა ტექსტები – ანტონი დიდის წერილები ზედმიწევნით არის თარგმნილი, ხოლო ამონას ეპისტოლეები გადამუშავებულია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ამონას წერილთა რედაქტორს ანტონი დიდის ეპისტოლეები ხელთ არ ჰქონია. ამასთანავე, მსგავსი კომპილაცია მხოლოდ არაბულში დასტურდება.

გ) მართალია, ამონას წერილთა კოპტური ვერსია არ არის აღმოჩენილი, მაგრამ მათი დამოწმებები მოღწეულია ადრეულ კოპტ ავტორთა, კერძოდ კი თეთრი მონასტრის წინამძღვრების, შენუტი ატრიპელისა (348-466 წწ.), და მისი მოწაფის, ბესას (გარდ. 474 წლის შემდ.), ასევე, კოპტი ქრისტიანი მწერლის, აბუ ელ-ბარაკათ იბნ კაბარის (გარდ. 1324 წ.) ნაშრომებში, სადაც ისინი ანტონი დიდს მიეწერება. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ამონას ეპისტოლეები კოპტურ ენაზე დაიწერა და IV ს-ის ბოლოს ანტონისა და ამონას წერილები უკვე ერთ კრებულად იყო გაერთიანებული ამავე ენაზე.⁸

ამონას წერილთა ყველაზე ადრინდელი დამოწმება ეკუთვნის შენუტი ატრიპელს, თეთრი მონასტრის წინამძღვარს, კოპტური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანს. იგი იმოწმებს მონაკვეთს, რომლის ავტორადაც ანტონი დიდს მიიჩნევს.⁹ მკვლევართა თანახმად, ეს ნაწყვეტი უახლოვდება არაბული კრებულის ეპ. 18-ის დასაწყისს,¹⁰ რომლის შინაარსიც ემსგავსება ამონას ბერძ. 1.1-ს,¹¹ მაგრამ არ წარმოადგენს მის ზუსტ ციტირებას. გარიტის ვარაუდით, შენუტი

¹ “Antonius monachus... misit Aegyptiace ad diversa monasteria Apostolici sensus sermonisque *epistulas septem*, quae in Graecam linguam translatae sunt”, *De Viris Illustribus*, 88, PL 23, სვ. 693BC.

² “il a existé, selon toute probabilité, un corpus copte de vingt lettres d'Antoine”, Garitte, 1939, გვ. 29.

³ Farag, 2012, გვ. 149, 343.

⁴ Farag, 2012, გვ. 79, 92, 103, 130, 140.

⁵ “the very early attribution of the same letters to Ammonas and to Antony (in Coptic and Arabic)”, Rubenson, 2015, გვ.75.

⁶ ხელნაწერის ფოტოკოპირებისათვის იხ. <https://library.princeton.edu/byzantine/manuscripts/26844>.

⁷ შდრ. PO 10, გვ. 565-566.

⁸ Farag, 2012, გვ. 94-102; Rubenson, 2015, გვ. 72-79, 74.

⁹ Garitte, 1939, გვ. 20-21. ფარაგის თანახმად, შენუტი და ბესა საუბრობენ მხოლოდ იმაზე, რაც ანტონი დიდს უთქვამს ან დაუწერია (Farag, 2012, გვ. 102, 121-122).

¹⁰ Ecchellensis, 1641, გვ. 117; PG 40, სვ. 1047B; Garitte, 1939, გვ. 20; Farag, 2012, გვ. 94-95, 293.

¹¹ *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. iii; Outtier, 1985, გვ. 12; Farag, 2012, გვ. 114.

ატრიპელი წერილს იმოწმებს მეხსიერებით.¹ მიუხედავად ამგვარი განმარტებისა, შენუტის დამოწმება, მართალია, შინაარსობრივად უახლოვდება არაბ. 18-ის საწყის მონაკვეთს, მაგრამ შორს დგას ამონას ბერძნული და სირიული წერილებისაგან:

შენუტი	არაბ. 18	ამონა, ბერძ. 1.1	ამონა, სირ. 12.1	ამონა, ქართ. 3.1
Scimus quod inde a tempore quo coepit transgression et animae defecerunt, animae omnes transgrediendo abierunt in infernum, at Dominus noster Jesus Christus cum venit in mundum, animas quotquot voluerunt obedire ei, extraxit ex inferno, id est ex impietatibus diabolicis, et assumpsit eos in coelum (Zoega, 1810, გვ. 419). ²	Scitote, filii mei dilectissimi, quod ab initio, quando anima a praecepto declinavit, exorta est inobedientia; mediante qua inobedientia omnes animae ad inferos ire coeperunt, sicut dixit Apostolus: “Quod per primum Adam fuit mors”. Quare miseratione motus est Deus Verbum, et incarnatus est ex nobis mysterio incomprehensibili, et implevit omnem dispensationem nostrae salutis, et descendit ad inferos, et captivos illos fecit; et reduxit inde omnes animas ibi detentas, eripiens eas a postestate diaboli usque ad diem tremendum iudicii; et ascendere fecit eas, quia sponte obtemperaverunt et obedierunt, feceruntque praecepta divina, ad coelum ubi est paradisis. (PG 40, სვ. 1047B).	Οἶδατε καὶ ἡμεῖς, ἀγαπητοὶ ἀδελφοί μου, ὅτι ἀφ’ οὗ (ἀφου A) ἐγένετο ἡ παράβασις, οὗ δύναιται ἡ ψυχὴ, ὡς δεῖ, τὸν Θεὸν ἐπιγυῖναι, ἔαν μὴ συστείλῃ ἐαυτὴν ἀπὸ τῶν ἀνθρώπων καὶ ἀπὸ παντὸς περισπασμοῦ. Τότε γὰρ ὄψεται τὸν πόλεμον τῶν μαχομένων αὐτῆ, καὶ, ἔαν νικήσῃ τὸν κατὰ καιρὸν ἐρχόμενον πόλεμον, τότε ἐνοικεῖ ἐν αὐτῇ τὸ πνεῦμα τοῦ Θεοῦ, καὶ πᾶς ὁ κάματος μεταβληθήσεται εἰς χαρὰν καὶ ἀγαλλίασιν. Ἐν δὲ τοῖς πολέμοις (πολέμοις A) ἐπιφέρονται ἐπ’ αὐτῆ λῦπαι, καὶ ἀκηδῖαι, καὶ ἄλλα πολλὰ πολύτροπα βάρη, ἀλλὰ μὴ πτοηθῆ· οὐ γὰρ ἰσχύσουσι κατ’ αὐτῆς ἐν ἡσυχίᾳ πορευομένης (PO 11, გვ. 432).	Dilectissimis in Domino. Vos scitis facta praevaricatione praecepti animam non posse Deum cognoscere nisi seipsam a hominibus et omnibus occupationibus elongaverit. Tunc enim videt adversarium suum, quantopere sibi resistat. Viso autem adversario suo secum colluctante eoque devicto secum aliquando conflictante dein Deus habitat in ea et ex tristitia in gaudium et exultationem transformatur. Quodsi autem in pugna superata sit, supervenit ei tristitia et tepor cum multis aliis rebus et molestia generum diversorum (PO 10, გვ. 603).	საყუარელთა მაგათ მძათა სიხარული უფლისა მიერ! საყუარელთა მძათა ჩემო უფლისა მიერ, იცით თქუენცა, რამეთუ ვინათგან რჩულისა გარდასლვა იქმნა, ვერ ძალ-უცსულსა მას, რომელი რჩულსა მას გარდასრულ არს, ვითარმცა ადვილად იცნა ღმერთი, უკუეთუ არა განაშოროს თავი თუისი კაცთაგან და ყოვლისა ამისგან ამათსა ზრუნვისა. რამეთუ მაშინ იხილოს ბრძოლად იგი განწყობილი მისა მიმართ მოცალედ. ხოლო რაჟამს იხილოს ბრძოლად იგი წინააღმდეგობთა მათ თუისთა მიაქციოს და და სძლოს ჟამად-ჟამად მომავლთა მათ ზედა ბრძოლათა, მაშინ დაემკუდრის მის თანა სული წმიდა და შრომა იგი გარდაეცეს სიხარულად და მხიარულებად და შუებად. უკუეთუ ჟულად იძლის ბრძოლათა მათ შინა, მაშინ მოიწინიან მის ზედა მწუხარებანი და ურვანი და სხუადცა მრავალი და მრავალსახე სიმძიმე. (Sin. geo. 35, 46r; Sin. geo. n. 13, 64r).

არაბ. 18-ის ტექსტი მთლიანად ანტონი დიდის ნამუშევრს წარმოადგენს.³ იგი არ თანხვდება ამონას არც ბერძ. 1-ს და არც სხვა რომელიმე ეპისტოლეს. თავად დამოწმების შინაარსი საკმაოდ ზოგადია და თემა, რომლის შესახებაც აქ არის საუბარი, – შეცოდებათა გამო სულთა ჯოჯოხეთში ჩასვლა, მაცხოვრის ამ სამყაროში მოსვლა, მაცხოვრისადმი სულთა მორჩილება და მათი ჯოჯოხეთიდან დახსნა, – ხშირად დასტურდება სხვადასხვა ეპოქის ქრისტიანულ ტექსტებში, და სრულიად ბუნებრივია, თუ ანტონი დიდთან და ამონასთან, რომლებიც ერთსა და იმავე გარემოში მოღვაწეობდნენ, ერთნაირი საკითხებია წარმოჭრილი.⁴ არაბულ კრებულში დაცული ამონას სხვა წერილები ამ ეპისტოლეთა თუმცა გადამუშავებულ, მაგრამ სრულ ვერსიებს იძლევა, ამ შემთხვევაში კი მკვლევრები საუბრობენ არაბ. 18-ის მხოლოდ საწყის სტრიქონთა სიახლოვეზე ამონას დასახელებულ წერილთან, ან არაბ. 18-ს თვლიან ამონას

¹ “Sans doute, la citation n’est pas littérale, mais il est probable que Chenoute citait de mémoire”, იბ. Garitte, 1939, გვ. 21.

² შენუტის დამოწმების ფრანგული თარგმანისათვის იბ. „Nous savons que depuis la transgression les âmes devinrent; alors de par leur déviation, toutes les âmes descendirent en enfer. Mais lorsque Notre Seigneur Jésus le Christ vint en ce monde, les âmes qui voulurent lui obéir, furent par lui retirées de l’enfer, c’est-à-dire des impiétés diaboliques, et emportées aux cieux“ (Garitte, 1939, გვ. 21).

³ CPGr 2380; იბ. აგრეთვე, Antonio Il Grande, 1999, გვ. 11; Farag, 2012, გვ. 81, 94-103, 126, 149, 290 და შემდ.; Rubenson, 2011, გვ. 190.

⁴ შდრ. Farag, 2012, გვ. 301.

სხვადასხვა წერილთა კომპილაციად.¹ შესაბამისად, სრულიად დამაჯერებლად მიგვაჩნია ს.ემელისა და გ.ფარაგის შეხედულება, რომლის მიხედვითაც შენუტის დასახელებული დამოწმება ანტონისადმი ამ წერილის მიკუთვნებისა და მისი ავთენტურობის მყარ არგუმენტს წარმოადგენს,² ხოლო ამონასთან არაბ. 18-ის საწყისი მონაკვეთის დაკავშირება არ გვეჩვენება მართებულად.

ამავე, მეთვრამეტე წერილის ბოლო მონაკვეთს, როგორც ანტონი დიდის ეპისტოლეს, იმოწმებს შენუტის მოწაფე და მემკვიდრე, თეთრი მონასტრის წინამძღვარი და შენუტის ცხოვრების აღმწერილი, ბესა, ჰერაის მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში (ფრაგმენტი N 30).³ ა.ლუფის თანახმად, ბესას მიერ ციტირებული ტექსტის პირველი ნაწილი უახლოვდება ამონას სირ. 2-ს, მეორე – სირ. 9.4-5 და 10.2-ს, მასში წარმოდგენილი საკითხები კი დასტურდება მაკარი ეგვიპტელის ეპისტოლეშიც.⁴ აღნიშნულ თანხვედრებს მკვლევრები ხსნიან იმით, რომ ეს ტექსტები მომდინარეობს ერთი და იმავე ასკეტიკური გარემოდან და მიეკუთვნება ერთი და იმავე ხანის, IV საუკუნის სამონასტრო ლიტერატურას, რის გამოც არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი გადაწერილია ერთიმეორისგან, რადგანაც თითოეული მათგანი ეყრდნობა განსხვავებულ, ამასთანავე კი ავთენტურ წყაროს.⁵

ამგვარად, ვინაიდან არაბ. 18 მთლიანად ანტონი დიდის წერილს წარმოადგენს, შესაბამისად, შენუტი და ბესა იმოწმებენ სწორედ ამ უკანასკნელის წერილს, რომელშიც იგივე თემაა განხილული, რაც ამონას ეპისტოლეებში,⁶ მითითებულ მონაკვეთთა თანხვედრა კი არაზუსტია.⁷ ამასთანავე, შენუტისა და ბესას ციტირებები ვერ ადასტურებენ, რომ ამ მოღვაწეებს კოპტურ ენაზე ჰქონდათ წაკითხული ამონას წერილები.

¹ Klejna, 1938, გვ. 328-329; Louf, 1976, გვ. 11, შენ. 15; Farag, 2012, გვ. 126.

² ფარაგი ამის შესახებ რამდენჯერმე მიუთითებს: “The testimony of Shenoute is of course a strong argument in favor of the authenticity also of Ep. 18” (Emmel, 2004, გვ. 667; Farag, 2012, გვ. 126); “Cette lettre a été citée une fois par Chenoute au commencement et une autre fois par Bésa dans la conclusion; nous supposons que cette lettre est sûrement de la main d’Antoine” (Farag, 2012, გვ. 126); “Saint Chenoute et Bésa ne mentionnent pas que leurs citations sont des Lettres d’Antoine mais ils notent simplement ce qu’Antoine écrivit ou dit” (Farag, 2012, გვ. 102); „Les citations de Chenoute et Bésa de la XVIIIème lettre sont des arguments forts pour authentifier précisément cette lettre comme étant d’Antoine, mais cela ne signifie pas nécessairement que toutes les lettres de la deuxième collection sont effectivement d’Antoine” (Farag, 2012, გვ. 121).

³ Kuhn, *CSCO* 157, 1956, გვ. 99-101; ინგლისური თარგმანისათვის იხ. Kuhn, *CSCO* 158, 1956, გვ. 96-97 და გვ. 96, შენ. 4; PG 40, სვ. 1050D-1051B. იხ. ასევე, Garitte, 1939, გვ. 24-25, 30.

⁴ „La première partie de la citation de Bésa est apparentée à la Lettre II d’Ammonas. La deuxième partie rappelle les Lettres IX, 4-5 et X, 2. On y reconnaît une doctrine chère à la Lettre de Macaire. Nous sommes en tout cas dans le même milieu et à la même époque“, Louf, 1976, გვ. 11; Farag, 2012, გვ. 299.

⁵ “En comparant les trois textes, qu’ils soient d’Antoine, d’Ammonas ou de Macaire, nous pouvons conclure que les trois textes proviennent de la même époque et du même milieu ascétique et appartiennent à la littérature monastique du 4ème siècle, et cela ne veut pas dire que ses textes sont copiés les uns des autres, parce que chaque texte provient d’une source différente et authentique. Ainsi nous sommes uniquement d’accord avec Louf quand il dit: Nous sommes en tout cas dans le même milieu et à la même époque” (Farag, 2012, გვ. 301). ბესას დამოწმების შესახებ იხ. იქვე, გვ. 94-103, 290 და შემდ.

⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ღვთის განგებულებისა და საღმრთო განხორციელების შესახებ მსჯელობა, რომელთა შესახებაც საუბარია შენუტის დამოწმებაში, დამახასიათებელია ანტონი დიდისთვის და არა ამონასთვის: “On observe que la citation, qui parle de l’économie de Dieu et de l’Incarnation divine, est caractéristique d’Antoine et n’a pas retenu l’attention d’Ammonas. Son intérêt a été axé sur l’œuvre de l’Esprit dans l’âme” (Farag, 2012, გვ. 293).

⁷ ამის შესახებ შენიშნავს გ. ფარაგიც: “les citations de Chenoute et Bésa n’étaient pas identiques (exactes) comme dans le cas des citations de Bésa de la VIème lettre” (Farag, 2012, გვ. 127); “ces citations de la XVIIIème lettre n’étaient pas exactement identiques au texte arabe, peut-être à cause de la nature de la traduction arabe qui était libre et non littérale” (Farag, 2012, გვ. 102).

ანტონი დიდის წერილთა კორპუსის შესახებ წერს ცნობილი კოპტი მწერალი და მთარგმნელი, აბუ ელ-ბარაკათ იბნ კაბარიც (გარდ. 1324 წ.) თავის ენციკლოპედიაში, *წყვდიადის ლამპარი*: „წმინდა ანტონი, ბერების მამა. ამბობენ, რომ არსებობს მისი 20 წერილი, რომლებიც არიან მის უდაბნოს მონასტერში, კოპტურ ენაზე, მაგრამ არ არიან თარგმნილნი არაბულად“ (თ. 7).¹ გარიტი თვლის, რომ ეს მონაკვეთი ადასტურებს ანტონი დიდის 20 წერილის არსებობას კოპტურ ენაზე, ხოლო თუ მასში არაფერია ნათქვამი არაბული თარგმანის შესახებ, რომელიც ამ დროისათვის უკვე არსებობდა, ეს იმიტომ, რომ იბნ კაბარმა არაფერი იცოდა მასზე.²

დამოწმებიდან ცხადია, რომ იბნ კაბარს თვითონ არ უნახავს ეპისტოლეთა კრებული და მათ შესახებ სხვათა გადმოცემის მეშვეობით შეიტყო. ამდენად, საკითხავია, რამდენად სწორია ის ცნობა, რომელიც მას მიაწოდეს, და, მეორე მხრივ, რამდენად ავთენტურად არის მოღწეული იბნ კაბარის ხსენებული ნაშრომი, რადგან *წყვდიადის ლამპარის* გადამწერებს, რომლებმაც იცოდნენ, რომ არსებობს ანტონი დიდის სახელით ცნობილი 20 წერილისაგან შემდგარი კორპუსი, – და იბნ კაბარის დროისათვის იგი უკვე ნათარგმნი იყო არაბულ ენაზე, – შეეძლოთ, შეეცვალათ ავტორის მიერ აღნიშნული ეპისტოლეთა რიცხვი.

დ) ეპისტოლეთა არაბული კორპუსის შემცველ ხელნაწერთა კოლოფონებში მითითებულია, რომ არაბული თარგმანისათვის გამოყენებული იქნა ორი ხელნაწერი, მოცემულია თარგმანის თარიღი (მარტვილთა წ.აღ. 786 წ. = 1070 წ.) და ადგილი (ანტონი დიდის მონასტერი).³ ამ კოლოფონებს ეყრდნობა ვარაუდი, რომლის თანახმადაც, არაბული კრებულის სახით წერილთა კოპტური კოლექციის თარგმანი არის მოღწეული.⁴

ერთ-ერთ ასეთ კოლოფონში, კერძოდ კი კაიროს კოპტური მუზეუმის ხელნაწერ Copt. Mus. 93-ის კოლოფონში (XVII-XVIII სს.), ნათქვამია: „წმინდა და დიდი ანტონის ეს წერილები და ეს სწავლება ითარგმნა არაბულად მარტვილთა წ.აღ. 786 წლის ბოლოს (= 1070 წ.), ატ-ტარბეჰის უდაბნოს მის სახელგანთქმულ სავანეში, და ეს – ორი ხელნაწერის მიხედვით. ის, რაც არ იყო ნათელი ერთ ხელნაწერში, აღებული იქნა მეორიდან“ (126v).⁵ მიჩნეულია, რომ ეს დათარიღება შეცდომით არის მოცემული და მას ასწორებენ, შესაბამისად, 986 და 1270 წლებით.⁶

ხელნაწერის კოლოფონის მითითებულ ციტირებაში კოპტური წყარო ნახსენები არ არის. დასახელებულ მონასტერში ისევე, როგორც იმ ეპოქის სხვა სავანეებში, შეიძლებოდა, დაცული ყოფილიყო არა მხოლოდ კოპტური, არამედ სხვა, თუნდაც ბერძნულ ან სირიულ ენაზე შესრულებული ხელნაწერები, რომლებიც გამოყენებული იქნა წყაროდ არაბული თარგმანისათვის.

ე) კოპტურ აპოფთეგმათა კრებულში დასტურდება ამონას ეპ. 2-ის დასაწყისის თარგმანი გარკვეული ცვლილებებით.⁷

¹ Abu-El-Barakat Ibn Kabar, 1971, გვ. 294; Riedel, 1902, გვ. 647, 677 (თარგმანი); Garitte, 1939, გვ. 29, შენ. 54. ამ ნაწყვეტის ინგლისური თარგმანისათვის იხ. „St. Antony, the Father of Monks. It is said that he has some twenty-odd letters, and they are in his monastery in the desert, in Coptic, not having been translated into Arabic. In them are glorious benefits and beautiful and useful commandments. He also has commandments in the Canons of Monasticism and Guide for Monks“ (Abū al-Barakāt, 2009, გვ. 647).

² Garitte, 1939, გვ. 29, შენ. 54.

³ Rubenson, 2011, გვ. 191, შენ. 22.

⁴ Farag, 2012, გვ. 103; Rubenson, 2015, გვ. 74.

⁵ „Ces lettres et cet enseignement du saint et grand Antoine ont été traduits en arabe vers la fin de l'année 786 des martyrs (1070), dans son couvent célèbre du desert d'at-Tarbeh, et cela, d'après deux manuscrits. Ce qui n'était pas clair dans un manuscrit a été pris de l'autre“, Graf, 1934, გვ. 35; Garitte, 1939, გვ. 29.

⁶ Farag, 2012, გვ. 86, შენ. 255.

⁷ Farag, 2012, გვ. 81.

კოპტ. აპოფთეგმა	არაბ. 9	ბერძ. 2.1	სირ. 2.1	ქართ. 1.1
Abba Antoine dit: “ <i>Si quelqu’un aime le Christ de tout son coeur et de toute sa force, il engender la crainte; la crainte enfante les larmes; les larmes enfantent la joie spirituelle afin que la joie spirituelle enfante la vie angélique; la vie angélique enfante la vertu qui console; l’ame reçoit la justification afin de produire des fruits exquis. Si le Christ, celui qui la fortifie, voit son courage et sa patience en toute chose, il l’accueille avec joie. ainsi elle est dans l’exultation ceeste dans les lieux de repose qui ne finiront jamais.</i> ¹	<i>Si homo Deum dilexerit de toto corde et de tota cogitatione, et de tota mente, et de tota virtute sua, timorem consequitur. Timor autem generat fletum, fletus vero generat fortitudinem.</i> quibus consummatis in anima, fructus ferret in omnibus. Deus autem pulchris his <i>fructibus</i> in anima <i>perspectis</i> attrahit illam ad se tanquam odorem Thuris electi, illaque <i>laetatur</i> cum Angelis omni tempore, elargiens illi quoque <i>laetitiam</i> , eamque custodit in omnibus viis eius, ut perveniat <i>ad locum</i> suae <i>requie</i> , et non praevaleret adversus eam diabolus (Echellensis, 1641, გვ. 54-55; PG 40, სვ. 1021D-1022A).	Ἐάν τις ἀγαπήσῃ τὸν Κύριον ἐν ὅλῃ καρδίᾳ, καὶ ἐν πάσῃ τῇ ψυχῇ, καὶ πᾶσῃ δυνάμει σταθῆ ἐν φόβῳ, ὁ φόβος γενήσῃ αὐτῷ κλαυθμὸν, καὶ ὁ κλαυθμὸς χαρᾶν, καὶ ἡ χαρὰ γενήσῃ ἰσχυρὸν, καὶ διὰ ταῦτης ἡ ψυχὴ καρποφορήσῃ ἐν πᾶσι· καὶ ἂν ἴδῃ ὁ Θεὸς τὸν καρπὸν αὐτῆς οὕτως ἄραϊον, προσδέχεται αὐτὸν ὡς ἑσῶδιον, καὶ ἐν πᾶσι αὐτῆ συχχαρήσεται μετὰ τῶν ἀγγέλων αὐτοῦ, καὶ δῶσει αὐτῇ φιλίακα τὸν φιλάσσοστα αὐτῆ ἐν πᾶσαις ταῖς ὁδοῖς αὐτῆς, ὅπως ὁδογήσῃ αὐτῆ ἐς τὸν τόπον τῆς ἀναπαύσεως, ἵνα μὴ κατισχύσῃ αὐτῆς ὁ Σατανᾶς (PO 10, გვ.435).	<i>Si quis diligit Dominum tota anima sua et toto corde suo et totis viribus suis, acquirit timorem. Et timor parit fletum et fletus parit gaudium. Gaudium parit vires et per omnia haec anima facit fructus. Et Deus visis fructibus eius, tantopere delectabilibus, acceptam eam habet veluti odorem suavem et in omnibus Deus gaudet de ea cum angelis suis et custodem ei dat, qui eam custodiat in omnibus viis eius, donec eam praeparaverit ad vitae mansionem, ubi Satanas non ei praevaleret</i> (PO 10, გვ. 570).	უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თუისითა, შეეყოს შიშა მისსა, შიშმან უშვის მას სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი და მის გამო სული იგი ყოველსა შინა ნაყოფიერ იქმნეს. და რაჟამ იხილის ღმერთმან ნაყოფი იგი მისი ესრფთ შეუენიერად და შეიწყნაროს იგი, ვითარცა სულნელეზა, და ყოველსა შინა ღმერთი იხარებდეს მისა მიმართ, ანგელოსთა მისთა თანა და მოსცეს მას მცველი, რომელი სცვიდეს მას ყოველთა შინა გზათა მისთა, რათა მიუძღუეს მას ადგილს მას განსასუენებლისსა, რათა არა ეუფლოს მას ეშმაკი (Sin. geo. 35, 43v; Sin. geo. n.13, 59r).

აპოფთეგმათა კრებულში ამონას წერილის მითითებული სტრიქონების დამოწმება არ გულისხმობს მაინცდამაინც იმას, რომ ამონას წერილთა კორპუსი კოპტურ ენაზე იქნა შედგენილი, არამედ მხოლოდ იმას, რომ ამონას ეს ეპისტოლე უკვე დაწერილი იყო იმ დროისათვის და აპოფთეგმათა შემდგენელს მოსმენილი ჰქონდა იგი, რადგან არაფერი ადასტურებს იმას, რომ მან ეს სტრიქონები კოპტური ტექსტიდან გადმოიტანა საკუთარ ნაშრომში.

დასაშვებია, რომ ამონას ეპისტოლეები დაიწერა კოპტურ ენაზე, თუმცა ზემოთ დასახელებული არგუმენტები უტყუარად ვერ ამტკიცებენ ამას. ამასთანავე, ყველა ეს არგუმენტი ეპისტოლეტა კოპტურ ენაზე არსებობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარე დადასტურებას წარმოადგენს. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, ამონას ეპისტოლეტა თარგმანები შესწავლილი იქნეს ტექსტობრივი თვალსაზრისით კოპტურ ენასთან მიმართებაში, რადგან, პირველ რიგში, სწორედ ტექსტობრივ ანალიზს შეუძლია წერილთა დედნის კოპტურ ენაზე შედგენის შესახებ ვარაუდის დადასტურებაც და უარყოფაც. ეს ეხება განსაკუთრებით იმ ენებზე გადმოღებულ თარგმანებს, რომელთა შესახებაც არსებობს ვარაუდი, რომ ისინი უშუალოდ დედნიდან ითარგმნა ან მეტად მნიშვნელოვანია ამონას ეპისტოლეტა კორპუსის დედნის რეკონსტრუქციისათვის.

ამონას ეპისტოლეტა კორპუსის თარგმანები

ამონას ეპისტოლეებმა ჩვენამდე ექვს ენაზე სხვადასხვა რაოდენობით მოაღწიეს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბერძნულ და სირიულ ენებზე შემორჩენილი ეპისტოლეები. ყველაზე მეტი, 14 წერილი მოაღწეულია სირიულად, 13 – ქართულ ენაზე, 9 – არაბულ, 8 – ბერძნულ, 3 – სომხურ და 2 – ეთიოპურ ენებზე. ამასთან 9 არაბული ეპისტოლე შეესაბამება 10 სირიულ წერილს, ვინაიდან არაბ. ეპ. 19 შეიცავს ორი სირიული წერილის (სირ. 13 და 14) თარგმანს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ვუთითებთ ბერძნულ, ქართულ, სირიულ (და მის ხელნაწერთა), არაბულ, სომხურ და ეთიოპურ წერილთა ურთიერთშესაბამისობასა და ნუმერაციას:

¹ “Apophthegmes sur saint Antoine”, *Histoire des Monastères*, 1894, გვ. 25; Farag, 2012, გვ. 226-227.

ბერძ.	ქართ.	სირ.	A	B	C	D	E	F	MN	V	W	არაბ.	სომხ.	ეთ.
	14 ¹	1	[1] ²	[1]	[1]					[1]	[1] ³	15	2 _{i,xiii} ⁴	
2a	1	2	2	2	[2] ⁵					2	13	9	2 _{iv}	
6, 2b ⁶	2	3	3	3	[3] ⁷					6	3	10	2 _{ii,ix,xii}	
3	4	4	4	4	4					7	4	11	2 _{v,x}	
	5	5	0 ⁸	5	5					8	5	12		
	6	6	5	5 ⁹	6					9	6	13	2 _{xi}	
	7	7	6		8					10	7	14		
4.8-9 ¹⁰	8	8	7		7					11	8	8		
4.1-7 ¹¹	9[-10a] ¹²	9	8	9	9					12	9		2 _{vi,vii}	
8	12	10	9	10					[0] ¹³	13	10		1	1 (25)
5	10b	11	10	11		0 ¹⁴				5	2	[20b] ¹⁵	2 _{iii}	
1	3	12	11	13		3	6	[0] ¹⁶		4	[1] ¹⁷	[18a] ¹⁸	3	2 (47) ¹⁹
7 ²⁰	11	13	12	14		4				3	15	19a		
		14	13							[4] ²¹	[4] ²²	19b		

ცხრილი 1. ეპისტოლეთა ნუმერაცია და მიმდევრობა.²³

¹ *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. iii; Outtier, 1985, გვ. 12. გამოცემებში წერილი დანომრილია როგორც N 13, ქართულ თარგმანში კი, როგორც N 14 („წმიდისა ამონასივე მე-იდ“, Sin. geo. 35, 56v).

² ხელნაწერში ეპისტოლეთა კორპუსი ამ წერილით იწყება, თუმცა ნუმერაციის გარეშე (PO 10, 567).

³ წერილი დაცულია W ნუსხაში ნუმერაციის გარეშე. იხ. PO 10, გვ. 567.

⁴ სომხ. 2 რამდენიმე წერილიდან ამონარიდი ნაწყვეტებით არის შედგენილი (Outtier, 1971, გვ. 343). ჩვენ ეპისტოლეთა ნაწყვეტების მიმდევრობის მიხედვით 13 ნაწყვეტად დავყავით. ცხრილში არ არის შეტანილი ჩანართი სომხ. 2_{viii} (*Vitae Patrum*, გვ. 602+7), რომლის შინაარსიც არცერთ ეპისტოლეს არ ემსგავსება.

⁵ წერილი დაცულია C ნუსხაში ნუმერაციის გარეშე. იხ. PO 10, გვ. 570.

⁶ ბერძ. 2 შეესაბამება სირ. 2.1-2-სა და სირ. 3.4-ს.

⁷ წერილი დაცულია C ნუსხაში ნუმერაციის გარეშე. იხ. PO 10, გვ. 573.

⁸ A ნუსხაში ამ ეპისტოლეს ნუმერაცია არ აქვს, თუმცა მოსდევს მეოთხე წერილს, იხ. PO 10, გვ. 580.

⁹ B ნუსხაში სირ. 5-სა და სირ. 6-ს შეცდომით ერთი ნუმერაცია (ეპ. 5) აქვს. იხ. PO 10, გვ. 580, 582.

¹⁰ ბერძ. 4.8-9 შეესაბამება სირ. 8-ის შუა მონაკვეთს (იხ. ცხრილი 4). რუბენსონი მიუთითებს, რომ 4.8-9 შეესაბამება სირიულ 8.2-3-ს. იხ. Rubenson, 2017, გვ. 193.

¹¹ ბერძ. 4.1-7 შეესაბამება სირ. 9 და 10a-ს (შდრ. Rubenson, 2017, გვ. 192, 193). მკვლევართა თანახმად, ბერძ. 4 მოიცავს სირიულ ეპ. 8, 9 და 10-ს ან 10a-ს (Klejna, 1938, გვ. 312; Outtier, 1985, გვ. 12).

¹² ქართ. 9 შეესაბამება სირ. 9 და 10a-ს.

¹³ MN ნუსხებში დაცული ეს წერილი თავბოლონაკლულია. იგი იწყება 10.2-დან (იხ. PO 10, 595-597).

¹⁴ D ნუსხაში დაცული წერილის ნუმერაცია გამოცემაში არ არის მითითებული. იხ. PO 10, გვ. 597.

¹⁵ მკვლევართა ნაწილი წერილს სირ. 9-სა და სირ. 11-ს უსაბამებს (PO 10, 562-63; Farag, 2012, გვ. 110, 114-15), ნაწილი – სირ. 11-სა და ბერძ. 5-ს (Klejna, 1938, გვ. 312; Outtier, 1985, გვ. 12; CSCO 2380), ზოგი შენიშნავს, რომ ბერძ. 5-ს უახლოვდება წერილის მეორე ნაწილი, ხოლო პირველი დაწერა ანტონი დიდმა (Farag, 110, 114-15), უმრავლესობა კი არ მიიჩნევს ამონას წერილად (*The Letters of Ammonas*, 1985, iii).

¹⁶ ხელნაწერში წერილი ნუმერაციის გარეშეა ჩართული. იხ. PO 10, გვ. 603.

¹⁷ W ნუსხაში წერილი ნუმერაციის გარეშეა მოცემული კრებულის დასაწყისში (“W absque titulo speciali ponitur primo loco”, PO 10, გვ. 603).

¹⁸ ეს არაბული წერილი სირ. 12-ს და ბერძ. 1-ს ჰგავს მხოლოდ საწყისი რამდენიმე სტრიქონით. ეპისტოლეთა აღნიშნულია შემდეგ ცხრილებში: *The Letters of Ammonas*, 1985, iii; Outtier, 1985, გვ. 12.

¹⁹ ს.ბროკის ცხრილში ეს წერილი არ არის მოცემული. იხ. *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. iii.

²⁰ ბ.უტე და ს.რუბენსონი ცხრილებში მიუთითებენ, რომ ბერძ. 4 შეესაბამება სირ. 9, 8, 10a-ს, ბერძ. 7 – სირ. 13-სა და 14-ს, ხოლო ბერძ. 8 – 10b-ს. იხ. Outtier, 1985, გვ.12; Rubenson, 2017, გვ. 192.

²¹ V ნუსხასთან მეოთხე ეპისტოლეთა ორგან არის მითითებული, სირ. 12-თან („Epistola quarta M.Ammonii“, PO 10, გვ. 603), და სირ. 14-თან („In VW absque titulo adnectitur Epistolae IV“, გვ. 615).

²² მეოთხე ეპისტოლეთა W ნუსხასთანაც ორგან არის მითითებული, სირ. 4-თან (AW „Epistola quarta“, PO 10, გვ. 577) და სირ. 14-თან („In VW absque titulo adnectitur Epistolae IV“, იქვე, გვ. 615).

²³ იხ. ასევე, PO 10, გვ. 562 (არაბულ ეპისტოლეთა და ამონას სირიულ წერილთა ცხრილი); Klejna, 1938, გვ. 312; Garitte, 1976, გვ. 123-124 (ქართულ, ბერძნულ და სირიულ ეპისტოლეთა ცხრილი); *The Letters of Ammonas*,

ცხრილში წარმოდგენილ წერილებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეპისტოლეთა სირიული კორპუსის გამომცემელი არ უთითებს W ნუსხის წერილთა ჩამონათვალში სირ. 11, 12, 14 ეპისტოლეთა ნუმერაციას, ისევე, როგორც V ნუსხის წერილთა ჩამონათვალში სირ. 14-ს, თუმცა ამ ხელნაწერთა იკითხვისები ყველა წერილთან არის მოცემული და, შესაბამისად, ამ ნუსხებში ყველა ეპისტოლე არის დაცული. აღსანიშნავია ისიც, რომ V და W ნუსხებში მეოთხე ეპისტოლე ორ-ორჯერ არის მითითებული: V ხელნაწერში სირ. 12-თან (სათაურით „Epistola quarta M. Ammonii“),¹ W ნუსხაში – სირ. 4-თან (სათაურით „Epistola quarta“ AW)² და ორივე მათგანში – სირ. 14-თან (უსათაუროდ: „In VW absque titulo adnectitur Epistolae IV“).³

წერილები არ იძლევიან საკმარის მონაცემებს იმისათვის, რომ მათი მიმდევრობა განისაზღვროს ქრონოლოგიის ან შინაარსის მიხედვით, ამიტომ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, ერთი მხრივ, ბერძნულ ეპისტოლეთა, მეორე მხრივ კი სირიულ ეპისტოლეთა ნუმერაცია იმ მიმდევრობის მიხედვით, რომელიც დასახელებულ სირიულ ხელნაწერში, BM add. 12175-ში დასტურდება.⁴

ცხრილიდან ნათელია, რომ წერილთა ერთ ჯგუფს, ქართულ, სირიულ (განსაკუთრებით ACVW ნუსხებში) და არაბულ ენებზე, ერთნაირი მიმდევრობა აქვს, დანარჩენი კი არეულია. როგორც ჩანს, პირველწყაროში, საიდანაც ეპისტოლეთა ეს კრებულები ითარგმნა, ფურცელთა ნაწილი დასაწყისსა და ბოლოში ამოვარდნილი იყო, რამაც გამოიწვია ფურცელთა და, შესაბამისად, წერილთა მიმდევრობის აღრევა. ამასთანავე, პირველწყაროში წერილებს, სავარაუდოდ, ერთმანეთისგან არც ავტორის სახელი, ნუმერაცია და სათაური გამოჰყოფდა, ან ისინი ჩაწერილი იყო აშეიშვებულ, რომლებიც დროთა განმავლობაში გადაირეცხა, სხვაგვარად მთარგმნელ-გადამწერები ეპისტოლეებს თანმიმდევრობით დაალაგებდნენ და წერილთა მიმდევრობის აღრევა არ მოხდებოდა. ამის შესახებ გვაფიქრებინებს, ერთი მხრივ, ქართულ ეპისტოლეთა კორპუსში ავტორის სახელისა და წერილის ნომრის წვრილი ასოებით ჩაწერა აშეიშვებულ (შდრ. Sin. geo. 35, 48v, 49r. ამ ნუსხაში ისინი ჩვეულებრივ წერილის დასაწყისში არიან მოთავსებული, საკუთრივ წერილის ტექსტი კი მათ იმავე სტრიქონზე მოსდევს. ხელნაწერის წყაროში რომ ავტორის სახელი და წერილის ნომერი ყოფილიყო აღნიშნული, მთარგმნელ-გადამწერებს ისინი არ გამოჩნდებოდათ). მეორე მხრივ კი, ამას გვაგვარაუდებინებს წერილთა გადაბმა სხვადასხვა თარგმანებში. მაგალითად, არაბ. 19-ში ერთ ეპისტოლეში მოცემულია ორი წერილის, სირ. 13 და სირ. 14-ის თარგმანი,⁵ ხოლო ბერძ. 4 და ქართ. 9 წერილები შეიცავენ სირ. 9-სა და სირ. 10-ის პირველი ორი ქვეთავის შესაბამის ტექსტს, მაშინ, როდესაც საკუთრივ სირიულ კრებულში სირ. 9 და სირ. 10 ცალ-ცალკე, ერთიან წერილებად არიან წარმოდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ ბერძ. 4-ში ჯერ სირ. 9 და 10a-ის შესაბამისი ტექსტია გადმოცემული (= ბერძ. 4.1-7), შემდეგ კი – სირ. 8b-ის შესაბამისი (= ბერძ. 4.8-9). როგორც ჩანს, ბერძნული თარგმანის წყაროში ფურცელი შებრუნებით იყო ჩადებული. გ. ფარაგი თვლის, რომ სირ. 9 და 10a ერთ ეპისტოლეს წარმოადგენდა სირიული ტექსტის სათარგმნ წყაროში, მაგრამ მთარგმნელმა სირ. 10a-ს შესაბამისი პირველი სტრიქონი (“ვითარ და ოდენ ვწერე წიგნი ესე, მომეკსენა მე სიტყუად, რომლითა აღვიძარ მიწერად თქუენდა განსაცდელთათვის, რომელი შეემთხუევს სულსა კაცისასა”, ქართ. 9.6) შეცდომით ახალი წერილის დასაწყისად ჩათვალა

1985, iii; Outtier, 1985, გვ. 12; Farag, 2012, გვ. 110-115; Rubenson, 2017, გვ. 192, 193. სირიულ გამოცემაში არ არის მითითებული FMN ნუსხებში დაცულ წერილთა რიცხვი და მიმდევრობა.

¹ PO 10, გვ. 603.

² PO 10, გვ. 577.

³ PO 10, გვ. 615.

⁴ Outtier, 1985, გვ. 11.

⁵ შდრ. “Au contraire, le corps des lettres d’Ammonas ne mentionne pas du tout son nom”, Farag, 2012, 93.

და იგი ცალკე ეპისტოლედ გამოჰყო, ამასთანავე კი მიუერთა მას სირ. 10b, რომელიც, ფარაგის შეხედულებით, დამოუკიდებელი ეპისტოლე უნდა ყოფილიყო.¹

არსებულ თარგმანებზე დაყრდნობით, ამონას ეპისტოლეთა კრებულის თავდაპირველი სახით აღდგენილი ტექსტი ორჯერ გამოქვეყნდა. პირველი ამგვარი გამოცემაა: *The Letters of Ammonas, successor of saint Antony*. Translated by Derwas J. Chitty; revised and with an introduction by Sebastian Brock. Fairacres Publication 72. Oxford: SLG Press, 1979. იგი უპირატესად ეყრდნობა სირიულ ტექსტს (“the Syriac has been adopted as the main basis for the present translation”)² და ითვალისწინებს ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსსა და ქართულ Sin. geo. 35 ხელნაწერს.³ რამდენიმე წლის შემდეგ, 1985 წელს გამოიცა კიდევ ერთი ნაშრომი, ამონას ეპისტოლეთა კრიტიკული რედაქცია ყველა არსებულ თარგმანზე დაყრდნობით და მათი იკითხვის მითითებით: “Lettres des Pères du Désert: Ammonas, Macaire, Arsène, Sérapion de Thmuis”. Introductions, traductions, et notes par B. Outtier, A. Louf, M. van Parys, Cl.-A. Zirnheld. *Spiritualité Orientale* 42. Bégrolles-en-Mauges: Abbaye de Bellefontaine, 1985. ორივე გამოცემა, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი, მეტად მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი ამონას წერილთა კვლევისას.

ეპისტოლეთა სირიული კორპუსი

ამონას ეპისტოლეთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კრებულს სირიულ ეპისტოლეთა კორპუსი წარმოადგენს. მიჩნეულია, რომ ამონას სირიულ ენაზე მოღწეულ წერილებში საუკეთესოდ არის დაცული ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი, როგორც სისრულით, ისე შედგენილობით⁴ და „სირიული ვერსია (...) ტექსტობრივი ტრადიციის უფრო ადრინდელ ფორმას იძლევა, ვიდრე მოღწეული ბერძნული ტექსტი“.⁵ VII-XIII საუკუნეების ხელნაწერებზე დაყრდნობით ამონას წერილთა კრებულის სირიული ტექსტი გამოქვეყნდა გამოცემაში: *Ammonii Eremitae Epistolae*. Syriace edidit et praefatus est Michael Kmoskó. PO 10. Paris: Firmin-Dodet et Co, 1915, გვ. 555-566 (შესავალი), 567-616 (წერილების სირიული ტექსტი ლათინური თარგმანითა და იკითხვის მითითებით), 617-639 (ორი სადავო ეპისტოლე).⁶ გამოცემას აშეიბზე დატანილი აქვს ეპისტოლეთა არაბული ვერსიის ლათინური თარგმანის გვერდების მითითება.⁷

PO 10-ში წერილები გამოქვეყნებულია შემდეგ სირიულ ხელნაწერებზე დაყრდნობით:⁸

A – BM add. 12175 (534 წ.), 225r და შემდ.

B – BM add. 17183 (X ს.), 107r და შემდ.

C – BM add. 14598 (VII ს.), 339v და შემდ.

¹ Farag, 2012, გვ. 152.

² *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. ii-iii.

³ “The French translation is, as is evident from its notes, based on a comparison of all the published texts as well as the unpublished Georgian manuscript (Ms Sin.Georg. 35)”, Rubenson, 2011, გვ. 190.

⁴ *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. ii; იხ. ასევე, Williams, 2002, გვ. 24-25; Farag, 2012, გვ. 143; Rubenson, 2017, გვ. 193.

⁵ “the Syriac version (...) manifestly represents an earlier form of the textual tradition than does the extant Greek text”, *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. ii.

⁶ ამ ორი წერილიდან პირველი ეპისტოლე ნაყალბევად მიიჩნევა და ითვლება, რომ იგი შეიქმნა „ეგვიპტურ გარემოში, რომელიც უკვე კარგად იცნობდა ალექსანდრიულ ეგზეგეტიკას“, Outtier, 1985, გვ. 57.

⁷ *Sanctissimi Patris nostri B. Antonii Magni, monachorum omnium parentis, epistolae viginti, nunc primum ex arabico latini iuris factae ab Abrahamo Ecchellensi*. Parisiis: Apud Antonium Vitray, 1641, იხ. PO 10, გვ. 567, შენ. 1.

⁸ PO 10, გვ. 555-566, 565.

D – BM Rich. 7190 (XII ს.), 97v და შემდ.

E – BM add. 17213 (IX ს.), 36r და შემდ.

F – BM add. 14577 (IX ს.), 97r და შემდ.

M – BM add. 18814 (IX ს.), 145r და შემდ.

V – Vat. syr. 122 (796 წ.), გვ. 278 და შემდ.

W – Vat. syr. 126 (1223 წ.), 290r და შემდ.

ამ ხელნაწერთაგან ამონას ეპისტოლეთა შემცველ უადრეს და ყველაზე მნიშვნელოვან ნუსხას წარმოადგენს სირიული ხელნაწერი BM add. 12175, რომელშიც დაცულია 14-ვე ავთენტური ეპისტოლე. დანარჩენ ნუსხებში კი მეტ-ნაკლები რაოდენობის წერილებია წარმოდგენილი. ამ ხელნაწერთა გარდა, მ. კმოსკო იყენებს, ასევე, ვენის „ძალიან ძველ“ („perantiquus“) ნუსხას, გადაწერილს პროფ. გ.ნოიმანის მიერ, რომელიც ტექსტში N ლიტერით არის მოცემული:

N – Codex Vindobonensis perantiquus, prof. G. Neumann, 10r და შემდ.¹

გამომცემელი მიუთითებს კიდევ ერთ სირიულ ხელნაწერს, რომელიც შეიცავს ეპისტოლეთა მხოლოდ რამდენიმე წინადადების ფრაგმენტს, რის გამოც ეს ნუსხა კრიტიკულ ტექსტში არ არის გათვალისწინებული:

BM add. 14615 (X-XI სს., 77r და შემდ.)²

აქვე შევნიშნავთ, რომ ამონას ერთ-ერთი წერილის, სირ. 5-ის (აღწერილობაში შეცდომით მითითებულია სირ. 6),³ შემცველი სირიული ხელნაწერის იკითხვისებია მითითებული ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსის გამოცემაში, რომლებიც, გამომცემლის თანახმად, სირიული W ხელნაწერის იკითხვისებს თანხვდება:⁴

P – Par. syr. 201 (XII-XIII სს., 162rv)⁵

სირიული ტექსტის გამომცემელი, მ. კმოსკო, ხელნაწერებს ორ რედაქციად ჰყოფს. მას უფრო ადრეულად მიაჩნია A და B ნუსხები, ხოლო შედარებით გვიანდელად – CD (ნაკლული) და VW ხელნაწერები, თუმცა, გამომცემლის თანახმად, ეპისტოლეთა ეს გვიანდელი რედაქცია უფრო ძველ და სხვადასხვამხრივ უშეცდომო ტექსტს იძლევა.⁶ მისი თვალსაზრისით, VW ხელნაწერთა ტექსტი ორი წყაროდან მომდინარეობს: სირ. 3-10 ეპისტოლეთა მიმდევრობა და ტექსტი ორივე ხელნაწერში ერთნაირია, სირ. 1 და 2 კი V ნუსხაში კრებულის დასაწყისშია წარმოდგენილი, ხოლო W-ში – სირ. 10-ის შემდეგ. გარდა ამისა, სირ. 1-6-ში VW ნუსხების ტექსტი თანხვდება, ერთი მხრივ, ერთმანეთს, მეორე მხრივ კი – C ხელნაწერის ტექსტს, სირ. 11-13-ში კი V-ს ტექსტი D-ს უახლოვდება, მაშინ, როდესაც W-ს ტექსტი A-ს იკითხვისებთან დგას ახლოს. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის, რომ სირ. 11-13 სხვა წყაროდან მომდინარეობს და სირ. 3-10-ზე ადრინდელია. კმოსკოს თანახმად, ორივე რედაქციას საფუძვლად უდევს A ნუსხაში დაცული ტექსტი, რომელიც ამ რედაქციათა ზოგ მონაკვეთში მასთან შედარებით შესწორებულ-შემატებულია. შესწორებები შეტანილია გადამწერთათვის

¹ PO 10, გვ. 559.

² PO 10, გვ. 558.

³ Zotenberg, 1874, გვ. 149-152, კერძოდ, გვ. 150, N 2.

⁴ “Nous ne relevons que les particularités de P. Ses variants, nous l’avons dit, sont celles de W”, PO 11, გვ. 448, შენ. 3.

⁵ “Ms. syr. 201 de Paris” (PO 11, გვ. 402, 446-450). ხელნაწერი ქაღალდზეა შესრულებული და 281 ფურცელს შეიცავს. სირიულ ხელნაწერთა კატალოგში იგი XIII ს-ით არის დათარიღებული (Zotenberg, 1874, გვ. 152), მ.კმოსკო კი მას XII ს-ით ათარიღებს (M. Kmosko. “Liber Graduum”. *PS* 1/3. Parisii: Firmin-Didot et Socii, 1926, გვ. I, ბმულისათვის იხ. https://archive.org/details/PatrologiaSyriacaIII/LiberGraduum_201603/page/n3/mode/2up?view=theater).

⁶ “antiquior est in A et B, recentior vero in CD et VW servata... nam recentior Epistolarum recensio textum duntaxat antiquiorem diversimode emendatum exhibet” (PO 10, გვ. 565).

ნაკლებად გასაგებ მონაკვეთებში. ასეთ მონაკვეთთა იკითხვისეები სხვადასხვა ხელნაწერში ხშირად სხვადასხვანაირია და A-ს იკითხვისეები ხან ერთი ნუსხით არის მოღწეული და ხან მეორით. მკვლევარი ვარაუდობს, რომ გადაძწერები რომელიღაც დაზიანებული არქტიპით სარგებლობდნენ ან ნუსხით, რომლის ზოგი სიტყვა აშეიბებოდა იყო ჩაწერილი და ვინაიდან მათი ამოკითხვა არ შეეძლოთ, შეუსაბამო იკითხვისეები შეჰქონდათ ტექსტში, ან მოძველებული ფრაზების ნაცვლად უფრო იოლად გასაგებ ვარიანტებს იძლეოდნენ.¹ დაწვრილებით სირიულ კორპუსს ქვემოთ, ქართულ თარგმანთან მიმართებაში განვიხილავთ.

ეპისტოლეთა ბერძნული კორპუსი

ეპისტოლეთა ბერძნული კორპუსი პირველად გამოქვეყნდა 1911 წელს: Ἰορδανίτης. Τοῦ ὁσίου πατρὸς ἡμῶν ἁββᾶ Ἀμμωνᾶ ἐπιστολαὶ πέντε. Ἐν Ἱεροσολύμοις: Τύποις πατριαρχικοῦ τυπογραφείου, 1911, გვ. 1-17 (5 ეპ.), 28 (ფრაგმენტი ეპ. 7-დან). გამოცემა ეყრდნობოდა ხელნაწერს Sin. gr. 464 (XVII ს.).²

ტექსტის უფრო სრული, სამეცნიერო გამოცემა განხორციელდა 1915 წელს: *Ammonas, successeur de Saint Antoine. Textes Grecs et Syriaques édités et traduits par F. Nau. PO 11. Paris: Firmin-Didot et Co, 1915, გვ. 391-504, კერძოდ, 391-401 (შესავალი), 402 (გამოყენებულ ხელნაწერთა შესახებ), 403-487 (ამონას ბერძნული და სირიული აპოფთეგმები, ორი თავი რუფინუსის მონაზონთა ისტორიის სირიული ვერსიიდან, ამონას დარიგებები და წერილები), 488-504 (საძიებლები). გამოცემაში წარმოდგენილია ამონას 7 ბერძნული წერილი, რომელთაც ერთვის პარალელური ფრანგული თარგმანი (გვ. 432-454). ეპისტოლეთა ტექსტი გამოქვეყნდა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:³*

A – Sin. gr. 464⁴ (XVII ს.), 241v-255r, კერძოდ, 241v-242r (ბერძ. 7.5-7), 242r-244r (ბერძ. 1), 244r-246v (ბერძ. 2), 246v-248v (ბერძ. 3), 248v-252r (ბერძ. 4), 252r-255r (ბერძ. 5). მკვლევარმა გამოიყენა ამ ხელნაწერზე დაყრდნობით გამოქვეყნებული ტექსტი გამოცემიდან: Ἰορδανίτης, 1911, გვ. 1-17 (5 ეპ.), 28 (ფრაგმენტი ეპ. 7-დან).

C – Paris BNF suppl. gr. 28 (XV ს.), 288r-289v (ეპ. 3, 7, 4).

D – Paris BNF Coislin. gr. 370 (X ს.), 183r-184v (ეპ. 6), 288r (ეპ. 7).⁵

გამოცემაში ბერძნულ ეპისტოლეებთან ერთად მოცემულია, აგრეთვე, სირ. 5-ის (აღწერილობაში შეცდომით აღნიშნულია სირ. 6)⁶ იკითხვისთა მითითებებიც ხელნაწერიდან Par. syr. 201 (XII-XIII სს.) (P), რომელშიც ამონას მხოლოდ ეს წერილია დაცული (162rv).⁷ ეპისტოლე, გამომცემლის თანახმად, სირიული W ხელნაწერის იკითხვისებს უახლოვდება.⁸

გამომცემელი შენიშნავს, რომ ხელნაწერებში წერილთა ზოგი მონაკვეთი არ არის ჰომოგენური, არამედ კომპილირებული, შემოკლებული და განვრცობილია⁹ (ამას თანამედროვე მკვლევრებიც აღნიშნავენ და წერენ, რომ ბერძნული თარგმანი გვიანდელი და

¹ PO 10, გვ. 565-566.

² ხელნაწერის ბმულისათვის იხ. <https://library.princeton.edu/byzantine/manuscripts/26846>.

³ PO 11, გვ. 397, 402.

⁴ ხელნაწერის ბმულისათვის იხ. <https://www.loc.gov/item/00279381701-ms/> ან <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279381701-ms/?sp=246>.

⁵ გამოცემის სქოლიოებში ამ ხელნაწერის იკითხვისეები არ არის მითითებული.

⁶ Zotenberg, 1874, გვ. 149-152, კერძოდ, გვ. 150, N 2.

⁷ “Ms. syr. 201 de Paris” (PO 11, გვ. 402, 446-450). ხელნაწერი ქაღალდზეა შესრულებული და 281 ფურცელს შეიცავს. სირიულ ხელნაწერთა კატალოგში იგი XIII ს-ით არის დათარიღებული (Zotenberg, 1874, გვ. 152), ხოლო მ.კმოსკო მას XII ს-ით ათარიღებს (Kmosko, 1926, გვ. I).

⁸ “Nous ne relevons que les particularités de P. Ses variants, nous l’avons dit, sont celles de W”, PO 11, გვ. 448, შენ. 3.

⁹ “on voit déjà par les lettres – qui sont compilées, écourtées, allongées dans les manuscrits grecs”, PO 11, გვ. 399.

რედაქტირებულია)¹ და რომ მას ბერძნული ტექსტის დადგენაში დიდი დახმარება გაუწიეს სირიულმა ეპისტოლეებმა, რომლებიც „მთლიანობაში ბერძნულის ზედმიწევნით თარგმანს წარმოადგენენ“.² გამოცემაში არაფერია ნათქვამი ხელნაწერთა რედაქციის შესახებ, ვინაიდან ეს ხელნაწერები მცირეოდენი განსხვავებებით ერთ რედაქციას იძლევიან.

ბერძნული კორპუსის მერვე წერილი გამოქვეყნდა 1918 წელს: G.L.Marriott. “Macarii Anecdota: Seven unpublished homilies of Macarius”. *Harvard Theological Studies* 5 (1918), გვ. 47-48. ეპისტოლე დაიბეჭდა მაკარი ეგვიპტელის ახლად აღმოჩენილ შვიდ ჰომილიასთან ერთად, როგორც მაკარი ეგვიპტელის 57-ე ჰომილია. გამოცემის შესავალს (გვ. 5-17) მკვლევარი უძღვნის მაკარის ჰომილიათა გამოცემებს, სადაც ასახულებს ადრე გამოქვეყნებული 50 ჰომილიისა და ახალი 7 ჰომილიის ერთი და იმავე ავტორისადმი კუთვნილებას. წერილის ტექსტი ეყრდნობა ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცულ გვიანდელ, XVI ს-ის ხელნაწერს:

Codex Baroccianus 213 (XVI ს.), 238v-240v.

მკვლევარი ასახელებს კიდევ ერთ ნუსხას, Codex Holkhamiensis 55, რომელიც უშუალოდ პირველი ხელნაწერიდან არის გადაწერილი და კრიტიკული ტექსტისათვის არავითარი ღირებულება არ გააჩნია, რის გამოც იგი გამოცემაში არ იქნა გამოყენებული.³

ეპისტოლე დაცულია კიდევ ერთ ხელნაწერში, Mosquensis, Museum Historicum, olim Bibliotheca Synodalis, gr. 177 (XII ს.), რომელშიც წერილის ავტორად ამონა არის დასახელებული (207v).⁴

ქართულ ენაზე მოღწეულია ფსევდომაკარი ალექსანდრიელის თხზულებები, კერძოდ, 2 ეპისტოლე და სწავლანი, რომლებიც დაიბეჭდა გამოცემაში *ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია*, 1982, თუმცა მასში წარმოდგენილ ტექსტებს შორის ამონას მერვე წერილის თარგმანი არ დასტურდება.

გარდა დასახელებული ხელნაწერებისა, არსებობს კიდევ რამდენიმე ბერძნული ნუსხა, რომლებშიც ამონას ეპისტოლეებია დაცული:

Ohrid, Mus. Nat. 3 (Moštin 75) (1319 წ.), გვ. 145-149.

Sin. gr. 462 (XIII ს.), 222r-226v (ეპ. 1-5).⁵

Vat. gr. 790 (XIV-XV სს.), 97v-98r.

ამ ნუსხებიდან ჩვენ მოვიძიეთ Sin. gr. 462. ეს არის 333-ფურცლიანი, ბომბიცინზე (გარდტჰაუზენი) ან ქალაღზე (გიომონი) შესრულებული ნუსხა, უყდო, თავნაკლული და ძალზე დაზიანებული, განსაკუთრებით დასაწყისსა და ბოლოში, გადაწერილია შეცდომებით, რომლებიც ზოგ მონაკვეთში გასწორებულია.⁶ ხელნაწერი შეიცავს ამონას ეპისტოლეთა კრებულის პირველ 5 წერილს, კერძოდ: ეპ. 1 (222r-222v), ეპ. 2 (222v-223v), ეპ. 3 (223v-224r), ეპ. 4 (224r-225v), ეპ. 5 (225v-226v), რომელთაც მოსდევს რამდენიმე აპოფთეგმა (226v-228v). წერილებს ნუმერაცია მითითებული აქვთ როგორც ტექსტში, ისე აშიებზე. ამ ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტი მთლიანობაში მისდევს PO 11-ში გამოქვეყნებულ ძირითად ტექსტს და არაერთგან თანხვდება A და C ნუსხათა იკითხვისებს, თუმცა უშუალოდ არცერთისაგან არ მომდინარეობს.

¹ “the preserved Greek version is a late and heavily revised text”, Rubenson, 2017, გვ. 193.

² “On remarque que le syriaque, lorsqu’il est conservé, est un général une traduction fidèle du grec”, PO 11, გვ. 398.

³ Marriott, 1918, გვ. 7.

⁴ იხ. CPGr 2380.

⁵ ხელნაწერის ბმულისათვის იხ. <https://library.princeton.edu/byzantine/manuscripts/26844>.

⁶ ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. *Évagre le Pontique*, 1971, გვ. 241-248.

ასე მაგალითად, ეპ. 1 და 2-იდან გამოცემაში მითითებულ იკითხვისებთან თანხვედრა მხოლოდ ერთხელ გვხვდება (ἴμιν A, გვ. 437, შენ. 1; შდრ. Sin. gr. 462, 223r). ეპ. 3-ში თანხვედრა დასტურდება როგორც A, ისე C ნუსხასთან, კერძოდ, ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ემთხვევა A ხელნაწერის შემდეგ იკითხვისებს: καὶ τέκνους τῆς βασιλείας om. A (გვ. 438, შენ. 3, Sin., 223v); ὁ θεὸς – κακίας om. A (იქვე, შენ. 5, Sin., 223v); διακρισιν, μάλλον δὲ (δὲ გამოტოვებულია) add. A (იქვე, შენ. 9, Sin., 223v); ἀγαπῶσι, ἐν πνεύματι τῆς πρώτης] ἀδελφοί A (გვ. 440, შენ. 32; Sin., 224r). ხელნაწერის ტექსტი ემთხვევა C-ს იკითხვისს: (τοῦτο) καὶ add. C (გვ. 438, შენ. 4, Sin., 223v), ასევე, ὅτε οὐν βλέπετέ (ძირითად ტექსტში: ὅταν βλέπετέ (გვ. 440, შენ. 29; Sin., 224r). არცერთ იკითხვისს არ ემთხვევა ἴθεται და σβένυτε (Sin., 224r), მაშინ როდესაც ძირითად ტექსტში მოცემულია ἴθατε და σβένυται, რომელთაც იკითხვისად მითითებული აქვთ ἴθετε C ხელნაწერში და σβένυτε A ნუსხაში (გვ. 439, შენ. 17; გვ. 440, შენ. 27). ცალკე უნდა აღინიშნოს ამავე ნუსხაში A და B ხელნაწერთა იკითხვისების იმავდროული ასახვა. კერძოდ, A ხელნაწერის იკითხვისია καὶ (om. διαπαντός) φρονίσσητε ὅπως παράσχῃ, ხოლო C ნუსხისა – φυλάξῃ ... παράσχῃ (გვ. 438, შენ. 6), განსახილველ ნუსხაში კი მოცემულია καὶ φρονίσσητε ὅπως παράσχῃ (Sin., 223v). ამავე წერილში, მართალია, განსახილველი ნუსხის იკითხვისი ძირითადად A-ს იკითხვისს თანხვედრა სγχαροῖσαι ἡμᾶς αἰ σπυτχίαι αὐτῶν κατὰ τοῦ θεοῦ (გვ. 440, შენ. 21), მაგრამ ძირითად ტექსტთან (σγχαροῖσαι ἡμᾶς κατὰ θεὸν προβῆται, გვ. 440, სტრ. 2-3) თანხვედრითურთ: σγχαροῖσαι ἡμᾶς αἰ σπυτχίαι αὐτῶν κατὰ θεὸν προβῆται (Sin., 224r). დანარჩენ შემთხვევებში ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ემთხვევა გამოცემის კრიტიკული რედაქციის ტექსტს. იგივე შეიძლება ითქვას ეპ. 4-ის შესახებაც. აქ A და C ხელნაწერთა იკითხვისებთან თანხვედრა თითქმის ერთნაირია როდენობით. ასე მაგალითად, განსახილველი ხელნაწერის ტექსტი A ნუსხის იკითხვისებს ემთხვევა შემდეგ შემთხვევებში: μακροθυμήσατε (გვ. 442, შენ. 14; Sin., 224v), καὶ τῆν μὲν ἐσθήτη – ἦρνηται om. A (გვ. 443, შენ. 5, Sin., 224v), καὶ ὁ ἀπόστολος Πέτρος – εἰρεθεῖη om. A (გვ. 443, შენ. 9, Sin., 224v), αἰσθανθῶσι τοῦ βάρους τῆς παρὰ τὸ σῆηθε (გვ. 444, შენ. 5, Sin., 225r), ἀναλαμβάνει (გვ. 444, შენ. 11, Sin., 225r), Ἐκεῖνο δὲ – θεὸν om. A (გვ. 445, შენ. 9, Sin., 225r), δόξα τῷ ἀγ. – Ἀμήν, om. A (გვ. 446, შენ. 2, Sin., 225v), ხოლო C ნუსხის იკითხვისებს: λάβῃ τῆς (გვ. 441, შენ. 3, Sin., 224r), ἐπεκαλέσαστο τὸν θεόν. (ord. inv.) (გვ. 442, შენ. 1, Sin., 224v), καταλείψῃ (გვ. 443-444, შენ. 1, Sin., 224v), αἰτῶσι (გვ. 444, შენ. 8, Sin., 225r), κατὰ τόπον οἱ (გვ. 444, შენ. 10, Sin., 225r), γὰρ (იქვე, შენ. 12, Sin., 225r). აღსანიშნავია კიდევ რამდენიმე იკითხვისი, სადაც, A ნუსხის მსგავსად, განსახილველ ხელნაწერშიც გამოტოვებულია καὶ χარὶς – αὐτῆν (გვ. 445, შენ. 3), მაგრამ ისინი აქ ჩანაცვლებულია სიტყვით εἰσίν, რომელიც ამ მონაკვეთში არც იკითხვისებს შორის დასტურდება, არც ძირითად ტექსტში (გვ. 445, 3, Sin., 225r). გარდა ამისა, გვხვდება ორი შემთხვევა, სადაც ძირითად ტექსტში მოცემულია παρελεύσονται და θέλητε, იკითხვისებში – παρελεύσεται A (გვ. 442, შენ. 15) და θέλησθε C (გვ. 445, შენ. 4), ხოლო ხელნაწერში – παρελεύσεται (Sin., 224v) და θέλετε (იქვე, 225r). რაც შეეხება ეპ. 5-ს, გარდა იმისა, რომ იგი არცერთ იკითხვისს არ ემთხვევა, აკლია წერილის ბოლო მონაკვეთი: Ἐρρωσθε ἐν Κυρίῳ (გვ. 450).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამონას ეპისტოლეთა კორპუსი, „შესაძლებლოა, თავდაპირველად ბერძნულად ყოფილიყო დაწერილი, მაგრამ სირიული ვერსია (...) ტექსტობრივი ტრადიციის უფრო ადრინდელ ფორმას წარმოადგენს, ვიდრე მოღწეული ბერძნული ტექსტი“, რომელიც მეორადია მასთან შედარებით (“The secondary nature of the surviving Greek text”).¹ ეს მეორადობა ვლინდება როგორც ეპისტოლეთა შედგენილობაში, ისე მათ კომპილაციურ ხასიათში, რადგან წერილებში გამოტოვებულია ყოველივე პირადი, რაც ავტორს შეტანილი აქვს წერილებში, დარჩენილი მონაკვეთებით კი შედგენილია ტექსტი, რომელიც ასკეტებს სულიერი ასპარეზობისაკენ აქეხებს.²

ამასთან, ბერძნული კორპუსის კომპილატორი, როგორც ჩანს, კი არ თარგმნის, არამედ წერილების შესაკოწიწებლად ეყრდნობა უკვე არსებულ ბერძნულ ტექსტს (ქართული, სომხური და ეთიოპური თარგმანები, და არაერთგან მათ წინადადებებში მოცემული სიტყვათა რიგიც, ახლოს დგანან ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ ტექსტთან, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა). ეს მონაკვეთები საკმაოდ ზუსტად არის კომპილატორის რედაქციაში

¹ “Although the letters were probably originally written in Greek, the Syriac version (of which the oldest manuscript dates from AD 534) manifestly represents an earlier form of the textual tradition than does the extant Greek text... (The secondary nature of the surviving Greek text can be clearly seen from no 10, where the Syriac attributes a quotation from the apocryphal *Ascension of Isaiah* to “the prophet”, whom the Greek has subsequently wrongly identified as Elijah)“, *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. ii-iii.

² “der Grieche sucht alles rein Persönliche zu streichen und bemüht sich ebenso consequent, jede Wiederholung zu vermeiden. Dieses Bestreben ist so stark, dass schon daraus allein das Fehlen ganzer Briefe im Korpus *G* erklärt werden kann. Es kam dem Kompilator unseres *G* offenbar nur darauf an, Erbauungstexte zu frommer Lesung zusammenzustellen“, Klejna, 1938, გვ. 318. დაწერილებით იხ. იქვე, გვ. 312-318.

გადმოტანილი, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო ცვლილებებს, შემოკლებებს, ზოგ შემთხვევაში კი რამდენიმე აშკარა შემატებასა (იხ. ცხრილი 4) და მოკლე ქვესათაურებს (მაგალითად, *περι ἱουχιάς* „დაყუდების, მდუმარების შესახებ“, ბერძ. 1; *περι γεωργιάς τῆς χάριτος* „მადლის მომუშავეების შესახებ“, ბერძ. 2), რომლებიც არცერთ სხვა თარგმანში არ დასტურდება.

მკვლევრები მიუთითებენ იმასაც, რომ სირიული წერილების ზოგი მონაკვეთი შერყვნილია და ამა თუ იმ წინადადების შინაარსი გასაგები მხოლოდ ბერძნული ტექსტის მეშვეობით ხდება,¹ რის გამოც მოღწეული ბერძნული კორპუსი მეტად მნიშვნელოვანია. ისევე, როგორც სირიულ კორპუსს, ბერძნულ ტექსტსაც დაწვრილებით ქვემოთ, ქართულ თარგმანთან მიმართებაში განვიხილავთ.

ეპისტოლეთა არაბული კორპუსი

ამონას ეპისტოლეთაგან არაბულ ენაზე თარგმნილია 10 წერილი (= სირ. 1-8, 13-14), ხოლო არაბ. 2 დამოწმებულია სტეფანე თებელის (IV-V სს.) *ასკეტიკურ სიტყვაშიც*.²

არაბულ ენაზე მოღწეულია 20 წერილისაგან შემდგარი კორპუსი, რომელიც თარიღდება 1070 (უკეთ, 1270) წლით და მთლიანად ანტონი დიდს მიეწერება.³ მათგან 9 წერილი ამონას კალამს ეკუთვნის და შეესაბამება 10 სირიულ ეპისტოლეს (სირ. 1-8, 13-14), ვინაიდან არაბ. 19 შეიცავს ორი სირიული წერილის, სირ. 13 და 14 ეპისტოლეთა თარგმანს. წერილთა არაბული კორპუსის შემცველ ხელნაწერში, Copt. Mus. Lit. 88-ის კოლოფონში დასტურდება ცნობა, რომლის მიხედვითაც, მასში წარმოდგენილი არაბული ტექსტი გადმოღებული იქნა 1070 წელს ანტონი დიდის მონასტერში: „წმინდა და დიდი ანტონის ეს წერილები და ეს სწავლება ითარგმნა არაბულად მარტვილთა წ.აღ. 786 წლის ბოლოს (= აგვისტო, 1070 წ.), ატ-ტარბეჰის უდაბნოს მის სახელგანთქმულ სავანეში, და ეს – ორი ხელნაწერის მიხედვით (კოპტურის). ის, რაც არ იყო ნათელი ერთ ხელნაწერში, აღებული იქნა მეორიდან“ (126v).⁴ ამ კოლოფონს ეყრდნობა ვარაუდი, რომლის თანახმადაც, არაბული კრებულის სახით წერილთა კოპტური კოლექციის თარგმანი არის მოღწეული.⁵ კრებული რომ არ არის არაბულ ენაზე შექმნილი, არამედ ნათარგმნია, ამის შესახებ, მკვლევართა თანახმად, მეტყველებს არაბულ ტექსტში წარმოდგენილი სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც უჩვეულოა ბუნებრივი არაბულისთვის.⁶ მათივე შეხედულებით, ხელნაწერში მოცემული დათარიღება მცდარია და უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, 986 და 1270 წლები.⁷

¹ კლეინა ამის შესახებ წერს სირიულ ეპ. 10-ში აპოკრიფული *ესაია წინასწარმეტყველის ამბლების* ალუზიასთან დაკავშირებით (Klejna, 1938, გვ. 319).

² დაწვრილებით ამ თხზულებისა და მისი ავტორის შესახებ იხ. Suci, 2018.

³ არაბული თარგმანის შესახებ უკანასკნელ ხანებში დაცული იქნა ვრცელი და მეტად მნიშვნელოვანი სადოქტორო დისერტაცია სტრასბურგის თეოლოგიური კათოლიკური ფაკულტეტის კათედრაზე, რომელიც არაბულთან ერთად ეხება სირიულ, ბერძნულ და ქართულ თარგმანებსაც: George Farag. *Les lettres attribuées à Antoine dans la deuxième collection arabe (Lettres 8 à 20): Sont-elles d'Antoine ou d'Ammonas? Étude comparée des différentes versions et interprétation théologique*. PhD diss., sous le direction de Mme Françoise Vinel. Strasbourg: Université de Strasbourg, Faculté de théologie Catholique, 2012 (417 გვ.). ეპისტოლეთა მთელი კორპუსის დეტალური ანალიზისათვის იხ. იქვე, გვ. 203-343. ანტონი დიდისა და ამონას არაბულ ენაზე მოღწეული წერილთა შესახებ გამოკვლევებისათვის იხ. აგრეთვე, Klejna, 1938, 309-48 და Rubenson, 1986, გვ. 19-29.

⁴ “Ces lettres et cet enseignement du saint et grand Antoine ont été traduits en arabe vers la fin de l'année 786 des martyrs (= août 1070 du Ch.) dans son couvent célèbre du désert d'at-Tarbeh, et cela d'après deux manuscrits (coptes). Ce qui n'était pas clair dans un manuscrit a été pris de l'autre”, Graf, 1934, გვ. 35; Garitte, 1939, გვ. 29; იხ. ასევე, Rubenson, 2011, გვ. 191, შენ. 22.

⁵ Farag, 2012, გვ. 103; Rubenson, 2015, გვ. 74.

⁶ Farag, 2012, გვ. 341.

⁷ Farag, 2012, გვ. 86, შენ. 255; Rubenson, 2011, გვ. 191, შენ. 22.

არაბული კორპუსი დაცულია შემდეგ ხელნაწერებში:¹

1. Vat. ar. 398 (XV ს.), 1v-65v. ხელნაწერი დაწერილია ბომბიციონზე, შეიცავს 194 ფ., ბოლონაკლულია. ანტონი დიდის წერილთა გარდა, მასში დაცულია მისი მცნებები და კანონები, წმინდა მამათა აპოფთეგმები, ბერ ისაიას შეგონებები და წერილები, მაკარი დიდის წერილები ქალწულობის შესახებ და სხვ.²

2. Copt. Mus. 724 (Hist. 481a)³ (XVII ს.), 41r-117v. ხელნაწერში ერთად არის ჩაკერებული XVII და XVIII სს-ის ორი ნუსხის ფრაგმენტები. პირველი ნუსხა შეიცავს ანტონი დიდის ნაშრომთა ნაწყვეტებს, მათ შორის, ფრაგმენტებს წერილთა არაბული კორპუსის ეპ. 11, 12 და 13-დან.

3. St. Macaire Monastère 23 (1700 წ.). ამ ნუსხაზე დაყრდნობით ამონას ეპისტოლეთა არაბული თარგმანი გამოქვეყნდა 1979 წელს: Antoine. *Rasa' il al-qiddis Antuniyus*, Dayr al-qiddis Anba Maqar. Caire, 1979.⁴

4. Copt. Mus. Lit. 88 (Simaika – 193, Graf – Kairo 93)⁵ (XVII-XVIII), 1r-128r. შეიცავს 160 ფურცელს. ხელნაწერი შიგადაშიგ ნაკლულია. მასში მოცემული კოლოფონის თანახმად, ხელნაწერი ითარგმნა 1070 წელს ანტონი დიდის მონასტერში, ატ-ტარბეჰის უდაბნოში 2 ნუსხიდან: “Ces lettres et cet enseignement du saint et grand Antoine ont été traduits en arabe vers la fin de l’année 786 des martyrs (= août 1070 du Ch.) dans son couvent célèbre du désert d’at-Tarbeh, et cela d’après deux manuscrits (coptes). Ce qui n’était pas clair dans un manuscrit a été pris de l’autre”.⁶ ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ ანტონი დიდის ნაშრომებს, კერძოდ, მის წერილებსა და სწავლებებს.

5. Copt. Patriarch. Theol. 221 (1770 წ.) (Simaika – 385).⁷

6. Sbath 1015 (1778 წ.). შეიცავს 173 ფურცელს. ამ მცირე ზომის ხელნაწერში (16x12 სმ), აღწერილობის თანახმად, მხოლოდ ანტონი დიდის 20 ეპისტოლეა დაცული.⁸

7. Copt. Patriarch. Theol. 289 (Simaika – 461; Graf – Kairo 484)⁹ (1796 წ.,¹⁰ 1800 წ.¹¹), 1v-120v. 280 ფურც. მასში დაცულია ანტონი დიდის 20 წერილი, წესები და სწავლებანი, ნაწყვეტი მარ იმაქის ქადაგებიდან და ბასილი დიდის *ასკეტიკონის* თარგმანი.

8. Copt. Patriarch. Theol. 168 (Simaika – 518; Graf – Kairo 485)¹² (1856 წ.), 1r-103r. შეიცავს 158 ფურცელს. მასში დაცულია ანტონი დიდის 20 წერილი, სწავლებანი, წესები და მცნებები.

თარგმანი გვხვდება რამდენიმე სხვა ნუსხაშიც,¹³ მათ შორის, Fihris 224-ში.¹⁴

არაბულ ენაზე 20 წერილის შემცველი ეს კორპუსი რამდენჯერმე გამოქვეყნდა:

- 1899 წელს იგი გამოიცა სათაურით Anbā Murqus al-Anṭūnī, Kitāb rauḍat an-nafs fi rasā'il al-qiddīs Antūniūs. Cairo, 1899 („მარკუსის, ანტონი დიდის მონასტრის წინამძღვრის (ამბის) *სულიერი მდებლობის წიგნი: წმ. ანტონი დიდის წერილები*“), სადაც ეპისტოლეები

¹ Graf, 1944, გვ. 458. კაიროში დაცულ ხელნაწერთა აღწერილობისათვის იხ. Graf, 1934, გვ. 35, 186, 285; Mai, 1831, გვ. 499-500. იხ. აგრეთვე, Farag, 2012, გვ. 81 და შემდ.; Simaika, 1939-1942.

² Mai, 1831, გვ. 499-500.

³ Graf, 1934, გვ. 285; Garitte, 1939, გვ. 18, შენ. 28.

⁴ Farag, 2012, გვ. 82.

⁵ Graf, 1934, გვ. 35-36.

⁶ Graf, 1934, გვ. 35.

⁷ Farag, 2012, გვ. 82.

⁸ Sbath, 1928, გვ. 132.

⁹ Graf, 1934, გვ. 186.

¹⁰ „Daté du 5 ba' unah 1512 M. (= 10 juin 1796 Ch., f. 129v sq)”, Graf, 1934, გვ. 186; Graf, 1944, გვ. 458.

¹¹ Farag, 2012, გვ. 82.

¹² Graf, 1934, გვ. 186.

¹³ Farag, 2012, გვ. 82.

¹⁴ Graf, 1944, გვ. 458.

დაბეჭდილია გვ. 10-140-ზე,¹ საკუთრივ ამონას წერილები კი – გვ. 48-140.² გამოცემა ეყრდნობა ხელნაწერს Copt. Mus. Lit. 88 (Kairo 93).³

- ამავე 1899 წელს განხორციელდა არაბული კორპუსის კიდევ ერთი გამოცემა. იგი გამოქვეყნდა Afrām ad-Dairānī-ს მიერ, სახელწოდებით Kitāb al-‘īṣat al-hanī’a fi’l-ḥayāt an-naskīya. Bairut, 1899, გვ. 124-179.⁴

- 1979 წელს ეს კორპუსი გამოქვეყნდა კიდევ ერთხელ: Antoine. *Rasa’ il al-qiddis Antuniyus*, Dayr al-qiddis Anba Maqar. Caire, 1979. იგი გამოიცა 1700 წლით დათარიღებულ St. Macaire Monastère 23 ხელნაწერზე დაყრდნობით.

ევროპულ ენათაგან ყველაზე ადრე, 1641 წელს, არაბული კორპუსი ითარგმნა და გამოიცა ლათინურ ენაზე. თარგმანი ეკუთვნის მარონიტ მკვლევარს, თეოლოგიისა და აღმოსავლურ ენათა პროფესორს, აბრაჰამ ექელენსისს (Abraham Ecchellensis): *Sanctissimi Patris nostri B. Antonii Magni, monachorum omnium parentis, epistolae viginti, nunc primum ex arabico latini iuris factae ab Abrahamo Ecchellensi*. Parisiis: Apud Antonium Vitray, 1641. თარგმანის ტექსტი მოგვიანებით, 1858 წელს, გადაიბეჭდა *Patrologia Graeca*-ს სერიაშიც: PG 40, სვ. 1019-1066. წერილები ქვეთავებად არ არის დაყოფილი არც 1641 წლის, არც PG-ს გამოცემაში.

ექელენსისის გამოცემაში გამოქვეყნებული კორპუსის ტექსტისათვის დართულ წინასიტყვაობაში, სათაურით „ღვთისმოსავ და ქრისტიან მკითხველს“ („Pio Christianoque Lectori“), მკვლევარი შენიშნავს, რომ ანტონი დიდმა „ეს ყველაფერი დაწერა მშობლიურ, როგორც ჩანს, ეგვიპტურ (= კოპტურ) ენაზე, რაც მაშინ, დაახლოებით ჰილარიონის ხანებში, სირიულად ითარგმნა სირიელ ბერთა მიერ, მაგრამ არ ვიცით, რომელი მთარგმნელის ღვაწლით. ხოლო არაბული ვერსია, ზოგი ხელნაწერის მინაწერის თანახმად, ითარგმნა იმავე წმინდა მამის სავანის ერთი ეგვიპტელი ბერის, სახელად აბრაჰამის მიერ, ჩვ.წ. დაახლოებით 800 წელს“.⁵ ტექსტისათვის მკვლევარმა წყაროდ გამოიყენა რომის მარონიტთა კოლეგიის ბიბლიოთეკის უძველესი არაბული ხელნაწერი („codex Arabicus... ex Bibliotheca Collegii Maronitarum de Urbe vetustissimus“),⁶ ოცივე წერილის შემცველი Vat. ar. 398 (XV ს.), 1v-65v.⁷ გამოცემაში წერილები წარმოდგენილია ხელნაწერში მოცემული ნუმერაციითა და მიმდევრობით, თავად ეპისტოლეთა ტექსტი კი, როგორც მკვლევარი წერს, მას უთარგმნია სიტყვასიტყვით, სათარგმნი დედნის ელეგანტურობის დაცვით.⁸

მოგვიანებით, 1993 წელს, არაბული წერილები გამოიცა ფრანგულ ენაზე: Père Matta El-Maskine. *Saint Antoine, ascète selon l’Evangile suivi de Les vingt Lettres de saint Antoine selon la tradition arabe*. Spiritualité Orientale 57. Bégrolles-en-Mauges: Abbaye de Bellefontaine, 1993. კიდევ უფრო გვიან, 1999 წელს, არაბული კორპუსი ითარგმნა იტალიურ ენაზეც: Antonio Il Grande.

¹ Graf, 1944, გვ. 457; Rubenson, 1995, გვ. 235.

² Rubenson, 2011, გვ. 188.

³ Graf, 1934, გვ. 36.

⁴ Graf, 1944, გვ. 458.

⁵ „Quandoquidem Beatus Vir haec omnia patria conscripsit lingua, Aegyptiaca videlicet, quae tum a Monachis Syris Syriace facta sunt circa tempora D. Hilarionis: sed quo Interprete nescimus. Arabicam vero versionem, aliquorum codicum fert titulus, factam fuisse à Monacho quodam Aegyptio nomine Abrahamo eiusdem sanctissimi Patris Instituti, circa annum Domini 800” (Ecchellensis, 1641, გვ. 1-2).

⁶ Ecchellensis, 1641, გვ. 1.

⁷ Graf, 1944, გვ. 458; Garitte, 1939, გვ. 18; Garitte, 1951, გვ. vii, შენ. 27. ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. Graf, 1934, გვ. 35, 186, 285; Farag, 2012, გვ. 81-82; ასევე, Graf, 1944, გვ. 456-459.

⁸ „In vertendis septem prioribus textum Arabicum omnino sequuti sumus cum quoad ordinem tum quoad versionem. Et quidem fideli potius versioni studuimus, verba verba reddentes, quam orationis elegantiae et lepori” (Ecchellensis, 1641, გვ. 2).

Secondo il Vangelo. Le venti lettere di Antonio. A cura di Matta el Meskin, traduzione dall'arabo, a cura di Maurizio Bagatin e Corrado Pettiti. Magnano: Edizioni Qiqajon, Comunità di Bose, 1999.¹

არაბული კორპუსიდან ამონას მიეკუთვნება 9 ეპისტოლე: NN 8-15, 19.² ეს წერილები შეესაბამებიან ათ სირიულ (სირ. 1-8, 13-14) და ხუთ ბერძნულ (ბერძ. 2, 3, 6-8) ეპისტოლეს (იხ. ცხრილი 1 და 4).³

არაბული ტექსტი არ არის ერთგვაროვანი. მასში უხვად გვხვდება შემატებები, ჩართული მსჯელობები, თუმცა დასტურდება ზედმიწევნით გადმოღებული მონაკვეთებიც (კომპილაციის შედარებით ნაკლები ჩარევა შეინიშნება არაბ. 9-ის პირველ ნაწილსა და არაბ. 10-ში), რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია, მათ შორის, ქართულ თარგმანთან მიმართებაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ დედანთან შედარებით შეცვლილია ბერძნული თარგმანიც, თუმცა ეს უკანასკნელი, ძირითადად, სხვადასხვა მონაკვეთების კომპილაციას წარმოადგენს, არაბულ თარგმანში კი რედაქტორის ჩარევა უფრო ინტენსიურია და გადამუშავებულია საკუთრივ ტექსტიც. გ.ფარაგის თანახმად, ამგვარი გადამუშავება წერილებმა კოპტი რედაქტორის ან რედაქტორების მიერ⁴ განიცადეს ადრეულ ეტაპზევე (ვინაიდან ამავე კორპუსში შეტანილი ანტონი დიდის ეპისტოლეები რედაქტირებისაგან თავისუფალია), სანამ ანტონისა და ამონას წერილები კოპტურში ერთ კრებულად გაერთიანდებოდა,⁵ ხოლო არაბულად ეს გაერთიანებული კორპუსი ერთად ითარგმნა ამ ენიდან.⁶ ამის დასადასტურებლად მკვლევარი იმოწმებს თეთრი მონასტრის წინამძღვართა, შენუტი ატრიპელისა და ბესას დამოწმებებს, ასევე, იბნ კაბარის ნაშრომს, თუმცა, როგორც ზემოთ, წერილთა ორიგინალის ენის განხილვისას აღვნიშნეთ, ამ ავტორთა ციტირებები არ წარმოადგენს მყარ არგუმენტს აღნიშნული შეხედულების დასასაბუთებლად.

ამონას ეპისტოლეთა არაბულ კორპუსში დაცული წერილებიდან ამონას კალამს მიეკუთვნებიან შემდეგი ეპისტოლეები:

არაბ. 8 (Ecchellensis, 1641, გვ. 49-54; PG 40, სვ. 1019-1021) = სირ. 8 (ქართ. 8); CPGr-ის თანახმად, წერილის ზოგი წინადადება თანხვდება სირ. 9-სა და 10-ს (იხ. CPGr 2380).

არაბ. 9 (Ecchellensis, 1641, გვ. 54-57; PG 40, სვ. 1021-1023) = სირ. 2 (ბერძ. 2/ქართ. 1). წერილი შემორჩენილია ორი რედაქციით. პირველი მათგანი, არაბ. 9, წარმოადგენს ერთ-ერთ ეპისტოლეს 20 წერილის შემცველი არაბული კორპუსიდან. მისი საწყისი ნაწილი შედარებით ახლოს დგას შესაბამის ბერძნულ და სირიულ ეპისტოლეებთან, დანარჩენი კი გადამუშავებულია.

წერილის მეორე, განსხვავებული რედაქცია, დაცულია სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* (Λόγιος Ἀσκητικός) არაბული ტექსტის 78-85 ქვეთავებში და ამონას წერილთა უადრეს არაბულ თარგმანს წარმოადგენს.⁷ *სიტყვა* მოღწეულია კოპტურ საჰიდურ (74 ქვეთავი),⁸

¹ საკუთრივ წერილებისათვის იხ. Antonio Il Grande, 1999, გვ. 85 და შემდ. წიგნისათვის დართულ შესავალ ნაწილში გამომცემლები მიუთითებენ, რომ ამონას წერილთა არაბული თარგმანის უმეტესი ნაწილი გადამუშავებულია: “La collezione delle venti lettere comprende dunque le sette Lettere di Antonio note dalle altre versioni, seguite da tredici altre, la maggior parte delle quali contiene *un testo più sviluppato* delle lettere attribuite dalle altre versioni ad Ammonas, discepolo di Antonio”, იქვე, გვ. 11.

² ამ ეპისტოლეთა დაწვრილებითი განხილვისათვის იხ. Farag, 2012, გვ. 203-343.

³ იხ. გვ. 206, 280-281.

⁴ “...n’a pas été conserve dans sa forme originale, parce qu’une ou plusieurs mains qui nous sont inconnues, ont altéré le texte, en rajoutant des expressions et phrases interprétatives” (Farag, 2012, გვ. 129).

⁵ Farag, 2012, გვ. 149, 343.

⁶ Farag, 2012, გვ. 79, 92, 103, 130.

⁷ Sauget, 1964, გვ. 369; Garitte, 1970, გვ. 73.

⁸ Suci, 2018, გვ. 673.

ბერძნულ,¹ არაბულ, ეთიოპურ (გეეზის) და ქართულ ენებზე.² არც ერთ მათგანში ამონას სახელი მითითებული არ არის. სტეფანე თებელის დასახელებული ნაშრომი დამოძღვრითი ხასიათისაა და ასკეტი მოძღვრის შეგონებებს შეიცავს.³ იგი არაბულ ენაზე გამოიცა 1964 წელს: J.M. Sauge. “Une Version arabe du *Sermon Ascétique* d’Étienne le Thébain”. *Le Muséon* 77 (1964): 367-401 (ტექსტი იხ. გვ. 375-401; ამონას ეპისტოლე იხ. გვ. 392-394). არაბულ ტექსტს ერთვის ფრანგული თარგმანიც. გამოცემაში გამოყენებულია შემდეგი ხელნაწერები:

Vat. ar. 71 (885 წ., ეტრატი).⁴

Sin. ar. 236 (1298 წ., ქალაღი), 208r-235v (წყდება 56 ქვეთავზე).

Sin. ar. 571 (XII ს., ქალაღი), 216r-222v.

Par. ar. 253 (XIV ს., ქალაღი), 246r-250v.

Vat. ar. 398 (XV ს., ქალაღი), 102r-104r.

Par. syr. 293 (1493 წ., გარშუნი), 137v-139v.

ჟ. სოჟე სტეფანე თებელის ნაშრომის არაბულ თარგმანს უდარებს ამავე ნაშრომის ბერძნულ ტექსტს, დაცულს ხელნაწერში Par. gr. 1066, 86r-94r⁵ (XI ს.,⁶ ეტრატი, 125 ფ.),⁷ და მიუთითებს მათ შორის არსებულ განსხვავებათა შესახებ.⁸ სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* ბერძნული ტექსტი, ამავე Par. gr. 1066 ხელნაწერზე დაყრდნობით, გამოქვეყნდა 1969 წელს: Édouard des Places. “Le *Discours ascétique* d’Étienne de Thèbes: Texte grec inédit et traduction”. *Le Muséon* 82 (1969): 35-59. გამოცემაში წარმოდგენილია შესავალი (გვ. 35-36) და *ასკეტიკური სიტყვის* ბერძნული ტექსტი ფრანგული თარგმანით (გვ. 36-59), საკუთრივ 78-85 ქვეთავები კი გვ. 51-53.

სტეფანე თებელის დასახელებული თხზულება გადმოღებულია ქართულ ენაზეც, სათაურით *სწავლაჲ სტეფანე მონაზონისაჲ*, და დაცულია ხელნაწერში Sin. geo. 35 (907 წ.),⁹ 90r-94r. ქართული ტექსტი გამოსცა ჟერარ გარიტმა პარალელური ლათინური თარგმანით: G. Garitte. “Le discours ascétique d’Étienne le Thébain en géorgien”. *Le Muséon* 83 (1970): 73-93 (ტექსტი: გვ. 78-93). სტატიის შესავალ ნაწილში გარიტი შენიშნავს, რომ ქართულ თარგმანს აკლია 11-49, 67c-83 ქვეთავები,¹⁰ 84-85 კი უახლოვდება ბერძნულ ტექსტს და სხვაობს არაბულისგან (“#84-85 gr. géo, texte différent dans ar.”).¹¹ იგი წერს, რომ ქართული თარგმანი არაბულ ვერსიაზე უფრო მოკლეა და სიახლოვეს ავლენს ხან ბერძნულ და ხან არაბულ ტექსტებთან, მაგრამ სრულად არცერთს არ შეესაბამება, არც ამ ნაშრომის ბერძნულ და არაბულ გამოცემებში წარმოდგენილი რედაქციების ტექსტები აქვს წყაროდ,¹² მთლიანობაში კი

¹ des Places, 1969, გვ. 35-59.

² დაწვრილებით ამ თხზულების გამოცემათა შესახებ იხ. Suci, 2018, გვ. 630-633. მკვლევარი სტატიის იძლევა სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* გამოკვლევას (გვ. 628-647), კოპტურ ტექსტსა (გვ. 648-664) და მის ინგლისურ თარგმანს (გვ. 664-673).

³ Suci, 2018, გვ. 629.

⁴ Suci, 2018, გვ. 630.

⁵ ჟ. სოჟე ტექსტის გვერდებს ხელნაწერში შეცდომით უთითებს: 186r-194r (იხ. Sauge, 1964, გვ. 374). სინამდვილეში, სტეფანე თებელის ეს ნაშრომი ხელნაწერში ჩაწერილია 86r-94r გვერდებზე.

⁶ დე პლასი ხელნაწერს XI-XII სს-ით ათარიღებს. იხ. des Places, 1969, გვ. 35.

⁷ ხელნაწერის ბმულისათვის იხ. <https://archivesetmanuscrits.bnf.fr/ark:/12148/cc211024>.

⁸ “Cette comparaison est positive quand l’accord est absolu entre grec et arabe, elle ne peut être qu’indicative quand les deux textes divergent: le modèle de l’arabe avait peut-être déjà les différences notées par rapport au texte du Paris grec 1066, qui n’est que du XIe siècle”, Sauge, 1964, გვ. 374.

⁹ Sauge შეცდომით Sin. geo. 39-ს უთითებს, იხ. Sauge, 1964, გვ. 369, შენ. 9.

¹⁰ Garitte, 1970, გვ. 73.

¹¹ Garitte, 1970, გვ. 75.

¹² Garitte, 1970, გვ. 73, 76.

ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ბერძნულ და არაბულ ტექსტებთან შედარებით უფრო ადრეული წყაროდან (“elle doit se rattacher à un modèle antérieur à celles-ci”).¹

ჩვენ შევუდარეთ სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* 84-85 ქვეთავების არაბული, ბერძნული და ქართული თარგმანები ერთმანეთს, მეორე მხრივ კი ამონას ბერძ. 2-სა (PO 11, გვ. 435-437) და მის ქართულ თარგმანს, ქართ. 1-ს. როგორც აღმოჩნდა, ქართული თარგმანები თანხვედრიან თავიანთ ბერძნულ დედნებს, ეს უკანასკნელნი კი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად სხვაობენ. როგორც დე პლასი წერს, *ასკეტიკური სიტყვის* ბერძნული ტექსტის 78-85 ქვეთავებში ამავე ნაშრომის არაბულ ტექსტთან შედარებით სრულიად სხვა შინაარსია მოცემული: “La présente traduction reproduit à peu près cette numeration, sauf pour... les n^{os} 78-85, qui y sont remplacés par un autre développement”.² კერძოდ, 84 და 85 ქვეთავების შესაბამის ბერძნულ და ქართულ თარგმანებში ამონას წერილის ნაცვლად მოცემულია „მამაო ჩვენოს“ მეორე ნაწილი, რომელსაც დაერთვის მოკლე განმარტება ფსალ. 28.11-ის დამოწმებით. როგორც ჩანს, სტეფანე თებელის დასახელებული ნაშრომის მთარგმნელს სურდა ამონას წერილის შესაბამისი ბერძნული ტექსტის ჩართვა ამ მონაკვეთში, რისთვისაც ხელნაწერში ადგილი გამოტოვა, მაგრამ ვინაიდან საჭირო თხოვლობა ვერ მოიპოვა, გამოტოვებული ადგილი სულ სხვა შინაარსის სტრიქონებით შეავსო:

სტეფანე თებელი, <i>ასკეტიკური სიტყვა</i>	ამონას ეპისტოლე, ბერძ. 2.1
<p>78. ἵνα γινῶς ὅτι διὰ πολλῶν θλίψεων εἰσερχόμεθα εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ· οὐ γὰρ ἔστιν ἡ βασιλεία τοῦ θεοῦ ὧδε ἢ ἐκεῖ, ἀλλ’ ἰδοὺ ἐντὸς ἡμῶν ἐστίν.</p> <p>79. Διὰ τοῦτο οὖν καὶ ὁ σωτὴρ λέγει ἡμῖν ὅτι· πατέρ ἡμῶν, ὁ ἐν τοῖς οὐρανοῖς, ἀγιασθήτω τὸ ὄνομά σου, ἐλθέτω ἡ βασιλεία σου· καὶ πάλιν ὁ μακάριος ἀπόστολος Πέτρος· κύριον τὸν θεὸν ἀγιάσατε ἐν ταῖς καρδίαις ὑμῶν (Places, 1969, გვ. 51).</p>	<p>Τοῖς ἀγαπητοῖς ἐν Κυρίῳ χάριεν. Ἐάν τις ἀγαπήσῃ τὸν Κύριον ἐν ὅλῃ καρδίᾳ, καὶ ἐν πάσῃ τῇ ψυχῇ, καὶ πάσῃ δυνάμει σταθῆ ἐν φόβῳ, ὁ φόβος γενήσῃ αὐτῷ κλαυθμὸν, καὶ ὁ κλαυθμὸς χαρὰν, καὶ ἡ χαρὰ γενήσῃ ἰσχὺν, καὶ διὰ ταύτης ἡ ψυχὴ καρποφορήσῃ ἐν πᾶσι· καὶ ἂν ἴδῃ ὁ Θεὸς τὸν καρπὸν αὐτῆς οὕτως ὠραῖον, προσδέχεται αὐτὸν ὡς εὐαδίαν, καὶ ἐν πᾶσιν αὐτῇ συγχαρήσεται μετὰ τῶν ἀγγέλων αὐτοῦ, καὶ δώσει αὐτῇ φύλακα τὸν φυλάσσοντα αὐτὴν ἐν πάσαις ταῖς ὁδοῖς αὐτῆς, ὅπως ὀδηγήσῃ αὐτὴν εἰς τὸν τόπον τῆς ἀναπαύσεως, ἵνα μὴ κατισχύσῃ αὐτῆς ὁ Σατανᾶς. Ὅσον γὰρ ὄρᾳ ὁ διάβολος τὸν φύλακα, τουτέστι τὴν δυνάμιν κύκλω τῆς ψυχῆς, φεύγει φοβούμενος προσεγγίσει τῷ ἀνθρώπῳ, καὶ εὐλαβούμενος τὴν ἐπικειμένην αὐτῷ δυνάμιν. Ὅθεν, ἀγαπητοὶ ἐν Κυρίῳ, οὐς ἀγαπᾷ ἡ ψυχὴ μου, οἶδα ὅτι θεοφιλεῖς ἐστέ· κτήσασθε οὖν ἐν ἑαυτοῖς τὴν δυνάμιν ταύτην, ἵνα φοβῆθῃ ὑμᾶς ὁ Σατανᾶς, καὶ ἵνα σοφισθῆτε ἐν πᾶσι τοῖς ἔργοις ὑμῶν, καὶ ἵνα ἡ γλυκύτης τῆς χάριτος προβαίνουσα ἀξίση ὑμῖν τὸν καρπὸν. Ἡ γὰρ γλυκύτης τοῦ χαρίσματος τοῦ πνευματικοῦ γλυκύτερα ἐστίν “ὑπὲρ μέλι καὶ κηρίον”, καὶ οἱ (Lire οὐ) πολλοὶ τῶν μοναχῶν, οὐδὲ τῶν παρθένων, ἔγνωσαν τὴν μεγάλην ταύτην γλυκύτητα τῆς χάριτος, ἐπειδὴ οὐκ ἐκτίσαντο τὴν δυνάμιν τὴν θεϊκὴν, εἰ μὴ ἕνιοι κατὰ τόπους, οὐδὲ γὰρ ἐποίουν τὴν γεωργίαν τῆς δυνάμεως, διὰ τοῦτο αὐτὴν ὁ Κύριος οὐκ ἔδωκεν αὐτοῖς. Τοῖς γὰρ ποιοῦσι τὴν γεωργίαν αὐτῆς, δίδωσιν αὐτὴν ὁ Θεός, οὐ γὰρ ἐστὶ προσωπολήπτης, ἀλλὰ τοῖς γεωργοῦσιν αὐτὴν κατὰ γενεάν καὶ γενεάν, δίδωσιν αὐτὴν (PO 11, გვ. 435-436).</p>
სტეფანე თებელი, 80	ამონა, ბერძ. 2.2
<p>ἐάν γὰρ ἀγιάσης τὸ ὄνομα τοῦ θεοῦ, ἐν σοὶ ἔρχεται ἡ βασιλεία τοῦ θεοῦ καὶ κατοικεῖ ἐν σοί· καὶ γίνεται ὄλον τὸ ἔργον σου κατὰ θέον, καὶ γίνῃ ὡς ἐν τῷ οὐρανῷ ἄνω, ὧν τὰ ἔργα αὐτῶν ἐσηρέστησαν τῷ θεῷ (Places, 1969, გვ. 51-52).</p>	<p>Νῦν οὖν, ἀγαπητοί, οἶδα ὅτι θεοφιλεῖς ἐστε, καὶ ἀφ’ οὗ εἰς τὸ ἔργον τοῦτο ἐστε, ἀγαπάτε τὸν Θεὸν ἐξ ὅλης καρδίας. Διὰ τοῦτο κἀγὼ ἠγάπησα ἡμᾶς ἐν ὅλῃ καρδίᾳ μου, διὰ τὴν ἐυθύτητα τῶν καρδιῶν ὑμῶν. Λοιπὸν οὖν κτήσασθε ἑαυτοῖς τὴν δυνάμιν ταύτην τὴν θεϊκὴν, ἵνα πάντας τοὺς χρόνους ὑμῶν ποιήσητε ἐν ἐλευθερίᾳ, καὶ ἵνα τὸ ἔργον τοῦ Θεοῦ εὐκόλον ἦ παρ’ ὑμῖν. Αὕτη γὰρ ἡ δυνάμις ἡ διδομένη τῷ ἀνθρώπῳ ἐνταῦθα αὐτὴ πάλιν ὀδηγεῖ αὐτὸν εἰς ἐκείνην τὴν ἀνάπαυσιν, ἕως οὗ παρέλθῃ πάσας “τὰς ἐξουσίας τοῦ ἀέρος” (PO 11, გვ. 436).</p>
სტეფანე თებელი, 81	ამონა, ბერძ. 2.2
<p>εἶπεν γὰρ ὅτι· τὸ θέλημά σου τὸ ἐν οὐρανῷ γινέσθω ἐπὶ τῆς γῆς· ἐπειδὴ οἱ καταξιωθέντες τοῦ αἰῶνος ἐκείνου τυχεῖν οὔτε γαμοῦσιν οὔτε γαμίζονται· οὐδὲ γὰρ ἔτι ἀποθανεῖν δύνανται, ἀλλ’ ὥσπερ ἄγγελοι ἐν τοῖς οὐρανοῖς εἰσιν (Places, 1969, გვ. 52).</p>	<p>Εἰσὶ γὰρ ἐνέργειαι ἐν τῷ ἀέρι καλύουσαι τοὺς ἀνθρώπους, καὶ μὴ θέλουσαι αὐτοῖς ἀφίεμαι ἀνελεῖν πρὸς τὸν Θεόν (PO 11, გვ. 436).</p>

¹ Garitte, 1970, გვ. 76.

² Des Places, 1969, გვ. 35. ტექსტის განხილვისათვის იხ. ასევე, Farag, 2012, გვ. 217 და შემდ.

სტევანე თებელი, 82-83	ამონა, ბერძ. 2.2
<p>82. παραγγέλλων ἡμῖν ὅτι· καθάρισον τὸ ἔργον σου, ἵνα γενηθῆς ὡσπερ οἱ ἄγγελοι οἱ ἐν τῷ οὐρανῷ, καὶ πληρωθῆ ἔν ἡμῖν ὁ λόγος γεγραμμένος ὅτι· τὸ θέλημα σου τὸ ἐν οὐρανῷ γινέσθω πάλιν ἐπὶ τῆς γῆς, λέγων ὅτι· ἐπὶ τῆς γῆς ὑπάρχον ἔστω τὸ ἔργον σου ὡσπερ τῶν ἐν τῷ οὐρανῷ·</p> <p>83. γέγραπται γὰρ ὅτι τὸ θέλημα σου τὸ ἐν οὐρανῷ γινέσθω ἐπὶ τῆς γῆς· τὸν ἄρτον ἡμῶν τὸν ἐπιούσιον δὸς ἡμῖν σήμερον· διότι γέγραπται· ἐγὼ εἰμι ὁ ἄρτος ὁ ζῶν ὁ ἐκ τοῦ οὐρανοῦ καταβάς (Places, 1969, გვ. 52).</p>	<p>Nῦν οὖν αἰτήσωμεν τὸν Θεὸν ἐκτενῶς, ἵνα μὴ καλίσσασιν ἡμᾶς ἀνελεθεῖν πρὸς αὐτόν· ὅσον γὰρ ἔχουσι τὴν δύναμιν τὴν θεϊκὴν μεθ' ἑαυτῶν οἱ δίκαιοι, οὐδεὶς δύναται αὐτοὺς καλῆσαι. Ἡ γωργία οὖν αὐτῆς ἐστίν, ἄχρις ἂν ἐνοικήσῃ ἡ δύναμις ἐν τῷ ἀνθρώπῳ (PO 11, გვ. 436-437).</p>
სტევანე თებელი, 84	ამონა, ბერძ. 2.2
<p>καὶ πάλιν· τὸν ἄρτον ὃν ἐγὼ δίδωμι ὑμῖν ἢ σὰρξ μου ἐστίν ὑπὲρ τῆς τοῦ κόσμου ζῆς· τὸν ἄρτον ἡμῶν τὸν ἐπιούσιον δὸς ἡμῖν σήμερον, ὃ ἐστίν τὸ σῶμα αὐτοῦ καὶ τὸν λόγον αὐτοῦ καὶ τὸ ἔνταγμα αὐτοῦ· καὶ ἄφες ἡμῖν τὰ ὀφειλήματα ἡμῶν ὡς καὶ ἡμεῖς ἀφίεμεν τοῖς ὀφειλέταις ἡμῶν, τοῦτ' ἐστίν τὰς ἀμαρτίας τὰς μεταξὺ ἡμῶν καὶ αὐτοῦ· ἄφες ἡμῖν αὐτὰ, ὡς καὶ ἡμεῖς ἀφίεμεν τοῖς ὀφειλέταις ἡμῶν (Places, 1969, გვ. 52).</p>	<p>ἵνα καταφρονησῇ ὁ ἄνθρωπος πάσης ἀτιμίας τῶν ἀνθρώπων, καὶ πάσης τῆς τιμῆς αὐτῶν, καὶ μισησῇ πάσας τὰς χρείας τοῦ κόσμου τούτου, τὰς ὡς τιμίας νομιζομένας, καὶ μισησῇ πᾶσαν ἀνάπαυσιν τοῦ σώματος, καὶ καθαρῶς τὴν καρδίαν αὐτοῦ ἀπὸ παντὸς λογισμοῦ ῥυπαροῦ, καὶ παντὸς ματαιοῦ φρονηματος τοῦ αἰῶνος τούτου, καὶ ἵνα αἰτησῆται ἐν νηστείαις καὶ δάκρυσιν νυκτὸς καὶ ἡμέρας. Καὶ ὁ ἀγαθὸς Θεὸς οὐ χροιοῖ τὸν δοῦναι ὑμῖν αὐτὴν (PO 11, გვ. 437).</p>
<p>ჯორჯი მისი „პური ესე არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს“, რომელ არს სიტყუაჲ მისი, რჩული და მცნებაჲ და ბრძანებანი მისნი. „და მომიტევენ თანანადებნი ჩუენნი“, რომელ არიან ცოდვანი ჩუენნი მისა მიმართ, „ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“ (Garitte, 1970, გვ. 85).</p>	<p>1.2. რადთა შეურაცხ-ყოს კაცმან ყოველი შეურაცხებდა კაცთა და ყოველი პატივი მათი, და მოიძულოს ყოველი საკმარი ამის სოფლისაჲ, რომელი რეცა თუ პატიოსნად საგონებელ იყოს და მოიძულოს ყოველი განსუენება ჯორცთაჲ. და განიწმიდოს გონებაჲ თუისი ყოვლისაგან გულისსიტყუისა მწიკულებანისა და ყოვლისაგან ამოღასა ზრახვისა ამის სოფლისა და რადთა ითხოვდეს მარხვითა და ცრემლითა ღამე და დღე, და სახიერმან ღმერთმან არა აყოვნოს მოცემად იგი თქუენდა (Sin.geo.35, 44r; Sin.geo.n. 13, 60rv).</p>
სტევანე თებელი, 85	ამონა, ბერძ. 2.2
<p>καὶ μὴ εἰσενέγκῃς ἡμᾶς εἰς πειρασμόν, ἀλλὰ ῥῖσαι ἡμᾶς ἀπὸ τοῦ πονηροῦ· ὅτι σοὺ ἐστίν ἡ βασιλεία καὶ ἡ δύναμις καὶ ἡ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας· ὁ θεὸς γὰρ ἐστίν ὁ ἐνδυναμῶν τὸν ἄνθρωπον τὸν ὑπακούοντα αὐτοῦ· ὅτι σοὺ ἐστίν ἡ δύναμις· ἐπειδὴ γέγραπται ὅτι· δῶσει κύριος δύναμιν καὶ κραταίωσιν τῷ λαῷ αὐτοῦ (Places, 1969, გვ. 52-53).</p>	<p>καὶ ἐπὶ ἂν δῶσῃ ὑμῖν αὐτὴν, διατελέσετε τοὺς χρόνους ὑμῶν ἐν ἀναπαύσει καὶ ἐλαφρότητι· καὶ μεγάλην παρρησίαν εὐρήσετε ἐνώπιον τοῦ Θεοῦ καὶ τότε πάντα τὰ αἰτήματα ὑμῶν δῶσει ὑμῖν, ὡς γέγραπται (PO 11, გვ. 437).</p> <p>[„Et multa sunt, quae vobis scribere volo. Pauca tamen haec scripsi ob magnam meam, quam ergo vos habeo, dilectionem. <i>Valete in Divino corde in omnibus operibus dilectionis Dei!</i>“]</p>
<p>„და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, უფალო, არამედ მივსენ ჩუენ ბოროტისაგან, რადმეთუ შენი არს სუფევაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ“. რადმეთუ ღმერთი არს განმადლიერებელი მოყუარეთა მისთაჲ, ვითარცა წერილ არს: „უფალმან მოსცეს ძალი და სიმტკიცეჲ ერსა თესსა“ (ესალ. 28.11); და მერმე იტყვს: „უკუეთუ მომცნეთ გულნი თქუენნი, მე მოგცე თქუენ ძალი ჩემი“ (Garitte, 1970, გვ. 86).</p>	<p>1.2. და ოდეს მოგცეს იგი თქუენ, აღსრულნეთ ჟამნი ცხორებისა თქუენისანი განსუენებასა და ფართობასა შინა და დიდი განსუენებაჲ ჰპოოთ წინაშე ღმრთისა და ყოველი თხოვად თქუენი მოგცეს თქუენ, ვითარცა წერილ არს. მრავალ არს, რომელი მნებავს მიწერად თქუენდა, არამედ მცირედი ესე მიწერე დიდისა მისთუის სიყუარულისა, რომელი მაქუს თქუენდა მიმართ. <i>განმდიერდით უფლისა მიერ გულითა თქუენითა, ღმრთისმოყუარეო პატიოსანო ძმანო!</i> (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60v).</p>

სტევანე თებელის დასახელებული ნაშრომის არაბული ტექსტის 84-85 ქვეთავების შედარებამ ამონას ბერძ. 2 ეპისტოლესთან აჩვენა, რომ არაბული ტექსტი საკმაოდ ახლოს დგას ამ უკანასკნელთან, განსაკუთრებით მისი 84-ე ქვეთავი, ხოლო 85-ე ქვეთავის განსხვავება ამონას წერილისგან უფრო დიდია. კერძოდ, 85-ე ქვეთავი სხვაობს ამონას წერილის ბერძნული და სირიული ტექსტებისაგან² და სირიულ (და არაბულ) თარგმანს ემსგავსება ერთადერთი წინადადებით:

¹ მეორე აზნაცის შესატყვისი მონაკვეთი ბერძნულ ეპისტოლეს აკლია და დაცულია მხოლოდ სირიულ ტექსტში, PO 10, გვ. 572¹¹⁻¹³.
² შდრ. Sauget, 1964, გვ. 394.

სტეფანე თებელი, არაბული ტექსტის თარგმანი	სტეფანე თებელი, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით	ამონა, ბერძ. 2 (ქართ. 1)
<p>84. Cela, c'est que l'homme rejette toute estime des hommes et qu'il la méprise; qu'il ne se préoccupe pas non plus de leur mépris ou de leur dédain; qu'il haïsse également les affaires de ce monde qui pense que ce sont des choses estimables; qu'il rejette aussi toute satisfaction corporelle et qu'il purifie son coeur de toute pensée impure; et s'il demande à Dieu en tout temps, par le jeûne et les larmes, qu'il lui accorde la miséricorde, alors Dieu le bon, le vertueux, ne temporisera pas, et ne tardera pas à lui accorder ce qu'il a demandé (Sauget, 1964, გვ. 394).</p>	<p>84. καὶ πάλιν· τὸν ἄρτον ὃν ἐγὼ δὶδῶμι ἡμῖν ἢ σὰρξ μου ἔστιν ὑπὲρ τῆς τοῦ κόσμου ζῶης· τὸν ἄρτον ἡμῶν τὸν ἐπιούσιον δὸς ἡμῖν σήμερον, ὃ ἔστιν τὸ σῶμα αὐτοῦ καὶ τὸν λόγον αὐτοῦ καὶ τὸ ἔνταγμα αὐτοῦ· καὶ ἄφες ἡμῖν τὰ ὀφειλήματα ἡμῶν ὡς καὶ ἡμεῖς ἀφίεμεν τοῖς ὀφειλέταις ἡμῶν, τοῦτ' ἔστιν τὰς ἁμαρτίας τὰς μεταξὺ ἡμῶν καὶ αὐτοῦ· ἄφες ἡμῖν αὐτά, ὡς καὶ ἡμεῖς ἀφίεμεν τοῖς ὀφειλέταις ἡμῶν (Places, 1969, გვ. 52).</p> <p>84. ჳორცი მისი „ჳური ესე არსობისა მომეც ჩუენ დღეს“, რომელ არს სიტყუაჲ მისი, რჩული და მცნებაჲ და ბრძანებანი მისნი. „და მომიტევენ თანანადებნი ჩუენნი“, რომელ არიან ცოდვანი ჩუენნი მისა მიმართ, „ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“ (Garitte, 1970, გვ. 85).</p>	<p>2.2. ἵνα καταφροῖση ὁ ἄνθρωπος πάσης ἀτιμίας τῶν ἀνθρώπων, καὶ πάσης τῆς τιμῆς αὐτῶν, καὶ μισση πάσας τὰς χρείας τοῦ κόσμου τούτου, τὰς ὡς τιμίας νομιζομένας, καὶ μισση πᾶσαν ἀνάπαυσιν τοῦ σώματος, καὶ καθάριση τῆς καρδίας αὐτοῦ ἀπὸ παντὸς λογιμοῦ ῥυπαροῦ, καὶ παντὸς ματαίου φρονηματος τοῦ αἰῶνος τούτου, καὶ ἵνα αἰτήσῃται ἐν νηστείας καὶ δάκρυσι νυκτὸς καὶ ἡμέρας. Καὶ ὁ ἀγαθὸς Θεὸς οὐ χροινεῖ τοῦ δοῦναι ἡμῖν αὐτῆν (PO 11, გვ. 437).</p> <p>1.2. რაათა შუურაცხ-ყოს კაცმან ყოველი შუურაცხებაჲ კაცთაჲ და ყოველი ჳატივი მათი, და მოიძულოს ყოველი საჯმარი ამის სოფლისაჲ, რომელი რეცა თუ ჳატიოსნად საგონებელ იყოს და მოიძულოს ყოველი განსუენებაჲ ჳორცთაჲ. და განიწმიდოს გონებაჲ თუისი ყოვლისაგან გულისსიტყუისა მწიკულევა-ნისა და ყოვლისაგან ამაოხსა ჳრახვისა ამის სოფლისა და რაათა ითხოვდეს მარხვითა და ცრემლითა ღამე და დღე, და სახიერმან ღმერთმან არა აყოვნოს მოცემად იგი თქუენდა (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60rv).</p>
<p>85. Veillons donc à ce que nos actions ne soient pas en vue de la gloire des hommes, sinon Dieu n'accueillera de nous aucune demande, et ne nous donnera pas cette force qu'il a donnée à ses saints et à ses purs, car le Livre dit: "Dieu brise les articulations de ceux qui regardent les hommes, et de ceux qui agissent injustement à leur égard" (Sauget, 1964, გვ. 394).</p>	<p>85. καὶ μὴ εἰσερέγκῃς ἡμᾶς εἰς πειρασμόν, ἀλλὰ ῥῖσαι ἡμᾶς ἀπὸ τοῦ ποιηροῦ· ὅτι σοὶ ἔστιν ἡ βασιλεία καὶ ἡ δόξα καὶ ἡ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας· ὁ θεὸς γὰρ ἔστιν ὁ ἐνδυναμῶν τὸν ἄνθρωπον τὸν ὑπακούοντα αὐτοῦ· ὅτι σοὶ ἔστιν ἡ δύναμις· ἐπειδὴ γέγραπται ὅτι· δώσει κύριος δύναμιν καὶ κραταίωσιν τῷ λαῷ αὐτοῦ (Places, 1969, გვ. 52-53).</p>	<p>καὶ ἐπᾶν δώσῃ ἡμῖν αὐτῆν, διατελέσετε τοὺς χρόνους ἡμῶν ἐν ἀναπαύσει καὶ ἐλαφρότητι· καὶ μεγάλῃ παρρησίᾳ εὐρήσετε ἑσᾶπιον τοῦ Θεοῦ καὶ τότε πάντα τὰ αἰτήματα ἡμῶν δώσει ἡμῖν, ὡς γέγραπται (PO 11, გვ. 437).</p> <p>[„Et multa sunt, quae vobis scribere volo. Pauca tamen haec scripsi ob magnam meam, quam ergo vos habeo, dilectionem. <i>Valete in Divino corde</i> in omnibus operibus <i>dilectionis Dei</i>“].¹</p>
	<p>85. „და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, უფალო, არამედ მიჳსნენ ჩუენ ჳორციისაგან, რადმეთუ შენი არს სუფევაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ“. რადმეთუ ღმერთი არს განმადლიერებელი მოყუარეთა მისთაჲ, ვითარცა წერილ არს: „უფალმან მოსცეს ძალი და სიმტკიცეჲ ერსა თჳსსა“; და მერმე იტყვს: „უკუეთუ მომცნეთ გულნი თქუენნი, მე მიგვე თქუენ ძალი ჩემი“ (Garitte, 1970, გვ. 86).</p>	<p>1.2. და ოდეს მოგვეს იგი თქუენ, აღსრულნეთ ჳამნი ცხორებისა თქუენისანი განსუენებასა და ფართოებასა შინა და დიდი განსუენებაჲ ჳპოთ წინაშე ღმრთისა და ყოველი თხოვაჲ თქუენი მოგვეს თქუენ, ვითარცა წერილ არს. მრავალ არს, რომელი მნებავს მიწერად თქუენდა, არამედ მცირედი ესე მივწერე დიდისა მისთუის სიყუარულისა, რომელი მაქუს თქუენდა მიმართ. განმდიერდით უფლისა მიერ გულითა თქუენითა, ღმრთისმოყუარენო ჳატიოსანო ძმანო! (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60v).</p>

დავუბრუნდეთ სტეფანე თებელის *ასკეტიკურ სიტყვაში* დაცული ამონას ეპ. 2-ის არაბულ ტექსტს, კერძოდ, მის 78-79 (= ბერძ. 2.1, სირ. 2.1) და 81-83 ქვეთავებს. ისინი, განსაკუთრებით 78-79 ქვეთავები, თუმცა მცირედ შემოკლებულად არიან გადმოცემულნი, ძირითადად შეესაბამებიან ამონას ამ წერილის ბერძნულ (და სირიულ) ტექსტს. განსხვავებას იძლევა მხოლოდ 78-ე ქვეთავის პირველი ორი სტრიქონი, რომლებიც ამონას წერილის ციტირებას უძღვის წინ: “Ὁ mon fils, si tu desires entrer dans le royaume du ciel, accepte les tribulations, “car la porte est étroite, et”. იგი არ გვხვდება არც ბერძნულ და არც სირიულ რედაქციაში, ხოლო წმინდა მამათა აპოფთეგმების ეთიოპურ თარგმანში მიეკუთვნება სულ სხვა ავტორს – ჳომენს:²

¹ ეს მონაკვეთი ბერძნულ წერილს აკლია და დაცულია მხოლოდ სირიულ ენაზე, იხ. PO 10, გვ. 572¹¹⁻¹³.
² Sauget, 1964, გვ. 392 და შენ. 2.

სტევანე თებელი, არაბული ტექსტის თარგმანი	ამონა, ბერძ. 2	ამონა, ქართ. 1
<p>78. Ô mon fils, si tu desires entrer dans le royaume du ciel, accepte les tribulations, "car la porte est étroite"; et si quelqu'un aime Dieu de toute son âme et de tout son coeur, il faut qu'il s'affermisse dans sa crainte, et la crainte engendrera en lui le gémissement et la joie, et de cela il reçoit une grande force, et alors son âme porte des fruits; et lorsque Dieu voit la beauté de l'effort de l'homme, Il le reçoit et Il lui pardonne tous ses péchés et Il l'établit avec les anges, et Il lui donne une garde qui le garde dans toutes ses voies jusqu'à ce qu'il atteigne le lieu du repos; et lorsque Satan voit cette garde avec lui, il ne peut s'en approcher, puisqu'il voit avec lui cette force qui l'entoure (Sauget, 1964, გვ. 392).</p>	<p>Τοῖς ἀγαπητοῖς ἐν Κυρίῳ χαίρειν. Ἐάν τις ἀγαπήσῃ τὸν Κύριον ἐν ὄλῃ καρδίᾳ, καὶ ἐν πάσῃ τῇ ψυχῇ, καὶ πάσῃ δυνάμει σταθῆ ἐν φόβῳ, ὁ φόβος γενήσεται αὐτῷ κλαυθμὸν, καὶ ὁ κλαυθμὸς χαρὰν, καὶ ἡ χαρὰ γενήσεται ἰσχύϊν, καὶ διὰ ταύτης ἡ ψυχὴ καρποφορήσεται ἐν πᾶσι· καὶ ἐὰν ἴδῃ ὁ Θεὸς τὸν καρπὸν αὐτῆς οὕτως ὠραῖον, προσδέχεται αὐτὸν ὡς εὐωδία, καὶ ἐν πᾶσιν αὐτῇ συγχαρήσεται μετὰ τῶν ἀγγέλων αὐτοῦ, καὶ δώσει αὐτῇ φύλλακα τὸν φυλάσσοντα αὐτὴν ἐν πάσαις ταῖς ὁδοῖς αὐτῆς, ὅπως ὀδηγήσῃ αὐτὴν εἰς τὸν τόπον τῆς ἀναπαύσεως, ἵνα μὴ κατισχύσῃ αὐτῆς ὁ Σατανᾶς. Ὅσον γὰρ ὀρᾷ ὁ διάβολος τὸν φύλλακα, τουτέστι τὴν δυνάμιν κύκλω τῆς ψυχῆς, φεύγει φοβούμενος προσεγγίσει τῷ ἀνθρώπῳ, καὶ ἐλλαβοῦμενος τὴν ἐπικειμένην αὐτῷ δυνάμιν (PO 11, გვ. 435).</p>	<p>საყუარელთა მაგათ უფლისა მიერ სიხარული! უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თუისითა, შეეყოს შიშსა მისსა. შიშმან უშვის მას ტირილი და ტირილმან უშვის მას სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი და მის გამო სული იგი ყოველსა შინა ნაყოფიერ იქმნეს. და რაჟამს იხილის ღმერთმან ნაყოფი იგი მისი ესრფთ შუენიერად და შეიწყნაროს იგი, ვითარცა სულნელეზად და ყოველსა შინა ღმერთი იხარებდეს მისა მიმართ, ანგელოსთა მისთა თანა და მოსცეს მას მცველი, რომელი სცვიდეს მას ყოველთა შინა გზათა მისთა, რათა მიუძღუეს მას ადგილსა მას განსასუენებელისასა, რათა არა ეუფლოს მას ეშმაკი. რამეთუ რაჟამს იხილის ეშმაკმან მცველი იგი, ესე იგი არს გარემოდგომილი იგი ძალი სულსა მას, ივლტინ კაცისა მისგან და ვერ იკადრის მიახლებად მისა, რამეთუ ეშინინ გარემოდგომილისა მისგან ძალისა (Sin. geo. 35, 43v; Sin. geo. n.13, 59r).</p>
<p>79. Ô bien aimé, acquiers donc cette force afin que Satan te craigne et que tu sois sage dans toutes tes actions, et que s'accroisse en toi la grâce, et que tu sois rempli de la douceur du Saint-Esprit car elle est plus douce que le miel. Beaucoup de moines n'ont pas connu l'excellence de celle-ci, car ils n'ont pas possédé cette force divine, et ils n'ont pas accompli son oeuvre, et c'est pourquoi Dieu ne leur a pas accordé ce secours qu'Il accorde à ceux qui accomplissent ses commandements en un lieu, car "Dieu ne fait pas acception de personne" (Sauget, 1964, გვ. 392-393).</p>	<p>Ὁθεν, ἀγαπητοὶ ἐν Κυρίῳ, οὓς ἀγαπᾷ ἡ ψυχὴ μου, οἶδα ὅτι θεοφιλεῖς ἐστὲ· κτήσασθε οὖν ἐν ἑαυτοῖς τὴν δυνάμιν ταύτην, ἵνα φοβῆθῃ ὑμᾶς ὁ Σατανᾶς, καὶ ἵνα σοφισθῆτε ἐν πᾶσι τοῖς ἔργοις ὑμῶν, καὶ ἵνα ἡ γλυκύτης τῆς χάριτος προβαίνουσα αὐξήσῃ ὑμῖν τὸν καρπὸν. Ἡ γὰρ γλυκύτης τοῦ χαρίσματος τοῦ πνευματικοῦ γλυκυτέρα ἐστίν "ὑπὲρ μέλι καὶ κηρίον", καὶ οἱ (Lire οὐ) πολλοὶ τῶν μοναχῶν, οὐδὲ τῶν παρθένων, ἔγνωσαν τὴν μεγάλην ταύτην γλυκύτητα τῆς χάριτος, ἐπειδὴ οὐκ ἐκτήσαντο τὴν δυνάμιν τὴν θεϊκὴν, εἰ μὴ ἔνιοι κατὰ τόπους, οὐδὲ γὰρ ἐποίουν τὴν γεωργίαν τῆς δυνάμεως, διὰ τοῦτο αὐτὴν ὁ Κύριος οὐκ ἔδωκεν αὐτοῖς. Τοῖς γὰρ ποιοῦσι τὴν γεωργίαν αὐτῆς, δίδωσιν αὐτὴν ὁ Θεός, οὐ γὰρ ἐστι προσωπολήπτῃς, ἀλλὰ τοῖς γεωργοῦσιν αὐτὴν κατὰ γενεὰν καὶ γενεὰν, δίδωσιν αὐτὴν (PO 11, გვ. 435-436).</p>	<p>ამისთვის, საყუარელთა უფლისა მიერ, რომელთა გყუარობს სული ჩემი, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხართ. მოიზოვეთ თავისა თქუენისა ესე ძალი, რათა ეშინოდის თქუენგან ეშმაკსა, და რათა განჰზრძნდეთ ყოველსა შინა საქმეთა და სიტყუათა თქუენთა. და რათა სიტკობეზად იგი მადლისა მის მოიწიოს თქუენ ზედა და აღორძინოს ნაყოფი იგი თქუენი. რამეთუ სიტკობეზად იგი სულიერისა მის მადლისადა უტკბილეს არს უფროას თავლისა მის და გოლისა. და არამრავალთა მონაზონთა და არცა ქალწულთაგანთა ადრე ცნეს დიდი ესე სიტკობეზად მადლისადა მის. ამისთვის, რამეთუ არა ითხოვეს საღმრთოდ იგი ძალი, არამედ იშუითა და ადგილ-ადგილად, რამეთუ არცადა ქმნეს საქმე იგი ძალისადა მის. ამისთვისცა მათ ესე არა მისცა უფალმან. რამეთუ ყოველთა, რომელნი იქმან საქმეთა მათ მისთა, მათ ხოლო მისცემს ღმერთი, რამეთუ არა აქუს თუალთეზად, არამედ რომელნი იქმან საქმეთა მისთა, თითოეულსა შინა ნათესავსა მისცემს მათ (Sin. geo. 35, 43v; Sin. geo. n. 13, 59rv).</p>
<p>81. Et sache, ô bien aimé, que nous avons des ennemis, et ils veulent nous empêcher de monter vers le Seigneur (Sauget, 1964, გვ. 393).</p>	<p>Εἰσὶ γὰρ ἐνέργειαι ἐν τῷ ἄερι κωλύουσαι τοὺς ἀνθρώπους, καὶ μὴ θέλουσαι αὐτοῖς ἀφίεναι ἀνελεῖν πρὸς τὸν Θεόν. (PO 11, გვ. 436)</p>	<p>რამეთუ არიან ძალნი აერთა ზედა, რომელნი აყენებენ კაცთა და არა ჰნებავს ასლვავ მათი ღმრთისა. (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60r).</p>
<p>82. Et à cause de cela, il nous faut demander à Dieu, nuit et jour, sans cesse [et] toujours, qu'ils ne trouvent pas contre nous de motif pour nous empêcher de monter vers Dieu (Sauget, 1964, გვ. 393).</p>	<p>Νῦν οὖν αἰτήσωμεν τὸν Θεὸν ἐκτενῶς, ἵνα μὴ κωλύσωσιν ἡμᾶς ἀνελεῖν πρὸς αὐτόν (PO 11, გვ. 436).</p>	<p>აწ უკუე ვითხოვდეთ გულსმოდგინედ ღმრთისაგან, რათა არა დამაბრკოლნეს ჩუენ ასლვად ღმრთისა. (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60r).</p>
<p>83. Quant aux saints qui ont acquis cette force et avec qui elle est [encore], ceux-là (=les ennemis) ne peuvent pas les empêcher de monter, et ils ne s'approchent pas d'eux, voyant cette force en eux et l'oeuvre de celle-ci tant qu'elle habite dans l'homme (Sauget, 1964, გვ. 394).</p>	<p>Ὅσον γὰρ ἔχουσιν τὴν δυνάμιν τὴν θεϊκὴν μεθ' ἑαυτῶν οἱ δίκαιοι, οὐδεὶς δύναται αὐτοὺς κωλύσαι. Ἡ γεωργία οὖν αὐτῆς ἐστίν, ἄχρις ἂν ἐνοικήσῃ ἡ δυνάμεις ἐν τῷ ἀνθρώπῳ (PO 11, გვ. 436-437).</p>	<p>რამეთუ მართალთა აქუს ესე ძალი საღმრთოდ მათ თანა და ვერვის ჯელ-ეწიფვის მათა დაბრკოლებად. ხოლო საქმენი მისნი ესე არიან, ვიდრემდის დაიმკუიდროს ძალმან კაცისა თანა (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60r).</p>

შემოკლებული და შეცვლილია სტეფანე თებელის დასახელებული ნაშრომის 80-ე ქვეთავის არაბული ტექსტი, და ისე ჩანს, რომ მასში დაცულია ბერძნული/სირიული ტექსტების მხოლოდ შუა ნაწილი, ისიც გადამუშავებული სახით:

სტეფანე თებელი, არაბული თარგმანი	ბერძ. 2.2	სირ. 2.2	ქართ. 1.2
80. <i>Et à cause de cela donc, ô mon fils, acquiers la simplicité du coeur pour qu'habite en toi la force divine, et alors, tu passeras tous les jours de ta vie dans la liberté et la joie</i> (Sauget, 1964, გვ. 393).	Νῦν οὖν, ἀγαπητοί, οἶδα ὅτι θεοφιλεῖς ἐστε, καὶ ἀφ' οὗ εἰς τὸ ἔργον τοῦτὸ ἐστε, ἀγαπάτε τὸν Θεὸν ἐξ ὅλης καρδίας. Διὰ τοῦτο ἀγάψτε ἡμᾶς ἐν ὅλῃ καρδίᾳ μου, διὰ τὴν ἐσθνήτητα τῶν καρδιῶν ἡμῶν. Λοιπὸν οὖν κτήσασθε ἑαυτοῖς τῆς δυνάμει ταύτης τῆς θεϊκῆς, ἵνα πάντα τοῖς χρόνοις ἡμῶν ποιήσητε ἐν ἐλευθερίᾳ, καὶ ἵνα τὸ ἔργον τοῦ Θεοῦ εὐκόλον ᾦ παρ' ἡμῶν. Αὕτη γὰρ ἡ δύναμις ἡ δεδομένη τῷ ἀνθρώπῳ ἐνταῦθα αὐτῇ πάλιν ὀδοῦν εἰς ἐκείνην τῆς ἀνάπαυσις, ἕως οὗ παρέλθῃ πάσας “τὰς ἔξοσιδας τοῦ ἀέρος” (PO 11, გვ. 436).	Modo autem, dilectissimi, novi vos amicos esse Dei et vos inde a momento, quo ad opus hoc pervenistis, toto corde vestro Deum diligere. Propterea, ecce, etiam ego diligo vos toto corde meo. Et propter sinceritatem cordis vestri capaces estis acquirendae virtutis huiusce divinae, quam toto tempore operemini cum facilitate et gaudio, ut omne opus Dei facile sit vobis. Virtus enim haec, quam homini hic largitur, disponit eum, ut in requiem ingrediatur, donec efficientiam aeris transcenderit (PO 10, გვ. 571-572).	ხოლო აწ, საყუარელნო, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხართ, ვინაიდან ამას საქმესა მოხუედიით, გიყუარს ღმერთი ყოვლითა გულითა თქუენითა. ამის გამო მეცა შეგიყუარენ ყოვლითა გულითა ჩემითა, სიწმინდების მავისთვის გულისა თქუენისა. ამიერთგან მოიგეთ თავისა თქუენისა ძალი ესე სათნოა, რაათა ყოველნი ჟამნი აღასრულუნეთ აზნაურებასა შინა და სიხარულსა და მხიარულებასა და რაათა საქმე ღმრთისა ადვილ იყოს თქუენდა. რამეთუ ესე ძალი, რომელი მოცემულ არს კაცისა აქავე, კუალად მიუძღუს მონასა მას განსასუენებელსა, ვიდრემდის თანაწარჰდეს ყოველთა მათ ჳელმწიფებათა აერისათა (Sin. geo. 35, 43v-44r; Sin. geo. n. 13, 60r).

რაც შეეხება ორი არაბული თარგმანის, არაბ. 9-ისა (ექელენსისის თარგმანი) და სტეფანე თებელის ასკეტიკური სიტყვის არაბულ ტექსტში დაცული ამონას წერილის შედარებას ერთმანეთთან, 78-79 ქვეთავების შედარებისას ნათელია, რომ ეს ორი არაბული თარგმანი სიახლოვეს ავლენს ერთმანეთთანაც და ამონას წერილის შინაარსთანაც, დანარჩენ მონაკვეთებში კი არაბ. 9-ის ტექსტი შესამჩნევად გადამუშავებულია, ხოლო 80-82 ქვეთავების შესაბამის მონაკვეთში ფსალ. 126.5-იც არის ჩართული:

არაბ. 9	სტეფანე თებელი	ამონა, ქართ. 1
Dilectissimi in Domino, si homo Deum dilexerit de toto corde, et de tota cogitatione, et de tota mente, et de tota virtute sua, timorem consequitur; timor autem generat fletum; fletus vero generat fortitudinem: quibus consummatis in anima, fructus feret in omnibus. Deus autem pulchris his fructibus in anima perspectis attrahit illum ad se tanquam odorem thuris electi, illaque laetatur cum angelis omni tempore, elargiens illi quoque laetitiam, eamque custodit in omnibus viis ejus, ut perveniat ad locum suae requiei; et non praevaleret adversus eam diabolus, videns altissimum custodem illum circumdantem; idcirco homini illi accedere prorsus timet, ob magnam illam virtutem (PG 40, სვ. 1021-1022).	78. Ὁ mon fils, si tu desires entrer dans le royaume du ciel, accepte les tribulations, “car la porte est étroite”; et si quelqu'un aime Dieu de toute son âme et de tout son coeur, il faut qu'il s'affermisse dans sa crainte, et la crainte engendrera en lui le gémissement et la joie, et de cela il reçoit une grande force, et alors son âme porte des fruits; et lorsque Dieu voit la beauté de l'effort de l'homme, Il le reçoit et Il lui pardonne tous ses péchés et Il l'établit avec les anges, et Il lui donne une garde qui le garde dans toutes ses voies jusqu'à ce qu'il atteigne le lieu du repos; et lorsque Satan voit cette garde avec lui, il ne peut s'en approcher, puisqu'il voit avec lui cette force qui l'entoure (Sauget, 1964, გვ. 392).	საყუარელთა მავათ უფლისა მიერ სიხარული! უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თუისითა, შეეყოს შიშა მისსა. შიშმან უშვის მას ტირილი და ტირილმან უშვის მას სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი და მის გამო სული იგი ყოველსა შინა ნაყოფიერ იქმნეს. და რაჟამს იხილის ღმერთმან ნაყოფი იგი მისი ესრფთ შუენიერად და შეიწყნაროს იგი, ვითარცა სულწლეზება და ყოველსა შინა ღმერთი იხარებდეს მისა მიმართ, ანგელოსთა მისთა თანა და მოსცეს მას მცველი, რომელი სცვიდეს მას ყოველთა შინა გზათა მისთა, რაათა მიუძღუს მას ადგილსა მას განსასუენებელისასა, რაათა არა ეუფლოს მას ეშმაკი. რამეთუ რაჟამს იხილის ეშმაკმან მცველი იგი, ესე იგი არს გარემოდგომილი იგი ძალი სულსა მას, ივლტინ კაცისა მისგან და ვერ იკადრის მიახლებად მისა, რამეთუ ეშინინ გარემოდგომილისა მისგან ძალისა (Sin. geo. 35, 43v; Sin. geo. n.13, 59r).
Nunc autem, dilectissimi mei in Domino, quos diligit anima mea novitque esse Dei amatores, comparate vobis virtutem hanc, ut paveant vos daemones, et laboribus quos peragitis, levemini, et divina vobis dulcescant: siquidem divini amoris dulcedo favo longe dulcior est. Multi sane ex monachis et virginibus qui in	79. Ὁ bien aimé, acquiers donc cette force afin que Satan te craigne et que tu sois sage dans toutes tes actions, et que s'accroisse en toi la grâce, et que tu sois rempli de la douceur du Saint-Esprit car elle est plus douce que le miel. Beaucoup de moines n'ont pas connu l'excellence de celle-ci, car ils n'ont pas possédé cette force divine, et ils n'ont pas accompli son	ამისთვის, საყუარელნო უფლისა მიერ, რომელთა გყუარობს სული ჩემი, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხართ. მოიპოვეთ თავისა თქუენისა ესე ძალი, რაათა ეშინოდის თქუენგან ეშმაკსა, და რაათა განჰპრძნდეთ ყოველსა შინა საქმეთა და სიტყუათა თქუენთა. და რაათა სიტკბოზება იგი მადლისა მის მოიწიოს თქუენ ზედა და აღაორძინოს ნაყოფი იგი თქუენი. რამეთუ სიტკბოზება იგი სულიერისა მის მადლისა ეტკბილეს არს უფროდს თაფლისა მის და გოლისა. და

<p>congregationibus sunt, cum hanc divini amoris dulcedinem minime degustassent, nec divinam fortitudinem essent consecuti, autumabant, se eam jam nactus esse, quam tamen lucrari haudquaquam sunt conati: ideoque minime eam elargitus et illis Deus. Profecto enim quicumque illam lucrari conatur, eam consequitur Dei concessione: quandoquidem personarum non est acceptor Deus; verum omnibus in generationibus, generatione post generationem, illam largitur operantibus opera illius (PG 40, სვ. 1022AB).</p>	<p>oeuvre, et c'est pourquoi Dieu ne leur a pas accordé ce secours qu'il accorde à ceux qui accomplissent ses commandements en un lieu, car "Dieu ne fait pas acception de personne" (Sauget, 1964, გვ. 392-393).</p>	<p>არამრავალთა მონაზონთა და არცა ქალწულთაგანთა ადრე ცნეს დიდი ესე სიტკბოება მადლისად მის. ამისთვის, რამეთუ არა ითხოვეს საღმრთოდ იგი ძალი, არამედ იშუითთა და ადგილდ-ადგილდ, რამეთუ არცადა ქმნეს საქმე იგი ძალისად მის. ამისთვისცა მათ ესე არა მისცა უფალმან. რამეთუ ყოველთა, რომელნი იქმან საქმეთა მათ მისთა, მათ ხოლო მისცემს ღმერთი, რამეთუ არა აქუს თუალთღებად, არამედ რომელნი იქმან საქმეთა მისთა, თითოეულსა შინა ნათესავსა მისცემს მათ (Sin. geo. 35, 43v; Sin. geo. n. 13, 59rv).</p>
<p>Nunc, dilectissimi mei in Christo, bene scio, vos Deum diligere; verum satagite, ut id sit ex totis cordibus vestris; in quo quidem laetatur cor meum, ut valeatis obtinere virtutem Dei, et reliquum vitae vestrae cum gaudio et laetitia transigere, et ut leviora vobis reddantur opera Domini, cum virtus quae homini datur, ea ipsa sit quae illum dirigit ad loca requiei, illumque custodit, quousque pertranseat omnes aereas virtutes, sicut ait Psalmus: "Beatus vir, qui complet desiderium suum ex ipsis; tunc enim non confundetur, cum alloquetur inimicos suos in portis" (PG 40, სვ. 1022C).</p>	<p>80. Et à cause de cela donc, ô mon fils, aequiers la simplicité du coeur pour qu'habite en toi la force divine, et alors, tu passeras tous le jours de ta vie dans la liberté et la joie. 81. Et sache, ô bien aimé, que nous avons des ennemis, et ils veulent nous empêcher de monter vers le Seigneur. 82. Et à cause de cela, il nous faut demander à Dieu, nuit et jour, sans cesse [et] toujours, qu'ils ne trouvent pas contre nous de motif pour nous empêcher de monter vers Dieu (Sauget, 1964, გვ. 393).</p>	<p>[80.] ხოლო აწ, საყუარელნო, ვიცი, რამეთუ ღმრთისმოყუარე ხარო, ვინაიდან ამას საქმესა მოხუდით, გიყუარს ღმერთი ყოვლითა გულითა თქუენითა. ამის გამო მეცა შეგიყუარენ ყოვლითა გულითა ჩემითა, <i>სიწმიდობისა მაცისთვის გულისა თქუენისა. ამიერიდან მოიგეთ თავისა თქუენისა ძალი ესე სათნოდ, რაათა ყოველნი ჟამნი აღასრულნეთ აზნაურებასა შინა და სიხარულსა და მხიარულებასა და რაათა საქმე ღმრთისა ადვილ იყოს თქუენდა. რამეთუ ესე ძალი, რომელი მოცემულ არს კაცისა აქვე, კულად მიუძღუს მონასა მას განსასუენებელსა, ვიდრემდის თანა-წარჰკედეს ყოველთა მათ ჯელმწიფე-ბათა აერისათა (Sin. geo. 35, 43v-44r; Sin. geo. n. 13, 60r).</i> [81.] რამეთუ არიან ძალნი აერთა ზედა, რომელნი აყენებენ კაცთა და არა ჰნებავს აღსლვად მათი ღმრთისა. [82.] აწ უკუე ვითხოვდეთ გულსმოდგინედ ღმრთისაგან, რაათა არა დამაბრკოლნეს ჩუენ აღსლვად ღმრთისა. (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60r).</p>
<p>Scitote itaque, filioli mei, quod dum habet homo lumen Dei virtutemque ejus, opprobria mundi hujus contemnit atque etiam honores ejus (PG 40, სვ. 1022C).</p>	<p>83. Quant aux saints qui ont acquis cette force et avec qui elle est [encore], ceux-là (=les ennemis) ne peuvent pas les empêcher de monter, et ils ne s'approchent pas d'eux, voyant cette force en eux et l'oeuvre de celle-ci tant qu'elle habite dans l'homme (Sauget, 1964, გვ. 394).</p>	<p>რამეთუ მართალთა აქუს ესე ძალი საღმრთოდ მათ თანა და ვერვის ჯელ-წიფების მათა დაბრკოლებად. ხოლო საქმენი მისნი ესე არიან, ვიდრემდის დაიმკუიდროს ძალმან კაცისა თანა (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60r).</p>
<p>et odio habet omnia quae sunt in hoc mundo, et corporis requiem, emundatque cor suum ab omnibus malis cogitationibus; tum jejunium offert et lacrymas noctu dieque, nec non puras preces: quare largietur ei Deus virtutem illam (PG 40, სვ. 1022CD).</p>	<p>84. Cela, c'est que l'homme rejette toute estime des hommes et qu'il la méprise; qu'il ne se préoccupe pas non plus de leur mépris ou de leur dédain; qu'il laisse également les affaires de ce monde qui pense que ce sont des choses estimables; qu'il rejette aussi toute satisfaction corporelle et qu'il purifie son coeur de toute pensée impure; et s'il demande à Dieu en tout temps, par le jeûne et les larmes, qu'il lui accorde la miséricorde, alors Dieu le bon, le vertueux, ne temporisera pas, et ne tardera pas à lui accorder ce qu'il a demandé (Sauget, 1964, გვ. 394).</p>	<p>რაათა შეურაცხ-ყოს კაცმან ყოველი შეურაცხება კაცთა და ყოველი პატივი მათი, და მოიძულოს ყოველი საკმარი ამის სოფლისა, რომელი რეცა თუ პატიოსნად საგონებელ იყოს და მოიძულოს ყოველი განსუენება ჯორცთა. და განიწმიდოს გონება თუისი ყოვლისაგან გულისსიტყუისა მწიკულევანისა და ყოვლისაგან ამაოისა ზრახვისა ამის სოფლისა და რაათა ითხოვდეს მარხვითა და ცრემლითა ღამე და დღე, და სახიერმან ღმერთმან არა აყოვნოს მოცემად იგი თქუენდა (Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60rv).</p>
<p>Itaque, filioli mei benedicti, hanc obtinere virtutem satagite, qua mediante operabimini omnis opera vestra cum requie et lavamine, magnamque nanciscemini coram Domino fiduciam, et implebit vobis omnes vestras petitiones (PG 40, სვ. 1022D).</p>	<p>85. Veillons donc à ce que nos actions ne soient pas en vue de la gloire des hommes, sinon Dieu n'accueillera de nous aucune demande, et ne nous donnera pas cette force qu'il a donnée à ses saints et à ses purs, car le Livre dit: "Dieu brise les articulations de ceux qui regardent les hommes, et de ceux qui agissent injustement à leur égard" (გვ. 394).</p>	<p>და ოდეს მოგცეს იგი თქუენ, აღასრულნეთ ჟამნი ცხორებისა თქუენისანი განსუენებასა და ფართოებასა შინა და დიდი განსუენებაჲ ჰპოთ წინაშე ღმრთისა და ყოველი თხოვად თქუენი მოგცეს თქუენ, ვითარცა წერილ არს. მრავალ არს, რომელი მნებავს მიწერად თქუენდა, არამედ მცირედი ესე მიწერე დიდისა მისთვის სიყუარულისა, რომელი მაქუს თქუენდა მიმართ. განმლიერდით უფლისა მიერ გულითა თქუენითა, ღმრთის-მოყუარენო პატიოსანო ძმანო! (Sin. 35, 44r; Sin. n. 13, 60v).</p>

ამგვარად, არაბულ ენაზე დასტურდება არაბ. 9 (= ბერძ./სირ. 2/ქართ. 1) წერილის ორი რედაქცია. პირველი მათგანის ლათინური თარგმანი გამოცემულია ექვლენსისის მიერ, მეორე კი, გარკვეული ცვლილებებით, შეტანილ-დამოწმებულია სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* (Ἀσκητικὸς Ἰστορικὸς) 78-85 ქვეთავებში. ამ ორი არაბული ტექსტის ერთმანეთთან შედარებისას ნათელია, რომ *ასკეტიკური სიტყვის* 78-79 ქვეთავები და მათი შესაბამისი არაბ. 9-ის მონაკვეთი ახლოს დგას ერთმანეთთან (ისევე, როგორც ბერძ. 2/სირ. 2-თან), დანარჩენ მონაკვეთებში კი არაბ. 9-ის ტექსტი შესამჩნევად გადამუშავებულია.

ასკეტიკური სიტყვის არაბული ტექსტის 78-79 და 81-84 ქვეთავები, თუმცა გარკვეულწილად შემოკლებულნი, ახლოს დგანან ამონას ამ წერილის შესაბამის ბერძნულ (ბერძ. 2) და სირიულ (სირ. 2) ეპისტოლეებთან, 80-ე ქვეთავი წერილის შესაბამის მონაკვეთს გადამუშავებული სახით იძლევა, ხოლო 85-ე ქვეთავი სხვაობს ამონას წერილის ბერძნული და სირიული ეპისტოლეებისაგან და ამ უკანასკნელთან საერთო აქვს ერთადერთი წინადადება.

სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* არაბული ტექსტის გამომცემელი, ჟ. სოჟე, ერთმანეთს უდარებს ამავე ნაშრომის არაბულ და ბერძნულ ტექსტებს და მიუთითებს მათ შორის არსებულ განსხვავებას.¹ ამასვე აღნიშნავს სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* ბერძნული ტექსტის გამომცემელი დე პლასიც, რომელიც წერს, რომ ბერძნული ტექსტის 78-85 ქვეთავებში სრულიად სხვა შინაარსის მონაკვეთია წარმოდგენილი.² კერძოდ, ამ მონაკვეთის ბოლოს, 84-ე და 85-ე ქვეთავებში, მოცემულია „მამაო ჩვენოს“ მეორე ნაწილი, რომელსაც დართული აქვს მოკლე განმარტება.

სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვა*, სათაურით „სწავლაჲ სტეფანე მონაზონისაჲ“, გადმოღებულია ქართულ ენაზეც და გამოცემულია ჟ. გარიტის მიერ.³ ამონას წერილიდან, რომელიც აქ დაცული უნდა ყოფილიყო 78-85 ქვეთავებში, მას აკლია NN 78-83, ხოლო 84-85 ქვეთავები თანხვდება ბერძნულ დედანს, *ასკეტიკური სიტყვის* ბერძნულ ტექსტს და, შესაბამისად, სხვაობს არაბული რედაქციისა და ამონას შესაბამისი წერილისაგან.⁴ გარიტის თანახმად, ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ბერძნულ და არაბულ ტექსტებთან შედარებით უფრო ადრეული წყაროდან.⁵

არაბ. 10 (Ecchellensis, 1641, გვ. 57-61; PG 40, სვ. 1023-1024) = სირ. 3 (ბერძ. 6, ქართ. 2).

არაბ. 11 (Ecchellensis, 1641, გვ. 62-66; PG 40, სვ. 1024-1026) = სირ. 4 (ბერძ. 3, ქართ. 4);

არაბ. 12 (Ecchellensis, 1641, გვ. 66-69; PG 40, სვ. 1026-1027) = სირ. 5 (ქართ. 5);

არაბ. 13 (Ecchellensis, 1641, გვ. 69-72; PG 40, სვ. 1027-1028) = სირ. 6 (ქართ. 6). წერილს დასაწყისში ჩართული აქვს რამდენიმე სტრიქონი, რომლებიც არც სირიულ და არც ქართულ ეპისტოლეებს არ შეესაბამება, არამედ კომპილატორის მიერ ჩანს ჩამატებული.⁶

არაბ. 14 (Ecchellensis, 1641, გვ. 72-76; PG 40, სვ. 1029-1030) = სირ. 7 (ქართ. 7);

არაბ. 15 (Ecchellensis, 1641, გვ. 77-79; PG 40, სვ. 1030-1032) = სირ. 1 (ქართ. 14);

[**არაბ. 16-17** (Ecchellensis, 1641, გვ. 80-98, 98-116; PG 40, სვ. 1032-1039, 1039-1047). ამ ორი ნუსხის შესახებ CPGr 2380-ში აღნიშნულია, რომ არაბ. 16 სრულიად ცალკე დგას (“omnino sui

¹ Sauget, 1964, გვ. 374.

² Des Places, 1969, გვ. 35. ტექსტის განხილვისათვის იხ. ასევე, Farag, 2012, გვ. 217 და შემდ.

³ Garitte, 1970, გვ. 78-93.

⁴ Garitte, 1970, გვ. 75.

⁵ “la recension géorgienne ne peut se rattacher directement ni au texte grec ni à la version arabe tells qu’ils nous sont connus par les éditions... avec le grec d’une part et avec l’arabe d’autre part, des éléments propres à chacune de ces deux recensions, elle doit se rattacher à un modèle antérieur à celles-ci”, Garitte, 1970, გვ. 76.

⁶ გ.ფარაგი ამ წერილის ზოგ მონაკვეთთან დაკავშირებით პარალელს ავლებს ანტონი დიდის ეპისტოლეებთან, იხ. Farag, 2012, გვ. 252-260.

iuris est”), ხოლო არაბ. 17 წარმოადგენს ფსევდო-ამონას ასკეტიკური ტრაქტატის თარგმანს. ამ უკანასკნელის სირიული თარგმანი ამონას ეპისტოლეთა სირიული კორპუსის გამოცემაში სადავო ეპისტოლეთა შორის არის დაბეჭდილი, როგორც ეპ. 1 (PO 10, გვ. 617-635)].

[**არაბ. 18** (Ecchellensis, 1641, გვ. 117-126; PG 40, სვ. 1047-1051). მოცემული წერილის დასაწყისი უახლოვდება ამონას სირ. 12-ის¹ (ბერძ. 1/ქართ. 3) საწყის სტრიქონებს. ამ მონაკვეთების შინაარსი ერთმანეთთან ზუსტ თანხვედრას არ ავლენს, ხოლო თემები, რომელთა შესახებაც აქ არის საუბარი, ზოგადია და დასტურდება სხვადასხვა ეპოქის ქრისტიანულ ტექსტებში. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, თუ ანტონისა და ამონას ნაწერებში, რომლებიც ერთსა და იმავე ეპოქაში, ერთსა და იმავე ასკეტურ გარემოში იქმნებოდა, ერთნაირი საკითხების შესახებ არის მსჯელობა.² წერილის დასაწყისს, როგორც ანტონი დიდის ეპისტოლეს, იმოწმებს შენუტი ატრიპელი,³ მის ბოლო მონაკვეთს კი – შენუტის მოწაფე, ბესა. ციტირებები არაზუსტია.⁴ წერილს თანამედროვე მკვლევრებიც ანტონი დიდის ნამუშავევად მიიჩნევენ⁵].

არაბ. 19 (Ecchellensis, 1641, გვ. 127-136; PG 40, სვ. 1051-1055) = სირ. 13 (ბერძ. 7, ქართ. 11) (Ecchellensis, 1641, გვ. 127-135; PG 40, სვ. 1051-1055A₂) და სირ. 14 (გვ. 135-136; PG 40, სვ. 1055A₂-B₉). წერილში უხვად არის ჩამატებული და გადამუშავებული მონაკვეთები (შდრ. CPG_r 2380).

[**არაბ. 20** (Ecchellensis, 1641, გვ. 136-160; PG 40, სვ. 1055-1066). ამ ეპისტოლეს ზოგი მკვლევარი უახლოვებს სირ. 11-ს (ბერძ. 5/ქართ. 10.3 და შემდ.),⁶ თუმცა წერილში მოცემული არაბული ტექსტი საკმაოდ გადამუშავებულია, შედგენილია სხვადასხვა ფრაგმენტებისაგან (CPG_r 2380) და მისი შინაარსი სრულიად განსხვავებულია ამონას ეპისტოლეთა შინაარსისაგან. ს.ბროკის ცხრილში ამონას წერილთა შესაბამის არაბულ წერილთა ჩამონათვალში ეს ეპისტოლე არ არის წარმოდგენილი.⁷ გ. ფარაგი ვარაუდობს, რომ წერილის პირველი ნაწილი ანტონი დიდს ეკუთვნის, მაგრამ მან გადამუშავებული სახით მოაღწია ჩვენამდე⁸].

ამგვარად, არაბულ ეპისტოლეთა კორპუსიდან, რომელიც 20 წერილით არის მოღწეული, ამონას 9 ეპისტოლე ეკუთვნის. არაბ. 8-15 და 19 წერილები შეესაბამება ათ სირიულ ეპისტოლეს: სირ. 1-8, 13-14 (არაბ. 19 შეიცავს ორი სირიული წერილის, სირ. 13-ისა და სირ. 14-ის თარგმანს). მათ შორის წარმოდგენილია იმ წერილთა თარგმანებიც, რომლებიც არ დასტურდება ბერძნულ კრებულში: არაბ. 8, 12-15, 19b. მეორე მხრივ, არაბულ კორპუსში არ არის მოცემული ბერძ. 1, 4, 5, 8-ის შესაბამისი წერილები.

არაბულ წერილთა მიმდევრობა ძირითადად მისდევს სირიულ ეპისტოლეთა კორპუსის მიმდევრობას. ამასთან, არაბ. 9-14-ის მიმდევრობა სირ. 2-7-ის იდენტურია, ხოლო არაბ. 8-ის ნუმერაცია სირ. 8-ის ნუმერაციას ემთხვევა (შდრ. ცხრილი 1).

¹ Outtier, 1985, გვ. 12.

² „En comparant les trois textes, qu'ils soient d'Antoine, d'Ammonas ou de Macaire, nous pouvons conclure que les trois textes proviennent de la même époque et du même milieu ascétique et appartiennent à la littérature monastique du 4ème siècle, et cela ne veut pas dire que ses textes sont copiés les uns des autres, parce que chaque texte provient d'une source différente et authentique. Ainsi nous sommes uniquement d'accord avec Louf quand il dit : Nous sommes en tout cas dans le même milieu et à la même époque“, Farag, 2012, გვ. 301.

³ Garitte, 1939, გვ. 20-21.

⁴ „les citations de Chenoute et Bêsa n'étaient pas identiques (exactes) comme dans le cas des citations de Bêsa de la VIème lettre” (Farag, 2012, გვ.127); „ces citations de la XVIIIème lettre n'étaient pas exactement identiques au texte arabe, peut-être à cause de la nature de la traduction arabe qui était libre et non littérale” (Farag, 2012, გვ. 102). დაწვრილებით იხ. ამონას ეპისტოლეთა ორიგინალის ენის განხილვასთან.

⁵ CPG_r 2380. იხ. ასევე, Antonio Il Grande, 1999, გვ. 11; Farag, 2012, გვ. 81, 94-103, 149, 290 და შემდ.

⁶ Klejna, 1938, გვ. 312; Outtier, 1985, გვ. 12; Farag, 2012, გვ. 115 (ამ მკვლევარის თანახმად, ამონას წერილებს არაბ. 20-ის მეორე ნაწილი უკავშირდება).

⁷ *The letters of Ammonas*, 1985, გვ. iii.

⁸ Farag, 2012, გვ. 110, 114-115, 149.

უპირატესად სირიული რედაქციის შედგენილობას უახლოვდება ეპისტოლეთა არაბული ტექსტის შედგენილობაც. მასში დასტურდება მონაკვეთები, რომლებიც დაცულია სირიულ ტექსტში, მაგრამ აკლია ბერძნულს. ამის ერთ-ერთი მაგალითია არაბ. 9. მისი შესაბამისი ბერძ. 2 სამ ქვეთავს შეიცავს,¹ სირ. 2 და ქართ. 1 კი – ორს, ხოლო მესამე ქვეთავის შესაბამის ადგილას სამ, ერთი შინაარსის მოკლე წინადადებას იძლევიან: „Et multa sunt, quae vobis scribere volo. Pauca tamen haec scripsi ob magnam meam, quam ergo vos habeo, dilectionem. Valet in Domino corde in omnibus operibus dilectionis Dei”² (“მრავალ არს, რომელი მნებავს მიწერად თქვენდა. არამედ მცირედი ესე მივწერე დიდისა მისთვის სიყუარულისა, რომელი მაქუს თქვენდა მიმართ, განძლიერდით უფლისა მიმართ გულითა თქუენითა, ღმრთისმოყუარენო პატიოსანო ძმანო!” ქართ. 1, Sin. geo. 35, 44r; Sin. geo. n. 13, 60v). ბერძნული 2.3-ის შესაბამისი ტექსტი არ არის წარმოდგენილი არც არაბ. 9-ში, სადაც ამ ქვეთავის ნაცვლად მოცემულია მონაკვეთი, რომლის პირველი ნაწილი თანხვდება სირიულ და ქართულ ეპისტოლეთა დასასრულს, მეორე კი გადამუშავებულია: „Praeterea scitote, quod plura scribere vobis verba decreueram ob meam erga vos charitatem, verum breui hac Epitome contentus fui. *Dominum autem deprecor Iesum Christum, ut eam constituat in vestram salutem et gaudium. Quem decet laus, et honor ab omnibus rationalibus cum Patre suo et Spiritu sancto in saecula. Amen*”³ სირიულ რედაქციას თანხვდება არაბ. 10-ის შედგენილობაც. მასში მოცემულია ტექსტის ის ნაწილი (PG 40, სვ. 1023A-1024A₁₀), რომელიც შეესაბამება ბერძ. 6-ის სამივე ქვეთავს და სირ. 3-ის (და ქართ. 2-ის) პირველ სამ ქვეთავს, მასთან ერთად კი შეიცავს სირ. 3-ის მეოთხე ქვეთავის შესაბამის ტექსტსაც, რომელიც არ დასტურდება ბერძნულში. სირიულ რედაქციას მისდევს არაბ. 19, სადაც მოცემულია მონაკვეთები (PG 40, სვ. 1052A₁₄-B₄, C₁₅-D₂, 1053A₁₀₋₁₂, B₅₋₆, C₇₋₁₄), რომლებიც აკლია ბერძ. 7-ს, მაგრამ წარმოდგენილია სირ. 13-ში, როგორც 13.4, 13.6b (PO 10, სვ. 611₂₋₆) და 13.7a (იქვე, გვ. 611₁₀-612₁). დაწვრილებით იხ. ცხრილი 4.

არაბული თარგმანი მეტად განვრცობილ-გადამუშავებულია და შემატებული აქვს როგორც წმინდა წერილის დამოწმებები, ისე სხვადასხვა ხასიათის მსჯელობები. ასე მაგალითად, არაბ. 11-ში, ბერძ. 3-ის (= სირ. 4/ქართ. 4) პირველი ქვეთავის შესაბამის მონაკვეთში, პავლე მოციქულის დამოწმებიდან არაბული ტექსტის კომპილატორი მხოლოდ ერთ სტრიქონს ტოვებს, ხოლო ციტირებამდე და მის შემდეგ ურთავს საკუთარ მსჯელობას: „Hinc, cum has novisset beatus Paulus divitias, quae erunt fidelibus, *quarum magnitudinis non est terminus, scripsit Ephesiis – Et ait etiam: Equidem flecto genua adorans Patrem, a quo denominator – radicem et fundamentum vestrum*”⁴ (შდრ. „ნეტარმან პავლე უწყოდა, რამეთუ ესე არს დიდი სიმდიდრე მორწმუნეთაჲ, თქუა ესრეთ: „მოვიდრეკ მუჯლთა ჩემთა უფლისა მიერ იესუ ქრისტე ღმერთსა თქუენთუის – ამისთვის, რამეთუ იცის, უკუეთუ მოეცის ესე მათ რომელსავე შინა საქმესა“).⁵ ამავე წერილის მეორე ქვეთავში, პავლე მოციქულის დამოწმების შემცველი შემდეგი მონაკვეთი, „სულსა ნუ დაშრეტო, რამეთუ დაივსების ამოღსა სიტყუითა და საცთურითა“, ნაწილობრივ ჩანაცვლებულია ჩანართით: „Scriptum enim est in Paulo Apostolo. Non extinguitur Spiritum, nec contemnatis prophetias. Scitote autem Filioli mei, quod Spiritus non extinguitur ex nobis, nisi verbis inanibus, aliisque huiusmodi operibus permultis, quae singular scribere non valeo“⁶.

არაბ. 19-ში *იოანე*, 12.27-ის დამოწმება, რომელიც დასტურდება მის შესაბამის სირ. 13-სა და ბერძ. 7 წერილებში: “აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს“ (Sin. geo. 35, 55r; “Nunc anima mea ecce

¹ შდრ. PO 10, გვ. 437.

² PO 10, გვ. 572₁₁₋₁₃.

³ Ecchellensis, 1641, გვ. 57; PG 40, სვ. 1022D₉-1023A₂.

⁴ Ecchellensis, 1641, გვ. 63; PG 40, სვ. 1025B_{1-14,14}-C₆.

⁵ PO 10, გვ. 438-439; PO 11, გვ. 578; Sin. geo. 35, 47r, Sin. geo. n. 13, 65v-66r.

⁶ Ecchellensis, 1641, გვ. 65, PG 40, სვ. 1026B₂₋₇. შდრ. PO 10, გვ. 440; PO 11, გვ. 580; Sin. geo. 35, 48r.

conturbata est”, სირ. 13, PO 10, სვ. 6114), *მათე*, 26.39-ით არის ჩანაცვლებული: “Pater, si possibile est, transeat a me calix iste; at non secundum voluntatem meam, sed secundum voluntatem tuam”.¹

საკმაოდ მოკლე წერილი, რომელსაც სირიულსა და ქართულ კორპუსებში (ბერძნულ ენაზე ეს ეპისტოლე არ არის შემორჩენილი) დაახლოებით ნახევარი გვერდი უკავია, არაბულ თარგმანში (არაბ. 12) დაახლოებით ოთხჯერ აღმატება დედანს.² შეცვლილია წერილის დასაწყისიც:

არაბ. 12	სირ. 5	ქართ. 5
Scitote dilectissimi mei in Domino, quod charitas Domini perpetuo mentes nostras invisit, omnibusque opitulatur, qui cordis sui cogitationes praepararunt ad recordationem Ecclesiae primogenitorum noctu, dieque, nec ad alia eas admovent. Quemadmodum autem horum recordatio semper est Dei Spiritus, ipse potissimum pro illis rogat, quippe qui facti sunt ei filii, eosque in Deo genuit (Ecchellensis, 1641, გვ. 66).	Dilectissimis in Domino. Notum est mihi Dei dilectionem in homine memorem esse proximi sui iugiter. Proximus autem est, qui annumeratus est vocationi caelesti perfectae, orans pro nobis nocte ac die, tamquam pro seipso. Quoniam vero ego vos amicos habeo... (PO 10, გვ. 580).	საყუარელთა უფლისა მიერ! იცით სამე, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ მოაქსენებს მარადის სიყუარულსა მოყუასა თუისსა მას. ხოლო მოყუასი იგი არს, რომელი შერაცხილ არს ზეცისასა მას ჩინებასა, ესევეთართათუის ღმრთისმსახური ლოცვასა შიგან არს დღე და ღამე, ვითარცა თავისა თუისისათუის. და რამეთუ თქუნცა მოყუასად შერაცხილ ხართ... (Sin. geo. 35, 48r; Sin. geo. n. 13, 67rv).

მიუხედავად მრავალი ჩანართისა და გადამუშავებული მონაკვეთისა, არაბულ ეპისტოლეთა კორპუსში დაცულია არაერთი ზედმიწევნით გადმოღებული და ზოგი მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთიც, რის გამოც არაბული თარგმანი მეტად ფასეულია ამონას ეპისტოლეთა კორპუსის ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტის დასადგენად.

არაბული თარგმანი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კომპილატორის გადამუშავებებსა და ჩანართებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უახლოვდება სირიულ რედაქციას როგორც შედგენილობით, ისე ტექსტობრივად. მხოლოდ სირიული ტექსტიდან თარგმნისას შეიძლება აღმოჩენილიყო არაბულ თარგმანში ის იკითხვისები, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

არაბ. 10-ის შესაბამის სირ. 3.4-ის ერთ-ერთ მონაკვეთში წარმოდგენილია სიტყვა 𐤀𐤊𐤁 („დამძიმებული“, „დაღონებული“), ხოლო სირიულ CVW ხელნაწერთა იკითხვისებში – 𐤀𐤊𐤁 („გაცივებული“), რომელთა დაწერილობაც ემსგავსება ერთმანეთს. არაბულ თარგმანში ერთდროულად მოცემულია სირიული ტექსტის ეს ორივე იკითხვისი:³

ბერძ. 2.3. Καὶ γὰρ ὁ προφήτης Δαβὶδ, ὅτε εἶδε τὴν καρδίαν αὐτοῦ βαρυσμένην, εἶπεν οὕτως (PO 11, გვ. 437¹³⁻¹⁴).

სირ. 3.4. 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 𐤀𐤊𐤁 (CVW *frigidam* 𐤀𐤊𐤁).

“Nam etiam David, cum aliquando animam suam [moerore] *gravatam* conspexisset, dixit sic” (PO 10, გვ. 576¹⁰⁻¹¹).

არაბ. 10. “Hinc David cum animadvertisset animam suam iam *aggravatam esse, atque frigefactam*, sic ait” (Ecchellensis, 1641, გვ. 61; PG 40, 1024BC).

ქართ. 2.4. „რამეთუ დავითცა წინასწარმეტყუელმან რაჟამს იხილა გული თუისი *დამძიმებული*, იტყოდა ესრეთ“ (Sin. geo. 35, 45v).

აღსანიშნავია ისიც, რომ ფსალ. 142-ის ციტირების შემდეგ, რომელიც ამ მონაკვეთს მოსდევს, ამონას წერილში გვხვდება მსგავსი შინაარსის წინადადება, სადაც სირიულ ტექსტში მოცემულია მხოლოდ „ცივი, გაცივებული“ (𐤀𐤊𐤁), არაბულში – „დამძიმებული“ („*aggravatum*“), ქართულში დასტურდება ეს ორივე იკითხვისი – „დამძიმებულად და ცივად“, ხოლო ბერძნულ ტექსტში არცერთი ეს სიტყვა არ არის წარმოდგენილი:

¹ PG 40, სვ. 1052D³⁻⁵.

² Ecchellensis, 1641, გვ. 66-69, PG 40, სვ. 1026-1027 (ასე მაგალითად, წერილის დასაწყისში ჩამატებულია 8 სტრიქონი: „Considerate itaque Filioli mei hunc Apostolum – cor meum diligit“, გვ. 66). შდრ. PO 11, გვ. 580-81; Sin. geo. 35, 48rv.

³ შდრ. Farag, 2012, გვ. 240-241.

ბერძ. 2.3. καὶ οὕτως ἐποίησε τῆς ἑαυτοῦ καρδίαν θερμαιθῆναι πάλιν (PO 11, გვ. 437).

სირ. 3.4. ܘܕܝܢܐ ܘܗܘܐ ܕܠܗ ܠܘܠܐ ܘܠܗ ܠܘܠܐ ܠܘܠܐ ܠܘܠܐ ܠܘܠܐ

“Sic fecit David, cum vidisset animam suam *frigidam esse*, quoad eam *fervidam reddidisset*” (PO 10, გვ. 577¹⁻³).

არაბ. 10. “Quare percipite dilectissimi mei, quae fecit David, qui cum *aggravatum* esset cor eius, adeo quidem sollicitus fuit, donec accensus est calor in corde eius” (Ecchelensis, 1641, გვ. 61; PG 40, 1024C).

ქართ. 2.4. “ესრეთ ყო დავით, რაჟამს იხილა გული თუისი *დამძიმებულად* და ცივად, ვიდრემდის განატყო იგი” (45v-46rA, 63rC).

არაბ. 13-ის ერთ მონაკვეთში, რომელიც სირ. 6.1-ის შემდეგ წინადადებას შეესაბამება (ბერძნული ტექსტი დაკარგულია), მოცემულია „odio habuerunt“ („მოიძულეს“), რითაც ეს სიტყვა თანხვედბა სირიულ CVW ხელნაწერთა ამავე მნიშვნელობის მქონე იკითხვისს **𐤌𐤍** (“odio habuerunt“ „მოიძულეს“) და სხვაობს სირიული გამოცემის ძირითადი ტექსტის იკითხვისსაგან **𐤌𐤍𐤃** („აძლიერებენ“), რომლისგანაც მხოლოდ პირველი თანხმოდენით განსხვავდება. არაბულ და CVW ხელნაწერთა იკითხვისს ემთხვევა ქართულიც. როგორც ჩანს, იმ სირიულ რედაქციაში, რომლიდანაც ითარგმნა არაბული და ქართული ტექსტები, ამ სიტყვის პირველი თანხმოდენი გადარეცხილი იყო და აღარ იკითხებოდა, რის გამოც არაბულ და ქართულ თარგმანებში „გაძლიერების“ ნაცვლად „სიძულვილი“ გაჩნდა. CVW ნუსხის იკითხვისს ემთხვევა არაბული და ქართული ტექსტები ამავე წინადადების კიდევ ერთი სიტყვის „Crucem“ („ჯვარი“) თარგმანშიც. სირიული კრიტიკული გამოცემის ძირითად ტექსტში ეს სიტყვა მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი (**𐤌𐤍𐤃𐤌** „ჯვრები“), CVW ხელნაწერთა იკითხვისებში კი – მხოლოდით რიცხვში (**𐤌𐤍𐤃**), ისევე, როგორც არაბულ და ქართულ თარგმანებში:

სირ. 6.1. 𐤌𐤍𐤃 𐤌𐤍𐤃 𐤍𐤏𐤃 𐤌𐤍𐤃 𐤌𐤍𐤃 𐤌𐤍𐤃 𐤌𐤍𐤃

“et eis, qui tulerunt *crucis* suas et adhuc *munierunt* animas suas“ („და მათ, რომლებიც იღებენ თავიანთ *ჯვრებს* და ამასთანავე *აძლიერებენ* საკუთარ სულებს/თავებს“, PO 10, გვ. 582s).

არაბ. 13. “istis videlicet, qui mundum *odio habuerunt* usque animas quoque suas, et *Crucem* portantes” (PG 40, სვ. 1028A7-8).

ქართ. 6.1. “და რომელთა აულებიეს *ჯვარი* თუისი და მას თანა თავნიცა თუისნი *მო-ვე-იძულნეს*“ (Sin. geo. 35, 48v; Sin. geo. n. 13, 68r).

არაბული ტექსტი (არაბ. 8) საინტერესო იკითხვისს იძლევა ქართულ თარგმანთან მიმართებაშიც. ქართ. 8-ის (= სირ. 8) ოთხ მონაკვეთში გვხვდება „სული ცეცხლისა“,¹ რომელსაც ბერძნულ თარგმანში შესატყვისი მხოლოდ ერთგან მოეპოვება (წერილის დანარჩენი მონაკვეთები არ არის მოღწეული), სირიულ ტექსტში კი შეესატყვისება „სულიწმინდას“, „სიხარულის სულს“, „ცოცხალ/ცხოველ სულს“ და „საჩუქარს/(სულიერ) წყალობას“, სხვაგვარად რომ ითქვას, სირიულში მას ერთი შესატყვისი არ გააჩნია. რაც შეეხება არაბულ თარგმანს, მასში, მიუხედავად იმისა, რომ თავად წინადადების შინაარსი მცირედ შეცვლილია, მითითებული სიტყვები ოთხ მონაკვეთში დასტურდება სწორედ ამ შინაარსით, „ცეცხლის/ცეცხლოვანი სული“:

ბერძ. 4.8. αἰτούστες ἐν ὅλῃ καρδίᾳ τὸ Πνεῦμα τοῦ πυρός (PO 11, გვ. 445).

სირ. 8. ܘܕܝܢܐ ܘܗܘܐ ܕܠܗ ܠܘܠܐ ܘܠܗ ܠܘܠܐ ܠܘܠܐ ܠܘܠܐ

“petentes toto corde vestro *Spiritum sanctum*” (PO 10, გვ. 587¹⁻²).

არაბ. 8. “Et quaerite cum cordis rectitudine *Spiritum* hunc *igneum*” (PG 40, სვ. 1020D¹¹⁻¹²).

ქართ. 8. „ითხოვდით ყოვლითა გულითა *სულსა მას ცეცხლისასა*“ (Sin. geo. 35, 50r).

სირ. 8. ܘܕܝܢܐ ܘܗܘܐ ܕܠܗ ܠܘܠܐ ܘܠܗ ܠܘܠܐ : ܘܕܝܢܐ ܘܗܘܐ ܕܠܗ ܠܘܠܐ

“quando autem ad vos venero, narrabo vobis de *Spiritu gaudii*” (PO 10, გვ. 588⁷⁻⁸).

CVW add. *penitus* ܘܕܝܢܐ [ܘܕܝܢܐ (= უსრულესადრე).

¹ ამ სიტყვათა გამოყენებისათვის არაბულ ეპისტოლეთა კორპუსში იხ. Farag, 2012, გვ. 212-216.

არაბ. 8. “postquam epistolam hanc scripseram, Spiritu Dei motus sum, ut scriberem vobis in hujus calce de *Spiritu hoc igneo*, atque de divina charitate. At cum venero ad vos Domini ope, alia quam plura nota vobis faciam de hoc *Spiritu*” (PG 40, სვ. 1021C8-12. მონაკვეთი მცირედ გადამუშავებულია).

ქართ. 8. “ხოლო ოდეს მოვიდე, უსრულესადრე გითხრა თქვენ *სულისა მისგან ცეცხლისა*” (Sin. geo. 35, 50v).

სირ. 8. ܠܘܬܐ ܠܘܬܐ ܘܐܢܝ ܘܘܠܘܬܐ ܘܘܠܘܬܐ “Valete in hoc *Spiritu vitae*” (PO 10, გვ. 588¹⁰).

არაბ. 8. “similiter dico vobis salutem in charitate Domini in fine illius per hunc *Spiritum igneum*, quem suscepimus ego” (PG 40, სვ. 1021C-D₂).¹

ქართ. 8. „განძლიერდით მითვე *სულითა ცეცხლისათა*“ (Sin. geo. 35, 50v).

რაც შეეხება მეოთხე მონაკვეთს, აქ ქართულ და არაბულ თარგმანებში მოცემულია „ცეცხლი“ (ქართულში „ცეცხლისა მის დიდისადათ“, არაბულში „*Spiritum illum igneum*“ ანუ „სული იგი ცეცხლისა“), სირიულ თარგმანში კი ܠܘܬܐ, რომელიც ნიშნავს არა „ცეცხლს“, არამედ „საჩუქარს“ და „(სულიერ) წყალობას“, და სხვა იკითხვისები არ მოეპოვება:

სირ. 8. ܠܘܬܐ ܠܘܬܐ ܘܐܢܝ ܘܘܠܘܬܐ ܘܘܠܘܬܐ

“Estote sani Patri misericordiae in tranquillitate, ut *charisma illud*, quod patres vestri acceperunt, etiam vos recipiatis” (PO 10, გვ. 586⁸⁻⁹).

არაბ. 8. “ut *Spiritum illum igneum* magnum quem suscepi, suscipiatis et vos” (PG 40, 1020D).

ქართ. 8. “განძლიერდით მშუიდობით *ცეცხლისა მის დიდისადათ*, რომელი შეიმოსა მამამან თქვენმან, რადათა თქვენცა შეიმოსოთ ესე” (Sin. geo. 35, 50r).

როგორც ჩანს, ამონას განსახილველი წერილის პირველწყაროში ܠܘܬܐ-ის შესაბამის ადგილას მოცემული იყო ܠܘܬܐ სიტყვის მსგავსი შინაარსის იკითხვისი, რომელიც დაწერილობით ჰგავს მას, მსგავსი ფუძისაგან (შდრ. ܠܘܬܐ-ის ფუძე ܘܠ და ܠܘܬ-ის ფუძე ܘܠ) არის ნაწარმოები და „ცეცხლს“ აღნიშნავს.²

ამონას წერილები, ჩვეულებრივ, იწყება მისალმებით და მთავრდება რწმენაში გაძლიერებისაკენ მოწოდებით. არაბული ეპისტოლეები, ცხადია, იმეორებენ ამ ქარგას. ბერძნული და სირიული მისალმება-დამშვიდობების ტექსტების შედარებისას ნათელია მათი განსხვავებები ზოგ ეპისტოლეში, არაბული ეპისტოლეები კი სირიულ რედაქციას მიჰყვებიან და მათი ტექსტი, მისასალმებელ-გამოსათხოვარ სიტყვათა თვალსაზრისით, სირიულის იდენტურია (შდრ. ცხრილი 3). აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ თუმცა კი დამშვიდობება არაბულ წერილებში ჩვეულებრივ განვრცობილ-გადამუშავებულად არის წარმოდგენილი, ეპისტოლეთა პირველი სტრიქონები ზუსტად არის გადმოღებული და შენარჩუნებულია დედნისეული შინაარსი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს არაბ. 13, სადაც დასტურდება მისალმების შემცველი შესავალი ნაწილი, რომელიც აკლია მის შესაბამის სირ. 6-ს (და ქართ. 6-ს, ბერძნულ ენაზე ეს წერილი არ არის შემორჩენილი). სირ. 6-ში ეს ეპისტოლე იწყება მისალმების გარეშე, სიტყვებით “Nocte ac die precor, ut virtus divina proficiat in vobis reveletque vobis maxima divinitatis mysteria” („ღამე და დღე ვევედრები, რადათა ძალი ღმრთისაჲ განდიდნეს თქვენ ზედა და გამოგიცხადნეს თქვენ დიდ-დიდნი საიდუმლონი ღმრთეებისანი“).³ ამ წერილის შესაბამის არაბ. 13

¹ როგორც ჩანს, ამონას ეპისტოლეთა თავდაპირველი ტექსტის ადდგენილ ვარიანტში სწორედ ქართული და არაბული თარგმანების გავლენით იქნა ჩაწერილი „სული ცეცხლისა“ მერვე წერილის ბოლო სტრიქონში: “Portez-vous bien en cet *Espirit de feu*, progresses et affermissez-vous de jour en jour” (Outtier, 1985, გვ. 30, შენ. m). თანამედროვე ინგლისურ თარგმანში ეს სიტყვები გადმოღებულია, როგორც „სიცოცხლის სული“ (“Farewell in the *Spirit of life*, growing and gaining strength day by day”), იხ. *The Letters of Amonas*, 1985, გვ. 10.

² შდრ. Payne Smith, 1903, გვ. 236 (ܘܠ “to inflame, glow, warm, cherish”), 256 (ܠܘܬܐ, ܘܠ “a gift, present, favor”), 578 (ܠܘܬܐ “a flame, blaze”).

³ PO 10, გვ. 582; Sin. geo. 35, 48v.

	“qui ad hanc mensuram pervenerunt, <i>ut unusquisque ex eis exemplo sit coetaneis suis, quemadmodum is qui perfectus reputatur, exemplo est hominibus</i> ” (სირ. 6.2,583 ⁵⁻⁶).	
„ut esset vobis sicuti est <i>Patri vestro</i> “ (არაბ. 14, სვ. 1029A ₆).	<p> ܘܬܝܚܘܒܘܢ ܘܟܝܘܢ ܠܟܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ .(VW om. ܘܬܝܚܘܒܘܢ ܘܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ “imitantes <i>patres vestros</i> in fide” (სირ. 7.1, გვ. 584₂).</p>	„მოზამავ იქმნენით <i>მამისა თქუენისა</i> და მრწამს“ (7.1, Sin. geo. 35, 49r; Sin. geo. n. 13, 70r).
„ut... mererentur exercitus Angelorum“ (არაბ. 14, სვ. 1029C ₁₋₂).	<p> .(VW om. ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ ܟܝܘܢ “gaudeant de vobis per omnia” (სირ. 7.2, გვ. 585₄).</p>	„რადთა ანგელოზთა ძალნი დაემკუიდრნენ თქუენ თანა“ (7.2, Sin. 35, 49v; Sin. n. 13, 70v-71r).
“ut vos benedicat, <i>augeatque benedictionibus</i> ” (არაბ. 14, სვ. 1030B ₁₃₋₁₄).	<p> ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ “(Deus vero...) benedicat vobis” (სირ. 7.2, გვ.586₃).</p>	„ <i>უფროსად</i> გაკურთხენინ თქუენ“ (7.2, Sin. geo. 35, 49v; Sin. geo. n. 13, 71v).

ცალკეა განსახილველი შემდეგი მონაკვეთი. სირ. 7.2-ში გვხვდება სიტყვა *ܠܝܘܢ* („რამეთუ სიცოცხლისა/ცხოვნებისა“), რომელიც ქართულ თარგმანში არ არის გადმოღებული და რომლის ადგილას მოცემულია „რომელსა მე მიმავალ/მისლვად ვარ“. როგორც ჩანს, სირიულ გადამწერს იგი აერია სიტყვაში *ܠܘܢ* („გამევება, უკან გაბრუნება“), რომელიც მის მსგავსად იწერება. ქართული თარგმანი უფრო მეტად თანხვედება ამ მონაკვეთის შესაბამის არაბულ ტექსტს (“*ut sitis mecum ubi fuero*” „რათა იყოთ ჩემთან ერთად, *სადაც ვიქნები*“), ვიდრე სირიულ იკითხვის. რაც შეეხება „ცხოვნებას“, იგი არც არაბულ თარგმანშია წარმოდგენილი:

სირ. 7.2. *ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ ܘܬܘܒܝܚܘܢ*
 “Ego vero oro, ut etiam vos ad mansionem *vitae* perveniatis” (PO 10, გვ. 585⁷⁻⁸).
 არაბ. 14. “nunquam cesso deprecari pro vobis, ut sitis mecum *ubi fuero*” (Ecchellensis, 1641, გვ. 74; PO 40, სვ. 1030A).
 ქართ. 7.2. „ამასცა ვილოცავ, რადთა *რომელსა* ადგილსა *მიმავალ ვარ*, თქუენცა მოხუიდეთ A“; „ვილოცავ, რადთა ადგილსა მას, *რომელსა მე მისლვად ვარ*, რადთა თქუენცა მოხუიდეთ C” (49vA, 71rC).

ამგვარად, არაბულ ენაზე მოღწეულია 20 წერილის შემცველი კორპუსი, რომლის თარგმანიც, Copt. Mus. 93 ხელნაწერის კოლოფონზე დაყრდნობით, თარიღდება 1270 წლით და კოპტური კორპუსიდან მომდინარედ არის მიჩნეული.¹ მათგან 9 ეპისტოლე (არაბ. 8-15, 19) ამონას კალამს მიეკუთვნება და შეესაბამება ათ სირიულ წერილს (სირ. 1-8, 13-14). წერილები გადამუშავებულია და არაერთი მონაკვეთი თავისუფალი თარგმანით, შემატება-შემოკლებებით არის წარმოდგენილი, თუმცა ზოგ შემთხვევაში მათ შორის დასტურდება საკმაოდ ზედმიწევნითი და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთებიც. არაბული თარგმანი ძირითადად იმავე რედაქციისა ჩანს, რომელსაც სირიული და ქართული ტექსტები მისდევენ, ამასთან, გვხვდება სირიულისაგან განსხვავებული იკითხვისებიც, რომლებიც სწორედ (და მხოლოდ) ქართულ ტექსტთან ავლენენ თანხვედრა-შესაბამისობას.² ამდენად, მეტად საყურადღებოა ის პარალელები, რომლებიც იკვეთება არაბულ და ქართულ თარგმანებს შორის, განსაკუთრებით იმ სტრიქონებში, სადაც ქართული თარგმანი სხვაობს ბერძნული და სირიული ტექსტებისაგან. ქართული თარგმანი სიახლოვეს ყველაზე მეტად სირიულ VW და ზოგჯერ C ხელნაწერთა იკითხვისებთან ამჟღავნებს. ამ რედაქციას უახლოვდება არაბული ტექსტიც. ვფიქრობთ, შემდგომი კვლევის მიზნით, საჭიროა ქართული ტექსტის უფრო დაწვრილებითი შედარება ამონას ეპისტოლეთა საკუთრივ არაბულ ენაზე გადმოღებულ ტექსტთან და არა ამ უკანასკნელის თარგმანებთან.

¹ Graf, 1934, გვ. 35; Garitte, 1939, გვ. 29; Farag, 2012, გვ. 103; Rubenson, 2015, გვ. 74.
² ანტონი დიდის ეპისტოლეთა ქართული თარგმანის კვლევისას ქართული ტექსტის თანხვედრას არაბულთან ყურადღება მიაქცია ჟერარ გარიტმა: “l’arabe est sur ce point conforme au géorgien”, Garitte, 1955, გვ. ix.

ეპისტოლეთა სომხური თარგმანი

ამონას ეპისტოლეები მოღწეულია სომხური და ეთიოპური თარგმანებითაც. ორივე მათგანში წერილთა ავტორად ამონა არის დასახელებული.

სომხურ ენაზე გადმოღებულია სამი ეპისტოლე. ისინი გამოქვეყნებულია გამოცემაში: *Վարք սրբոց հարսնց եւ քաղաքապարուփիւնք նոցին ըստ կրկին թարգմանութեան նախնեաց*. ტ. 2. Ի Վենետիქ, 1855 (= *Vitae Patrum*. ტ. 2. Venice, 1855), გვ. 597-603. დაწვრილებით მათ შესახებ იხ.: Bernard Outtier. "Un Patéricon Arménien". *Le Muséon. Revue d'Études Orientales* 84.3-4 (1971): 299-351, კერძოდ, გვ. 343; ასევე, შემდეგი გამოცემა: "Lettres des Pères du Désert: Ammonas, Macaire, Arsène, Sérapion de Thmuis". Introductions, traductions, et notes par B. Outtier, A. Louf, M. van Parys, Cl.-A. Zirnheld. *Spiritualité Orientale* 42. Bégrolles-en-Mauges: Abbaye de Bellefontaine, 1985. თავად კრებული, რომელშიც ამონას ეპისტოლეებია დაცული (*Վարք սրբոց հարսնց*, 1855), განხილულია ილია აბულაძის სტატიაში: „ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთს ძეგლში. სომხური პატერიკის წყაროს საკითხისათვის“. *შრომები*. ტ. 2. თბილისი: მეცნიერება, 1976, გვ. 228-237.¹ მკვლევრის თანახმად, კრებულში წყაროებად გამოყენებულია „ათიოდე სხვადასხვა მოცულობის“ და „სხვადასხვა დროის ნუსხები“, თავად კი „სხვადასხვა ხანისა და სხვადასხვა ენიდან ნათარგმნ კრებულს წარმოადგენს“,² რომელთაგან ერთ-ერთი ენა არის ქართული: „*მამათა ცხოვრების* სომხური ვერსიის თხრობათა ერთი ნაწილის წყარო ქართულის ერთ-ერთი რედაქცია ჩანს“,³ ამასთან, „სომხურის უშუალო ქართული წყარო... მეცხრე ან მეათე საუკუნისაა. ხოლო რამდენადაც ამ საუკუნეებში ქართული კულტურული წრეები... ახლო ურთიერთობაში იმყოფებიან სომხურ წრეებთან ტაო-კლარჯეთსა და ზოგჯერ იერუსალემს, ამდენად, საფიქრებელიცაა, ისინი აქ ეთარგმნათ IX-X სს-ში“.⁴ სამწუხაროდ, განსახილველ სომხურ კრებულში არ არის დასახელებული ხელნაწერები, რომლებიც მასში დაცული ტექსტების წყაროდ იქნა გამოყენებული. არსად არის მოცემული საკუთრივ ეპისტოლეთა დათარიღებაც, რის გამოც ვიღებთ იმ დათარიღებას, რომელსაც ვარაუდობს ი. აბულაძე *მამათა ცხოვრების* თარგმანისათვის.⁵

კრებულში ამონას სამი წერილია დაცული, თუმცა ნუმერაცია არცერთ მათგანთან არ არის მიითითებული:

სომხ. 1 (= სირ. 10b/ბერძ. 8/ქართ. 12, არაბულ კორპუსს აკლია), სათაური: Թուղթ Սուրբ Հորն Ամուխ („წმინდა მამის, ამონას ეპისტოლე“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 597-599), inc. Հոգին սուրբ ուր եւ կամի հանգչի (“*Spiritus sanctus ubi cumque vult requiescat*”,⁶ “წმინდა სული, საითაც და რასთანაც სურს, მოჰბერავს“). ბ. უტიეს თანახმად, წერილის სომხური ტექსტი უშუალოდ არც ბერძნულს მისდევს და არც გამოქვეყნებულ სირიულ ვარიანტს.⁷

სომხ. 2-ის სათაურია: Նորին Սուրբ Հորն Ամուխ այլ թուղթ („მისივე წმინდა მამის, ამონას სხვა ეპისტოლე“, იქვე, გვ. 599-602), inc. Միքելիք, տեսանեմ այժմ զի պտուղ ձեք (“საყვარელნო, ვხედავ ახლა, რომ თქვენი ნაყოფი“).⁸ იგი წარმოადგენს კომპილაციას, შედგენილს სხვადასხვა ეპისტოლეთა ნაწყვეტებისაგან:

¹ ეს სტატია მიმითითა დალი ჩიტუნაშვილმა. მანვე, ნათია ჩანტლაძესთან ერთად, სომხურ გამოცემასთან შეაჯერა სომხურ ეპისტოლეთა მონაკვეთების ჩემი თარგმანი, რისთვისაც ორივე მკვლევარს უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

² აბულაძე, 1976, გვ. 231.

³ აბულაძე, 1976, გვ. 235.

⁴ აბულაძე, 1976, გვ. 235-236.

⁵ აბულაძე, 1976, გვ. 235-236.

⁶ Outtier, 1971, გვ. 343.

⁷ "L' arménien ne se rattache directement ni au grec, ni au syriaque édités", Outtier, 1971, გვ. 343.

⁸ იხ. Outtier, 1971, გვ. 343.

- სომხ. 2_I = სირ. 1.1 (*Vitae Patrum*, გვ. 599-600⁸);
- სომხ. 2_{II} = [სირ. 3.2] (გვ. 600⁸⁻¹¹);¹
- სომხ. 2_{III} = სირ. 11.4-5 (გვ. 600¹²⁻¹⁶);
- სომხ. 2_{IV} = სირ. 2.1 (გვ. 600¹⁷⁻²³);
- სომხ. 2_V = სირ. 4.2 (გვ. 600²³⁻²⁹);
- სომხ. 2_{VI} = სირ. 9.1-3 (გვ. 600²⁹⁻⁶⁰²);
- სომხ. 2_{VII} = [სირ. 9.7] (გვ. 602²⁻⁴);²
- სომხ. 2_{VIII} = ჩანართი³ (გვ. 602⁴⁻⁷);
- სომხ. 2_{IX} = [სირ. 3.1b] (გვ. 602⁸⁻⁹);
- სომხ. 2_X = სირ. 4.1 (გვ. 602⁹⁻¹¹);
- სომხ. 2_{XI} = [სირ. 6.1] (გვ. 602¹¹⁻¹³);
- სომხ. 2_{XII} = სირ. 3.2 (გვ. 602¹³⁻¹⁵);
- სომხ. 2_{XIII} = სირ. 1.3b (გვ. 602¹⁶⁻²⁰).

სომხ. 3 (= სირ.12.1-3a,4-6/ბერძ. 1/ქართ. 3, არაბულ კორპუსს აკლია), სათაური: *Նորին Սուրբ Հօր այլ թուղթ* („მისივე წმინდა მამის სხვა ეპისტოლე“, იქვე, გვ. 602-603), inc. *Միքելիք իմ ՚ի տէր, գիտէք եւ դուք* („საყვარელნო ჩემნო უფალში, იცით თქვენც“).⁴

სომხ. 1-ისა და სომხ. 3-ის თარგმანები ჩვენ შევუდარეთ შესაბამის ბერძნულ, სირიულ და ქართულ ტექსტებს (არაბულ კორპუსში ამ წერილთა შესატყვისი ეპისტოლეები არ არის წარმოდგენილი). ისინი, ძირითადად, საკმაოდ ზუსტ თარგმანს იძლევიან მცირეოდენი შინაარსობრივი ცვლილებებითა და კლება-მატებით.

კლება სომხურ წერილებში დასტურდება რამდენიმე მონაკვეთში. მაგალითად, სომხ. 1-ს აკლია შემდეგი მონაკვეთები, რომლებიც დაცულია ბერძნულ, სირიულ და ქართულ თარგმანებში:

ბერძ. 8.5. πᾶσαι τῆς κτίσεως ἐν ἰστοραγῆ σου πεποίηκε, καὶ οὐκ ἠθέτησας (Marriott, 1918, გვ. 48; სირიულ ტექსტს ეს სტრიქონი აკლია, შდრ. PO 10, გვ. 598²).

ქართ. 12.5. “ყოველი ესე სოფელი დაგამორჩილა შენ ქუეშე და შენ უდებ-ჰყავ” (Sin. geo. 35, 56r).

ბერძ. 8.6. ἡ ψυχὴ μου ὡς γῆ ἄσπερος σου (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. ܠܘܝܢ ܐܢܝܢܐ ܐܘܪܝܢܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ “Anima mea sitit te, sicut terra” (PO 10, გვ. 598⁷).

ქართ. 12.6. „და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანა წყურიელი არს შენდამი“, და შემდგომი“ (Sin. geo. 35, 56v).

კლებასთან შედარებით უფრო ხშირია მატებები, რომელთაც ძირითადად სათარგმნი მონაკვეთის განვრცობა-განმარტების ან შეგონების შინაარსი აქვს:

ბერძ. 8.1. ἡ πατέρα, ἡ μητέρα, ἡ γυναικα καὶ τέκνα (Marriott, 1918, გვ. 47).

სირ. 10.2. ܠܘܝܢ ܐܒܝܢܐ ܘܠܘܝܢܐ ܘܠܘܝܢܐ ܘܠܘܝܢܐ ܘܠܘܝܢܐ

„sive patrem, sive matrem, sive uxorem, sive filios” (PO 10, გვ. 595⁶⁻⁷).

სომხ. 1. գիայր եւ գմայր, գկին եւ գորդիս եւ գեղբարս եւ գսիրեկիս եւ գամենայն որ է յաշխարհիս գբադմունք, եւ շնորհէ նմա լինել անինչ („მამა და დედა, ცოლი და შვილები, და ძმები და საყვარელი ადამიანები, და ყველაფერი, რაც წუთისოფლის საზრუნავია, და მიჰმადლე მას უპოვარად ყოფნა“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 597).

ქართ. 12.1. “გინა მამამ, გინა დედამ, ანუ თუ ცოლი, ანუ თუ შვილნი” (Sin. geo. 35, 55v).

¹ ეს მოკლე მონაკვეთი დასახელებულ გამოცემაში (Outtier, 1971, გვ. 343) არ იყო მითითებული.

² დასახელებულ გამოცემაში არც ეს მონაკვეთი იყო მითითებული. იგი სულ 1 სტრიქონს შეიცავს.

³ “C’est pourquoi les épreuves (sur)viennent: pour que l’homme soit éprouvé et devienne pur pour la connaissance de Dieu et le progrès; et quand il a dépassé les épreuves et a vaincu avec action de graces (et) louange de l’esprit, alors ensuite, quand il prie, il est agréé de Dieu. Et après cela, Dieu lui donne de le contempler, pour qu’il discerne la difference entre le bien et le mal (cf. Lettre 4.1); et il est désormais voyant-à-l’avance et plaisant, et Dieu le bénit et lui accorde ce qu’il demande; il y ajoutera même, et lui donnera la grâce sainte et la force divine qui engraisse son âme (cf. Lettre 3.2), jusqu’à ce qu’il le transfère en son lieu de repos”, Outtier, 1971, გვ. 343, შენ. 62. ეს ჩანართი ამონას არცერთ ეპისტოლესთან არ ავლენს სიახლოვეს.

⁴ იხ. Outtier, 1971, გვ. 343.

სომხ. 2. *քանզի եւ իւ հայրն Աստուծոյ մեծասն ժողովոյնսնց համբերեցաք յայտնի եւ գաղտնի* (“ვინაიდან მე და მამა ანტონიმ დიდ-დიდი განსაცდელები დავითმინეთ, ცხადად და ფარულად“, *Vitae Patrum*, გვ. 601¹⁰⁻¹¹).
ქართ. 9.1. “მეცა, მამამან თქუენმან, დიდნი დავითმინენ განსაცდელნი გინა თუ ფარულად, გინა ცხადად” (Sin. geo. 35, 51r).

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წინადადების შემდეგ, სირ. 9.3-ის შესაბამის მონაკვეთში ანტონი კიდევ ერთხელ, ბერძნულ და სირიულ წყაროთა შესატყვისად არის ნახსენები, ოღონდ სხვაგვარი დაწერილობით: *աբբայ Աստուծոյ* („აბბა ანტონიოს“). აქვე დავძენთ, რომ აღნიშნულ მონაკვეთში მოცემული სიტყვა *աբբայ* („აბბა“) წარმოადგენს იმ მეტად იშვიათ შემთხვევათაგანს, როდესაც სომხური თარგმანი შეესატყვისება მხოლოდ სირიულ ტექსტს, სხვა თარგმანებში კი მსგავსი შინაარსის იკითხვისი არ დასტურდება:

ბერძ. 4.3. ὁ γὰρ Ἀντώνιος ἔλεγε ἴμιν (PO 11, გვ. 443s).

სირ. 9.3. ܐܘܒܒܐ ܐܢܬܘܢܝܘܨ ܠܗܘܢ ܠܥܘܠܡܝܢ

“Verumtamen Pater [უკეთ: აბბა] Antonius dicebat nos” (PO 10, გვ. 591¹¹).

სომხ. 2. *քանզի աբբայ Աստուծոյ* სასაგ („რადგან აბბა ანტონიოსმა თქვა“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 601³³).
ქართ. 9.3. „და ანტონი გუეტყუის“ (Sin. geo. 35, 51v).

სომხ. 1 და 3 ეპისტოლეები, *რედაქციის* დადგენის თვალსაზრისით, ჩვენ შევუდარეთ ამონას ბერძნულ და სირიულ ტექსტებს, რომლებთანაც სომხური ეპისტოლეები საკმაოდ ახლოს დგას და ზოგჯერ ბერძნულთან, ზოგჯერ კი სირიულ/ქართულ რედაქციებთან ავლენს სიახლოვეს. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სომხურში ასახულია საკუთრივ ქართული თარგმანის იკითხვისებიც.

სომხ. 1-ის ქვემოთ მითითებულ წინადადებებში დასტურდება ბერძნული თარგმანის შესატყვისი იკითხვისები, რომლებიც არ არის წარმოდგენილი სირიულ და ქართულ ტექსტებში:

ბერძ. 8.6. καὶ ἔτι αἰώνια ἐμνήσθην καὶ ἐμέλετησα, καὶ πάλιν (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. ܕܝܘܢܝܘܨ ܐܘܒܒܐ ܐܢܬܘܢܝܘܨ ܠܗܘܢ ܠܥܘܠܡܝܢ

“Annorum, qui a saeculo sunt, recordatus sum” (PO 10, გვ. 598^s).

სომხ. 1. *Էթէ զամս յաւիտենից յիշեցի եւ խօսեցայ. Եւ դարձաւ* („თუკი წელიწადნი საუკუნონი გავიხსენე და ვახსენე. და კვლავ“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 599).

ქართ. 12.6. “წელიწადნი საუკუნენი მოვიკსენენ” (Sin. geo. 35, 56v).

ბერძ. 8.2. καὶ λοιπὸν πάντα ἅπερ ἦν αὐτῷ γλυκεία, βαρέα αὐτῷ γίνεται καὶ δύσκολα (Marriott, 1918, 47).

სირ. 10.2. ܘܗܝܠܐ ܐܘܒܒܐ ܐܢܬܘܢܝܘܨ ܠܗܘܢ ܠܥܘܠܡܝܢ ܕܝܘܢܝܘܨ ܐܘܒܒܐ ܐܢܬܘܢܝܘܨ ܠܗܘܢ ܠܥܘܠܡܝܢ

“et tunc ea omnia, quae ei prius dulcia erant, fiunt ei molesta” (PO 10, გვ. 595¹¹⁻¹²).

სომხ. 1. *Եւ յայնժամ ամ որ յառաջն քաղցրութիւն նսա գործքն էին, ծանր եւ դառն* համարի գնասա.

„და მაშინ, ყველაფერი, რაც თავიდან სიტკობის საქმე იყო მისთვის, მძიმე და მწარე გაუხდეს მას“ (გვ. 597).

ქართ. 12.2. „და მაშინ, რომელ ტკბილ იყო წინააღ, მერმე მძიმე ექნა მას“ (Sin. geo. 35, 55v).

ამ უკანასკნელ წინადადებაში ბერძნული ტექსტის სინონიმური წყვილის, *βαρέα* („მძიმე“) და *δύσκολα* („როული“) შესატყვისად სომეხი მთარგმნელი, ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად, ორ სხვადასხვა შესატყვისს იძლევა: *ծանր* *եւ* *դაռն* („მძიმე და მწარე“).

მეორე მხრივ, სომხ. 1 და 3 წერილებში არ არის მოცემული ზოგი ისეთი მონაკვეთი, რომლებიც არც სირიულ და ქართულ ტექსტებშია წარმოდგენილი, არამედ გვხვდება მხოლოდ ბერძნულში. ასეთია, მაგალითად, შემდეგი სტრიქონები: *ბერძ.* 8.1. καὶ ποθοῦσας αὐτὸ πάσῃ θερραπέσσει σπουδῇ (Marriott, 1918, გვ. 47; *შდრ.* სირ. 10.2, PO 10, გვ. 595⁴; *ქართ.* 12, Sin. geo. 35, 55v; სომხ. 1, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 597); *ბერძ.* 8.2. τὸ δὲ εἰκὴ, τοῦτό ἐστιν – τὴν ἐξ ἡψους δὴσᾶμι (Marriott, 1918, გვ. 47⁶⁻⁹; *შდრ.* სირ. 10.2, PO 10, გვ. 596; *ქართ.* 12, Sin. geo. 35, 55v; სომხ. 1, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 597); *ბერძ.* 1.1. ἀλλὰ μὴ πτοηθῆ· οὐ γὰρ ἰσχυσοῦσι κατ’ αὐτῆς ἐν ἡσυχίᾳ πορευομένης (PO 11, გვ. 432¹⁰⁻¹¹; *შდრ.* სირ. 12, PO 10, გვ. 603^s; *ქართ.* 3, Sin. geo. 35, 49v; სომხ. 3, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602).

მხოლოდ სირიულ და ქართულ ტექსტებში დასტურდება სომხურ თარგმანში დაცული შემდეგი მონაკვეთების შესატყვისები:

ბერძ. 8.6. τότε σωθῆσθι, χάριτι πατρὸς καὶ υἱοῦ καὶ ἁγίου πνεύματος εἰς τοὺς αἰῶνας, ἀμήν (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. ܠܗܘܢ ܠܥܘܠܡܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ

“tunc liberaberis et cognosces quomodo fueris” (PO 10, გვ. 598r).

სომხ. 3. յայնժամ կեցցես, եւ գիտաւցես եթէ ուր էիր գաղափիրն („მაშინ ცხონდები და შეიტყობ, თუ სად იყავი უწინ“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 599).

ქართ. 12.6. „მაშინ სცხოვრდე და სცნა, სადა იყავ“ (Sin.geo. 35, 56v).

ბერძ. 1.1. Οἴδατε καὶ ὑμεῖς, ἀγαπῆτοι ἀδελφοί μου, ὅτι ἀφ’ οὗ ἐγένετο ἡ παράβασις (PO 11, გვ. 432).

სირ. 12.1. ܠܗܘܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ

“Dilectissimis in Domino. Vos scitis facta praevaricatione praecepti” (PO 10, გვ. 603a).

სომხ. 3. Միքելիք իմ 'ի տէր, գիտէք եւ դուք եթէ յորմէ հետէ եղև յայնցումսն („საყუარელონო ჩემնო უფლის მიერ, იცით თქვენც, თუ რის შემდეგ მოხდა [რჯულის] გარდასვლა“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602).

ქართ. 3.1. “საყუარელოთა მაგათ ძმათა სიხარული უფლისა მიერ! საყუარელო ძმანო ჩემნო, უფლისა მიერ, იცით თქვენცა, რამეთუ ვინამთგან რწულისა გარდასლვამ იქმნა” (Sin. geo. 35, 46r; Sin. geo. n. 13, 63v).¹

მომდევნო მონაკვეთი, სირიულ და ქართულ თარგმანებთან ერთად, დაცულია ეთიოპურ თარგმანშიც.

ბერძ. 8.3. ὡσπερ πλοῖον ἐν εὐδίνῃ λιμένι, τῶν δὺο ἐλκυσθέντων ποδῶν, οὕτως ἡ δευτέρα θέρμη ἀναπαιστική ἐστι παντὶ τρόπῳ (Marriott, 1918, გვ. 47).

სირ. 10.2. ... ܠܗܘܢ ܠܥܘܠܡܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ

“Sicut enim flante vento prospero magis propelluntur ambo gubernacula et hac ratione magnum spatium percurrit et sic etiam navitae gaudent et quiete fruuntur; pari ratione fervor secundus omnimodo sedator est” (PO 10, გვ. 596a).

სომხ. 1. եւ որպէս նաւ 'ի քաղցր եւ յազնի հողմոց հասնող քրեսացն կշիռ՝ գաղափաստացեալ օղովն իբրև գոռոյն սլացեալ յառաջ դիմեսցի, եւ նաւորոյն հանգչին ուրախութեամբ հանդերձ („და როგორც ნავი სააბო და მშვიდი ქარებისაგან პირდაპირ გაწონასწორებული, აფრას აავსებს ჰერით, როგორც ჩიტს აანარნარებს, წინ გასწევს, და მეზღვაურები მხიარულებით განსივებენ“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 598).

ქართ. 12.3. “ვითარცა-იგი ნავი რამ დაწყნარებულსა წიავსა ვალნ და ორითა ფერჯითა ეზიდვებინ და ნავმანცა მან ფრიადი გზად მოვლის და მენავენიცა იგი განსუენებულ არიედ და მხიარულ, ეგრეცა მეორე იგი მჭურვალეზამ განმსუენებელ არს ყოვლითა სახითა” (Sin. geo. 35, 56r).

აღსანიშნავია ისიც, რომ სომხ. 2-ში წარმოდგენილია სირ. 1.1/ქართ. 14.1 ქვეთავის შესაბამისი მონაკვეთიც, მისი შესატყვისი ეპისტოლე კი ბერძნულ წერილთა შორის არ დასტურდება (შდრ. ცხრილი 1 და ცხრილი 4).

სომხ. 3-ში არ არის მოცემული იმ მონაკვეთის შესატყვისი, რომელიც აკლია ბერძნულ (ბერძ. 1.3) და ქართულ (ქართ. 3.3) თარგმანებს და მხოლოდ ეპისტოლეთა სირიული კორპუსი (12.3) შეიცავს: ܠܗܘܢ ܠܥܘܠܡܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ - ܘܚܝܢ ܝܚܝܢ ܠܥܘܠܡܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ (“quemadmodum Pater misit Filium suum – in saeculum saeculorum”, PO 10, გვ. 605⁶⁻¹⁰; შდრ. სომხ. 3, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 603). მთლიანობაში, სომხური ტექსტი ძირითადად ნაკლებად ან არ შეიცავს ისეთ მონაკვეთებს, რომლებიც დასტურდება მხოლოდ სირიულ ან მხოლოდ ბერძნულ რედაქციებში.

სომხ. 3-ში გვხვდება ქართული თარგმანის ისეთი იკითხვისები, რომლებიც არ არის მოცემული ბერძნულ და სირიულ ტექსტებში, არამედ წარმოდგენილია მხოლოდ ქართულ და სომხურ, ზოგი კი ეთიოპურ თარგმანშიც. ამის მაგალითია შემდეგ წინადადებაში მოცემული „და ნაყოფი“. ამასთან, „ძალი და ნაყოფი“ ვერ იქნება ჰენდიადისური თარგმანი, რადგან „ნაყოფის“ მნიშვნელობა არც ბერძნულ ἢ δένναμις-ს (‘ძალა’) აქვს და არც სირიულ ܠܥܘܒܝܢ-ს (‘ძალა’):

ბერძ. 1.4. Ἴδὸς ἐγυάρισα ἑμῖν τῆς ἡσυχίας τῆς δένναμις (PO 11, გვ. 434).

სირ. 12.4. ܠܥܘܒܝܢ ܘܠܥܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ ܕܥܝܘܒܝܢ

¹ ეს სიტყვები არც ეთიოპურ თარგმანში დასტურდება, შდრ. Arras, 1963, გვ. 163¹⁸.

ქართ. 12.4. „აღმოჰკუეთს ყოველსავე მას ვნებასა განრყუნილსა და იგი განძარცავს ყოველსა სიძუელესა კაცისასა და მან ყვის ღმრთეებად კაცისა თანა, რათა იყვნენ ტამარ ღმრთისა, მსგავსად წერილისა მის, ვითარმედ“ (Sin. geo. 35, 56r).

ამგვარად, სომხურ ენაზე დასტურდება ამონას სამი წერილი, რომელთაგან სომხ. 1 (= ბერძ. 8/სირ.10b/ქართ.12) და სომხ. 3 (= ბერძ. 1/სირ. 12/ქართ. 3) იძლევიან შესაბამის ეპისტოლეთა სრულ თარგმანებს, ხოლო სომხ. 2 – შვიდი წერილის ნაწყვეტთა კომპილაციას: სირ. 1.1 (*Vitae Patrum*, 1855, გვ. 599-600⁸), [3.2] (გვ. 600⁸⁻¹¹), 11.4-5 (გვ. 600¹²⁻¹⁶), 2.1 (გვ. 600¹⁷⁻²³), 4.2 (გვ. 600²³⁻²⁹), 9.1-3 (გვ. 600²⁹⁻⁶⁰²²), [9.7] (გვ. 602²⁻⁴), ჩანართი (გვ. 602⁴⁻⁷), [3.1b] (გვ. 602⁸⁻⁹), 4.1 (გვ. 602⁹⁻¹¹), [6.1] (გვ. 602¹¹⁻¹³), 3.2 (გვ. 602¹³⁻¹⁵), 1.3b (გვ. 602¹⁶⁻²⁰).¹ ამ უკანასკნელის კომპილაციური ხასიათი, შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო სომხური ტექსტის სათარგმნი წყაროს მდგომარეობით, რის გამოც მთარგმნელმა, რომელიც ძირითადად სიტყვასიტყვით თარგმნის, გადაწყვიტა სომხ. 2-სათვის სხვადასხვა ეპისტოლეთა ნაწყვეტების ამოკრება და მასში ისეთი მონაკვეთიც შეიტანა (როგორც ჩანს, დაზიანებულ-გადარეცხილი დედნიდან შეცდომით ამოკითხული), რომლის დედანიც არ დგინდება.²

ეპისტოლეთა წყაროსთან დაკავშირებით სომხ. 1-ის აღწერილობაში ბ.უტიე მიუთითებს, რომ წერილის სომხური ტექსტი უშუალოდ არც ბერძნულს მისდევს და არც სირიულ ვარიანტს,³ ხოლო საკუთრივ კრებულ *მამათა ცხოვრების* ერთ-ერთ წყაროდ ი.აბულაძეს მიაჩნია ქართულენოვანი ტექსტი.⁴ ი. აბულაძე წერს, რომ კრებულში, რომელიც შეიცავს ეპისტოლეებს, წყაროებად გამოყენებულია „ათიოდე სხვადასხვა მოცულობის“ და „სხვადასხვა დროის ნუსხები“, თავად კი „სხვადასხვა ხანისა და სხვადასხვა ენიდან ნათარგმნ კრებულს წარმოადგენს“,⁵ რომელთაგან ერთ-ერთი ენა არის ქართულიც: „*მამათა ცხოვრების* სომხური ვერსიის თხრობათა ერთი ნაწილის წყარო ქართულის ერთ-ერთი რედაქცია ჩანს“,⁶ ამასთან, „სომხურის უშუალო ქართული წყარო... მეცხრე ან მეათე საუკუნისაა“.⁷ როგორც კვლევამ აჩვენა, ეს სამი სომხური ეპისტოლე გადმოღებულია ძირითადად ზუსტად, ზოგ მონაკვეთში წინადადებათა მცირეოდენი შინაარსობრივი ცვლილებითა და კლება-მატებით. ისინი შედგენილობით და ტექსტობრივად უახლოვდება ერთი მხრივ, ბერძნულ, მეორე მხრივ კი სირიულ რედაქციებს, ხოლო ზოგი მისი იკითხვისი მხოლოდ ქართულ და ეთიოპურ თარგმანებში პოულობს შესატყვისს. მხოლოდ ბერძნული წყაროს გავლენით შეიძლება აღმოჩენილიყო სომხურ თარგმანში, მაგალითად, *hnyu* „მსოფლიო, დედამიწა“ (სომხ. 1,⁸ შდრ. ἡ κóσμος „სამყარო, მსოფლიო, სამკაული“, ბერძ. 8.1; *ἡ ἀποτρεφῆ* „ამოტვიფრული გამოსახულება, სამკაული“, სირ. 10.2; „სამკაული“, ქართ. 12.1). ბერძნული რედაქციისა და ქართული Sin. geo. 35 ნუსხის მსგავსად აკლია სომხურ ტექსტს ფრაზა „მისა მიმართ მოცალედ, ხოლო რაჟამს იხილოს ბრძოლად იგი განწყობილი“ (ქართ. 3.1), რომელიც დასტურდება სირიულ, ეთიოპურ და ქართულ Sin. geo. 25 და Sin. geo. n. 13 ხელნაწერებში.⁹ იმავდროულად ბერძნული და სირიულ/ქართული რედაქციების გავლენა შეინიშნება სომხ. 2-ის მონაკვეთში *qhasunepan* *tu qqayunpchin* *axunju* („*სამოსი* და გრძნობა *ხატისა*“), სადაც მოცემულია ბერძნული რედაქციის შესატყვისიც (შდრ. ἡ ἔσθῆς „სამოსი“, ბერძ. 4.3), და სირიულისაც (ბერძნული ἡ ἔσθῆς-ის

¹ Outtier, 1971, გვ. 343 და შენ. 62.

² *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602⁴⁻⁷.

³ „L' arménien ne se rattache directement ni au grec, ni au syriaque édités“, Outtier, 1971, გვ. 343.

⁴ აბულაძე, 1976, გვ. 235-236.

⁵ აბულაძე, 1976, გვ. 231.

⁶ აბულაძე, 1976, გვ. 235.

⁷ აბულაძე, 1976, გვ. 235-236.

⁸ სომხურ გამოცემაში, როგორც ჩანს, შეცდომით, *hnyu* („საზრუნავი“) არის დაბეჭდილი.

⁹ შდრ. სირ. 12.1, PG 10, გვ. 603⁵⁻⁷; ეთ. 2, Arras, 1963, გვ. 163¹⁹⁻²¹; Sin. geo. 35, 46r; Sin. geo. n. 13, 64r.

შესატყვისი სირიულ ტექსტში: ܠܚܒܘܬܐ “habitus”, „ფორმა, მოხაზულობა, სამოსი, მოჩვენებითი გარეგნული სახე“, სირ. 9.3, PO 10, გვ. 591⁹⁻¹⁰), ისევე, როგორც ქართული რედაქციისა („ხატი“ მოჩვენებითი გარეგნული სახის მნიშვნელობით, ქართ. 9.3), რაც მიუთითებს იმაზე, რომ სომეხი მთარგმნელი სავარაუდოდ ორ, განსხვავებული რედაქციის წყაროს ეყრდნობოდა. ამასთან ერთად, ქართულ, სომხურ და ეთიოპურ თარგმანებს ერთნაირად აკლია ბერძ. 1.5/სირ. 12.5-ის შესაბამისი ქვეთავი,¹ და რამდენიმე სხვა მონაკვეთიც (შდრ. ბერძ. 1.4b-6a, ბერძ. 8.2b, ასევე, სირ. 12.3b, 12.4b-5), ხოლო სომხ. 3-ში მოცემული գալուս (,,ნაყოფი“) მხოლოდ ქართულ და ეთიოპურ თარგმანებში დასტურდება - მის შესატყვისად ბერძნულ და სირიულ ტექსტებში მოცემულია „ძალა“ (τῆς δύναμιν, ბერძ. 1.4; ܠܘܒܘܬܐ „virtutem“, სირ. 12.4). სომხ. 1-ის ერთ-ერთი მონაკვეთი (եւ սա սրբէ զիշխանսկսն սիսս մարդոյն 'ի խոհիոց „და იგი განწმენდს კაცის საუფლო გონებას განსჯისაგან“),² რომელიც ქართულ და ბერძნულ ტექსტებში არ არის წარმოდგენილი, დასტურდება ეთიოპურში („et hic purificat visionem hominis“ „და ის განწმენდს ადამიანის მკვრეტელობას“, ეთ. 1),³ ნაწილობრივ კი სირიულშიც (სირიულ MN ნუსხათა იკითხვისებში გვხვდება მსგავსი შინაარსის სიტყვა: ܠܘܒܘܬܐ „წმინდა“),⁴ თუმცა სრული სახით აღნიშნული მონაკვეთი სირიული ტექსტის იკითხვისებში არ არის დაცული. მთლიანობაში, სომხური თარგმანი სიახლოვეს ავლენს ამონას წერილთა როგორც ბერძნულ, ისე სირიულ რედაქციასთან, თუმცა უშუალოდ არცერთ მათგანს არ მისდევს, ამასთანავე კი უახლოვდება ან შეჯერებული უნდა იყოს იმ რედაქციის წყაროსთან, რომლიდანაც მომდინარეობენ ქართული და ეთიოპური თარგმანები.

ეპისტოლეთა ეთიოპური თარგმანი

ამონას ეპისტოლეთა ყველაზე მცირე რაოდენობა, ორი წერილი, გადმოღებულია ეთიოპურ ენაზე. ეპისტოლეთა ტექსტი ლათინურ თარგმანთან ერთად გამოქვეყნდა 1963 წელს: Victor Arras. “Collectio Monastica“. *CSCO* 238, *Scriptores Aethiopici* 45. Louvain: Secrétariat du CorpusSCO, 1963, NN 25, 47, გვ. 166-168, 222-223 (ეთიოპური ტექსტი); Victor Arras. “Collectio Monastica“. *CSCO* 239, *Scriptores Aethiopici* 46. Louvain: Secrétariat du Corpus SCO, 1963, NN 25, 47, გვ. 121-123, 163-164 (ლათინური თარგმანი). ეპისტოლეები დაცულია სამოდღვრო შინაარსის კრებულში, რომელიც განსაზღვრული იყო განდევილ ბერთა საჭიროებებისათვის. მომღვრება და მცნებები კრებულში შეტანილია ნაწილობრივ აპოფთეგმებიდან, ნაწილობრივ კი – მაკარი ეგვიპტელის, ევაგრეს, პახომის, აბბა ისაიას, ამონას და სხვა მოღვაწეთა ნაშრომებიდან. გამომცემელი შენიშნავს, რომ 166 აპოფთეგმიდან, რომლებიც თთ. 13 და 14-შია დაცული, მხოლოდ 22-ის მოძიება მოხერხდა კოპტურ, ბერძნულ, სირიულ და ლათინურ ტექსტებში. უცნობია, როდის ითარგმნა კრებული ეთიოპურ ენაზე და სად მოიპოვა მისმა შემდგენელმა წყარო თავისი წიგნისათვის.⁵ კრებული დაყოფილია 67 თავად.⁶ მათგან თ. 25, რომელსაც შემდგომში მივუთითებთ, როგორც ეთ. 1-ს (= ბერძ. 8/სირ. 10b/სომხ. 1/ქართ. 12, არაბულ კორპუსს აკლია) კრებულში მოცემულია ამონას

¹ შდრ. ქართ. 3, Sin. geo. 35, 46v; სომხ. 3, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 603; ეთ. 2, Arras, 1963, გვ. 164.

² *Vitae Patrum*, 1855, გვ. 598.

³ Arras, 1963, გვ. 122¹³⁻¹⁶.

⁴ ܠܘܒܘܬܐ ܠܘܒܘܬܐ ܠܘܒܘܬܐ ܠܘܒܘܬܐ ܠܘܒܘܬܐ “habitaculum Deo templumque castum”, PO 10, გვ. 597, შენ. 2.

⁵ “Nescio quoque ubi compiler scripti hauserit materiam sui libri... Nescitur insuper quo tempore translatio facta sit”, Arras, 1963, გვ. I.

⁶ Arras, 1963, გვ. I.

ავტორობით (“Abbatis Amon scriptum”),¹ ხოლო თ. 47-ში, რომელსაც მივუთითებთ, როგორც ეთ. 2-ს (= ბერძ. 1/სირ.12/სომხ. 3/ქართ. 3, არაბულ კორპუსს აკლია), ავტორი არ არის დასახელებული.²

ეთ. 1 და 2 დაცულია შემდეგ ხელნაწერებში:³

BM Oriental 764 (XVII ს.), 103r-215r.⁴

Vat. Cerulli etiopicus 220 (XVIII ს.), 96r-166v.

Paris BNF Abbadianus 178 (XVII/XIX სს.), 117r-124v.

ეთ. 1 და 2 ეპისტოლეები, როგორც მათ ლათინურ თარგმანზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, საკმაოდ ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულ ტექსტს. მეორე მხრივ, მათში გვხვდება კლება-მატებაც, რაც ორივე ეპისტოლეს ერთნაირად ახასიათებს. თუმცა ასეთ მონაკვეთთა რაოდენობა ძალზე მცირეა.

კლების მაგალითია შემდეგი სტრიქონი, სადაც ნაცვლად სიტყვებისა ἔὰν δὲ ἀντιστητὶ τῷ Σατανᾷ ὁ ἄσθραπος ἐν τῷ πρῶτῳ πειρασμῷ καὶ νικῆσθαι αὐτὸν, ეთიოპურ თარგმანში მოცემულია “Et illis qui non frustra” („და მათ, ვინც არა ფუჭად“, შდრ. “*Et illis qui non frustra, Dominus dat eis fervorem firmum et constantem et non versatilem*”, Arras, 1963, გვ. 122⁵⁻⁶). ეს მონაკვეთი წერილის ყველა სხვა ენაზე მოღწეულ ტექსტში სრულად არის წარმოდგენილი, ხოლო სომხურში განვრცობილადაც კი: *Ասպ եթէ մարդն ընդդիմասցի աստանայի յառաջնուսն պատերազմին, և յաղթիցէ չար դիւին աստուծոյ շնորհիւն, զի պարտ է մարդոյն զիւր յաղթութիւնն աստուծոյ համարէ, ասպ այնուհետև տայ նմա աստուած զերմութիւն հաստատուն սիրոյն իւրոյ և համբերութիւն անխռով „ამგვარად, თუკი კაცი წინ აღუდგება სატანას პირველ ომში, და სძლევს ბოროტ სულს ღვთის მადლით, რადგან ევალემა კაცს თავისი გამარჯვება ღვთისად აღრაცხოს, მაშინ, მას შემდეგ, ღმერთი მისცემს მას თავისი სიყვარულის ურყევ მხურვალეებას, და აღუშფოთველ მოთმინებას“ (სომხ. 1, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 598). შდრ. ქართ. 12.3: “უკუეთუ ვინმე წინა-აღუდგეს ეშმაკსა პირველსა მას განსაცდელსა და სძლოს მას, მოსცეს მას ღმერთმან მჭურვალეება და წყნარებული, მოთმინება და აღუშფოთველი” (Sin. geo. 35, 55v).*

შემდეგ მონაკვეთში კი ეთ. 1-ს აკლია „ცხონების“ (σαθήση) შესაბამისი სიტყვა, რომელიც ყველა სხვა თარგმანში დასტურდება:

ბერძ. 8.6. τότε σαθήση, χάριτι πατρὸς καὶ υἱοῦ καὶ ἁγίου πνεύματος εἰς τοὺς αἰῶνας, ἀμήν (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. ܘܢܝܢ ܠܥܘܠܡ ܕܥܘܠܡ ܘܢܝܢ ܠܥܘܠܡ ܘܢܝܢ

“tunc liberaberis et cognosces quomodo fueris” (PO 10, გვ. 598⁷).

სომხ. 1. յայնժամ կեցցես, և գիտասցես եթև ուր էիր գառաջին („მაშინ ცხონდები და შეიტყობ, თუ სად იყავი უწინ“, *Vitae Patrum*, გვ. 599).

ეთ. 1. “tunc scies ubi fuisti” (Arras, 1963, გვ. 123⁴).

ქართ. 12.6. „მაშინ სცხოვნდე და სცნა, სადა იყავ“ (Sin. geo. 35, 56v).

კლება-გადანაცვლებას ვხვდებით შემდეგ წინადადებაში, სადაც გამოტოვებულია „დედა“, მის ადგილას კი „შვილებია“ გადმოტანილი:

ბერძ. 8.1. ἢ πατέρα, ἢ μητέρα, ἢ γυναικα καὶ τέκνα (Marriott, 1918, გვ. 47).

სირ. 10.2. ܠܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ

“sive patrem, sive matrem, sive uxorem, sive filios” (PO 10, გვ. 595⁶⁻⁷).

სომხ. 1. գիայր և գմայր, գկին և գորդիս և գեղբարս... („მამა და დედა, ცოლი და შვილები, და ძმები...“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 597).

ეთ. 1. “sive patrem, sive filios, sive uxorem” (Arras, 1963, გვ. 121²⁷⁻²⁸).

ქართ. 12.1. „გინა მამა, გინა დედა, ანუ თუ ცოლი, ანუ თუ შვილები“ (Sin. geo. 35, 55v).

¹ Arras, 1963, გვ. 121²⁴.

² Rubenson, 2015, გვ. 73.

³ Arras, 1963, გვ. I.

⁴ ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. Wright, 1877, გვ. 170-172.

“tunc demum misit eos Deus inter homines, postquam omnes *virtutes* assecuti erant” (PO 10, გვ. 604⁴⁻⁵).

სომხ. 3. Յայնժամ սպս սստուած առաքեաց գնսսս 'ի մէջ մարդկան, և ունէին զամենայն *սուսքինութիւնս* („მას შემდეგ გამოგზავნა ღმერთმა ისინი კაცთა შორის, და ჰქონდათ ყოველგვარი *სათნობა*“, *Vitae Patrum*, გვ. 603).

ეთ. 2. “Et deinde misit eos inter homines, quia habebant omnem *virtutem et gratiam et donum*” (Arras, 1963, გვ. 163²⁹).

ქართ. 3.2. „და მაშინდა ღმერთმან მოავლინნა იგინი კაცთა შორის, სავსენი ყოვლითა *სათნობითა*“ (Sin. geo. 35, 46v; Sin. geo. 25, 51r; Sin. geo. n. 13, 64v).

ბერძ. 1.3. εἰδότες ὅτι δὲ ἄντῆς ἐκτῆσαντο τὰς θείας δυνάμεις (PO 11, გვ. 433).

სირ. 12.3. ܠܘܡܢ ܠܠܗܘܐ ܠܠܚܘܒܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ

“Sciunt enim se in silentio adquisiisse *virtutem* divinam” (PO 10, გვ. 605³⁻⁴).

სომხ. 3. գիտելով թէ յայնմանէ ստացան զաստուածային *գորութիւնն* („იციან, რომ იმისგან მიიღეს ღვთაებრივი *ძალა*“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 603).

ეთ. 2. „sciebant per quietam vitam se adipisci *virtutem et gratiam* quae est a Domino” (Arras, 1963, გვ. 165⁴⁻⁵).

ქართ. 3.3. „იციედ, რამეთუ მისგან მოიგნეს *სათნობანი*“ (Sin. geo. 25, 52r; Sin. geo. n. 13, 65r).

ეთ. 1-ში გვხვდება ერთი მეტად საინტერესო შინაარსის შემატება, რომელიც სხვა თარგმანებში არ არის მოცემული. ამონას წერილში, ღვთის მიმართ აღთქმის დადებისას, ადამიანი მიმართავს უფალს: „მომიტევენ მე, რავდენი ვქმენ უღებებითა, და არღარა ურჩ-გექმნე“, ხოლო ეთიოპურ თარგმანში იგი ღვთის მხრიდანაც მოითხოვს პირობის შესრულებას: „და შენ, შენი მხრივ, არ უგულებელ-მყო მე“ („et tu ex parte tua ne neglexeris me“):

ბერძ. 8.5. συγχώρησον μοι ἃ πεποίηκα ἐν ἀμελείᾳ, καὶ οὐκέτι παρακούσω σου (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ ܠܠܥܠܡܐ

“Remitte mihi, quod ob meam negligentiam commiseram nec amplius inobediens ero” (PO 10, 597⁶⁻⁷).

სომხ. 1. Եթէ շտոբեա ինձ գմեղս առաքինս գոր հեղգացայ, և ոչ ևս այսուհետև անցանեմ զբանի քով (“თუკი შემინდობ მე ადრინდელ ცოდვებს, რომლებიც ჩავიდინე, და ამიერიდან აღარ გადავალ შენს სიტყვას” (*Vitae Patrum*, 1855, გვ. 598).

ეთ. 1. “Ignosce mihi quod feci per negligentiam, et non negligam te ex nunc *et tu ex parte tua ne neglexeris me*” (Arras, 1963, გვ. 122²⁰⁻²¹).

ქართ. 12.5. „მომიტევენ, მომიტევენ მე, რავდენი ვქმენ უღებებითა, და არღარა ურჩ გექმნე“ (Sin. geo. 35, 56r).

ამდენად, ეთიოპური ტექსტის მთარგმნელი უმთავრესად ზედმიწევნით თარგმნის საკუთარ წყაროს, თუმცა იშვიათად შეინიშნება ზოგი მონაკვეთის კლება, სიტყვათა გადანაცვლება და მატებაც, ძირითადად, განმარტებითი ან განვრცობითი ხასიათისა.

ეთიოპური ეპისტოლეები რედაქციული თვალსაზრისით ახლოს დგას როგორც ბერძნულ, ისე სირიულ ეპისტოლეთა კორპუსის რედაქციებთან. ამასთან, წერილები, ეპისტოლეთა ქართული კრებულის მსგავსად, ტექსტობრივად ძირითადად სიტყვასიტყვით მისდევენ ბერძნულ კორპუსს, თუმცა სტრუქტურულად, შედგენილობის თვალსაზრისით, სირიულ რედაქციასთან ამჟღავნებენ სიახლოვეს. სწორედ ამიტომ არ ჩანს წარმოდგენილი ეთიოპურ თარგმანში ბერძნული ტექსტის ის სტრიქონები (8.2. τὸ δὲ εἶκη, τοῦτό ἐστιν – τῆς ἐξ ἕψους δύναμις, Marriott, 1918, გვ. 47⁶⁻⁹;¹ 8.6. διελογισάμηυ ἡμέρας ἀρχαίας, იქვე, გვ. 48;² 1.1. ἀλλὰ μὴ πτοηθῆ· οὐ γὰρ ἰσχύσουσιν κατ’ ἀντῆς ἐν ἡσυχίᾳ πορευομένης, PO 11, გვ. 432³), რომელთა შესატყვისები არც დანარჩენ თარგმანთა შორის მოიძებნება და ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსის კომპილატორის ჩამატებებს უნდა წარმოადგენდნენ.

ბერძნული რედაქციის იკითხვისებს (მასთან ერთად კი ქართულსაც) თანხვდება და, ამასთანავე, სირიული ტექსტისაგან სხვაობს ეთიოპურ ეპისტოლეებში დაცული შემდეგი მონაკვეთები:

¹ შდრ. სირ. 10.2, PO 10, გვ. 596; ქართ. 12.2, Sin. geo. 35, 55v; სომხ.1, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 597.

² შდრ. სირ. 10.3, PO 10, გვ. 598⁴⁻⁵; ქართ. 12.6, Sin. geo. 35, 56v; სომხ. 1, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 599.

³ შდრ. სირ. 10.1, PO 10, გვ. 603⁸; ქართ. 3.1, Sin. geo. 35, 46r; სომხ. 3, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602.

უკანასკნელი დაქარაგმებულია და მასში შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც [𐌷𐌰]ჲ („წმინდა“), ისე [𐌷𐌰]ჲ („პირველი, ადრინდელი“). როგორც ჩანს, ქართველ მთარგმნელს ხელთ ისეთი წყარო ჰქონდა, სადაც აღნიშნული სიტყვა დაქარაგმებული იყო ან ცუდად იკითხებოდა. ორივე ეს სიტყვა დასტურდება ეთიოპურ თარგმანშიც. ამდენად, საფიქრებელია, რომ ქართული და ეთიოპური ტექსტების მთარგმნელები ერთი და იმავე რედაქციის წყაროთი სარგებლობდნენ.

მხოლოდ ეთიოპურ და ქართულ თარგმანებს აკლია ბერძნულ ტექსტში მოცემული სიტყვების, Ἐμνήσθη ἡμερῶν ἀρχαίων, შესაბამისი მონაკვეთი:

ბერძ. 8.6. Ἐμνήσθη ἡμερῶν ἀρχαίων, ἐμελέτησα ἐν πᾶσι τοῖς ἔργοις σου (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. ܐܘܢܝܢܐ ܕܥܡܠܘܬܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ ܕܥܡܠܘܬܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ

“et meditatus sum et memor fui dierum, qui a saeculo sunt, et meditatus sum in omnibus operibus tuis” (PO 10, 598⁵⁻⁶).

სომხ. 1. յիշեցի գառաքինսն և խօսեցայ յամենայն ՚ի գործս քն „გავიხსენე პირველნი (დღენი) და ვახსენე ყველა შენს საქმეში“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 599).

ეთ. 1. “et meditatus sum in omni opere tuo” (Arras, 1963, გვ. 123¹⁻²).

ქართ. 12.6. “და ვზრახვედ ყოველთა შინა საქმეთა შენთა” (Sin. geo. 35, 56v).

ეთიოპურ, ქართულ და სომხურ თარგმანებს მთლიანად აკლიათ ბერძ. 1.5 და მისი შესაბამისი სირ. 12.5-ის შესატყვისი ქვეთავი (სიტყვებიდან Οἱ γὰρ πλείστοι τῶν μοναχῶν – τοῖς θελήμασι τοῦ παλαιῦν ἀποστόλου, ბერძ. 1.5, PO 11, გვ. 434; “Multi autem sunt hac aetate – descendere super eos”, PO 10, გვ. 606-607), შდრ. ქართ. 3.5, Sin. geo. 35, 46v, Sin. geo. n. 13, 65r; სომხ. 3, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 603; ეთ. 2, Arras, 1963, გვ. 164.

ამავე სამ თარგმანში, ეთიოპურ, ქართულ და სომხურ ტექსტებში, დაცულია სიტყვა „და ნაყოფი“, რომელიც არ დასტურდება ბერძნულ და სირიულ რედაქციებში, და როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს, ეთიოპური, ქართული და სომხური ტექსტები, სავარაუდოდ, ერთი და იმავე რედაქციის წყაროს ეყრდნობოდნენ:

ბერძ. 1.4. Ἴδὸς ἐγνώρισα ὑμῖν τῆς ἡσυχίας τῆς δύνάμει (PO 11, გვ. 434).

სირ. 12.4. ܠܝܕܘܢܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ

“En, dilectissimi, ostendi vobis silentii virtutem” (PO 10, გვ. 606¹).

სომხ. 3. Ահա ծանուցի ձեզ գղադարմանն ՚ի տան, ՚ի սխառս տեղուդ գգորութիւնն և գայտուղն („აჰა, გაუწყეთ თქვენ სახლში დაყუდება, სხვა ადგილას - ძალი და ნაყოფი“, *Vitae Patrum*, გვ. 603).¹

ეთ. 2. “Ecce exposui vobis virtutem vitae quietae eiusque fructus” (Arras, 1963, გვ. 64⁷).

ქართ. 3.4. „აჰა, ესერა გაუწყე თქვენ დაყუდებისა ძალი და ნაყოფი“ (Sin. 35, 46v; Sin. n. 13, 65r).

ეთიოპური თარგმანის შემდეგ მონაკვეთში მოცემულია “mundum” („სამყარო“), რომელიც არ გადმოსცემს კონტექსტით გათვალისწინებულ მნიშვნელობას (შდრ. 𐌷𐌰𐌹 „სამკაული“, სირ. 10.2; „სამკაული“, ქართ. 12.1), არამედ გვაფიქრებინებს, რომ ეთიოპურ ტექსტს სათარგმნ დედნად ბერძნული წყარო ჰქონდა, ვინაიდან ბერძნულ ὁ κόσμος-ს აქვს როგორც „სამყაროსა“ და „მსოფლიოს“, ისე „სამკაულის“ მნიშვნელობები:

ბერძ. 8.1. ποιῆν αὐτὰς μισῆσαι ὄλον τὸν κόσμον, καὶ πᾶν ἐν αὐτῷ βλαβερὸν ἐπιθύμημα, εἶτε χρυσόν, εἶτε ἄργυρον, εἶτε τινὰ κόσμον τοῦ σώματος ἀπατηλόν, ἢ πατέρα, ἢ μητέρα (Marriott, 1918, გვ. 47).

სირ. 10.2. ܠܥܘܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܢ ܩܕܝܫܐ

“facit eos odisse totum mundum: sive aurum, sive argentum, sive [ornamenta] conflatilia, sive patrem, sive matrem” (PO 10, გვ. 595⁵⁻⁷).

ეთ. 1. “faciet eos odio habere totum mundum, sive aurum, sive argentum, sive mundum, sive patrem...” (Arras, 1963, გვ. 121²⁶⁻²⁸).

ქართ. 12.1. „მოაძულეს მათ ყოველი ამის სოფლისაჲ: გინა ოქროჲ, გინა ვეცხლი, გინა თუ სამკაული, გინა მამა, გინა დედა“ (Sin. geo. 35, 55v).

¹ “le fruit add. IH”, *ib. Outtier*, 1985, გვ. 40, შენ. e.

ამგვარად, ეთიოპურ ენაზე შემორჩენილია ამონას ორი წერილი: ეთ. 1 (= ბერძ. 8/სირ. 10b/სომხ. 1/ქართ. 12) და ეთ. 2 (= ბერძ. 1/სირ.12/სომხ. 3/ქართ. 3). ისინი დაცულია XVII-XIX სს-ის ნუსხებში. მათი თარგმანის დრო უცნობია.¹ ეპისტოლეები შედგენილობით შეესაბამებიან სირიულ რედაქციას, ხოლო ტექსტობრივად – ბერძნულს, და ზოგ მონაკვეთში, სირიულსაც. ეთიოპური ტექსტის მთარგმნელი უმთავრესად ზედმიწევნით თარგმნის საკუთარ წყაროს, თუმცა იშვიათად შეინიშნება ზოგი მონაკვეთის კლება, სიტყვათა გადანაცვლება და მატება, ძირითადად, განმარტებითი ან განვრცობითი ხასიათისა. ეთიოპურ ეპისტოლეებში გვხვდება რამდენიმე ისეთი იკითხვისი, რომლებიც არ დასტურდება ბერძნულ და სირიულ რედაქციებში, არამედ შესატყვისი ეძებნება მხოლოდ ქართულ და სომხურ თარგმანებში, რის გამოც სავარაუდებელია, რომ ქართული, სომხური და ეთიოპური ტექსტების მთარგმნელები სარგებლობდნენ ერთი რედაქციის წყაროთი. ეს თანხვედრები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეთიოპიასთან რაიმე სახის ლიტერატურული ურთიერთობები ქართული მწერლობის არცერთ ეტაპზე არ დასტურდება.²

ეპისტოლეთა ქართული კორპუსი

ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსი შეიცავს 16 წერილს. მათგან ავთენტურია 13 (ქართ. 1-12 და 14), რომლებიც 13 სირიულ ავთენტურ ეპისტოლეს შეესაბამებიან (სირ. 1-13). დანარჩენი სამი წერილი (ქართ. 13, 15, 16) კი წარმოადგენს აბბა ისაიას *სიტყვებს* (Oratio 4, 27, 3)³ და სხვაობს ამონას ორი არავთენტური წერილისაგან, რომლებიც ამონას ეპისტოლეებთან ერთად არის გამოცემული (სირ. 15 და 16, PO 10, გვ. 617-635, 636-639). ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი სირ. 14, რომელიც კომპილაციურ ნაშრომს ჰგავს. ეს ეპისტოლე სირიულ ხელნაწერთაგან მხოლოდ 3 ნუსხაში (AVW) დასტურდება და სხვა თარგმანთაგან მხოლოდ არაბულ ენაზე არის გადმოღებული სირ. 13-თან ერთად ერთსა და იმავე, არაბ. 19 ეპისტოლეში (იხ. ცხრილი 1 და 4).

ქართული ეპისტოლეები დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სამ ხელნაწერში: Sin. geo. 35, Sin. geo. 25 და Sin. geo n. 13.⁴ სამივე მათგანი ამონას ასახელებს ეპისტოლეთა ავტორად. წერილების ნუმერაცია ერთნაირია. სამივე ხელნაწერი გადაწერილია ერთი და იმავე რედაქციის წყაროებიდან, თუმცა ერთმანეთთან უშუალო კავშირი არ გააჩნიათ.

A – Sin. geo. 35⁵ (907 წ.,⁶ X ს.7, X-XI სს.)⁸ (Цагарели 80, X-XI სს.)⁹ ეტრატი, 320 ფ., თავბოლონაკლული, ნაწერია ლამაზი ასომთავრულით ორ სვეტად. მასში დაცულია ასკეტიკური შინაარსის უიშვიათესი თხზულებები.¹⁰ ა.ცაგარლის მიერ ხელნაწერის

¹ “Nescio quoque ubi compiler scripti hauserit materiam sui libri... Nescitur insuper quo tempore translation facta sit” (Arras, 1963, გვ. 1).

² შდრ. ჟვანია, 2010, გვ. 3-4.

³ PG 40, სვ. 1112-1118, 1194-1197, 1108-1110; Garitte, 1956, გვ. 107-108.

⁴ შდრ. კეკელიძე, 1980, გვ. 545, 548; გაბიაშვილი, 2006, გვ. 86-88. სინას მთის ორი ხელნაწერის, Sin. geo. 35-სა და Sin. geo. 25-ს ქართული ტექსტი მოგვაწოდა ქეთევან მამასახლისმა, თუმცა კვლევის პროცესში ამ ორი ხელნაწერს თავადაც არაერთხელ მივმართეთ.

⁵ ხელნაწერის ბმულისათვის იხ. <https://www.loc.gov/item/0027938698A-ms/>.

⁶ ხელნაწერის კოლოფონის მიხედვით (დვალი, ჯღამაია, 1978, გვ. 74). ხელნაწერის აღწერილობა ამავე დათარიღებით იხ. გამოცემაში: *ვსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია*, 1982, გვ. 61.

⁷ ხელნაწერის აღწერილობისთვის იხ. Garitte, 1955, გვ. i-iii; Garitte, 1956, გვ. 97-122, დათარიღებისთვის კი, შესაბამისად, გვ. i და გვ. 97; Garitte, 1976, გვ. 123; ჯავახიშვილი, 1947, გვ. 59 (ივ. ჯავახიშვილის აღწერილობაში საუკუნე არ არის მითითებული). ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია ასევე გამოცემაში: *შუა საუკუნეთა ნოველები*, 1974, გვ. 3, 5.

⁸ Garitte, 1951, გვ. 268.

⁹ Цагарели, 1889, გვ. 90-91.

¹⁰ “Ce manuscrit est un imposant recueil d’*ascetica* (Xe siècle), qui contient un bon nombre de pieces rares et même uniques”, Garitte, 1970, გვ. 73. იხ. აგრეთვე, Garitte, 1976, გვ. 123.

აღწერისას იგი შეიცავდა 323 ფურცელს,¹ ხოლო როდესაც ხელნაწერი ივ.ჯავახიშვილს ჩაუვარდა ხელში, იგი უკვე 320 ფურცლისაგან შედგებოდა.² ერთ-ერთ ნაკულ ფურცელზე წარმოდგენილი იყო განსახილველი ხელნაწერის ანდერძი, რომელიც ამჟამად Sin. geo. 67-ის ბოლოსაკავ ფურცლად არის ჩაკინძული. ანდერძში ნახსენებია „მიზეზნი ამის წიგნისა დაწყებასა – არსენი ბერი და სულიერნი შვილნი მისნი“, და ხელნაწერის გადაწერის ადგილი და თარიღი: „საბაწმიდას შინა, პატრიაქობასა ელია დამაშველისა მანსურის ძისასა და საბაწმიდას სვმიონის წინამძღვრობასა დასაბამითგან წელთა ხვია“ (ანუ 907 წ.).³ Sin. geo. 35-ში ამონას სახელით დაცულია 16 წერილი (43v-73v). მათგან ავთენტური ქართ. 1-12 წარმოდგენილია 43v-56v გვერდებზე, ქართ. 14 – 64r-65v, ხოლო არავთენტური ქართ. 13 და 15-16 – შესაბამისად, 56v-64r და 65v-73v.⁴ ხელნაწერში დაცულ ეპისტოლეთაგან ცამეტი დანომრილია ანბანური სათვალავით, სამი (ქართ. 3, 4 და 15) კი – რიცხვითით და სიტყვიერად არის ჩაწერილი (იხ. ცხრილი 2). წერილებს შიგადაშიგ აკლია სიტყვები და ფრაზები, დასტურდება არასწორ ამოკითხვასთან დაკავშირებული არაერთი შეცდომა, რომელიც ტექსტის შინაარსს ცვლის („ცეცხლის“ ნაცვლად „ვეცხლი“, „სულთა“/„ყოველთა“, „აერისათა“/„მტერისათა“, „ისმინეთ“/„ითმინეთ“, და ა.შ.), მათ შორის რამდენიმე – ჰაპლოგრაფიური, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა C ნუსხასთან შედარებისას. ამ ხელნაწერზე დაყრდნობით გამოსცა ჟერარ გარიტმა ქართული კრებულის ეპ. 2 (იხ. Garitte, 1976).

B – Sin. geo. 25 (X ს.)⁵ (Цагарели 74, VIII-IX სს.),⁶ ეტრატი, 213 ფ., თავბოლონაკლული, ერთ სვეტად, ულაზათოდ ნაწერი ნუსხური („некрасивое и неразборчивое“),⁷ ასკეტური და ჰაგიოგრაფიული ტექსტების კრებული, ფურცლები ზოგან არეულია.⁸ ხელნაწერში დაცულია 4 ეპისტოლე, ამასთან, ერთი ავთენტური – ქართ. 3 (50r-52v), ხოლო სამი – არავთენტური: ქართ. 13 (52v-70v), ქართ. 15 (78v-93v),⁹ ქართ. 16 (93v-96v). ხელნაწერში ამონას ეპისტოლეთა მიმდევრობა არ არის დაცული, არამედ ამონას ქართ. 13 და 15-ს შორის წარმოდგენილია ანტონი დიდის ეპისტოლეები.¹⁰ წერილებს არ ერთვის საერთო სათაური, თუმცა ქართ. 3-ს უძღვის იგივე სათაური, რაც Sin. geo. n. 13-ის შესაბამის ეპისტოლეს: „ამონადსივე გ“ (50r; შდრ. A ნუსხის სათაური: „წმიდისა ამონადსი მესამე“, 46r). „ამონადსივე“ გულისხმობს, რომ ხელნაწერის წყაროში ამ წერილამდე ამონას სხვა ეპისტოლეებიც იყო დაცული.

C – Sin. geo. n. (New Finds) 13¹¹ (X ს.), ეტრატი, პალიმფსესტი (გადარეცხილია კაკვასიური ალბანური დაწერილობით შესრულებული ტექსტი), 107 ფ.,

¹ Цагарели, 1889, გვ. 90.

² ჯავახიშვილი, 1947, გვ. 59.

³ დვალი, ჯღამაია, 1978, გვ. 74. ამავე გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ეს ხელნაწერი სინას მთაზე მოხვედრისას 973 წელს შეუმოსავს ცნობილ იოანე-ზოსიმეს, რის შესახებაც ანდერძი დაცულია იმავე Sin. 67-სთვის ჩაკინძულ ფურცელზე (იქვე, გვ. 75-76). ხელნაწერის კიდევ ორი ფურცლის შესახებ იხ. შანიძე, 1929, გვ. 350, და Garitte, 1959, გვ. 355-363; დვალი, ჯღამაია, 1978, გვ. 75.

⁴ იხ. ასევე, გაბიაშვილი, 2006, გვ. 86-88.

⁵ Garitte, 1956, გვ. 60. B ხელნაწერის აღწერილობისთვის იხ. იქვე, გვ. 60-66, ამონას ეპისტოლეებისთვის კი გვ. 60-62. შდრ. ასევე, Garitte, 1951, გვ. 269; Garitte, 1955, გვ. iii-iv; *ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია*, 1982, გვ. 61-62. ხელნაწერის ბმულისათვის იხ. <https://www.loc.gov/item/00279388951-ms/>.

⁶ Цагарели, 1889, გვ. 86-87.

⁷ ჯავახიშვილი, 1947, გვ. 45.

⁸ Garitte, 1956, გვ. 60-66, კერძოდ, გვ. 65-66.

⁹ გაბიაშვილი, 2006, გვ. 87-88. გამოცემაში ეპ. 16 მითითებული არ არის.

¹⁰ ჯავახიშვილი, 1947, გვ. 45-46, NN 5, 6.

¹¹ განსახილველ ხელნაწერში დაცული ამონას ეპისტოლეების ფოტოკოპირები სრულიად უსასყიდლოდ მომარაგდა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის მცველმა, არქიმანდრიტმა მამა იუსტინე სინელმა (Father Justin Sinaites), რისთვისაც მას უღრმეს, უზარმაზარ მადლობას ვუძღვნი. ასევე, უღრმეს მადლობას

თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც, ფურცლების მიმდევრობა არეულია, დაწერილია ნუსხურით ერთ სვეტად, გადამწერი მიქაელი (7v, 16r), ასკეტიკური და ჰაგიოგრაფიული კრებული, შეიცავს ათანასე ალექსანდრიელის *ანტონი დიდის ცხოვრებას*, ანტონი დიდის 7 ეპისტოლეს, მაკარი დიდის ეპისტოლეს, და სხვ. ხელნაწერში დაცულია ამონას პირველი შვიდი ავთენტური (ქართ. 1-7) და ორი არავთენტური ეპისტოლე (ქართ. 15, 16) შემდეგ გვერდებზე: ქართ. 1 (59r-60v), 2 (61r-63v), 3 (63v-65r), 4 (65r-67r), 5 (67r-68r), 6 (68rv, 70r), 7 (70rv, 71rv), 15 (71v-73v, 69rv, 107rv, 96r-101r), 16 (101v, დასაწყისი).¹

შედგენილობის თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ დასახელებულ სამ ხელნაწერში დაცულია რამდენიმე ისეთი ნაშრომი, რომლებიც სამივე ნუსხაში ან ორ მათგანში მაინც არის წარმოდგენილი. ესენია:

1. ამონას ეპისტოლეები – A (16 ეპ.); B (4 ეპ.); C (9 ეპ.).²
2. ანტონი დიდის ეპისტოლეები – A (6 ეპ.); B (2 ეპ.); C (7 ეპ.).
3. მაკარი დიდის ეპისტოლეები – A (3 ეპ., NN 1-3); B (1 ეპ., NN 1-2); C (1 ეპ., N 1).
4. იოანე ოქროპირის *სინანულისათვის, ქალწულებისა და მოთმინებისათვის* – B, C.
5. *აპოლოსათვის* – A, B, C. აღსანიშნავია, რომ AB ნუსხებში დაცული ტექსტი სხვაობს C ნუსხაში დაცული თხრობისაგან.³
6. არსენის ეპისტოლეები – A (2 ეპ.), B (ეპ. 1). აღწერილობის მიხედვით, ეს ეპისტოლეები გარკვეულწილად სხვაობენ ერთმანეთისაგან.⁴

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ ხელნაწერში დაცული ზემოაღნიშნული ნაშრომები ტექსტობრივად (როგორც, მაგალითად, *აპოლოსათვის* და არსენის ეპისტოლეები) თუ რაოდენობრივად (შდრ. ამონას, ანტონის, მაკარი დიდისა და არსენის ეპისტოლეთა რაოდენობები) ერთმანეთს სრულად არ ემთხვევიან და B ნუსხაში დანარჩენ ორ ხელნაწერთან შედარებით უფრო მცირე რაოდენობის ტექსტებია (ეპისტოლეებია) ნათარგმნი, ხოლო C-ში A-სთან შედარებით ზოგჯერ მეტი (შდრ. ანტონი დიდის წერილები), ზოგჯერ კი ნაკლები (შდრ. ამონას და მაკარი დიდის ეპისტოლეები), მთლიანობაში, ხელნაწერთა მსგავსი შედგენილობა გვაფიქრებინებს, რომ ამ ნუსხებში დაცული ტექსტები საერთო წყაროდან მომდინარეობს. ამას მიუთითებს აგრეთვე ამონას ეპისტოლეთა ერთი და იგივე ნუმერაცია და ერთი რედაქციის ტექსტი.

სამივე ხელნაწერი გადაწერილია და არცერთი მათგანი არ წარმოადგენს მთარგმნელის ავტოგრაფს. ამის შესახებ, გადაწერისას დაშვებული ჰაპლოგრაფიული შეცდომების გარდა, მეტყველებენ სვეტს გარეთ გატანილი მთავრული ასოები, რომლებიც შუაზე წყვეტენ წინადადებებს, როგორც მაგალითად: „და განიწმიდოს ონებად თუისი ყოვლისაგან გულისსიტყუისა მწიკულევეანისა ოც ყოვლისაგან ამომსა ზრახვისა ამის სოფლისა“ (1.2, 44rA; C ნუსხაში ასომთავრულით ამ წინადადებაში მხოლოდ „ა“ არის მოცემული, იხ. 60vC); “სმისთუისცა წმიდანი იგი პირველნი მამანი უდაბნოთა ადგილთა განყენებულ იყვნეს, გინა თუ ელია თეზბელი, ოინა დოვანე ნათლისმცემელი, გინა თუ სხუანი იგი მამანი” (51rB; A ნუსხაში არცერთი ასო გამოყოფილი არ არის, იხ. 46rA, C ნუსხის შესაბამის წინადადებაში კი ასომთავრული გვხვდება ორჯერ, პირველად წინადადების დასაწყისში, შემდეგ კი მონაკვეთში

მოვახსენებ ქართველ მკვლევარს, თამარ პატარიძეს, რომელმაც მამა იუსტინესთან დამაკავშირა. ამ ფოტოპირების გარეშე ჩვენი კვლევა არ იქნებოდა სრულყოფილი.

¹ *სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში*, 2005, გვ. 257-259.

² ვუთითებთ როგორც ავთენტურ, ისე არავთენტურ ეპისტოლეებს.

³ *სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში*, 2005, გვ. 259.

⁴ ჯავახიშვილი, 1947, გვ. 62 (NN 13, 14) და გვ. 46 (N 11).

„ინა თუ ელია თეზბელი“, 64rC). აქვე დავძენთ, რომ ყველაზე სისტემურად და სწორად მთავრული ასოები წარმოდგენილია C ნუსხაში.

ს. რუბენსონი, ანტონი დიდის წერილთა განხილვისას, რომლებიც ამავე Sin. geo. 35 და Sin. geo. 25 ნუსხებში არის დაცული, წერდა, რომ მათში წარმოდგენილი ტექსტი ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს, მაგრამ ამ ორ ნუსხას ერთმანეთთან უშუალო კავშირი არ გააჩნია,¹ და რომ Sin. geo. 25 ხშირად უფრო სწორ იკითხვისებს იძლევა კოპტურ და ლათინურ თარგმანებთან მიმართებაში, ვიდრე Sin. geo. 35 ნუსხა.²

ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსიდან თავდაპირველად გამოქვეყნდა ქართ. 2, Sin. geo. 35-ის მიხედვით, ჟერარ გარიტის შემდეგ გამოცემაში: G. Garitte. “De unius ex Ammonae epistulis versione Iberica”. *Le Muséon* 89 (1976): 123-131, რომელშიც მოცემულია შესავალი (გვ. 123-124), წერილის 20 წინადადებად დაყოფილი ქართული ტექსტი ლათინური თარგმანით (გვ. 124-128), და დასკვნა (გვ. 128-131). მცირე ხნის წინ კი ეპისტოლეთა სრული ქართული ტექსტი A და B ნუსხებზე დაყრდნობით და შესაბამისი გამოკვლევის დართვით შეტანილი იქნა ილია ცეცხლამის საბაკალავრო ნაშრომში.³

ქართული ეპისტოლეები გათვალისწინებული იქნა ამონას წერილთა კორპუსის თავდაპირველი სახით აღდგენილი ტექსტის ფრანგულენოვანი თარგმანის გამოცემისას: *Lettres des Pères du Désert: Ammonas, Macaire, Arsène, Sérapion de Thmuis*, 1985.

ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერთა თავისებურებანი

ამონას ეპისტოლეთა კორპუსის შემცველი დასახელებული სამი ხელნაწერიდან A ნუსხა დაწერილია ასომთავრულით, დანარჩენი ორი ხელნაწერი კი – ნუსხურით. A ნუსხის ტექსტში თითოეულ სიტყვას მომდევნოსაგან გამოსაყოფად მოსდევს ორწერტილი, თუმცა იგი ზოგჯერ არასწორად არის ჩაწერილი და სიტყვას შეცდომით ორ ან რამდენიმე ნაწილად ჰყოფს: „მოს : ცეს“, „გან : რის : ხნების“ (44vA), „მო : ილოთ“, „დამიჯერე : ბიეს“ (45rA), „ამის : გან“ (46rA), „ხოლო : ღმრთისა : გამოვლინე : ბულთა“ (46vA, შდრ. „ღმრთისაგან მოვლინებულთა“, 52rB; „ღმრთისა მიერ მოვლინებულთა“, 64vC), „რამეთუ : მის : გამო : იგნეს“ (46vA, შდრ. „რამეთუ მისგან მოიგნეს“, 52rB, 64vC), და სხვ. სიტყვები ზოგან უჩვეულოდ არის დაქარაგმებული: „ზრ~ვისა“ (= „ზრუნვისა“, 46rA), „დ~მოიდრის“ (= „დაემოიდრის“, 46rA), „მ~გცეს“ (= „მოგცეს“, 47rA). გარდა ამისა, A ნუსხის გადამწერი „უ“-ს ნაცვლად წერს „ო“-ს, „ჯ“-ს ნაცვლად – „ოი“-ს (რის გამოც თანდებულ „-თვს“-ს აქვს დამახასიათებელი დაბოლოება „-თუის/თოის“), ხშირია „წ“-ს ნაცვლად „ეწ“, „ი“-ს ნაცვლად კი – „ე“ (შდრ. „მოვანე ნათლისმცემელი“, 46vA),⁴ ორი ხმოვნის ნაცვლად დაწერილია ერთი: „იძლის“ (46rA; შდრ. „იძლიის“, 64rC), „ღმრთებად“ (48vA; შდრ. „ღმრთეებად“, 68vC) და სხვ. ამასთანავე, რთული გასარჩევია „ი“ და „ე“. მის ტექსტში გვხვდება ისეთი იშვიათი სიტყვები, როგორცაა „შიშლოზა“ (7.1, 49vA, შდრ. „შიშლოზა“, 70vC) და „ორძიედ“ (6.1, 48vA, 68vC), შესაბამისად ‘სიშიშვლის’ და ‘ზრდის, აღორძინების’ მნიშვნელობით.

ხელნაწერში ხშირია ჰაპლოგრაფიული შეცდომები და სხვა ტექნიკური ხასიათის ლაფსუსები, როგორც, მაგალითად, შემდეგ მონაკვეთებში:

¹ “A collation of the parts common to both manuscripts clearly shows that they represent the same translation. However, the differences between them are such as to make it impossible to regard either of them as the direct source for the other”, Rubenson, 1995, გვ. 18.

² Rubenson, 1995, გვ. 19.

³ იხ. ცეცხლამე, 2020.

⁴ Sin. geo. 35-ის ორთოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ დაწვრილებით იხ. Garitte, 1951, გვ. 269; მისივე, 1955, გვ. VII; მისივე, 1970, გვ. 77-78.

მომდევნო მონაკვეთში შეცდომით არის მოცემული „ითმინეთ“. როგორც ჩანს, გადამწერის წყაროში „ისმინეთ“ სათანადოდ კარგად აღარ იკითხებოდა:

ბერძ. 5.6. Νῦν οὖν καὶ ὑμεῖς ἀκούσατε τοῦ πατρὸς ἡμῶν ἐν τούτῳ, ἵνα γένηται ἡμῖν εἰς ἀνάπαυσιν καὶ προκοπῆν (PO 11, გვ. 449).

სირ. 11.5. ...ܠܗܘܢ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

“modo vos quoque *audite* patrem vestrum in hac re...” (PO 10, გვ. 602).

ქართ. 10.6. „აწ უკუე და ითმინეთ მამისა თქუენისაჲ ამას ჯერსა, რადთა იყოს თქუენდა განსუენება და წარმატება“ (53vA).

შემდეგ მონაკვეთში „ყოველთა“-ს შესატყვისი ბერძნულ და სირიულ ტექსტებში არის „სულთა“ (ψυχῶν, ܠܚܝܘܬܐ). მოცემული ნუსხის წყაროში ეს სიტყვა, სავარაუდოდ, დაქარაგმებული იყო როგორც „სლთა“, ხოლო გადამწერმა მის ნაცვლად „ყლთა“ ამოიკითხა:

ბერძ. 7.2. Τὸ γὰρ παραβάλλον ταῖς ἄλλαις ψυχῶν, οὐκ ἔστιν αὐτὸ, ἀλλὰ τὸ πνεῦμα τῆς μετανοίας ἐστί (PO 11, გვ. 453).

სირ. 13.2. ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ

“...Is enim, qui super illas alias *animas* descendit” (PO 10, გვ. 608⁷⁻⁸).

ქართ. 11.2. “ხოლო რომელი-იგი სხუათა ყოველთა ზედა მოვიდეს, არა იგი არს, არამედ სული სინანულისაჲ არს იგი” (54rA).

A ნუსხის გადამწერის შეცდომას ჰგავს კიდევ ერთი მონაკვეთი, სადაც ქართულ, ბერძნულ და სირიულ ტექსტებში ერთმანეთისგან განსხვავებული შესატყვისებია წარმოდგენილი (სომხურ და ეთიოპურ ენებზე ეს ეპისტოლე არ არის შემორჩენილი, არაბ. 19-ს კი ეს მონაკვეთი მთლიანად აკლია): სირიული ܠܚܝܘܬܐ ითარგმნება, როგორც „ტკივილი, ვნება, სნეულება, გლოვა, სურვილი“,¹ ბერძნული ἡ παλαιότης კი, როგორც „სიძველე“. შესაძლებელია, ქართულ ტექსტს, სადაც მოცემულია „სიძოლილისაგან“, დედანში შესატყვისად ჰქონოდა „სიძოელისაგან“ (სავარაუდოდ, დაქარაგმებული), რომელიც A ნუსხაში არასწორად იქნა გადმოტანილი:

ბერძ. 7.1. ταῖς καθαρθείσαις τελείας ἀπὸ τῆς ἑαυτῶν παλαιότητος (PO 11, გვ. 452).

ს. 13.1. ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ ܠܚܝܘܬܐ

“quarum substantia penitus munda est ab omnibus *passionibus*” (PO 10, გვ. 608¹⁻²).

ქართ. 11.1. „რომელთა განიწმინდეს თავნი მათნი სრულიად *სიძოლილისაგან* მათისა“ (54rA).

B ნუსხაში, A ხელნაწერის მსგავსად, აღინიშნება ერთი სიტყვის მეორისაგან გამოსაყოფად გამოყენებული ორწერტილები, რომლებიც ამ ნუსხაშიც არ არის სწორად ჩაწერილი და სიტყვებს ორ ან რამდენიმე ნაწილად ჰყოფს: „წმიდისა ამონად : სი დაწყნა : რებუ : ლები : სათუის : რ[ომელ]ნი : ახლად : მუს : რულიყვენ“ (93vB). აქვე შევნიშნავთ, რომ ამგვარი დაყოფა მოცემულ ხელნაწერში ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენს. რაც შეეხება ორთოგრაფიას, განსახილველი ნუსხის გადამწერი „უ“-ს ნაცვლად წერს „ო“-ს (შდრ. „დაყოლებად“, 51rB, „დაყოლებისა“, 51vB) და პირიქით (შდრ. „სივლტულითა“, 52vB), „ჟ“-ს ნაცვლად მასში გვხვდება „ოი“ კომპლექსი და, შესაბამისად, „თუის/თოის“ თანდებულები (შდრ. „აღშენებისათუის“, 52rB), „ჭ“ გადმოცემულია „ე“ კომპლექსით (როგორც მაგალითად, „მრავალსახე“, „სიმძიმე“, „სიმართლე“, „ესრედ“, 51rB, 52vB), „დ“ ხშირად წერია „ი“-ს ადგილას (შდრ. „დგი“, „დოვანე ნათლისმცემელი“, 51rB;² „მოძვლენე“, „დმრთდათა“, 51vB), და ა.შ. ხელნაწერში რთულად არის გასარჩევი „ს“ და „კ“, ასევე, „დ“ და „ე“.³ გვხვდება ორთოგრაფიულად ისეთი უმართებულო ფორმები, როგორცაა „უძრულეზასა“, „უძლორებისა“, „უძრულეზა“ (51vB), „განძრიელდით“ (52vB). დასტურდება სხვა სახის შეცდომებიც, თუმცა იშვიათად. ასეთია: „სძელთ“ (= სძლეთ, 52vB), „და ურვანი და ურვანი“ (51rB).

¹ Payne Smith, 1903, გვ. 160.

² Garitte, 1951, გვ. 270; Garitte, 1955, გვ. viii.

³ Garitte, 1956, გვ. 66.

C ნუსხის აღწერილობაში ამ ხელნაწერის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი „დაწერილია ულახათო ხელით“.¹ ვფიქრობთ, გადამწერი სწრაფად ცდილობდა ტექსტის გადაწერას. სწორედ ამ სისწრაფის გამო გვხვდება არაერთი ორთოგრაფიული შეცდომა ტექსტში: „მწინკვლევანისა“ (60vC), „სახნიერმან“ (60vC), „შეიწყნარიეს“ (61vC), „დამჯერებიეს“ (62rC), „წინამდგომთა“ (64rC), „კსენებაა ჰყოფ“ (67vC), „არამედ / არამედ“ (70rC), „ვითხოთ“ (70vC). გადამწერი უჩვეულოდ აქარაგმებს სიტყვას „მარადის“ – „მლ“ (62rC, 67rC, 71rC). მის ტექსტში გამოყენებულია ისეთი იშვიათი სიტყვა, როგორცაა „ზომი“ (4.2, 66vC; 6.2, 68vC, შდრ. A ნუსხის „საზომი“, 47vA, 49rA).

C ნუსხისათვის დამახასიათებელია ჯ-ს სისტემური გამოყენება იქ, სადაც განსახილველი ტექსტის გადაწერის ხანის სალიტერატურო ქართულში იწერება უმარცვლო ან მარცვლიანი „უ“ და სადაც დანარჩენ ორ ნუსხაში „უ“ არის წარმოდგენილი: „საყვარელთა“, „უკვეთუ“, „შეიყვაროს“, „თვისითა“, „შვენირად“, „მიუძღვეს“, ამისთვის“ (59rC), „გყვარობს“ (59rvC), „სიტყვათა“, „იმვითთა“, „აქვს“ (59vC), „ძვალნი“ (61rC), „განრყვნა“ (62rC), „აქვნ“ (62vC), „წინაღვდგენ“ (65rC), „აღთქმისათა“ (65vC), „აღთქმანი“ (70rC) და ა.შ.

ამავე ხელნაწერში A ნუსხაში მოცემული „ც“-ს შესატყვისად „ე“ ან „ედ“ არის წარმოდგენილი: „ესრეთ“ (59rC, 62vC, 63rC, შდრ. „ესრეთ“, 43vA), „უტკბილეს“ (59vC, შდრ. „უტკბილეს“, 43vA), „ღამე და დღე“ (60vC; „ღამეც და დღეც“, 44rA), „უმჯობესი“ (62rC; შდრ. „უმჯობესს“, 45rA), „უსულმცირეს“ (62vC, „უსულმცირესს“, 45vA), „ქრისტეს“ (63vC; „ქრისტესს“, 46rA), „პავლესა“ (67vC, „პავლესა“, 48rA), „ტიმოთესა“ (67vC; „ტიმოთესს“, 48rA); „საქმედ“ (60rC, 66rC, შდრ. „საქმეს“, 44rA), „სიმდიდრედ“ (66rC; „სიმდიდრეს“, 47rA), „სივრცედ“, „სივრცედ“, „სიღმედ“ (66rC; „სივრცეს“, „სივრცეს“, „სიღმეს“, 47rvA) და ა.შ.

C ნუსხაში სწორად არის გადმოცემული წინადადებები, სადაც A ხელნაწერში „დ“-მეტობა გვხვდება: „პატიოსანთა მაგათ ძმათა უფლისა (უფლისა C) მიერ სიხარული!“ (2.1, 44vA, 61rC); „ყოველივე თხოვად სულისა (სულისა C) მათისა“ (2.1, 44vA, 61rC), „რამეთუ დადვსების (დაივსების C) ამაოღსა სიტყუითა“ (4.2, 48rA, 67rC), თუმცა ზოგან ასეთი „დ“ მის ტექსტშიც დასტურდება: „და რომელთა ნაყოფი შერაცხილ არს ღმრთისა მიერ“ (2.3, 45rA, 61vC).

ხელნაწერში ხშირია „ვ“-ს დაკარგვა: „მოიპოეთ“ (1.1, 59vC; შდრ. „მოიპოვეთ“, 43vA), „ითხოეს“ (1.1, 59vC; „ითხოვეს“, 43vA), „თხოად“ (2.2, 61rC; 6.1, 69vC; შდრ. „თხოვად“, 44vA, 48vA), „სთხოედ“ (2.2, 61rC; „სთხოვედ“, 44vA), „იპოებოდიან“ (6.1, 68vC; „იპოვებიან“, 49rA) და სხვ.

C ნუსხაში, A ნუსხასთან შედარებით, სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, მოცემულია უფრო სწორი იკითხვისები: „ლოცუათა (ლოცვათა C) შინა ჩემთა“ (5.1, 48rA, 67vC), „რამეთუ სიტკბობა იგი სულიერებისა (სულიერებისა C) მადლისა“ (1.1, 43vA, 59vC, შდრ. Ἡ γὰρ γλυκύτης τοῦ χαρίσματος τοῦ πνευματικῆς, ბერძ. 2.1, PO 10, 435; რჯღოლწ რჯღლსა ἰღლწ ”Qua ratione suavitas Dei”, სირ. 2, PO 11, გვ. 571₂) და ამ მხრივ C ნუსხის გადამწერი ნამდვილად კარგად განსწავლული მწიგნობარი ჩანს.

ქართულ ხელნაწერებში დაცულ ტექსტთა ურთიერთმიმართება

ამონას ეპისტოლეების ქართული თარგმანი სამი ხელნაწერით არის მოღწეული. მათგან A ნუსხაში დაცულია 13, B-ში – 1, ხოლო C-ში – 7 ავთენტური წერილი. მთარგმნელის ავტოგრაფს არცერთი ეს ხელნაწერი არ წარმოადგენს. სამივეს ტექსტი მომდინარეობს ერთი რედაქციის წყაროდან, თუმცა ერთმანეთთან უშუალო კავშირი არ გააჩნია.² არის შემთხვევები, როდესაც ეს სამი ხელნაწერი ერთი ბერძნული სიტყვის შესაბამისად სამ სხვადასხვა შესატყვისს იძლევა: „ჰყოფედ“ A, „ჰყოფენ“ B, „ჰმონებენ“ C (3.6, 47rA, 52vB, 65rC; შდრ. διουλεισσι, ბერძ. 1.6, PO 11, გვ. 434).

¹ სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში, 2005, გვ. 257.

² შდრ. Rubenson, 1995, გვ. 18.

A ხელნაწერის ტექსტში არაერთგან გვხვდება ჰაპლოგრაფიული შეცდომები და გამოტოვებული მონაკვეთები, რომლებიც მოღწეულია C ნუსხის მეშვეობით. რაც შეეხება B ხელნაწერს, მასში წარმოდგენილი ტექსტი A ნუსხას უახლოვდება და შედარებით ნაკლებად ემთხვევა C-ს, თუმცა ზოგი სწორი იკითხვისი, რომელიც აკლია ან განსხვავებული სახით არის მოცემული A ნუსხაში, C-სთან ერთად B-შიც არის წარმოდგენილი, როგორცაა მაგალითად: „რამეთუ მაშინ იხილოს ბრძოლად იგი განწყობილი (+ მისა მიმართ მოცალედ. ხოლო რ[აჟამს] იხილოს ბრძოლად იგი BC + განწყობილი B)“ (3.1, 46rA, 50vB, 64rC); „ხოლო ღმრთისა გამოვლინებულთა (ღმრთისაგან მოვლინებულთა B, ღმრთისა მიერ მოვლინებულთა C)“ (3.3, 46vA, 52rB, 64vC); „რამეთუ მის გამო იგნეს (რამეთუ მისგან მოიგნეს BC)“ (3.3, 46vA, 52rB, 65rC); „საყუარელთა მაგათ (+ ძმათა C) სიხარული უფლისა მიერ (~ უფლისა მიერ სიხარული BC)“ (3.1, 46rA, 50rB, 63vC); „დაყუდებისა ძალი (] დაყუდებამ BC)“ (3.6, 46vA, 52rB, 65rC). მთლიანობაში, B ნუსხა A ხელნაწერში მოცემულ იკითხვისებთან შედარებით უფრო სწორ ვარიანტებს იძლევა. საგულისხმოა ისიც, რომ B ხელნაწერში წარმოდგენილი ანტონი დიდის წერილთა იკითხვისები მკვლევართა მიერ მიჩნეულია უფრო სწორ ვარიანტებად A ნუსხის იკითხვისებთან შედარებით კოპტურ და ლათინურ ტექსტებთან მიმართებაში.¹

C ნუსხის ტექსტი A ხელნაწერში დაცული თარგმანისაგან ხშირად სხვაობს და ეს სხვაობა ზოგჯერ ბერძნულ-სირიულ წყაროთაგან დამოუკიდებელია. იგი A ხელნაწერის თარგმანთან შედარებით შემდეგ თავისებურებებს ავლენს:

ფონეტიკური განსხვავება: „ანგელოსთა (ანგელოზთა C)“ (1.1, 43vA, 59rC).

ხმოვნის ცვლილება: „მონოზონი (მონაზონი C)“ (2.2, 44vA, 61vC; 4.2, 47vA, 66vC), „ცუდადმზაობრობისასა (ცუდადმზაობრებისასა C)“ (2.3, 45rA, 62rC; 2.4, 45vA, 62vC), „განაქრიის (განაქრიის C)“ (2.3, 45rA, 62vC), „მისა (ამისა C)“ (2.4, 45vA, 62vC), „მინა (შიდა C)“ (2.4, 45vA, 63rC), „ამისა (ამისი C)“ (2.4, 45vA, 63rC), „განამოროს (განამოროს C)“ (3.1, 45rA, 63vC), „წარმართეს (წარმართეს C)“ (3.2, 46vA, 64rC), „მოუვლინნის (მოავლინნის C)“ (3.2, 46vA, 64rC), „გამორჩევად (გამორჩევად C)“ (4.1, 47rA, 65vC), „ბოროტისა (ბოროტისა C)“ (4.1, 47rA, 65vC), „წრთულინი (წრთილნი C)“ (4.1, 47rA, 65vC), „მისცა (მოსცა C)“ (4.1, 47rA, 65vC), „შეიპყრობვის (შეიპყრობის C)“ (4.1, 47rA, 65vC), „არა (არღა C)“ (4.1, 47rA, 65vC), „ასაკსა (ჰსაკსა C)“ (4.2, 47vA, 66vC), „მიიწინეთ (მოიწინეთ C)“ (6.2, 49rA, 68vC), „რაჯდენ (რაოდენ C)“ (6.2, 49rA, 70rC), და სხვ.

განსხვავება მხოლოდით და მრავლობით რიცხვებს შორის: „ყოველსა (ყოველთა C)“ (1.1, 43vA, 59vC), „მათ (მას C)“ (1.1, 43vA, 59vC), „საქმესა მათსა (მათთა C)“ (2.1, 44vA, 61rC), „მოვიკსენებთ (მოვიკსენებ C)“ (4.1, 47rA, 65vC), „იღუწის (იღუწიდეთ C)“ (4.1, 47rA, 65vC), „ყოველთა (ყოველსა C)“ (4.1, 47vA, 66rC), „რამეთუ იგინი (იგი C) არიან“ (4.2, 48rA, 67rC), „საღმრთონი (საღმრთოდ C) იგი ძალნი (ძალი C)“ (7.1, 49rA, 70vC), „ანგელოთა (ანგელოზსა C)“ (7.2, 49vA, 71vC), და სხვ.

განსხვავება ზმნურ ფორმებს შორის: „იხილის (იხილოს C)“ (1.1, 43vA, 59rC), „მნებავს (მინებს C)“ (1.2, 44rA, 60vC), „მივჰწერ (მივსწერ C)“ (2.1, 44vA, 61rC), „ხოლო რომელნი მოვლენ (მოუვლენ C) მას... და ჰყოფენ (ჰყოფედ C) საქმესა“ (2.1, 44vA, 61rC); „ითხოვედ (ითხოედ C)“ (2.1, 44vA, 61rC); „უჩნდა (უჩნ C)“ (2.2, 45rA, 61vC); „უყუარხართ (უყვართ C) სულსა ჩემსა“ (2.3, 45rA, 61vC), „ვინმე იქმნეს (იქმნენ C)“ (2.3, 45rA, 62rC), „გამოაყენენით (გამოაყენენთ C)“ (4.2, 47vA, 66vC), „გიტევნენ (გიტეონ C)“ (4.2, 47vA, 67rC), „უტეობენ (უტევებენ C)“ (4.2, 48rA, 67rC), „მოიპოოთ (მოილოთ C)“ (5.1, 48rA, 67vC), „ვჰყოფ (ვყოფ C)“ (5.1, 48rA, 67vC), „გნებავს (გინებს C)“ (5.1, 48rA, 67vC), „გამო-ვის-ეცხადების (გამო-ვის-ეცხადებიან C)“ (6.1, 48vA, 68rC), „იპოვებიან (იპოვებოდიან C)“ (6.2, 49rA, 68vC), „განმაშოროს (განმაყენოს C)“ (7.1, 48vA, 70vC), „მიიწიოს (მოვიდეს C)“ (7.2, 49vA, 71rC), და სხვ.

¹ Rubenson, 1995, გვ. 19.

ჩანაცვლება C ხელნაწერში ხშირია. იგი დამოუკიდებელია ბერძნული და სირიული წყაროებისაგან და A ნუსხაში მოცემული იკითხვის სინონიმს წარმოადგენს. ასეთია: „საქმე (მუშაკობად C)“ (1.1, 43vA, 59vC; შდრ. ბერძ. 2.1, ἡ γεωργία), „განსასუენებელი (განსვენება C)“ (1.1, 43vA, 59vC; 1.2, 44rA, 60rC; 7.2, 49vA, 71rC; შდრ. ბერძ. 2.1, ἡ ἀνάπασις), „ზრახვისა (‘ზრუნვისა C)“ (1.2, 44rA, 60vC; შდრ. ბერძ. 2.2, τὸ φρόνημα), „მიმართ (მიერ C)“ (1.2, 44rA, 60vC; შდრ. სირ. 2.2, ܐܢܐ “in Divino”), „ურწყული (წყურთელი C)“ (2.4, 46vA, 63rC; შდრ. სირ. 3.4, ܠܘܝܢ, PO 10, გვ. 577), ასევე, ἄσθροϋς, ფსალ. 142.6; ბერძ. 2.4-ს ეს მონაკვეთი აკლია), „დიდთა (დიდ-დიდთა C)“ (2.4, 46rA, 63vC; შდრ. სირ. 3.4, ܠܘܝܢ “maxima“, PO 10, გვ. 577), „თქუნთა (ჩუენთა C)“ (2.4, 46rA, 63vC; შდრ. 3.4, ܠܘܝܢܐܘܝܢ “cum patribus vestris“, PO 10, გვ. 577), „რჩულისა (მცნებისა C) გარდასლვად“ (3.1, 46rA, 63vC; შდრ. ბერძ. 1.1, ἡ παράβασις, ასევე, სირ. 12.1, ܠܘܝܢܐܘܝܢ ܘܥܐܠܝܢܐ “facta praevaricatione praecepti“, PO 10, გვ. 603); „ვითარმცა (რადთამცა C)“ (3.6, 46vA, 65rC), „უკეთურებისა (ბოროტისა C)“ (4.1, 47rA, 65vC; შდრ. 3.1, ἡ κακία), „ვითარცა (ოდეს C)“ (7.2, 49vA, 71vC; შდრ. სირ. 7.2, ܠܘܝܢ “cum“, PO 10, გვ. 585), „უკეთურისაგან (ბოროტისაგან C)“ (7.2, 49rA, 71rC; შდრ. სირ. 7.2, ܠܘܝܢܐܘܝܢ “a Maligno“, PO 10, გვ. 585), „თუისითა (მისითა C)“ (4.1, 47rA, 66rC; შდრ. ბერძ. 3.1, ἀπὸς), „წარმატებულებად (წარმატება C)“ (6.2, 49rA, 70rC; შდრ. სირ. 6.2, ܠܘܝܢܐܘܝܢ, გვ. 583), „ძეებად (შვილად C)“ (7.1, 49rA, 70rC; შდრ. სირ. 7.1, ܠܘܝܢܐܘܝܢ “filiorum“, გვ. 584), და მრავალი სხვა.

A ნუსხის ერთსიტყვიან იკითხვის C ნუსხაში ზოგჯერ ორი სიტყვა შეესაბამება: „კაცთ-სათნოებით (კაცთა სათნოებით C)“ (2.3, 45rA, 62vC), „ამისთუისცა (ამის გამო C)“ (3.2, 46rA, 64rC), „ეგევითართათუის (ეგევითართა მათთვის C)“ (3.2, 46vA, 64rC), „ღმრთისაგან მოვლინებულთა B (ღმრთისა მიერ მოვლინებულთა C)“ (3.3, 52rB, 64vC; შდრ. ბერძ. 1.3. Οἱ δὲ ἀπὸ Θεοῦ παραμύετοι), „დაყუდებისაგან (დაყუდებისა მისგან C)“ (3.3, 46vA, 65rC), „ესევითართათუის (ესევითართა მათთვის C)“ (5.1, 48rA, 67rC), ზოგჯერ კი პირიქით: „დაყუდებისა ძალი (დაყუდება BC)“ (3.6, 46v, 52rB, 65rC; შდრ. ბერძ. 1.6. τῆς ἡσυχίας, PO 10, გვ. 434; სირ. 12.6. ܠܘܝܢܐܘܝܢ “a silentio“, PO 10, გვ. 607), „რადთა კუალად დაგერთო[თ] კურთხევა (იკურთხნეთ C)“ (7.2, 49vA, 71vC; შდრ. სირ. 7.2, ܠܘܝܢܐܘܝܢ “benedictionem consequamini“, PO 10, გვ. 585).

სიტყვათა გადანაცვლება A ხელნაწერთან შედარებით C ნუსხაში არაერთგან გვხვდება. ამის მაგალითებია: „და ესრჳთ (~ ესრეთ და C)“ (2.4, 46rA, 63vC), „მადლისა მის საღმრთოსადა (~ საღმრთოდ ამის მადლისადა C)“ (2.4, 46rA, 63rC), „სიხარული უფლისა მიერ (~ უფლისა მიერ სიხარული C)“ (3.1, 46rA, 63vC), და სხვ.

კლება C ნუსხაში ძალზე იშვიათია, თუმცა მაინც დასტურდება. ასე მაგალითად, ხელნაწერს აკლია მონაკვეთი: „ვიდრემდის დაიმკუიდროს ძალმან კაცისა თანა“ (1.2, 60rC), ასევე სიტყვა „შინა“ წინადადებაში „რომელსა შინა (om. C) ჳელი შეყვის კაცმან“ (2.3, 45rA, 62rC; შდრ. ბერძ. 6.3, εἰς ἧν ἐπιβάλλεται ὁ ἄσθραπος, PO 10, გვ. 451).

მატება C ნუსხაში ხშირია. ქვემოთ აღნიშნულია იმგვარ სიტყვათა მატება, რომლებიც დამოუკიდებელია ბერძნულ და სირიულ ტექსტთაგან და მხოლოდ წინადადების აზრს აზუსტებს: „და აღაორძინოს ნაყოფი (+ იგი C) თქუენი“ (1.1, 43vA, 59rC), „რომლისადა არს დიდება საუკუნეთა მიმართ საუკუნეთადას! (+ ამენ C)“ (2.4, 46rA, 63vC), „საყუარელთა მაგათ (+ ძმათა C) სიხარული უფლისა მიერ“ (3.1, 46rA, 63vC), „საყუარელნო ძმანო ჩემნო (+ უფლისა მიერ C)“ (3.1, 46rA, 63vC), „განაშოროს თავი თუისი კაცთაგან და ყოვლისა ამისგან (+ ამაოდსა C) ზრუნვისა“ (3.1, 46rA, 63vC), „თქუა ესრეთ, (+ ვითარმედ C)“ (4.1, 47rA, 66rC), 7.1. „არამედ არცა

ანგელოზთა, (+ არცა მთავარანგელოზთა C), არცა მთავრობათა” (7.1, 49vA, 70vC), „იხილა პირსპირ (sic!) ზანაკი (+ წმიდათა C) ანგელოზთა“ (7.2, 71vC), და სხვ.

C ხელნაწერში დაცული ტექსტის შედარება A და B ნუსხების ტექსტებთან ნათელყოფს, რომ C ნუსხის ტექსტში შეტანილია სხვადასხვა სახის სწორებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში იძლევა A-სგან განსხვავებულ, ბერძნულ თარგმანთან უფრო დაახლოებულ ვარიანტს. სხვაგვარად რომ ითქვას, C ნუსხის გადამწერი გადაწერისას ტექსტს რედაქტირებას უკეთებს. ისე ჩანს, რომ მას ხელთ აქვს ამონას ეპისტოლეთა ბერძნული ტექსტი, უდარებს მას უკვე არსებულ ქართულ თარგმანს, ნაკლებს ამატებს, ზედმეტს აკლებს და ცვლის ბერძნულის მიხედვით. მისი სწორებები ზოგჯერ სტილისტურია და ბერძნული (და სირიული) ტექსტისაგან დამოუკიდებელი, სხვა შემთხვევებში კი კორექტირებული ამ ტექსტის მიხედვით. ეს ეხება, პირველ რიგში, ისეთ უმარტივეს ცვლილებას წინადადებაში, როგორცაა სიტყვათა რიგის მიმდევრობის შეცვლა და მისი წყაროსთან დაახლოება:

ბერძ. 2.2. καὶ μὴ θέλουσαι αὐτοῖς ἀφιέναι ἀνελεῖν πρὸς τὸν Θεόν (PO 11, გვ. 436).

ქართ. 1.2. „და არა ჰნებავს აღსლვად მათი (~ მათი აღსლვად C) ღმრთისა“ (44rA, 60rC).

ბერძ. 2.2. Νῦν οὖν αἰτήσωμεν τὸν Θεὸν ἐκτείνῳς (PO 11, გვ. 436).

ქართ. 1.2. „აწ უკუე ვითხოვდეთ გულსმოდგინედ ღმრთისაგან (~ ღმრთისაგან გულსმოდგინედ C)“ (44rA, 60rC).

ბერძ. 2.2. Καὶ ὁ ἀγαθὸς Θεὸς οὖς χροισεῖ τοῖς δοῦναι ἑμῖν αὐτήν (PO 11, გვ. 437).

ქართ. 1.2. „და სახიერმან ღმერთმან არა ყოვნოს მოცემად იგი თქუნდა (~ თქუნდა იგი C)“ (44rA, 60vC).

ბერძ. 6.2. Ὁρατε πῶς ὁ Θεὸς ὀργίζεται ἐπὶ τοῖς ἔργοις τούτων (PO 11, გვ. 450).

ქართ. 2.2. „ხედავთ-ა ვითარ ღმერთი განრისხნების საქმეთა მათთა ზედა (~ ზედა მათთა C)“ (44vA, 61rC).

ბერძ. 1.2. καὶ θεραπεύσασσι τὰς ἀρρώστιας αὐτῶν (PO 11, გვ. 433).

ქართ. 3.2. „და ჰკურნებდენ მათსა მას უძღურებასა (~ უძღურებასა მას მათსა C)“ (46vA, 64vC).

ბერძ. 3.1. καὶ λογιθέντες εἰς μέτρον τῆς νύσθεσίας, οἷς ὁ Θεὸς δέδωκε τὴν ἀνάβλεψιν ταύτην (PO 11, გვ. 438).

ქართ. 4.1. „და შერაცხილ არიან საზომსა მას შვილებისასა, რომელთა-იგი მისცა ღმერთმან (~ ღმერთმან მოსცა C) ახილვად (+ ესე C)“ (47rA, 65vC).

ბერძ. 3.2. εἰς ἣν οὐκ ἦλθον πολλοὶ τῶν μοναχῶν (PO 11, გვ. 439).

სირ. 4.2. ܗܘܐ ܕܝܗܘܐ ܚܘܬܝܘܬܐ ܕܘܚܪܝܢܝܢܐ ܕܡܪܘܘܨܝܢܐ ܕܡܪܘܘܨܝܢܐ “ad quam haud multi ex eremitis pervenerant” (PO 10, 579r).

ქართ. 4.2. „რომელსა ვერ მოვიდეს მონაზონნი მრავალნი (~ მრავალნი მონაზონნი C)“ (47vA, 66vC). როგორც ბერძნულში, ისე სირიულში „მრავალნი მონაზონნი“ სწორედ იმ მიმდევრობითაა წარმოდგენილი, რომელიც დასტურდება C ნუსხაში.

გვხვდება სტილისტური გადანაცვლებაც. ამონას წერილების ბერძნულ და სირიულ კორპუსებში, როგორც ეს დამახასიათებელია სემიტური და ზოგადად აღმოსავლური ენებისათვის, თავდაპირველად ღამე იწერება, შემდეგ კი დღე: ბერძ. 2.2/ქართ. 1.2 (60vC), ბერძ. 2.3/ქართ. 2.4 (63vC), ბერძ. 3.1/ქართ. 4.1 (65vC, 66rC), ბერძ. 3.2/ქართ. 4.2 (66vC), სირ. 5.1/ქართ. 5.1 (67vC), სირ. 6.2/ქართ. 6.2 (68vC), სირ. 7.2/ქართ. 7.2 (70vC). A ნუსხაში ერთხელ არის წარმოდგენილი ქართულისათვის დამახასიათებელი მიმდევრობა: „დღე და ღამე“ (5.1, 48rA, შდრ. სირ. 5.1, PO 10, გვ. 580a), C ნუსხაში კი ორჯერ, ამასთან, მეორედ ქართ. 6.1-ში, სადაც A ნუსხა იძლევა წყაროს შესაბამის მიმდევრობას:

სირ. 6.1. ܕܠܝܠܐ ܘܚܘܬܐ ܕܘܚܪܝܢܝܢܐ “Nocte ac die precor” (PO 10, გვ. 582i).

ქართ. 6.1. „ღამე და დღე (~ დღე და ღამე C) ვვედრები“ (48vA, 68rC).

C ნუსხის გადამწერის რედაქტირება განსაკუთრებით კარგად იკითხება ქართ. 3-ში, რომელიც სამივე ხელნაწერშია დაცული და რომელშიც A და B ნუსხები ერთ იკითხვისს იძლევიან, C კი განსხვავებულს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

ბერძ. 3.2. Νῦν οὖν, ἀγαπῆτοί (PO 10, გვ. 439).

სირ. 4.2. ܡܘܕܘ ܝܓܝܬܘܪ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ [mei] (PO 10, გვ. 579⁴).

ქართ. 4.2. „აწ უკუე, საყუარელნო ჩემნო (om. C)” (47vA, 66vC).

ბერძ. 3.2. ἀγῶ δὲ ὁ ταπεινὸς προσεύχομαι περὶ ὑμῶν, ἵνα ἕλθῃτε εἰς ταύτην τὴν προκοπὴν καὶ ἡλικίαν, εἰς ἣν οὐκ ἦλθον πολλοὶ τῶν μουσῶν, εἰ μὴ σπᾶνιοι καὶ θεοφιλεῖς ψυχαὶ κατὰ τόπους (PO 11, გვ. 439).

სირ. 4.2. ܠܘܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ...

“...sed tantum animae numero paucae” (PO 10, გვ. 579⁷).

ქართ. 4.2. „და მეცა, მდაბალმან ამან, ვილოცო თქუენთვის, რათა მოხუიდეთ ამას წარმატებულებასა და ასაკსა (ჰასაკსა C), რომელსა ვერ მოვიდეს მონაზონნი მრავალნი (მრავალნი მონაზონნი C), არამედ იშუთნი და ღმრთისმოყუარენი ხოლო სრულნი (სულნი C) – ადგიდ-ადგიდ“ (47vA, 66vC).

4.2 ქვეთავში A ნუსხის იკითხვისი „მშუიდობისათა“ ზუსტად არ ემთხვევა არც ბერძნულ (ἢ πρᾶτῆς „სიმშვიდე, სიწყნარე“) და არც სირიულ (ܠܘܥܝܫܝܡܝ „თავმდაბლობა“) ვარიანტებს, არამედ სირიული ხელნაწერის იკითხვის (ܠܘܥܝܫܝܡܝ „მშვიდობა“ B, PO 10, გვ. 580, შენ. 5). C ნუსხის რედაქტორი კვლავ ბერძნულის მიხედვით ასწორებს მას.

ბერძ. 3.2. Ἐβῆρασθε ἐν Κυρίῳ, ἀγαπῆτοί, ἐν πνεύματι τῆς πραότητος (PO 11, გვ. 440).

სირ. 4.2. ܠܘܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ...

“Valete in Domino, dilectissimi [mei], humili spiritu” (PO 10, გვ. 580^{4,5}).

ქართ. 4.2. „განძლიერდით, საყუარელნო, სულითა მით მშუიდობისათა (სიმშვიდისათა C)” (48rA, 67rC).

C ნუსხის რედაქტორის სწორებები გვხვდება იმ ეპისტოლეებსა (ქართ. 5, 6, 7) და მონაკვეთებშიც, რომელთა ბერძნული ტექსტებიც არ არის მოღწეული და ამ ჩასწორებათა უმეტესობა უფრო მეტად უახლოებს ქართულ თარგმანს სირიულ ტექსტს. ნათელია, რომ ეს არ არის მხოლოდ სტილისტური რედაქტირება, არამედ უკვე არსებული თარგმანის შეჯერება წყაროსთან. საფიქრებელია ისიც, რომ იმ დროს, როდესაც C ნუსხის რედაქტორი ამ ტექსტზე მუშაობდა, მას ხელთ ჰქონდა ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსის ისეთი ნუსხა, რომელიც პირველწყაროდან მომდინარეობდა და იმავე რედაქციისა იყო, რომლისაც ჩვენთვის ცნობილი სირიული ტექსტი. ამასთან, იგი შეიცავდა ყველას თუ არა, პირველ შვიდ ეპისტოლეს მაინც, და მათ დიდ ნაწილს იმავე ნუმერაციით ან მიმდევრობით, რომელიც ამჟამად აქვს ქართულ თარგმანს. შესაბამისად, ძველი რედაქციის ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსი X ს-ში ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული.

C ნუსხის სწორებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

“დიდი“ სირიულად იწერება, როგორც ܕܝܕܝ (ܕܝܕܝ), მითითებულ სტრიქონში კი მოცემულია ܕܝܕܝܝ, რომელიც იმავე სიტყვიდან პირველი თანხმოვნის გაორკეცვით იწარმოება. ამიტომ „დიდ-დიდი“ სირიული ܕܝܕܝܝ-ს ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს. ბერძნულში ამ სიტყვის შესაბამისი μέγας არ არის ფუძის გაორკეცვით ნაწარმოები, თუმცა ქართ. 4.1-სა და სხვა ქართულ ტექსტებში დასტურდება მისი ამგვარი თარგმანიც: „დიდ-დიდნი საიდუმლონი“ (47vA, 66vC); ὅτι ἴαμα καταπάσσει ἀμαρτίας μεγάλας „რამეთუ ლხინებამან დააცხურნის ცოდვანი დიდ-დიდნი“ (ეკლ. 10.4); καὶ οἱ μεγάλοι κατεξουσιάζουσιν ἀπτῶν „და დიდ-დიდნი კელმწიფებედ მათ ზედა“ (მათე, 20.25).¹

სირ. 3.4. ܠܘܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ...

“et Deus revelabit vobis mysteria maxima” (PO 10, გვ. 577^{3,4}).

ქართ. 2.4. „და გამოვიცხადებდეს თქუენ ღმერთი დიდთა (დიდ-დიდთა C) საიდუმლოთა“ (46rA, 63vC).

სირ. 3.4. ܠܘܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ ܕܝܠܥܝܫܝܡܝ...

“Itaque hoc facite et vos, carissimi, et incrementum sumetis” (PO 10, გვ. 577³).

¹ ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ. 3, 2005, გვ. 517.

ქართ. 2.4. “ჰყოფდით უკუე თქუენცა, საყუარელნო, და ესრეთ (~ ესრეთ და C) მიიწინეთ (+ სრულებასა მას C)” (46rA, 63vC).

სირ. 5.1. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ*

“dilectionem in homine memorem esse proximi sui *iugiter*” (PO 10, გვ. 580⁶⁻⁷).

ქართ. 5.1. “რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ მოაქსენებს (+ მარადის C) სიყუარულსა (om. C) მოყუასსა თუისსა მას” (48rA, 67rC).

სირ. 5.1. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

“ut fides vesta ac *praestantia* proficiant et virtutem maiorem illa, quam possidetis, accipiatis” (PO 10, გვ. 580¹⁰-581¹).

ქართ. 5.1. „რადთა შეეძინოს სარწმუნოებასა თქუენსა (+ და ყოველთა სათნოებათა თქუენტა C) და მოიპოოთ ძალი უფროსი“ (48rA, 67vC).

სირ. 5.1. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

ქართ. 5.1. „და მსურის შენდა (] ხილვად შენი C)“ (48rA, 67vC).

სირ. 5.1. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

“quemadmodum Paulus fecit Timotheo, *sic feci ego quoque vobis*” (PO 10, გვ. 581⁵⁻⁶).

ქართ. 5.1. “ვითარცა-იგი პავლე ჰყოფდა ტიმოთეს (ტიმოთესა C) მიმართ (+ ვგრეცა მე ვყოფ თქუენდა მიმართ C)” (67vC).

სირ. 7.1. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

“Modo igitur, ubi quidam benedictionem a patribus suis acceperant et exercitus [coelestes] viderant, *nil eos commovere potuit*” (PO 10, გვ. 584⁷⁻⁸).

ქართ. 7.1. “ოდეს იკურთხნიან ვინმე მამათაგან და იხილნიან (იხილიან C) საღმრთონი (საღმრთოდ C) იგი ძალნი (ძალი + მიერთებან ვერღარა ვინ შეუძლის მათა შერყევად C)” (49rA, 70vC).

სირ. 7.1. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

“Sed ne angeli quidem, neque principes *et potentes*” (PO 10, გვ. 585¹).

ქართ. 7.1. “არამედ არცა ანგელოზთა, (+ არცა მთავარანგელოზთა C), არცა მთავრობათა, (+ არცა ჯელმწიფეებათ C)” (49vA, 70vC).

შემდეგ მონაკვეთში ორივე ხელნაწერი იძლევა იკითხვის “და ჩემნი“, რომელიც შინაარსის თვალსაზრისით სრულიად ზედმეტია და არც სირიულ ტექსტში დასტურდება:

სირ. 7.2. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

“orationem fundite assidue nocte ac die, ut benedictiones patrum *meorum* veniant *super vos*” (PO 10, გვ. 585³⁻⁴).

ქართ. 7.2. “დაუცადებლად ვითხოვდეთ ღამე და დღე, რადთა კურთხევანი მამათა ჩუენთანი (ჩემთანი C) და ჩემნი მოვიდენ თქუენდა (თქუენ ზედა C)” (49vA, 70vC).

სირ. 7.2. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

ქართ. 7.2. “მიერთებან ყოველსავე განსუენებულად იქმოდის A (არღარა დაშვრებინ C)” (49vA, 71rA). C ნუსხის რედაქტორი მთელ ამ მონაკვეთს ცვლის.

სირ. 7.2. *ܕܠܥܝܢܐ ܕܢܗܘܐ ܕܥܠܡܐ ܕܡܘܠܐ ܕܥܠܡܐ ܕܥܠܡܐ*

„oravit ad Patrem *pro eis* dicens“ (PO 10, გვ. 585⁹).

ქართ. 7.2. „ითხოვა (ითხოვა + მათთვის C) მამისაგან და თქუა“ (49vA, 71rC).

მომდევნო წინადადება წარმოადგენს იოანე, 17.24-ის დამოწმებას, რომლის ბერძნული ტექსტი იკითხება შემდეგნაირად: ἵνα ἴδωσιν τὸ πρόσωπόν μου ἕως τῆς ἡμέρας. გიორგი მთაწმიდელი

მას ამგვარად თარგმნის: “სადაცა მე ვიყო, იგინცა ჩემ თანა იყვნენ”. A და C ნუსხებში მოცემული სიტყვების, „მუნ“ და „ჩემ თანა“, შესატყვისები სირიულ წყაროში არ დასტურდება, თუმცა „ჩემ თანა“ C ნუსხაში ჩართული ჩანს სახარების დასახელებული მუხლის მიხედვით:

სირ. 7.2. $\text{ܘܒܝ ܐܘܓܘ ܫܘܡܝܢ ܘܥܝܡ ܝܫܬܝ ܫܝܢܬ}$ “Ubi ego sum, etiam isti sint” (PO 10, გვ. 585⁹⁻¹⁰).

ქართ. 7.2. “რადთა სადაცა მე ვიყო, ესენიცა მუნ იყვნენ A” (49vA), “ადგილსა, რომელსა მე ვარ, რადთა იყვნენ ესენიცა ჩემ თანა C” (71rC).

ქვემოთ მითითებულ მონაკვეთში C ნუსხის იკითხვისები უფრო ახლოს დგას სირიულ ტექსტთან, ვიდრე A ნუსხის ვარიანტები. აღსანიშნავია ორივე ნუსხაში წარმოდგენილი „მსახურებ“ ფორმა, რომელსაც C ნუსხა უმატებს სიტყვას „მე“, რაც სირიულ ტექსტს (ܠܚܕ ܐܠܗܝ) ზედმიწევნით შეესაბამება. საყურადღებოა, აგრეთვე, „უფროსად“, რომელიც სირიულ ტექსტში და C ნუსხაში არ დასტურდება, მაგრამ დაცულია ქართულ A ხელნაწერსა და არაბულ თარგმანში: „ut vos benedicat, *augeatque* benedictionibus“¹ („Et Dieu lui fit ceci pour le bénir *davantage*“).² ამდენად, A ნუსხა ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვან იკითხვისს იძლევა.

სირ. 7.2. $\text{ܘܕܝܘܘܫܝܢ ܘܥܝܡ ܝܫܬܝ ܫܝܢܬ ܘܥܝܡ ܝܫܬܝ ܫܝܢܬ}$

“Deus vero, cui *servio* inde a iuventute *mea*, benedicat vobis” (PO 10, გვ. 586²⁻³).

ქართ. 7.2. „ხოლო ღმერთმან ჩემმან (*om.* C), რომელსა *მსახურებ* (+ *მე* C) სიჭაბუკითგან (+ *ჩემით* C), უფროსად (*om.* C) გაკურთხენინ თქუენ“ (49vA, 71vC).

გვხვდება შემთხვევები, როდესაც C ნუსხის სწორებები არ შეესაბამება ამონას ეპისტოლეთა მოღწეულ სირიულ ტექსტს:

სირ. 6.2. $\text{ܘܠܘ ܕܘܪܘܫܝܢ ܘܥܝܡ ܝܫܬܝ ܫܝܢܬ ܘܥܝܡ ܝܫܬܝ ܫܝܢܬ}$

“Volo dare vobis, non tantum Evangelium, sed etiam *animas nostras*” (PO 10, გვ. 583⁹).

ქართ. 6.2. “სათნო-მიხს მიცემად თქუენდა არა ხოლო (+ თუ C) სახარებად ესე ქრისტესი, არამედ *სულნიცა* (სულიცა C) *თუისნი* (თვისი C)” (49rA, 70rC).

სირ. 7.2. $\text{ܘܠܘܢ ܘܕܝܘܫܝܢ ܘܥܝܡ ܝܫܬܝ ܫܝܢܬ}$

“Lumen iustorum nunquam extinguitur” („ნათელი მართალთა არასდროს დაიშრიტება“, PO 10, გვ. 587⁷).

ქართ. 7.2. “ნათელი *მართალთა* (მართლისა C) *მოუკლებელ არს* (მოუკლებელ არს] მარადის ბრწყინავს C)” (49vA, 71rC). შდრ. იგავ. 13.9: „ნათელი მართალთა მარადის“ (Φῶς δικαίων δὲ παύται).

სირ. 7.2. $\text{ܘܠܘܢ ܘܕܝܘܫܝܢ ܘܥܝܡ ܝܫܬܝ ܫܝܢܬ}$

“Hoc autem Deus fecit, ut ipsi benediceret” (PO 10, გვ. 586²).

ქართ. 7.2. „ესე უყო (ყო + მის თანა C) ღმერთმან, რამეთუ *უმეტესად აკურთხა* (*ეკურთხა ღმერთსა* C) იგი“ (49vA, 71vC).

სავარაუდოა, რომ C ნუსხის რედაქტორს ხელთ ჰქონდა რომელიღაც ბერძნული ნუსხა, უფრო სრული, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული ბერძნული კორპუსი, რომელიც შეიცავდა დღეისათვის დაკარგულ ბერძნულ ეპისტოლეებს და რომლის მიხედვითაც შეჰქონდა სწორებები უკვე არსებულ ქართულ თარგმანში.

მთლიანობაში, ამონას ეპისტოლეთა ქართული თარგმანის შემცველი სამი ხელნაწერიდან სამივე მომდინარეობს ერთი და იმავე რედაქციის თარგმანის შემცველი წყაროებიდან. A ნუსხაში არაერთ შეცდომას ვაწყდებით, რაც კარგად ჩანს მისი შედარებისას BC ნუსხებთან, განსაკუთრებით კი C ნუსხასთან. ეს შეცდომები უფრო ხშირად არასწორ ამოკითხვას უკავშირდება („ვეცხლი“/„ცეცხლი“, „ითმინეთ“/„ისმინეთ“, „ყ~ლთა“/„ს~ლთა“, და ა.შ.), გვხვდება ჰაპლოგრაფიული შეცდომებიც. შეიძლება გვეფიქრა, რომ A ნუსხის კალიგრაფი უფრო მეტ ძალისხმევას ხარჯავს იმაზე, თუ როგორ გადაწეროს ლამაზი ასომთავრულით, რის გამოც

¹ Ecchellensis, 1641, გვ. 76; PG 40, სვ. 1030B¹⁴.

² Outtier, 1985, გვ. 28 (q).

საკუთრივ ტექსტი უყურადღებოდ რჩება, ან რომ იგი გამოუცდელი გადამწერია, თუმცა ისიც ცხადია, რომ ასეთი მნიშვნელობის ტექსტებს გამოუცდელ კალიგრაფს გადასაწერად არავინ მიანდობდა. უფრო მეტად სავარაუდებელია, რომ ხელნაწერი, რომელსაც ამ ნუსხის გადამწერი წყაროდ იყენებდა, იყო ძველი, არაერთ ადგილას დაზიანებულ-გადარეცხილი და რთულად ამოსაკითხი, რამაც თარგმანში შეცდომები გამოიწვია. ანტონი დიდის წერილთა განხილვისას, რომლებიც ამავე A და B ნუსხებში არის დაცული, ს.რუბენსონი წერს, რომ მათში წარმოდგენილი ტექსტი ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს, მაგრამ ამ ორ ნუსხას ერთმანეთთან უშუალო კავშირი არ გააჩნია¹ და, ამასთანავე, B ნუსხა A-სთან შედარებით უფრო ხშირად იძლევა სწორ იკითხვისებს კოპტურ და ლათინურ თარგმანებთან მიმართებაში.² ჩვენს შემთხვევაშიც, A ნუსხასთან შედარებით უფრო გვიანდელი B და C ხელნაწერები სწორ იკითხვისებს იძლევიან იქ, სადაც A ნუსხაში არასწორი ვარიანტები დასტურდება, ჩაწერილია ისეთი ფრაზებიც, რომლებიც A ხელნაწერში გამოტოვებულია. შესაბამისად, A და BC ნუსხებს წყაროდ ერთი და იგივე ხელნაწერი არ უნდა ჰქონოდათ. ვფიქრობთ, B და C ნუსხები ეყრდნობოდნენ A ნუსხის წყაროდან მომდინარე ერთსა და იმავე ხელნაწერს, რომელიც კარგად იყო შენახული და სათანადოდ კარგადაც იკითხებოდა. ნათელია ისიც, რომ A, B და C ხელნაწერებს არ აქვთ ერთმანეთთან უშუალო კავშირი.

სამივე ნუსხა გადაწერილი ჩანს ერთი და იმავე რედაქციის თარგმანის შემცველი წყაროებიდან, მაგრამ B ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი უფრო მეტად A ნუსხის ტექსტს უახლოვდება, ხოლო C ნუსხის ტექსტი A ხელნაწერში დაცული თარგმანისაგან არაერთ შემთხვევაში მნიშვნელოვან სხვაობას ავლენს და წარმოადგენს უკვე არსებული ქართული თარგმანის ბერძნულ ტექსტთან შეჯერებულ, რედაქტირებულ ვარიანტს. შეჯერებული უნდა იყოს, სავარაუდოდ, ამ ნუსხაში დაცული სხვა ტექსტებიც, კერძოდ, თხზულება *აპოლოსათჳს*. ამ თხზულების აღწერილობის თანახმად, AB ნუსხებში დაცული ეს ტექსტი სხვაობს მისი C ნუსხაში დაცული ვარიანტისაგან.³ ამონას ეპისტოლეებში C ნუსხის რედაქტორის სწორებები დასტურდება იმ წერილებშიც, რომელთა ბერძნული წყაროც არ არის მოღწეული (ქართ. 5, 6, 7 და სხვა წერილთა ზოგი მონაკვეთი), და რედაქტორის მიერ ჩასწორებულ იკითხვისთა უმრავლესობა, A ნუსხის იკითხვისებთან შედარებით, უფრო ახლოს დგას ჩვენთვის ცნობილ სირიულ ტექსტთან. ვინაიდან პირველ 4 წერილს C ნუსხის რედაქტორი აშკარად ბერძნული ტექსტის მიხედვით ასწორებს, საფიქრებელია, რომ მას ხელთ ჰქონდა დღეისათვის დაკარგული, ეპისტოლეთა უფრო სრული რედაქციის შემცველი, პირველწყაროდან მომდინარე ბერძნული ნუსხა, რომელიც იმავე რედაქციისა იყო, რომლისაც ჩვენთვის ცნობილი სირიული ტექსტი.⁴

C ნუსხის რედაქტორის მიერ ტექსტის ბერძნულ დედანთან შეჯერება არ წარმოადგენს ერთეულ შემთხვევას ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში. ილია აბულაძე ბასილი კესარიელის ნაშრომის, *ექუსთა დღეთათჳს* განხილვისას შენიშნავს: „ძველი თარგმანის მიდევნებით ახლის შესრულება ისე, რომ სიახლოვე ყოფილიყო ბერძნულ დედანთან, გიორგი მთაწმიდლის ცნობილი მეთოდია“.⁵ გიორგი მთაწმიდელმა (1009-1065 წწ.) ბიბლიის უკვე არსებული,

¹ “A collation of the parts common to both manuscripts clearly shows that they represent the same translation. However, the differences between them are such as to make it impossible to regard either of them as the direct source for the other”, Rubenson, 1995, გვ. 18.

² Rubenson, 1995, გვ. 19.

³ „ტექსტი განსხვავებულია თხრობათაგან, რომლებიც გვხვდება Sin.Geo.O.25 (137rv, f. Garitte, *Catalogue*, p. 64) და Sin.Geo.O.35 (Garitte, *Catalogue*, p. 118) ხელნაწერებში”, იხ. *სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში*, 2005, გვ. 259.

⁴ “Since the Georgian version is translated from Greek there must have existed a larger Greek corpus than in the preserved manuscripts, at the time of translation” (Rubenson, 2015, გვ. 73).

⁵ აბულაძე, 1964, გვ. 12.

უძველესი თარგმანი შეუჯერა ბერძნულ დედანს, ხოლო ზოგიერთი წიგნი ხელახლა გადმოიღო, რის გამოც ეს ტექსტი ცნობილია „გიორგისეული რედაქციის“ სახელით. ამასთან, სახარების საბოლოო რედაქციის მისაღებად გიორგი მთაწმიდელმა მანამდე არსებული ქართული თარგმანი სამჯერ შეუწამა ბერძნულ დედანს.¹ მანვე ბერძნულ დედანთან ხელმეორედ შეჯერებით შეასწორა ეფთვიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნოსელის *ქალწულებისათვის და საღმრთოძსა მოქალაქობისა*.² გიორგი მთაწმიდლის შემდეგ, *დავითნი-სა და საქმე მოციქულთა-ს* თარგმანები ბერძნულ რედაქციებს შეუწამა ევრემ მცირემ. ბერძნულ დედანთან ძველი თარგმანის შეჯერების მშვენიერი მაგალითია სინას მთის განსახილველი C ხელნაწერი და A ნუსხაც, რომელში დაცული სხვა ნაშრომებიც ბერძნულ დედნებთან შეჯერების შესაძლო კვალს ამჟღავნებენ.³ შეჯერების მეთოდი, უკვე არსებული თარგმანის ჩასწორება პირველწყაროს მიხედვით, X ს-ზე ბევრად ძველია. მისი კლასიკური მაგალითებია აკვილას, სვიმაქოსისა და თეოდოტიონის, ასევე აკვილამდელი მთარგმნელების მიერ სეპტუაგინტას შეჯერება ებრაულ დედანთან და მასში შეტანილი სწორებანი.

საინტერესოა ABC ნუსხათა პირველწყაროს საკითხიც. როგორც A ნუსხის შეცდომებიდან ჩანს, მისი წყარო საკმაოდ ძველი და დაზიანებული უნდა ყოფილიყო, რაც ართულებდა მის ამოკითხვას და მრავალი შეცდომის მიზეზი გახდა. იგი, შესაძლოა, შესრულებული ყოფილიყო ასომთავრულით, რომელიც ხშირად გამოიყენება ამ ხანებში და რომელშიც „ს“ და „ყ“ (შდრ. AC ნუსხათა იკითხვისები: „ყ~ლთა“/„ს~ლთა“) თანხმოვნების აღრევა შედარებით იოლია, ვიდრე ნუსხურ ტექსტებში, რადგან ასომთავრულში ასოები ერთსა და იმავე, თანაბარ სიმაღლეზე იწერება (შდრ. ს/4). ამასთანავე, ამ წყაროში სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ორწერტილებით, რაც დამახასიათებელია ადრეული ხანის ხელნაწერებისათვის და დასტურდება A და B ნუსხებშიც.

ხელნაწერ Ath. 17-ის განხილვისას ბ. უტიე შენიშნავს, რომ იგი შეიცავს ვრცელ ასკეტიკურ ფლორილეგიუმს, მის ერთ-ერთ წყაროდ კი ასახელებს აპოფთეგმათა კრებულის შემცველ Sin. geo. 35 (= A) ნუსხის ანალოგიურ ხელნაწერს, მაგრამ უფრო სრულს,⁴ ხოლო აპოფთეგმათა ქართული კრებულის ყველაზე ძველი ვარიანტი, მკვლევარის თანახმად, ითარგმნა საბაწმინდაში VII ს-ის ბოლოს ან VIII ს-ის პირველ ნახევარში.⁵ საფიქრებელია, რომ ეს უკანასკნელი სწორედ ის ხელნაწერი იყო, რომელიც, ისევე როგორც A ნუსხა, აპოფთეგმებთან ერთად შეიცავდა ამონას ეპისტოლეთა კორპუსსაც. იმის გათვალისწინებით, რომ A ნუსხაში დაცული ტექსტი 907 წელს იქნა გადაწერილი ისეთი ხელნაწერიდან, რომლის არაერთი მონაკვეთი უკვე დაზიანებულ-გადარეცხილი იყო, ტექსტის თარგმანი ქართულ ენაზე, მიახლოებით სწორედ VII ს-ის ბოლო ხანებში ან VIII ს-ის პირველ ნახევარში არის სავარაუდებელი.

¹ ოთხმეზური, 2019, გვ. 353.

² წმიდად გრიგოლ ნოსელი, 2011, გვ. 10.

³ იმავე Sin. geo. 35-ში დაცული სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვა*, ჟ.გარიტის თანახმად, უახლოვდება ხან ბერძნულ და ხან არაბულ ტექსტებს (Garitte, 1970, გვ. 73, 74) და, შესაძლებელია, ბერძნულ ტექსტთან ყოფილიყო შეჯერებული. ასევე, გარკვეულ სხვაობას იძლევა, ერთი მხრივ, Sin. geo. 35-ში, მეორე მხრივ კი Sin. geo. 25 ნუსხაში დაცული წმ. არსენის ეპისტოლეც: „სანატრელთა მაგათ და სასორველთა ძმათა, რომელთა აღირჩიეთ ანგელოზებრი ცხორება და გრწმენა ზეცისა იგი მკვიდრობად“ (Sin. geo. 35, 39rv; ჯავახიშვილი, 1947, გვ. 62 (N 13)) და „სანატრელთა მაგათ და საყუარელთა ძმათა, რომელთა-ეგე აღირჩიეთ ანგელოზებრი ცხორება და მისთვისცა დაიმდაბლენით თავნი თქუნნი“ (Sin. geo. 25, 120v; ჯავახიშვილი, 1947, გვ. 46 (N 11)). ჟ. გარიტი მიუთითებს ანტონი დიდის ეპისტოლეთა ქართულ თარგმანში Sin. geo. 35-სა და Sin. geo. 25-ს შორის დადასტურებულ სხვაობაზე (Garitte, 1951, გვ. 277-278).

⁴ Outtier, 1980, გვ. 9.

⁵ Outtier, 1980, გვ. 10-11.

ქართული თარგმანის კითხვასხვაობანი

ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსი სათარგმნი წყაროდან მირითადად სიტყვა-სიტყვით, ზედმიწევნით არის გადმოღებული.¹ მასში, შეძლებისდაგვარად, მისი წყაროში წარმოდგენილი წინადადებების სიტყვათა რიგიც კი არის დაცული. მიუხედავად ამისა, შეინიშნება მცირეოდენი კლება-მატებები, რომლებიც ვერ იხსნება ჩვენთვის ცნობილი სირიული და ბერძნული ტექსტების შემცველ ხელნაწერთა იკითხვისგზით.

მატება ქართულ თარგმანში, ჩვეულებრივ, წინადადების აზრობრივად უკეთ გამართვის მიზნით ხდება. ასე მაგალითად, ბერძნული და სირიული ტექსტების „სულს“ (τὸ Πνεῦμα, ბერძ. 7.6, A, PO 11, გვ. 454; ܣܘܠܝܘܢ “et Spiritus”, სირ. 13.6; PO 10, გვ. 610¹⁰⁻¹²) ქართული თარგმანი უმატებს „წმინდას“ (ქართ. 11.6), ხოლო შინაარსის მიხედვით, წინადადებაში ამატებს „ღმერთს“: „უკუეთუმცა არა უყუარდეთ თქვენ *ღმერთსა*“ (ქართ. 9.3; შდრ. εἰ μὴ γὰρ ἠγάπα ὑμᾶς, ბერძ. 4.3, PO 11, გვ. 433; ܢܝܨܝܢܝܐ ܢܝܫܝܘܢ ܢܝܨܝܢܝܐ “Nisi enim diligeret vos”, სირ. 9.3, PO 10, გვ. 605¹⁻²).

მომდევნო წინადადებაში ჩამატებულია „ცოცხლად და“, რომელიც არ დასტურდება არც ქართულ C ნუსხაში და წერილის არცერთ სხვა თარგმანში.

ბერძ. 1.2. δὴ τὸ τοιοῦτον οὐδὲ ἐαυτοὺς φυλάξει δύνανται, οὐδὲ ἄλλη οἰκοδομησαί ψυχῇ (PO 11, გვ. 433).

სირ. 12.2. ... ܨܝܚܝܢ ܕܥܒܪܝܢ ܕܥܒܪܝܢ ܕܥܒܪܝܢ ܕܥܒܪܝܢ ܕܥܒܝܢ

“Quapropter ne animam quidem suam possunt servare, eo minus animas alienas possunt aedificare” (PO 10, გვ. 605¹⁻²).

სომხ. 3. յաղագս այսորիկ է ոչ զինքեանս կարեն պահել, թող թէ այլոց օգնել (*Vitae Patrum*, 1855, გვ. 603).

ეთ. 2. “seipsos non possunt custodire et aedificare animam aliorum” (Arras, 1963, გვ. 164).

ქართ. 3.2. “ამისთვის ვერცა თავნი თუისნი დაიმარხნიან ცოცხლად და (om. ცოცხლად და C) ვერცა სხუა სული აღაშენიან” (46vA, 52rB, 64vC).

შემდეგი წინადადების ქართული თარგმანი სირიულ რედაქციას მისდევს, თუმცა „იღუპებდა და ევედრებოდა“ არც მასში დასტურდება და არც ბერძნულ ან არაბულ თარგმანებში (შდრ. PG 40, სვ. 1240C; სომხურ და ეთიოპურ კრებულებში ეს მონაკვეთი არ არის დაცული).

ბერძ. 2.3. καὶ οὕτως ἐποίησε τὴν ἑαυτοῦ καρδίαν θερμανθῆναι πάλλιν, καὶ ἐδέξατο τὴν γλυκύτητα τοῦ παναγίου Πνεύματος (PO 11, გვ. 437).

სირ. 3.4. ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ

.ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ

“Sic fecit David, cum vidisset animam suam frigidam esse, quoad eam fervidam reddidisset; et accepit suavitatem divinam die et nocte. Itaque hoc facite et vos, carissimi” (PO 10, გვ. 577¹⁻³).

ქართ. 2.4. “ესრტო ყო დავით, რაჟამს იხილა გული თუისი დამძიმებულად და ცივად, ვიდრემდის განატვო იგი; და ესრეთ მოილო სიტკბობადა იგი *მადლისადა მის* საღმრთოსადა (~ საღმრთოა ამის მადლისადა C) დამე და დღე, *იღუპებდა და ევედრებოდა*: ჰყოფდით უკუე თქუენცა, საყუარენო” (45v-46rA, 63rvC).

ჩამატებული ჩანს ვრცელი მონაკვეთი, რომელიც არც სომხურ² და არც ეთიოპურ თარგმანებში³ არ არის წარმოდგენილი (არაბულ კორპუსში აღნიშნული წერილი არ არის დაცული).

ბერძ. 1.6. ἀλλ’ ὑμεῖς τὰ πάθη νικήσατε, καὶ ἡ δύναμις τοῦ Θεοῦ ἀφ’ ἑαυτῆς ἐλεύσεται ἐν ὑμῖν (PO 11, 434).

სირ. 12.6. ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ ܕܥܘܘܕܢܝܢ

“vos autem et passiones superatis et virtus divina vobiscum est” (PO 10, გვ. 607⁸⁻⁹).

¹ Sin. geo. 35-ში დაცული დაცული ანტონი დიდის წერილების შესახებ გრიბომონი წერს, რომ ისინი კოპტურიდან შუალედური, კერძოდ, ბერძნული წყაროს მეშვეობით უნდა მომდინარეობდეს, და რომ ეს თარგმანი ზედმიწევნითია (“Le géorgien et la latin dependent donc du copte à travers un même intermédiaire, qui doit être le grec”, “La traduction est un chef d’oeuvre de fidélité, qui rend l’original mot pour mot, sans se laisser aller à interpreter aucun élément en fonction du context”, Gribomont, 1956, 547-48).

² შდრ. სომხ. 3, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 603.

³ შდრ. ეთ. 2, Arras, 1963, გვ. 164¹⁴⁻¹⁵.

ქართ. 3.6. არამედ თქვენ ვნებათა მათ სძლეთ დაყუდებითა და განკითხვითა და ყოვლისაგან ბოროტის სივლტოლითა და ესრეთ ძალი ღმრთისად თუით მოვიდეს” (47rA, 65rC).

გვხვდება სხვა შინაარსობრივი მატებებიც:

ბერძ. 4.3. ὅσοι δὲ ἀπειραστοὶ εἰσι, νόθοι εἰσὶν (PO 11, გვ. 443).

სირ. 9.3. ܠܗܘܢ ܕܥܡܘܢܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

“Omnes enim, qui expertes sunt tentationum, electi non sunt” (PO 10, გვ. 5919-10).

ქართ. 9.3. „ხოლო რავდენი გამოუცდელ არიან, არამტკიცე არიან სარწმუნოებასა ზედა“ (51vA).

ბერძ. 4.9. Καὶ γὰρ δὲ ὁ Πατήρ ἡμῶν, αἰτοῦμαι, ἵνα λάβῃτε αὐτο (PO 11, გვ. 445).

სირ. 8.1. ܠܗܘܢ ܕܥܡܘܢܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

“Ego vero, pater vester, orabo pro vobis, ut eum accipiatis” (PO 10, გვ. 5876).

ქართ. 8.1. „და მეცა, მამად თქუენი, ვითხოვდე მარადის თქუენთუის, რადთა მოილოთ იგი“ (50rA).

ბერძ. 5.7. Ἐρῶσθε ἐν Κυρίῳ. Ἀμήν (PO 11, გვ. 450).

სირ. 11.6. ܠܗܘܢ ܕܥܡܘܢܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

„Nam Deus prosperos vos redditurus est” (PO 10, გვ. 6032).

ქართ. 10.7. „განძლიერდით უფლისა მიერ, საყუარელნო!” (54rA).

ზოგ შემთხვევაში მატება გულისხმობს ტექსტში მოცემული ერთი ან რამდენიმე სიტყვის გამეორებას.

ბერძ. 8.5. συγχάρησόν μοι ἂν πεποίηκα ἐν ἀμελείᾳ, καὶ οὐκέτι παρακούσῃ σου (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. ܠܗܘܢ ܕܥܡܘܢܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

“remitte mihi, quod ob meam negligentiam commiseram nec amplius inobediens ero” (PO 10, გვ. 5976).

სომხ. 1. Եթէ շնորհեա ինձ գնդիս առաջինս գոր հեղգացայ, եւ ոչ եւս այսուհետեւ անցանեմ գրանի քով (“თუკი შემინდობ მე ადრინდელ ცოდვებს, რომლებიც ჩავიდინე, და ამიერიდან აღარ გადავალ შენს სიტყვას”, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 598).

ქართ. 1. “Ignosce mihi quod feci per negligentiam, et non negligam te ex nunc et tu ex parte tua ne neglexeris me” (Arras, 1963, გვ. 12220-21).

ქართ. 12.5. „მომიტევენ, მომიტევენ მე, რავდენი ვქმენ უდებებითა, და არღარა ურჩ გექმნე“ (56rA).

შემდეგ მონაკვეთში გამეორებულ-ჩამატებული „რომელი რჩულსა მას გარდასრულ არს“ არცერთ სხვა ტექსტში არ დასტურდება:

ბერძ. 1.1. Οἴδατε καὶ ἡμεῖς, ἀγαπῶντοὶ ἀδελφοί μου, ὅτι ἀφ’ οὗ ἐγένετο ἡ παράβασις, οὐκ ἔστιν ἡ ψυχὴ, ὡς δεῖ, τὸν θεὸν ἐπιγινῶσαι (PO 11, გვ. 432).

სირ. 12.1. ܠܗܘܢ ܕܥܡܘܢܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

“Vos scitis facta praevaricatione praecepti, animam non posse Deum cognoscere” (PO 10, გვ. 6033-4).

სომხ. 3. գիտէք եւ դուք եթէ յորմէհետէ եղև յանցումսն՝ ոչ կարէ անձն մարդոյն դիպարս ճանաչել զաստուած (“იცით თქვენც, რომ თუ მოხდა მცნების გარდასვლა, არ შეუძლია კაცის სულს იოლადა ცნობა ღმერთისა”, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602).

ქართ. 2. “nequit anima salvari et cognoscere Dominum” (Arras, 1963, გვ. 16317).

ქართ. 3.1. “იცით თქუენცა, რამეთუ ვინადგან რჩულისა (მცნებისა + იგი C) გარდასლვად იქმნა, ვერ ძალუც სულსა მას, რომელი რჩულსა (+ მას B) გარდასრულ არს, ვითარმცა ადვილად იცნა ღმერთი” (46rA, 50rvB, 63vC).

გვხვდება შემთხვევა, როდესაც მატება წინადადებაში, ამ შემთხვევაში, „სიტყუად“, მონაკვეთს ბუნდოვანს ხდის. შდრ. ინგლისური თარგმანი: “This is dead body. But you, my dear brethren, have nothing of this dead body, but your body is living”:¹

სირ. 1.1-2. ܠܗܘܢ ܕܥܡܘܢܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

(CV dilectissimi mei ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ)

“Hoc est corpus mortuum. Vos autem, fratris dilectissimi, nihil in hoc corpore mortui habetis, sed corpus vestrum vivum est” (PO 10, გვ. 56811-13).

¹ The Letters of Ammonas, 1985, გვ. 1.

არაბ. 15. „Cum itaque cognoveritis, Filioli mei dilectissimi, hos fructus mortuos, de quoquam illorum solliciti esse nolitis, ne corrumpant fructus vestros vivos rationabiles“ (PG 40, სვ. 1031C).

ქართ. 14.2. “აწ უკუე ესე არს ნაყოფი მომკუდარი თქუენ[ი], საყუარელნო ძმანო ჩემნო, არცა ერთი რაჲ სიტყუაჲ გაქუს ამის ნაყოფისა მიმართ, არამედ ცოცხალ არს ნაყოფი თქუენი” (69vA).

ქართული თარგმანის რამდენიმე მონაკვეთში დასტურდება ჰენდიადისებიც. შემდეგ მონაკვეთში ἡ ἀγαλλίασις / ἔξυψις (“et exultationem”) გადმოღებულია „მხიარულებად და შუებად“, თუმცა „შუების“ შესატყვისი არ დასტურდება არც ეთიოპურ (“laetitia”, Arras, 1963, გვ. 163²²⁻²³) და არც სომხურ (ի ցնծութիւն „მხიარულებად“, სომხ. 3, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602) თარგმანებში:

ბერძ. 1.1. τότε ἐνοικεῖ ἐν αὐτῇ τὸ πνεῦμα τοῦ Θεοῦ, καὶ πᾶς ὁ κάματος μεταβληθῆσεται εἰς χαρὰν καὶ ἀγαλλίασιν (PO 11, გვ. 432).

სირ. 12.1. ܕܝܢ ܕܥܘܣܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ

“Dein Deus habitat in ea, et ex tristitia in gaudium et exultationem transformatur” (PO 10, გვ. 603⁷⁻⁸).

ქართ. 3.1. „მაშინ დაემკუიდრის მის თანა სული წმიდაჲ და შრომაჲ იგი გარდაექცის სიხარულად და მხიარულებად და შუებად“ (46rA, 64rC).

ორი შესატყვისით, “იგინა და ურჩ-იქმნა”, არის გადმოტანილი ქართულ თარგმანში παρήκουσε / ἄχνα (“praevaricata est”), მაშინ, როდესაც ბერძნულსა და სირიულ ტექსტებში იგი ერთი ლექსიკური ერთეულით, „ურჩობად“ არის ნათარგმნი.

ბერძ. 5.2. καὶ μὴ διακρίνασα τοῦ καλήσαντος τῆς φωνῆς, παρήκουσε τῆς ἐπιτολῆς τοῦ Θεοῦ (PO 11, გვ. 447-448).

სირ. 11.1. ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ

“Et non intellexisset, quid sibi dictum esset, praevaricata est praeceptum Dei” (PO 10, გვ. 599¹¹⁻¹²-600¹).

ქართ. 10.2. “და არა განიკითხა მეტყუელისა მის ჳმაჲ, იგინა და ურჩ-იქმნა მცნებათა ღმრთისათა” (53rA).

კლება-შემოკლების მაგალითები ქართულ თარგმანში არაერთგან გვხვდება. ეს ეხება როგორც ცალკეულ სიტყვებს, ისე ფრაზებსაც, სადაც მთარგმნელი ორ მსგავსი შინაარსის ფრაზას ერთ მონაკვეთად თარგმნის. დასტურდება კლება ჰომოიოტელევტონების, ჰაპლოგრაფიული შეცდომების მიზეზითაც.

შემდეგ წინადადებაში ἦν ἔλαβεν / ἔλαβεν (“quam acceperat”), ანუ „რომელიც მიიღო“, ქართულად თარგმნილია კუთვნილებითი ნაცვალსახელით „მისი“:

ბერძ. 4.1. ὁ γοῦν Ἰακώβ οὐκ ἀπέλασε τὴν εὐλογίαν, ἦν ἔλαβεν (PO 11, გვ. 441).

სირ. 9.1. ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ

„Proinde Iacob non perdidit benedictionem, quam acceperat“ (PO 10, გვ. 590¹⁻²).

ქართ. 9.1. „და იაკობმან არა წარწყმიდა კურთხევად იგი მისი“ (51rA).

მომდევნო წინადადებაში ქართულ ტექსტს სირიულთან შედარებით აკლია „ათლეტი“, ბერძნულთან შედარებით კი „იაკობი და იობი და სხვა მრავალნი“.

ბერძ. 4.2. καὶ γὰρ Ἰακώβ, καὶ Ἰὼβ καὶ ἕτεροι πλείστοι πειρασθέντες ἐφάνησαν δοκιμώτεροι (PO 11, 442).

სირ. 9.2. ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ ܕܥܘܕܝܢ

“Sic enim tentatus est Abraham et apparuit athleta victor” (PO 10, გვ. 590¹²⁻⁵⁹¹¹).

ქართ. 9.2. “ვითარცა-იგი აბრაჰამ გამოიცადა და ურჩეულესად გამოჩნდა” (51rA).

შემდეგ სტრიქონში არ არის ნათარგმნი სიტყვა „შექება, ხოტბის შესხმა“, რომელიც შეესაბამება ბერძნულ ἐπαυσεθῆσιν-ს და სირიულ ܕܥܘܕܝܢ-ს („celebrantur“. შდრ. ინგლისურ თარგმანი: “and when any of them are praised by men for being faithful”).¹ მიუხედავად იმისა, რომ ისე ჩანს, თითქოს ეს სიტყვა A ნუსხის გადამწერს სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლისას გამორჩა, – A ხელნაწერში სტრიქონს „ვინმე“ ასრულებს, ხოლო მომდევნო სტრიქონს იწყებს „იქმნეს“, – მაგრამ ეს მონაკვეთი ასეთივე სახით არის მოცემული C ხელნაწერშიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი გამოტოვება მთარგმნელს უკავშირდება.

¹ The Letters of Ammonas, 1985, გვ. 3.

ბერძ. 6.3. Ἐὰν οἱς τινὲς ἐπαινεθῶσιν ἀπὸ τῶν ἀνθρώπων <ὧς> πιστοί (PO 11, გვ. 452).

სირ. 3.3. ܠܚܘܬܗ ܥܦܪ ܠܚܘܬܗ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ

“Si proinde quidam ab hominibus celebrantur tamquam fideles” (PO 10, გვ. 575⁸⁻⁹).

ქართ. 2.3. “აწ უკუეთუ ვინმე / იქმნეს (იქმნენ C) კაცთაგანი (კაცთაგან C), ვითარცა მორწმუნენი”.

აღსანიშნავია საკუთარ სახელთა კლების შემთხვევები ქართულ თარგმანში მაშინ, როდესაც ბერძნულსა და სირიულ ტექსტებში ისინი მოცემულია. ასე მაგალითად, შემდეგ მონაკვეთში ქართულ თარგმანში გამორჩენილია სიტყვა „ევა“, რომელიც როგორც ბერძნულ, ისე სირიულ ტექსტში არის წარმოდგენილი. მეორე მხრივ, A ხელნაწერში სტრიქონი მთავრდება სიტყვაზე „შეეტყუვა“. საფიქრებელია, რომ გადამწერს ამ სახელის დაწერა შემდეგ სტრიქონზე გადასვლისას გამორჩა.

ბერძ. 5.2. δι' οὐδενὸς γὰρ ἄλλου ἠπατήθη ἡ Ἐὐά, εἰ μὴ προφάσει ἀγαθῶν καὶ προκοπῆς (PO 11, გვ. 447).

სირ. 11.1. ܠܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ

“Ob nil aliud enim decepta est Eva ab Initio” (PO 10, გვ. 599¹⁰).

ქართ. 10.2. „არა თუ სხუთთა შეეტყუვა დასაბამსა, გარნა კეთილისა მიზეზისა წარმატებითა“.

მომდევნო სტრიქონების ქართულ თარგმანში გამოტოვებულია მოციქულების პეტრესა და პავლეს, ასევე, ენოქის სახელები:

ბერძ. 4.3. Καὶ ὁ ἀπόστολος Πέτρος “ἐν ᾧ, φησι, ἀγαλλιάσθε” (PO 11, გვ. 443).

სირ. 9.3. ܘܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ

“Et item etiam Beatus Petrus scripsit in Epistola sua” (PO 10, გვ. 592¹).

ქართ. 9.3. „და კუალად მისწერს ებისტოლესა: “რომელთა გიხარის“ (51vA).

სირ. 6.2. ܘܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ

“Nam etiam Beatus Paulus sic dixit de his, quos diligebat” (PO 10, გვ. 583⁸).

არაბ. 13. “Nam ut Paulus apostolus ait iis qui sibi in filios ascripti erant” (PO 40, სვ. 1028D¹⁻²).

ქართ. 6.2. “რამეთუ მოციქული მის მიერ შეყუარებულთა მათ ეტყოდა” (49rA, 70rC).

ბერძ. 8.2. οἱτοί εἰσι, περὶ ὧν ὁ Παῦλος φησιν (Marriott, 1918, გვ. 47).

სირ. 10.2. ܘܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ

“Hi sunt, de quibus a Paulo dictum est” (PO 10, გვ. 596¹⁻²).

სომხ. 1. „այս է գոր Պաւղոսի սուէ“ („ეს არის ის, რაც პავლემა თქვა“, Vitae Patrum, 1855, გვ. 598).

ეთ. 1. “Hi sunt de quibus dixit Paulus” (Arras, 1963, გვ. 122³).

ქართ. 12.1. „ესენი არიან, რომელთათვის მოციქული იტყუის“ (55vA).

ბერძ. 7.2. Τοῦτο γὰρ τὸ πνεῦμα ἀπὸ Ἰαβὲλ καὶ Ἐνώχ ἕως τῆς σήμερον ἐπιδίδωσιν ἕαυτὸ τὰς τῶν δικαίων ψυχὰς (PO 11, გვ. 453).

სირ. 13.2. ... ܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ

“Hunc enim spiritum ab Abel et Henoch usque ad hodiernam diem dat animabus” (PO 10, გვ. 608⁶).

ქართ. 11.2. “რამეთუ ესე სული აბელისითგან, ვიდრე დღენდღელად დღედმდე მისცემს თავსა თუისა მართალთა სულთა“ (54rA).

კლების ზოგი შემთხვევა ჰაპლოგრაფიული შეცდომებით, ჰომოიოტელევტონებით ან სხვა სახის ლაფსუსებით არის გამოწვეული. ქართულ თარგმანში ამის რამდენიმე მაგალითი გვხვდება.

შემდეგი მონაკვეთის ოთხი უარყოფითი ფრაზიდან, რომელთაგან სამი ერთნაირად ობიექტი იწყება, ქართულ თარგმანში მხოლოდ პირველი და მეოთხე არის გადმოღებული. ამასთან, სირიული რედაქციის ხელნაწერთა იკითხვისებში ქართულ ტექსტში გამოტოვებული ორი მონაკვეთიდან მხოლოდ ერთია მითითებული: C om. ܠܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ ܕܥܘܒܐ („et nulla aegritudo“). არაბულ თარგმანში კი ოთხი უარყოფითი ფრაზიდან სამი დასტურდება:

არაბ. 8. „Ego autem Pater vester una quoque vobiscum decerto, pro vobis rogans ut illum suscipiatis; *novi namque vos perfectos esse, illumque suscipere valentes*“ (Ecchellensis, 1641, გვ. 52; PG 40, 1021A7-10).

ქართ. 8.1. „და მეცა, მამად თქუენი, ვითხოვდე მარადის თქუენთუის, რადთა მოილოთ იგი, რამეთუ რომელი ჰყოფდეს საქმეთა მისთა ნათესავად-ნათესავადსა შინა, მან მოილოს“ (50rA).

სირიულ და ქართულ ტექსტებს ერთნაირად აკლია შემდეგი ბერძნული მონაკვეთის, $\nu\omicron\mu\iota\zeta\omicron\nu\tau\omega\varsigma \tau\omega\nu \acute{\alpha}\nu\theta\rho\acute{\omega}\pi\alpha\omega\varsigma \acute{\upsilon}\tau\iota \xi\chi\omicron\upsilon\varsigma\iota\varsigma \kappa\alpha\rho\pi\acute{\omicron}\nu$, შესაბამისი ფრაზა, როგორც ჩანს, ჰაპლოგრაფიული შეცდომის გამო, რადგან როგორც პირველი, ისე მეორე მონაკვეთი მთავრდება სიტყვაზე $\tau\omega\nu \kappa\alpha\rho\pi\acute{\omicron}\nu$. არაბულ თარგმანში იგი დასტურდება:

ბერძ. 6.3. $\kappa\alpha\iota \omicron\upsilon\tau\omega\varsigma \acute{\alpha}\pi\omicron\lambda\lambda\upsilon\varsigma\iota\varsigma \alpha\upsilon\tau\omega\nu \tau\omega\nu \kappa\alpha\rho\pi\acute{\omicron}\nu$, $\nu\omicron\mu\iota\zeta\omicron\nu\tau\omega\nu \tau\omega\nu \acute{\alpha}\nu\theta\rho\acute{\omega}\pi\alpha\omega\nu \acute{\upsilon}\tau\iota \xi\chi\omicron\upsilon\varsigma\iota\varsigma \kappa\alpha\rho\pi\acute{\omicron}\nu$ *παρὰ δὲ τῷ Θεῷ* $\omicron\upsilon\delta\acute{\epsilon}\nu \xi\chi\omicron\upsilon\varsigma\iota\varsigma$ (PO 11, გვ. 452).

სირ. 3.3. $\text{ܩܘܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ}$

“qua ratione perdit *corpus* eorum hominibus putantibus eos aliquid habere” (PO 10, გვ. 575¹²-576¹).

VW ܩܘܐ ܕܥܘܠܐ („ნაყოფნი მათი“) [ܕܥܘܠܐ] („სხეული მათი“).

არაბ. 10. “nam *arbitrantur homines, hos plurimis esse praeditos fructibus* gratissimis Domino, cum tamen nullos omnino fructus habeant” (PG 40, სვ. 1024A¹⁰).

ქართ. 2.3. „და ესრეთ წარწყმიდის *ნაყოფი* იგი მათი, და ღმრთისაგან არარაჲ აქუნ“ (45rA, 62vC).

ქართულ თარგმანში შემდეგი მონაკვეთის მხოლოდ მეორე ნაწილია გადმოღებული. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთის შესაბამის ბერძნულ ტექსტში წინადადების ორივე ნაწილი სხვადასხვა სიტყვებით იწყება, სირიულში კი – ერთი და იმავე სიტყვით ܕܥܘܠܐ („et meditatus sum“). საფიქრებელია, რომ ქართული თარგმანის წყაროც, სირიული ტექსტის მსგავსად, ორი ერთნაირი სიტყვით იწყებოდა, რამაც გამოიწვია ეს ჰაპლოგრაფიული შეცდომა ქართულ თარგმანში.

ბერძ. 8.6. $\text{Ἐμνησθήτω ἡμερῶν ἀρχαίων, ἐμμελήσῃα ἐν παντί τοῖς ἔργοις σου}$ (Marriott, 1918, გვ. 48).

სირ. 10.3. $\text{ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ}$

“et meditatus sum et memor fui dierum, qui a saeculo sunt, et meditatus sum in omnibus operibus tuis” (PO 10, გვ. 598⁵⁻⁶).

ქართ. 12.6. „და ვზრახვედ ყოველთა შინა საქმეთა შენთა“ (56vA).

სიტყვათა ჩანაცვლება ქართულ თარგმანში არაერთგან შეინიშნება. მთარგმნელი (ან გადამწერი) ზოგჯერ მრავლობითს მხოლობითით ცვლის, „უფალს“ – „ღმერთით“ ან „ქრისტეთი“, და პირიქით, როგორც მაგალითად ბერძ. 3.1-ში, სადაც მოცემულია $\text{Τοῖς ἀγαπῶσις ἀδελφοῖς ἐν Κυρίῳ χαίρειν}$ (PO 11, გვ. 438; სირიულ ტექსტს ეს წინადადება აკლია), ქართ. 4.1-ში კი გადმოღებულია: „საყუარელთა ძმათა ქრისტეს მიერ სიხარული!“ (47rA, 64rvC), ან მომდევნო მონაკვეთში, სადაც ყველა სხვა თარგმანში წარმოდგენილია „უფალი“, ქართულად კი გადმოღებულია „ღმერთი“:

ბერძ. 4.3. $\text{Ὁν ἀγαπᾷ Κύριος παιδεύει}$ (PO 11, გვ. 442-443).

სირ. 9.3. $\text{ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ}$

„Quem *Deus* diligit, eum castigat“ (PO 10, გვ. 591⁸; ლათინურად შეცდომით ნათარგმნია “Deus” („ღმერთი“) ნაცვლად ტექსტში მოცემული „უფლისა“ (ܕܥܘܠܐ)).

სომხ. 2. “գոր սիրէ տէր, խրատէ” („რომელიც უყვარს უფალს, სჯის“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 601).

ქართ. 9.3. „ყოველი, რომელი უყუარნ ღმერთსა, სწავლის“ (51vA).

თუმცა გვხვდება სხვა, უფრო შეუსაბამო ჩანაცვლებებიც. ერთ-ერთი მათგანია ამონას შემდეგი წერილის ყველა შემორჩენილ თარგმანში მოცემული „სული ღვთისა/უფლისა“, ქართულში კი – „სული წმიდა“:

ბერძ. 1.1. $\text{τότε ἐνοικεῖ ἐν αὐτῇ τὸ πνεῦμα τοῦ Θεοῦ}$ (PO 11, გვ. 432).

სირ. 12.1. $\text{ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ}$ “dein *Deus* habitat in ea” (PO 10, გვ. 603⁷).

DVW *habitat in ea spiritus Dei* ܕܥܘܠܐ (VW ܕܥܘܠܐ) ܕܥܘܠܐ ܕܥܘܠܐ

გო. 2. “Et post hoc habitabit in ea *spiritus Domini*” (Arras, 1963, გვ. 163²¹⁻²²).

სომხ. 3. „[α]νιψιασ ενιασε [h] ινα η ηνχη η αυτηνιδη“ („მამინ დაემკვიდროს მასში სული ღვთისა“, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602).

ქართ. 3.1. „მამინ დაიმკვიდრის მის თანა სული წმიდაჲ“ (46rA, 64rC).

შემდეგი მონაკვეთის შინაარსი შეგნებულად არის შეცვლილი. მთარგმნელმა ბერძნული οὐκ ἔδωκαν αὐτὸ და სირიული ܘܟܘܢܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܐ („არ მისცა ის, სანამ“) ჩაანაცვლა სიტყვებით „მაშინვე მისცა, ოდესცა“, რითაც დადებითი კონტექსტი შეიტანა ტექსტში:

ბერძ. 7.2. Τοῖς γοῦν ἀποστόλοις ὁ Κύριος ἤμῶν οὐκ ἔδωκαν αὐτὸ, ἕως οὗ ἐκαθήρισαν ἑαυτοὺς (PO 11, გვ. 452).

სირ. 13.2. ܘܟܘܢܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܐ ܘܟܘܢܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܐ ܘܟܘܢܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܐ

“Dominus autem non eum dedit Apostolis suis, donec se ipsos mundarunt” (PO 10, გვ. 6084).

ქართ. 11.2. „და მოციქულთა უფალმან ჩუენმან მაშინვე მისცა, ოდესცა თავნი თუისნი განეწმიდეს“ (54rA).

მთარგმნელმა, როგორც ჩანს, ხელნაწერში სიტყვა ὁ διάβολος/ܠܘܠܐ ვერ ამოიკითხა და, კონტექსტის მიხედვით, „გუემა“ შეუნაცვლა:

ბერძ. 7.6. ἀνήγεκε τὸ Πνεῦμα αὐτὸν εἰς τὴν ἔρημον πειρασθῆναι ὑπὸ τοῦ διαβόλου (PO 11, გვ. 454).

სირ. 13.6. ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ

“Tunc duxit eum Spiritus in desertum et tradidit eum *Satanae* ad tentandum” (PO 10, გვ. 610¹¹⁻¹²).

არაბ. 19. “deinde eduxit illum Spiritus in desertum, ut tentaretur a *diabolo*” (PG 40, სვ. 1052C⁴⁻⁵).

ქართ. 11.6. „მამინ გამოიყვანა იგი სულმან უდაზნოდ და მისცა იგი გუემასა გამოსაცდელად“.

შემდეგ მონაკვეთში ქართულ თარგმანში მხოლოდითით არის ჩანაცვლებული სირიულ და ბერძნულ ტექსტებში მრავლობითში მოცემული τῶν δικαίων/ܠܘܠܐ:

ბერძ. 4.2. Πολλὰ αἰ θλίψεις τῶν δικαίων (PO 11, გვ. 442).

სირ. 9.2. ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ “Multae sunt tribulationes *iustorum*” (PO 10, გვ. 5912).

ქართ. 9.2. “მრავალ არს ჭირი მართლისაჲ” (51rA).

მიუხედავად ზედმიწევნითი თარგმანისა, ქართულ ტექსტში სიტყვათა გადაადგილების რამდენიმე შემთხვევა დასტურდება. ასე მაგალითად, ქართულ თარგმანის 11.6-ში სიტყვა „ძალი“, რომელიც წინადადების ბოლოს უნდა ყოფილიყო, ქართველმა მთარგმნელმა გადაანაცვლა და წინ გადაიტანა, რის გამოც ამ მონაკვეთის დასასრულს სიტყვა „უფროდის“ განკერძოებით არის დარჩენილი:

ბერძ. 7.6. Ἡ δὲ δύναμις τοῦ Πνεύματος, μετὰ τοὺς πειρασμοὺς, μέγεθος ἕτερον προστίθησι τοῖς ἀγίοις καὶ δύναμις πλείονα (PO 11, გვ. 454).

სირ. 13.6. ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ

ܠܘܠܐ

“Virtus autem Spiritus post tentationes magis adhuc eos confortat et aliam *magnitudinem* eis adiicit” (PO 10, გვ. 611¹⁻²).

ქართ. 11.6. „ხოლო ძალმან სულისა წმიდისამან, განსაცდელთა მათ შემდგომად, სიდიდე სხუად და ძალი შესძინა წმიდათა, უფროდის“ (54vA).

გვხვდება ასევე არა ზედმიწევნითი, არამედ წინადადების აზრობრივად სწორი გამართვისათვის შინაარსით გადმოღებული მონაკვეთებიც. ასე მაგალითად, შემდეგ წინადადებაში ნათქვამია, რომ „ღვთისმიერი მხურვალეობა ისეთია, როგორც ცეცხლი, და სიცივეს საკუთარ ძალად (სირიული ტექსტის მიხედვით, „ბუნებად“) გადააქცევს“:

ბერძ. 2.3. Ἡ γὰρ κατὰ Θεὸν θερμὴ, οὕτως ἐστὶν ὡς πῦρ, καὶ τὸ ψυχρὸν εἰς τὴν ἰδίαν δύναμις μεταβάλλει (PO 11, 437).

სირ. 3.4. ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ ܕܘܚܘܢܐ ܠܘܠܐ

“Fervor enim veluti ignis est, qui frigus in suam convertit naturam” (PO 10, გვ. 576⁸).¹

ქართ. 2.4. “საღმრთოდ იგი მხურვალეობად ეგრეთ არს, ვითარცა ცეცხლი, რომელმან სიცივე იგი სულისაჲ თუისითა ძალითა მხურვალეობად გარდააქციის” (45vA).

¹ ლათინურად არ არის გადმოღებული ܠܘܠܐ, ქართული თარგმანის „თუისითა ძალითა“ შესატყვისი.

ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსი, ძირითადად, სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს, იმდენად, რომ მასში ხშირად სათარგმნი წყაროს წინადადებების სიტყვათა რიგიც კი არის დაცული. მეორე მხრივ, ჩვენთვის ცნობილ ამონას ეპისტოლეთა შემცველ ტექსტებთან შედარებისას ქართულ თარგმანში აღინიშნება განსხვავებები, რომლებიც მთარგმნელის ან გადამწერის კალამს ეკუთვნის. ასეთია მცირეოდენი განმარტებითი შინაარსის ან წინადადების აზრობრივი გამართვისთვის საჭირო მატებები, ჰენდიადისები, კლება ჰაპლოგრაფიული შეცდომებისა და ჰომოიოტელევტონების მიზეზით, კლება ცალკეული სიტყვებისა და ფრაზებისა, მსგავსი შინაარსის ორი მონაკვეთის ერთით გადმოღება, სიტყვათა ჩანაცვლება ან გადაადგილება და შინაარსით გადმოღებული მონაკვეთები. მთლიანობაში კი თარგმანი უპირატესად ზედმიწევნითია და მაღალ დონეზე შესრულებული, და ამდენად, წარმოადგენს სანდო წყაროს ამონას ეპისტოლეთა არქეტიპის დასადგენად.

ქართული თარგმანის წყარო და რედაქცია

ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსის წყაროდ მკვლევრები ბერძნულ თარგმანს მიიჩნევენ. პირველად ამის შესახებ დაწერა ჟერარ გარიტმა, რომელმაც გამოაქვეყნა ქართ. 2, დაყოფილი 20 წინადადებად, პარალელური ლათინური ტექსტის თანხლებით: G. Garitte. “De unius ex Ammonae epistulis versione Iberica”. *Le Muséon* 89 (1976): 123-131 (საკუთრივ წერილის ტექსტისათვის იხ. გვ. 124-128). მასში გარიტი შენიშნავდა, რომ, ერთი შეხედვით, მკითხველს ქართული თარგმანის წყაროდ შეიძლება უფრო მეტად ჩაეთვალოს სირიული ვარიანტი, ვიდრე ბერძნული, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელში არ დასტურდება რამდენიმე წერილი, რომლებიც წარმოდგენილია ქართულ და სირიულ ეპისტოლეთა კორპუსში.¹ იგი წერდა, ასევე, რომ საკუთრივ ეპისტოლეთა ქართული ტექსტი ემსგავსება უფრო მეტად სირიულს, ვიდრე ბერძნულს და რომ ქართ. 2-ის მეორე ნაწილი, კერძოდ, ##13-20 წინადადებები ბერძნულში არ არის მოცემული ამ ადგილას, სირიულსა და ქართულში კი აქვე დასტურდება,² მაგრამ ვინაიდან ქართულ თარგმანში ვერ მოიძებნა ვერც ერთი სემიტური იდიომი, რაც სირიულიდან თარგმნილ ტექსტში მოსალოდნელი იყო³ (აქვე დავძენთ, რომ ქართულ თარგმანში არც სემიტური ენებისთვის დამახასიათებელი ნაცვალსახელური პლეონაზმის შესატყვისები დასტურდება), ამიტომ ჩათვალა, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს ძველი ბერძნული წყაროდან და მხოლოდ ჰგავს სირიულს: „Ceterum nulli dubium quin coniectura fieri possit versionem georgianam ex exemplari graeco manasse antiquiore et syriaco similiore“.⁴ ამასთანავე, აქვე, რედაქციებთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავდა იმასაც, რომ ამონას წერილთა სამი რედაქციიდან (ბერძნული, სირიული, ქართული) რომელიმე ორს შორის არ დასტურდება სრული და მუდმივი თანხვედრა: “Ex his apparet relationes trium formarum Epistulae varias diversasque esse neque ullam constantem fixamque concordiam existere inter duas quasdam e tribus recensionibus”.⁵

¹ “nonnullas Epistulas georgianas syriace tantum (at non graece) inveniri (ita G 5, 6, 7, 8, 12, 14), saltem si textibus typis editis attendimus. His generatim conspectus, probabilius esse credas versionis georgianae fontem immediatum fuisse exemplar syriacum quam exemplar graecum”, Garitte, 1976, გვ. 124.

² “Quod ad tenorem textus pertinent, primo aspectu animadvertis versionem georgianam similiorem esse syriaco quam graeco, cum pars extrema Epistulae nostrae (sc. #13-20) in graeco hic desit, in syriaco autem, aequae ac in georgiano, hoc loco legatur“, Garitte, 1976, გვ. 128.

³ „Prius observandum in textu G nullum idioma semiticum inveniri, ut in versione syriaci alicuius exemplaris valde exspectandum est“, Garitte, 1976, გვ. 128.

⁴ Garitte, 1976, გვ. 131.

⁵ Garitte, 1976, გვ. 131.

ქართული თარგმანის ბერძნული წარმომავლობის შესახებ მიუთითებდა რუბენსონი, რომლის თანახმადაც იმ პერიოდში, როდესაც ეპისტოლეთა ქართული კრებული ითარგმნა, უნდა არსებულიყო ბერძნულ წერილთა უფრო დიდი კორპუსი, ვიდრე ის, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. იგი წერს: “Since the Georgian version is translated from Greek there must have existed a larger Greek corpus than in the preserved manuscripts, at the time of translation”.¹ ბერძნულიდან ქართული თარგმანის მომდინარეობის შესახებ მოსაზრებას იმეორებს გ.ფარაგიც: “toutes les autres versions traduites à partir du grec comme la version syriaque, la géorgienne et celles en d’autres langues”.²

სწორედ ამ მიზეზით და იმის გამოც, რომ ქართული მთარგმნელობითი სკოლები, პირველ რიგში, ბერძნულენოვან ნაშრომთა მიტანას ესწრაფოდნენ ქართველ მკითხველამდე, ჩვენი კვლევა დავიწყეთ ბერძნული კრებულიდან და შევუდარეთ მას ეპისტოლეების რაოდენობა, ნუმერაცია, მიმდევრობა, ტექსტი და მისი შედგენილობა.

ეპისტოლეთა ქართული კორპუსი სათაურების თვალსაზრისით სრულად არც ბერძნულ ტექსტს თანხვედბა და არც სირიულს. წერილთა საერთო სათაურებია: „თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონასი“ (46rA) და „წმინდისა და ნეტარისა მამისა ამონადისი“ (59rC; B ნუსხის ეპისტოლეებს საერთო სათაური არ აქვთ). ისინი არ ემთხვევა ბერძნულს: Τοῦ ἁγίου καὶ θεοφύρου πατρὸς ἡμῶν ἁββᾶ Ἀμμωνᾶ περὶ ἡσυχίας („წმინდისა და ღმერთმემოსილი ჩვენი მამის, აბბა ამონასი დაყუდების შესახებ“).³ სრული თანხვედრა არ დასტურდება არც სირიულ ხელნაწერებში დაცულ კრებულთა სათაურებთან:

A – 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 ,𐌆𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 („წერილები ნეტარი ამონიას განდეგილისა“).

B – 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 („წერილები ამონიასისა“).

C – ,𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆 𐌆𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌆𐌆𐌆 (კვლავ წერილები ამონიას განდეგილისა თავის მოწაფეთა მიმართ“).

V – 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌆𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 ,𐌆𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌆𐌆𐌆 (კვლავ წერილები, დარიგებები და შეგონებები ნეტარი ამონიას განდეგილისა და ეპისკოპოსისა, განდეგილი ძმებისა და თავისი საყვარელი [სულიერი] შვილების მიმართ“).

W – 𐌆𐌆𐌆 (sic!) 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 ,𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌆𐌆𐌆

𐌆𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 (კვლავ წერილები წმინდა ნეტარი ამონიას განდეგილისა და ოქსინირქოსის (sic!) მონასტრის ეპისკოპოსისა, მმათა მიმართ“).⁴

ქართულ და სხვა თარგმანებში არ გვხვდება ქვესათაურები, რომლებიც ბერძნულ წერილებს, სავარაუდოდ, კომპილატორმა დაურთო: περὶ ἡσυχίας („დაყუდების შესახებ“, ბერძ. 1), περὶ ὑεαρῦας τῆς χάριτος (“მადლის მომუშავეების შესახებ“, ბერძ. 2), περὶ τᾶν... πειρασμῶν („განსაცდელთა შესახებ“, ბერძ. 4), და ა.შ. ბერძნულ და სირიულ წერილებს ავტორის სახელი არ ახლავს, არამედ მათში მოცემულია მხოლოდ ეპისტოლეთა რიგითი ნომერი: ἐπιστολῆ β’, ἐπιστολῆ γ’, 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆, 𐌆𐌆 𐌂𐌆𐌆𐌃𐌆 „წერილი მესამე“, „წერილი მეოთხე“ და ა.შ. ზოგ ნუსხაში, მაგალითად, Sin. gr. 462-ში, აშიაზე მხოლოდ წერილის ნუმერაცია (B 𐌂, 𐌆, 𐌆, 𐌂) არის მითითებული (222v-225v).

ქართულ ეპისტოლეებს, ჩვეულებრივ, წინ უძღვის ავტორის სახელი და წერილის ნუმერაცია. ყველაზე მწყობრად და ერთგვაროვნად ეპისტოლეთა სათვალავი C ნუსხაშია მოცემული. დანარჩენ ორ ნუსხაში ის ზოგჯერ სიტყვიერად არის ჩაწერილი, ზოგჯერ –

¹ Rubenson, 2015, გვ. 73.

² Farag, 2012, გვ. 79.

³ PO 11, გვ. 432.

⁴ PO 10, გვ. 567.

ანბანური სათვალავით, ზოგჯერ კი ამ უკანასკნელს წინსართიც დაერთვის. A ნუსხაში წერილის ნუმერაციის მითითება გვხვდება სიტყვიერად („წმიდისა ამონაასი მესამე“, „წმიდისა ამონაასი მეოთხე“, „წმიდისა ამონაასივე მეთხუთმეტე“, იხ. ქართ. 3, 4, 15) და რიგითი ნომრის მითითებით. ამასთან, რიგით ნომერს უფრო ხშირად წინ უძღვის „მე-“ წინსართი („წმიდისა ამონაასი მე-ბ“, „ამონაასივე მე-ვ“, იხ. ქართ. 2, 6-8, 10-14, 16), ზოგჯერ კი ნუმერაცია მის გარეშეა მოცემული („ამონაასივე ე“, ქართ. 1, 5, 9). რიგ შემთხვევებში, ავტორის სახელთან გვხვდება „წმიდისა“ („წმიდისა ამონაასივე მე-იდ“, ქართ. 1-4, 8-11, 13-16), სხვაგან კი სახელი მის გარეშეა მოცემული („ამონაასივე მე-ზ“, იხ. ქართ. 1, 5, 6, 7, 12). აღსანიშნავია ისიც, რომ ხელნაწერებში, ჩვეულებრივ, ამონა ნიტრიელის სახელსა და წერილის ნუმერაციას მთელი სტრიქონი ეთმობა, თუმცა A ნუსხის ქართ. 5, 6, 7, 12 წერილებში მათ ტექსტი იმავე სტრიქონზე მოსდევს.

ეპ.	Sin. geo. 35	Sin. geo. 25	Sin. geo. n. 13
1	თქუმული ნეტარისა მამისა ჩუენისა ამონაასი ა		ა. წმიდისა და ნეტარისა მამისა ამონაასი
2	წმიდისა ამონაასი მე-ბ		ამონაასივე ბ
3	წმიდისა ამონაასი მესამე	ამონაასივე გ	ამონაასივე გ
4	წმიდისა ამონაასი მეოთხე		ამონაასივე დ
5	ამონაასივე ე		ამონაასივე ე
6	ამონაასივე მე-ვ		ამონაასივე ვ
7	ამონაასივე მე-ზ		ამონაასივე ზ
8	წმიდისა ამონაასივე მე-ლ		
9	წმიდისა ამონაასივე თ		
10	წმიდისა ამონაასივე მე-ი		
11	წმიდისა ამონაასივე მე-ია		
12	ამონაასივე მე-იბ		
13	წმიდისა ამონაასივე მე-იგ	წმიდისა ამონაასივე იგ	
14	წმიდისა ამონაასივე მე-იდ		
15	წმიდისა ამონაასივე მეთხუთმეტე	წმიდისა ამონაასივე მეთხუთმეტე	ამონაასი იე
16	წმიდისა ამონაასივე მე-ივ ¹	წმიდისა ამონაასი	[...]²

ცხრილი 2. ეპისტოლეთა ნუმერაცია ქართულ ხელნაწერებში.

ქართულ ეპისტოლეთა კორპუსი, წერილთა რაოდენობის მხრივ თითქმის სრულია. იგი სირიულ კრებულს სულ ერთი წერილით ჩამორჩება და შეიცავს 13 წერილს, ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსი კი – მხოლოდ რვას.

ეპისტოლეთა ნუმერაციისა და მიმდევრობის თვალსაზრისით, ქართული თარგმანი უახლოვდება სირიულ წერილთა კრებულს, ხოლო ბერძნულთან მისი თანხვედრის ერთი შემთხვევაც არ აღინიშნება (მდრ. ცხრილი 1). ქართულ ეპისტოლეთა კორპუსიდან ბერძნულ წერილებს შეესაბამება ქართ. 1-4, 9-12, ხოლო სირიულ ეპისტოლეებს (სირ. 1-13) – ქართ. 1-12 და 14. არ არის თარგმნილი მხოლოდ სირ. 14-ის შესაბამისი წერილი, რომელიც შინაარსის მიხედვით ძალიან ჰგავს კომპილაციურ ნამუშევარს. წერილთა ერთ ჯგუფს ქართულ, სირიულ (განსაკუთრებით ACVW ნუსხებში) და არაბულ თარგმანებში ერთნაირი მიმდევრობა აქვს, დანარჩენი კი არეულია. კერძოდ, ქართ. 1-9 (ქართ. 3-ის გამოკლებით), თანხვდება სირ. 2-9 წერილთა მიმდევრობას, ამასთან, ექვსი ქართული ეპისტოლე სირიულის, კერძოდ კი, CW ნუსხათა იდენტური მიმდევრობითა და ნუმერაციით არის წარმოდგენილი (ქართ. 4-9). მიმდევრობის მსგავს თანხვედრას ვხვდებით არაბულ წერილთა კორპუსშიც, სადაც არაბ. 9-14 ემთხვევა სირ. 2-7-ს, ხოლო მერვე წერილს სირიულ, ქართულ და არაბულ კორპუსებში ერთი

¹ რიგითი ნომერი ეპ. 16-თან A ხელნაწერის ტექსტში ჩამატებულია.
² ამ წერილის ფოტოპირის არქონის გამო მის ზუსტ ნუმერაციას ვერ ვუთითებთ.

და იგივე ნუმერაცია აქვს მითითებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველწყაროში, საიდანაც ეპისტოლეთა ეს კრებული გადმოღებული იქნა, სავარაუდოდ, ფურცელთა ნაწილი ხელნაწერის დასაწყისსა და ბოლოში ამოვარდნილი იყო, რამაც გამოიწვია ფურცელთა მიმდევრობის აღრევა და წერილთა გარკვეული ნაწილის არასწორი თანმიმდევრობით დალაგება, მით უფრო, რომ წერილთა შინაარსით მათი მიმდევრობისა და ქრონოლოგიის დაზუსტება სრულიად შეუძლებელია.

ამასთანავე, პირველწყაროში, როგორც ჩანს, წერილებს ერთმანეთისგან არც სათაური, ავტორის სახელი და ნუმერაცია გამოჰყოფდა. ისინი, სავარაუდოდ, ჩაწერილი იყო აშიებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში გადაირეცხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთარგმნელ-გადამწერები ეპისტოლეებს სწორი თანმიმდევრობით დაალაგებდნენ და წერილთა მიმდევრობის აღრევა არ მოხდებოდა. ალბათ სწორედ ამ მიზეზის გამო შეერია ისინი ანტონი დიდის წერილებს არაბულ ეპისტოლეთა კორპუსში (ვინაიდან ამონას ეპისტოლეთა შემცველ არაბულ და სამივე ქართულ ხელნაწერში ამონას წერილებთან ერთად ანტონი დიდის ეპისტოლეებიც არის მოცემული, საფიქრებელია, რომ ამ ორი მოღვაწის ნამუშავევი მათ პირველწყაროშიც ერთად იყო დაცული).

ქართულ ეპისტოლეთა კორპუსი არაბულ თარგმანზე ადრეა გადმოღებული. ამის შესახებ გვარწმუნებს როგორც არაბულ ხელნაწერთა, კერძოდ, კაიროს კოპტური მუზეუმის ხელნაწერ Copt. Mus. 93-ის (XVII-XVIII სს.) კოლოფონი (126v), რომელშიც ნათქვამია, რომ „წმინდა და დიდი ანტონის ეს წერილები და ეს სწავლება ითარგმნა არაბულად მარტვილთა წ.აღ. 786 წლის ბოლოს (= 1070 წ.; მკვლევართა შესწორებით, 986 და 1270 წწ.)“¹; ასევე ამონას არაბულ წერილთა მიმდევრობაც, რომელშიც, როგორც ჩანს, სირ. 8-ის შესაბამისი არაბ. 8 მხოლოდ მას შემდეგ მოექცა არაბ. 9-14-ის წინ, რაც გადმოღებული იქნა ქართული კორპუსი, რომლის ნუმერაციაში ქართ. 8 მოსდევს არაბ. 9-14-ის შესაბამის ქართ. 1-7 ეპისტოლეებს (ქართ. 3-ის გამოკლებით) და უპირატესად ემთხვევა სირიულ წერილთა (განსაკუთრებით CW ხელნაწერთა) მიმდევრობას (სირ. 2-8). სხვაგვარად რომ ითქვას, ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ და არაბულ ტექსტებთან შედარებით უფრო ადრეული წყაროდან.²

ეპისტოლეთა მიმდევრობასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ აპოფთეგმურ კრებულსაც, რომელშიც ამონას წერილის დამოწმება გვხვდება. აპოფთეგმათა „გამოკრებული“ კოლექციის თ. 35-ში, სათაურით „სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა“ (Ath. 17, XI ს-ის დასაწყისი, 322r/324r), ერთ-ერთი მოკლე აპოფთეგმის ავტორად სახელდება ამონა („თქუა მამამან ამონა“), თუმცა მისი ტექსტი არ შეესაბამება ამონას სახელით ცნობილ გადმოცემებს, არამედ ამონას ერთ-ერთი წერილის დასაწყისს (ბერძ.2.1/სირ.2.1/ქართ.1.1), რომელსაც აპოფთეგმის ქართული ტექსტი ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით თანხვდება. ეპ. 2-ის ნაწყვეტი დასტურდება აპოფთეგმათა კოპტურ კორპუსში (მას ქვემოთ განვიხილავთ). იგი გვხვდება სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* (Λόγος Ἀσκητικός) არაბულ თარგმანშიც (თთ. 78-85), სადაც ეს წერილი სრულად არის დამოწმებული.³ აპოფთეგმათა კრებულსა და სტეფანე თებელის დასახელებულ ნაშრომში ამონას ეპ. 2-ის დამოწმება მიუთითებს ამ წერილის უფრო მეტ პოპულარობაზე

¹ “Ces lettres et cet enseignement du saint et grand Antoine ont été traduits en arabe vers la fin de l’année 786 des martyrs (1070), dans son couvent célèbre du desert d’at-Tarbeh, et cela, d’après deux manuscrits. Ce qui n’était pas clair dans un manuscrit a été pris de l’autre”, Graf, 1934, გვ. 35; Garitte, 1939, გვ. 29. იხ. აგრეთვე, Farag, 2012, გვ. 86, შენ. 255.

² Garitte, 1970, გვ. 75.

³ სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* არაბული ტექსტის შესაბამის ბერძნულ წყაროსა (Places, 1969, გვ. 51-53) და ქართულ თარგმანში („სწავლაჲ სტეფანე მონაზონისაჲ“) ეს მონაკვეთი შეტანილი არ აღმოჩნდა, არამედ მის ნაცვლად წარმოდგენილია „მამაო ჩვენო“-ს ლოცვის მეორე ნაწილი, ზედ დართული მოკლე განმარტებით. იხ. Garitte, 1970, გვ. 85-86.

ასკეტურ წრეებში მის სხვა წერილებთან შედარებით. ამის მიზეზი არ არის ნათელი, ვინაიდან ეს ეპისტოლე, განსაკუთრებით კი მისი ციტირებული პირველი სტრიქონები, არაფრით არის უფრო მნიშვნელოვანი და გამორჩეული ამ ავტორის დანარჩენ წერილებთან შედარებით. არ გამოვრიცხავთ, რომ ამონას ეპისტოლეთა კორპუსის ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი სწორედ ამ წერილით იწყებოდა, ისე, როგორც ქართულ კრებულში, რომ მისი პირველი წინადადება ზეპირად ახსოვდათ მწიგნობრებს და საკუთარ ნაშრომებში იმოწმებდნენ მას. ნიშანდობლივია, რომ სირ. 1 ეპისტოლე სირიულ კრიტიკულ გამოცემაში შეტანილ ყველა ხელნაწერში წარმოდგენილია კორპუსის დასაწყისში, მაგრამ ნუმერაციის მითითების გარეშე და შესაძლებელია, პირველწყაროში სხვა ნუმერაცია ჰქონოდა, მით უფრო, რომ ეს წერილი არ არის განთავსებული არცერთი სხვა კორპუსის დასაწყისში. იგივე შეიძლება ითქვას არაბული კორპუსის არაბ. 8 წერილის შესახებაც, რომლის შესატყვისი ბერძნული (ბერძ. 4), სირიული (სირ. 8) და ქართული (ქართ. 8) ეპისტოლეები შესაბამის კრებულთა შუაგულში არიან განთავსებულნი და არც ერთი მათგანი, არაბ. 8-ის მსგავსად, არ იწყებს ამონას ეპისტოლეთა კორპუსს (იხ. ცხრილი 1).¹

სირიულ წერილთა კრებულს ქართულ ეპისტოლეთა კორპუსი თანხვდება შედგენილობის თვალსაზრისითაც. ჩვენ დაწვრილებით აღვნიშნეთ ის მონაკვეთები, რომლებიც დასტურდება ქართულ თარგმანში, ხოლო ბერძნულ ტექსტს აკლია და მათი შესატყვისი სტრიქონები მხოლოდ სირიულშია დაცული. ასეთი ათი მონაკვეთი აღმოჩნდა, მათ გარდა კი ეპ. 5, 6, 7, 8, რომლებიც ქართულ და სირიულ თარგმანებში წარმოდგენილია ერთნაირი ნუმერაციით, ხოლო ბერძნულ ენაზე არ არის მოღწეული:

ქართ. 1.2b = სირ. 2.2b (PO 10, გვ. 572¹¹⁻¹³).

ქართ. 9.6a = სირ. 10.1a (გვ. 594¹⁻⁴).

ქართ. 2.4a = სირ. 3.4a (გვ. 576³⁻⁶).

ქართ. 2.4c = სირ. 3.4c (გვ. 577³⁻⁵).

ქართ. 11.4b = სირ. 13.4c (გვ. 610⁴⁻⁵).

ქართ. 11.6b = სირ. 13.6b (გვ. 611²⁻⁶).

ქართ. 11.7b = სირ. 13.7b (გვ. 612^{1-2a}).

ქართ. 11.8 = სირ. 13.8 (გვ. 612³⁻⁶).

ქართ. 11.9a = სირ. 13.9 (გვ. 613³⁻⁶).

ქართ. 11.9b = სირ. 13.11b (გვ. 615²⁻³).

პირუკუ შემთხვევა კი, როდესაც ქართულად თარგმნილი მონაკვეთი ბერძნულში დასტურდება, ხოლო სირიულს აკლია, არის ერთადერთი:

ბერძ. 5.1-2a (446-447^{5a}) = ქართ. 10.1-2a.

ბერძნული კრებულის ორი ეპისტოლე შედგენილია მონაკვეთებისაგან, რომლებიც სირიული კორპუსის სხვადასხვა წერილებს ან წერილთა მონაკვეთებს შეესატყვისება. ასე მაგალითად, ბერძ. 2 შეესაბამება სირ. 2.1-2-სა და 3.4-ს, ბერძ. 4 კი – სირ. 9, 10.1-2 და 8b-ს. პირველ შემთხვევაში, ქართული თარგმანის (ქართ. 1) შედგენილობა ემთხვევა სირიული წერილის შედგენილობას (სირ. 2) და არა ბერძნულისას (ბერძ. 2), მეორე შემთხვევაში კი ქართული თარგმანი (ქართ. 9), ბერძნულის (ბერძ. 4) მსგავსად, შეიცავს სირ. 9 და 10.1-2-ის შესატყვის მონაკვეთებს, ხოლო სირ. 8b-ს შესაბამისი მონაკვეთი სირ. 8a-სთან ერთად, სირ. 8-ს მსგავსად, ერთ ეპისტოლედ არის ნათარგმნი.

ეპისტოლეთა შედგენილობასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ მათში წარმოდგენილი მისასალმებელი და გამოსათხოვარი ფრაზებიც. ზოგი წერილი ერთნაირად, მისალმებით იწყება, როგორც, მაგალითად, „საყუარელთა მაგათ უფლისა მიერ სიხარული“

¹ იხ. გვ. 206.

(ქართ. 1.1; Τοῖς ἀγαπῶσις ἐν Κυρίᾳ χάρις, ბერძ. 2.1) და სრულდება გამოსათხოვარი სიტყვებით: „განძლიერდით სულითა“ (ქართ. 3.6; Ἐρίψθε ἐν Πνεύματι ἀγά. Ἄμην, ბერძ. 1.6), თუმცა ზოგ წერილს მისალმება და დამშვიდობება აკლია. სირიული წერილების მიმდევრობის მიხედვით აღნუსხული ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი იძლევა ნათელ შთაბეჭდილებას, თუ რომელ წერილს აქვს მისასალმებელი და გამოსათხოვარი სტრიქონები. ქართულ წერილთაგან ოთხ ეპისტოლეს აკლია მისასალმებელი (ქართ. 6, 9, 12, 14) და ორს – გამოსამშვიდობებელი (ქართ. 9, 12) სიტყვები. ამასთან, მისალმება-დამშვიდობების თვალსაზრისით, ქართული კრებული 6 წერილში ემთხვევა სირიულს (ქართ. 1, 5, 6, 7, 8, 14), 1 წერილში – ბერძნულს (ქართ. 4), 1 წერილში კი – ბერძნულსაც და სირიულსაც (ქართ. 12).

ბერძნული		2	6	3				4b	4a	8	5	1	7	
მისალმება		+	+	+					-	-	-	-	+	
დამშვიდობება		-	-	+				+		-	+	+	-	
ქართული	14	1	2	4	5	6	7	8	9	12	10	3	11	
მისალმება	-	+	+	+	+	-	+	+	-	-	+	+	+	
დამშვიდობება	+	+	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	+	
სირიული	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
მისალმება	-	+	-	-	+	-	+	+	-	-	-	+	-	-
დამშვიდობება	+	+	+	+	+	+	+	+	+	-	+	-	+	+
არაბული	15	9	10	11	12	13	14	8					19a	19b
მისალმება	-	+	-	-	+	+	+	+					-	-
დამშვიდობება ¹	+	+	+	+	+	+	+	+					-	+

ცხრილი 3. მისალმება და დამშვიდობება ეპისტოლეებში.

ბერძნულ კრებულში დასტურდება ისეთი მონაკვეთები, რომელთაც არც სირიული ტექსტი შეესაბამება და არც ქართული. ამის მაგალითებია ბერძ. 4-ის ბოლო წინადადება (PO 11, გვ. 446₃₋₄) ან ბერძ. 8-ის ერთ-ერთი მონაკვეთი (Marriott, 1918, გვ. 47₆₋₉). სირიულ ტექსტში მსგავსი მეტობები უფრო ხშირია. ქართულ ეპისტოლეთა კორპუსში ისეთი მონაკვეთი, რომელიც არ შეესაბამება არც ბერძნულს და არც სირიულს, არის ერთადერთი (ქართ. 14.1b), თუმცა იგი თანხვედბა არაბულ თარგმანში წარმოდგენილ ამავე შინაარსის მქონე სტრიქონებს (არაბ. 15).²

ამგვარად, ქართულ ეპისტოლეთა კორპუსი წერილთა მიმდევრობის, ნუმერაციისა და შედგენილობის თვალსაზრისით ყველაზე მეტად სირიულ წერილთა კორპუსს უახლოვდება, კერძოდ, შეიცავს თითქმის იმდენივე ეპისტოლეს, რამდენსაც იგი (აკლია ერთადერთი წერილის, სირ. 14-ის შესაბამისი ეპისტოლეს თარგმანი), თანხვედბა მის ეპისტოლეთა მიმდევრობას რამდენიმე წერილის გამოკლებით, ხოლო 6 ეპისტოლე სირიული კრებულის იდენტური ნუმერაციით აქვს მოცემული (ეპ. 4-9).

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში სხვადასხვა ენაზე მოღწეულ ეპისტოლეთა შეპირისპირებით თვალნათლივ ჩანს მათი შედგენილობა. ცხრილი გამართულია სირიულ წერილთა ნუმერაციის მიხედვით. ეპისტოლეები მითითებულია შემდეგ გამოცემებზე დაყრდნობით: ბერძ. 1-7 – PO 11, ბერძ. 8 – Marriott 1918, სირიული კორპუსი – PO 10, არაბული – PG 40, ეთიოპური – Arras 1963 (CSCO 239), სომხური – *Vitae Patrum* 1855, ქართული კი – უმეტესწილად A ხელნაწერის (Sin.geo. 35) მიხედვით:

¹ გამოსათხოვარი სიტყვები არაბულ ეპისტოლეებში ძირითადად განვრცობილ-გადამუშავებულია.

² Ecchellensis, 1641, გვ. 78; PO 40, სვ. 1031B₁₁-C₂.

ბერძნული	ქართული	სირიული	არაბული	ეთიოპური	სომხური
	ქართ. 14.1-3	სირ.1.1-3 (გვ. 567-70)	არაბ. 15 (სვ. 1030-31A₂)¹		სომხ. 2 (გვ. 599-602)
	ქართ. 14.1a	= სირ. 1.1	= არაბ. 15 (1030D _{8-11,12-1031A₃-B₁₀)}		= სომხ. 2 ₁ (599-600 ₈)
	ქართ. 14.1b		= არაბ. 15 (1031B ₁₁ -C ₂)		
	ქართ. 14.2-3	= სირ. 1.2-3	= არაბ. 15 (1031C ₂ -D ₁₀)		=სომხ.2 _{III} .3b ² (602 ₁₆₋₂₀)
ბერძ. 2.1-3 (გვ. 434-7)	ქართ. 1.1-2	სირ. 2.1-2 (570-2)	არაბ. 9 (1021-1023)³		სომხ. 2 (599-602)
ბერძ. 2.1-2	= ქართ. 1.1-2a	= სირ. 2.1-2a	= არაბ. 9 (1021D-22D ₉)		= სომხ. 2 _{IV} .1 (600 ₁₇₋₂₃)
	ქართ. 1.2b	= სირ. 2.2b (572 ₁₁₋₁₃)	= არაბ. 9 (1022D ₉ -23A ₂)		
ბერძ. 2.3 (437)	= [ქართ. 2.4b]	= [სირ. 3.4b (576 ₆ -577 ₃)]	= [არაბ. 10 (1024B ₂ -C ₁₁)]		
ბერძ. 6.1-3 (450-2)	ქართ. 2.1-4	სირ. 3.1-4 (573-577)	არაბ. 10 (1023-1024)⁴		სომხ. 2 (599-602)
ბერძ. 6.1-3a (450-52 _ა)	= ქართ. 2.1-3a	= სირ. 3.1-3a (573-575 ₁₀)	= არაბ. 10 (1023A-D ₈)		= სომხ. 2 _{II} .2 (600 ₈₋₁₁), 2 _{IX} .1 (602 ₈₋₉), 2 _{XII} .2 (602 ₁₃₋₁₅)
		სირ. 3.3b (575 ₁₁)			
ბერძ. 6.3b (452 _{ბ-9})	= ქართ. 2.3b	= სირ. 3.3c (575 ₁₂ -76 ₂)	= არაბ. 10 (1023D ₈ -24A ₁₀)		
	ქართ. 2.4a	= სირ. 3.4a (576 ₃₋₆)	= არაბ. 10 (1024A ₁₀ -B ₂)		
[ბერძ. 2.3 (437)]	= ქართ. 2.4b	= სირ. 3.4b (576 ₆ -77 ₃)	= არაბ. 10 (1024B ₂ -C ₁₁)		
	ქართ. 2.4c	= სირ. 3.4c (577 ₃₋₅)	= არაბ. 10 (1024C ₁₁ -D ₄)		
ბერძ. 3.1-2 (438-40)	ქართ. 4.1-2	სირ. 4.1-2 (577-580)	არაბ. 11 (1024-26)⁵		სომხ. 2 (599-602)
ბერძ. 3.1 (438-39 ₁₁)	ქართ. 4.1	სირ. 4.1 (577-579 ₃)	არაბ. 11 (1024-25D ₉) ⁶		= სომხ. 2 _X .1 (600 ₂₃₋₂₉)
ბერძ. 3.2 (439 ₁₂ -40)	ქართ. 4.2	სირ. 4.2 (579 ₄ -580)	არაბ. 11 (1025D ₉ -26) ⁷		= სომხ. 2 _V .2 (602 ₉₋₁₁)
	ქართ. 5	სირ. 5 (580-581)	არაბ. 12 (1026-27)⁸		
	ქართ. 6.1-2	სირ. 6.1-2 (582-3)	არაბ. 13 (1027D₄-28D₁₃)⁹		სომხ. 2 (599-602)
			არაბ. 13 (1027D ₄ -11)		
	ქართ. 6.1-2	= სირ. 6.1-2 (582-3)	= არაბ. 13 (1027D ₁₂ -28D ₁₃)		= სომხ. 2 _{XI} .1 (602 ₁₁₋₁₃)
	ქართ. 7.1-2	სირ. 7.1-2 (584-86)	არაბ.14 (1029-30D₅)¹⁰		
	ქართ. 8	სირ. 8 (586-588)	არაბ. 8 (1019-21)¹¹		
	ქართ. 8a	= სირ. 8a (586 ₄₋₉)	= არაბ. 8 (1019D ₃ -20D ₈)		
[ბერძ. 4.8-9a]	= ქართ. 8b	= სირ. 8b (586 ₉ -588 _{2a})	= არაბ. 8(1020D ₈ -21B ₁₁)		
	ქართ. 8c	= სირ. 8c (586 _{2b-11})	= არაბ. 8(1021B ₁₃ -23A)		
ბერძ. 4.1-9 (440-6)	ქართ. 9.1-7	სირ. 9.1-5 (589-93)			სომხ. 2 (599-602)
ბერძ. 4.1-5	= ქართ. 9.1-5	= სირ. 9.1-5			= სომხ.2 _{VI} .1-3 (600 ₂₉ -602 ₂)
	ქართ. 9.6a	= [სირ. 10.1a]			
ბერძ. 4.6	ქართ. 9.6b	= [სირ. 10.1b(594 ₄₋₁₀)]			
ბერძ. 4.7	= ქართ. 9.7	= [სირ. 10.2a (595 ₁₋₃)]			= სომხ.2 _{VII} .7 (602 ₂₋₄)
ბერძ.4.8-9a(445-46 ₃)	= [ქართ. 8b]	= [სირ. 8b (586 ₉ -88 ₂)]	= [არაბ. 8 (1020D ₈ -21B ₁₁)]		
ბერძ. 4.8-9b (446 ₃₋₄)					
ბერძ. 8.1-6 (M47-48)	ქართ. 12.1-6	სირ. 10.1-3 (594-8)		ეთ. 1 (121-3)	სომხ. 1 (597-599)
	[ქართ. 9.6a]	= სირ. 10.1a			
[ბერძ. 4.6]	[ქართ. 9.6b]	= სირ. 10.1b (594 ₄₋₁₀)			
[ბერძ. 4.7]	= [ქართ. 9.7]	= სირ. 10.2a (595 ₁₋₃)			
ბერძ. 8.1-2a	= ქართ. 12.1-2	= სირ. 10.2b (595 ₃ -96 ₃)		=ეთ.1 (121 ₂₄ -22 ₄)	= სომხ. 1 (597 ₁ -98 ₃)
ბერძ. 8.2b (M47 ₆₋₉)					
ბერძ. 8.3	= ქართ. 12.3	= სირ. 10.2c (596 ₃ -596 ₁₀)		= ეთ. 1 (122 ₅ -12)	= სომხ. 1 (598 ₄₋₁₆)
ბერძ. 8.4-6	= ქართ. 12.4-6	= სირ. 10.3		=ეთ.1 (122 ₁₂ -23 ₄)	= სომხ. 1 (598 ₁₆ -599 ₁₇)
					სომხ. 1 (599 ₁₇₋₂₁)
ბერძ. 5.1-7 (446-50)	ქართ. 10.1-7	სირ. 11.*1-6 (598-603)			სომხ. 2 (599-602)
ბერძ. 5.1-2a (446-47 _{3a})	= ქართ. 10.1-2a				
ბერძ. 5.2b-5 (447 _{3b} -49)	= ქართ. 10.2b-5	= სირ. 11.1-4			= სომხ. 2 _{III} .4 (600 ₁₂₋₁₅)

¹ არაბ. 15.1 (სვ. 1030D_{8-11,12-1031A₃-B_{10,11}-C₂), 15.2 (1031C₂₋₁₄), 15.3 (1031D₃₋₁₀).}

² ვინაიდან სომხური ეპისტოლეები გამოცემასში არ არის დაყოფილი ქვეთავებად, მათთვის დართულ ქვეთავთა ნუმერაციამ ვუთითებთ შესაბამისი სირიული წერილების ქვეთავებს. ასე მაგალითად, სომხ. 2.3b-ში ვგულისხმობთ სომხ. 2-ის შესაბამის სირ.1-ის 3b ქვეთავს (b-ს, ანუ ქვეთავის მეორე ნაწილს).

³ არაბ. 9.1 (სვ. 1021D-B), არაბ. 9.2 (1022C_{1-9,12}-D₁₁).

⁴ არაბ. 10.1 (სვ. 1023A-B₅), 10.2 (1023B₅-C₂), 10.3 (1023C_{2-12,12}-D₄,D₄-1024A₃, B₂-C_{8,10-11,13}-D_{4,4-5}).

⁵ არაბ. 11 (სვ. 1024D₈₋₁₀, 1025A_{1-12,13}-B_{1,14},C₆₋₁₂,D₂₋₁₁,1026A₂-B_{3,7-10}).

⁶ არაბ. 11 (სვ. 1024D₈₋₁₀, 1025A_{1-12,13}-B_{1,14},C₆₋₁₂,D₂₋₁₁,1026A₂-B_{3,7-10}).

⁷ არაბ. 11 (სვ. 1024D₈₋₁₀, 1025A_{1-12,13}-B_{1,14},C₆₋₁₂,D₂₋₁₁,1026A₂-B_{3,7-10}).

⁸ არაბ. 12 (სვ. 1026C-D₉, 1027A_{5-10,15}-B₄,C_{8-14,14-15}).

⁹ არაბ. 13.1 (სვ. 1027D₁₁-A_{10,12}-B_{2,4-7}), 13.2 (B_{8-12,14}-C_{2,4,7-9,10-11},D_{1-3,8-9}).

¹⁰ არაბ. 14.1 (სვ. 1029A_{4-6,10-14},B₂₋₇,C₃₋₁₃), 14.2 (1029C₁₃₋₁₄,D₄₋₁₀, 1030A₁₋₇,B_{1-3,5,9-14}).

¹¹ არაბ. 8a (სვ. 1019D₃₋₆, 1020A₆₋₈, C₁₃-D_{3,6-8}), არაბ. 8b (1020D₈-1021A₁₀, B₂-B₁₁), არაბ. 8c (1021B₁₃-C_{5,10-13,13}-D₈).

ბერძ. 5.6a	= ქართ. 10.6a	= სირ. 11.5a (602 ¹⁻⁷)			= სომხ. 2 ^{III} .5a (600 ¹⁵⁻¹⁶)
		სირ. 11.5b (602 ⁷⁻⁹)			
ბერძ. 5.6b	= ქართ. 10.6b	= სირ. 11.5c (602 ⁹⁻¹⁰)			
ბერძ. 5.7	= ქართ. 10.7	= სირ. 11.6			
ბერძ. 1.1-6 (432-4)	ქართ. 3.1-4,6	სირ. 12.1-6 (603-7)	[არაბ. 18 (1047)]	ეთ. 2 (163-4)	სომხ. 3
	ქართ. 3.1a	= სირ. 12.1a (603 ³)		= ეთ.2 (163 ¹⁵⁻⁶)	= სომხ. 3 (602 ¹)
ბერძ. 1.1-2 (432-3)	= ქართ. 3.1b-2	= სირ. 12.1b-2	[=არაბ.18a (B ₃ -16)]	=ეთ.2 (163 ¹⁶⁻⁴³)	= სომხ. 3 (602: 603 ¹⁶)
ბერძ. 1.3 (433)	= ქართ. 3.3	= სირ. 12.3a (605 ³⁻⁶)		= ეთ. 2 (164 ³⁻⁷)	= სომხ. 3 (603 ¹⁶⁻²¹)
		სირ. 12.3b (605 ⁶⁻¹⁰)			
ბერძ. 1.4a (434 ^{1a})	= ქართ. 3.4	= სირ. 12.4a (606 ^{1a})		= ეთ. 2 (164 ⁷⁻⁸)	= სომხ. 3 (603 ²²⁻⁴)
ბერძ. 1.4b-6a (434 ^{1b-11})		სირ. 12.4b-5 (606 ^{1b-607³})			
ბერძ. 1.6b	= ქართ. 3.6	= სირ. 12.6		= ეთ. 2 (164 ⁹⁻¹⁷)	= სომხ. 3 (603 ²⁴⁻³⁴)
ბერძ. 7.1-7 (452-54)	ქართ. 11.1-9	სირ. 13.1-11 (607-15)	არაბ. 19a (1051-1055)¹		
ბერძ. 7.1	= ქართ. 11.1	= სირ. 13.1			
ბერძ. 7.2	= ქართ. 11.2	= სირ. 13.2	= არაბ. 19 (1051B ₇₋₁₄)		
ბერძ. 7.3a	= ქართ. 11.3a	= სირ. 13.3a	= არაბ. 19 (1051C _{3-52A12})		
		სირ. 13.3b (609 ^{11-12a})			
ბერძ. 7.3b	= ქართ. 11.3b	= სირ. 13.3c			
	ქართ. 11.4a	= სირ. 13.4a (610 ^{1a})	= არაბ. 19 (1052A ₁₄₋₁₅)		
		სირ. 13.4b (610 ^{1b-4})	= არაბ. 19 (1052B ₁₋₃)		
	ქართ. 11.4b	= სირ. 13.4c (610 ⁴⁻⁵)	= არაბ. 19 (1052B ₃₋₄)		
ბერძ. 7.5	= ქართ. 11.5	= სირ. 13.5	= არაბ. 19 (1052B ₉₋₁₄)		
ბერძ. 7.6	= ქართ. 11.6a	= სირ. 13.6a (600 ^{10-611²})	= არაბ. 19 (1052B _{15-C13})		
	ქართ. 11.6b	= სირ. 13.6b (611 ²⁻⁶)	= არაბ. 19 (1052C _{15-D2})		
ბერძ. 7.7	= ქართ. 11.7a	= სირ. 13.6c (611 ⁶⁻⁸)	= არაბ. 19 (1053A ₁₀₋₁₂)		
		სირ. 13.6d (611 ⁸⁻⁹)			
		სირ. 13.7a (611 ^{10-12¹})	=არაბ.19(1053A ₁₀₋₁₂ ,B ₅₋₆ , C ₇₋₁₄)		
	ქართ. 11.7b	= სირ.13.7b (612 ^{1-2a})	= არაბ. 19 (1053C _{14-D2})		
		სირ.13.7c (612 ^{2b})			
	ქართ. 11.8	= სირ.13.8	= არაბ. 19 (1054A _{9-C7})		
	ქართ. 11.9a	= სირ.13.9			
		სირ. 13.10-11a (613 ^{7-15²})			
	ქართ. 11.9b	= სირ. 13.11b (615 ²⁻³)			
		სირ. 14 (615-616)	არაბ. 19b (1055)²		
		სირ. 14.1	= არაბ. 19 (1055A ₂₋₁₁)		
		სირ. 14.2	= არაბ. 19 (1055A _{14-B3})		

ცხრილი 4. ბერძნულ, ქართულ, სირიულ, არაბულ, ეთიოპურ და სომხურ ეპისტოლეთა კორპუსების შედგენილობა.

ქართულ ეპისტოლეთა კორპუსის ბერძნულ ტექსტთან შედარებისას ნათელია მასთან ქართული თარგმანის სიახლოვე. ქართული თარგმანი უმეტესწილად ზუსტად თანხვედება ბერძნული ტექსტის სიტყვათა რიგს და ზოგ ასეთ შემთხვევაში იგი სხვაობს სირიული ტექსტისგან:

ბერძ. 2.2. και καθάρισθη την καρδίαν αὐτὸς ἀπὸ παντὸς λογισμοῦ ῥυπαροῦ, καὶ παντὸς ματαίους φρονηµατος τοῦ αἰῶνος τοῦτου, καὶ ἵνα αἰτήσῃται ἐν νηστείας καὶ δάκρυσι νυκτὸς καὶ ἡμέρας (PO 11, გვ. 437).

ქართ. 1.2. “და განიწმინდოს გონებად თუისი ყოვლისაგან გულისსიტყუისა მწიკულებანისა, და ყოვლისაგან ამადსა ზრახვისა (ზრუნვისა C) ამის სოფლისა, და რადთა ითხოვდეს მარხვითა და ცრემლითა ღამე და დღე” (44rA, 60vC).

ბერძ. 4.6. Ἡ ψυχὴ οὖν τῶν τελείων δικαίων προκόπτει καὶ προβαίνει, ἕως οὗ ἀναβῆν εἰς τὸν οὐρανὸν τῶν οὐρανῶν (PO 11, გვ. 444).

სირ. 10.1. **𐌸𐌹𐌭𐌸𐌹𐌸𐌰 𐌹𐌶𐌴𐌰 𐌸𐌹𐌭𐌸𐌹𐌸𐌰 𐌸𐌹𐌭𐌸𐌹𐌸𐌰 𐌸𐌹𐌭𐌸𐌹𐌸𐌰 𐌸𐌹𐌭𐌸𐌹𐌸𐌰 𐌸𐌹𐌭𐌸𐌹𐌸𐌰 𐌸𐌹𐌭𐌸𐌹𐌸𐌰**

“perfecti animae iustorum perfectorum ambulant et proficiunt, donec perveniunt ad ordinem complementi” (PO 10, 594r).

ქართ. 9.6. „სული სრულთა მართალთადა ვალს და წარმატების, ვიდრემდის აჯდის ცასა ცათასა“ (52rA).

ამგვარი ზედმიწევნითი თარგმანი ქართულ ეპისტოლეთა კორპუსში დასტურდება თავიდან ბოლომდე. იშვიათია კლება-მატება და ტექსტის გადმოცემა შინაარსობრივი თარგმანით.

¹ არაბ. 19.2 (სვ. 1051B₇₋₁₄), 19.3 (1051C_{3-1052A12}), 19.4 (1052A_{14-B4}), 19.5 (1052B₉₋₁₄), 19.6 (1052B_{15,C2-7,12-13,15-D2}), 19.7 (1053A_{10-12,B5-6,C7-D2}), 19.8 (1054A_{9-C7}).

² არაბ. 19/სირ. 14.1 (სვ. 1055A_{2-3,5,7-11}), 19/სირ. 14.2 (სვ. 1055A_{14-15,B1-3}).

სომხ. 1. ხა ირպէს სას 'h քաղցր ხს յագնիւ հողմնց երեսացն կշիռ՝ գառագաստսուցեալ օրովն իբրև զթռչուն սլացեալ յառաջ դիմեսցի, և საւորոքն հանգչին ուրախութեամբ հանդերձ.

„და როგორც ნავი, საამო და მშვიდი *ქარებისაგან* პირდაპირ გაწონასწორებული, *აფრას ავესებს ჰაერით, როგორც ჩიტს ანარნარებს, წინ გასწევს, და მეზღვაურები მხიარულებით განისვენებენ*“ (*Vitae Patrum*, 1855, 598).

ქო. 1. „sicut navis quo tempore navigat cum *ventis* secundis, et duo gubernacula trahuntur, *magnam distantiam percurrit et nautae requiescunt cum gaudio*. Similiter quidem secundus fervor quietator est omni tempore“ (Arras, გვ. 122⁹⁻¹²).

ქართ. 12.3. „ვითარცა-იგი ნავი რა დაწყენარებულსა *ნიავეს* ვაღნ და ორითა ფერჯითა ეზიდვებინ და *ნავმანცა მან ფრიადი გზად მოვლის და მენავენიცა იგი განსუნებულ არიედ და მხიარულ*, ეგრეცა მეორე იგი მჭურვალებად განმსუნებელ არს ყოვლითა სახითა“ (56rA).

ამდენად, ქართული თარგმანის სირიულ ტექსტთან თანხვედრის შემთხვევები არ წარმოადგენს დამთხვევას, არამედ სისტემატურ ხასიათს ატარებს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, იმ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, როდესაც ქართული თარგმანი ბერძნულ ტექსტს არ ემთხვევა, იგი სირიულ რედაქციასთან ავლენს თანხვედრას.

სირიულ ხელნაწერებს სირიული კრიტიკული ტექსტის გამომცემელი, მ. კმოსკო, როგორც უკვე აღინიშნა, ორ რედაქციად ჰყოფს: უფრო ადრეულ AB და შედარებით გვიანდელ CDVW ნუსხებად. ამასთანავე კი მიუთითებს, რომ ეპისტოლეთა ეს გვიანდელი რედაქცია უფრო ძველ და სხვადასხვამხრივ უშეცდომო ტექსტს იძლევა.¹ ქართული თარგმანი მეტწილად უახლოვდება სირიულ ძირითად ტექსტსა და VW ნუსხათა რედაქციას, რომელთანაც ზოგ მონაკვეთში სიახლოვეს ამჟღავნებს სირიული C ხელნაწერის იკითხვისებაც. ამავე რედაქციის ფარგლებშია ხელნაწერ Par. syr. 201-ის ტექსტი, რომლის იკითხვისებაც, როგორც ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსის გამომცემელი მიუთითებს, ემთხვევა W ნუსხის იკითხვისებს.²

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში წარმოდგენილია დასახელებულ ნუსხათა იკითხვისებთან ქართული თარგმანის თანხვედრის რამდენიმე ნიმუში:

V

ბერძ. 3.1. Ἐπειδὴ οὖν ἠγάπησεν αὐτοὺς ἐξ ὅλης καρδίας ὁ Παῦλος (PO 11, გვ. 439).

სირ. 4.1. ܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ

“Quoniam igitur dilexit eos toto corde suo, ipse Paulus” (PO 10, გვ. 578¹⁰).

V *beatus* ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ [ით W om.; C *beatus* itaque Paulus ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ [აღიღ ით.

ქართ. 4.1. „რამეთუ შეიყვარნა იგინი ყოვლითა გულითა *ნეტარმან* პავლე“ (47vA).

სირ. 7.1. ܰܠܰܥܰܝܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ “et exercitus viderant” (PO 10, გვ. 584⁸).

V add. *divinos*, nihil *amplius* ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ: ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ [ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ W = V at om. ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ).

ქართ. 7.1. „და იხილნიან *საღმრთონი* იგი ძალნი“ (49rA); „იხილიან *საღმრთოთ* იგი ძალი“ (70vC).

სირ. 7.2. ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ “benedicat vobis” (PO 10, გვ. 586³).

V add. ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ ܰܝܰܘܰܠܰܝܰܢ “Valete in Domino dilectissimi [mei]³ per Spiritum, qui vos sanctificavit”.

ქართ. 7.2. „გაკურთხენინ თქვენ და *განძლიერდით*, *საყუარელნო ჩემნო* (om. C) (+ *უფლისა მიერ* C)!“ (49vA, 71vC).

VW

სირიულ გამოცემაში თითქმის ყველგან, სადაც ძირითად ტექსტში მოცემულია ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ („სხეული, ხორცი“), VW ნუსხებში გვხვდება ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ („ნაყოფი“).⁴ ეს ორი სიტყვა

¹ PO 10, გვ. 565.

² “Nous ne relevons que les particularités de P. Ses variants, nous l’avons dit, sont celles de W“, PO 11, გვ. 448, შენ. 3.

³ სიტყვა “mei”, რომელიც სირიული ტექსტის ლათინურ თარგმანს აკლია, ჩვენ ჩავამატეთ.

⁴ მიუხედავად იმისა, რომ ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ („სხეული“) ამონას ეპისტოლეთა შემცველ სამ ყველაზე ძველ სირიულ ხელნაწერშია დაცული, ܰܠܰܝܰܠܰܝܰܢ („ნაყოფი“) კი უფრო გვიანდელი ნუსხებით არის მოღწეული, ეს იკითხვისი

დაწერილობით (და ჟღერადობითაც, შდრ. ‘ფაგრა’ და ‘ფირა’) ახლოს დგას ერთმანეთთან.¹ „ნაყოფი“ დასტურდება ბერძნულ და არაბულ ტექსტებშიც: “quod vidissem fructus vestros vivos rationabiles” (არაბ. 15).²

ბერძ. 6.3. Διὰ τοῦτο ὁ καρπὸς ἰμῶν ζῆν (PO 11, გვ. 451).

სირ. 3.3. ܩܘܕ ܘܕܝܣܝܡ ܩܪܘܨܝܢ ܚܝܘܝܢ ܪܝܘܢܐܒܝܠܝܝܢ

“Idcirco vivum est *corpus* vestrum” (PO 10, გვ. 5754).

VW vivit *fructus* vester ܩܪܘܨܝܢ [ܩܘܕ ܘܕܝܣܝܡ]

ქართ. 2.3. “ამისთვისცა ნაყოფი თქუენი ცოცხალ არს” (45rA).

ბერძ. 6 წერილის მითითებული ფრაზის შესაბამისი მონაკვეთი სირიულ და ქართულ ტექსტებში გამოტოვებულია:

ბერძ. 6.3. καὶ οὕτως ἀπόλλυσιν αὐτῶν τὸν καρπὸν, νομιζόντων τῶν ἀσθράπων ὅτι ἔχουσιν καρπὸν· παρὰ δὲ τῶ θεῷ οὐδὲν ἔχουσιν (PO 11, გვ. 452).

სირ. 3.3. ܩܘܪܐ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ

“qua ratione perdit *corpus* eorum hominibus putantibus eos aliquid habere” (PO 10, გვ. 575₁₂-576₁).

VW ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (,,ნაყოფნი მათი“) [ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (,,სხეული მათი“);

CVW add. *Deus* ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ [ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ]

ქართ. 2.3. „და ესრეთ წარწყმიდის ნაყოფი იგი მათი, და ღმრთისაგან არარაჲ აქუნ“ (45rvA).

VW ნუსხათა იკითხვისს თანხვდება ქართული თარგმანის „სხუანიცა“ (ბერძ. 4-ს ეს მონაკვეთი აკლია):

სირ. 8.1. ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ “Singuli autem sunt [ex] multis” (PO 10, გვ. 588₄₋₅).

VW *et alii* ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (,,და სხვანიც“) [ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (singuli „ზოგიერთები“).

ქართ. 8.1. „და სხუანიცა მრავალნი მოვიდეს ამას საზომსა“ (50vA).

CVW

სირიული გამოცემის ძირითად ტექსტში, სირ. 6.1 წერილში, გვხვდება სიტყვა ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (,,გააძლიერეს“). მის ვარიანტად CVW ნუსხებში მოცემულია ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (,,შეიძულეს“), რომელიც ძირითადი ტექსტის იკითხვისისგან მხოლოდ პირველი თანხმონით განსხვავდება. ამავე წინადადებაში სირიული გამოცემის ძირითად ტექსტში „ჯვრები“ მრავლობით რიცხვშია მოცემული, CVW ხელნაწერთა იკითხვისებში კი – მხოლოდ ერთ რიცხვში. ქართული თარგმანი (და მასთან ერთად არაბულიც) ორივე შემთხვევაში CVW ნუსხათა იკითხვისებს ემთხვევა:

სირ. 6.1. ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ

“et eis, qui tulerunt *cruces* suas et adhuc *munierunt* animas suas“ (= “და მათ, რომლებიც იღებენ თავიანთ ჯვრებს და ამასთანავე აძლიერებენ საკუთარ სულებს/თავებს“, PO 10, გვ. 582₅).

არაბ. 13. “istis videlicet, qui mundum *odio habuerunt* usque animas quoque suas, et *Crucem* portantes” (Ecchellensis, 1641, გვ. 70; PG 40, სვ. 1028A₇₋₈).

ქართ. 6.1. “და რომელთა აულებიეს ჯვარი თუისი და მას თანა თავნიცა თუისნი მო-ვე-იძულენეს“ (48vA).

შემდეგ სტრიქონში სირიულ და ქართულ ტექსტებში წარმოდგენილია ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (“*vitae*”) და “ცხოვრებისა“, რომელთას შესატყვისიც ბერძნულ თარგმანში არ არის მოცემული. გარდა ამისა, სირიულ CVW ნუსხათა და ბერძნული ტექსტის შესაბამისად, ქართულ თარგმანს აკლია სირიული წინადადების ბოლო სიტყვაც: ܩܘܕ ܩܪܘܨܝܢ (,,*et alleviatione*“).

დასტურდება ყველა დანარჩენ, ბერძნულ, ქართულ, არაბულ, სომხურ და ეთიოპურ თარგმანებში, რის გამოც იგი დედნისეულ იკითხვისად არის მიჩნეული. იხ. Rubenson, 2011, გვ. 191; Farag, 2012, გვ. 145-147, 237-239.

¹ Outtier, 1985, გვ. 17, N 1.

² Ecchellensis, 1641, გვ. 77; PG 40, სვ. 1030D; Klejna, 1938, გვ. 319, შენ. 21.

დანარჩენ ხელნაწერთა იკითხვისებთან ქართული თარგმანის თანხვედრა მეტად იშვიათია. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანხვედრა გვხვდება სირიულ P ნუსხასთან, რომლის იკითხვისებსაც იძლევა ეპისტოლეთა ბერძნული კორპუსის გამომცემელი და რომელიც არ არის ასახული სირიულ ეპისტოლეთა კორპუსის გამოცემაში. შემდეგ მონაკვეთში ბერძნულ და სირიულ ტექსტებში ნათქვამია „იყავით როგორც ღმერთები“, ქართულსა და P ნუსხაში კი სიტყვა „როგორც“ არ არის მოცემული:

ბერძ. 5.2. ἀκόσσια γὰρ ὄντι “ἔσθεθι ὡς θεοί” (PO 11, გვ. 447₁₆).

P om. ὡς.

სირ. 11.1. ܠܗܘܢ ܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

“Cum enim audisset: Eritis sicut dii” (PO 10, გვ. 599₁₁).

ქართ. 10.2. “რამეთუ ესმა, ვითარმედ: იყვნეთ ღმერთ!” (53rA).

სირიულ კრიტიკულ გამოცემაში გათვალისწინებულ ხელნაწერთა რედაქციების გარდა, როგორც ჩანს, არსებობდა სირიული თარგმანის სხვა რედაქციაც. ამას მოწმობს VIII ს-ის სირიელი მწერლის, იოანე დალიათას მიერ დამოწმებული მონაკვეთი, რომელიც მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება კმოსკოს გამოცემაში გამოყენებულ ხელნაწერთა ტექსტისაგან. აღსანიშნავია, რომ ქართული და არაბული თარგმანები თანხვედრიან იმ იკითხვის, რომლითაც ეს ციტირება სხვაობს სირიულ გამოცემაში წარმოდგენილი ამავე მონაკვეთისაგან. კერძოდ, ბერძნულ და სირიულ ტექსტებში მოცემულია „დღე და ღამე“, ხოლო იოანე დალიათას დამოწმებაში და, მასთან ერთად, არაბულ და ქართულ თარგმანებში კი გვხვდება „ღამე, ვითარცა დღე“:

იოანე დალიათა: “Aux âmes dans lesquelles il habite, il révèle de grands mystères; pour elles la nuit est *comme* le jour”.¹
ბერძ. 7.3. Ἐν αἷς δὲ ἐνοικίσει ψυχαῖς, μεγὰ ἀπταῖς ἀποκαλύψει μυστήρια, καὶ ὅμοια αὐταῖς ἔστιν ἡ ἡμέρα καὶ ἡ νύξ (PO 11, გვ. 454).

სირ. 13.3. ܠܗܘܢ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ ܕܥܘܠܡܐ

ܕܥܘܠܡܐ

“Animabus itaque, in quibus habitat, maxima mysteria revelat, et idem fit eis dies *ac* nox” (PO 10, გვ. 609₁₀₋₁₁).

არაბ. 19. “Qui quidem nequaquam habitat nisi in animabus beatis, hisque similibus, quibus aperit magna arcana...faciens eorum noctem, *sicut* diem”.²

ქართ. 11.3. „რომელთა შორის დაიმკუიდრებს სულთა დიდ-დიდთა, გამოუცხადებს მათ საიდუმლოთა, ეგრევე არნ მათა ღამე, ვითარცა დღე“ (54vA).

ზემოაღწესებულის გარდა, ამონას ეპისტოლეთა ქართულ კორპუსში გვხვდება ზოგი ისეთი იკითხვისი, რომელიც სირიული ტექსტის წყაროდ გამოყენებას გვაფიქრებინებს.

პირველი ასეთი იკითხვისი გვხვდება ეპისტოლეთა ქართული კორპუსის პირველ წერილში, სადაც საუბარია “წმინდა მამათა” შესახებ. ქართულ თარგმანში „წმიდასთან“ ერთად მოცემულია „პირველნი“, რომელიც არც ბერძნულ, არც სირიულ და არც სომხურ ეპისტოლეებში და არც მათ იკითხვისებში არ დასტურდება, არამედ მხოლოდ ქართულ და ეთიოპურ თარგმანებშია დაცული (არაბული კორპუსი არ შეიცავს ამ წერილის შესატყვის ეპისტოლეს). „წმინდა“ და „პირველი (ადრინდელი)“ ბერძნულსა და სირიულ ენებში ერთმანეთის მსგავსად იწერება: ἄγιοι და [ἀρχαῖοι], ܐܘܠܘܬܐ და [ܐܘܠܘܬܐ]. ნიშანდობლივია, რომ სირიულ ძირითად ტექსტში „წმინდა“ არ არის მოცემული, არამედ იგი ზოგ სირიულ ნუსხაში სიტყვასთან ܦܘܠܗܐ („მამები“) გვხვდება მატების სახით: ܦܘܠܗܐ (*sancti* „წმინდანი“ E), ܦܘܠܗܐ („წმინდა“ V) და ܕܐܘܠܘܬܐ (D), ამასთან, ამ უკანასკნელ ხელნაწერში იგი დაქარაგმებულია და მასში შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც „წმინდა“ ([ܦܘܠܗܐ]), ისე „პირველი, ადრინდელი“ ([ܐܘܠܘܬܐ]).

¹ Farag, 2012, გვ. 107.

² Ecchellensis, 1641, გვ. 128-129.

როგორც ჩანს, ქართველ მთარგმნელს ისეთი წყარო ჰქონდა ხელთ, სადაც აღნიშნული სიტყვა დაქარაგმებული იყო (ბერძნულ ხელნაწერებში, Sin. gr. 462, 222r და Sin. gr. 464, 242v, რომლებიც შეიცავენ ამონას ამ წერილს და რომლებზეც ხელი მიგვიწვდა, ეს სიტყვა არ არის დაქარაგმებული), ან ცუდად იკითხებოდა (ე.წ. “lectio difcilior”), და ამის გამო, თავზეც ჰქონდა იგივე სიტყვა წარწერილი ან აშიაზე გატანილი. მთარგმნელმა კი მისი წაკითხვის ორივე ვარიანტი გადმოიღო, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ქართველი მთარგმნელის სკრუპულოზურობაზე სათარგმნ წყაროსთან მიმართებაში.¹ ვინაიდან „წმინდა“ (“sancti”) და „პირველნი“ (“primaevi”) ეთიოპურ თარგმანშიც დასტურდება, მაშასადამე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართულ და ეთიოპურ ეპისტოლეთა კორპუსებს ერთი და იმავე რედაქციის ტექსტი წყარო უნდა ჰქონოდათ.

ბერძ. 1.2. Διὰ τοῦτο καὶ οἱ ἄγιοι πατέρες ἡμῶν ἐν ταῖς ἐρήμοις ἦσαν συσεστακμένοι (PO 11, გვ. 433).

სირ. 12.2. ܐܘܘܪܝܢܐ ܝܨܘܪܝܢܐ ܕܢܗܘܘܢ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ

“Huius rei causa Patres in eremo solitario modo vitam agebant” (PO 10, გვ. 604).

E add. sancti (patres) ܐܘܘܪܝܢܐ, V ܐܘܘܪܝܢܐ, D ܐܘܘܪܝܢܐ

სომხ. 3. յաղագս այսորիկ ևս մեր սուրբ հարքն յանապատի կէին հրաժարեալք յաշխարհէս

„ამის გამო ჩვენი წმინდა მამები უდაბნოში იყვნენ განწყენებულნი წუთისოფლისაგან“ (Vitae Patrum, 1855, გვ. 602).

გო. 2. “Et propterea patres nostri primaevi sancti in deserto resederunt” (Arras, 1963, გვ. 163²⁴⁻²⁵).

ქართ. 3.2. „ამისთვისცა წმიდანიცა იგი პირველნი მამანი ჩუენნი უდაბნოთა ადგილთა განწყენებულ იყვნეს“ (46rA, 64rC).

ქართ. 9-ის შესაბამის სირიულ ეპისტოლეში (სირ. 9) მოცემულია სიტყვა ܪܘܚܐܪ, რომელსაც აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „ფორმა, მოხაზულობა, სამოსელი, მაჩვენებლობა, მოჩვენებითი გარეგნული სახე“ (“the form, shape, raiment, dress, appearance, outward show, esp. false”).² ბერძნულ ტექსტში მას შესატყვისება ἡ ἔσθῆς, რომელსაც აქვს ერთი, „სამოსლის“ მნიშვნელობა.³ ქართულ თარგმანში მის შესატყვისად წარმოდგენილია „ხატი“ (ანუ „ფორმა, მოხაზულობა“). ქართული ტექსტის ამ ბერძნული ტექსტიდან თარგმნის შემთხვევაში სიტყვას ἡ ἔσθῆς შესატყვისად „ხატი“ ვერ ექნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხურ თარგმანში მოცემულია ბერძნული იკითხვისის შესატყვისიც (գիսնդերձն „სამოსი“) და სირიულ-ქართულისა (ձևույս „ხატი, ფორმა, მოხაზულობა“):

ბერძ. 4.3. Τοῖς πιστοῖς οὖν ἐπιφέρεται τὸ εἶδος τῶν περιεσσωμένων. ὅσοι δὲ ἀπειραστοὶ εἰσι, ἴσθαι εἰσιν. καὶ τῆς μὲν ἔσθῆτος φοροῦσιν, τῆς δὲ δύσματος ἀστέης ἦρηται (PO 11, გვ. 443).

სირ. 9.3. : ܪܘܚܐܪ ܐܘܘܪܝܢܐ : ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ... ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ ܕܥܘܠܝܢܐ

“Proinde fidelibus est opus tentationibus. Omnes enim, qui expertes sunt tentationum, electi non sunt: habitum quidem indutum habent, virtutem autem negant” (PO 10, გვ. 591⁹⁻¹⁰).

სომხ. 2. իսկ որք անսիրձքն ևս, խորթք ևս ևս ոչ որդիք. զի թէպէտ ևս գիսնդերձն ևս զգայութիւն ձևույս զգեցեալ ևս, սակայն զգորութիւն նորս ոչ գիսեն.

„ხოლო რომელნიც გამოუცდელნი არიან, უცხონი (ყალბნი) არიან და არა შვილები. თუმცა სამოსი და გრძნობა ხატისა შეუმოსავთ, მაგრამ მისი ძალა არ იციან“ (Vitae Patrum, 1855, 601³⁰⁻³⁴).

ქართ. 9.3. „აწ უკუე მორწმუნეთა ზედა მოიწევს სახე განსაცდელთაჲ. ხოლო რავდენი გამოუცდელ არიან, არამტკიცე არიან სარწმუნოებასა ზედა. და ხატი იგი მოაქუნ, და ძალსა მას უვარ-ჰყოფედ“ (51vA).

ბერძნულ და სირიულ წერილთა თანამედროვე მთარგმნელები ამ წინადადებაში სიტყვებს ἡ ἔσθῆς და ܪܘܚܐܪ თარგმნიან „(სამონასტრო) სამოსის“ მნიშვნელობით:

¹ სირიული ტექსტის გამომცემელი ვარაუდობდა, რომ სირიულ ხელნაწერთა გადაწერები დაზიანებულნი არქეტიპით სარგებლობდნენ ან ისეთი ხელნაწერთ, რომლის ზოგი სიტყვაც აშიებზე იყო ჩაწერილი და ვინაიდან მათი ამოკითხვა არ შეემლოთ, შეუსაბამო იკითხვისები შეჰქონდათ ტექსტში. იხ. PO 10, გვ. 565-566.

² Payne Smith, 1903, გვ. 23-24.

³ “clothing, dress” (Lampe, 1961, გვ. 551); “clothing, raiment, clothes” (Liddell/Scott, 1996, გვ. 696).

“ceux qui ne sont pas tentés sont des fils illégitimes; ils portent à la vérité *l'habit monacal*, mais ils en méconnaissent la vertu” (PO 11, გვ. 443).

“while those who have no experience of trials are untested; they wear *the monastic dress*, but deny its meaning” (*The Letters of Ammonas*, 1985, გვ. 11).

“car ceux qui ne sont pas tentés ne sont pas authentifiés; ils portent *l'habit* et renient sa vertu” (Outtier, 1985, გვ. 32).

ამგვარი თარგმანი არ არის ზუსტი სირიულ ეპისტოლესთან მიმართებაში. წერილის მითითებულ მონაკვეთში მოცემულია 2ტიმ.3.5-ის დამოწმება.¹ ამ მუხლის ბერძნულ ტექსტში იკითხება ἡ μὲν ἄρτι, რომელსაც არ გააჩნია „სამოსის“ მნიშვნელობა („ἐχούτε μὲν ἄρτι ἐσθῆτα, τὴν δὲ δὴν ἄρτι ἀντὶ τῆς ἰσχυρίας“, შდრ. გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ქართული თარგმანი: „აქუნდეს ხატი ღმრთისმსახურებისად და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ“), მის სირიულ თარგმანში კი გვხვდება იგივე ܐܘܬܝܪ (ܐܘܬܝܪ ܪܘܚܠܐ ܘܠܐ ܐܘܬܝܪ ܐܘܬܝܪ ܕܘܠܐ ܕܘܠܐ ܐܘܬܝܪ ܕܘܠܐ ܕܘܠܐ),² რომელიც წარმოდგენილია ამონას დასახელებულ წერილში, მაგრამ ეს სიტყვა ამ მუხლში არ ნიშნავს „სამოსს“, არამედ გულისხმობს მის სხვა მნიშვნელობებს, კერძოდ, „მოჩვენებითობას“, „მაჩვენებლობას“, „მსგავსებას“. ამ მუხლის ზუსტი თარგმანი იქნებოდა: „ღვთისმსახურების მოჩვენებითი სახის (გარეგანი სახის, მაჩვენებლობის, მსგავსების) მქონენი, ხოლო მისი ძალის უარყოფენი“.

ბიბლიის ციტირებები ამონას ეპისტოლეთა ქართულ ტექსტში, ჩვეულებრივ, გადმოღებულია წმინდა წერილის არსებულ თარგმანთა შესაბამისად, მაგრამ დედნის აუცილებელი გათვალისწინებით. მითითებული მუხლი სირიულ ტექსტში ზოგადი დამოწმების სახით არის მოცემული და, მართალია, ზოგ სიტყვას სინონიმებით ანაცვლებს, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი ზუსტი სახით არის გადმოტანილი. ქართული წერილი ამ წინადადების ზედმიწევნით და სწორ თარგმანს იძლევა, იმ ვარიანტისა, რომელიც სირიულ წერილშია დაცული, მაშინ როდესაც ბერძნულ ტექსტში ამ სტრიქონის არაზუსტი იკითხვისა წარმოდგენილი.

ქართული წინადადებისათვის კონსტრუქცია „ემინოდის თქუნგან“ სინტაქსური თვალსაზრისით ნაკლებად ბუნებრივია და უფრო ხშირად, ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება.³ ამასთან, განსახილველი წინადადების ბერძნულ თარგმანში „-გან“ თანდებულის შესატყვისი წინდებული არ დასტურდება. სამაგიეროდ, იგი მოცემულია სირიულ ტექსტში. სირიული წინადადების ლათინური თარგმანი, “timeat vos”, ზუსტად ვერ ასახავს სირიულ ტექსტს, რომელიც ܐܘܬܝܪ „-გან“ წინდებულს შეიცავს. ამ წინდებულის შესატყვისი არც აღნიშნული წერილის ინგლისურ (“that Satan may fear you”)⁴ ან ფრანგულ (“pour que Satan vous craigne”)⁵ თარგმანებშია წარმოდგენილი.

ბერძ. 2.1. κτήσασθε ὅτι ἐν ἑαυτοῖς τῆς δὴν ἄρτι ταύτης, ἵνα φοβῆσθῃ ὑμᾶς ὁ Σατανᾶς (PO 11, გვ. 435).

სირ. 2.1. ܐܘܬܝܪ ܐܘܬܝܪ ܐܘܬܝܪ ܐܘܬܝܪ ܐܘܬܝܪ ܐܘܬܝܪ ܐܘܬܝܪ ...

“Comparete vobis eam virtutem, ut *timeat vos* Satanas” (PO 10, გვ. 570₁₁-571₁).

ქართ. 1.1. „მოიპოვეთ თავისა თქუნისა ესე ძალი, რადთა ემინოდის თქუნგან ემშაკსა“.

¹ შდრ. Outtier, 1985, გვ. 32.

² *Peshitta New Testament*, 1886, გვ. 520.

³ შდრ. მაგალითად, „და ერსა ამცენ მეტყუელმან: თქუნ თანა-წარჰვლით საზღვართა ძმათა თქუნთა ძეთა ესავისთასა, რომელნი მკვდრ არიან სეირს და ემინოდის თქუნგან და გეკრძალვოდინ თქუნ ფრიად“ (გელათის კატენებიანი ბიბლია, მეორესჯული, 2.4); „აჰა ესერა, შიში თქუნნი მათ ემინოდის. რომელთათჳს გემინოდა, ემინოდის თქუნგან“ (ესაია, 33.7, OJ ნუსხები).

⁴ *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. 2.

⁵ Outtier, 1985, გვ. 18.

სირიული 13.9 ქვეთავის შესაბამისი თარგმანი სხვა ტექსტებიდან მხოლოდ ქართულ ეპისტოლეთა კორპუსშია დაცული. ამ ქვეთავიდან აღსანიშნავია სტრიქონი, სადაც ნახსენებია ქალაქი ბეთელი. სირიულში ტოპონიმი „ბეთელი“ ორი სიტყვისაგან (ܠܚ ܕܒܝܬ “სახლი ღვთისა”) შესდგება. ქართველმა მთარგმნელმა იგი ჯერ საკუთარ სახელად თარგმნა, შემდეგ კი გადმოიღო თითოეული ამ სიტყვის მნიშვნელობაც. აქვე დავძენთ, რომ თუმცა კი ასეთი შემთხვევები თარგმანებში ხშირად გვხვდება, ქართულ კორპუსში მსგავსი განმარტებითი ხასიათის შემატება არსად დასტურდება:

სირ. 13.9. ܠܚ ܕܒܝܬ ܕܒܝܬ ܕܒܝܬ ܕܒܝܬ ܕܒܝܬ ܕܒܝܬ : ܕܒܝܬ ܕܒܝܬ ܕܒܝܬ ܕܒܝܬ

“Si vero oraveritis, veniam ad vos et intrabit in Bethel” (PO 10, გვ. 613³⁻⁴).

ქართ. 11.9. „ხოლო უკუეთუ ილოცოთ და მოვიდე თქუენდა და შევიდე ბეთელდ, რომელ არს სახლი ღმრთისა“ (55vA).

ქართულ თარგმანში საკუთარი სახელები, ჩვეულებრივ, ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმით არის გადმოცემული. ამ ერთგვაროვნებისგან გამონაკლისს წარმოადგენს სახელი „ისაკვი“ (ქართ. 10.1). იგი ვერ იქნება ვერც ბერძნული Ἰσαάκ-ის, ვერც კოპტური Ἰσαაკ-ის თარგმანი, ვინაიდან ორივე ენაზე ეს სახელი გამოითქმის, როგორც „ისაკვი“, რომელიც ქართულ სამწერლობო ენაში დამკვიდრებულ და ქართული ტრადიციისათვის უფრო ბუნებრივ ფორმას წარმოადგენს. ქართულ თარგმანში მოცემული იკითხვისი უახლოვდება ამ სახელის სირიულ (ܐܝܫܐܩ „ისხაკი“) და არაბულ ჟღერადობას (إسحاق „ისაკვი“), თუმცა აქვე ვიტყვი, რომ არაფერი ადასტურებს ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსის არაბულიდან თარგმნას.

ბერძ. 5.1. Ὅτε γὰρ προέκοιψε Σάρρα ἐβρέθη αὐτῇ: “οὐ κληθῆσεται τὸ ὄνομά σου Σάρα, ἀλλὰ Σάρρα” καὶ τῷ Ἀβραάμ, Ἀβραάμ, καὶ τῷ Ἰσαὰκ Ἰσαάκ, καὶ τῷ Ἰακώβ Ἰσραήλ, καὶ αὐτῆς Σαοὺλ Παῦλος, καὶ αὐτῆς Σίμωνος Κηφᾶς, ἐπειδὴ ἠλλάγη αὐτῶν ἢ ζῶσι καὶ προέκοιψαν παρ’ ὧ ἦσαν (PO 11, გვ. 446-447).

ქართ. 10.1. „რამეთუ ოდეს წარემეტა სარა, ითქუა: არღარა გეწოდოს შენ სარა, არამედ სარრა და აბრამს – აბრაჰამ და ისაკს – ისაკვი და იაკობს – ისრაელ და სავლეს წილ – პავლე და სიმონს – კევა, რამეთუ შეიცვალა ცხორებაჲ მათი და წარმატნეს, რავდენ-იგი იყვნეს“ (52vA).

ამავე მონაკვეთსა და შემდეგ სტრიქონში გვხვდება კიდევ ერთი სახელი, რომელიც ქართულად მოცემულია სირიული წარმოთქმის მიხედვით ܐܒܪܐܩܐ („აბრაჰამი“). ბერძნულად ეს სახელი გამოითქმის, როგორც „აბრაამი“ (Ἀβραάμ):

ბერძ. 4.2. καὶ γὰρ Ἀβραάμ, καὶ Ἰακώβ, καὶ Ἰῶβ καὶ ἕτεροι πλείστοι πειρασθέντες ἐφάνησαν δοκιμώτεροι (PO 11, გვ. 442).

სირ. 9.2. ܐܒܪܐܩܐ ܕܐܒܪܐܩܐ ܕܐܒܪܐܩܐ ܕܐܒܪܐܩܐ ܕܐܒܪܐܩܐ ܕܐܒܪܐܩܐ

“Sic enim tentatus est Abraham et apparuit athleta victor” (PO 10, გვ. 590¹²⁻⁵⁹¹).

ქართ. 9.2. “ვითარცა-იგი აბრაჰამი გამოიცადა და ურჩეულესად გამოჩნდა” (51rA).

ქართული თარგმანის ზოგ მონაკვეთში იმავდროულად არის მოცემული ბერძნული და სირიული ტექსტების შესაბამისი, ერთმანეთისგან განსხვავებული იკითხვისები. აპოკრიფული *ესაიას ამალღების* დამოწმებისას სირიულ ტექსტში (10.1) გვხვდება „წინასწარმეტყველი“, ხოლო ბერძნულში – „ელია“ (4.6). ამასთან, თხზულების შესაბამის ადგილას იგულისხმება ესაია წინასწარმეტყველი და, შესაბამისად, ელიას სახელი მასში შეცდომით არის მოცემული. ესაიასა და ელია წინასწარმეტყველთა სახელების დაწერილობა ერთმანეთს ჰგავს როგორც სირიულში (შდრ. ܐܝܝܐ და ܐܝܠܐ), ისე ბერძნულში (Ἠσαΐας და Ἠλίας), და ხელნაწერი წყაროებიდან გადაწერა-თარგმნისას იოლია ერთი სახელის ნაცვლად შეცდომით მეორის ამოკითხვა. ივარაუდება, რომ წინასწარმეტყველის სახელი არასწორად იქნა ამოკითხული ამონას ეპისტოლეთა ბერძნულ კორპუსში, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს იმისა, რის გამოც ს.ბროკი ამ კორპუსს მეორეულად მიიჩნევს: “The secondary nature of the surviving Greek text can be clearly seen from no 10, where the Syriac attributes a quotation from the apocryphal *Ascension of*

ისეთი ნაშრომები, როგორცაა *დროსის წამება*,¹ *სვიმეონ მესვეტის ცხოვრება*,² *ეფრემ ასურის ცხოვრება*,³ აფრაატ სპარსის *სახზ აღთქუმისაჲ*,⁴ ისააკ ასურის ასკეტური ჰომილიები,⁵ მარტვირი საჰლონას *სინანულისათჳს და სიმდაბლისა*,⁶ თეოდორიტე კვირელის *იაკობ ნისიბელის ცხოვრება* და *საბა ასურის ცხოვრება*,⁷ და სხვ. ამდენად, სირიული წყაროს გამოყენება ამონას ეპისტოლეთა კორპუსის ქართველი მთარგმნელის მიერ, ვფიქრობთ, არ არის a priori გამოსარიცხი.

წერილთა რაოდენობით, მიმდევრობით, ნუმერაციითა და შედგენილობით ქართული თარგმანი უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სირიულ კრებულთან, ვიდრე რომელიმე სხვა კორპუსთან, ტექსტობრივად კი იგი უახლოვდება ბერძნულ ეპისტოლეთა კორპუსის რედაქციას და ძირითადად სიტყვასიტყვით მისდევს მას და მის სიტყვათა რიგს, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მისგან სხვაობას გვიჩვენებს, განსხვავებული მონაკვეთები ასევე ზედმიწევნით თანხვედებიან სირიული კრიტიკული რედაქციის ძირითად ტექსტს ან მის CVW ხელნაწერთა რედაქციას. მიუხედავად ამისა, ჩვენამდე მოღწეული ბერძნული და სირიული რედაქციები სრულად ვერ ფარავენ ქართულ თარგმანს, არამედ ეს უკანასკნელი შეიცავს ისეთ იკითხვისებსა და მონაკვეთებსაც, რომლებიც არ დასტურდება მათში, არამედ ქართულთან ერთად მხოლოდ არაბულ, მხოლოდ სომხურ და ეთიოპურ, ან მხოლოდ ეთიოპურ თარგმანებშია წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ჩვენამდე არ არის მოღწეული ძველი ბერძნული ტექსტის ადრინდელი რედაქცია, კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ქართულ ეპისტოლეთა კრებული გადმოღებული ჩანს ავტორის ხელიდან გამოსულ ტექსტთან ძალზე ახლოს მდგომი წყაროდან, სადაც მოცემული იყო ყველა ის იკითხვისი, რომელიც საერთოა, ერთი მხრივ, ქართულ თარგმანს, მეორე მხრივ კი ბერძნულ, სირიულ, არაბულ, სომხურ ან ეთიოპურ ტექსტებს შორის, და ეს წყარო, სწორედ ამ მიზეზით, ამ ტექსტებთან შედარებით (ალბათ მხოლოდ სირიულ ACVW ხელნაწერთა რედაქციების გამოკლებით) უფრო ადრეული უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ მსგავსადვე ახასიათებს გარიტი Sin. geo. 35 ხელნაწერში დაცულ სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* ქართულ თარგმანს და შენიშნავს, რომ იგი უახლოვდება ხან ბერძნულ და ხან არაბულ ტექსტებს, მაგრამ სრულად არცერთს არ შეესაბამება,⁸ და რომ იგი უნდა მომდინარეობდეს ბერძნულ და არაბულ ტექსტებთან შედარებით უფრო ადრეული წყაროდან,⁹ შესაძლოა, იმავე ხელნაწერიდან, რომლიდანაც ამავე ნუსხაში დაცული ამონას ეპისტოლეები.

რაც შეეხება ქართული ტექსტის სათარგმნი წყაროს ენას, ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსი შემდეგი ორი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა:

(1) ამონას წერილების ადრეული, Sin. geo. 35-ში (907 წ.) დაცული რედაქცია ქართულად სირიული წყაროდან ითარგმნა (ამის შესახებ გვარწმუნებენ ქართულ ეპისტოლეთა რაოდენობა, მიმდევრობა, ნუმერაცია, შედგენილობა, ის მონაკვეთები და იკითხვისები, რომლებიც ბერძნულისაგან სხვაობენ და სირიულ ტექსტს თანხვედებიან, და ამ უკანასკნელის ტექსტის წყაროდ გამოყენების შესახებ გვაფიქრებინებენ), შემდგომ კი ქართული თარგმანი შეჯერებული იქნა ბერძნულ ტექსტთან, მის ადრეულ რედაქციასთან, რომელიც ამაჟამად არ არის შემორჩენილი. ბერძნულთან შეჯერების მშვენიერი მაგალითია Sin. geo. n. 13 ნუსხა (X ს.),

¹ მაისურაძე, 1977, 132-141.

² Garitte, 1957, გვ. I.

³ Garitte, 1957, გვ. IX.

⁴ Jugeli, 2015.

⁵ პატარიძე, 2019, გვ. 104.

⁶ Garitte, Halleux, 1956, გვ. 243-312.

⁷ Jugeli, 2012-2013, გვ. 111-125; Jugeli, 2010-2011, გვ. 259-271, ჯუღელი, 2003, გვ. 400-420.

⁸ Garitte, 1970, გვ. 73, 76.

⁹ “elle doit se rattacher à un modèle antérieur à celles-ci”, Garitte, 1970, გვ. 76.

რომელიც იმით სხვაობს Sin. geo. 35 ხელნაწერში დაცული თარგმანისაგან, რომ მასში მოცემულია რედაქტირებული ტექსტი, სადაც უკვე არსებული ქართული თარგმანი შედარებულია ბერძნულ წყაროსთან და მისი ახალი რედაქცია არის მოცემული. თუკი ამ ვარაუდს ვერწმუნებით და დავუშვებთ, რომ ქართული მწიგნობრობის ასეთ ადრეულ ეტაპზე ხდებოდა ძველი თარგმანების შეჯერება და დაახლოება ბერძნულ წყაროებთან, იმის გათვალისწინებით, რომ Sin. geo. 35 ნუსხაში დაცული ტექსტი 907 წელს იქნა გადაწერილი ხელნაწერიდან, რომლის ზოგი მონაკვეთიც გადარეცხილი იყო, ბერძნულ წყაროსთან ქართული კორპუსის შეჯერება დაახლოებით VIII ს-ის მეორე ან IX ს-ის დასაწყისში იქნება სავარაუდებელი (Sin. geo. 35 ნუსხის გადამწერი არ არის ამ ხელნაწერის რედაქტორი, ვინაიდან დანარჩენი ორი ქართული ნუსხაც, რომლებიც არ ამჟღავნებენ უშუალო შეხებას ამ ხელნაწერთან, იმავე თარგმანს ემყარება). ბერძნულ წყაროებთან შეჯერების თვალსაზრისით საკვლევა Sin. geo. 35-ში დაცული სხვა თარგმანებიც, კერძოდ, სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვა*, რომელიც, ჟ.გარიტის თანახმად, უახლოვდება ხან ბერძნულ და ხან არაბულ ტექსტებს¹ და, შესაძლებელია, ბერძნულ წყაროსთან ყოფილიყო შეჯერებული; ასევე, წმ. არსენის ეპისტოლე, რომელიც გარკვეულ სხვაობას ავლენს Sin. geo. 25 ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტისაგან: „სანატრელთა მაგათ და *სასორველთა* ძმათა, რომელთა აღირჩიეთ ანგელოზებრი ცხორებად და *გრწმენა ზეცისა იგი მკოიდრობად*. ამისთოისცა დაიმდაბლენით თავნი *თოისნი* ყოფად სამართალთა უფლისათა“ (Sin. geo. 35, 39rv)² და „სანატრელთა მაგათ და *საყუარელთა* ძმათა, რომელთა-*ევე* აღირჩიეთ ანგელოზებრი ცხორებად, და ამისთუისცა დაიმდაბლენით თავნი *თქუენი* ყოფად სამართალთა უფლისათა“ (Sin. geo. 25, 120v).³ ასეთ შემთხვევაში, ქართული ტექსტი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს როგორც სირიული, ისე ბერძნული ტექსტების პირვანდელ რედაქციათა კვლევისათვის.

(2) ქართული თარგმანი გადმოღებული იქნა ამჟამად დაკარგული, ბერძნულ ენაზე დაწერილი წყაროდან. ამ წყაროს რედაქცია უახლოვდებოდა სირიული კრიტიკული გამოცემის ძირითადი ტექსტისა და CVW ნუსხების რედაქციას. ასეთ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული ბერძნული კორპუსი არა მხოლოდ მექანიკურად არის კომპილირებული, შედგენილი ავტორის პირადი შეხედულებების შემცველი ფრაზების გამოტოვების შემდეგ დარჩენილი მონაკვეთებით, არამედ კომპილატორის მიერ საკუთრივ ტექსტის ზოგ მონაკვეთში შეტანილია ცვლილებები და მასში ჩამატებულია (მაგალითად, ქვესათაურები) ან ჩანაცვლებულია (მაგალითად, ἡ ἔσθῆς, ბერძ. 4.3) ან გამოტოვებულია (ἀρχαίσι, ბერძ. 1.2) ფრაზები თუ ცალკეული სიტყვები.

ვგიჟობთ, ჭეშმარიტებას მეორე ვარაუდი უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს.

ამგვარად, ამონას ეპისტოლეთა ქართულ კორპუსში დაცულია ამონას წერილების წინათონური ხანის, ერთ-ერთი უადრესი თარგმანი, გადმოღებული, როგორც ჩანს, ავტორის ხელიდან გამოსული პირველწყაროდან მომდინარე ხელნაწერიდან. იგი დგას ცენტრალურ ადგილას ამონას ეპისტოლეთა სხვა თარგმანებს შორის: მასში დასტურდება ისეთი მონაკვეთები ან მნიშვნელოვანი კითხვასხვაობანი, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ ქართულსა და სხვა რომელიმე ცალკეულ თარგმანში, როგორც მაგალითად, ქართულსა და

¹ “Dans la partie commune aux trois recensions, le géorgien ne correspond parfaitement ni au grec ni à l’arabe. D’une part il diffère du grec sur de nombreux points, et il n’est pas rare que dans ces cas il s’accorde avec l’arabe”; “Elle ne peut dériver de l’arabe, puisqu’elle connaît de nombreux éléments – parfois des passages importants – qui sont absents de l’arabe, mais qui figurant dans le grec. Elle ne peut pas non plus dériver du grec édité, puisque, en accord avec la version arabe, elle s’oppose à lui par une série d’omissions, d’additions et de différences rédactionnelles. Ayant en commun, avec le grec d’une part et avec l’arabe d’autre part, des éléments propres à chacune de ces deux recensions, elle doit se rattacher à un modèle antérieur à celles-ci”, Garitte, 1970, გვ. 73, 74.

² ჯავახიშვილი, 1947, გვ. 62 (N 13).

³ ჯავახიშვილი, 1947, გვ. 46 (N 11).

სირიულში, ქართულსა და არაბულში, ან ქართულსა და ეთიოპურში, და საყურადღებოა იმ მიზეზით, რომ ქართული ტექსტი საკუთარი წყაროს ზედმიწევნით, ad verbum თარგმანს წარმოადგენს, რომ იგი, ჩვენამდე მოღწეული ბერძნული და არაბული თარგმანებისაგან განსხვავებით, თავისუფალია კომპილაციური ელემენტებისაგან და არ არის გადამუშავებული. მთლიანობაში, ამონას ეპისტოლეთა ქართულ კორპუსში დაცულია თარგმანი, რომელიც წარმოადგენს სანდო, შეუცვლელ და უძვირფასეს წყაროს ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტის რეკონსტრუქციისათვის.

ბიბლიისა და აპოკრიფთა დამოწმებანი

ამონას ეპისტოლეებში ხშირად არის დამოწმებული ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის მუხლები. მათ შორის გვხვდება როგორც უშუალო, ისე ზოგადი ციტირებები, როდესაც ავტორი გაკვრით ეხება ამა თუ იმ ბიბლიურ სიუჟეტს, რომლებიც მისი ეპისტოლეების მკითხველებმა შესანიშნავად იციან და მათი სრულად და ვრცლად გადმოცემა საჭიროებას არ წარმოადგენს.

ამონა წერილებში თანაბრად იმოწმებს როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმას. ძველი აღთქმიდან დამოწმებულია დაბადების (3.5, 17.15, 32.32), იერემიასა (23.21) და ესაიას (58.1-5), ფსალმუნთა (18.11 ორჯერ, 33.20, 41.5, 52.6, 124.3, 142.5) და იგავთა (3.12, 9.9, 13.9, 14.12) წიგნები, ხოლო ახალი აღთქმიდან – მათეს (22.37), ლუკას (24.49, ქართულ თარგმანს აკლია) და იოანეს სახარებები (16.7, 16.13, 17.24), *საქმე მოციქულთა* (10.34), რომაელთა (1.11, 8.35-38), კორინთელთა მიმართ პირველი (10.13), ეფესელთა (2.2, 3.14-19), თესალონიკელთა მიმართ პირველი (2.8, 5.19), ტიმოთეს მიმართ მეორე (1.3-5), ებრაელთა მიმართ (5.14 ორჯერ), იაკობის (5.13) და პეტრეს პირველი (1.6-7) ეპისტოლეები.

ყველაზე ხშირად ამონას ეპისტოლეთა კრებულში დამოწმებულია ფსალმუნები, კერძოდ, მისი 18.11 (ორჯერ), 33.20, 41.5, 52.6, 124.3, 142.5 მუხლები, მასთან ერთად კი იგავთა წიგნი (3.12, 9.9, 13.9, 14.12) და იოანეს სახარება (16.7, 16.13, 17.24).

ზოგი დამოწმება ამონას წერილებში მოცემულია ორჯერ, რაც გვიჩვენებს, თუ რომელ მუხლებს თვლიდა ავტორი ყველაზე მნიშვნელოვნად მსმენელთა განსწავლისათვის. ასეთია: დაბ. 28.12 (ზოგადი), ფსალ. 18.11 და ებრ. 5.14.

ზოგადი დამოწმებების სახით, ამონას წერილებში ნახსენებია ძველი აღთქმიდან დაბადების (თთ. 27, 27-28, 28.12, 32.24) და გამოსლვათა (32.32) წიგნები, ხოლო ახალი აღთქმიდან – მათეს სახარება (თ. 4, 13.44, 13.45-46) და ეფესელთა მიმართ ეპისტოლე (6.12).

ბიბლიის უშუალო დამოწმებები ამონას წერილებში ბევრგან გვხვდება. ჩვეულებრივ, ისინი საკმაოდ ზუსტია და სეპტუაგინტას ბერძნული ტექსტისაგან მეტად მცირე სხვაობას ავლენს,¹ განსაკუთრებით ფსალმუნთა და იგავთა წიგნების ციტირებისას.² იგივე შეიძლება ითქვას ქართული თარგმანის შესახებაც, თუმცა ამ უკანასკნელის შედარებისას ბიბლიის შესაბამის მუხლთა ქართულ თარგმანებთან სხვაობა უფრო დიდია. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი მთარგმნელი, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს ბიბლიის უკვე არსებულ ქართულ თარგმანებს, მაინც სათარგმნი წყაროს შესაბამისად თარგმნის ტექსტს.

ძველი აღთქმის დაბ. 3.5-ის ციტირებისას, სადაც გველი ატუნებს ქალს და ეუბნება: „იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი“, ამონას წერილთა შემცველ თარგმანებს შორის მხოლოდ ქართულსა და სირიულ P (Par. syr. 201, 162r)³ ნუსხას აკლია „ვითარცა“:

დაბ. 3.5. ἕσθε ἄς θεοί.

¹ ამის შესახებ მიუთითებს ი. ტრომპიცი, იხ. Tromp, 1997, გვ. 241.

² ბიბლიის ბერძნული ტექსტისათვის გამოვიყენეთ: ძველი აღთქმისათვის – Rahlfs-ისა და Hanhart-ის მიერ გამოცემული *Septuaginta*, 2006, ახალი აღთქმისათვის კი – *The New Testament in the Original Greek*, 2005.

³ PO 11, გვ. 447, შენ. 1, 3.

დაბადება. „იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი“.¹
 ბერძ. 5.2. Ἵσθεθε ὡς θεοί (PO 11, გვ. 447).
 სირ. 11.1. ܠܟܘܢ ܥܠܘܢ ܠܥܘܠܡܐ
 “Eritis sicut dii” (PO 10, გვ. 599₁₁).
 ქართ. 10.2. „იყვნეთ ღმერთ!“ (53rA).

ვინაიდან დაბადების წიგნის ჩვენამდე მოღწეულ რედაქციებში „ვითარცა“ ყველგან დასტურდება, საფიქრებელია, რომ აღნიშნული ციტირება, ბიბლიის უძველესი რედაქციის კვალდაკვალ, ამ სახით იყო წარმოდგენილი ამონას წერილთა კორპუსის პირველწყაროში.

შემდეგ დამოწმებას ქართული A ნუსხა აკლებს „და“ კავშირს, რომელიც დასტურდება როგორც ბერძნულ, ისე სირიულ ტექსტებში. აღსანიშნავია, რომ ამგვარი თარგმანი თანხვედბა ფსალმუნთა ერთ-ერთი ყველაზე ძველი თარგმანის, „მცხეთის დავითნის“ (C) რედაქციას, რომლის გადაწერის დროს კ.კეკელიძე 904 წლით ათარიღებს, მზ.შანიძე კი – 1016 წლით. რაც შეეხება ქართულ C ხელნაწერს, იგი ამ მონაკვეთში ამატებს „და“ კავშირს, რითაც დამოწმების თარგმანს უახლოებს, ერთი მხრივ, ბერძნულ/სირიულ ტექსტებს და, მეორე მხრივ, ფსალმუნთა გიორგი მთაწმიდლისეულ (L) რედაქციასაც. ეს დამოწმება ტექსტში ორჯერ გვხვდება:

ფსალ. 18.11. ἵπῆρ μέλι καὶ κηρίον.
 ფსალმუნნი. „უფროს თაფლისა მის (და) გოლეულისა“ (C).²
 ბერძ. 2.1, 3.1. ἵπῆρ μέλι καὶ κηρίον (PO 11, გვ. 436, 439).
 სირ. 2.1, 4.1. ܠܚܘܒܐ ܠܥܘܠܡܐ
 „(suavior est) melle et favo“ (PO 10, გვ. 571₃, 579₁).
 ქართ. 1.1. „უფროს თაფლისა მის გოლ[ისა]“ (43vA); „უფროს თაფლისა და გოლისა“ (59vC).
 ქართ. 4.1. „უფროს თაფლისა (+ და C) გოლისა“ (47vA, 66rC).

მომდევნო ციტირების შესაბამისი წინადადებები ბერძნულსა და სირიულ ტექსტებში მრავლობით რიცხვშია მოცემული, ისევე, როგორც ფსალმუნთა გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში (L), თუმცა, როგორც წინა დამოწმების განხილვისას ვნახეთ, ამონას ეპისტოლეთა ქართული ტექსტის მთარგმნელს ფსალმუნთა ძველი, გიორგამდელი (C რედაქციის) თარგმანი აქვს ხელთ და სათარგმნ მონაკვეთს მისი რედაქციის შესაბამის მუხლს ამთხვევს:

ფსალ. 33.20. Πολλὰ αἰ θλίψεις τῶν δικαίων καὶ ἐκ πασῶν αὐτῶν ῥύσεται αὐτοὺς.
 ფსალმუნნი. „მრავალ არს ჭირი მართლისა და ყოვლისავე მისგან იქსნეს იგი უფალმან“ (C);
 „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იქსნეს იგინი უფალმან“ (L).³
 ბერძ. 4.2. Πολλὰ αἰ θλίψεις τῶν δικαίων καὶ ἐκ πασῶν αὐτῶν ῥύσεται αὐτοὺς ὁ Κύριος (PO 11, გვ. 442).
 სირ. 8.2. ܠܚܘܒܐ ܠܥܘܠܡܐ ܠܥܘܠܡܐ ܠܥܘܠܡܐ ܠܥܘܠܡܐ
 “Multae sunt tribulationes iustorum et ex omnibus liberat eos Dominus” (PO 10, გვ. 591₂).
 ქართ. 9.2. “მრავალ არს ჭირი მართლისა და ყოვლისავე მისგან იქსნეს იგი უფალმან!” (51rA).

ფსალმუნთა უკვე არსებულ ტექსტსა და განსახილველ თარგმანს შორის სხვაობა მეტად მცირეა შემდეგ მონაკვეთშიც: „ნუგეშინის-ვსცი“ და „ნუგეშინის-ვიეც“. ამასთან, ამ უკანასკნელში, სათავისო ქცევის გამოყენებით, უფრო ზუსტად არის გადმოტანილი ტექსტის შინაარსი.

ფსალ. 41.5. Καὶ ἐξέχεα ἐπ’ ἐμέ τῆς ψυχῆς μου.
 ფსალმუნნი. „და ნუგეშინის-ვსცი სულსა ჩემსა“ (C).⁴
 ბერძ. 2.3. Καὶ ἐξέχεα ἐπ’ ἐμέ τῆς ψυχῆς μου (PO 11, გვ. 437).
 სირ. 3.4. ܠܥܘܠܡܐ ܠܥܘܠܡܐ “Effudi super me animam meam” (PO 10, გვ. 576₁₁).
 ქართ. 2.4. “და ნუგეშინის-ვიეც სულსა ჩემსა“ (45vA).

¹ A 179 (1669 წ.), A 455 (ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია), H 1207 (XVII ს.), A 51 (XVII-XVIII სს.), იხ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, 1989, გვ. 69.

² ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, 1960, გვ. 41.

³ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, 1960, გვ. 80.

⁴ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, 1960, გვ. 105.

მათე, 22.37. ἀγαπήσεις κύριον τὸν θεόν σου, ἐν ὅλῃ καρδίᾳ σου, καὶ ἐν ὅλῃ τῇ ψυχῇ σου καὶ ἐν ὅλῃ τῇ διανοίᾳ σου.

პეშიტა.¹ ܣܠܐ ܡܠܟܐ ܘܥܒܕ ܡܠܟܐ ܘܥܒܕ ܣܘܠ ܡܠܟܐ ܘܥܘܠܡ ܠܚܘܠ ܡܘܨܝܗ

“Thou shalt love the Lord thy God with all thy heart, and with all thy soul, and with all thy *might*”.²

გიორგი მთაწმიდლის რედაქცია.³ „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“.

ბერძ. 2.1. Ἐάν τις ἀγαπήσῃ τὸν Κύριον ἐν ὅλῃ καρδίᾳ, καὶ ἐν πάσῃ τῇ ψυχῇ, καὶ πάσῃ δυνάμει (PO 11, გვ. 435).

სირ. 2.1. ܡܠܟܐ ܡܠܟܐ ܡܠܟܐ ܡܠܟܐ ܡܠܟܐ ܡܠܟܐ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ

“Si quis diligit Dominum tota anima sua et toto corde suo et totis *viribus* suis” (PO 10, გვ. 570³⁻⁴).

CVW ܡܠܟܐ ܘܥܒܕ ܡܠܟܐ ܘܥܒܕ ܡܠܟܐ ܘܥܘܠܡ ܡܠܟܐ ܘܥܘܠܡ ܡܠܟܐ

ქართ. 1.1. „უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თუისითა“ (43vA, 59rC).

რაც შეეხება პავლენის ეპისტოლეთა ციტაციას, იაკ. 5.13 და რომ. 1.11 მუხლების დამოწმებისას ამონას ეპისტოლეთა კორპუსის ბერძნული, სირიული და ქართული ტექსტები არ იძლევიან ზედმიწევნით ციტირებებს, ხოლო 1კორ. 10.13, ეფეს. 3.19 და ებრ. 5.14 დამოწმებათა ქართული თარგმანი თანხვედრა გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში დაცულ ძველ ქართულ თარგმანს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებია თანხვედრა პავლენის შემცველ X საუკუნის ხელნაწერებთან, რომლებიც პავლენის გამოცემაში A (S 407, S 1398) და B (S 1138, K 176, Sin. geo. 58/31, Ath. 42) რედაქციებით არიან მითითებული⁴ (1კორ. 10.13 მუხლი პავლენის ძველ, AB რედაქციებსა და გიორგი მთაწმიდლის CD რედაქციებში ერთნაირია).

იაკ. 5.13. Κακοπαθεὶ τις ἐν ὑμῖν; προσευχέσθω.

პეშიტა.⁵ ܠܥܘܠܡ ܠܚܘܠ ܘܥܘܠܡ ܠܚܘܠ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ

“And if any of you shall be in affliction, let him pray”.⁶

გიორგი მთაწმიდლის რედაქცია. “შჳირდეს თუ ვისმე თქუნებანსა, ილოცვედინ”.⁷

ბერძ. 4.2. Ἀθυμῆν τις ἐν ὑμῖν, προσευχέσθω” (PO 11, გვ. 442).

სირ. 9.2. ܠܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ

“Si quis tristis est ex vobis, oret” (PO 10, გვ. 591³).

ქართ. 9.2. “სულმოკლე თუ ვინმე არს თქუნ შორის, ილოცვედინ!” (51rA).

რომ. 1.11. ἐπιποθῶ γὰρ ἰδεῖν ὑμᾶς, ἵνα τι μεταδῶ χάρισμα ὑμῖν πνευματικόν, εἰς τὸ στηριχθῆναι ὑμᾶς.

პეშიტა.⁸ ܕܝܚܝܬܝܚ ܡܘܠܐ ܘܥܘܠܡ ܠܚܘܠܝܗ ܘܥܘܠܡ ܠܚܘܠܝܗ ܘܥܘܠܡ ܠܚܘܠܝܗ

„For I long much to see you; and to impart to you the gift of the Spirit, whereby ye may be established“.⁹

გიორგი მთაწმიდლის რედაქცია: „რამეთუ მსურის ხილვად (ხილვად AB) თქუენი, რამთა მი-რამმე-გცე თქუენ (+ მეცა AB) მადლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა“.

სირ. 5.1. ܕܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܠܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ ܘܥܘܠܡ

“Desidero venire ad vos, ut aliquod charisma spirituale conferam vobis ad vestram confirmationem” (PO 10, გვ. 581⁸⁻⁹).

ქართ. 5.1. A წუსხა: “მნებავს მისლვად თქუენდა, რამეთუ მი-რამმე-გცე მე თქუენ მიცემად მადლი სულიერი დასამტკიცებელად თქუენდა”; C წუსხა: “მნებავს მისლვად თქუენდა, რამთა მი-რამმე-გცე თქუენცა მადლი სულიერი სამტკიცებელად თქუენდა” (48rvA, 68rC).

¹ Peshitta New Testament, 1886, გვ. 61.

² Murdock, 1915, გვ. 45.

³ ქართველი მთარგმნელები, მათ შორის, გიორგი მთაწმიდელი, ეყრდნობოდნენ მათ დროს არსებულ ძველ მთარგმნელთა მიერ გადმოღებულ ტექსტებს და, წყაროსთან დაახლოების მიზნით, მხოლოდ განსაკუთრებულად აუცილებელი შესწორება შეჰქონდათ მათში.

⁴ პავლენი, 1974, გვ. 012-015.

⁵ Peshitta New Testament, 1886, გვ. 563 (ბმული იხ. <http://dukhrana.com/peshitta/msviewer.php?ms=5&id=569>).

⁶ Murdock, 1915, გვ. 419.

⁷ იხ. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/akhali/iakobi/iakobi-5.htm.

⁸ Peshitta New Testament, 1886, გვ. 369-370.

⁹ Murdock, 1915, გვ. 277.

ჰოდაიოთთან¹ და, ამასთანავე, უახლოვდება იუბილეთა (ლეპტოგენესისის), 30-32, არამეული ლევის წიგნისა და ლევის აღთქმის სტრიქონებს.² მკვლევარის თანახმად, ეს დამოწმებები ლევის აპოკრიფული წიგნის ნაწილს წარმოადგენენ.³

ამგვარად, ამონას ეპისტოლეთა კორპუსში დამოწმებულია ძველი და ახალი აღთქმის მუხლები. უშუალო დამოწმებებს შორის ყველაზე ხშირად ციტირებულია ფსალმუნთა წიგნი, ხოლო ფრაგმენტი ფსალმუნთა 18.11 მუხლიდან („უფროდს თავლისა (მის) გოლისა“) ორჯერ არის დამოწმებული. ორჯერ არის ციტირებული, ასევე, ებრაელთა მიმართ ეპისტოლე, 5.14 („სრულთად არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელთა-იგი სახითა გონებანი წურთილნი ჰქონედ გამორჩევად კეთილისა და ბოროტისა“), რომელთაც ამონა სხვადასხვა ეპისტოლეებში იმეორებს, როგორც ადრესატათვის მნიშვნელოვან შეგონებას. ბიბლიის შესაბამის მუხლებთან ამონას ეპისტოლეების შემცველ ბერძნულ და სირიულ ტექსტთა შედარებისას ცხადია, რომ ამონას წერილთა ბერძნულ ტექსტში წარმოდგენილი დამოწმებები ბიბლიის ბერძნულ ტექსტთან მეტად მცირე სხვაობას ავლენს,⁴ განსაკუთრებით ფსალმუნთა და იგავთა წიგნების ციტირებისას, განსხვავებით სირიული ტექსტისაგან, რომელიც ბიბლიის შესაბამის მუხლთაგან უფრო მეტად არის დამორებული. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, ქართველი მთარგმნელი მის დროს არსებულ ბიბლიის თარგმანს ეყრდნობა და ცდილობს, სიტყვასიტყვით გადმოიტანოს იგი, თუმცა ტექსტს სათარგმნი წყაროს ადეკვატურად თარგმნის და ბიბლიის ძველ თარგმანს უსადაგებს. ბიბლიის ციტირებათაგან აღსანიშნავია დაბ. 3.5-ის ციტირება („იყვნეთ ღმერთი!“, 10.2), სადაც ამონას ეპისტოლეთა შემცველი ყველა ტექსტიდან მხოლოდ ქართულ თარგმანს და ერთადერთ სირიულ ნუსხას, Par. syr. 201 (XIII ს.), აკლია „ვითარცა“ (შდრ. ἑσθηθῆ ἑοίς, 162r),⁵ რომელიც დასტურდება როგორც ბერძნულ, ისე სირიულ ტექსტში და მათ იკითხვისებში. საყურადღებოა მათეს სახარების (22.37) ცნობილი მუხლი, „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“, დაცული ამონას წერილის ბერძნულ (2.1) და სირიულ CVW ხელნაწერთა ტექსტებსა (სირ. 2.1) და ქართულ თარგმანში (ქართ. 1.1), რომელიც ამონას ამ წერილში სხვაობს ახალი აღთქმის ბერძნული (და ქართული) ტექსტისაგან. აღნიშნული ციტირების ბოლო მონაკვეთი „უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თუისითა“ არ დასტურდება მათეს სახარების ბერძნულ ტექსტში, არც კოპტურ თარგმანში,⁶ არამედ სირიულ პეშიტასა⁷ და მათეს სახარების კოპტური ტექსტის რამდენიმე ხელნაწერში.

ამონას ეპისტოლეში (ბერძ. 4.6/სირ. 10.1/ქართ. 9.6) დამოწმებულია, აგრეთვე, აპოკრიფული თხზულების *ესაია წინასწარმეტყველის ამბლები* 8.21 მუხლი. ამასთან, ამონას ამ წერილის ბერძნულ ტექსტში დასახელებულია „ელია“, ხოლო სირიულ ტექსტში – მხოლოდ „წინასწარმეტყველი“, ქართულ თარგმანში კი მოცემულია ორივე წყაროს იკითხვისი: „ელია წინასწარმეტყველი“. ამონას ეპისტოლეთა კორპუსში (ბერძ. 7.2,3/სირ. 13.2,3/არაბ. 19/ქართ. 11.2,3) ციტირებულია, აგრეთვე, ლევის აპოკრიფული ტექსტის ორი ნაწყვეტი, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ არის ცნობილი.

¹ Tromp, 1997, გვ. 240, 241.

² Tromp, 1997, გვ. 245 და შემდ.

³ Tromp, 1997, გვ. 247.

⁴ ამის შესახებ მიუთითებს ი. ტრომპიც, იხ. Tromp, 1997, გვ. 241.

⁵ PO 11, გვ. 447, შენ. 1, 3.

⁶ *The Coptic version of the New Testament*, 1898, გვ. 45.

⁷ *Peshitta New Testament*, 1886, გვ. 61.

ამონას წერილის დამოწმება აპოფთეგმურ კრებულში

X-XIII სს-ის ქართულ მწიგნობრულ წრეებში დიდი იყო ინტერესი კატენური კრებულებისადმი. ამ ხანებში ბერძნულიდან ითარგმნა რამდენიმე ამგვარი ნაშრომი, მათ შორის, გელათის კატენებიანი ბიბლია (A 1108, XII ს.), *თარგმანებად ფსალმუნთა წიგნისა* (Q 37, 1091 წ.), ეკლესიასტეს განმარტებანი (A 61, XIII ს.), ფსალმუნთა განმარტებების გამოკრებული რედაქცია (K 29, XIII-XIV ს.) და სხვ. ასეთივე ინტერესი ჩანს ამ პერიოდში წმინდა მამათა გამონათქვამების მიმართაც, რომლებიც ქართულ ენაზე რამდენიმე კრებულად იქნა გადმოღებული.¹ ისინი შეიცავენ აპოფთეგმებს, რომელთაგან ზოგიერთის ავტორად ამონაც არის დასახელებული. ეს კრებულებია:

(1) ასკეტ მამათა ანბანურ-ანონიმური აპოფთეგმების უძველესი თარგმანი, დაცული სამ ნუსხაში: Ath. 12 (XI ს.), 1r-235v, Sin. geo. 35 (907 წ.), 275r-320v და Sin. geo. 8 (XI ს.).² კრებული გამოქვეყნდა 1974 წელს: *შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები*. ტ. 2: „ანბანურ-ანონიმური პატერიკები“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა. რედ. ელ. მეტრეველი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: მეცნიერება, 1974.

აპოფთეგმათა კრებულის შესაბამის ბერძნულ ტექსტში (PG 65, სვ. 71-440)³ წარმოდგენილია ამონას 11 გამონათქვამი, ქართულ თარგმანში კი დასტურდება 12.⁴ ამასთან, ქართულ აპოფთეგმათა მიმდევრობა და შედგენილობა მისდევს ბერძნულისას და განსხვავებულია მხოლოდ თ. 12, რომელიც ბერძნულ გამოცემაში არ არის დაცული. ამონას შესახებ გადმოცემები მოღწეულია, ასევე, აპოფთეგმებში ანტონი დიდისა⁵ და პიმენის შესახებ.⁶ სახელთა მსგავსების გათვალისწინებით, შესაძლოა, ამონას ეკუთვნოდეს ორი აპოფთეგმა, რომლებიც მიეწერება მსგავსი სახელის მქონე ბერს, ამონ ან ამუნ (Ἀμμῖν) ნიტრიელს.⁷

(2) აპოფთეგმათა თემატური კოლექცია, სათაურით *გამოკრებულნი სადაძთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი*, რომლის მთარგმნელიც ეფთვიმე მთაწმიდელია (955-1024 წწ.), დაცულია ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერში: Athos, Iviron geo. 17 (XI ს-ის დასაწყისი),⁸ 261r-348v (348 ფ., ეტრათი, ნუსხური, კრებული, ეფთვიმე მთაწმიდლის თარგმანები, გადამწერი ბასილი).⁹ ბ.უტიე ამ ხელნაწერის შესახებ შენიშნავს, რომ იგი შეიცავს ვრცელ ასკეტიკურ ფლორილეგიუმს, რომლის წარმოშობაც წმინდად ქართულია, ხოლო მის ერთ-ერთ წყაროდ სახელებს Sin. geo. 35 ნუსხის ანალოგიურ ხელნაწერს, მაგრამ უფრო სრულს¹⁰ (მკვლევარის თანახმად, აპოფთეგმათა ქართული კრებულის ყველაზე ძველი ვარიანტი ითარგმნა საბაწმინდაში VII ს-ის ბოლოს ან VIII ს-ის პირველ ნახევარში).¹¹

¹ ქართულ აპოფთეგმებთან დაკავშირებით იხ. კეკელიძე, 1945, გვ. 14; კეკელიძე, 1980, გვ. 548; ასევე, Outtier, 1980, გვ. 7-17.

² *შუა საუკუნეთა ნოველები*, 1974, გვ. 4-5.

³ აპოფთეგმათა ცხრილისათვის იხ. Rubenson, 2017, გვ. 182, 183.

⁴ *შუა საუკუნეთა ნოველები*, 1974, გვ. 25-29.

⁵ PG 65, სვ. 83C, N 26.

⁶ PG 65, სვ. 317B N 2, 325C N 15, 333C N 52, 345A N 96; შდრ. *შუა საუკუნეთა ნოველები*, 1964, გვ. 160 N 2, 164 N 12, 179 N 74.

⁷ PG 65, სვ. 127-128; *შუა საუკუნეთა*, 1974, გვ. 32.

⁸ Outtier, 1980, გვ. 9.

⁹ *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, 1986, გვ. 57-63.

¹⁰ Outtier, 1980, გვ. 9.

¹¹ Outtier, 1980, გვ. 10-11.

ეს ათონური ხელნაწერი ამონას მიაკუთვნებს რამდენიმე გადმოცემას თავებში „განკითხვისათვის“ (თ. 1, Ath. 17, 263r ძველი პაგინაციით, 265r ახლით),¹ „შესაწირავისა აღებისათვის“ (თ. 11, 279v/281v),² „სიმდაბლისათვის“ (თ. 16, 291v/293v),³ „სიყუარულისათვის და სტუმართმოყუარებისა“ (თ. 18, 295v/297v)⁴ და „სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა“ (თ. 35, 322r/324r).⁵ აქვე დაცულია ამონას *სიტყუანი* (284r/286r და შემდ.).⁶

აპოფთეგმათა ის ნაწყვეტები, რომლებიც არ არის დაცული ამ ორ კრებულში, დასტურდება სხვა ხელნაწერებში, როგორც მაგალითად, A 1109 (IX ს.), Sin. geo. 25 (X ს.), 107v-110r, A 95 (XI ს.), და სხვ.⁷

(3) თეოფილე ხუცესმონაზვნის (XI ს-ის II ნახევარი – XII ს-ის დასაწყისი) მიერ თარგმნილი *სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი* წარმოადგენს კრებულს, რომლის მეშვეობითაც ჩვენამდე მოაღწია ამონას სიტყვებმა ისეთ საკითხთა შესახებ, როგორცაა „არაგანკითხვისათვის“, „განკითხვისათვის“, „ღმობიერებისათვის“, „მოთმინებისათვის“ და სხვ.⁸

დასახელებულ კრებულთაგან, ამონას ეპისტოლეთა კორპუსთან სიახლოვის გამო, ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს აპოფთეგმათა „გამოკრებული“ კოლექცია, კერძოდ კი მისი თ. 35, სათაურით „სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა“ (Ath. 17, 322r/324r). მასში შეტანილი ერთ-ერთი მოკლე აპოფთეგმის ავტორად სახელდება ამონა („თქუა მამამან ამონა“), თუმცა მისი ტექსტი არ შეესაბამება ამონას სახელით ცნობილ გადმოცემებს, არამედ ამონას ერთ-ერთი წერილის, კერძოდ, ეპ. 2-ის დასაწყისს (ბერძ. 2.1/სირ. 2.1/ქართ. 1.1), რომელსაც აპოფთეგმის ქართული ტექსტი ზედმიწევნით, სიტყვასიტყვით ემთხვევა:

¹ „თქუა მამამან ამონა, ეკრძაღე თავსა შენსა კეთილად, რადთა ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარე და მის წინაშე მყოფი მას, ნურარას თვნიერ ნებისა მისისა ჰყოფ, არამედ მცირესაცა ზედა რადცა გინდეს ყოფის, სიტყვსა გინა საქმისა რადსამე, გინა მოსლვის ვისსამე, გინა ჭამის რადსამე, გინა სუმის, გინა დაძინების, გინა რომლისავე საქმისათვის, რომლისადა გინდეს ყოფის, რადთა გამოიცადო პირველად, უკუეთუ ღმრთისად იქმნებოდის, და ესრეთ აღუვარო ღმერთსა მიზეზი იგი, რომლისადა გინდეს ყოფის, და მაშინდა ჰყო, ვითარცა ჯერ-არს წინაშე ღმრთისა, რადთა ესრეთ ყოველთა სიტყუათა შენთადა და საქმეთადა მისცე აღსარებად ღმერთსა, რადთა მის გამო გაქუნდეს სიყუარული და გულსმოდგინებად ღმრთისა მიმართ“, იხ. ასევე, გაბიძაშვილი, 2006, გვ. 114-115 (N 138).

² „თქუა მამამან ამონა: ეკრძაღე თავსა შენსა კეთილად, რადთა ყოვლადვე არა ვისგან რად მიილო, არცა თავს-იდვა, გარნა რომელი დაგეჯეროს, ვითარმედ ღმერთმან მოგიძღუანა, და რომელი იხილო, ვითარმედ ნაყოფთაგან სიმართლისათა იყოფვის ყოვლითა სიმშუდითა და სიყუარულითა, ესე თავს-იდევ, ხოლო რომელი იხილო, ვითარმედ არა სიმართლით იყოფვის, არამედ ლალვით და ზაკუვით, განიშორებდ და განაგდებდ ეგვეთარსა“, იხ. ასევე, გაბიძაშვილი, 2006, გვ. 341 (N 1076).

³ „თქუა მამამან ამონა: იცოდე, ზ კაცო, რამეთუ შეტყუებით დიდებასა ღმრთისასა და სიმდიდრესა, ეგრეთ ხარ შენ, ვითარცა არაარსი და ვითარცა მიწად და ნაცარი და ვითარცა სიხენეშე და მატლი“.

⁴ „მამად ამონა ნიტრიელი მივიდა მამისა ანტონისსა და ჰრქუა მას, რამეთუ: უფროდსი შრომად მაქუს შენსა, და ვითარ განდიდნა სახელი შენი კაცთა შორის უფროდს ჩემსა. ჰრქუა მას მამამან ანტონი: ამისთვის, რამეთუ ღმერთი მე უფროდს მიყუარს შენსა“.

⁵ „თქუა მამამან ამონა: უკუეთუ ვინმე შეიყუაროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თვსითა, შეეყოს შიშსა მისსა, და შიშმან უშვის მას ტირილი და ტირილმან უშვის მას სიხარული, და სიხარულმან უშვის მას ძალი“, იხ. ასევე, გაბიძაშვილი, 2006, გვ. 310-311 (N 961) და 311 (N 964); *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, 1986, გვ. 62.

⁶ „inc. თქუა მამამან ამონა: ოთხნი საქმენი არიან: უკუეთუ ერთიცა მათგანი იყოს კაცისა“, იხ. აბულაძე, 1955, გვ. 306-309.

⁷ Outtier, 1980, გვ. 8-10 და შემდ.

⁸ გაბიძაშვილი, 2006, გვ. 96 (N 60), 114-115 (N 137-138), 191 (N 464), 222 (N 593) და ა.შ.

გამოკრებული, თ. 35	ბერძ. 2.1	სირ. 2.1	ქართ. 1.1
<p>უკუეთუ ვინმე შეიყუ- აროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თვისითა, შეეყოს შიშსა მისსა, და შიშმან უშვის მას ტირილი და ტირილმან უშვის მას სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი (Ath. 17, 322r/324r).</p>	<p>Ἐάν τις ἀγαπήσῃ τὸν Κύριον ἐν ὄλῃ καρδίᾳ, καὶ ἐν πάντῃ τῇ ψυχῇ, καὶ πάντῃ δυνάμει σθεθῆ ἐν φόβῳ, ὁ φόβος γενήσεται ἀστῆ κλαυθμῶν, καὶ ὁ κλαυθμὸς χαρᾶν, καὶ ἡ χαρὰ γενήσεται ἰσχύς (PO 11, გვ. 435).</p>	<p>თ^აჯ^ა თ^აჯ^ა ἰ^ალ^ა ო^ას^ა ო^ას^ა ἰ^ალ^ა ^ას^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ^ას^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ^ას^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა ἰ^ალ^ა “Si quis diligit Dominum tota anima sua et toto corde suo et totis viribus suis, acquirit timorem. Et timor parit fletum et fletus parit gaudium. Gaudium parit vires” (PO 10, გვ. 570³⁻⁵).</p>	<p>უკუეთუ ვინმე შეიყუ- აროს უფალი ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თუისითა, შეეყოს შიშსა მისსა, შიშმან უშვის მას ტირილი და ტირილმან უშვის მას სიხარული და სიხარულმან უშვის მას ძალი (43vA, 59rC).</p>

შეუძლებელია, ამგვარი სიახლოვე ყოფილიყო ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ თარგმანში. საფიქრებელია, რომ „გამოკრებული“ შემდგენელი იცნობდა ამონას ეპისტოლეთა ქართულ თარგმანს და შეუწამა კიდევ ტექსტი, რათა ზედმიწევნით ზუსტად დაემოწმებინა ამონას წერილი.

ნაწყვეტი ეპ. 2-იდან აპოფთეგმებს შორის დასტურდება არა მხოლოდ ქართულ, არამედ კოპტურ აპოფთეგმათა კორპუსშიც. დასახელებული ეპისტოლედან მასში წარმოდგენილია წერილის დასაწყისის თარგმანი, თუმცა გარკვეული ცვლილებებით და უფრო ვრცლად, ვიდრე იგი დამოწმებულია აპოფთეგმათა ქართულ კრებულში. აღსანიშნავია, რომ ეს წერილი კოპტურ აპოფთეგმათა კრებულში ანტონი დიდს მიეწერება:

“Abba Antoine dit: “*Si quelqu’un aime le Christ de tout son coeur et de toute sa force, il engender la crainte; la crainte enfante les larmes; les larmes enfantent la joie spirituelle afin que la joie spirituelle enfante la vie angélique; la vie angélique enfante la vertu qui console; l’ame reçoit la justification afin de produire des fruits exquis. Si le Christ, celui qui la fortifie, voit son courage et sa patience en toute chose, il l’accueille avec joie: ainsi elle est dans l’exultation celeste dans les lieux de repos qui ne finiront jamais*“.¹

აპოფთეგმებში, სტეფანე თებელის *ასკეტიკურ სიტყვასა* და ისააკ ასურის *სიტყვაში*,² ამონას ეპ. 2-ის დასაწყისის დამოწმება მიუთითებს ამ წერილის უფრო მეტ პოპულარობაზე ასკეტიკურ წრეებში ამონას სხვა წერილებთან შედარებით. ამის მიზეზი არ არის ნათელი, ვინაიდან ეს ეპისტოლე და მისი პირველი სტრიქონები არაფრით არის უფრო მნიშვნელოვანი და გამორჩეული ამ ავტორის დანარჩენ წერილებთან შედარებით. საფიქრებელია, რომ ამონას ეპისტოლეთა კორპუსის თავდაპირველი ვარიანტი სწორედ ამ წერილით იწყებოდა, როგორც ეს ქართულ კრებულშია (მდრ. ცხრილი 1), რომ მისი პირველი სტრიქონები ზეპირად ახსოვდათ მწიგნობრებს და საკუთარ ნაშრომებში იმოწმებდნენ მათ.

¹ “Apophthegmes sur saint Antoine”, *Histoire des Monastères*, 1894, გვ. 25; Farag, 2012, გვ. 81, 226-227.

² ისააკ ასური, *სიტყვა* 35.10, იხ. Isaac le Syrien, 2003, გვ. 431; Farag, 2012, გვ. 105.

საერთო დასკვნა

ეგვიპტური ასკეტიზმის დამაარსებლის, ანტონი დიდის მოწაფე, ნიტრიის კელიის მონასტრის ფუძემდებელი, მეუდაბნოე ამონა (Ἀμμώνας) (დაახლ. 294-357 წწ.), მისი ღვაწლის მნიშვნელოვანების გამო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ამონას არაერთი ადრეული ავტორი ახსენებს საკუთარ ნაშრომში, მათ შორის პალადი ჰელენოპოლელი, რუფინუსი, ათანასე ალექსანდრიელი, სოკრატე სქოლასტიკოსი და სხვ., თუმცა მისი ცხოვრების შესახებ ცნობები მეტად მწირია. ტრადიცია ამონას მიაკუთვნებს სხვადასხვა თხზულებებს, კერძოდ, წერილებს, აპოფთეგმებს, დარიგებებს, სიტყვებს, რომელთა ნაწილი ქართულ ენაზეც არის გამოცემული.¹ ამონას სწავლათა და ეპისტოლეათა შესახებ დაწერილია გამოკვლევები ჟერარ გარიტის,² ქეთევან მამასახლისისა³ და ილია ცეცხლაძის⁴ მიერ. ეპისტოლეათა ქართული კორპუსიდან ეპ. 2 გამოქვეყნდა 1976 წელს ჟერარ გარიტის მიერ Sin. geo. 35 ხელნაწერის მიხედვით,⁵ წერილების სრული კრებული კი, ჩვენამდე მოღწეულ სამიდან ორ ნუსხაზე (Sin. geo. 35 და Sin. geo. 25) დაყრდნობით, შეტანილია ილია ცეცხლაძის საბაკალავრო ნაშრომში.⁶

ამონას თხზულებათა შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონედ მიჩნეულია მისი ეპისტოლეები, რომელთა ავთენტურობაც უდავოა. ამონას წერილები ადრეულ ხანებშივე არაერთხელ არის დამოწმებული სხვადასხვა ავტორთა, მათ შორის ისააკ ასურის (VII ს.), იოსებ ჰაზაიას (VIII ს.), იოანე დალიათას (VIII ს.), თომა მარგელის (IX ს.) და აბდ-იმო ბარ ბერიკას (1250-1318 წწ.) ტექსტებში, რომლებიც მათ მიერ დამოწმებულ ეპისტოლეებს ამონას მიაკუთვნებენ, ასევე, აპოფთეგმურ კრებულებში.

ამონას ეპისტოლეათა კრებული შემორჩენილია ბერძნულ, სირიულ, არაბულ, სომხურ, ეთიოპურ და ქართულ ენებზე. ყველაზე მეტი, 14 წერილი მოღწეულია სირიულ, 13 – ქართულ, 9 – არაბულ, 8 – ბერძნულ, 3 – სომხურ და 2 – ეთიოპურ ენებზე. ამასთან 9 არაბული ეპისტოლე შეესაბამება 10 სირიულ წერილს, ვინაიდან არაბ. 19 შეიცავს ორი სირიული წერილის (სირ. 13 და 14) თარგმანს. ეპისტოლეები დამოდღვრითი ხასიათისაა, მიმართულია ამონას სულიერი შვილებისადმი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქრისტიანული მისტიციზმის ისტორიაში.⁷ ეპისტოლეებს ათარიღებენ IV ს-ის მეორე ნახევრით (კლეინა),⁸ 360-იანი წლების დასასრულით (რუბენსონი),⁹ 370-იანი წლებით ან მათი ახლო ხანებით (უილიამსი),¹⁰ 396 ან 403 წლამდე პერიოდით (ნო)¹¹ და 376-410 წლებით (ფარაგი).¹² ეპისტოლეათა შინაარსი არ იძლევა საკმარის მონაცემებს მათი მიმდევრობის დასაზუსტებლად. ამიტომ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, ერთი მხრივ, ბერძნულ ეპისტოლეათა, მეორე მხრივ კი, სირიულ ეპისტოლეათა ნუმერაცია იმ მიმდევრობის მიხედვით, რომელიც დასტურდება ამონას ეპისტოლეათა შემცველ ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ძველ ხელნაწერში, სირიულ BM add. 12175 (534 წ.).

¹ აბულაძე, 1955, გვ. 306-309; შუა საუკუნეთა ნოველების, 1974; ამონას შრომათა და გამონათქვამთა შესახებ იხ. ასევე, გაბიძაშვილი, 2006, გვ. 89.

² Garitte, 1976, გვ. 123-131.

³ მამასახლისი, 2018, გვ. 37-51. იხ. ასევე, მამასახლისი, 2017; მამასახლისი, 2019; Mamasakhlishi, 2022.

⁴ ცეცხლაძე, 2020.

⁵ Garitte, 1976, გვ. 123-131.

⁶ ცეცხლაძე, 2020.

⁷ Outtier, 1985, გვ. 8. კლეინას ამონას ეპისტოლეები მოჰყავს იმის მაგალითად, რომ სამონაზვნო მისტიციზმი ევაგრე პონტოელამდეც არსებობდა, იხ. Klejna, 1938, გვ. 347.

⁸ Klejna, 1938, გვ. 321.

⁹ Rubenson, 2011, გვ. 196.

¹⁰ Williams, 2002, გვ. 32; Farag, 2012, გვ. 159-160.

¹¹ PO 11, გვ. 395.

¹² Farag, 2012, გვ. 159-160.

წერილთა ორიგინალის ენის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ივარაუდება, რომ ამონას ეპისტოლეთა დედანი დაიწერა ბერძნულ ან კოპტურ ენებზე (კოპტურ ენაზე ამონას წერილები მოღწეული არ არის).

ამონას ეპისტოლეთა კვლევისათვის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ სირიული და ბერძნული კორპუსები. მიჩნეულია, რომ ამონას **სირიულ** ენაზე შემორჩენილ წერილებში საუკეთესოდ არის დაცული ავტორის ხელიდან გამოსული ტექსტი, როგორც სისრულით, ისე შედგენილობით.¹ ამასთან, „სირიული ვერსია (...) ტექსტობრივი ტრადიციის უფრო ადრინდელ ფორმას წარმოადგენს, ვიდრე მოღწეული ბერძნული ტექსტი“.² ამონას ეპისტოლეთა სირიული კრებულის კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნდა გამოცემაში *Ammonii Eremitae Epistolae. Syriace edidit et praefatus est Michael Kmoskó. PO 10. Paris: Firmin-Dodet et Co, 1915*, ათ ხელნაწერზე დაყრდნობით, რომელთაგან უადრესს წარმოადგენს ზემოხსენებული BM add. 12175 ნუსხა (534 წ.).³ მ.კმოსკო ხელნაწერებს ორ რედაქციად ჰყოფს. მათგან უფრო ადრეულად დასახელებულია A და B ნუსხები, ხოლო შედარებით გვიანდელად – CD (ნაკლები ნუსხები) და VW ხელნაწერები, რომლებიც, გამომცემლის თანახმად, ორი წყაროდან მომდინარეობენ და უფრო ძველ და სხვადასხვამხრივ უშეცდომო ტექსტს იძლევიან.⁴ მკვლევარის თანახმად, ორივე რედაქციას საფუძვლად უდევს A ნუსხაში დაცული ტექსტი, რომელიც ამ რედაქციათა ზოგ მონაკვეთში მასთან შედარებით შესწორებულ-შემატებულია. შესწორებები შეტანილია გადამწერთათვის ნაკლებად გასაგებ მონაკვეთებში. ასეთ მონაკვეთთა იკითხვისები ხშირად სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვანაირია და A-ს იკითხვისები ხან ერთი ნუსხით არის მოღწეული, ხან მეორით. კმოსკო ვარაუდობს, რომ გადამწერები რომელიც დაზიანებულ-გადარეცხილი არქეტიპით სარგებლობდნენ ან ისეთი ხელნაწერით, რომლის ზოგი სიტყვა აწიებზე იყო ჩაწერილი და ვინაიდან მათი ამოკითხვა არ შეეძლოთ, შეუსაბამო იკითხვისები შეჰქონდათ ტექსტში, ან მოძველებული ფრაზების ნაცვლად უფრო იოლად გასაგებ ვარიანტებს იძლეოდნენ.⁵ იგი, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ ეპ. 11-13 უფრო ძველია ეპ. 3-10-სთან შედარებით.⁶

ბერძნული ტექსტის შვიდი წერილის კრიტიკული გამოცემა განხორციელდა 1915 წელს: *Ammonas, successeur de Saint Antoine. Textes Grecs et Syriacques édités et traduits par F. Nau. PO 11. Paris: Firmin-Didot et Co, 1915*. იგი ეყრდნობა ორ ხელნაწერს, Par. BNF suppl. gr. 28 (XV ს.) და Par. BNF Coislin. gr. 370 (X ს.), და გამოცემას Ἰορδανίτης, 1911, რომელიც, თავის მხრივ, გამოიცა ხელნაწერ Sin. gr. 464-ზე (XVII ს.) დაყრდნობით. ბერძნულ ენაზე შემორჩენილი მერვე ეპისტოლე გამოქვეყნდა 1918 წელს, მაკარი ეგვიპტელის ახლად აღმოჩენილ შვიდ ჰომილიასთან ერთად, როგორც ამ უკანასკნელის ჰომილია N 57: G.L.Marriott. “Macarii Anecdota: Seven unpublished homilies of Macarius”. *Harvard Theological Studies* 5 (1918), გვ. 47-48. წერილის ტექსტი ეყრდნობა ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის ხელნაწერს Codex Baroccianus 213 (XVI ს.).

ბერძნულ წერილთა ჩვენამდე მოღწეული კრებული შედგენილია ამონას ეპისტოლეთა უფრო ძველი ბერძნული კორპუსის ნაწყვეტთა კომპილაციის მეშვეობით. ამასთან, კომპილატორი ცდილობს, წაშალოს ყველაფერი, რაც ავტორს პირადი აქვს შეტანილი წერილებში და

¹ *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. ii. ობ. ასევე, Williams, 2002, გვ. 24-25; Farag, 2012, გვ. 143; Rubenson, 2017, გვ. 193.

² “the Syriac version (...) manifestly represents an earlier form of the textual tradition than does the extant Greek text”, *The Letters of Ammonas*, 1985, გვ. ii.

³ PO 11, გვ. 398.

⁴ “antiquior est in A et B, recentior vero in CD et VW servata... nam recentior Epistolarum recensio textum duntaxat antiquiorem diversimode emendatum exhibet”, PO 10, გვ. 565.

⁵ PO 10, გვ. 565-566.

⁶ PO 10, გვ. 566.

დარჩენილი მონაკვეთებით ადგენს ეპისტოლეებს, უმატებს მოკლე ქვესათაურებს, როგორცაა $\pi\epsilon\rho\acute{\iota}$ $\eta\theta\sigma\chi\lambda\acute{\alpha}\varsigma$ („დაყუდების, მდუმარების შესახებ“, ბერძ. 1), $\pi\epsilon\rho\acute{\iota}$ $\u03c7\epsilon\alpha\rho\chi\lambda\acute{\alpha}\varsigma$ $\tau\eta\varsigma$ $\chi\acute{\alpha}\rho\iota\tau\omicron\varsigma$ („მადლის მომუშავეების შესახებ“, ბერძ. 2), და სხვ., ზოგი წერილი კი საერთოდ არ გადმოაქვს და, მთლიანობაში, მის მიერ შედგენილი კრებული სულ 8 ეპისტოლეს შეიცავს.¹ მეორე მხრივ, სირიული წერილების ზოგი მონაკვეთი შერყვნილია და აზრი გასაგები მხოლოდ ბერძნული ტექსტიდან ხდება,² რის გამოც შემორჩენილი ბერძნული კორპუსი მეტად დიდი მნიშვნელობისაა.

არაბულ ენაზე მოღწეულია 20 წერილისგან შემდგარი კორპუსი, რომელსაც ათარიღებენ 1270 წლით და მიეწერება ანტონი დიდს. მათგან 9 წერილი (არაბ. 8-15, 19) შეესაბამება ამონას ათ სირიულ ეპისტოლეს (სირ. 1-8, 13-14). კრებული არაბულ ენაზე გამოიცა რამდენჯერმე: (1) Anbā Murqus al-Anṭūnī, Kitāb rauḏat an-nafs fi rasā'il al-qiddīs Antūniūs. Cairo, 1899, გვ. 48-140; (2) Kitāb al-‘išat al-hani’a fi’l-ḥayāt an-naskīya. Bairut, 1899, გვ. 124-179; (3) Antoine. *Rasa’ il al-qiddis Antuniyus*, Dayr al-qiddis Anba Maqar. Caire, 1979. არსებობს ტექსტის თანამედროვე ფრანგული და იტალიური თარგმანებიც.³ კორპუსი მთლიანად თარგმნა ლათინურ ენაზე და 1641 წელს გამოსცა აღმოსავლურ ენათა პროფესორმა, აბრაჰამ ექელენსისმა.⁴ თარგმანი შემდგომ გადაიბეჭდა PG-ს სერიაში (PG 40, სვ. 1019-1066). არაბული ტექსტი არ არის ერთგვაროვანი. წერილები გადამუშავებულია და უხვად შეიცავს შემატება-შემოკლებებს, ჩართულია სხვადასხვა ხასიათის მსჯელობები, თუმცა დასტურდება ზედმიწევნით თარგმნილი მონაკვეთებიც. არაბული თარგმანი, ძირითადად, იმავე რედაქციისა ჩანს, რომელსაც სირიული და ქართული ტექსტები მისდევენ, მაგრამ გვხვდება ისეთი იკითხვისებებიც, რომლებიც სხვაობენ ეპისტოლეთა სხვა კორპუსებისაგან და მხოლოდ ქართულ თარგმანთან ამჟღავნებენ თანხვედრას.⁵ ამის ერთ-ერთი მაგალითია შემდეგი:

არაბ. 15	ქართ. 14.1
„hinc omnibus ea perpetrantes non exaudit Deus, cum deprecantur illum, sed magis eos reprehendet. Evangelium quoque sanctum hoc nobis ostendit dicens. <i>Si ergo lumen, quod in vobis est tenebrae sunt, ipsae tenebrae quid erunt?</i> Propheta etiam alio in loco dicit. <i>Omnis quidem iustitia vestra a penes me est tanquam assumptum menstruatæ</i> “ (Ecchellensis, 1641, გვ. 78; PO 40, სვ. 1031BC).	„ამისთვის არა [ის]მინეს მათი, ილოცვედ რად [ღმრთ]ისა მიმართ, არამედ უფროს [ღმერთს]ა აბრალებნ. და კულად სახარებასა შინა იტყუის ეგვიტართათუის: “უკუეთუ ნათელი შენ შორის ბნელ არს, რავდენ უფროს ბნელი იგი”. იტყუის კულად წინამწარმეტყუელი მათთვისვე, ვითარცა შერისხვით, ვითარმედ: „სიმართლე თქუენი, ვითარცა მონძი წიღოვანთა“ (ესაია, 64.6; Sin. geo. 35, 64v-65r).

ქართული თარგმანი სიახლოვეს ყველაზე მეტად სირიულ VW და ზოგჯერ C ხელნაწერთა იკითხვისებთან ამჟღავნებს. ამ რედაქციას უახლოვდება არაბული ტექსტიც. ვფიქრობთ, შემდგომი კვლევის მიზნით, საჭიროა ქართული ტექსტის უფრო დაწვრილებითი შედარება ამონას ეპისტოლეთა საკუთრივ არაბულ ენაზე გადმოღებულ ტექსტთან და არა ამ უკანასკნელის თარგმანებთან.

ამონას ერთი წერილი (არაბ. 9/ბერძ. 2/სირ. 2/ქართ. 1) გარკვეული ცვლილებებით, ავტორის მითითების გარეშე, დამოწმებულია სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვის* (Λόγος Ἀσκητικῶς)

¹ „der Grieche sucht alles rein Persönliche zu streichen und bemüht sich ebenso consequent, jede Wiederholung zu vermeiden. Dieses Bestreben ist so stark, dass schon daraus allein das Fehlen ganzer Briefe im Korpus *G* erklart werden kann. Es kam dem Kompilator unseres *G* offenbar nur darauf an, Erbauungstexte zu frommer Lesung zusammenzustellen“, Klejna, 1938, გვ. 318.

² კლეინა ამის შესახებ წერს სირ. 10-ში აპოკრიფული *ესაია წინამწარმეტყველის ამადლების* ალუზიასთან დაკავშირებით. იხ. Klejna, 1938, გვ. 319.

³ El-Maskine, 1993; Antonio Il Grande, 1999.

⁴ Ecchellensis, 1641.

⁵ Sin. geo. 35-ში დაცული ანტონი დიდის ეპისტოლეთა ქართული თარგმანის კვლევისას ქართული ტექსტის თანხვედრას არაბულთან ყურადღება მიაქცია ქერარ გარიტმა: “Tarabe est sur ce point conforme au géorgien”, Garitte, 1955, გვ. ix.

არაბულ ტექსტში (78-85 ქვეთავები). არაბ. 9-ისა და *ასკეტიკური სიტყვის* შეპირისპირებისას ნათელია, რომ ამ უკანასკნელის 78-79 ქვეთავები სიახლოვეს ავლენს არაბ. 9-სთანაც და ამონას წერილის შინაარსთანაც, დანარჩენ მონაკვეთებში კი არაბ. 9-ის ტექსტი შესამჩნევად გადამუშავებულია. სტეფანე თებელის *ასკეტიკური სიტყვა* ბერძნულ ენაზეც არის მოღწეული, თუმცა ბერძნული ტექსტის 78-85 ქვეთავებში წარმოდგენილია სრულიად სხვა შინაარსის მონაკვეთი,¹ ამასთან, 84-85-ე ქვეთავებში – „მამაო ჩვენო“-ს ლოცვის მეორე ნაწილი მოკლე განმარტებით. სტეფანე თებელის დასახელებული ნაშრომი, სათაურით *სწავლაჲ სტეფანე მონაზონისაჲ*, გადმოღებულია ქართულ ენაზეც და გამოცემულია ჟ.გარიტის მიერ.² მას აკლია 78-83 მონაკვეთები, ხოლო 84-85 ქვეთავები თანხედებიან შესაბამის ბერძნულ ტექსტს და, შესაბამისად, სხვაობენ არაბულისაგან.

სომხურ ენაზე დასტურდება ამონას სამი წერილი, რომლებიც გამოცემულია 1855 წელს: *Վարք սրբոց հարանց և քաղաքականութիւնք նոցին ըստ կրկին թարգմանութեան Նախնեաց. Ե. Ի Վենետիկ, 1855. სომხ. 1 (= ბერძ. 8/სირ.10b/ქართ.12) და სომხ. 3 (= ბერძ. 1/სირ. 12/ქართ. 3) იძლევიან შესაბამის ეპისტოლეთა სრულ თარგმანებს, ხოლო სომხ. 2 – შვიდი წერილის ნაწყვეტთა კომპილაციას: სირ. 1.1 (*Vitae Patrum*, 1855, გვ. 599-600⁸), [3.2] (გვ. 600⁸⁻¹¹), 11.4-5 (გვ. 600¹²⁻¹⁶), 2.1 (გვ. 600¹⁷⁻²³), 4.2 (გვ. 600²³⁻²⁹), 9.1-3 (გვ. 600²⁹⁻⁶⁰²), [9.7] (გვ. 602²⁻⁴), ჩანართი (გვ. 602⁴⁻⁷), [3.1b] (გვ. 602⁸⁻⁹), 4.1 (გვ. 602⁹⁻¹¹), [6.1] (გვ. 602¹¹⁻¹³), 3.2 (გვ. 602¹³⁻¹⁵), 1.3b (გვ. 602¹⁶⁻²⁰).³ ამ უკანასკნელის კომპილაციური ხასიათი, შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო სომხური ტექსტის სათარგმნი წყაროს მდგომარეობით, რის გამოც მთარგმნელმა, რომელიც ძირითადად სიტყვასიტყვით თარგმნის, გადაწყვიტა სომხ. 2-სათვის სხვადასხვა ეპისტოლეთა ნაწყვეტების ამოკრება და მასში ისეთი მონაკვეთიც შეიტანა (როგორც ჩანს, დაზიანებულ-გადარეცხილი დედნიდან შეცდომით ამოკითხული), რომლის დედანიც არ დგინდება.⁴*

ეპისტოლეთა წყაროსთან დაკავშირებით სომხ. 1-ის აღწერილობაში ბ.უტიე მიუთითებს, რომ წერილის სომხური ტექსტი უშუალოდ არც ბერძნულს მისდევს და არც სირიულ ვარიანტს,⁵ ხოლო საკუთრივ კრებულ *მამათა ცხოვრების* ერთ-ერთ წყაროდ ი.აბულაძეს მიაჩნია ქართულენოვანი ტექსტი.⁶ ი. აბულაძე წერს, რომ კრებულში, რომელიც შეიცავს ეპისტოლეებს, წყაროებად გამოყენებულია „ათიოდე სხვადასხვა მოცულობის“ და „სხვადასხვა დროის ნუსხები“, თავად კი „სხვადასხვა ხანისა და სხვადასხვა ენიდან ნათარგმნ კრებულს წარმოადგენს“,⁷ რომელთაგან ერთ-ერთი ენა არის ქართულიც: „*მამათა ცხოვრების* სომხური ვერსიის თხრობათა ერთი ნაწილის წყარო ქართულის ერთ-ერთი რედაქცია ჩანს“,⁸ ამასთან, „სომხურის უშუალო ქართული წყარო... მეცხრე ან მეათე საუკუნისაა“.⁹ როგორც კვლევამ აჩვენა, ეს სამი სომხური ეპისტოლე გადმოღებულია ძირითადად ზუსტად, ზოგ მონაკვეთში წინადადებათა მცირეოდენი შინაარსობრივი ცვლილებითა და კლება-მატებით. ისინი შედგენილობით და ტექსტობრივად უახლოვდება ერთი მხრივ, ბერძნულ, მეორე მხრივ კი სირიულ რედაქციებს, ხოლო ზოგი მისი იკითხვისი მხოლოდ ქართულ და ეთიოპურ თარგმანებში პოულობს შესატყვისს. მხოლოდ ბერძნული წყაროს გავლენით შეიძლება ადმოჩენილიყო სომხურ თარგმანში, მაგალითად, *հոյս* „მსოფლიო, დედამიწა“ (სომხ. 1,¹⁰ შდრ. *ὁ κόσμος* „სამყარო,

¹ Des Places, 1969, გვ. 35. ტექსტის განხილვისათვის იხ. ასევე, Farag, 2012, გვ. 217 და შემდ.

² Garitte, 1970, გვ. 78-93.

³ Outtier, 1971, გვ. 343 და შენ. 62.

⁴ *Vitae Patrum*, 1855, გვ. 602⁴⁻⁷.

⁵ „L' arménien ne se rattache directement ni au grec, ni au syriaque édités“, Outtier, 1971, გვ. 343.

⁶ აბულაძე, 1976, გვ. 235-236.

⁷ აბულაძე, 1976, გვ. 231.

⁸ აბულაძე, 1976, გვ. 235.

⁹ აბულაძე, 1976, გვ. 235-236.

¹⁰ სომხურ გამოცემაში, როგორც ჩანს, შეცდომით, *հոյս* („საზრუნავი“) არის დაბეჭდილი.

მსოფლიო, სამკაული“, ბერძ. 8.1; ἁγιότης „სამკაული“, სირ. 10.2; „სამკაული“, ქართ. 12.1). იმავე დროულად ბერძნული და სირიულ/ქართული რედაქციების გავლენა შეინიშნება სომხ. 2-ის მონაკვეთში *qhasuḥēpās hē qqayurēhēs ḁeloyē* („სამოსი და გრძნობა ხატისა“), სადაც მოცემულია ბერძნული რედაქციის (ἢ ἔσθίς „სამოსი“, ბერძ. 4.3) შესატყვისიც და სირიულისაც (ἁγιότης “habitus”, „ფორმა, მოხაზულობა, სამოსი, მოჩვენებითი გარეგნული სახე“, სირ. 9.3), ისევე, როგორც ქართული რედაქციისა („ხატი“ მოჩვენებითი გარეგნული სახის მნიშვნელობით, ქართ. 9.3). ამას გარდა, სომხ. 3-ში მოცემული *qayurēhēs* („ნაყოფი“) მხოლოდ ქართულ და ეთიოპურ თარგმანებში დასტურდება (მის შესატყვისად ბერძნულ და სირიულ ტექსტებში მოცემულია „ძალა“, τῆς δύναμιν, ბერძ. 1.4; ἁγιότης „virtutem“, სირ. 12.4), და ა.შ. მთლიანობაში, სომხური თარგმანი სიახლოვეს ავლენს ამონას წერილთა როგორც ბერძნულ, ისე სირიულ რედაქციასთან, თუმცა უშუალოდ არცერთ მათგანს არ მისდევს, ამასთანავე კი უახლოვდება ან შეჯერებული უნდა იყოს იმ რედაქციის წყაროსთან, რომლიდანაც მომდინარეობენ ქართული და ეთიოპური თარგმანები.

ეთიოპურ ენაზე გადმოღებულია ამონას ორი წერილი, რომელთა ტექსტი XVII-XIX სს-ის ხელნაწერებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა 1963 წელს ლათინურ თარგმანთან ერთად: Arras, Victor. “Collectio Monastica“. *CSCO* 238 (ეთიოპური ტექსტი), 239 (ლათინური თარგმანი). *Scriptores Aethiopici* 45, 46. Louvain: Secrétariat du CorpusSCO, 1963. მასში დაბეჭდილი კრებული დაყოფილია 67 თავად,¹ რომელთაგან ამონას წერილებს წარმოადგენს თ. 25 (ეთ. 1 = ბერძ. 8/სირ. 10b/სომხ. 1/ქართ. 12) და თ. 47 (ეთ. 2 = ბერძ. 1/სირ.12/სომხ. 3/ქართ. 3). კრებულის თარგმანის დრო უცნობია.² ეთ. 1 და 2 საკმაოდ ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულ ტექსტს. იშვიათად, შეინიშნება ამა თუ იმ მონაკვეთის კლება, სიტყვათა გადანაცვლება და მატება, ძირითადად, განმარტებითი ან განვრცობითი ხასიათისა. ასე მაგალითად, ღვთის მიმართ აღთქმის დადებისას ამონას წერილში ადამიანი მიმართავს უფალს: „მომიტევენ მე, რავდენი ვქმენ უდებებითა, და არღარა ურჩ-გექმნე“, ეთიოპურ თარგმანში კი იგი ღვთის მხრიდანაც მოითხოვს პირობის შესრულებას: „და შენ, შენი მხრივ, არ უფულებელ-მყო მე“ („et tu ex parte tua ne neglexeris me“, ეთ. 1).³ შედგენილობით წერილები შეესაბამებიან სირიულ რედაქციას, ხოლო ტექსტობრივად – ბერძნულს და, ზოგ მონაკვეთში, სირიულსაც, თუმცა მათში გვხვდება ზოგი ისეთი იკითხვისი, რომელიც არ დასტურდება არც ბერძნულ და არც სირიულ რედაქციებში, არამედ შესატყვისი ქართულ და სომხურ თარგმანებში ეძებნება. ეთ. 2-ში გვხვდება მონაკვეთი, რომელიც მხოლოდ ქართულ თარგმანთან ავლენს თანხვედრას, კერძოდ, სიტყვა „პირველნი, ადრეულნი“, წარმოდგენილია მხოლოდ ქართულსა და ეთიოპურ თარგმანებში: “Et propterea patres nostri *primaevi sancti*” (ეთ. 2, Arras, 1963, გვ. 163²⁴⁻²⁵; შდრ. „ამისთუისცა წმიდანიცა იგი პირველნი მამანი“, *Sin. geo.* 35, 46r; *Sin. geo. n.* 13, 64r). მხოლოდ ქართულ, სომხურ და ეთიოპურ ტექსტებში გვხვდება „ნაყოფი“ შემდეგ მონაკვეთში: “Ecce exposui vobis virtutem vitae quietae eiusque *fructus*” (ეთ. 2, Arras, 1963, გვ. 64r; შდრ. „აჰა, ესერა გაუწყე თქვენ დაყუდებისა ძალი და *ნაყოფი*“ (ქართ. 3.4, *Sin. geo.* 35, 46v; სომხ. 3, *ՍԽԻ ԾԱՆՈՒՄԻ ԴԵՎ զԿԱՏԱՐԱՍԱՆՍ ԻՒ ՍԻՆ, Ի ՄԻՒՍՈՒՄ ՍԽԵՂՈՎ զԳՕՐՈՒՔԻՆՍ ԷՒ զԿԱՏՈՒՂՆ ԿՅԱ, ԳԱՄՈՒՅԵՏ ԹԵՎԵՆ ՏԱԽԼՄԻ ԴԱԿՍՎԵԾԵԱ, ՏՅՅԱ ԱԾԳԻԼԱՏ – ԺԱԼԻ ԴԱ ՆԱԿՕՎԻ, *Vitae Patrum*, 1855, გვ. 603), და ა.შ. მთლიანობაში კი ეთიოპური თარგმანი, ერთი მხრივ, უახლოვდება ბერძნულ და სირიულ, მეორე მხრივ კი ქართულ და სომხურ თარგმანებს, რის გამოც სავარაუდებელია, რომ ქართული, სომხური და ეთიოპური*

¹ Arras, 1963, გვ. I.

² “Nescio quoque ubi compiler scripti hauserit materiam sui libri... Nescitur insuper quo tempore translation facta sit”, Arras, 1963, გვ. I.

³ Arras, 1963, გვ. 122²⁰⁻²¹.

ტექსტების მთარგმნელები სარგებლობდნენ ერთი რედაქციის წყაროთი. ეს თანხვედრები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეთიოპიასთან რაიმე სახის ლიტერატურული ურთიერთობები ქართული მწერლობის არცერთ ეტაპზე არ დასტურდება.

ამონას ეპისტოლეტა ქართული კორპუსი შეიცავს 16 წერილს. მათგან ავთენტურია 13 ეპისტოლე (ქართ. 1-12 და 14). ისინი დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სამ ხელნაწერში:

A – Sin. geo. 35 (907 წ.) ნუსხაში – 13 ეპისტოლე (ქართ. 1-12 და 14);

B – Sin. geo. 25 (X ს.) ნუსხაში – 1 წერილი (ქართ. 3);

C – Sin. geo. n. (New Finds) 13 (X ს.) ნუსხაში კი – 7 ეპისტოლე (ქართ. 1-7).

წერილების ნუმერაცია ერთნაირია. სამივე ხელნაწერი ეპისტოლეტა ავტორად ამონას ასახელებს. სამივე გადაწერილია ერთი და იმავე რედაქციის წყაროებიდან, თუმცა ერთმანეთთან უშუალო კავშირი არ აქვთ. ამონას ეპისტოლეტა ქართული კორპუსიდან თავდაპირველად გამოქვეყნდა ქართ. 2, A ნუსხის მიხედვით, ჟერარ გარიტის მიერ შემდეგ გამოცემაში: Garitte, 1976, გვ. 123-131. ეპისტოლეტა სრული ქართული თარგმანი A და B ნუსხებზე დაყრდნობით შეტანილია ილია ცეცხლაძის საბაკალავრო ნაშრომში.¹

A ხელნაწერის ტექსტში არაერთგან გვხვდება ჰაპლოგრაფიული შეცდომები და გამოტოვებული მონაკვეთები. ისე ჩანს, რომ ხელნაწერი, რომელსაც ამ ნუსხის გადამწერი წყაროდ იყენებდა, არაერთ ადგილას დაზიანებულ-გადარეცხილი იყო, რაც ართულებდა სიტყვების ამოკითხვას და მრავალი შეცდომის მიზეზი გახდა. ასეთ მონაკვეთთა სწორი ვარიანტები მოღწეულია B და C ნუსხების მეშვეობით. რაც შეეხება B ხელნაწერს, მასში წარმოდგენილი ტექსტი A ნუსხას უახლოვდება და შედარებით ნაკლებად ემთხვევა C-ს, თუმცა ზოგი სწორი იკითხვისი, რომელიც აკლია ან განსხვავებული სახით არის მოცემული A ნუსხაში, C-სთან ერთად B-შიც არის წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც C ნუსხა, მომდინარეობს იმავე წყაროდან, რომლიდანაც A, შუალედური ხელნაწერის მეშვეობით, სადაც კარგად იკითხებოდა ყველა ის იკითხვისი, რომელიც ვერ ამოიკითხა A ნუსხის გადამწერმა. C ნუსხა დანარჩენი ორი ხელნაწერისაგან ცალკე დგას. A და B ნუსხებში დაცული უკვე არსებული თარგმანი C ხელნაწერში რედაქტირებული, ბერძნულ წყაროსთან შეჯერებული სახით არის წარმოდგენილი.

A ნუსხის გადამწერის ზოგი არასწორი იკითხვისი და სვეტის მარცხნივ გატანილი მთავრული ასოები, რომლებიც შუაზე წყვეტენ წინადადებას, მეტყველებენ იმაზე, რომ ეს ხელნაწერი არ წარმოადგენს მთარგმნელის ავტოგრაფს, არამედ გადაწერილია, სულ მცირე, ერთხელ მაინც წყაროდან, რომელშიც სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ორწერტილებით, რაც დამახასიათებელია ადრეული ხანის ხელნაწერებისათვის და დასტურდება A და B ნუსხებშიც. საფიქრებელია, რომ ამონას ეპისტოლეტა კრებული ქართულ ენაზე ითარგმნა მიახლოებით VII ს-ის ბოლო ხანებში ან VIII ს-ის პირველ ნახევარში.

ამონას ეპისტოლეტა ქართული თარგმანი დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს სირიულ კორპუსთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის წყაროდ მკვლევრები ბერძნულ თარგმანს მიიჩნევენ. ვინაიდან ქართულ თარგმანში ვერ მოიძებნა ვერც ერთი სემიტური იდიომი, რაც სირიულიდან თარგმნილ ტექსტში მოსალოდნელი იყო,² გარიტი თვლის, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს ძველი ბერძნული წყაროდან და სირიულს მხოლოდ ჰგავს.³ მეორე მხრივ, იგი აღნიშნავს იმასაც, რომ ამონას წერილთა სამი რედაქციიდან (ბერძნული, სირიული, ქართული)

¹ ცეცხლაძე, 2020.

² „Prius observandum in textu G nullum idioma semiticum inveniri, ut in versione syriaci alicuius exemplaris valde exspectandum est“, Garitte, 1976, გვ. 128.

³ „Ceterum nulli dubium quin coniectura fieri possit versionem georgianam ex exemplari graeco manasse antiquiore et syriaco similiore“, Garitte, 1976, გვ. 131.

რომელიმე ორს შორის არ დასტურდება სრული და მუდმივი თანხვედრა.¹ ქართული თარგმანის ბერძნული წარმომავლობის შესახებ წერდნენ ს.რუბენსონი² და გ. ფარაგი.³

ქართულ ეპისტოლეთა კორპუსი წერილთა რაოდენობის, მიმდევრობის და ნუმერაციის თვალსაზრისით უახლოვდება სირიულ წერილთა კრებულს, ბერძნულ კორპუსთან კი ამ მხრივ მისი თანხვედრის ერთი შემთხვევა არ აღინიშნება. ქართულ ეპისტოლეთა კორპუსიდან ბერძნულ წერილებს (ბერძ. 1-8) შეესაბამება ქართ. 1-4, 9-12, ხოლო სირიულ ეპისტოლეებს (სირ. 1-13) – ქართ. 1-12 და 14. ქართულ, სირიულ (განსაკუთრებით AVW ხელნაწერებსა) და არაბულ თარგმანებში წერილთა ერთ ჯგუფს ერთნაირი მიმდევრობა აქვს, დანარჩენის მიმდევრობა კი არეულია. კერძოდ, ქართ. 1-9 (ქართ. 3-ის გამოკლებით) თანხვედრა სირ. 2-9 წერილთა მიმდევრობას, ამასთან, ექვსი ქართული ეპისტოლე სირიულ CW ნუსხათა იდენტური მიმდევრობითა და ნუმერაციით არის წარმოდგენილი (ქართ. 4-9). მსგავს მიმდევრობას ვხვდებით არაბულ წერილთა კორპუსშიც, სადაც არაბ. 9-14 ემთხვევა სირ. 2-7-ს, ხოლო მერვე წერილს სირიულ, ქართულ და არაბულ კორპუსებში ერთნაირი ნუმერაცია აქვთ. როგორც ჩანს, პირველწყაროში, საიდანაც ეპისტოლეთა ეს კრებულები იქნა თარგმნილ-გადმოწერილი, ფურცელთა ნაწილი დასაწყისსა და ბოლოში ამოვარდნილი იყო, რამაც გამოიწვია ფურცელთა მიმდევრობის აღრევა და წერილების არასწორი თანმიმდევრობით დალაგება, მით უფრო, რომ წერილთა შინაარსით მათი მიმდევრობის (და ქრონოლოგიის) განსაზღვრა შეუძლებელია. ამასთანავე, პირველწყაროში, სავარაუდოდ, წერილებს ერთმანეთისგან არც სათაური, ავტორის სახელი და ნუმერაცია გამოჰყოფდა, ან ისინი ჩაწერილი იყო აშეშებულ, რომლებიც დროთა განმავლობაში გადაირეცხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთარგმნელ-გადამწერები ეპისტოლეებს სწორი თანმიმდევრობით დაალაგებდნენ და წერილების მიმდევრობის აღრევა არ მოხდებოდა.

სირ. 1-ის შესაბამისი ეპისტოლე ქართულ და არაბულ კორპუსებში ქართ. 14 და არაბ. 15 წერილებს შეესატყვისება, თავად სირიულ კრებულს კი, მისი ტექსტის გამოცემის თანახმად,⁴ პირველ წერილთან ნუმერაცია არც ერთ ხელნაწერში არ აქვს მითითებული, მაშინ, როდესაც სხვა წერილებთან ნუმერაცია მოცემულია.⁵ ამონას ეპისტოლეთაგან სირ. 2 ხშირად არის დამოწმებული სხვა ავტორთა მიერ, კერძოდ, მას ვხვდებით სტეფანე თებელისა⁶ და ისააკ ასურის ნაშრომებში,⁷ აგრეთვე აპოფთეგმებშიც (თ. 35, „სიყუარულისათვის ღმრთისა და შიშისა“, Ath. 17, 322r/324r), რაც მიუთითებს ამ წერილის უფრო მეტ პოპულარობაზე ასკეტურ წრეებში ამონას სხვა წერილებთან შედარებით. ამის მიზეზი არ არის ნათელი, ვინაიდან ეს ეპისტოლე, განსაკუთრებით კი მისი ციტირებული პირველი სტრიქონები (სტეფანე თებელის *ასკეტიკურ სიტყვასა* და აპოფთეგმებში ამ წერილის დასაწყისია დამოწმებული), არაფრით არის უფრო მნიშვნელოვანი და გამორჩეული ამონას დანარჩენ წერილებთან შედარებით. სავარაუდოა, რომ ამონას ეპისტოლეთა კორპუსის თავდაპირველი ვარიანტი იწყებოდა სწორედ ამ წერილით, როგორც ეს არაბულ და ქართულ კრებულებშია (თუ არაბ. 8-ს არ ჩავთვლით; შდრ. ცხრილი 1), რომ მისი პირველი სტრიქონები ზეპირად ახსოვდათ მწიგნობრებს და საკუთარ ნაშრომებში იმოწმებდნენ მათ.

¹ “Ex his apparet relationes trium formarum Epistulae varias diversasque esse neque ullam constantem fixamque concordiam existere inter duas quasdam e tribus recensionibus”, Garitte, 1976, გვ. 131.

² Rubenson, 2015, გვ. 73.

³ Farag, 2012, გვ. 79.

⁴ იბ. PO 10, გვ. 567.

⁵ შდრ. სირ. 2, PO 10, გვ. 570.

⁶ სტეფანე თებელი, *ასკეტიკური სიტყვა*, 78-85, იბ. Sauget, 1964, გვ. 392-394.

⁷ ისააკ ასური, *სიტყვა* 35.10, იბ. Isaac le Syrien, 2003, გვ. 431; Farag, 2012, გვ. 105.

ქართულ ეპისტოლეთა კორპუსი თანხვედბა სირიულ წერილთა კრებულს შედგენილობის თვალსაზრისითაც. ჩვენ დაწვრილებით აღვსუსხეთ ქართულად თარგმნილი მონაკვეთები, რომლებიც ბერძნულ ტექსტს აკლია და მხოლოდ სირიულ კორპუსშია დაცული (იხ. ცხრილი 4). ასეთი ათი მონაკვეთი აღმოჩნდა: ქართ. 1.2b = სირ. 2.2b (PO 10, გვ. 572¹¹⁻¹³); ქართ. 9.6a = სირ. 10.1a; ქართ. 2.4a = სირ. 3.4a (გვ. 576³⁻⁶); ქართ. 2.4c = სირ. 3.4c (გვ. 577³⁻⁵); ქართ. 11.4b = სირ. 13.4c (გვ. 610⁴⁻⁵); ქართ. 11.6b = სირ. 13.6b (გვ. 611²⁻⁶); ქართ. 11.7b = სირ. 13.7b (გვ. 612^{1-2a}); ქართ. 11.8 = სირ. 13.8; ქართ. 11.9a = სირ. 13.9; ქართ. 11.9b = სირ. 13.11b (გვ. 615²⁻³), მათ გარდა კი ეპ. 5, 6, 7, 8, რომლებიც ქართულ და სირიულ თარგმანებში ერთნაირი ნუმერაციით არის წარმოდგენილი, ხოლო ბერძნულ ენაზე არ არის მოღწეული. პირუკუ შემთხვევა, როდესაც ქართულად თარგმნილი მონაკვეთი ბერძნულში დასტურდება, ხოლო სირიულ კრებულს აკლია, არის ერთადერთი: ქართ. 10.1-2a = ბერძ. 5.1-2a (PO 11, გვ. 446-447^{5a}).

ბერძნულ კრებულში ზოგი ეპისტოლე შედგენილია სირიული კორპუსის შესაბამისი ორი ან სამი წერილიდან ამონარიდი მონაკვეთებით. ასე მაგალითად, ბერძ. 2 შეესაბამება სირ. 2.1-2-სა და 3.4-ს, ბერძ. 4 კი – სირ. 9, 10.1-2 და 8b-ს. პირველ შემთხვევაში, ქართული თარგმანის (ქართ. 1.1-2) შედგენილობა ემთხვევა სირიული წერილის შედგენილობას (სირ. 2.1-2) და არა ბერძნულისას (ბერძ. 2.1-2a), კერძოდ, მასში სრულად არის მოცემული სირ. 2-ის შესაბამისი ტექსტი და არ აქვს დამატებული ბერძნულ წერილში ჩართული სირ. 3.4-ის შესატყვისი მონაკვეთი. მეორე შემთხვევაში კი ქართულ თარგმანში (ქართ. 9) ბერძნულის მსგავსად (ბერძ. 4) გადმოღებულია სირ. 9 და 10.1-2-ის შესაბამისი ტექსტი, ხოლო სირ. 8b სირ. 8a-სთან ერთად ერთ ეპისტოლედ არის ნათარგმნი, სირ. 8-ის მსგავსად.

რაც შეეხება საკუთრივ ტექსტის შესაბამისობის საკითხს სხვა კორპუსებთან, ქართულ ეპისტოლეთა კორპუსის ბერძნულ ტექსტთან შედარებისას, ნათელია ქართული თარგმანის სიახლოვე მასთან. ქართული თარგმანი უმეტესწილად ზედმიწევნით თანხვედბა ბერძნული ტექსტის სიტყვათა რიგს, განსაკუთრებით კი ბერძნული გამოცემის ძირითადი ტექსტის, A ხელნაწერის (Sin. gr. 464, XVII ს.) რედაქციას, ხოლო კრიტიკულ ტექსტში მოცემულ სხვა ხელნაწერთა და Sin. gr. 462 ნუსხის იკითხვისებთან მისი თანხვედრა მეტად მწირია.

ვინაიდან ამონას ეპისტოლეთა კორპუსების მთარგმნელები საკუთარ წყაროს, ძირითადად, სიტყვასიტყვით თარგმნიან, გვხვდება მონაკვეთები, სადაც ბერძნული, სირიული და ქართული ტექსტები ერთმანეთს ზედმიწევნით შეესატყვისებიან. მეორე მხრივ, ქართულ თარგმანში არაერთგან დასტურდება ადგილები, რომლებიც არ ემთხვევა არც ბერძნულ ძირითად ტექსტს და არც მის იკითხვისებს, არამედ ბერძნულისაგან განსხვავებული თითქმის ყოველი მონაკვეთი ქართულ თარგმანში ზედმიწევნით შეესაბამება სირიულ რედაქციას და მის ძირითად ტექსტს, განსაკუთრებით კი CVW ნუსხათა იკითხვისებს. ამგვარი დამთხვევები საკმაოდ ხშირია და სისტემატურ ხასიათს ატარებს. სირიულ კრიტიკულ გამოცემაში გათვალისწინებულ ხელნაწერთა გარდა, როგორც ჩანს, არსებობდა ამონას ეპისტოლეთა კორპუსის სხვა სირიული რედაქციაც. ამას მოწმობს სირიელი მწერლის, იოანე დალიათას (VIII ს.) მიერ დამოწმებული მონაკვეთი, რომელიც მცირედ, მაგრამ მაინც სხვაობს ამ ნუსხებისგან და მას ქართული და არაბული თარგმანებიც თანხვედბიან. კერძოდ, ბერძნულ და სირიულ ეპისტოლეებში (ბერძ. 7.3, სირ. 13.3) წარმოდგენილია „დღე და ღამე“, ხოლო იოანე დალიათას დამოწმებაში¹ და, მასთან ერთად, არაბულ და ქართულ თარგმანებში კი „ღამე, ვითარცა დღე“ (არაბ. 19,² ქართ. 11.3).

ამონას ეპისტოლეთა ქართულ კორპუსში გვხვდება ზოგი ისეთი იკითხვისი, რომელიც სირიული წყაროს გამოყენების შესახებ გვაფიქრებინებს. ასე მაგალითად, ქართ. 9-ის შესაბამის

¹ Farag, 2012, გვ. 107.

² Ecchellensis, 1641, გვ. 128-129.

სირიულ ეპისტოლეში (სირ. 9) გვხვდება სიტყვა ܠܚܘܘܬܐ, რომელსაც აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „ფორმა, მოხაზულობა, სამოსელი, მაჩვენებლობა, მოჩვენებითობა“ (“the form, shape, raiment, dress, appearance, outward show, esp. false”).¹ ბერძნულ ტექსტში მას შეესატყვისება ἡ ἔσθῆς („სამოსელი“), ქართულში კი „ხატი“ (ანუ „ფორმა, მოხაზულობა“): „აწ უკუე მორწმუნეთა ზედა მოიწვევის სახე განსაცდელთაჲ. ხოლო რავდენი გამოუცდელ არიან, არამტკიცე არიან სარწმუნოებასა ზედა. და ხატი იგი მოაქუნ, და ძალსა მას უვარ-ჰყოფედ“ (ქართ. 9.3, 51vA). ქართული ტექსტის ბერძნულიდან თარგმნის შემთხვევაში სიტყვას ἡ ἔσθῆς შესატყვისად „ხატი“ ვერ ექნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ წერილის მითითებულ მონაკვეთში მოცემულია 2ტიმ.3.5-ის დამოწმება.² ამ მუხლის ბერძნულ ტექსტში იკითხება ἡ μὲν ἄσκησις, რომელსაც არ გააჩნია „სამოსის“ მნიშვნელობა („ἐχούτε μὲν ἀσκήσιν ἐπισηλάς, τὴν δὲ δὴσάμην ἀσθῆν ἡπιήμειον“, შდრ. გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ქართული თარგმანი: „აქუნდეს ხატი ღმრთისმსახურებისად და ძალსა მისსა უარ-ჰყოფდენ“), პეშიტას სირიულ თარგმანში კი გვხვდება იგივე ܠܚܘܘܬܐ, რომელიც აქ გულისხმობს „მოჩვენებითობას“, „მაჩვენებლობას“, „მსგავსებას“.³ ქართული წერილი ამ წინადადების დედნიეულ ზედმიწევნით თარგმანს იძლევა, იმ ვარიანტისა, რომელიც სირიულ წერილშია დაცული, მაშინ როდესაც ბერძნულ ტექსტში ეს სტრიქონი არაზუსტად არის წარმოდგენილი.

სხვა მონაკვეთში, ბერძნული ტექსტის პირველ ეპისტოლეში (ბერძ. 1.2), სადაც საუბარია „წმინდა მამათა“ (οἱ ἄγιοι πατέρες) შესახებ, ქართულ თარგმანში „წმინდასთან“ ერთად მოცემულია, აგრეთვე, „პირველნი“ („ამისთუისცა წმიდანიცა იგი პირველნი მამანი ჩუენნი“, ქართ. 3.2), რომელიც დასტურდება მხოლოდ ქართულ და ეთიოპურ თარგმანებში (“Et propterea patres nostri *primaevi sancti*“, ეთ. 2). „წმინდა“ (ἄγιοι, ܠܚܘܘܬܐ) და „პირველი, ადრინდელი“ ([ἀρχαῖοι], [ܠܚܘܘܬܐ]) ბერძნულ ენაშიც და სირიულშიც მსგავსად იწერება. ნიშანდობლივია, რომ სირიულ გამოცემაში სიტყვასთან ܠܚܘܘܬܐ („მამები“) ზოგ ნუსხაში გვხვდება მატება: ܠܚܘܘܬܐ (*sancti* „წმინდანი“ E), ܠܚܘܘܬܐ („წმინდა“ V) და ܕܐ (D), ამასთან, ეს უკანასკნელი დაქარაგმებულია და მასში შეიძლება ამოვიკითხოთ როგორც „წმინდა“ ([ܠܚܘܘܬܐ]), ისე „პირველი, ადრინდელი“ ([ܠܚܘܘܬܐ]). როგორც ჩანს, ქართველ მთარგმნელს ხელთ ისეთი წყარო ჰქონდა, სადაც აღნიშნული სიტყვა დაქარაგმებული იყო, ცუდად იკითხებოდა (ე.წ. “lectio difficilior“) ან აშიაზეც იყო გატანილი, მთარგმნელმა კი მისი წაკითხვის ორივე ვარიანტი გადმოიღო, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ქართველი მთარგმნელის სკრუპულოზურობაზე სათარგმნ წყაროსთან მიმართებაში.⁴ ვინაიდან „წმინდა“ და „პირველნი“, ქართულთან ერთად, ეთიოპურ თარგმანშიც დასტურდება, მაშასადამე, ამ ორ კორპუსს ერთი და იმავე რედაქციის ტექსტი უნდა ჰქონოდა წყაროდ.

ქართ. 6-ის დასაწყისის შესაბამის სირიული გამოცემის ძირითად ტექსტში მოცემულია სიტყვა ܠܚܘܘܬܐ („გაადლიერეს“), ხოლო CVW ნუსხებში - ܠܚܘܘܬܐ („შეიძულეს“), რომელიც ძირითადი ტექსტის იკითხვისისაგან მხოლოდ პირველი თანხმობით განსხვავდება. ქართული თარგმანი ამ უკანასკნელის იკითხვის ემთხვევა: “და რომელთა აულებიეს ჯვარი თუისი და მას თანა

¹ Payne Smith, 1903, გვ. 23-24.

² შდრ. Outtier, 1985, გვ. 32.

³ Peshitta New Testament, 1886, 520.

⁴ სირიული ტექსტის გამომცემელი ვარაუდობდა, რომ სირიულ ხელნაწერთა გადამწერები რომელიღაც გადარეცხილი არქეტიპით სარგებლობდნენ ან ისეთი ხელნაწერით, რომლის ზოგი სიტყვაც აშეიბზე იყო ჩაწერილი და ვინაიდან მათი ამოკითხვა არ შეეძლოთ, შეუსაბამო იკითხვისები შეჰქონდათ ტექსტში. იხ. PO 10, გვ. 565-566.

თავნიცა თუისნი *მო-ვე-იძულნეს*“ (ქართ. 6.1, 48vA; 68rC). აღსანიშნავია, რომ იგივე იკითხვისა და ცული არაბულ თარგმანშიც („*istis videlicet, qui mundum odio habuerunt usque animas quoque suas, et Crucem portantes*“, არაბ. 13, PG 40, სვ. 1028A7-8).

ქართულ თარგმანში საკუთარი სახელები, ჩვეულებრივ, ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმით არის გადმოცემული. ამ ერთგვაროვნებისგან გამონაკლისს წარმოადგენს „ისჰაკი“ (ქართ. 10.1). იგი ვერ იქნება ვერც ბერძნული Ἰσαაკ-ის, ვერც კოპტური ἰσαაკ-ის თარგმანი, ვინაიდან ორივე ენაზე ეს სახელი გამოითქმის, როგორც „ისააკი“, რომელიც ქართულ სამწერლობო ენაში დამკვიდრებულ და ქართული ტრადიციისათვის უფრო ბუნებრივ ფორმას წარმოადგენს. „ისჰაკი“ უახლოვდება ამ სახელის სირიულ (შდრ. ܐܝܣܐܩ „ისხაკი“) და არაბულ ჟღერადობას (შდრ. إسحاق „ისჰაკი“), თუმცა აქვე ვიტყვით, რომ არაფერი ადასტურებს ამონას ეპისტოლეთა ქართული კორპუსის არაბული ენიდან თარგმნას. ამავე წერილის მომდევნო ქვეთავში გვხვდება კიდევ ერთი სახელი „აბრაჰამი“ (ქართ. 9.2), რომელიც ქართულად გადმოღებულია სირიული წარმოთქმის მიხედვით ܐܒܪܗܡ („აბრაჰამი“, სირ. 9.2), მაშინ, როდესაც ბერძნულად ეს სახელი გამოითქმის, როგორც „აბრაამი“ (Ἀβραάμ, ბერძ. 4.2).

ბერძნულ და სირიულ ტექსტებში ერთმანეთისგან განსხვავებული იკითხვისებია წარმოდგენილი აპოკრიფული *ესაია წინასწარმეტყველის ამბლები*ს დამოწმებისას (აქვე ვიტყვით, რომ ამონას ეპისტოლეთა კორპუსში დამოწმებულია ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის მუხლები, ლევის უცნობი წიგნის ორი ნაწყვეტი და აპოკრიფული *ესაია წინასწარმეტყველის ამბლები*). ამ უკანასკნელის სირიულ თარგმანში მოცემულია „წინასწარმეტყველი“ (ܐܝܣܐܩܐ ܪܥܘܐ ܕܥܝܘܒܐ ܕܥܝܘܒܐ „Igitur quando *propheta* assumendus erat“, სირ. 10.1, PO 10, გვ. 594⁵⁻⁶), ხოლო ბერძნულში, შეცდომით, ესაია წინასწარმეტყველის ნაცვლად, გვხვდება „ელია“ (“Ὅτε δὲ ἔμελλεν ὁ Ἠλίας ἀναλαμβάνεσθαι, ბერძ. 4.6, PO 11, გვ. 444). ესაია და ელია წინასწარმეტყველთა სახელების დაწერილობა ერთმანეთს ჰგავს როგორც ბერძნულში (Ἠσαΐας, Ἠλίας), ისე სირიულში (ܐܝܣܐܩܐ, ܪܥܘܐ), რამაც, როგორც ჩანს, გამოიწვია შეცდომა. ქართულ თარგმანში ორივე კორპუსის იკითხვისი ერთად არის მოცემული: სირიულის მსგავსად – „წინადაწარმეტყველი“, ბერძნულის მსგავსად კი – „ელია“ (“ოდეს აღმალდებოდა *ელია წინადაწარმეტყველი*“, ქართ. 9.6). როგორც ჩანს, პირველწყაროში წინასწარმეტყველის სახელი მოცემული იყო, თუმცა ხელნაწერის სიძველის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვები მასში აქა-იქ გადარეცხილი იყო და ცუდად იკითხებოდა, დღეისათვის ცნობილ ბერძნულ კრებულსა და ქართულ თარგმანში „ესაიას“ ნაცვლად „ელია“ გაჩნდა, ხოლო სირიული ტექსტის მთარგმნელ-გადამწერებმა სახელი ვერ ამოიკითხეს და მისი გამოტოვება არჩიეს.

